

180  
1987/2

ISSN 0134-9848

1987/1

# សេចក្តី

№ 237  
(1-2)





ტომას ჰარტ ბენტონი. მეტევისის ბანაკი.



## შინაარსი

### პროზა და კოეზია

რამინო მარია რილკა. მალტა ლაურინდს ბრიგანს ჩანაწერები. რომანი. პირველი ნაწილი. გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა	8
ზარალ გოდლეხი. ლექსები პროზად. ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ	88
მარინა ცვეტაევა. ამბავი სონეტების. თარგმნა რუსულიდან ქებულაძემ	89
ფრანც ბრილპარცოვი. ოქროს საფრისი. პიესა. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	133
მიურელ სპარკი. მისს ჯინ ბროდის ბაფურჩქვის ხანა. რომანი. დახაწვისი. ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან შერვაშიძემ	147
ედით უორტონი. რომაული სენი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ზურღან გემაზაშვილმა	175
გიორგი გუგლია. მიმინოს აჩრდილი. მოთხრობა. აფხაზურიდან თარგმნა თეიმურაზ გვანცელაძემ	188
ოლდოს ჰაქსლი. სამკურნალო დასვენება. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნანა სუხიტაშვილმა	218
სარგეი სურინი. მხატვარი ქალიშვილი. მოთხრობა. თარგმნა მარინა ქაციაბაიამ	245
ფელიქს კრივინი. მოგზაურობა საბანთა ქვეყანაში. დასასრული. თარგმნა ვაჟა ყუბუსიძემ	259

### წიგნი

ნაირა გელაშვილი. ერთი ქნელი წიგნი	280
მაკა მაისუკაძე. ალაშვილის იდეა და ხატი უ. ბლვიკის შემოქმედებაში	294
ზიგმუნდ ფროიდი. სიზმრის ახსნა. გერმანულიდან თარგმნა შაია ფანჯიყიძემ	300
როდამ ფალავა. ვ. კოეპენის რომანი „სიკვდილი რომში“ ქართულად	303
ინგა პაკავა. ქართული ონომასტიკის შესანარჩუნებლად	307
ირინე საკიშვილი. ბლვიკი და რომანტიზმი	309
მეთიუ ვეიგელი. ტომას ჰარტ ბენტონი. ინგლისურიდან თარგმნა ეთერ ბალიაშვილმა	313

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეჯია

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:

**მუსრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეჯია:

ელზა ახვლედიანი  
ჯემალ ახიაშვილი  
გიორგი ბაქანიძე  
მზია ბაქრაძე  
ბაჩანა ბრეგვაძე  
გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა  
ნოდარ კაკაბაძე  
ზურაბ კიკნაძე  
ვახუშტი კობახიშვილი  
რომან მიმიწოვილი  
გიორგი ნიშნიაშვილი  
ოთარ ნოდია  
დალი წანგიძე  
რუსუდან ქავთაძე  
იორაბ ქავთაძე  
ნიკო ყიასაშვილი  
გივი შანაზარი  
გივი ქველაძე  
დავით წერეთელი  
ნუგზარ წერეთელი  
თამაზ წიფჩივაძე

რაფი ჭიჭიშვილი (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: ტომას პარტ. ბენტონი. ჯისი ბიტარით

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი  
გამომშვეები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

# რამდენი მარია რილა

## მალტე ლაურიდს ბრიგენს ჩანაწერები



გერმანულიდან

თარგმნა ნაირა გულაშვილმა

11 სექტემბერი, ტულიეს ქუჩა

18513

მე ასე. ესე იგი ამ ქალაქს ყოველი მხრიდან აწყდება ხალხი, რათა აქ ცხოვრებას ეზიაროს. მე კი მგონია: აქ სიკვდილი უფრო ადვილია ვიდრე სიცოცხლე. ვიხეტიალე. ვნახე: პოსპიტლები. ვნახე კაცი, რომელიც წაბარბაცდა და დაეცა. მაშინვე ხალხი შემოეხვია და დანარჩენის ნახვას გადავრჩი. ვნახე ორსული ქალი. მძიმედ მიუყვებოდა მალალ, თბილ გალავანს. დრო და დრო კედელს ხელს შეავლებდა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ხომ ისევ აქ დგასო. დიახ, იქ იდგა. მის მიღმა რალა იყო? ხელთ ქალაქის გეგმა მქონდა და ამოვიკითხე: სამშობიარო სახლი. კეთილი. იქ მოალოგინებენ — ეს ხომ მაინც შეუძლიათ. შემდეგ, წმინდა ჟაკის ქუჩა და იქ ვეება, გუმბათოვანი შენობა; ქალაქის გეგმა მიჩვენებდა: ვალ დე გრასი,<sup>1</sup> სამხედრო პოსპიტალი. კაცმა რომ თქვას, ამის ცოდნა არც მჭირდებოდა, მაგრამ არც არას დამიშავებდა. ქუჩა ათასნაირ სუნს აფრქვევდა ყოველი მხრიდან. რამდენადაც გარჩევა შეიძლებოდა, იოდოფორმის, შემწვარი კარტოფილისა და შიშის სუნი უნდა ყოფილიყო. ზაფხულობით ყველა ქალაქი თავისებურად ყარს. შემდეგ უცნაური შენობა ვნახე, თითქოს ბრმა იყო, თვალბრმანი. გეგმაზე ვერსად ვიპოვე, მაგრამ კარს ჯერ კიდევ აჩნდა წარწერა: დამის სათევი. შესასვლელთან ფასები გამოეკრათ. წავიკითხე. ძვირი არ იყო. კიდევ რა ვნახე? მძინარე ბავშვი საბავშვო ეტლში. მსუქან სახეზე მომწვანო ფერი ედო და შუბლზე მკვეთრად ემჩნეოდა გამონაყარი. ეტყობა, უკვე უშუშდებოდა და აღარ აწუხებდა. ბავშვს პირი დაელო და ისუნთქავდა იოდოფორმის, შემწვარი კარტოფილისა და შიშის სუნს. აი, რა ვნახე. მთავარი ის იყო, რომ მაინც ცოცხლობდნენ. მთავარი ეს იყო.

ვერა და ვერ გადავეჩვიე ღია ფანჯარასთან ძილს! ტრამვაის ვაგონები შიგ ჩემ ოთახში მიგრიანებენ. ავტომობილები ზედ გადამდიან. რომელიღაც კარი ჯახუნით იხურება. სადღაც ფანჯრის მინა ვარდება ზრიალით. მესმის: ზარხარებენ დიდრონი ნატეხები, ხითხითებენ მომცრო ნამსხერევეები. შემდეგ, უეცრად რალაც ყრუ, გაგუდული ხმაური გაისმის სხვა მხრიდან, შიგ შენობა-

<sup>1</sup> Val-le-grâce (ფრანგ.) — სიტყვასიტყვით — მოწყალების ველი.

საქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

ში. ვილაც კიბეზე ამოდის. შოდის, მოიწევს შეუჩერებლივ. უკვე აქ არის. დიდი ხანია უკვე აქ არის. გამისწორდება და ჩაივლის და შემდეგ ისევ ქუჩა. იქ ვილაცა გოგო გაჰკივის: «Ah, tais-toi, je ne veux plus».<sup>1</sup> ელმავალი მოექანება გააფთრებული, გადაუვლის ამ ხმებს, ჩაახშობს და მერე გასცდენს ქუჩას და უკვლავად უკვლავად იხედავს. ისევ ხმა. ვილაც იძახის. ვილაცები გარბიან. ბერძნული სიტყვები უნდა იყოს. ყვეფს ძალლი. შვებით ამოვისუნთქებ: ძალლი! გამთენიისას მამალიც ყინის და უსაზღვრო ნეტარებას მგვრის. შემდეგ უეცრივ მეძინება.

ეს არის ხმები. მაგრამ აქ არის რაღაც, ბევრად უფრო თავზარდამცემი: სიჩუმე. ვფიქრობ, დიდი ხანძრების დროს ზოგჯერ დგება უდიდესი დაძაბულობის წუთი: წყლის ჭავლი წყდება და ძირს ეცემა, მეხანძრეები აღარ მიცოცავენ მაღლა, ფეხს არვიან იცვლის. გაშავებული ლავგარდანი უხმაუროდ სწყდება შენობას და მაღალი კედელი, რომლის მიღმა ცეცხლი ბრიალებს, ჩუმად იზნიქება. მხრებაწეული და შუბლშეჭმუხნილი ხევდება ყველა და ელოდება შემზარავ ჩამოქცევას. აი, აქ ასეთი სიჩუმე იცის.

მე ვსწავლობ ხედვას. არ ვიცი, რა არის იმის მიზეზი, რომ ყველაფერი უფრო ღრმად იჭრება ჩემში და იმ ადგილას აღარ ჩერდება, სადაც ადრე წყდებოდა ხოლმე. რაღაც შინაგანი სამყარო აღმოვიჩინე, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი წინათ. ახლა იქ მიდის ყოველივე და მე არ ვიცი, იქ რაღა ხდება.

დღეს წერილი დავწერე და ამან გამახსენა, რომ ჯერ მხოლოდ სამი კვირაა, რაც აქ ვიმყოფები. სამი კვირა სადმე სხვაგან, თუნდაც სოფელში, ერთ დღესავით გაირბენდა, აქ კი მეჩვენება, უკვე წლები გავიდა-მეთქი. წერილების წერაც აღარ მსურს. რატომ უნდა ვაცნობო ვინმეს, რომ თანდათან ასე ვიცვლები. თუკი ვიცვლები, მაშასადამე, ის აღარა ვარ, ვინც ვიყავი და ვილაც სხვა ვარ; მაშ ხომ ცხადია, რომ ნაცნობებიც აღარა მყავს და უცნობ ხალხს, ხალხს რომელიც მე არ მიცნობს, აბა წერილს როგორღა მივწერ? ✎

უკვე გითხარით? მე ვსწავლობ ხედვას. დიახ, ახლახან დავიწყე სწავლა. ჯერჯერობით ცუდად გამოძის. მაგრამ ვცდილობ, წუთიც კი არსად დავკარგო უქმად. მაგალითად, არასოდეს მიფიქრია, რამდენი სახე არსებობს ქვეყნად. ადამიანი ხომ უამრავია, მაგრამ სახე — ათასჯერ მეტი, რადგან თვითველ მათგანს რამდენიმე სახე აქვს. არიან ადამიანები, ერთ სახეს რომ ატარებენ წლების მანძილზე. ბუნებრივია, სახე ისვრება, ნაოჭდება და იწელება იმ ხელთათმანივით, მოგზაურობაში ხელიდან რომ არ წაუძვრიათ. ესენი მომჭირნე, უბრალო ადამიანები არიან. ისინი სახეს არ იცვლიან, არც როდესმე იწმენდენ. ასეც კარგიაო, ამტკიცებენ და ვის შეუძლია შეედავოს? მაგრამ კითხვა

<sup>1</sup> Ah, tais-toi, je ne veux plus ო, გაჩუმდი, აღარ მინდა (ფრანგ.).

კი უსათუოდ დაგებადებათ: მათ ხომ რამდენიმე სასე აქვთ, რას უშვრებიან იმ დანარჩენებს? — ინახავენ. თავიანთ შვილებს უნდა გადასცენ. მაგრამ ხშირად ასედაც ზღედა, რომ ამ სახეებს მათი ძაღლები იძენენ ბოლოს, მათი გამომეტყველებით გამოდიან გარეთ, ქუჩებში. რატომაც არა? სახე სახეა.

სხვანი კი საშინლად სწრაფად იცვლიან სახეებს. ერთმანეთის მჩუვლებით აიფარებენ და სცვეთენ. თავიდან ჰგონიათ, მთელი სიცოცხლე შეგვიძლია ასე ვიცვალოთ; მაინც გვეყოფაო, მაგრამ ორმოც წელსაც ძლივს აღწევენ, რომ აღმოჩნდება: ამოწურულა მათი მარაგი: უკანასკნელი სახით დადიან. ესეც უბედურებაა, რაღა თქმა უნდა. ამ ხალხს არ ეხერხება სახის დაზოგვა. ყოველი მათი ბოლო სახე რვა დღეში ცვდება. ალაგ-ალაგ ქალაღდივით ისვრიტება და ჩნდება ფსკერი: უსახობა. და ისინიც დადიან და მთელი ცხოვრება უსახობას დაატარებენ. ✕

მაგრამ ქალი, ის ქალი: მთლიანად თავისთავში იყო ჩაფლული, წინგადახრილი და ჩარგული საკუთარ ხელებში. ეს მოხდა ნოტრ-დამ-დე შაპ-ის ქუჩის კუთხეში. როგორც კი შევნიშნე, ნაბიჯი შევანელე. როცა საწყალი ხალხი ჩაფიქრდება, ხელი არ უნდა შეუშალო. ეგებ ბოლოს და ბოლოს მიაგნონ რასმეს.

ქუჩა ცარიელი იყო. მისი სიცარიელე თავს მბებზრებდა, ფეხთაქვეშ ნაბიჯს მაცლიდა და ჩემი ნაბიჯით, თითქოს ხის ფეხსაცმელიაო, ხან აქ და ხან იქ გაუთავებლად აკაკუნებდა. ქალი შეკრთა და წელში გაიმართა, მაგრამ ისე სწრაფად მოსწყდა თავის თავს, რომ სახე ისევ ხელებში დარჩა. და მე შემეძლო დამინახა როგორ იდო სახე ბეშეებში, მისი გულამოცლილი, ჩაღრმავებული ფორმა. როგორ არ ვეცადე ამ ხელებთან დავრჩენილიყავი და არ დამენახა, რაც იქიდან ამოიგლიჯა, მაგრამ ამაოდ. შემზარა სახის შიდაპირის ხილვამ, მაგრამ კიდევ უფრო ზარდამცემი იყო შიშველი, ჩამოფლეთილი თავი სახის გარეშე.



შეშინია. როდესაც შიში გეუფლება, მის წინააღმდეგ რაიმე უნდა იღონო კაცმა. საზიზღრობა იქნებოდა, აქ რომ ავად გავმხდარიყავი... თან ვინმეს რომ აზრად მოსვლოდა და Hotel-Dieu-ში დავეწვინე... იქ ხომ უეჭველად მოვკვდებოდი.

ეს ოტელი შესახედად სასიამოვნო და უსაშველოდ ხალხმრავალია. პარიზის კათედრალს ხეირიანად ვერც კი შეავლებ თვალს იმის შიშით, ოტელის წინ მოედანზე მიმომქროლი ეკიპაჟები ზედ არ შემდგნენო, (რაკი ეს უკანასკნელნი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოცხადდნენ Hotel-Dieu-ს შესასვლელთან). ხსენებული ეკიპაჟები პატარა ომნიბუსებს წარმოადგენენ, რომლებიც განუწყვეტლივ რეკავენ და თავად საგანის ჰერცოგსაც კი მოუწევს ეტლის შეჩერება, თუკი რომელიმე მომაკვდავი სწორედ ამ დროს აიხირებს უფლის სასტუმროში პირდაპირი გზით შებრძანებას. მომაკვდავნი ჯიუტნი არიან, და მთელი პარიზი ფერხდება, როდესაც მადამ ლეგრანი, მეძველმანე ტანჯულთა ქუჩიდან ამ უძველესი უბნისაკენ მოექანება.

1 Hotel-Dieu — (ფრ., სიტყვასიტყვით: ღმერთის ოტელი) ყველაზე ძველი საავადმყოფო პარიზში.

უნდა ითქვას, რომ ამ გააღქაჯებულ პატარა ომნიბუსებს უზომოდ ამაღ-  
 ელვებელი რძისფერი ფანჯრები აქვთ, რომელთა მიღმაც კაცს შეუძლია უბ-  
 რწყინვალესი აგონიები წარმოიდგინოს. ამისათვის მეკარე ქალის ფანჯარა  
 საკმარისი იქნებოდა, უფრო მდიდარი და მძაფრი წარმოსახვის პატრონი კი  
 რის წარმოდგენას აღარ შესძლებდა ამ დაბურულ სარკმელთა მიღმა.

მაგრამ მე ვნახე: ღია, სახურავგადახდილი ეტლებიც რომ მიჰქროდნენ  
 ოტელისაკენ. მათ ქირაობდნენ დადგენილ ფასად: ორი ფრანკი სიკვდილის  
 წუთებისათვის.

ეს დიდებული ოტელი ძალზედ ძველია. მის ფითო-ორთლა საწოლში ჯერ  
 კიდევ მეფე ქლოდვიგის<sup>1</sup> დროს კვდებოდა ხალხი. ახლა კი 559 საწოლში ერ-  
 თად კვდებიან. რასაკვირველია, ქარხნული წესით. ასეთი ჭარბი პროდუქცი-  
 ისას, ცხადია, ცალკეული სიკვდილი ცუდად სრულდება. თუმცა ამის დარდი  
 ვილასა აქვს. აქ ხომ მთავარია რაოდენობა.

დღეს განა ვინმე რამეს გაიღებს კარგად დამუშავებული სიკვდილისათ-  
 ვის? არავინ. თვით მდიდარნიც კი, რომელთაც, დიახაც, ხელი მიუწვდებათ,  
 რუდუნებითა და გულისყურით გარდაიცვალონ, დაუდევარნი და გულგრილნი  
 ხდებიან. ადამიანს სულ უფრო იშვიათად უჩნდება სურვილი, მოკვდეს საკუ-  
 თარი სიკვდილით. ცოტაც და საკუთარი სიკვდილი ისევე გაიშვიათდება, როგ-  
 ორც საკუთარი სიცოცხლე. ღმერთო, ღმერთო, ამქვეყნად ყველაფერი მზა-  
 მზარეული ხვდებათ. იბადებიან, პოულობენ მზა სიცოცხლეს და მორჩა. მხო-  
 ლოდ ჩაცმალა სჭირდება. სიკვდილი უნდათ თუ იძულებულნი არიან მოკვდნენ,  
 სულ ერთია! თავს ძალას არავინ ატანს: *voilà votre mort, monsieur!* ისე  
 კვდებიან, როგორც მოუწევთ. კვდებიან სიკვდილით, რომელიც იმ სნეულებას  
 ესადაგება, მათ რომ შეჰყრიათ (რადგან მას შემდეგ, რაც ყველა დაავადება  
 შეისწავლეს, ცნობილია, რომ ესა თუ ის სიკვდილი ამა თუ იმ დაავადებას  
 შეესატყვისება, მას გამოხატავს და არა ადამიანს. და ავადმყოფს ასე ვთქვათ,  
 ვასაკეთებელი არაფერი აქვს).

სანატორიუმებში, სადაც ხალხი, მკურნალთა და მოწყალეების დათა მად-  
 ლიერი, ასეთი ხალისით კვდება, კვდებიან დაწესებულების მიერ დაწესებული  
 სიკვდილით. და ეს სიამოვნებას ანიჭებს მომსახურე პერსონალს. მაგრამ თუ-  
 კი შინ კვდება კაცი, ბუნებრივია, წესიერ საზოგადოებაში მიღებულ თავაზიან  
 სიკვდილს აირჩევს, სიკვდილს, რომლითაც თითქოს მაშინვე უკვე იწყება დი-  
 დებული დაკრძალვა და წარმტაცი რიტუალები. მაშინ ამ სახლთან ღარიბ-ლა-  
 ტაკნი იყრიან თავს და ცქერით გულს იჯერებენ. მათ ხომ ბანალური სიკვდი-  
 ლი ელით, ყოველგვარ ცერემონიათა გარეშე. ლატაკებს უნარიათ რაიმე სიკ-  
 ვდილს თუ იპოვიან, ასე თუ ისე რომ მოერგებათ. დიდი თუ მოუვათ, ამას  
 რა უშავს: ოღნავ ხომ მკვდარიც იზრდება კაცი. მაგრამ თუ მკერდზე არ ეტე-  
 ვათ ან ყელში უჭერთ, ცუდად არის მაშინ კი საქმე.

<sup>1</sup> ქლოდვიგი — ფრანკთა მეფე მეროვინგების გვარიდან (დაახ. 466—511), ფრანკთა სამე-  
 ფოს დამაარსებელი.

<sup>1</sup> *Voilà votre mort, monsieur* — (ფრანგ.) ინებეთ თქვენი სიკვდილი, ბატონო.





როცა კი აწ დაცარიელებულ ჩემს სახლზე ვფიქრობ, ასე მგონია, ადრე-  
 სულ სხვაგვარად ცხოვრობდა ხალხი. ადრე იცოდნენ (ან შემოქმედებდნენ  
 გოდობდნენ), რომ სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, ბრძანებდათ  
 თქვენი აქვეს გულში. ბაშეებს პატარა სიკვდილი ჰქონდათ, უფროსებს — დიდი.  
 ქალებს სიკვდილი საშოში ჰქონდათ, კაცებს კი მკერდში. სიკვდილი ჰქონ-  
 დათ და ეს განსაკუთრებულ ღირსებასა და ჩუმ სიამაყეს ანიჭებდა ადამი-  
 ნებს. ✕

პაპასემს, კამერპერ ბრიგეს ჯერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში  
 სიკვდილი დაჰქონდა და რა სიკვდილი! — ორი თვისა და ისეთი ხმამაღალი,  
 რომ მთელ კარ-მიდამოს აყრუებდა.

წაგრძელებული, ძველთაძველი ჩვენი საახლე ამ სიკვდილს ერთობ ეპა-  
 ტარავებოდა. თითქოს ფლიგელების მიშენება იყო საჭირო, რადგან კამერპე-  
 რის სხეული დღითიდღე სივდებოდა და კამერპერი, რომელსაც სივრ-  
 ცე აღარ ყოფნიდა, ერთთავად ითხოვდა, სხვა ოთახში გამიყვანე-  
 თო. ბოლოს საშინელი მრისხანება ეუფლებოდა, რადგან დაღამებას  
 ჯერ ბევრი უკლდა, ოთახი კი ერთი-ც აღარ ეგულებოდა, სადაც ის უკვე არ  
 წოლილიყო. ერთ დღეს კი მსახურებისა და ძაღლების განუყრელი ამაღის  
 თანხლებით კიბეს აუყვანა და მოურავის წინამძღოლობით იმ ოთახში შეაბიჯა,  
 სადაც სულგანათლებული დედამისი გარდაიცვალა ოცდასამი წლის წინათ.  
 მას მერე ამ ოთახის კარი აღარ შეღებულა, იქ შესვლის ნება არავის ჰქონდა  
 და მთელი ეს ხანი ყველაფერი ხელუხლებლად იდგა, ისევ ისე, ცხოვრებულმა  
 ედგა, როგორც დაღოვა. ფარდები გადახსნეს და ზაფხულის ნაშუად-  
 ლევის მქაზე სინათლე მფრთხალ, შემკრთალ საგნებს მიეჭრა. მიურიდებლად  
 აათვალიერ-ჩაათვალიერა ისინი და ძველი სარკეებიც დააფეთა, როცა მათ  
 ერთბაშად ჩამოგლიჯეს ჩამოფარებული ქსოვილები. იქ მყოფნიც ასევე ირჯე-  
 ზოდნენ: მოახლეებმა აღარ იცოდნენ ზედმეტი ცნობისწადილისაგან ხელები  
 სად წაეღოთ, ახალგაზრდა მსახურები ყველაფერს თვალეზაქვეტილი მიშტე-  
 რებოდნენ, ხოლო ხანდაზმულნი ცდილობდნენ გაეხსნებინათ, რა გაეგონათ ამ  
 კარდახშულ, აკრძალულ ოთახზე, სადაც ახლა აგრე მშვენივრად გრძნობდნენ  
 თავს.

მაგრამ ყველაზე მეტად ძაღლებს აღელვებდათ იმ ოთახში ყოფნა, სადაც  
 ყოველ საგანს საკუთარი და ძველი სურნელი შერჩენოდა. მაღალი, ტანთხელ-  
 რუქული მწვერები საქმიანად მიმორბოდნენ სავარძლებს შორის, რწევან-რწე-  
 ვითა და გრძელი საცეკვაო ნაბიჯით ჰკვეთდნენ ვრცელ დარბაზს, ღერბებზე  
 ამოტვიფრული ძაღლებივით უკანა ფეხებზე დგებოდნენ, ვიწრო თათებს ფან-  
 ქრის ოქროსფერ რაფებზე აწყობდნენ, ეზოში იცქირებოდნენ და წამდაუწუმ  
 აქეთ-იქით ატრიალებდნენ წამახულ, დაძაბულ, დაქანებულ შუბლიან სახეებს.  
 შვედური ხელთათმანით ყვითელი, პატარა ტაქსა ძაღლები აბრეშუმისპირი-  
 ან, განიერ სავარძლებში მოკალათებულიყვნენ და ისეთი სახე ჰქონდათ, თით-  
 ქოს ყველაფერი წესრიგშიაო. ხოლო დაბღვერილი, ზღარბივით აბურძგნული  
 მეძებარი ზურგს იფხანდა მოთქროვილფეხებიანი, მოხატული მაგიდის კუთ-  
 ხეზე, რომელზედაც სევრული ფაიფურის სიფრიფანა ფინჯნები თრთოდნენ.

დიახ, ეს საშინელი წუთები იყო ამ გაოგნებული, ნამძინარევი საგნებისა-  
 თვის, ძილში ცხოვრება რომ გაჰპარვოდათ. რა აღარ ხდებოდა მათ თავს: ვილა-

ცის აჩქარებული ხელით უხეშად გადაშლილი წიგნებიდან ვარდის ფურცლები მოფარფატებდნენ, რომელთაც შემდეგ ფეხით თელავდნენ. პატარა, მყიფე საგნებს ხელს სტაცებდნენ და რაკი ისინი მაშინვე იმსხვრეოდნენ, იქვე ყრიდნენ, გაბზარულებს კი ფარდებისა თუ ბუხრის ოქროსფერ კაბებს მალავდნენ სულაც. და წამდაუწუმ რალაც ვარდებოდა და ყველაფერი მალავდნენ, რაც ვარდებოდა — ფაფუკ ხალიჩაზე უჩუმრად და ხის იატაკზე ხმაურით, რადგანაც ასეთი განებივრებული საგნები უმსუბუქეს დაცემასაც კი ვერ უძლებდნენ.

და თუ ვინმეს აზრად მოუვიდოდა ეკითხა, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი, რა იწვევდა ასე შიშნეულად მოვლილ ოთახში აღსასრულის ასეთ სისავესს, მხოლოდ ერთ პასუხს მიიღებდა: სიკვდილი.

კამერპერ ქრისტოფ დეტლევ ბრიგეს სიკვდილი ულსგორში. რადგან ის იწვა იატაკზე შუა ოთახში და უძრავი და უზარმაზარი მისი სხეული ლურჯი სამხედრო ფორმიდან გადმოღვრას ლამობდა. მის დიდ, უცხო, ახლა ყველასათვის უცნობ სახეზე თვალეები ჩაცვივნილიყო: ის ველარაფერს ვეღარ ხედავდა, რაც იქ ხდებოდა. თავიდან სურდათ, საწოლში დაეწვინათ, მაგრამ კამერპერი გაკერპდა, რადგან საწოლი იმ ღამეების შემდეგ შესძულდა, როდესაც მისმა სნეულებამ იჩინა თავი. თანაც საწოლი, იქ რომ იდგა, ერთობ პატარა აღმოჩნდა მისთვის და მსახურთ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ძირს, ხალიჩაზე დაესვენებინათ, რაკი ქვედა სართულზე დაბრუნება მან არ ინება.

და, აი, ახლა იგი იწვა და კაცს შეეძლო ეფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს უკვე მკვდარიყო. ნელა-ნელა შეღამდა და ძაღლები სათითაოდ გაიკრიფნენ ოდნავ გამოღებულ კარიდან. უხეშბალნიანი და სახეკუშტი მეძებარიღა იჭდა პატრონთან და ფართო და ბანჯგელიანი თათი დაედო ქრისტოფ დეტლევის დიდ და რუხ ხელზე. მსახურების უმეტესობაც ოთახზე ბევრად უფრო ნათელ, თეთრ დერეფანში შეგროვილიყო. ხოლო იქ, შიგნით დარჩენილები დრო და დრო მალულ მშერას აპყრობდნენ ოთახის გულში ამობურცულ დიდ, მკვრივ სიბნელეს და გულში ნატრობდნენ, რომ ის სხვა არაფერი ყოფილიყო წამხდარ სხეულზე ჩამოცმული, ვეებერთელა კოსტიუმის გარდა.

მაგრამ იქ იყო კიდევ რალაც. ეს იყო ხმა, ხმა, რომელსაც ჯერ კიდევ შვიდი კვირის წინათ არვინ იცნობდა, რადგან ის კამერპერის ხმა როდი გახლდათ. ქრისტოფ დეტლევი არ ყოფილა ამ ხმის პატრონი, ეს დეტლევის სიკვდილი იყო.

ქრისტოფ დეტლევის სიკვდილი უკვე მრავალი, მრავალი დღის მანძილზე ცხოვრობდა ულსგორში და ირგვლივ ყველას ესიტყვებოდა და მოითხოვდა, მოითხოვდა, რომ ეტარებინათ, მოითხოვდა ლურჯ ოთახსა და პატარა სალონს, ითხოვდა დარბაზს. ითხოვდა ძაღლებს, მოითხოვდა, ეცინათ ირგვლივ, ელაპარაკათ, ეთამაშათ და ჩუმად მსხდარიყვნენ, ხან ყოველივეს ერთად ითხოვდა. მოითხოვდა, ეჩვენებინათ მეგობრები, ქალები და გარდაცვლილები და მოითხოვდა საკუთარ სიკვდილს. მოითხოვდა და გაჰკიოდა.

ღამით, როდესაც გადაქანცული მსახურები ძილს აპირებდნენ, მაშინ ყვიროდა მისი სიკვდილი, ყვიროდა და გმინავდა. ღრიალებდა ისე დიდხანს და შეუპოვრად, რომ ძაღლები, თავდაპირველად რომ აპყვებოდნენ ხოლმე ყმუილით, ჩუმდებოდნენ და მიწოლასაც ვეღარ ბედავდნენ, თავიანთ მალალ და მოცახცახე ფეხებზე იდგნენ და შიშისგან ძრწოდნენ. ხოლო როდესაც ზაფხულის ვრცელ და მოვერცხლისფერო დანიურ ღამეს მისი ღრიალი მსჭვალავდა

შორით, მაშინ ყველანი როგორც ავღარში დგებოდნენ სოფლად და უსიტყვოდ უსხდებოდნენ ლამფას გარშემო, იქამდე, ვიდრე ეს ქუხილი გადაივლიდა. ხოლო იმ ქალებს, მალე რომ უნდა ემშობიარათ, სახლის უშორეს ოთახებში აწვენდნენ და ახურავდნენ უმძიმეს საბნებს. მაგრამ მათ ის ხმები მოსმოდათ, ისე ახლოდან, თითქოს მათსავე სხეულებში იბადებოდნენ და იქიდანვე დადრებოდნენ, რომ მიეცათ ადგომის ნება და მოდიოდნენ თეთრები და ტანგახივრები, ხაკვთებწამლილი სახეებით და დანარჩენებთან ერთად სხდებოდნენ. და მაკე ძროხები, რომელთაც ამ დროისათვის უნდა ეშობათ, ამ ღრიალმა და ზაფრა და დააუძლურა და ერთ-ერთ მათგანს მკვდარი ნაყოფი შიგნეულთან ერთად ამოაცალეს, რადგან ვერ შესძლო მისი გაჩენა. და ყველანი ცუდად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, თივის დაბინავებაც ავიწყდებოდათ, რადგანაც დღისით ეშინოდათ ღამის დადგომის და ამდენი უძილობითა თუ დაფეთებული გამოღვიძებით ისე იყვნენ ქანცგაწყვეტილნი, რომ აღარაფრის თავი არ ჰქონდათ. ხოლო როდესაც კვირახალზე თეთრსა და მყუდრო ეკლესიას მიაშურებდნენ, იქ ღმერთს შესთხოვდნენ, რომ ბატონი აღარ ჰყოლოდათ: რადგან ეს მართლაც საშინელი ბატონი იყო, და რასაც ისინი ჩუმად ფიქრობდნენ და ლოცულობდნენ, იმას ხმამაღლა ამბობდა მღვდელი ამბიონიდან, რადგან მასაც გაკრთომოდა ღამის სიმშვიდე და ამის გამო წყდებოდა უფალს. და ამასვე რეკდა ზარიც, შემზარავი მეტოქე რომ გამოსჩენოდა, მეტოქე, რომელიც მთელ ღამეს ქუხდა და ვის ხმასაც ზარი ვერ დაფარავდა, თუნდაც ერთიანად აფხმიანებინა ლითონის მასა. დიახ, ყველა ამას ამბობდა და იქაურ ყმაწვილკაცებში ერთი ისეთიც გამოჩნდა ბოლოს, ვისაც ესიზმრა, რომ სასახლეში წავიდა ვითომ და მოწყალე ბატონს ნაგვის ორთითი თავში ჩაართყა. და ისე ბოლომოდებულნი იყვნენ ყველანი და ისეთი ღიზმორეულნი, რომ ყურს უგდებდნენ და ბოლოს, თავიანთისვე შეუმჩნეველად ისე შეხედეს, თითქოს ეკითხებოდნენ, იყო თუ არა სინამდვილეში ამის ჩამდენი. ასეთი განცდები და საუბრები გავრცელდა მთელს იმ მხარეში, სადაც კამერპერი ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ უყვარდათ და ენანებოდათ. მაგრამ თუმცა ასე ლაპარაკობდნენ, შეცვლით არაფერი არ იცვლებოდა. ქრისტოფ დეტლევის სიკვდილი, რომელიც ულსგორში ცხოვრობდა, სხვათა სულსწრაფობას არაფრად აგდებდა: ის ათი კვირით იყო მოსული და ეს ხანი დაჰყო და ამ ხნის მანძილზე ის უფრო იყო ბატონი, ვიდრე ქრისტოფ დეტლევი ყოფილა ოდესმე. ის ჰგავდა მეფეს, საშინელს რომ უწოდებენ შემდეგ და მარად.

ეს არ ყოფილა ვიღაც წყალმანკიანის სიკვდილი. ეს ავი და თავადური სიკვდილი გახლდათ, რომელსაც კამერპერი მთელი სიცოცხლე თავის წიაღში დაატარებდა და საკუთარი თავით ჰკვებავდა. სიამაყის, ნებისა და თავადური ძალმოსილების მთელი სისავეს, რისი დახარჯვაც ქრისტოფ დეტლევმა თავის მდორე ცხოვრებაში ვერ მოახერხა, მის სიკვდილში გადასულიყო, სიკვდილში. ახლა რომ ულსგორში იჯდა და ყოველივე ამას ფლანგავდა.

და როგორ უნდა შეეხედა კამერპერს მისთვის, ვინც მას ეტყოდა, სხვა სიკვდილით უნდა მომკვდარიყავ, არა ამითო, თავადი ბრიგე თავისი მძიმე სიკვდილით მოკვდა.

●  
და დანარჩენი წინაპრებიც რომ მახსენდება, ვინც საკუთარი თვალთ მი-  
ნახავს ან რომელთა შესახებაც სხვებს უამბნიათ, ვხედავ: ასევე იყო ყველა მა-

თგანი. მათ ყველას საკუთარი სიკვდილი ჰქონდა: იმ კაცებს, <sup>იარაღასხმულ</sup> სხეულში სიკვდილს ტყვესავით შებოჭილს რომ დაატარებდნენ: ქალებს, რომლებიც ღრმად ბერდებოდნენ და პატარავდებოდნენ და შემდეგ უზარმაზარ სარეცელზე როგორც სცენაზე ისე კვდებოდნენ, მოკრძალებულად და დედოფლური ღირსეულებით. დიახ, ბავშვებიც, თუნდაც სულ პატარები, რომელიმე ბავშვური ხიკვდილით კი არა კვდებოდნენ. არამედ ძალას იკრებდნენ და კვდებოდნენ იმას, რაც უკვე იყვნენ და იმასაც, რაც გახდებოდნენ, ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ.

და რა ნაღვლიან სილამაზეს ანიჭებდა ეს განცდა ქალებს, როცა ისინი ორსულად იყვნენ, და იდგნენ ხოლმე, და მათ ღიდ ტანში, ზედ უნებურად რომ რჩებოდათ თხელი ხელები, ორი ნაყოფი ერთად ხარობდა: ერთი ბავშვი და ერთი სიკვდილი. და მძიმე და თითქმის მაძლარი ღიმილი, მათ ერთიანად დაცლილ სახეზე. იმიტომ ხომ არა ჩნდებოდა, რომ ხანდახან ფიქრობდნენ ხოლმე, ორივენი იზრდებიანო?

მე რაღაც ვიღონე შიშის წინააღმდეგ. მთელი ღამე ვიჯექი და ვწერდი და ახლა ისე ვარ დაღლილი, თითქოს ულსგორის უკიდევანო ველ-მინდვრებში მეხეტიალოს. ძნელია, როცა გაიფიქრებ, რომ ეს ყველაფერი დაკარგულია და უცხო ხალხი ცხოვრობს ახლა იქ, ჩვენს ძველებურ, გრძელ სასახლეში. ალბათ მოახლეებს სძინავთ იმ თეთრ ოთახში, ზედა სართულზე, სძინავთ მძიმე და ოფლიანი ძილით, შეღამებიდან გათენებაამდე.

და აღარავინ და აღარაფერი არ გაგაჩნია, დაეხეტები ქვეყნიდან ქვეყნად ჩემოდნითა და წიგნების ყუთით და კაცმა რომ თქვას, ცნობისწადილიც არ გამოძრავებს. რა სიცოცხლეა ეს სიცოცხლე ბოლოს და ბოლოს: უსახლკაროდ, უძალღებოდ და ნამემკვიდრევე საგანთ გარეშე! მოგონებები მაინც გქონდეს ადამიანს და მათ მაინც არა კარგავდე. მაგრამ აბა ვინ იტყვის, მაქვსო. ბავშვობა კიდევ რომ მომეგონებინა, ხომ ისე გაჩნდებოდა, როგორც რაღაც უკვე ღიდი ხნის დამარხული? ვინ იცის, ეგებ უნდა დაბერდე, რომ წარსულს მისწვდე და მოიწოდო? და მეჩვენება, კარგი უნდა იყოს სიბერე.

ღღეს მშვენიერი შემოდგომის დილა გათენდა. ტიულრის ბაღში მივდიოდი. აღმოსავლეთის საპირისპიროდ, მზის წინ რაც იყო, რაც მას პირდაპირ ეგებებოდა, ყველაფერი დამაბრმავებლად კაშკაშებდა. მზით განათებულ იქაურობას ღიანაცრისფერ ფარდასავით ეკიდა ნისლი. ნაცრისფერ რიყრაყში მზეზე ვერცხლისფრად ირუჯებოდნენ ჯერ კიდევ შეუძარცველ ბაღებში გაფანტული ქანდაკებები. ზოგიერთი ყვავილი კი გრძელ კვალში ნელა დგებოდა ზეზე და შემკრთალი ხმით ჩუმად ამბობდა: „წითელი“-ო. შემდეგ მაღალი და ხმელ-ხმელი კაცი გამოჩნდა ელისეს მინდვრების მხრიდან. ყავარჯენი ეჭირა, მაგრამ იღლიით კი აღარ ეყრდნობოდა, — არამედ უკვე წინ მიჰქონდა მსუბუქად და მხოლოდ დრო და დრო აბჯენდა მიწას, ჰეროლდის კვერთხივით მტკიცედ და ხშიანად. ის ვერ იკავებდა სიხარულის ღიმილს და გზაში ყველაფერს

უღიმოდა: მზეს, ხეებს. მისი ნაბიჯი გაუბედავი იყო, როგორც ბავშვისა, მაგრამ უჩვეულოდ მსუბუქი თანაც, თითქოს წინანდელ სიარულს იგონებდა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რამდენი რამ შეუძლია ამ პატარა მთვარეს! ახლა დგას დღეები ისეთი დღეები, რომ გეჩვენება, თითქოს ყველა საგანს რაღაც უცნაური შუქი ეღვრება და წონა დაუკარგავს. ყველაფერი ნათელია და ჰაეროვანი, ოდნავ გამოკრთის კრიალა ჰაერში და მაინც ცხადად ჩანს. უახლოეს საგანსაც კი სიშორის ელფერი დაჰკრავს, თითქოს შორიდან ხედავ — თითქოს წაგართვეს და ახლა შორიდან გიჩვენებენ, კი არ გიწვდიან. ხოლო ის, რაც მართლა შორს არის, შორეთს ეკუთვნის: მდინარეები, ხიდეები, მოედნები თუ გრძელი ქუჩები თითქოსდა სივრცეს წაუღია თავის ზურგს უკან და ყველაფერი როგორც მკვირვალე აბრეშუმზე ისეა სივრცის ზედაპირზე მიმოხატული.

ამ საოცარი განათების დროს წინასწარ ვეღარ იტყვი, რა შეგრძნებას გამოიწვევს ღია მწვანე ეტლი პენ-ნეფზე,<sup>2</sup> როგორ ავსებს საერთო სურათს საღვალაც გამომკრთალი, რაღაც მსხლტომი წითელი ფერი ანდა სრულიად უბრალო პლაკატი მარგალიტისფრად ჩარუხებული სახლების ცეცხლამრიდ კედელზე. ყველაფერი გამარტივებულია, ნათელ სიბრტყეზეა წარმოდგენილი, როგორც სახე მანეს ნახატზე და არაფერია უმნიშვნელო და ზედმეტი. ბუკინისტები სანაპიროზე ნელ-ნელა ხსნიან თავიანთ ყუთებს. და გარემოს ემატება ახალი ფერები: წიგნების ხასხასა თუ გახუნებული ყვითელი, ყდების მოლურჯო ყავისფერი, რომელიღაც ჩანთის მუქი სიმწვანე და ყველა ეს ფერი საჭიროა, გაოდგება, ერთიმეორეს ესადაგება, აუცილებელი ნაწილის სახით უერთდება იქაურობას და იქმნება ის მთლიანობა და სისავსე, რასაც არაფერი აღარ აკლია.

ქვემოთ ასეთი სურათია: ქალი პატარა ურიკას მიაგორებს, წინ არღანი დევს ურიკაზე, უკან კალათი, კალათში კი ბავშვი დგას მყარად. თავზე თბილი ჩაჩი აბურავს და მხიარულად აცხადებს უარს დაჯდომამზე. მაგრამ მაინც სვამენ. მერე ქალი არღანს ატრიალებს, ბავშვი მაშინვე დგება და ფეხებს ატყაპუნებს და პატარა გოგონა, მწვანე საკვირაო კაბაში გამოწყობილი, ცეკვავს და ტამბურინს აჩხრიალებს სახლის ფანჯრებისაკენ.

ვეფქრობ, ცოტა მუშაობა უნდა დავიწყო, სწორედ ახლა, ხედვას რომ ვსწავლობ. ოცდარვა წლის ვარ და ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი; ისევ ჩამოვთვლი: მე დავწერე ერთი ნაშრომი კარპაჩიოზე, რომელიც არ ვარგა, დრამა, „ქორწინება“ რომ ჰქვია და რაღაც ყალბს ამტკიცებს ორაზროვანი ხერხებით, და ლექსები. მაგრამ რა ცოტა რამ მოაქვთ ლე-

<sup>1</sup> იგულისხმება ახალი მთვარე. რომელიც ხალხის რწმენით ამინდს განსაზღვრავს (მთარგმნელი).

<sup>2</sup> Pont - neuf — ახალი ხიდი (ფრ.).

ქსებს, როცა მათ წერას ადრე იწყებენ. <sup>✓</sup>კაცმა უნდა მოიცადოს და მთელი ცხოვრების, რაც შეიძლება გრძელი ცხოვრების აზრი და სიტყბო შეაგროვოს აუჩქარებლად... და შემდეგ, გვიან, ცხოვრების ბოლოს შეიძლება გამოუვიდეს ათი სტრიქონი, ათიოდე კარგი სტრიქონი. რადგან ლექსებში <sup>ქსებში</sup> კი არ არის, როგორც ჰგონიათ (კაცს განცდები ადრევე და ჭარბად უჩნდება), არამედ — გამოცდილებანია. ერთი ლექსისთვის საჭიროა, კაცმა მრავალი ქალაქი ნახოს, უამრავი საგანი და ადამიანი, ცხოველები უნდა იცოდეს, უნდა გრძნობდეს, ფრინველები როგორ დაფრენენ. ის მოძრაობა უნდა იცოდეს, პატარა ყვავილები რომ იშლებიან მზის ამოსვლისას. უნდა შეეძლოს ფიქრი უცხო მხარეებში დარჩენილ გზებზე, მოულოდნელ შეხვედრებსა და განშორებებზე, რომელთაც რა ხანია წინასწარ გრძნობდნენ, ჯერაც აუხსნელ ბავშვობის დღეებზე... მშობლებზე, რომელთაც ასე წყვეტილი გულს, როცა ვერ ამჩნევდი, როგორ უნდოდათ შენთვის სიხარული მოეტანათ, რადგან ის შენი სიხარული არა ყოფილა, უნდა ფიქრობდეს საყმაწვილო სნეულებებზე, ასე უცნაურად რომ იწყებიან უამრავი ღრმა და მძიმე ფერისცვალებით, ჩაკეტილ, ჩუმ ოთახებში გატარებულ უხმო დღეებზე და ზღვის განთიადებზე, ზღვაზე საერთოდ, ზღვებზე და მოგზაურობის ღამეებზე, ჩვენს გვერდით რომ ჩაიქროლეს, ჩაიშრიალეს და ყველა ვარსკვლავთან ერთად გაფრინდნენ, და არც ეს არის საკმარისი: კაცს უნდა ჰქონდეს მოგონებები სიყვარულის მრავალ ღამეზე, ერთმანეთს რომ არასდროს ჰგვანან, მშობიარეთა კვილსა და მსუბუქ, თეთრსა და მძინარე მოლოგინებულ ქალებზე, რომელთა სხეულიც ისევ იხურება... მომაკვდავთა სასთუმალთანაც უნდა ჰქონდეს ღამე ნათევი ღიაფანჯრებიან დაბინდულ ოთახში, რომელსაც ავსებს მათი წყვეტილი სუნთქვის შრიალი.. მერე მკვდრებთანაც უნდა გაჩერდეს იმავე ოთახში... და არც ეს კმარა: მოგონებები. დავიწყება უნდა შეგეძლოს, თუ ისინი ძალზე ბევრია. და მოთმინებით უნდა აღივსო, რომ დაელოდო მათ დაბრუნებას.. რადგან მოგონებები ჯერ კიდევ არ არის, რაც ჩვენ გვჭირდება — მოგონებანი ჩვენს სისხლად რომ გარდიქცევიან, ჩვენს მზერად და მოძრაობებად, ჩვენში სახელს რომ დაკარგავენ და უსახელოთ ჩვენსავ თავისგან ველარაფრით ვერ განვასხვავებთ, მარტოდენ მაშინ შეიქმნება შესაძლებელი, რომ ერთ ძალიან იშვიათ წუთს მათ გულის-გულში აღსდგეს ლექსის პირველი სიტყვა და გამოვიდეს ამ წიალიდან. <sup>X</sup>

ჩემი ლექსები კი სხვარიგადაა წარმოშობილი, მაშასადამე, არც ლექსებია. და როდესაც ჩემს დრამას ვწერდი, როგორ ვცდებოდი! განა მიმბაძველი არ ვიყავი და უგუნური, რომ ვიღაც მესამე მჭირდებოდა ორი ადამიანის ბედობლის გადმოსაცემად, ერთმანეთს ცხოვრებას რომ უძნელებენ? რა ადვილად გავები მახეში. ხომ უნდა მცოდნოდა, რომ ამ „მესამეს“, რომელიც ყველას ცხოვრებასა და ყველანაირ ლიტერატურაში დაიარება, ამ აჩრდილს რაღაც არარსებული მესამისა, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია და რომ ის უნდა უგულვებელვყოთ. ეს მესამე, ისევე, როგორც მრავალი სხვა რამ მხოლოდ თვალის ასახვევად სჭირდება ბუნებას, მუდამ რომ იმის მცდელობაშია, ადამიანის ყურადღება აარიდოს თავის უღრმეს იდუმალებათ. ის საფარია, რომლის მიღმაც დრამა იშლება. ის ხმაურია ნამდვილი განხეთქილების სამარისებური სიჩუმის კართან. ეტყობა, ორზე ლაპარაკი, ორზე, რომელთაც ეხება საქმე, ყოველთვის ძნელი იყო ყველასთვის. ის „მესამე“, სწორედ იმიტომ, რომ აგრერიგად არანამდვილია, — უადვილესია ამ ამოცანაში. ის ყოველთვის ყველას გამოსდიოდა. დრამების დასაწყისშივე შეიმჩნევა მოუთმენლობა, რომ

ერთი სული აქვთ, ამ — „მესამეზე“ როდის გადავლენ. როგორც კი იგი გამოჩნდება, ყველაფერი უკვე რიგზეა. მაგრამ რა მოწყენილობაა, თუ რვეიანებს, უიმიოდ შეუძლებელია რაიმე მოხდეს. ყველაფერი ფერხდება, გროვდება, იცდის, და მერე, ამ დგომასა და განცვიფრებას რომ აღარ გასცდნენ და „მამე“ რაო, ბატონო დრამატურგო და შენც პუბლიკავ, ცხოვრება — ჩემს ცხინთესოდენ, რაღას იზამდით, უგზო-უკვლოდ რომ გამჭრალიყო ეს ყველასათვის საყვარელი „ცხოვრების კაცი“, ანდა ეს უტიფარი ყმაწვილი, ყველა ქორწინებაში რომ იღებს მონაწილეობას მორგებული გასაღებივით? რაღას იზამდით, მაგალითად, ეშმაკს რომ წაელო იმისი თავი? დავუშვათ. და იმავ წუთს ჩნდება ჩვენი თეატრების ხელოვნური სიცარიელე, მათ სახიფათო ხერხელებით გმანავდნენ და ჩრჩილებიდა მოფარფატებენ ლოყათა ქსოვილიდან უსაყრდენო შუასივრცეში. დრამატურგები ველარ ტკბებიან ვილებში ცხოვრებით. და ოფიციალური მეთვალყურენი დედამიწის ყველა კუთხეში ეძებენ მათთვის იმ „უბადლო და შეუცვლელ გმირს“, მთელ დრამას რომ ამოძრავებდა.

და ამ დროს ისინი ცხოვრობენ ჩვენს შორის, არა ის მესამეები, არამედ ის ორნი, რომელთა შესახებაც წარმოუდგენლად ბევრი იყო მუდამ სათქმელი და არაფერი არ თქმულა ჯერაც, თუმცა ისინი იტანჯებიან, ცხოვრობენ და ვერ გაუგიათ, თავს რით უშველონ.

სასაცილოა. მე ვზივარ ახლა აქ, ჩემს ოთახში, მე — ბრიგე, ოცდარვა წლის ყველასთვის უცნობი კაცი. ვზივარ და არაფერს არ წარმოვადგენ და მაინც, ეს არაფერი იწყებს ფიქრს. და ფიქრობს თავის ოთახში, მეხუთე სართულზე პარიზის ერთ რუხ ნაშუადღევს ამგვარ საფიქრალს:

შესაძლებელია, ფიქრობს იგი, რომ არაფერი ნამდვილი და მნიშვნელოვანი დღემდე არ იყოს დანახული, შეცნობილი და გამოთქმული? შესაძლებელია, რომ საუკუნეები დრო ჰქონდათ დასაკვირვებლად, საფიქრებლად და ჩასაწერად და საუკუნეები სასკოლო შესვენებასავით გაეპარათ, რომლის დროსაც ბუტერბროტს და ვაშლს მიირთმევენ?

ღიახ, შესაძლებელია.

შესაძლებელია, რომ აღმოჩენათა და წინსვლათა, კულტურის, რელიგიისა და ამქვეყნიური მთელი სიბრძნის მიუხედავად ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილიყო ადამიანი? შესაძლებელია, რომ ამ ზედაპირისაც, რომელიც ბუნებრივი სახით კიდევ რაღაცა იქნებოდა, წარმოუდგენლად მოსაწყენი ქსოვილი მიაფარეს, რისი წყალობითაც იგი სასტუმრო ოთახის საზაფხულოდ შალითაგადაკრულ ავეჯს დაემგვანა?

ღიახ, შესაძლებელია.

დასაშვებია, რომ მთელი მსოფლიო ისტორია მცდარადაა წარმოდგენილი და წარსული ერთიანად გაყალბებული, რადგანაც მუდამ მის მასებზე ლაპარაკობდნენ, თითქოს ჰყვებოდნენ აჩოჩოლებულ, ერთმანეთს მიმწყდარ ადამიანთა გროვაზე, ნაცვლად იმისა, რომ ერთის შესახებ ეთქვათ რაიმე, რომელიც მარტო იდგა მუდამ იმ ხალხში, რაკილა უცხო იყო ყველასთვის და ასე მოკვდა?

ღიახ, დასაშვებია.

დასაშვებია, რომ მუდამ ეგონათ, თითქოს ყველაფერი უნდა აღედგინათ, რაც მოხდა მათ დაბადებამდე? და თვითუღს უნდა მოაგონო, რომ ის წარმოსდგა ყოველივე წინანდელისგან, მაშასადამე, იცის კიდევ ეს წინანდელი, და ვკუთა აღარ ასწავლებინოს სხვებს, რომელთაც სხვა რამ იცინა? ✕

შესაძლებელია, რომ ყველა ამ ადამიანმა წარსული, რომელიც სინამდვილედ არასდროს ქცეულა, ზუსტად იცოდეს? შესაძლებელია, რომ სინამდვილესულაც არაფერს ნიშნავდეს მათთვის, მათი ცხოვრება მიდიოდეს და არაფერსაც არ ეხებოდეს, ვით საათის სვლა ცარიელ ოთახში?

შესაძლებელია.

და განა შეიძლება გოგონებზე არაფერი იცოდეს ვინმემ, რომლებიც, არადა, ხომ არსებობენ? შესაძლებელია, რომ ამბობდნენ: „ქალები“, „ბავშვები“ ანდა „ბიჭები“, და ვერ ხვდებოდნენ (განსწავლულობის მიუხედავად), რომ ასეთ სიტყვებს კარგა ხანია ზოგადობა არ გააჩნიათ და მარტოდენ აურაცხელ ცალკეულ წევრს წარმოადგენენ?

დიახ, შესაძლებელია.

შესაძლებელია, არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც, ღმერთით ამბობდნენ და ასე ეგონოთ, თითქოს ეს რაღაც საერთო იყოს? აი, ორი მოწაფე ბიჭი: დანას ყიდულობს ერთი თავისთვის და მეორეც ისეთსავე დანას ყიდულობს იმავე დღესვე და ერთმანეთს უჩვენებენ ერთი კვირის შემდეგ ამ დანებს: ოდნავლა წააგვანან დანები ერთურთს, ძლივს მიამსგავსებ — განსხვავებულად წარიმართა მათი ბედი სხვადასხვა ხელში. (ერთის დედა კი ამბობს: თქვენ ხომ ყველაფერი მაშინვე უნდა მოიდნოათ), ჰო, მაშ ასე:

შესაძლებელია გვჯეროდეს: რომ კაცს შეიძლება ღმერთი ჰყავდეს, მაგრამ არასოდეს მოიხმაროს და გამოიყენოს?

დიახ, შესაძლებელია.

და თუ ეს ყოველივე შესაძლებელია, თუ შესაძლებლობის ელფერი მაინც დაჰკრავს, მაშინ ხომ, ყველაფრის გულისათვის ამ ქვეყანაზე, რაღაცა უნდა მოხდეს ახლავე, და კაცი, ვისაც ამდაგვარი შემაშფოთებელი ფიქრები ეწვია, უნდა ადგეს და ამ დიდ ხარვეზთა ამოსავსებად წერას შეუდგეს, თუნდაც ის ვიღაც იყოს, ვიღაც შემთხვევითი ადამიანი, და არა ვინმე გამორჩეული: სულერთია, თუ ადგილზე სხვა არვინაა. და ამიტომ ეს ახალგაზრდა უბადრუკი უცხოელი ბრიგე ავა თავის მეხუთე სართულზე და შეუდგება წერას, დღისით და ღამით. ის ვალდებული იქნება წეროს. დიახ, ასე დასრულდება ეს ამბავი.

მაშინ თორმეტი ან დიდი-დიდი ცამეტი წლისა ვიქნებოდით. მამაჩემმა თან წამიყვანა ურნეკლოსტერში. არ ვიცი, რა მიზეზით, თავისი სიმამრის ნახვა გადაწყვიტა. კარგა ხანი იყო, არ ენახათ ერთმანეთი, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, და მამაჩემი ჯერაც არ იყო ნამყოფი იმ ძველ სასახლეში, სადაც გრაფი ბრაე მოგვიანებით გადასახლდა. ეს უცნაური სახლი, რომელსაც პაპაჩემის სიკვდილის შემდეგ სხვა დაეპატრონა, მერე აღარასდროს მინახავს. ჩემს ბავშვობის მოგონებებში კი ის მთლიან შენობად არც მეცხადება. ერთიანად დაშლილი და დანაწევრებულია ჩემში: აქ ერთი ოთახია, იქით — მეორე და სადაც ცალკე — დერეფნის ნაწილი, რომელიც ამ ოთახებს კი არ აერთებს, არამედ, თავისთავად, ფრაგმენტებით არის შემონახული. ამგვარად არის გაბნეული ჩემს ხსოვნაში ყველაფერი. ოთახები, ფართო კიბეები, ასე ზარ-ზეიმით ძირს დაშვებული, და სხვა ვიწრო და ხვეული კიბეები, რომელთა სიბნელეშიც ისე დადიოდა ადამიანი, როგორც სისხლი მიდის ძარღვებში. კოშკის სენაკები, ზემო სართულებზე დაკიდული აივნები და პირველი სართულის მოულოდნე-



ლი ვერანდები, სადაც პატარა კარით უნებურად ამოჰყოფდი თავს, თითქოს გარეთ გისროლესო. ყველაფერი ეს ისევ ჩემშია და სამუდამოდ ჩემში დარჩება. თითქოსდა სურათი ამ შენობისა თვალუწვდენელი სიმაღლიდან პირდაპირ ჩემი სულის სიღრმეში ჩამოვარდა და გადაიმსხვრა მის საძირკვედ.

მთლიანი სახით, მგონი, მხოლოდ ის დარბაზი შემომინახვს — შენსავე მუშაობაში, სადაც ვახშმად ვიკრიბებოდით შვიდ საათზე ყოველ საღამოს. ეს დარბაზი დღისით არასოდეს მინახავს, ვერც კი ვიხსენებ, ჰქონდა თუ არა ფანჯრები და ეს ფანჯრები სად გადიოდა. ყოველთვის, როცა კი იქ შევდიოდით, მძიმე შანდლებში სანთლები ენთო და ყველას მაშინვე ავიწყდებოდა დღის სინათლე, და ყველაფერი რაც გარეთ ენახათ. ეს მაღალი, როგორც მახსოვს, კამაროვანი დარბაზი ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი იყო. თავისი დაბინდულ სიმაღლით, თავისი კუთხეებით, ბოლომდე რომ არასოდეს არ ნათდებოდა, იგი იწოდდა თვითულისგან მთელ წარმოსახვას, დღისით მიღებულ შთაბეჭდილებებს და სანაცვლოდ აღარაფერს არ სთავაზობდა. აქ ყველა იჯდა მოღუნებული: უსურვილოდ, უნებისყოფოდ, ფიქრისა და წინააღმდეგობის გარეშე — თითქოს დარბაზის ბინდში განზავებულიყვნენ, და მათი ადგილები ცარიელი იყო. მაგონდება, რომ ამ გამანადგურებელმა მდგომარეობამ პირველად თითქმის გულისრევა დამმართა, რაღაც ზღვის ავადმყოფობის მსგავსი, რომელსაც მხოლოდ იმით ვძლევდი, რომ, ცალ ფეხს, რაც შემეძლო, ვჭიმავდი და ჩემ წინ მჯდომ მამაჩემის მუხლს ვეხებოდი ხოლმე. მოგვიანებითა მეცა თვალში, რომ მამაჩემს ეს უცნაური საქციელი, ეტყობოდა, ესმოდა ან ყოველ შემთხვევაში მოსათმენად მაინც მიაჩნდა, თუმცა ჩვენი მამაშვილობა მუდამ გულგრილობით იყო აღბეჭდილი, რის გამოც მისი შემწყნარებლობა ვერაფრით ამეხსნა. მე კი ეს ჩუმი შეხება ძალას მაძლევდა გულის შემალონებლად გაჭიანურებული სადილი ამეტანა. და რამდენიმე კვირის კრუნჩხვიანი მოთმინების შემდეგ, ბავშვის უსაზღვრო შემგუებლობის წყალობით ისე შევეჩვიე ამ ერთადყოფნის საშინელებას, რომ უკვე სრულიად დაუძაბავად შემეძლო ორი საათი ვმჯდარიყავი მაგიდასთან. ახლა დრო შედარებით სწრაფადაც კი გადიოდა, რადგან მე იმით ვიქცევდი თავს, რომ ყველა იქ მყოფს ვაკვირდებოდი. პაპაჩემი მათ ოჯახს უწოდებდა და სხვებიც ოჯახი, ოჯახიო, გაიძახოდნენ, რაც თავნებობა გახლდათ ჩემს თვალში და სხვა არაფერი, რადგან, ამ ოთხ პიროვნებას, თუმცა ისინი ერთმანეთს შორეულ ნათესავეებად ხვდებოდნენ, ერთმანეთთან ხომ მაინც არაფერი აკავშირებდა! ბიძაჩემი, ყოველთვის ჩემს გვერდით რომ იჯდა, ერთი მოხუცი კაცი გახლდათ, რომლის კუმტსა და გარუჯულ სახეზე რამდენიმე შავი ლაქა შეიმჩნეოდა, რაც, როგორც შემდეგ შევიტყვე, საფანტის აფეთქების შედეგად დარჩენოდა. ეს პირქუში და ბუზლუნა ადამიანი თავის მაიორობასაც ბუზლუნ-ბუზლუნით დამშვიდობებოდა და ახლა ალქიმიურ ცდებს ატარებდა სასახლის ერთ ჩემთვის უცნობ ოთახში და თან, როგორც მსახურთა ლაპარაკიდან დავადგინე, ერთ-ერთ ციხესთანაც ჰქონდა კავშირი, საიდანაც წელიწადში ერთი-ორჯერ გვამებს იღებდა. ამ გვამებთან დღედაღამ იყო ჩაკეტილი, მათ ჰკვეთდა და რაღაც საიდუმლო ხერხებით იმგვარად ამუშავებდა, რომ ხრწნას უძლებდნენ. მის პირისპირ ფროილან მატლდე ბრავს ადგილი იყო. ეს გაურკვეველი ასაკის პიროვნება დედაჩემის შორეული ბიძაშვილი გახლდათ. ამ ქალის შესახებ სხვა არა უწყოდნენ, გარდა იმისა, რომ ცხოველი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ერთ-ერთ ავსტრიელ სპირიტისტთან, თავის თავს თურმე ბატონ ნოლდედ რომ იხსენიებდა, და ფროილან

ბრავ ამ კაცს ისე მინდობოდა და ისეთ ერთგულებას უმკლავებდა, რომ ერთ ნაბიჯსაც კი არა დგამდა მისი დასტურის, ანდა სულაც, რაღაც კუთხეებისდაგვარის გარეშე. იმ ხანად ის განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ატოვებდა: მისი რბილი და მდორე სისავსე დაუდევრად იყო ჩაღვრილი, რაღაც ნათელ კაბებში. მოძრაობანი მოღლილი ჰქონდა, გაურკვეველნი და მკვრივი ნაწილები გაუწყვეტლივ ეცრემლებოდა. და მაინც რაღაც იყო ამ ქალში, რაც მე ჩემს ნაზსა და ტანკენარ დედას მაგონებდა. რაც უფრო დიდხანს ვუშვრდი, მით უფრო ცხადლივ ვხედავდი მის სახეში ყველა იმ ნატიფ და უჩუპარ ნაკვთებს, ბოლომდე რომ ველარაფრით გამეხსენებინა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. და აი ახლა, რაც დღენიადავ ვუცქერდი მათილდე ბრავს, ისევ ვიცოდი, როგორი იყო გარდაცვლილი. დიახ, ვიცოდი, ცხოვრებაში ალბათ პირველად. პირველად მხოლოდ მაშინ შეიკრა უთვალავი დეტალისაგან გარდაცვლილის ხატი ჩემს სულში, ხატი, რომელიც ყველგან თან მახლავს. მოგვიანებით ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ფროილან ბრავს მართლაც დედაჩემისნაირი სახის ნაკვთები ჰქონდა, — მაგრამ იმგვარად, თითქოს მათში სხვა, უცხო სახე ჩამდგარიყო, და ეს ნაკვთები ერთმანეთისაგან გამიჯნულიყვნენ, გაზიდულიყვნენ და ერთმანეთთან კავშირი დაეკარგათ.

ამ ბანოვანის გვერდით ერთი ჩემი დეიდაშვილის შვილი იჯდა, პატარა, თითქმის ჩემი ასაკის ბიჭი, მაგრამ ტანით უფრო ჩია და სუსტი. ნაოჭებში-ყრილი ეაბოდან მისი ვალეული და ფერგაცრეცილი ყელი ამოზიდულიყო და მოგრძო ნიკაპქვეშ ქრებოდა. ტუჩები თხელი ჰქონდა და მტკიცედ მოკუმული, ნესტოები ოდნავ უთრთოდა და მისი მშვენიერი მუჭი თვალებიდან მხოლოდ ერთი თვალი მოძრაობდა. ეს თვალი ზოგჯერ მშვიდად და ნაღვლიანად გამოცქეროდა, მაშინ, როდესაც მეორე მუდამ ერთ კუთხეში იყო მიმართული, თითქოს იქ გაეყიდათ და ახლა სათვალავში აღარ აგდებდნენ.

მაგიდის თავში პაპაჩემის უზარმაზარი სავარძელი იდგა, რომელსაც მსახური, სხვა რომ არაფერი ევალეზობდა, მაგიდას უდგამდა. ზოგიერთები ამ ოდნავ ყრუსა და მბრძანებლურ მოხუც თავადს, სავარძელში ერთი ბეწო ადგილი რომ ეჭირა, მის აღმატებულებასა და პოფმარშალს უწოდებდნენ, სხვანი კი გენერალს. და რა თქმა უნდა, პაპაჩემს მართლა ჰქონდა ყველა ეს წოდება, მაგრამ მას შემდეგ იმდენ წყალს ჩაევლო, რომ ამდაგვარი მიმართვები უკვე გაუგებარი ხდებოდა. მე კი საერთოდ მეჩვენებოდა, რომ ამ დროდადრო ასე მკვეთრ, თუმცა საერთოდ დიფუზიურ პიროვნებაში არც ერთ განსაზღვრულ სახელს არ შეეძლო ფეხის მოკიდება. მისთვის პაპის დაძახება ვერ გამებედა, თუმცა ის ზოგჯერ მეგობრულად მეკიდებოდა, თავისთანაც მიხმობდა ხოლმე და თან ცდილობდა ჩემი სახელი ხუმრობის კილოთი წარმოეთქვა. საერთოდ, მთელი ოჯახის დამოკიდებულება ამ კაცისადმი მოწიწებითა და რიდით იყო აღბეჭდილი. მხოლოდ პატარა ერიკს აკავშირებდა რაღაც ნდობით აღსავსე მეგობრობა სასახლის ხანდაზმულ ბატონ-პატრონთან. მისი მოძრავი თვალი დროდადრო გრავს შეთანხმებულ მზერას ესროდა და მას უმაღვე ეგებებოდა მოხუცის მზერაც. იმის დანახვაც შეიძლებოდა, როგორ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ნაშუადღევს გრძელი ვალერეის ბოლოში და ხელიხელჩაკიდებულნი როგორ მისდევდნენ კედლის ძველთაძველ და მუქ ნახატებს; უსიტყვოდ, ჩანს, რაღაც სხვა გზით ერთმანეთთან მოსაუბრენი.

თითქმის მთელი დღე გარეთ ვიყავი: პარკში, ტყეში ანდა მინდორზე. თანაც, ჩემდა საბედნიეროდ, ურნეკლოსტერში ძაღლებიც იყვნენ, ნიადავ გვერ-

დით რომ დამყვებოდნენ. აქა-იქ მოიჯარეთა სახლები იდგა და რძის ფერმები, სადაც რძეს, პურსა და ხილს მთავაზობდნენ. მგონი, ჩემი თავისუფლებით საკმაოდ უზრუნველად ვტკბებოდი და აღარც შიშნეულ ფიქრებს ვეძლეოდი. სალამოს შეხვედრების გამო, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. თეთქმის ვლადის ვესიტყვებოდო, რადგან სიხარულს მანიჭებდა ეს მარტობა. ზოგჯერ ვლადის თუ გავუბამდი მოკლე საუბარს. შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს. დუმილი, სხვათა შორის, ჩვენი საერთო ოჯახური თვისება გახლდათ. მას ჯერ კიდევ მამაჩემისგან ვიცნობდი კარგად და არ მიკვირდა, რომ მაგიდასთან თითქმის არავინ იღებდა ხმას.

თუმცა ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეებში მათილდე ბრავ უაღრესად სიტყვამრავლობდა. ის ეკითხებოდა მამაჩემს საზღვარგარეთის ქალაქების ძველ ნაცნობებზე, იგონებდა ძალზე შორეულ შთაბეჭდილებებს და შემდეგ თვითონვე უჩუყდებოდა გული და ლამის ეტირა, როცა გარდაცვლილ მეგობარ ქალებს იხსენებდა და ვილაც ყმაწვილს, რომელსაც, როგორც თავად მიგვანიშნა, ქალბატონი ბრავ ჰყვარებოდა; მაგრამ ვაჟის დაჟინებულ და უსასოო ლტოლვისათვის მას თურმე არ ეთანაგრძნო. მამაჩემი თავაზიანად უსმენდა, დასტურის ნიშნად ზოგჯერ თავს ხშირად და მხოლოდ მაშინ პასუხობდა, როცა აუცილებელი იყო, ხოლო გრაფი, მაგიდის თავში, განუწყვეტლივ იღიმებოდა თავისი ზემოთ აჭიმული ტუჩებით. ამ დროს მისი სახე ჩვეულებრივზე დიდი მოსჩანდა, თითქოს ბერიკაცი ნილაბს ატარებსო. ზოგჯერ თავადაც ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ხმა არავისკენ არ იყო მიმართული, და თუმცა ძალზე ჩუმად ეღერდა. მთელს დარბაზში ისმოდა მაინც. მას ჰქონდა რაღაც, საათის თანაბარი და გულგრილი სვლისა. თითქოსდა ამ ხმის გარემომცველ სიჩუმეს თავისი საკუთარი, ცარიელი რეზონანსი გააჩნდა, ერთი და იგივე ყოველი მარცვლისთვის.

გრაფი ბრავ განსაკუთრებით საჭირო თავაზიანობად მიიჩნევდა, მამაჩემთან მის გარდაცვლილ მეუღლეზე, დედაჩემზე ელაპარაკა. იგი დედაჩემს გრაფინია სიბილას უწოდებდა და ყველა მისი წინადადება ისე მთავრდებოდა, თითქოს მოხუცი კითხულობდა, სად არისო. დიახ, თავად არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაშინ მეჩვენებოდა, რომ პატარა და თეთრკაბიან გოგონაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოსულიყო. და მე ვუსმენდი მოხუც თავადს — ამავე ტონით მომუსაიდეს „ჩვენს პატარა ანა-სოფიზე“. და როცა ერთხელ ვიკითხე, თუ ვინ იყო ეს ქალიშვილი, რომელიც, პაპას განსაკუთრებით უნდა ჰყვარებოდა, გავიგე, რომ ის გროსკანცლერ კონრად რევენტოლოვის ასულს გულისხმობდა, ოდესღაც ფრიდრიჰ მეათხის<sup>1</sup> მორგანატულ მეუღლეს, რომელიც აგერ უკვე საუკუნუნახევარი იყო როსკილლეში<sup>2</sup> განისვენებდა. დროითი თანმიმდევრობა მისთვის არაფერს ნიშნავდა, სიკვდილი — უმნიშვნელო შემთხვევად მიაჩნდა და ერთიანად უგულველჰყოფდა. პიროვნებები, ვინც კი ერთხელ მეხსიერებაში აღებუჭდა, სულ იქ არსებობდნენ და მათი სიკვდილი იოტისოდენა ცვლილებასაც კი ვერ იწვევდა. მოხუცის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჰყვებოდნენ, რომ მომავალსაც ასე ჭიუტად აღიქვამდა ის თურმე აწმყოდ. ამბობდნენ, რომ თურმე თავადი

<sup>1</sup> ფრიდრიჰ IV — დანიის მეფე (1699—1730).

<sup>2</sup> როსკილლე — XIII საუკუნის ტაძარი, სადაც მდებარეობს დანიის სამეფო გვარის აკლდამა

საქ. სამ. კ. შარქაძის  
საბ. სამ. რეესპუბ.  
ბიბლიოთეკა

ერთხელ ხანგრძლივად ესაუბრა ერთ ახალგაზრდა ქალს, ამ ქალის ვაჟებზე, განსაკუთრებით ერთ-ერთის შორეულ შოგზაურობაზე, ისე რომ ნორჩი ქალბატონი, რომელიც თავისი პირველი ფეხმძიმობის მესამე თვეში გადაამდგარიყო, საშინელებისაგან გონდაკარგული იჯდა გაუთავებლად მომასწავლებლის გვერდით.

მაგრამ ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ვიცინოდი. დიახ, მე ხმამალა ვიცინოდი და ვერაფრით ვერ ვჩერდებოდი. საქმე ის გახლდათ, რომ ერთ საღამოს მათილდე ბრავ გვაკლდა ვახშამზე. მოხუცი, თითქმის სრულიად დაბრმავებული მსახური კი მის ცარიელ სკამთან რომ მივიდა, წელში მოიხარა, ლანგარი გაიწოდა, ერთ წამს ასე გაშეშდა და შემდეგ თითქოს ყველაფერი წესრიგშიაო კმაყოფილმა ღირსეულად განაგრძო გზა. ეს სცენა პირველად სასაცილოდ სულ არ მომჩვენებია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლუკმა უკვე პირში მქონდა, სიცილი ისეთი სისწრაფით ამივარდა თავში, რომ ლუკმა ყელში გამეჩხირა და უსაშველო ხველა და ფხუკუნი ამიტყდა. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა ჩემთვისაც უხერხული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა სერიოზული სახე მიმელო, სიცილს ვერაფრით ვიკავებდი და მთელი საზოგადოება მე მომჩერებოდა.

მამაჩემმა, ჩემი საქციელი რომ დაეფარა, თავისი ძლიერი და დახშული ხმით იკითხა: „მატილდე ავად არის?“ პაპაჩემმა თავისებურად გაიღიმა და უპასუხა ერთი წინადადებით, რომელსაც, იმ წუთას, რაკი საკუთარი თავი გამჭირებოდა, ყურადღება არ მივაქციე და რომელიც დაახლოებით ასე უღერდა — „არა, მაგრამ მას არ სურს ქრისტიანესთან შეხვედრა“. არც ის ჩამითვლია ამ სიტყვების ზემოქმედებად, რომ ჩემი მეზობელი, შავგვრემანი მაიორი უცბად წამოდგა, რაღაც მობოდიშებასავით ჩაიბურღლუნა, გრავს თავი დაუკრა და დარბაზი დასტოვა. მხოლოდ ის მეცა თვალში, რომ თავადის ზურგს უკან, კარში ერთხელ კიდევ შემოტრიალდა და პატარა ერიკს და, ჩემდა უსაზღვროდ გასაოცრად, აგრეთვე მეც, რაღაცის მინიშნება და ხელის ქნევა დაგვიწყო, თითქოსდა ჩვენც გარეთ გვიხმობდა. ისე განვცვიფრდი, რომ სიცილი დამეხსნა. ისე კი მაიორისთვის ამ წუთიდან არავითარი ყურადღება აღარ მიმიქცევია, ეს კაცი არ მსიამოვნებდა და ისიც შევნიშნე, რომ არც პატარა ერიკს ჩაუგდია აინუნში.

სადილი, როგორც ყოველთვის, ნელა მიიზღაზნებოდა და ის- ის იყო დესერტზე გადავედით, რომ ჩემი მზერა ერთმა მოძრაობამ მიიპყრო და გაიყოლა, მოძრაობამ, რომელიც დარბაზის ნახევრად ბნელ სიღრმეში შევნიშნე. იქ ერთი, როგორც მეგონა, ყოველთვის ჩარაზული კარი, რომელზეც მითხრეს, შუა სასახლეში გადისო, ნელ-ნელა გაიღო და მე, ცნობისწადილისა და გაოგნების რაღაც უცნობი განცდით შეპყრობილმა, დავინახე, როგორ გამოვიდა სიბნელიდან თეთრებში ჩაცმული კენარი ქალი და ჩვენსკენ როგორ გამოემართა. არ ვიცი, რაიმე მოძრაობა წამცდა თუ რაღაც ხმა აღმომხნდა, გადაბრუნებული სკამის ხმაურმა მაიძულა, ამ საოცარი აჩრდილისთვის თვალი მომეწყვიტა და მე დავინახე მამაჩემი, რომელიც წამომბტარიყო და ცხედარივით გაფითრებულიყო, ჩამოშვებული, მომუშტული ხელებით ქალისაკენ მიდიოდა. ის კი, სრულიად აუღელვებლად მოიწევდა, ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. უკვე ახლოს იყო გრაფის სავარძელთან, როცა უკანასკნელი წამოხტა, მამაჩემს ხელში ხეული სტაცა, მაგიდასთან დააბრუნა და მტკიცედ შეაჩერა. ამასობაში უცნობმა ქალმა ნელა და უშფოთველად, ნაბიჯ-ნაბიჯ განვლო განთავისუფლებული აღ-

გილი, ენით აუწერელ სიჩუმეში, სადაც მხოლოდ ანათრთოლი ჭიქა წყრიალე-  
 ზდა და მოპირდაპირე კედელში დატანებულ კართან გაუჩინარდა. ამ დროს  
 შევნიშნე, რომ ეს პატარა ერიკი იყო, ვინც უცნაურად წელშიმობრლიდა კარი  
 ნიხურა ქალის ზურგს უკან.

მე ერთადერთი დავრჩი მაგიდასთან. ისე ჩავმძიმდი ჩემს მავარებელში, ასე  
 მეგონა, დაუხმარებლად ვედარასდროს წამოვდგებოდი. ერთ ხანს ისე ვიყურე-  
 ბოდი, ვერაფერს ვხედავდი, შემდეგ მამაჩემი გამახსენდა და შევნიშნე, რომ  
 ააპაჩემს ისევ მაგრად ეჭირა ხელით. მამას სახეზე მრისხანება ეხატა და სის-  
 ხლი მოსწოლოდა. პაპაჩემი კი, ვისი თითებიც თეთრი ბრჭყალებივით შემოსა-  
 ლტოდა მამაჩემის მკლავს, ისევ თავისი ნიღბის ღიმილით იღიმებოდა. "შემდეგ  
 გავიგონე, რომ რაღაცა თქვა, დამარცვლით, თუმცა ნათქვამის აზრს მაშინ ვერ  
 მივხვდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ღრმად ჩამივარდა ეს სიტყვები სმენის წიაღ-  
 ში, რადგანაც ორიოდ წლის შემდეგ, ჩემი ხსოვნის ფსკერზე ვიპოვე და მას  
 შემდეგ ვიცი ისინი. მან თქვა: „ფიცხი ხარ კამერპერო, და უზრდელი. რად  
 უშლი ხალხს, თავისი საქმე აკეთოს?“. „ვინ არის ის ქალი?“ — დაიყვირა მა-  
 მაჩემმა. „ის, ვისაც, დიახაც, უფლება აქვს, აქ, ჩვენთან იყოს. არავინ უცხო.  
 ქრისტიანე ბრაე!“ — და უცნაურად სიფრიფანა სიჩუმე ჩამოწვა ისევ და ჭიქა-  
 მაც ისევ დაიწყო თრთოლვა. შემდეგ კი, ანაზღეულად მამაჩემი მკვეთრი მო-  
 ცრაობით წამოიჭრა და დარბაზიდან გავარდა.

მთელი ღამე მესმოდა, როგორ სცემდა ბოლთას თავის ოთახში, რადგან  
 არც მე მეძინა. მაგრამ უეცრივ გამთენიისას ძილბურანიდან გამოვერკვიე და  
 წიშით მთლიანად მოდუნებულმა დავინახე, რომ რაღაც თეთრი ჩემს საწოლზე  
 ჩამომჯდარიყო. სასოწარკვეთამ ძალა მომცა, თავი საბანში ჩამემალა. იქ კი  
 შიშისა და უმწეობისაგან ტირილი დავიწყე. მაგრამ უეცრივ რაღაც სიგრილე  
 და სინათლე ვიგრძენი ჩემს ცრემლიან ქუთუთოებზე. მე თვალები რაც შემე-  
 ძლო მაგრად მოვხუჭე, ცრემლებიც შიგ გამოვიმწყვდიე, რათა არაფერი და-  
 მენახა, მაგრამ ხმა, სულ ახლოდან რომ შემესიტყვა, მდორედ და ტკბილად  
 მეფინებოდა სახეზე და მე ვიცანი: ეს ფროილანინ მათილდეს ხმა გახლდათ.  
 წამსვე დავწყნარდი; მაგრამ თავს მაინც დიდხანს ვამშვიდებინებდი. თუმცა კი  
 ვგრძნობდი, ეს გულისხმიერება მეტიმეტად რბილი რომ იყო და უნიათო, მა-  
 გრამ მაინც ვტკბებოდი იმით და რაღაცნაირად დამსახურებულადაც ვთვლიდი.

„დეიდა“, — მივმართე ბოლოს, და შევეცადე მის გაღვრილ სახეში დედა-  
 ჩემის ნაკვთები შემეკრიბა; — „დეიდა, ვინ იყო ის ქალი?“ „ოჰ, — ფროილანინ  
 ბრაემ ისე ამოიოხრა, რომ მაშინ სასაცილოდ მომეჩვენა, — ერთი უბედური,  
 ჩემო ბიჭუნა, ერთი უბედური“.

ღილით ერთ ოთახში მოფუსფუსე მსახურნი შევნიშნე, ბარგს რომ ფუთა-  
 ედნენ. გავიფიქრე, მივემგზავრებით-მეთქი, რაც სრულიად ბუნებრივად მომე-  
 ჩვენა. შეიძლება ეს მამაჩემის სურვილი იყო, მაგრამ ვერასოდეს გავიგე, რამ  
 აიძულა, იმ საღამოს შემდეგ კიდევ დარჩენილიყო ურნეკლოსტერში: არ გა-  
 ვემგზავრეთ. კიდევ რვა-ცხრა კვირას დავყავით ამ სახლში, მორჩილად ვით-  
 რგუნებოდით მისი უცნაურობებით და ქრისტიანე ბრაეც კიდევ სამჯერ ვიხი-  
 ლეთ.

მე არაფერი ვიცოდი მაშინ ამ ქალის შესახებ. არ ვიცოდი, რომ ქრისტი-  
 ნე ბრაე, დიდი ხნის წინათ თავის მეორე მშობიარობას გადაჰყოლოდა  
 და დაეტოვებინა ბიჭი, რომელიც იზრდებოდა და შემადრწუნებელ ბედისწე-  
 რას უახლოვდებოდა. მე არ ვიცოდი, რომ ის გარდაცვლილი იყო. მამაჩემმა

კი იცოდა და ნუთუ ამ მღელვარე, თანმიმდევრობისა და სიცხადისაკენ მიდრეკილ ადამიანს სურდა თავი აეძულებინა, რათა თავდაჭერიო და კითხვების გარეშე გაეძლო ამ თავგადასავლისთვის? და მე ვხედავდი, თუმცა არ მესმოდა, როგორ ებრძოდა ის თავის თავს და ისიც ვიგრძენი, თუმცა ჩემს ხსოვნადი, რომ სძლია ბოლოს.

ეს მოხდა მაშინ, უკანასკნელად როცა ვნახეთ ქრისტინე ბრაე. ამჯერად ფროილიან მათილდეც იჯდა სუფრასთან, მაგრამ სრულიად სხვაგვარი იყო, ისევე, როგორც ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეებში, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, და თან ყოველად არათანმიმდევრულად, ნიადაგ იბნეოდა და რაღაცა ფიზიკური მოუსვენრობაც ემჩნეოდა, რაც აიძულებდა, განუწყვეტლივ ხან თმა, ხან კაბა ესწორებინა, ვიდრე მოულოდნელად ხმამაღლა და მოთქმით არ წამოიკივლა და სავარძლიდან ზეწამოჭრილი არ გაუჩინარდა: იმავე წუთს ჩემდაუნებურად იმ საიდუმლო კარისაკენ მივმართე მზერა და მართლაც, შემოვიდა ქრისტინე ბრაე. ჩემს გვერდით მჯდომ მაიორს რაღაც მკვეთრი და მოკლე მოძრაობა წასცდა, ჩემს სხეულში რომ გადმოიზარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალა აღარ ეყო სავარძლიდან წამოსადგომად. თავის ყავისფერ, ბებერ, დალაქულ პირისახეს ხან ერთ ჩვენგანს მოაპყრობდა, ხან მეორეს. პირი დაეღო და მისი ენა წამხდარი კბილების უკან მიმალულიყო. შემდეგ ერთბაშად ეს სახე გაქრა და მაგიდაზე მისი ჭალარა თავი აღმოჩნდა. მკლავები თითქოს დამსხვრეოდა და ნატეხებად ეყარა — თავზე და თავქვეშ და საიდანღაც მოჩანდა მისი დამჭკნარი და დალაქული ხელის მტევანი და ცახცახებდა.

და აი, ქრისტინე ბრაემ გვერდით ჩაიარა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სწეულივით ნება-ნება, ენით აუწერელ სიჩუმეში, რომელსაც ერთადერთი, თითქოსდა ძალის მიერ გამოცემული ღრჭიალა ბგერა არღვევდა მხოლოდ. და მაშინ, მარცხიდან, სადაც ვერცხლის ვეება, ნარგიზებით ავსებული გედი იდგა, გადმოიწია მოხუცის ნაცრისფერ ღიმილიანი დიდი ნიღაბი. მან თავისი ღვინის ჭიქა ასწია და მამაჩემისკენ გამოიწოდა. და მე დავინახე, რომ მამაჩემი, სწორედ მაშინ, როცა ქრისტინე ბრაემ სავარძლის უკან ჩაუარა, სწვდა თავის ჭიქას და როგორც რაღაცა ძალიან მძიმე, ისე აიღო მაგიდიდან. იმავე ღამით ჩვენ გავემგზავრეთ.

#### ეროვნული აივლიოთაა

ვზივარ და ერთ პოეტს ვკითხულობ. დარბაზში ბევრი ზალხია. მაგრამ არ იგრძნობა; ყველანი წიგნებში ჩაფლულან, დროდადრო ფურცელსა და ფურცელს შორის ამოძრავდებიან, მძინარე ადამიანებივით, გვერდს რომ იცვლიან ორ სიზმარს შორის. (ეჰ, რა კარგია მკითხველთა შორის ყოფნა! რატომ არ არიან ადამიანები მუდამ ასეთნი? შეგიძლია რომელიმესთან მიხვიდე და წყნარად შეეხო: ვერც კი იგრძნობს. და თუ ადგომისას შენს მეზობელს ოდნავ მხარს გაჰკრავ და მოუბოდიშებ, ის თავს დაიქნევს იმ მხარეს, საიდანაც შენი ხმა ესმის, მისი სახე შენსკენ ბრუნდება და ვერ კი გხედავს. და თმაც ისეთი აქვს, როგორც მძინარე ადამიანს. რა სიამოვნების მომგვრელია ეს ყოველივე.) და მე ვზივარ და მყავს პოეტი, ჩემი პოეტი. სწორედ რომ ბედია. ახლა დარბაზში სამასი კაცი მაინც ზის და კითხულობს. მაგრამ შეუძლებელია, თვითთულს სათითაო პოეტი ჰყავდეს (ღმერთმა უწყის ვინა ჰყავთ და ვის კითხულობენ). სამასი პოეტი არც არსებობს. მაგრამ შეხე, რა იღბალია, რომ მე, ვინ იცის, ალბათ ყველაზე უბადრუკს ამ მკითხველთაგან, ვიღაც უცხოელს, — მე მყავს

პოეტი, თუმცა ლარიბი ვარ, თუმცა ჩემი კოსტიუმი, გაუხდელად ზედ რომ მა-  
ცვია, ალაგ-ალაგ უკვე გაწყალდა და არც ჩემს ფეხსაცმელებს გაუდის ბზინვა.  
სამაგიეროდ, საყელო მაქვს ქათქათა, პერანგიც, და მე შემოდლია ასე, როგორც  
ვარ, ყველა საშაქარლამოში შევიდე, თუნდაც ბულვარზე, ხელით მშველად  
შევეხო ნამცხვრების სინს და რაიმე ავიღო. თვალში არავის არაფერი ხსენებ  
მოდა, არ დამტუქსავდა და გარეთ არ მიმამბრძანებდა. რადგან ასე თუ ისე, ეს  
მაინც თავადური ხელია, დღეში ოთხჯერ თუ ხუთჯერ რომ იბანენ. დიახ, ფრჩხი-  
ლებქვეშ ჭუჭყს ვერ შეამჩნევთ, არც სალოკი თითია მელნით დასვრილი და  
განსაკუთრებით კი მაჯებია უზადო. ლარიბები აქამდე არ იბანენ ხელებს. ცნო-  
ბილი ფაქტია. ასე რომ, მაჯების სისუფთავით გარკვეული დასკვნის გამო-  
ტანა შეიძლება. გამოაქვთ კიდევ. მაღაზიებში გამოაქვთ დასკვნა. მაგრამ ისე-  
თი სუბიექტებიც არსებობენ, წმინდა მიშელის ბულვარზე, მაგალითად, ანდა  
რასინის ქუჩაზე, თავს რომ არავის გააცურებინებენ. მათ ფეხებზე ჰკიდიათ  
სუფთა მაჯები, შემომხედავენ და უკვე იციან. იციან, რომ სინამდვილეში მა-  
თი წრისა ვარ. რომ პატარა კომედიას ვთამაშობ მხოლოდ. ახლა ხომ ყველიე-  
რია და მათაც არ უნდათ, თამაში ჩამიშალონ. მხოლოდ ჩაიქირქილებენ და  
თვალს ჩამიკრავენ და ვერაფერს ვერაფერს ამჩნევენ. სხვა მხრივ კი როგორც თა-  
ვადს, ისე მეპყრობიან. მეტადრე თუკი ვინმეა იქვე; მაშინ ხომ სულ მსახურე-  
ბით ირჩებიან. თავი ისე უჭირავთ, თითქოს ქურჭი მეცვას და უკან საკუთა-  
რი ავტო მომდევდეს. ხანდახან მათ ორ სუს ვაძლევ და შიშით ვკანკალებ, უა-  
რი არ მითხრან-მეთქი. მაგრამ ისინი ფულს მართმევენ. და ყველაფერი რიგ-  
ზე იქნებოდა, ეს ჩაცინება რომ არა და ეს თვალის ჩაკვრა. ვინ არის ეს ხალხი  
საერთოდ? რა უნდათ ჩემგან? მე მელოდებიან? რითი მცნობენ? მართალია,  
ჩემი წვერი ცოტა მოუვლელად გამოიყურება და ოდნავ, სულ ოდნავ, მათ ავ-  
ადმყოფურ, ბებერ, გახუნებულ წვერებს წააგავს, მუდამ რომ შთაბეჭდილებას  
ახდენდა ჩემზე, მაგრამ განა არა მაქვს იმის უფლება, რომ დაუდევრად მო-  
ვექცე ჩემს წვერს? ბებერი მოუცლელი კაცი იქცევა ასე და ხომ არავის მოუვა  
თავში, ამის გამო ის ცხოვრებიდან გაძევებულთ მიაკუთვნოს? რადგან სრუ-  
ლიად ცხადია ჩემთვის, რომ ესენი გაძევებულნი არიან და არა მხოლოდ მა-  
თხოვარნი. არა, ესენი, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არიან მათხოვრები. გან-  
სხვავება უნდა შეგეძლოს. ესენი ადამიანთა ნაცარტუტა და ნარჩენებია, ბედ-  
მა რომ ზიზლით გადმოაფურთხა. ბედისწერის მათრახქვეშ გაოფლილნი, ისი-  
ნი ეკვრიან კედელს, ლამპიონისა თუ რეკლამის ბოძს ანდა ქუჩაში თავქვე მი-  
ედინებიან და ჭუჭყიანსა და ბნელ კვალს სტოვებენ.

ღვთის გულისათვის, რა სურდა იმ დედაბერს ჩემგან, ხან აქ და ხან იქ  
თითქოსდა ხვრელიდან რომ ამოძვრებოდა ხოლმე და თან ტუმბოს უჯრას და-  
ათრევდა, სადაც თითო-ოროლა ღილი და ნემსი დაუგორავდა. რისთვის მომ-  
დევდა მუდამ გვერდზე და მაკვირდებოდა? თითქოსდა სურდა, ამოვეცანი, ისე-  
მომშტერებოდა თავისი წყლიანი თვალეებით, თვალეებით, რომელთა დაწყლუ-  
ლებულ ქუთუთოებს შორის თითქოსდა ვიღაც სნეულს მწვანე ნერწყვი შეე-  
ფურთხებინა. როგორ მივიდა ეს პატარა და ნაცრისფერი ქალი იქამდე, რომ  
ერთ-ერთი ვიტრინის წინ მთელი თხუთმეტი წუთი ჩემს გვერდით იდგა და  
თან ძველსა და გრძელ ფანქარს მიჩვენებდა, უსასრულოდ ნელა რომ იწევდა  
მისი სახიჩარი და მომუშტული ხელებიდან? მე თავი ისე მეჭირა, თითქოს გა-  
მოფენილ საგნებს ვათვალთვლებდი და სხვას არას ვამჩნევდი. მან კი იცოდა,  
რომ დავინახე ყველაფერი, მან იცოდა, რომ ვიდექი და ვფიქრობდი ახლა, თუ

რას სჩადიოდა დედაბერი ბოლოს და ბოლოს. რადგან ფანქარი რომ არათერ  
 ლეა იყო, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი: ეიგო, ეს იყო ნიშანი, ნი-  
 შანი თახამაზრესათვის, ნიშანი, უმაღლესი რომ სცნობენ გაძევებულნი მივხვდი,  
 იგი მანიშნებდა, სადაც მივსულიყავი და რაღაც გამეკეთებინა ყველაზე სა-  
 კვირველი კი ის გახლდათ, რომ ვერ მომეშორებინა განცდა: თითქოს ჩვენს შო-  
 რის მართლაც არსებობდა რაღაც გარკვეული შეთანხმება, რომელსაც ეს ნი-  
 შანი გამოხატავდა და მთელი ეს სცენა ისეთ რამეს წარმოადგენდა, რასაც არ-  
 სებითად ველოდი კიდევ.

ეს ორი კვირის წინათ მოხდა. მაგრამ ახლაც დღე არ გავა, რომ ასეთ  
 ხალხს არ გადავეყარო. უეცრად ვინმე პატარა კაცი ან დედაბერი გამოჩნდება  
 და თავს მიქნევს მუნჯად, ანდა რაღაც საგანს მიჩვენებს და ისევ ქრება, თით-  
 ქოს რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთაო და ეს მხოლოდ შუადღის ზომში-  
 მით ჩამობინდულ ქუჩაში კი არ მოხდება, არა, ისიც დასაშვებია, რომ ერთ  
 მშვენიერ დღეს აზრად მოუვათ და ჩემსავე სახლში მომადგებიან. მათ ხომ ნამ-  
 დვილად ეცოდინებათ, სადაც ვცხოვრობ და იმასაც მშვენივრად მოახერხებენ,  
 რომ შეკარემ არც გააჩეროს. მაგრამ აქ, ჩემო ძვირფასებო, აქ კი თქვენგან არ-  
 ავითარი საფრთხე არ მელის. საგანგებო საშვი უნდა წარმოადგინოთ, იმისათ-  
 ვის, რომ შენობაში შემოალწიოთ. ამ საშვით კი მე თქვენ ვჯობივართ. თით-  
 ქოსდა ოღნავ შიშნეულად გავივლი ქუჩას, როგორც შეიძლება კაცს მოეჩვენ-  
 ნოს, მაგრამ ბოლოს მივადგები ამ მინის კარს, შევალე, ისე, თითქოს შინ ვი-  
 ყო, უახლოეს შესასვლელში ვაჩვენებ ჩემს საშვს. (ზუსტად ისევე, თქვენ რომ  
 მიჩვენებთ ხოლმე თქვენს ნივთებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ მაშინ-  
 ვე ესმით ჩემი და ხვდებიან, თუ რას ვგულისხმობ) — და შემდეგ უკვე წიგ-  
 ნებს შორის ვარ, თქვენგან მოწყვეტილი, ვითარცა მკვდარი და ვზივარ და  
 ვკითხულობ ერთ პოეტს.

არ იცით, რას ნიშნავს პოეტი? — ვერლენი.. არა? არ გახსენდებათ? არა.  
 არ გამოგარჩევიათ იმ ხალხისაგან, ვისაც თქვენ იცნობთ? თქვენ არ ასხვავებთ,  
 საერთოდ, ვიცი. მაგრამ ეს სულ სხვა პოეტია<sup>1</sup>, ვისაც ვკითხულობ. მას პარიზ-  
 ში არ უცხოვრია, სულ სხვაა იგი. ეს არის კაცი, ვისაც მთებში მყუდრო სახ-  
 ლი აქვს. სახლი, რომელიც ზარივით რეკს სუფთა ჰაერში. ბედნიერი პოეტი,  
 თავის ფანჯრებზე რომ მოგვიტანს და წიგნის კარადის შემინულ კარზე, სა-  
 ვვარელსა და მარტოსულ სივრცეს რომ ირეკლავს ჩაფიქრებული. სწორედ ისე-  
 თი პოეტია, როგორც მე მსურდა გავმხდარიყავი. რადგან მან ასე ბევრი რამ  
 იცის გოგონებზე და მეც ბევრი რამ მეცოდინებოდა მათზე. მან იცის იმ გო-  
 გონათა ამბავი, მთელი ასი წლის წინ რომ ცხოვრობდნენ. არავითარი მნიშ-  
 ენელობა აღარა აქვს, რომ ახლა ისინი მკვდრები არიან, რადგან მან იცის ყვე-  
 ლაფერი და მთავარი სწორედ ეს არის. პოეტი გამოთქვამს მათ სახელებს, ამ  
 ჩუმსა და ნატიფად გამოყვანილ სახელებს მოგრძო ასოების ძველმოდური ჩუ-  
 ქურთმებით და მოზრდილ სახელებს მათი უფროსი დობილებისა, სადაც ცო-  
 ტა ბედისწერა უკვე გაისმის, მცირეოდენი გულგატეხა და სიახლოვე სიკვდი-  
 ლისა. ვინ იცის, ეგებ მისი წითელი ხის მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში ამ გოგო-  
 ნათა გაცრეცილი წერილები ძევს და დღიურების ამოცვენილი ფურცლები, სა-  
 დაც დაბადების დღეებია აღნიშნული. პიკნიკები, დაბადების დღეები. ანდა ეგ-

<sup>1</sup> ივლისხმება ფრანსის უაში (1868—1938), რომელიც უმეტესად პარიზის მთებში  
 ცხოვრობდა.



ების საძინებელ ოთახში, მუცლიანი კომოდის ერთ-ერთ უჯრაში შაბი საგან-  
ფხულო კაბები აქვს გადანახული, თეთრი კაბები, სააღდგომოდ რომ იცვამ-  
დნენ პირველად, წინწკლებიანი ჩითის კაბები, უფრო ზაფხულს რომ იცვამ-  
რება, ზაფხულს, გოგონები რომ აღარ უცდიდნენ.

რა იღბალია, რომ ასე იჯდე ნამემკვიდრევი სახლის მყუდრო ოთახში, მა-  
რტოდენ უჩუმარ და უძრავ საგანთა შორის და პირველ წიწკანებს მიუგდო  
ყური, თავიანთ თავს რომ სცდიან ჭიკჭიკში გარეთ, მსუბუქ, საწვანო ბაღში.  
ასე იჯდე და ნასამხრევის მზის თბილ ჭავლს უცქერდე, ბევრი იცოდე ადრე  
გარდაცვლილ გოგონებზე და პოეტი იყო.

ძნელია, როცა ფიქრობ, რომ შენც ასეთი პოეტი გამოხვიდოდი, ცხოვრე-  
ბის ნება რომ გქონოდა სადმე, სადმე, ამქვეყნად, სადმე სოფელში, ერთს რო-  
მელსამე მიგდებულ სახლში, აღარავინ რომ აღარ აკითხავს. მხოლოდ ერთ ოთახს  
დავიკავებდი (ნათელ ოთახს სახლის ფრონტონზე) და ვიცხოვრებდი ჩემს  
ძველ ნივთებთან, საოჯახო ალბომებსა და წიგნებთან ერთად. ძაღლები მეყო-  
ლებოდა, ერთი სავარძელი მექნებოდა, ყვავილები, და ერთიც მაგარი ყავარ-  
ჯენი ქვა-ლორლიანი ბილიკებისთვის. სხვა არაფერი. მხოლოდ და მხოლოდ ერ-  
თი წიგნი, მოყვითალო, სპილოსძვლისფერ ტყავში ჩასმული, ძველი, ყვავი-  
ლებიანი ემბლემათ. მე იქ ჩავწერდი, ბევრს ჩავწერდი, რადგან მრავალი ფი-  
ქრი მექნებოდა და მოგონებანი მრავალ ადამიანზე.

მაგრამ სულ სხვაგვარად აეწყო ცხოვრება და ღმერთმა უწყის რატომ და  
რისთვის. ჩემი ძველი ავეჯი ერთ ფარდულში ინესტება, სადაც მისი დადგმის  
ნება დამრთეს. ხოლო მე თავად, ო, ღმერთო ჩემო, ჭერი არა მაქვს თავზემთ  
და მაწვიმს თვალებში.

ზოგჯერ პატარა მალაზიებს მივუყვები სენის ქუჩაზე, ძველი ნივთებით მო-  
ვაჭრენი, წიგნის პატარა ბუკინისტური მალაზიები, ანდა სპილენძის გრაფიურა-  
თა გამყიდველები თავიანთი პირთამდე სავსე ვიტრინებით. მათთან არავინ  
შედის. თითქოს არც კი ვაჭრობდნენ. თუ შეიხედავ, დაინახავ, როგორ სხედან  
უზრუნველად და წიგნს კითხულობენ. არა ზრუნავენ ხვალისათვის და არც  
მოგების გამო შიშობენ. ერთი ძაღლი ჰყავთ, წინ რომ უზით, ნებივრად მოკა-  
ლათებულნი, ან ერთი კატა, რომელიც უფრო ზრდის იქაურობის მყუდრო სი-  
მშვიდეს, როცა წიგნების რიგს მიუყვება, თითქოს სათაურებს შლიდეს მათი  
ზურგიდან.

ოჰ, მხოლოდ ნატვრა რომ კმაროდეს: ხანდახან ვნატრობ, მქონდეს ასე-  
თი სავსე ვიტრინა და ძაღლთან ერთად ვიჯდე მის უკან, მთელი ოცი წლის  
მანძილზე.

კარგია, როცა ხმამაღლა ამბობ: „არაფერიც არ მომხდარა!“ კიდევ ერ-  
თხელ: „არაფერიც არ მომხდარა!“ გშველის?

ჩემი ღუმელი რომ ისევ ახრჩოლდა და ქუჩაში მომიწია გამოხეტება, მა-  
რთლა უბედურება ხომ არ არის ბოლოს და ბოლოს, რომ გავცივდი და გავიც-  
რიცე, ჩემი ბრალია მხოლოდ და მხოლოდ. მშვენივრად შემეძლო ლუვრში

გმქდარიყავი. თუმცა არა, არ შემეძლო. იქ მუდამ არის სიტბონატრული, ლატაკი ხალხი, იმ დარბაზებში სიტბოს რომ ეძებს. ისინი ხავერდგადაკრულ მერხებზე სხედან და მათი ფეხები, ცარიელი, ვეება ჩექმებოვით ჩამწკრივებულან რადიატორთა დაბალ მოაჯირებზე. ესენი უაღრესად მარტოებულნი კაცები არიან, რომელთაც ავსებთ მადლიერება, რომ მუქფორმიანი მსახურები მათ იქ ყოფნას ჩუმიად ითმენენ. როგორც კი შევალ, ჩაიქირქილებენ. ჩაიქირქილებენ და თავის კანტურს მოჰყვებიან და შერე, როცა სურათების წინ აქეთ-იქით სიარულს ვიწყებ, თვალს არ მაშორებენ. მუდამ თვალში ვყავარ, მუდამ თვალში, თითქოს მათი თვალები ერთმანეთშია გადაღვრილი, შერეული და ერთ მზერად მოედინება. ასე, რომ, კარგი ვქენი, ლუჯრში რომ არ წავედი. მთელი ცხოვრება გზაში ვიყავი და ღმერთმა უწყის რამდენ ქალაქში, ქალაქის უბანში, სასაფლაოზე, ხიდზე თუ ჩიხში ვარ ნამყოფი. სადღაც ერთი კაცი ვნახე, ბოსტნეულის ორთვალას რომ მიაგორებდა. Chou— fleur, Chou — fleur' — ყვიროდა იგი, და eu-ს რაღაცნაირად გულისმომწყველად აგრძელებდა. გვერდზე თეძოკუთხოვანი, მახინჯი ქალი მოჰყვებოდა, დროდადრო მუჯღუგუნს რომ წაჰკრავდა ხოლმე და როცა ურტყამდა, ყვიროდა კაცი. ხანდახან თავისითაც ყვიროდა, მაგრამ ყოველთვის ფუჭად: ადრე მოსდიოდა და იმწამსვე ხელახლა უნდა დაეყვირა, რადგან უკვე იმ სახლთან იდგნენ, სადაც მათი მუდმივი მუშტრები ცხოვრობდნენ. უკვე გითხარით, რომ კაცი ბრმა იყო? ჰო, ის ბრმა იყო, ბრმა იყო და ყვიროდა. მე ვაყალბებ, ასე რომ ვამბობ. ამით ხომ იმ ორთვალას უგულუბელეყოფ, რომელსაც ის მიაგორებდა, ისე ვიქცევი, თითქოს არ გამეგონოს, ყვაეილოვანი კომბოსტო, რომ გაიძახოდა. მაგრამ, განა ეს არსებითია? და არსებითიც რომ ყოფილიყო, განა ის არ არის მთავარი, თუ რას ნიშნავდა მთელი ეს ამბავი ჩემთვის? მე დავინახე ერთი ბებერი კაცი, რომელიც ბრმა იყო და ამიტომ ყვიროდა. მე ეს დავინახე. დავინახე.

ნეტავი ვინმე თუ დაიჯერებს, რომ ამგვარი სახლებიც არსებობს ქვეყნად? არა, იტყვიან, რომ ვტყუი. ამჯერად კი სიმართლეს ვამბობ, არაფერს ვტოვებ და ცხადია, არც რას ვამატებ. საიდან რა უნდა დამემატებინა? ყველამ იცის, რომ ლატაკი ვარ. დიახ იციან. სახლები? უფრო ზუსტად, ეს იყო სახლები, რომლებიც აღარ იყო. სახლები, რომლებიც მთლიანად დაენგრიათ, და რაც იქ დარჩენილიყო, ეს სხვა, გვერდით მდგომი სახლები გახლდათ, მაღალი მეზობელი სახლები. როგორც ჩანს, იმათაც დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა მას შემდეგ, რაც გვერდიდან ყველაფერი ჩამოაცალეს, რადგან მაღალი, გუდრონგადასხმული, საანძე ხეებისაგან შეკრული ხარაჩოები მიედგათ, რაღაცნაირად ირიბად რომ ჩახიდულიყო ნასახლარის სანაგვედქცეულ საძირკველსა და დარჩენილ, გაშიშვლებულ კედელს შორის. არ ვიცი, უკვე გითხარით, თუ არა, რომ სწორედ ამ კედელს ვგულისხმობდი. მაგრამ ეს დარჩენილი სახლების პირველი კედელი კი არ გახლდათ (როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს), არამედ დანგრეულთა უკანასკნელი. მოსჩანდა მისი შიდა მხარე. მოსჩანდა სხვადასხვა სართულების ყოფილ ოთახებში აქა-იქ ჩამოკონწიალებული შპალერის ნაფლეთებითა და იატაკისა თუ ჭერის ნარჩენებით. კედელს მთელ სიმაღლეზე, კედელში ვიწრო, ჭუჭყიანი, მოთეთრო ზოლი დაჰყვებოდა, და იქ ყოველად საზიზღარი, რბილი მოძრაობებით, როგორითაც მატლი საკმელს ინელებს, მიიკლავებოდა ქანგიტშეჭმული, ფეხსადგილის მილების ღარი. ჭერთა

1 Chou — fleur (ფრან.) — ყვაეილოვანი კომბოსტო.

ქვეშ, ზონართა ადგილას კი, ოდესღაც ელექტრონი რომ მიედინებოდა, ნაც-  
რისფერი, მტვრიანი კვალი დარჩენილიყო. ალაგ-ალაგ ეს კვალი სოფლიად  
მოულოდნელად უხვევდა, ფერად კედელზე ჩარბოდა და ბნელ ხვეულში  
ძვრებოდა, ასე ტლანქად და უმოწყალოდ რომ ამოეთხარათ. მთვრალე  
ზე დაუვიწყარი თავად კედლები გახლდათ. ამ ოთახების სისხლსავე  
ბას თავი ჯერ არ წაეშლევინებინა. ისევ აქ იყო: კედლებში ჩარჩენილ ლურს-  
მნებზე ეკიდა. იატაკის ნანგრევებზე იდგა, ხელის ვულის სიფართოვით რომ  
შერჩენოდა აქა-იქ კედლებს და კუთხეების მცირე სივრცეში მიკუნჭულიყო.  
შეიძლებოდა იმის დანახვა, როგორ გამჭდარიყო კედლის ფერებში, რომელთაც  
ნელა, წლითიწლობით სახეს უცვლიდა. ლურჯი შეეტანა შმორიან მწვანეში,  
მწვანე — რუხში და ყვითელი — გაცვეთილ, ძველისძველ, ხრწნაშემდგარ  
თეთრში. მაგრამ უფრო სუფთა ადგილებზეც მოჩანდა იგი, სურათების, კარა-  
დების და სარკეთა უკან რომ რჩება. რადგან მას მათი კონტურები შემოეხაზა  
და ობობებისა და მტვრის წყალობით ამ ოდესღაც ფარულ, აწ კი გამომხეუ-  
რებულ კუნჭულებსაც არ დაჰკლებოდა. ის იგრძნობოდა ყველა აწ გაცვეთ-  
ილ ხაზსა და ზოლში, ჩაბუდებულყო ნესტისაგან დაბერილ ბუშტებში შპა-  
ლერის ქვედა კიდეზე, იქ ქანაობდა ჩამოგლეჯილ ნაფლეთებში და გულისამ-  
რევი, დიდი ხნის წინათ წარმოქმნილი ლაქებიდან წვეთავდა მძიმედ. და ამ  
ოდესღაც ლურჯი, თეთრი და ყვითელი კედლებიდან, ოთახების ნანგრევთა ჩა-  
რჩობებში რომ ჩამსხდარიყვნენ, ამ ოთახების ცხოვრებათა ჰაერი მოჰბერდა,  
სქელი, დუნე, დამპალი ჰაერი, ჯერ რომ ვერც ერთ ქარს ვერ განეფანტა. იქ  
იდგნენ შუადღენი და სნეულებანი, ამონასუნთქი ჰაერი და ხანგრძლივი წლე-  
ბის ბოლი და ოფლი, იღლიებიდან რომ მოყოხავს და სამოსს ამძიმებს, პირე-  
ბიდან გადმონთხეული უგემურება და რახის სუნი ჩახურებული ფეხებისა. იქ  
იდგა ურინის სამჭახე და სქელი მჭვარტლი: კარტოფილის რუხი ორთქლი და  
მძიმე და გლუვი სუნი ამძალეებული ღორის ქონისა. იდგა მოტკბო და დაუ-  
ვიწყარი სურნელი დაუდევრად მიყრილ, მოუვლელ ჩვილთა; შიშის სუნი სკო-  
ლაში მიმავალ ბავშვებისა და დახშული სიმხურვალე დაკაცებული ბიჭების  
საწოლებიდან. და სხვაც ბევრი რამ შეერთებოდა ყველაფერ ამას, ოხშივრად  
ამოვარდნილი ქუჩაბანდის ბნელი უფსკრულიდან თუ ჩამოწუწული წვიმასთან  
ერთად, სუფთა რომ არასოდესაა ქალაქის თავზე. ზოგი რამ მოთოკილ, ფრთა-  
შეჭრილ ქუჩის ქარებსაც მოეტანათ, შენობებს შორის თავისუფლად რომ ვერ  
ნავარდობენ და იმავე ქუჩაზე რჩებიან მერეც, შენობები როცა ინგრევა. და  
კიდევ ბევრი რამ იყო ისეთი, რომლის სათავეც არაფერ იცის. მე ხომ ვთქვი  
უკვე, რომ ყველა კედელი დაენგრიათ, გარდა ბოლოსი? — ჰოდა, ისევ ამ  
ბოლო კედლის შესახებ ვყვები. ვიცი, იტყვიან, თითქოს დიდხანს ვიდევქი მის  
წინ. მაგრამ, თუნდაც დავიფიცებ, რომ გავიქეცი, რაწამს ვიცანი. რადგან საში-  
ნელი სწორედ ეს არის, რომ მე ვიცანი. ყოველივე ამას ჩემში ვცნობ, ჩემში  
და ამიტომაც ასე თავისუფლად შემოიჭრება ჩემს არსებაში. ის აქ შინ არის.

ცოტა ქანცგაწყვეტილი ვიყავი ყოველივე ამის შემდეგ. შეიძლებოდა მე-  
თქვა, შეპყრობილიც და ამიტომ მეტისმეტი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ის კა-  
ციც მაინცდამაინც მე მელოდებოდა. იგი მიცდიდა ერთ პატარა სასაუზმეში,  
სადაც ერბო-კვერცხი მსურდა შემეკვეთა. ძალიან მშოიოდა, მთელი დღე არა-  
ფერი მეჭამა. მაგრამ ვერც ახლა მოვახერხე, ერთი ლუკმა მაინც ჩამედო პირ-  
ში. ვიდრე ერბო-კვერცხი შეიწვებოდა, ისევ გარეთ მომიხდა გასვლა, ქუჩებ-  
ში, ხალხით ავსებული, შედედებული ნიაღვრებივით რომ მოედინებოდნენ ჩე-

მსკენ, რადგან ყველიერი იყო და თან სალამო. ყველას დრო ჰქონდა: დაყი-  
ლობდნენ და ერთმანეთს ეჯგლითებოდნენ. სახეებზე ვიტრინებიდან გამოსუ-  
ლი სინათლე ეფინათ და სიცილი ისე სდიოდა მათ პირებს, როგორც ჩირქი  
ლია ჭრილობას. ისინი სულ უფრო ბევრს იცინოდნენ და სულ უფრო მჭიდროდ  
ეხეთქებოდნენ ერთმანეთს, რაც უფრო ვცილდებოდი წინ, უფრო ვილა-  
დედაკაცის შარფი წამომდებოდა, მივათრევდი და ვერას ვამჩნევდი: ხალხმა გა-  
მაჩერა და სიცილი დამაყარა. ვგრძნობდი, მეც უნდა გამეცინა. მაგრამ არ შე-  
მეძლო. ვილაცამ ერთი მუჭა კანფეტი შემომაყარა თვალეაში და სახე ისე ამ-  
ეწვა, თითქოს მათრახი გადაეჭიროთ. ქუჩის კუთხეებში ხალხი მიმწყვდევლი-  
ყო, ერთი მეორეზე მისრესილები, და წინ აღარავინ მიდიოდა, მხოლოდ წყნა-  
რად და რბილად ირწეოდნენ აქეთ-იქით, დაბლა-მაღლა, თითქოსდა ასე ფეხზე  
მდგომნი ეძლეოდნენ ერთმანეთს. მაგრამ თუმცა ისინი იდგნენ, ხოლო მე შლე-  
გივით მივექანებოდი ტროტუარისაკენ, სადაც ამ შედედებულ გროვაში ნაპ-  
რალეები ჩნდებოდა, მაინც ისე იყო სინამდვილეში, რომ ისინი მოძრაობდნენ  
და მე აღგილიდან არ ვიძროდი, რადგან არაფერი არ იცვლებოდა; როდესაც  
ავიხედე, ერთ მხარეს იგივე სახლები იდგა და მეორე მხარეს ვიტრინები. ვინ  
იცის, ყველაფერი უძრავად იყო და, მხოლოდ მე მესხმოდა თავბრუ და სხვე-  
ბსაც და ამის გამო გვეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ბრუნავდა ირგვლივ. ამა-  
ზე ფიქრის დრო აღარ მქონდა. ოფლისაგან სულმთლად დავმძიმდი და შიგნით  
რაღაც მომადუნებელი ტკივილი ამიწრიალდა, თითქოსდა ჩემს სისხლს რაღაც  
ვეება მიჰყვებოდა მძიმე ხახუნით და ყველგან, სადაც კი გაივლიდა, ძარღვებს  
ბერავდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ჰაერი დიდი ხანია გათავებულყო და ახლა  
უფრო ამონასუნთქს ვიწოვდი, რომელიც ფილტვებს მიდედებდა.

მაგრამ ყველაფერი ეს უკან დარჩა. მე გავუძელი. ახლა ისევ ჩემს ოთახში  
ვზივარ ლამპასთან. ცოტა ცივა, რადგან ვერ ვბედავ ღუმელის ანთებას. ისევ  
რომ ახრჩოლდეს და გარეთ გასვლა მომიხდეს, მერე? ვზივარ და ვფიქრობ:  
ღარიბი რომ არ ვიყო, სხვა ოთახს დავიქირავებდი, ავეჯით, აგრე ნახმარი რომ  
არ იქნებოდა და ესოდენ სავსე წინანდელი მაცხოვრებლებით, როგორც ჩემია.  
თავდაპირველად მართლა მიჭირდა სავარძლის საზურგეზე თავის დადება, რა-  
დგან აქ, მწვანე შალითაში ჭუჭყიანი რუხი ღრმულია, თითქოს ყველა თავს  
რომ მოერგება. დიდხანს ვიჩენდი სიფრთხილეს და თავქვეშ ცხვირსახოცს ვი-  
ფენდი, ახლა კი ამისათვის მეტისმეტად მოქანცული ვარ. აღმოვაჩინე, რომ  
ასეც შეიძლება, და რომ ეს პატარა ჩალრმავება სწორედ ჩემი თავისთვისაა;  
თითქოს ჩემს კეფაზეა ზედგამოჭრილი. მაგრამ, მაინც, ეგზომ უსახსრო რომ  
არ ვიყო, პირველ რიგში ღუმელს ვიყიდდი და სუფთა, მაგარი, შთიდან ჩამო-  
ტანილი შეშით გავახურებდი და არა ამ უბადრუკი tetes-de-moineau-ით<sup>1</sup>,  
რომლის ბოლიც სუნთქვას მიმძიმებს და გონებას მირევს და შემდეგ, ვილა-  
ც ისეთი უნდა იყოს ჩემს გვერდით, ოთახს უხმაუროდ რომ დაალაგებს და  
ცეცხლს გააჩაღებს, ისე, როგორც ეს მე მჭირდება. რადგანაც ხშირად, როცა  
მთელი თხუთმეტი წუთი ღუმელის წინ ვარ ჩაჩოქილი და სულს ვუბერავ,  
ცეცხლის სიმხურვალისაგან შუბლგაფიცვებული და თვალეებში აღმურჩამდგა-  
რი, ყველაფერს ვხარჯავ, მთელი დღისთვის განკუთვნილ ძალ-ღონეს, და შემ-  
დეგ ხალხში რომ გავდივარ, რა თქმა უნდა, ის ადვილად მერევა. დროდადრო,  
ქუჩები მოზიმზიმე ხალხით რომ იქნებოდა გაჭედული, ეტლს ავიყვანდი, ჩა-

<sup>1</sup> tetes-de-moineau (ფრ.) — ქვანახშირის სახეობა, დაბალი ხარისხის.





...მყუდეს მე ვითარცა უნებდათ.

და აწ ჩემ ზედა დაინთხეს სული ჩემი და უპყრიე მე დღეთა მწუხარებით-  
სათა. ...ხოლო ღამესა ძუალნი ჩემნი განმწარნეს, ხოლო ძარღუნი ჩემნი დაი-  
ხსნეს... მრავლითა ძალით მომიცვეს საშოსლისა წილ, ვითარცა პირსა სამოს-  
ლისა უპყრივარ...

მუცელი ჩემი აღდუნა და არა დუმჩის, წინ მიძლოდენ მე დღენი სიგლა-  
ხაკისანი... ხოლო მოიქცნეს ტირილსა შინა ჩემსა, ხოლო გალობა ჩემი გოდე-  
ბასა ჩემდა<sup>1</sup>.

ექიმმა ვერ გამიგო ვერაფერი. ძნელიც იყო საამბობლად. გადაწყვიტა, ელექტრომკურნალობა ეცადა. კეთილი, მივიღე ფორმულარი: პირველ საათზე სალპეტრიერში<sup>2</sup> უნდა მივსულიყავი. ვიყავი. დიდხანს მივდიოდი ნაირნაირ ქობმახთა გასწვრივ, რამდენიმე ეზო გავიარე, სადაც პატიმრებივით თეთრჩაჩიანი ავადმყოფები აქა-იქ შიშველ ხეებქვეშ მიმოდიოდნენ. ბოლოს შევედი გრძელ, ჩაბნელებულ, კორიდორის მსგავს შენობაში, რომელსაც ერთ მხარეს დაბინდული მწვანე შუშის ოთხი ფანჯარა ჰქონდა, ერთმანეთისაგან განიერი შუაქედლებით გამოყოფილი. ფანჯრებს წინ გრძელი ხის სკამი ჩაუდიოდათ, და ამ სკამზე ისხდნენ სწორედ ისინი, თავიანთ კაცად რომ მივაჩნივარ და მელოდებოდნენ. დიახ, ყველანი აქ ბრძანდებოდნენ.

როდესაც შენობის ბინდბუნდს თვალი შევაჩვიე, შევამჩნიე, რომ მათ შორის, ვინც იქ ერთმანეთის მხარდამხარ უსასრულო რიგში იჯდა, რამდენიმე სხვა ჯურის ადამიანიც უნდა ყოფილიყო, უბრალო ხალხი, ხელოსნები, მსახურები და მტვირთავები. ქვემოთ, გასასვლელის ვიწრო მხარეზე, გამორჩეულ სკამებზე ორი სქელი ქალი გაბრტყელებულიყო და მასლაათობდა, როგორც ჩანდა, მეკარეები. საათს დავხედე. პირველს აკლდა ხუთი წუთი. ხუთ, ვთქვათ, ათ წუთში უნდა შევსულიყავი, ე. ი. არც ისე ცუდად იყო საქმე. აუტანელი ჰაერი იდგა, მძიმე, ტანსაცმლის სუნითა და ამონასუნთქით დამძიმებული. ერთ ადგილას, კარის ჭრილიდან ეთერის ძლიერი, აღმავალი სიგრილე მოჰბერდა. ბოლთის ცემა დავიწყე. ვფიქრობდი, აი, აქ დამიბარეს, ამ ხალხთან ერთად, ამ გაჭედულ, საერთო მისაღებში-მეთქი. ეს, ასე ვთქვათ, პირველი აშკარა დადასტურება იყო იმისა, რომ გაძევებულებს ვეკუთვნოდი. ნუთუ ექიმმა ეს ჩემს გარეგნობაში ამოიკითხა? კი მაგრამ, მე ხომ საკმაოდ ხეირიან კოსტიუმში გამოწყობილი ვეწვიე, სადარბაზო ბარათიც გავუგზავნე. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიხვდა. ეგებ მე თვითონ გავეცი თავი? ჯანდაბას, რაც მოხდა, მოხდა, ახლა არც ისე გულმოსასვლელად მეჩვენებოდა. ხალხი წყნარად იჯდა და ყურადღებას არ მაქცევდა. ზოგიერთ მათგანს ტკივილი აწუხებდა და ცალ ფეხს ოდნავ ღუნავდა, რა არის, უფრო გაეძლო. კაცებიდან ზოგს თავი ბრტყელი ხელებით ეჭირა, სხვათა სახეები კი მძიმე ძილს გადაესწორებინა. ერთი ზორზობა, წითელ და გასიებულ კისრიანი კაცი წინგადახრილი იჯდა, იატაკს ჩაშტერებოდა და დროდადრო წკლაპუნით აფურთხებდა ერთ ლაქას, ამისათვის შესაფერისად რომ მიეჩნია. ბავშვი სლუკუნებდა ერთ კუთ-

<sup>1</sup> წიგნი იობისა, 30, 8, 9, 12, 13, 16, 17, 18—31.

<sup>2</sup> სალპეტრიერი — ნერვიულ ავადმყოფთა კლინიკა პარიზში.

ხეში გრძელი, გამხდარი ფეხები სკამზე აეკეცა, ხელი შემოეხვია და ტანზე ისე მიეკრა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებო. ერთ პატარა, ფერგაცრეცელ ქალს, თავზე გვერდულად რომ დაეკოსებინა შავი ყვავილებით მოკაზმული კრების ქუდი, მიმჭკნარ ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვოდა, თუმცა დაწყულულებული ქუთუთოები განუწყვეტლივ ეცრემლებოდა. მასთან ახლოს ერთი გოგონა დაესვათ, მრგვალ და გლუვსახიანი, წინწამოყრილი, უმეტველრ თვალებით. მას პირი დაელო და თეთრი დორბლიანი ღრძილებიდან ბებრული, ოღროჩოდრო ლოჯები მოუჩანდა. და ყველგან დოლბანდები მხვდებოდა თვალში. დოლბანდები, ფენა-ფენა რომ ფარავდნენ მთელ თავს, ისე რომ ერთადერთი თვალილა მოჩანდა, თვალი რომელიც აღარავის არ ეკუთვნოდა. დოლბანდები რომლებიც ფარავდნენ და დოლბანდები რომლებიც აჩენდნენ, რაც მათ ქვეშ იყო. დოლბანდები, რომლებიც შეეხსნათ და იქ როგორც ქუჭყიან ლოგინში ესვენა ხელი, უკვე ხელი რომ აღარ იყო; და შეხვეული ფეხი, რიგიდან გამოშვერილი, უზარმაზარი, თითქმის კაცის ხელა. მე აქეთ-იქით დავდიოდი და თავს ძალას ვატანდი, რომ მშვიდად ვყოფილიყავ. ჩემს წინ ტიხარს ვათვალიერებდი გულმოდგინედ. შევნიშნე, რომ ტიხარი მთელი წყება ცალფრთიანი კარებისაგან წედგებოდა და ქერამდე არ აღწევდა, ისე, რომ ჩვენი კორიდორი იმ ოთახებისაგან, შიგნით ერთმანეთის გვერდით რომ უნდა ყოფილიყო განლაგებული, ბოლომდე არ იყო გამიჯნული. საათს დავხედე. მთელი საათი მევლო აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ ექიმებიც მოვიდნენ: ჯერ რამდენიმე ახალგაზრდამ ჩაიარა გულგრილი სახით, ბოლოს ის, ვისთანაც უკვე ვიყავი, ღია ფერის ხელთათმანები ეცვა, *Chape du a' huit reflets*<sup>1</sup> ეხურა და უზადო მოსასხამი ესხა. დამინახა, ოდნავ ასწია ქუდი და დაბნეულად გამიღიმა. ვიმედოვნებდი, რომ მაშინვე გამომიძახებდნენ, მაგრამ ერთი საათი კიდევ გავიდა. ვერ ვიხსენებ, როგორ გავლიე. მთავარი იყო, რომ გავიდა. ერთი მოხუცი კაცი მომიახლოვდა, დალაქულწინსაფრიანი, რაღაც ჯურის კარისკაცი და მხარზე შემეხო. ერთ-ერთ გვერდითა ოთახში შევედი. ის ექიმი და ახალგაზრდები მაგიდის ირგვლივ ისხდნენ და შემომცქეროდნენ, სკამი მომაწოდეს. ასე, ახლა კი უნდა მომეთხრო, რა და როგორ მჭირდა, რაც შეიძლება მოკლედ. *S'il vous plait*<sup>2</sup>. რადგან, ბატონებმა, ბევრი დრო არა გვაქვსო. უცნაური გრძნობა დამეუფლა. ახალგაზრდა ექიმები ისხდნენ და მიყურებდნენ იმ ქედმაღლური, პროფესიული ცნობისმოყვარეობით, რომლის შეთვისებაც უკვე მოესწროთ. ჩემი ნაცნობი ექიმი შავ წვერზე ხელს ისვამდა და დაბნეულად იღიმებოდა. გავიფიქრე, ტირილი წამსკდება-მეთქი, მაგრამ მომესმა, როგორ ვთქვი ფრანგულად: „მე უკვე მქონდა პატივი, რომ თქვენთვის, ბატონო ჩემო, ყველა ცნობა მომეწოდებინა, რაც კი შემეძლო. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, რომ ეს ბატონებიც ეზიარონ ყველაფერს, ცხადია, ჩვენი საუბრის შემდეგ, თავად შეგიძლიათ, რამდენიმე სიტყვით გადასცეთ, რადგანაც მე უალრესად გამიჭირდება“. ექიმი თავაზიანი ღიმილით წამოდგა, ასისტენტებთან ერთად ფანჯარასთან მიდგა და ხელის სავსავით რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. სამიოდ წუთის შემდეგ, სამი ახალგაზრდიდან ერთ-ერთი, ახლომხედველი და ნერვიული, მაგიდასთან დაბრუნდა და შეეცადა რა ჩემთვის მკაცრად შემოეხედა, მკითხა: „კარგად გძინავთ, ბატონო ჩემო?“ „არა, ცუდად“, რის შემდეგაც ისევ ჯგუფისკენ ისკუბა.

<sup>1</sup> *Chape du à huit reflets* — (ფრ.) აბრეშუმის მზზინავი შლიაპა.

<sup>2</sup> *S'il vous plait* — (ფრ.) გთხოვთ.



მცირე ხანს კიდევ თათბირობდნენ. შემდეგ ექიმი მომიბრუნდა და მამცნო, რომ ხელახლა ჩამიძახებდნენ. მე შევახსენე, პირველი საათისათვის მეტეტი დაბარებული. მან გაიღიმა და ერთი-ორჯერ სწრაფად გაასავსა პატარა და თეთრი ხელები, რითაც სურდა ენიშნებინა, უსაშველოდ დავყავი ვარო. ასე და ამრიგად, ისევ ჩემს კორიდორში დავბრუნდი, სადა უფრო დამძიმებულიყო და კვლავ შევუდექი ბოლთის ცემას, თუმცა მომავდინებელ დაღლილობას ვგრძნობდი. ბოლოს ნოტიო, შეგუბებული სუნისაგან თავბრუ დამესხა: გასასვლელ კართან შეეჩერდი და ოდნავ გავაღე. დავინახე, რომ გარეთ ნაშუადღევ იყო ისევ, ცოტაოდენ მზესაც მოგკარი თვალი და ამან გამოუთქმელი შეება მომგვარა. მაგრამ ერთი წუთიც არ ვმდგარვარ იქ, ისევ დამიძახეს. ვილაცა ქალმა, ორიოდ ნაბიჯის მოშორებით პატარა მაგიდას რომ მისჯდომოდა, რაღაც შემომსისინა. ვინ გიბრძანათო კარის გაღება. ვუთხარი, ამ ჰაერს ველარ ვუძლებ-მეთქი. კარგი, ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ კარი დახურული უნდა იყოსო. ეგებ ფანჯრის გაღება შეიძლებოდეს-მეთქი. არა, აკრძალულიაო. გადავწყვიტე, ისევ ბოლთისცემას შევდგომოდი, რაკი ეს რაღაცნაირად მაყუჩებდა და არც არავის აღიზიანებდა. მაგრამ პატარა მაგიდასთან მჯდომ ქალს ახლა აღარც ეს მოუვიდა თვალში. ადგილი არა გაქვთო? არ მაქვს-მეთქი. ბოლთის ცემა აკრძალულია. ადგილი უნდა მოძებნოთ, ერთი ადგილი მაინც იქნებაო. ქალი მართალი იყო. ერთი ადგილი მაშინვე აღმოჩნდა: გადმოკარკლულთვალებიანი გოგოს გვერდით. და ახლა ვიჯექი იქ და ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი რაღაც საშინელებას მიქადდა. მაშასადამე, მარცხნივ ის შემბალრძილებიანი გოგო მეჯდა, ხოლო რაც ჩემს მარჯვნივ იყო, მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ შევიცანი. ეს გახლდათ უზარმაზარი, უძრავი მასა, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სახე და ერთი დიდი, მძიმე და გაშვებული ხელი. სახის ის ნაწილი, რომელსაც ვხედავდი, ცარიელი იყო, უნაკვთებო და უმოგონებო და შემაზრზენი გახლდათ, რომ მას კოსტიუმი ისე ედგა, როგორც ცხედარს, რომელიც კუბოსთვის გამოაწყვეს. ვიწრო, შავი ყელსახვევი დუნედ და არაფრისმთქმელად შემოხვეოდა საყელოს, როგორც მკვდარზე მენახა და პერანგსაც ეტყობოდა, რომ სხვებს ჩამოეცვათ ამ ნებადკარგულ სხეულზე, მისი ხელიც სხვებს დაედოთ იქ, შარვალზე, სადაც იყო, თმაც თითქოს ცხედრის განმბანელ ქალებს დაევარცხნათ და ეს თმა, როგორც ცხოველთა ფიტულების ბეწვი, აგრე დავარცხნილი გახევებულიყო. ყოველივე ამას ყურადღებით ვათვალიერებდი და თავში გამიელვა, რომ მთელი ეს გარემო საგანგებოდ ჩემთვის იყო ჩაფიქრებული და რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი ცხოვრების გზაზე იმ ადგილს მივალწიე, სადაც სამუდამოდ დავრჩებოდი კიდევ.

ღიან, ბედისწერა უცნაური გზებით დადის.

უეცრად სრულიად ახლოს ბავშვის შეშინებული, უარის გამომხატველი წამოკივლება გაისმა ზედიზედ, რომელსაც ჩუმი, შეკავებული ტირილი მოჰყვა. ვიდრე მე დავიძაბე, რათა გამერკვია, სად რა ხდებოდა, კვლავ ათროლოდა სუსტი, დათრგუნვილი კივილი და მე გავიგონე ხმები, რომლებიც ვილაცას რაღაცას ეკითხებოდნენ, ერთი ხმა, რომელიც ჩუმად ბრძანებდა, და შემდეგ სადაც რაღაც გულგრილი მანქანა აზუზუნდა, არაფერს და არავის რომ არ ნალვლობდა. ახლადა გამახსენდა ის ნახევარი კედელი, და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ეს იმ კართა მიღმა ხდებოდა და რომ იქ მუშაობა იყო გაჩაღებული. მართლაცდა დროდადრო დალაქულხალათიანი კარისკაცი გამოჩნდებოდა ხოლმე და თავს იქნევდა. აღარც კი ვფიქრობდი, რომ შეიძლე-

ბოდა მე ვეგულისხმე. მე მეხებოდა? არა. ორმა კაცმა ბორბლებიანი საკაცე მოაგორა. მათ აიღეს ის მასა და ზედ დააწვინეს და მე დავინახე, რომ ეს თურ-მე ერთი დადამბლავებული მოხუცი კაცი ყოფილიყო, რომლის სახესაც მეორე, მომცრო, ცხოვრებისაგან შელახული ნახევარიც გააჩნდა თურმე. დია, მალვლიანი, მღვრიე თვალით. ის შიგნით შეიყვანეს და ჩემს გვერდით უზარმაზარი ადგილი განთავისუფლდა. და მე ვიჭექი და ვფიქრობდი, თუ რას უზამდნენ ახლა ამ ჩლუნგ გოგოს და დაიყვირებდა ისიც თუ არა. მანქანები შიგნით ისე სასიამოვნოდ და ფაბრიკისებურად ზუზუნებდნენ, რომ შემაშფოთებელი ამაში არა ჩანდა რა.

მაგრამ უეცრად ყველაფერი დადუმდა. და სიჩუმეში ქედმაღალმა, თავ-მომწონე ხმამ, რომელიც მეცნაურა, წარმოთქვა: „Riez“ პაუზა. „Riez. Mais riez, riez!“<sup>1</sup>. მე უკვე ვიციხოდნი. აუხსნელი იყო, რატომ არ სურდა კედლის მიღმა იმ კაცს სიცილი. ერთი მანქანა აგუგუნდა, მაგრამ მყისვე დამუნჯდა. სიტყვები გაისმა და ისევ ის ენერგიული ხმა, რომელმაც ბრძანა:

„Dites-nous le mont-avant“. დამარცვლით: „a-v-a-n-t“. სიჩუმე. „On n'entend rien. Encore une fois...“<sup>2</sup>

და მაშინ, როცა იქიდან ასეთი თბილი, ნოტიო და ცხვირისმიერი დუღუნი გაისმა, მაშინ პირველად, პირველად მრავალი, მრავალი წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა ის, რამაც ჩემში პირველი, ღრმა შეძრწუნება შემოდენა, როდესაც მე, სულმთლად ბავშვი სიცხიანი ვიწექი: რალაცა დიდი, უზარმაზარი. დიახ, ასე ვამბობდი მაშინაც ზუღამ, როცა ყველანი ჩემი საწოლის გარშემო იდგნენ, მაჯისცემას მისინჯავდნენ და მეკითხებოდნენ, თუ რა მაშინებდა: რალაცა დიდი. და ექიმი როცა მოიყვანეს და როცა ის იდგა და მესაუბრებოდა, მასაც ასევე ვევედრებოდი, რაიმე ელონა, რათა ის „დიდი“ წასულიყო და დაკარგულიყო. სხვა დანარჩენი არაფერს ნიშნავდა. მაგრამ ის კაცი სხვებისაგან არ განსხვავდებოდა. მას არ შეეძლო „დიდის“ განდევნა. თუმცა მაშინ ხომ პატარა ვიყავი და ჩემი შველა თითქოს ადვილი უნდა ყოფილიყო. მერე ის ღროთა ვითარებაში თავისით გაქრა. სიცხიან ღამეებშიც აღარ მოსულა, მაგრამ აი, ისევ გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სიცხე არ მქონდა, ახლა აქ იყო. და აწ ჩემივე წიაღიდან იზრდებოდა და იბურცებოდა როგორც სიმსივნე, როგორც ჩემი მეორე თავი და ჩემი სხეულის ნაწილი ხდებოდა. თუმცა ხომ არაფრით არ შეიძლებოდა, მე მკუთვნებოდა, რადგან ასეთი ვეება გახლდათ, აქ ბრძანდებოდა როგორც დიდი, მკვდარი ცხოველი, რომელიც ოდესღაც სიცოცხლეში ჩემი ხელის მტევანი იყო ან ჩემი მკლავი. და ჩემი სისხლი ტრიალებდა ჩემში და მასში, როგორც ერთსა და იმავე სხეულში. და გული მეტიმეტად მეძაგრებოდა, რათა სისხლი იმ „დიდშიაც“ გადაესროლა: სისხლი თითქმის აღარ კმაროდა. და ჩემი სისხლი უხალისოდ შედიოდა იმ „დიდში“ და ბრუნდებოდა სნებაშეყრილი და წახდენილი. მაგრამ „დიდი“ სულ სივდებოდა და სახის წინ მეზრდებოდა როგორც თბილი, მოლურჯო კობი და პირთან მეზრდებოდა და ჩემს ცალ თვალს უკვე მისი ჩრდილი ეფინა.

ველარ ვიხსენებ, როგორ გამოვალწიე იმ უამრავი ეზოებიდან. საღამო იყო და გზა მერეოდა უცხო უბანში და უსასრულო, გალავნიან ბულვარებს მივუ-

<sup>1</sup> Riez. Mais riez, riez! — ვაიციხეთ. ვაიციხეთ. კი მაგრამ, ვაიციხეთ! (ფრან.).

<sup>2</sup> Dites - nous le mont: avant. „On n'entend rien. Encore une fois...“ — გვითხარით სიტყვა: „წინ“. „წინ“. „არ ისმის. კიდევ ერთხელ“ (ფრანგ.).

ყვებოდი და ბოლო რომ არსად მოჩანდა, უკანვე ვბრუნდებოდი, ვიღრე რომელსამე მოედანზე არ გავიდოდი. იქ რომელიმე ქუჩას ვირჩევდი და მივყვებოდი და სხვა ქუჩებიც მოდიოდნენ, არასოდეს რომ მენახა და კიდევ მოდიოდნენ, სხვები და სხვები.

ელმავლები მიმოქროდნენ წამდაუწუმ. დამაბრმავებელი მსმინებელი მკვლელები მკვახე, წყვეტილი რეკვა-წკრიალით, მაგრამ მათ დაფებზე ისეთი ქუჩების სახელი ეწერა, მე რომ არ ვიცოდი. მე არ ვიცოდი, რომელ ქალაქში ვიყავი და მქონდა თუ არა აქ სადმე ბინა და რა უნდა მელონა იმისათვის, რომ აღარ მევლო.

და ახლა ეს ავადმყოფობაც დამემატა, ყოველთვის ასე უცნაურად რომ ზაფორიაქებდა. დარწმუნებული ვარ, მას ჭეროვნად ვერ აფასებენ, ზუსტად ისევე, სხვა სნეულებათა მნიშვნელობას რომ აჭარბებენ. ამ დაავადებას არავითარი გარკვეული თავისებურებანი არ გააჩნია: იმ ადამიანის თავისებურებებს იძენს, ვისაც შეიბყრობს. სომნამბულური შეუმცდარობით ადამიანში აღმოაჩენს მის უღრმეს საფრთხეს, საფრთხეს ჩავლილი რომ სჩანდა უკვე, ამოაქვს მისი სულის სიღრმიდან და წიხ უყენებს, სულმთლად ახლოს: რათა ერთ წამში თავს დაატეხოს. კაცები, სკოლის წლებში უმწეო ცოდვას რომ სჩადიოდნენ, და ამ ცოდვის მოტყუებულ თანაზიარად თავიანთი საცოდავი, გალეული ბიჭური ხელები ჰყავდათ, მოვა დრო და კვლავ შესცოდავენ; ან რომელიმე სნეულება, ბავშვობაში გადატანილი, ისევ თავიდან დაიწყება მოულოდნელად, ან დაკარგული ჩვეულება ანაზღეულად აღსდგება ისევ — რაღაც ყოყმანით თავის ტრიალი, ძალზე დიდი ხნის წინ რომ სჩვეოდათ, და იმას, რაც ეგზომ უცნაურად ბრუნდება ჩვენში, უკან მოჰყვება მოგონებათა კორიანტელი, რომელიც მას ისევე დასთრევს, როგორც წყლის ხავსი ჩაძირულ საგანს. ამ მოგონებებს კი თან მოაქვთ ჩვენი სულის ფარული ცხოვრება, რომლის შესახებ ვერაფერსაც ვერ შევიტყობდით. ეს ცხოვრება აღიმართება სულის ფსკერიდან, ზემოთ მიიწევს და მორეკვივით ტრიალებს იმის ქვეშ, რაც აშკარად და ხილულად ხდებოდა, და ეხეთქება ამ წარსულს, ჩვენ რომ ასეთი ცხადი გვეგონა და გარკვეული, ეხეთქება ავიწროებს და სახეს უცვლის. რადგან ამ უცნობ ცხოვრებაში, ამდენი ხანი რომ არ გვახსოვდა, რაც შეუცნობლად არსებობდა და რაც ახლა ზემოთ ჩვენი ცნობიერებისაკენ ილტვის ჩიუტად — დაუზარჯავი, ხელშეუხებელი ძალა ბობოქრობს, ხოლო ის, რაც მუდამ გვახსოვდა, გაცრეცილი და დაქანცულია მრავალგზისი მოგონებებით.

და ახლა ვწევარ ჩემ საწოლში, მეხუთე სართულზე და ჩემი დღე, რომელსაც არაფერი აშფოთებს, არ ანაწილებს, უისრებო ციფერბლატსა ჰგავს. დიდი ხნის წინათ დაკარგული ნივთისდაგვარად, თავის ადგილზე რომ აღმოჩნდება ისევ ერთ დილით, შენახული და მშვენიერი, თითქმის იმაზე უფრო ახალი, ვიდრე იყო დაკარგვის დღემდე, თითქოსდა ვინმეს ეპატრონოს მთელი ეს ხანი, სწორედ ასევე ჩემს საბანზე ხან აქ და ხან იქ უეცრად ჩნდება ჩემი ბავშვობის დაკარგული მოგონებები და თან თითქოს სულმთლად ახალი. ყველა დაკარგული მიწიში ისევ აქ არის.

შიში, რომ მატყლის პატარა ბეწვი, საბნის ქობიდან ამოწვერილი — მაგარი, მაგარი და ბასრი, როგორც ლურსმანი. შიში, რომ ჩემი საღამურის პატ-

არა დიდი ხემს თავზე ბევრად უფრო დიდია, დიდი და მძიმე შიშით, რომ პუ-  
რის ერთი ნამცეცი, ჩემი საბნიდან ძირს რომ მიგორავს, მინდა იქცე-  
ვა და დაიმსხვრევა ძირს დაცემისას და დამორგუნველი წყნობილი, რომ  
ყველაფერი დაიმსხვრევა ამით ერთბაშად, ყველაფერი დაიმსხვრევა  
მოდ: შიში, რომ გახსნილი წერილის ზოლიანი კიდე, რაღაც აკრძა-  
ლული რამ არის, რაღაც ენით აუწერლად ძვირფასი, არაეინ რომ არ უნ-  
და ნახოს, რომელსაც ოთახში საიმედოდ ვერსად დამალავ, შიში, რომ ჩამეძი-  
ნება და ნახშირის ნატებს გადავყლაპავ, ღუმელის წინ რომ ბზინავს შავად;  
შიში, რომ რაღაც რიცხვი მეზრდება ტვინში, იზრდება, იქამდე, ვიდრე ჩემში  
სივრცე აღარ ეყოფა; შიში, რომ ეს ტინია, რაზედაც ვწევარ; შიში, რომ დავი-  
ყვირებ და ჩემს კარებთან ხალხი მოიბრუნებს და შემთამტვრევს ბოლოს და ბო-  
ლოს; შიში, რომ შეიძლება თავი გავცე და ვთქვა, რაც მაშინებს; შიში, რომ  
მაინც ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველაფერი გამოუთქმელია და სხვა შიშე-  
ბი... შიშები...

მე ვითხოვე ჩემი ბავშვობა და ის დაბრუნდა და ვგრძნობ, რომ ისეთივე  
მძიმეა, როგორც იყო, და იმით არაფერი არ ეშველა, რომ გავიზარდე. ✕

გუშინ სიცხემ დამიწია და დღეს დღე დაიწყო როგორც გაზაფხული, რო-  
გორც გაზაფხული სურათებში. მინდა შევეცადო და ეროვნულ ბიბლიოთეკა-  
ში წავიდე ჩემს პოეტთან, რომელიც ამდენი ხანია არ წამიკითხავს; და მერე  
ეგებ ბაღებშიც შევძლო გასეირნება ნელი ნაბიჯით. ვინ იცის, ეგებ ქარი დაპ-  
ქრის გუბურის თავზე, სადაც ასეთი ნამდვილი წყალი დგას, მოდიან ბავშვები,  
წითელაფრიან ნავებს უშვებენ და უყურებენ.

დღეს არ მეგონა, თუ ასეთი რამ შემემთხვეოდა. ისე მხნედ გავედი ქუჩა-  
ში, თითქოს ამაზე უბრალო არა იყო რა, და მაინც შემხვდა რაღაც ისეთი, რა-  
მაც ქალაქიდან ამიღო, ერთიანად დამჭმუჭნა და გვერდზე მისროლა. რაღაც  
გაუგონარი შემემთხვა დღესაც. წმინდა მიშელის ბულვარი ცარიელი იყო და  
ვრცელი, და მე მსუბუქად მივაბიჯებდი მის ნელ დაღმართზე. ზემოთ ფანჯრე-  
ბი იხსნებოდნენ მინისებური ხმოვანებით და მათი მბრწყინავი ათინათი თეთრი  
ჩიტვივით მიფრინავდა ბულვარის თავზე. გვერდით წითელბორბლებიანმა ეტ-  
ლმა ჩაიარა და ქვემოთ, უფრო მოშორებით, ვიღაცას ღია მწვანე რაღაც მიპ-  
ქონდა. ცხენები, თავიანთი სხივმფინარე აღკაზმულობით სწრაფად მიპქრო-  
დნენ ახლად მორწყულ, ჩამუჭებულ, სუფთა ქუჩაზე, ქარი უბერავდა, ახალი,  
ღბილი და ყველაფერი მატულობდა: სურნელებანი, ზარები და შეძახილები.  
ერთ კაფეს ჩავუარე, სადაც საღამოობით წითელ ბოშებად გადაცმული ანსამ-  
ბლი უკრავდა. ღია ფანჯრებიდან სინდისის ქენჯნით მოიბარებოდა ღამენათევი  
ჰაერი, თმადავარცხნილი კელნერები იდგნენ და შესასვლელთან იატაკს სწმენ-  
დნენ. ერთი მათგანი, წელში მოხრილი მუჭა-მუჭა ყრიდა ყვითელ ქვიშას მა-  
გიდების ქვეშ. უეცრად ამხანაგი დაეჯახა გვერდით ჩავლისას და ხელით რაღაც  
დაანახა გარეთ ქუჩაში. კელნერი, რომელსაც სახე ერთიანად გაჭარბლებოდა,  
ერთხანს გაფაციცებით იყურებოდა ნაჩვენები მიმართულებით, შემდეგ მის  
უწვერო ლოყებს სიცილი ისე მოედო, თითქოს ზემოდან ქვიშასავით მოაფ-  
რქვიესო. მან ხელი დაუქნია მეორე კელნერს, მოციხარი სახე რამდენიმეჯერ  
სწრაფად მიატრიალ-მოატრიალა, მარჯვნივ და მარცხნივ, რათა ყველასათვის  
დაეძახა და თავადაც არაფერი გამორჩენოდა. ჰოდა, ყველანი ასე იდგნენ და

ქვემოთ იმზირებოდნენ თუ მზერით ეძებდნენ. გალიმებულნი თუ გაბრაზებულნი, თითქოსდა ჯერ ვერ აღმოეჩინათ, თუ რა იყო იქ სასაცილო. ვიგრძენი, რალაც შიში დამეუფლა. რალაცა ქუჩის მეორე მხარეს მეწეოდა. მაგრამ მე მხოლოდ ნაბიჯს ავუჩქარე და უნებურად ჩემს წინ მიმავალი რამდენიმე ქვევათვალიერე, ოღონდ მათში სასაცილო ვერა ვიპოვე რა. თუმცა დაფიქრებულად, რომ ერთი მათგანი, ლურჯწინსაფრიანი დამტარებელი ბიჭი, რომელსაც მხარზე ცარიელი კალათა შეედგა, ვილაცას გასცქეროდა. გული რომ იჯერა, ადგილზევე 'ძემობრუნდა სახლებისაკენ, 'შუბლზე თითი თიქირა და ისეთი რამ ანიშნა ქუჩის იქითა მხარეს მოცინარ ნოქარს, რაც ყველასათვის ნაცნობი და გასაგებია. შემდეგ თავისი შავი თვალელები დააკვესა და კმაყოფილი, რწევად-რწევით ჩემსკენ გამოემართა.

ველოდებოდი, რომ მაშინვე, როგორც კი ჩემს თვალს სივრცე მიეცემოდა, რალაც ან ვილაც უჩვეულოსა და თვალშისაცემს დავინახავდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წინ მხოლოდ ერთი მაღალი და ხმელ-ხმელი კაცი მიდიოდა, რომელსაც შავი პალტო ეცვა და მოკლედ შეჭრილ, გახუნებულ თმაზე ფაფუკი, შავი ფერის ქუდი ეხურა. დავრწმუნდი, რომ არც კაცის ჩაცმულობაში და არც მის საქციელში სასაცილო არა იყო რა და ის იყო დავაპირე, მის მიღმა ქუჩის ბოლოსკენ გამეხედა, რომ მოულოდნელად კაცმა რალაცაზე წაიბორძიკა. რადგანაც ახლოს მივყვებოდი, მეც ყურადღება გავამახვილე, მაგრამ იმ ადგილს რომ მივალწიე, იქ არაფერი არ აღმოჩნდა, სულ აოაფერი. ორთავემ გზა განვაგრძეთ, მან და მე, და მანძილი ჩვენს შორის არ იცვლებოდა. აი, მივედით გადასასვლელთან და სწორედ აქ მოხდა, რომ კაცმა თავისი არაერთნაირი ფეხებით ტროტუარის საფეხურები სულ ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა, ისე როგორც ზოგჯერ ბავშვები შეიკუნტრუშებენ ხოლმე სიარულისას, როდესაც რამე გაეხარდებათ. იქითა ტროტუარის ასასვლელი კი უბრალოდ აიარა ერთი გრძელი ნაბიჯით. მაგრამ ძლივს იყო ტროტუარზე ასული, რომ ერთი ფეხი ოდნავ ასწია და მეორე ფეხით ჰაერში შეხტა, შემდეგ ისევ შეხტა, კიდევ და კიდევ, ახლაც მშვენივრად შეიძლებოდა, ეს ანაზღეული მოძრაობა კაცს წაბორძიკებად მიეჩნია, თუკი თავს დაარწმუნებდა, რომ იმ ადგილას, ძირს რალაც ეგდო, კურკა ანდა ნაყოფის წვნიანი კანი. და საკვირველი სწორედ ის გახლდათ, რომ თვითონ ამ კაცს ეტყობა, სჯეროდა ამგვარი დაბრკოლების არსებობისა, რადგანაც ყოველთვის ნახევრად გაბრაზებული, ნახევრად მოსაყვედურე მზერით გამოჰხედავდა ხოლმე ამ ნავსიან ადგილს, როგორც საერთოდ იქცევიან ასეთ შემთხვევაში. ერთხელ კიდევ ჩამძახა რალაც გამაფრთხილებელმა ხმამ, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი. მაგრამ არ მივყევი და იქვე დავრჩი, ამ კაცის ზურგს უკან და მთელი ყურადღება მისი ფეხებისაკენ მივმართე. უნდა გამოვტყდე, რომ უცნაური შვება ვიგრძენი, როცა მთელი ოცი ნაბიჯის მანძილზე ის ხტუნვა აღარ განმეორდა, მაგრამ როდესაც ზემოთ ავიხედე, დავინახე, რომ ამასობაში ამ კაცს სხვა უბედურება დამართნოდა: პალტოს საყელო ზემოთ ასწეოდა და რამდენსაც არ ცდილობდა, ხან ერთი ხელით, ხან მეორეთი მის ჩამოწევას, საყელო არა და არ ნებდებოდა. ხდება ხოლმე. თვითონ ამ ამბავს დიდად არ ავუღელვებოვარ, მაგრამ მაშინვე ჩემდა უსაზღვროდ განსაცვიფრებლად აღმოვაჩინე, რომ ამ ადამიანის მოფუსფუსე ხელებში ორი მოძრაობა იმალებოდა: ერთი — ფარული, სწრაფი, რომლითაც კაცი თავის საყელოს შეუმჩნევლად ზემოთკენ სწევდა და მეორე — ის დაწვრილებითი, შემაჩერებელი, გადაჭარბებულად გულმოდგინე მოძრაობა, რომლითაც

საყელოს ჩამოწევას ლამობდა. ჩემმა აღმოჩენამ ისე ამირია გონება, რომ მთელი ორი წუთი გავიდა, ვიდრე მივხვდებოდი: ამ კაცის კისერში ზემოთაწეული საყელოს მიღმა, და ნერვიულად აფორიაქებულ ხელებში იგივე, საშინელი ორტაქტიანი ხტუნვა იმალებოდა, რომელმაც ის-ის იყო მისი ფეხები მიატოვა. ამ წუთიდან მას მივეჯაჭვე, მივხვდი, რომ ეს ხტუნვა მთელს მის სხეულში დაწრიალებდა და ცდილობდა, ხან აქ და ხან იქ გამოერღვია და გამომხტარიყო. მივხვდი მის შიშს ხალხის წინაშე და თავადვე დავიწყე თვალთვალი, გამვლელები ხომ არაფერს ამჩნევენ-მეთქი. და ცივი ჩხვლეტა ვიგრძენი ზურგში, როცა უეცრად მისმა ფეხებმა მოკლე და აცახცახებული ნახტომი გააკეთეს, მაგრამ არც ეს შეუნიშნავს ვინმეს და ამ დროს თავში მომივიდა, რომ მეც დამეწყო ცოტა ბორძიკი, თუკი ვინმე შემოგვხედავდა, რაღა თქმა უნდა, ეს მშვენიერი საშუალება იქნებოდა ცნობისმოყვარეთა დასარწმუნებლად, რომ გზაზე მართლაც ეგდო რაღაც ციციქნა და შეუმჩნეველი, რომელსაც ორივემ ფეხი დავადგიოთ. მაგრამ, ვიდრე მე შველაზე ვფიქრობდი, მას თვითონვე ეპოვა ახალი, ბრწყინვალე გამოსავალი. დამავიწყდა მეთქვა, რომ მას ყავარჯენი ეჭირა. პო, ეს უბრალო, შავი ხის ჯოხი იყო, სადა, მომრგვალებული კავით და ამ კაცს, შიშით გათანგული გამოსავალს რომ ეძებდა, აზრად მოსვლოდა, ყავარჯენი, ჯერ ცალი ხელით (რადგან ღმერთმა იცის, მეორე კიდევ რისთვის დასჭირდებოდა) ხერხემლის გარდიგარდმო ზურგზე მიეკრა და კავი პალტოს საყელოზე ჩამოეცვა, ისე, რომ იგი კისერსა და ხერხემლის პირველ მალას შორის მტკიცე საყრდენის როლს ასრულებდა. ეს ისეთ პოზას წარმოადგენდა, რომ არ იყო მაინცდამაინც თვალშისაცემი, დიდი-დიდი, მხიარულ ხუმრობად შეიძლებოდა მიჩნეულიყო. მოულოდნელი გაზაფხულით შეიძლებოდა მისი ახსნა და მიტევება.

არვის მოსვლია აზრად მოხედვა და საქმე კარგად წავიდა. დიდებულადაც კი მიდიოდა. მხოლოდ შემდეგ გადასასვლელზე ისევ გაჩნდა ორი ნახტომი, თუმცა, სრულიად უმნიშვნელო. და თანაც ერთი, უფრო აშკარა, ისე მოხერხებულად გააკეთა (გზის გარდიგარდმო ბედად რეზინის მილი ეგდო), რომ არაფერი იყო საშიში. დიახ, ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ხანდახან მეორე ხელიც სწვდებოდა ხოლმე ყავარჯენს, უფრო მაგრად აჭერდა ზურგს და საფრთხეც იმ წამსვე არიდებული იყო თავიდან. მაგრამ არაფერი შემეძლო მეღონა იმის წინააღმდეგ, რომ ჩემი შიში მაინც იზრდებოდა. ვიცოდი, რომ ვიდრე ეს კაცი ასე მიდიოდა და უსაშველო დაძაბულობის ფასად ცდილობდა გულგრილი და დაბნეული სახე ჰქონოდა, მის სხეულში განუწყვეტლივ გროვდებოდა და მატულობდა ეს შემზარავი ცახცახი. და მისი შიში უკვე მეც გადმომეცა, შიში, რომლითაც ის ამ განუხრელ მატებას გრძნობდა. და მე ვხედავდი, როგორ ებლაუჭებოდა იგი ყავარჯენს, როცა მის შიგნით ეს ჩუმი თრთოლვა იწყებოდა. მაშინ ამ კაცის ხელები ისე დაუნდობლად და მრისხანედ გამოიყურებოდნენ, რომ მთელ იმედს მის ნებისყოფაზე ვამყარებდი. ახლა მას დიდი ნებისყოფა სჭირდებოდა, მაგრამ ან ნებისყოფას რაღა შეეძლო. დადგებოდა წუთი, როცა მას ძალა გამოელეოდა და ეს წუთიც შორს აღარ იყო. და მე, გულამოვარდნილი რომ მივდევდი უკან, ჩემს მცირეოდენ ძალას ხურდა ფულივით ვაგროვებდი, მის ხელებს შევყურებდი და ვევედრებოდი, რომ აელო ის ძალა თუ სჭირდებოდა. და მე მჯერა, რომ მან აიღო. რა ჩემი ბრალი იყო, რომ მეტი არ მქონდა. წმინდა მიშელის ქუჩაზე ბევრი ეტლი და ხალხი ირეოდა, ხშირად ორ ეტლს შორის აღმოვჩნდებოდიოთ ხოლმე, აქ კი ის სულს ით-

ქვამდა და რომ ოდნავ მაინც შეესვენა, ცახცახს ნებდებოდა: ოდნავ ხტუნავდა და თავს აქნევდა. ეგების ეს ცბიერება გახლდათ, რომლითაც დატყვევებული ავადმყოფობა ამ კაცის დაძლევის ლამობდა. ნებისყოფა ორ ადგილზე გახვრეტილიყო: წელანდელ დანებებას გაათრებულ კუნთებში ჩუმი, მაცოფუნებელი ნიმშიდველობა და თან ის მოძალადე ორტაქტი დაეტოვებინა, მას ხტუნავდა კენ რომ უბიძგებდა, მაგრამ ყავარჯენი ჯერ ისევ თავის ადგილას იყო. და ხელებიც ავად და მრისხანედ გამოიყურებოდნენ. ასე გავედით ხიდზე და საქმე ჯერ ისევ კარგად მიდიოდა. მაგრამ რაღაცა გაუბედაობა შეეპარა იმის სიარულს... და აი, ორი ნაბიჯი გაირბინა და გაჩერდა. მარცხენა ხელი ნელა მოსცილდა ყავარჯენს და ისე ნელა და ცახცახით აღიმართა ზემოთ, თითქოს ჰაერის გაკვეთა უჭირსო. მან ქუდი ოდნავ გადაიწია, ხელი შუბლზე მოისვა, მიიმედა, თავი ოდნავ მოატრიალა და მისი მზერა აბარბაცდა ცაზე, სახლებზე, ქვემოთ წყალში, მაგრამ ვერაფერს მოეჭიდა და... აქ ის დანებდა. ყავარჯენი გაუვარდა, ხელები ისე გაშალა, თითქოს ცაში სურდა აფრენა და მისგან ბუნების სტიქიონივით ამოსკდა რაღაც, რამაც წინ გადაზნიქა, მერე უკანვე მიაწყვიტა, თავი აუცახცახა, წელში მოხარა და... მისი სიღრმიდან ამოიფრქვა ძალა ცეკვისა: გამვლელთა წრეში, რადგანაც უკვე ბევრი ხალხი შემოხვეოდა და ველარ ვხედავდი.

რა აზრი ჰქონდა სადმე წასვლას? ერთიანად დაცვარიელი. ცარიელი ქაღალდით ავეკარი სახლების რიგს და ბულვარს ავუყევი.

ვციდილობ, წერილი მოგწერო, თუმცა ვერ ვხედავ შენთან დამშვიდობების აუცილებლობას. მე მაინც ვციდილობ, მჯერა, ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო, რადგან წმინდანი ვიხილე პანთეონში, მარტოსული, წმინდანი ქალი, და სახურავი და კარი, და შიგნით ლამპარი სინათლის მქრალი წრით, და გაღმა კი მძინარე ქალაქი, მდინარე და მისი შორი შემოგარენი მთვარის სხივებში. წმინდანი ფხიზლობს მძინარე ქალაქის თავზე. ვიტყვით, რადგან ყველაფერი ერთბაშად, ასე მოულოდნელად დამიხვდა იქ. მე ვიტყვით ამის წინაშე, არ ვიცოდი თავისათვის როგორ მეშველა.

მე პარიზში ვარ. ზოგს უხარია, ვინც ამას იგებს, უმეტესთ კი შურთ. მართალი არიან. ეს არის დიდი ქალაქი, დიდი და სავსე საკვირველი ცთუნებებით. რაც მე შემეხება, უნდა გამოვტყდე, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მე მათ მძლიეს. ვფიქრობ, სხვაგვარად ეს არ ითქმის. მე ამ ცთუნებებმა მძლიეს და ამან გარკვეული ცვლილებანი გამოიწვია, თუ ჩემს ხასიათში არა, ჩემს მსოფლმხედველობაში მაინც, ჩემს ცხოვრებაში კი უეჭველად. ამ გავლენების შედეგად ყოველი საგნის რაღაც სრულიად განსხვავებული აღქმა ჩამომიყალიბდა. გარკვეული თავისებურებანი გამიჩნდა, ახლა ადამიანთაგან უფრო ძლიერ რომ მაშორებენ, ვიდრე ყველაფერი, რაც დღემდე იყო. სახეცვლილი სამყარო. ახალი ცხოვრება, სავსე ახალი მნიშვნელობებით. ამ წუთს ცოტა არ იყოს მიჭირს, რადგანაც ყოველივე მეტისმეტად ახალია. მე ახალბედა ვარ ჩემს ახლანდელ ცხოვრებაში.

შესაძლებელია, რომ ზღვა ვნახო ერთხელ?

კი, მაგრამ, დაფიქრდი, წარმოვიდგინე, რომ შენ შესაძლებელი ჩემთან ჩამოსვლას. მითხარი, ექიმში ხომ არ გეგულება სადმე? დამავიწყდა ამის გაგება. თუმცა უკვე აღარც მჭირდება.

გაგონდება ბოდლერის დაუჯერებელი ლექსი „Une Charogne“<sup>1</sup>? შეიძლება მხოლოდ ახლა მესმოდეს. გარდა ბოლო სტროფისა, ის მართალია. რა უნდა ექნა, თუკი ამ ლექსს გადაეყარა? მისი ვალი იყო, რომ ამ საშინელში, მხოლოდ მოჩვენებითად საზიზღარში დაენახა ყოფიერი, ყოველ არსებულში რომ მყოფობს. არ არსებობს არჩევანი და უარყოფა. განა შემთხვევითად შეგაჩნია, რომ ფლობერმა თავისი „Saint-Julien-l'Hospitalier“<sup>2</sup> დაწერა? მე მგონი, გადამწყვეტი ეს უნდა იყოს: იღებს თუ არა ვინმე თავის თავზე, რომ კეთროვანს მიუწვევს გვერდით და გაათბოს იგი სიყვარულის ღამეთა გულმზურვალეობით. ამას კი მხოლოდ კეთილი ბოლო შეიძლება ჰქონდეს. ოღონდ, ნუ იფიქრებ, რომ თითქოს აქ იმედგაცრუებით ვიტანჯებოდე, პირიქით, ზოგჯერ მაკვირვებს, რა მზადყოფნით ვამბობ უარს ყველაფერზე, რასაც ველოდი, სინამდვილის გულნათვის, მაშინაც კი, როცა ეს სინამდვილე აგრერიგად უკეთურია. ღმერთო ჩემო, რომ შეიძლებოდეს ამ განცდის რამენაირად გაზიარება! მაგრამ განა ის იქნებოდა მაშინ, იქნებოდა მაშინლა? არა, ის არის მხოლოდ მართობის საფასურად.

ჰაერის ყოველი ნაწილაკი საშინელებით გასენილა და დამძიმებულა. ამ საშინელებას შევისუნთქავთ გამჭვირვალე მატერიასთან ერთად. მაგრამ ის ჩვენში დაილექება, წამსვე წამახულ, გეომეტრიულ სხეულებად გადაიქცევა და შინაგან ორგანოთა შორის ჩაგვეხერგება. რადგან ყველაფერი — რაც კი ხდებოდა სასამართლო მოედნებზე, წამებისათვის განკუთვნილ საკნებში, საგიჟეებში, საოპერაციო მაგიდებზე, გვიან შემოდგომით ხიდების თაღებქვეშ — მთელი ეს მომხდარი საშინელება, გადატანილი ტანჯვა-წამება, წარუვალაია, არასდროს ქრება, უხილავად რჩება ყველგან, რჩება ჰაერში და იქ გროვდება: ის თვითონ აგროვებს თავის შემზარავ სინამდვილეს, ჯიუტად, ბრაზით შეპყრობილი ყველა ცოცხალი არსების მიმართ, რადგან ყველა გაურბის მას. ადამიანებსაც ხომ ასე სწადიათ, დაივიწყონ ყველა ტკივილი და დამღამობით მათი ძილი გულმოწყალედ და ღბილად ქლიბავს ღრმად ამოტვიფრულ, ტანჯვით ავსებულ ნაოჭებს ტვინში: სურს გადაშალოს, მაგრამ სიზმრები ძილს განდევნიან და აღადგენენ ისევ ამ ხაზებს და ადამიანები იღვიძებენ, ქოშინებენ, ანთებენ სანთელს, იცდიან, ვიდრე მისი სინათლე სიბნელეში განზავდებოდეს და დამტკბარი წყალივით სვამენ მერე ამ ნახევრად ბნელ დამშვიდებას. მაგრამ ეჰ! რა ბეწვზე ჰკიდია ეს სიმშვიდე! უმცირესი შერბევა და მზერა მოსწყდება ნაცნობ და მახლობელ საგნებს და წუთის წინ მათი ასეთი მანუგეშებელი ხაზები საშინელების უზარმაზარი სახის ნაკვეთებად გადაიქცევა. ერიდე სინათლეს, რომელიც უფრო აშიშვლებს ოთახს. ნუ მიმოიხედავ, როცა საწოლში წამოჯდები, ნუ შეამოწმებ, ზურგიდან რაიმე ვეება ჩრდილი თავს მბრძანებელივით ხომ არ წამოგადგა. ვინ იცის, ეგებ სჯობდა კიდევ, რომ სიბნელეში დარჩენილიყავ, ამ შემაშინებელი გაურკვევლობისათვის ჩუმად გაგედლო და მაშინათვე მას სინათლით არ გამიჯვნოდნი? ეგებ ის სჯობდა, გული გაგეხსნა ამ ბუნდოვანი შიშის ქვეყნისთვის, შენს გულს ეცადა და ამ ქვეყნის დამძიმებულ გულად ქცეულიყო? მაგრამ ეს შენ არ გააკეთე. და აი, ახლა დაძაბულხარ, ისე შეკრულხარ და შეკუმშულხარ შენსავე თავში, რომ შენში სი-

<sup>1</sup> „Une Charogne“ — „ლეში“ (ფრანგ.).

<sup>2</sup> „Saint - Julien - l'Hospitalier“ — „წმინდა ჟულიენი — მფარველი“ (ფრანგ.).



ურცე აღარც კი რჩება.. გსურს აგრერიგად შემოიზღუდო ყველაფერი, რაც  
 კი თავზარს გცემს... და თითქმის გამშვიდებს, როდესაც ფიქრობ, რომ ახლა  
 ის „უზარმაზარი და საშინელი“ ამ შენ შინაგან სივიწროვე შეგვედევნე, რომ  
 რომ თვითონაც უნდა დაპატარავდეს... მაგრამ საშინელება უნდა შენს ყველაფერ  
 ხდება ცხოვრებაში და იქ იზრდება! გარეთ კი აბა შენ რას გააწყობ, და როცა  
 იქ გროვდება და იქ აზვირთდება, მაშინ შენს არსებაშიც შემოიჭრება დაუკი-  
 თხავად: შენს კიდურებს კი არ მიაშურებს, ნაწილობრივ მაინც რომ გემორ-  
 ჩილებიან ანდა შენი უფრო გულგრილი ორგანოების ფლეგმას. არა, ყველაზე  
 მგრძობიარე კაპილარებიდან შემოდის იგი, აქ გროვდება და სისხლძარღვები  
 მას მიღებივით შეიწოვენ ქვემოდან ზემოთ, შენი განტოტვილი, ურიცხველ-  
 იანი არსების ყველაზე ზედა განტოტებებისაკენ და ასე თანდათან, მთელი  
 ცხოვრების მანძილზე გავსებს საშინელება. სულ ზემოთ იწევს შენს არსება-  
 ში — გაავსებს და გასცდება შენს გულს, გაგცდება შენ თვითონ... შენს ზემოთ  
 მიდის...და რაღა გრჩება? — მხოლოდღა სუნთქვა, ერთადერთი, სიცოცხლე-  
 სთან რაც გაკავშირებს, შენი ბოლო სამყოფელი და შენც მასლა ებლაუჭები...  
 მაგრამ იგი სუნთქვასაც ავსებს და... ოჰ! ახლა საითღა? სადღა წახვალ?... უკვე  
 მთავრდება: გული შენი გამოგდენის შენსავ თავიდან, გული თითქოს ზურგს  
 უკან გრჩება და დგახარ შენივე სხეულის გარეთ და უკან ვერასგზით ველარ  
 ბრუნდება, როგორც ხოჭო, ფეხით რომ სრესენ, გადმოინთხევი შენსავ თავი-  
 დან — და ვერაფერი ველარ გიშველის: ველარც შენი შემგუებლობა და ვე-  
 ლარც შედარებითი გამძლეობა შენი სხეულის ზედაპირისა.

ო, ღამე, საგნებს რომ აუჩინარებს, უფერებო და უსაგნებო. ო, წყვილიაღით  
 სავსე ფანჯრები, ო, გულმოდგინედ მიხურული ოთახის კარი: სახლი, საგნები,  
 ოდითგან დღემდე, ჩვენ რომ გადმოგვცეს, ჩვენც რომ ვირწმუნეთ, შევეჩვი-  
 ეთ და ბოლომდე ვერასოდეს ვერ შევიცანით. ო, სიჩუმე. სიჩუმე საკიბურში,  
 სიჩუმე გვერდითა ოთახიდან, სიჩუმე ჭერზე. ო, დედა, ო, ერთადერთო, ვინც  
 ამ სიჩუმეს ჩამოეფარე, ოდესღაც, ბავშვობაში, ვინც ამ სიჩუმეს საკუთარ  
 თავზე იღებ და ამბობ: „ნუ გეშინია, ეს მე ვარო“. ვისაც შეგწევს გამბედაობა,  
 ღამით მთლიანად ამ სიჩუმედ გარდაისახო ბავშვის გულისთვის, სიჩუმის ში-  
 შით რომ დაზაფრულა. შენ ანთებ სანთელს და უკვე შრიალი ხარ. წინგაწ-  
 ვდილ ხელით მოგაქვს სინათლე და ამბობ: „ეს მე ვარ მე, ნუ გეშინია“. ნე-  
 შით რომ დაზაფრულა. შენ ანთებ სანთელს და უკვე შრიალი ხარ. წინგაწ-  
 ხარ მახლობელ, გულითად საგანთა ირგვლივ, რაიმე ფარულ აზრის გარეშე  
 ჩვენს გარშემო რომ განლაგებულან: კეთილად, მარტივად და ერთაზროვნად.  
 და თუ რაიმე აწრიალდება სადმე კედელში, ანდა ნაბიჯი გაისმება სადმე წინ-  
 კარში, შენ გაიღიებ მხოლოდ და მხოლოდ. იღიმი: მთლიანად მკვირვალდები  
 მაგ ღიმილით და შენი არსების უშრეტ სინათლით, ასე შეჭლიმი ბავშვის ში-  
 შით ავსებულ სახეს, სახეს, რომელიც გეკითხება და პასუხს ელის, თითქოს  
 საიდუმლოდ იყო შეთქმული ყველა ამ ჩქამთან და შეთანხმებული. თუ შეედ-  
 რება რაიმე ძალა ძალას შენსას ამქვეყნიურ მეუფებაში? შეხედე მეფეთ, წვა-  
 ნან შიშისგან გახევებულნი და მეზღაპრენი მათ გართობას ვერ ახერხებენ.  
 და შიშს ისინი ამქვეყნად ვერსად ემალებიან: სატრფოთა ნეტარ მკერდზე და-

მხოლოდ ანაზღვეულად შეიპყრობს ძრწოლა, ადამბლავეს და სურვილს უქრობს.

შენ კი მოდიხარ და თავზარდამცემს შენს ზურგს უკან აჩერებ ხელით. და მთლიანად მის წინ ხარ. ფარდასავით კი არ ეფარები, რომლის გამოგლეჯაც მას შეუძლია, არა, თითქოსდა გამოასწარ ჩვენს დაძახილზე და ყველაფერზე ადრე მოხვედრი, რასაც კი ძალუძს მოვიდეს ჩვენთან, თითქოს ზურგსუკან ეს გამოშურება გქონდეს მარტოდენ, მარადყამული შენი სავალი, ფრენა შენი სიყვარულისა. ✕

ნიღბების ჩამომსხმელს, რომლის სახლთანაც ყოველდღე მიწევს ჩავლა, ორი ნიღაბი გამოუკიდია გარეთ კედელზე: ერთი — ახალგაზრდა, წყალში დამხრჩვალის ქალის სახეა, რომლის ნიღაბიც მორგში აიღეს, რადგან ეს სახე ლამაზი იყო, რადგან ეს სახე ისე განგებ, სხვათა დასანახად იღიმებოდა, თითქოს თვითონაც იცოდა, რომ იღიმებოდა. ხოლო მის ქვემოთ — ჯაცის სახე, სახე, რომელმაც მკვდარმაც იცოდა, რაც დაემართა! — ეს იყო მკვრივად შეკრულ შეგრძნებათა მძიმე გორგალი, უღმობელი თვითშედეგება ნიადაგ აქროლების მსურველ მუსიკის; სახე კაცისა, ვისაც ღმერთმა სმენა დაუბოძო, რათა სხვა ხმები აღარ ესმინა, იმ ხმების გარდა, მისსავე წიაღში რაც გაისმოდა, რათა თავგზა არ აბნეოდა სწრაფწარმავალ ხმოვანებათა სხლტომასა და სიმღვრივეში, მას, ვის სიღრმეშიც მათი სიცხადე და გრძლივობა თრთოდა. სმენა დაუბოძო, რათა ამ კაცში მთელი სამყარო მხოლოდ სიჩუმედ ჩაღვრილიყო; უბო, დაძაბული, მომლოდინე ქვეყნიერება, როგორც იყო ბგერის შექმნამდე. ✕

შენ, ხელოვანო და სამყაროს სრულქმნილების გამსრულებელო! როგორც ის წყალი, წვიმად რომ დასდის დედამიწას და ზღვების ზედაპირს, დაუდევრად რომ ეშვება ძირს, შემთხვევით ინთხევა, შემდეგ კი სულმთლად უჩინარი, ხალისიანად ზეაღსდგება მიწის პირიდან კანონის ძალით, ზემოთ მიიწევს და ლივლივებს და იქ ქმნის ზეცათ, — სწორედ ასევე ამოსკდა შენგან ჩვენეულ დანალექთა აზღვავება და სამყაროს მუსიკად გადაეთალა.

შენს დიდ მუსიკად: ო, ნეტავ იგი სიმაღლეში დარჩენილიყო, ასე მთელი სამყაროს ირგვლივ, და აქ, ჩვენს ირგვლივ არ ეხმიანა. შენთვის ფორტეპიანო უნდა დაედგათ შორს, თებაისში<sup>2</sup> და ანგელოზი წაგძლოლოდა და მიეყვანე ინსტრუმენტის იმ უსაზღვრო სიმარტოვეში, უდაბნოს მძიმე მწვერვალთა გავლით, სადაც მეფენი განისვენებენ, მეუდაბნოენი და პეტერანი. შიგნიდან და თავად კი მაშინვე გაგეცლებოდა, ისევ ჰაერში აიჭრებოდა შეშინებული; აი, იწყებსო. და დაიწყებდი — ნიაღვარად გადმოსკდებოდი, დიდო დინებავ, და სამყაროს დაუბრუნებდი გაუგონარი მუსიკის ღვარებს — რადგანაც მისი გაძლება და მისი გაგება შეუძლია მხოლოდ სამყაროს. ბედუინები სიშორეში განიბნებოდნენ, ცრუმორწმუნენი. ხოლო ვაჭართა ქარავანი დაემზობოდა შენეული მუსიკის პირას — რადგან გრივალი ეგონებოდა. თითო-ოროლა ლომი თუ დაჯდებოდა შენს შორიანლოს შუალამისას, საკუთარი თავით დამფრთხალი, შეშინებული საკუთარი, აჩქროლებული სისხლის მუქარით.

<sup>1</sup> აქედან მთელი პასაჟი მიმართულია ბეთხოვენისადმი (მთარ.).

<sup>2</sup> თებაისი — ჩრდილო ეგვიპტის ძველი სახელწოდება. (მთ.).

რადგან აწ ვილამ გამოდენოს შენი მუსიკა ადამიანთა ბილწი ყურიდან? და ვინ ვანდენის მათ მუსიკის დარბაზებიდან — საკუთარი თავით მოვაჭრეთ, ბერწი, გამშრალი სმენის პატრონებს, სმენის, რომელიც მუდამ მკლავობს და არასოდეს არ იღებს მუცლად? აი, თესლი გადმობრწყინდება! ისინი კი ვახბებ-ბივით ქვემოთ რჩებიან და თამაშობენ ამ წმინდა თესლით. ან ის ქვემოთ მოდის მათ შორის, ქვემოთ რომ წვანან გამოფიტულნი ფუჭი, უსაგნო სიამოვნებით, ვითარცა თესლი ონანისა<sup>1</sup>.

მაგრამ, ბატონო, სადაც არ უნდა წოლილიყო შეუბღალავი, ქალწულებრივი სმენის პატრონი, შენეული ხმოვანებისას — ის მოკვდებოდა ნეტარებისგან ან უსასრულოს ჩაისახავდა და მისი განაყოფიერებული ტვინი გასკდებოდა ხმამაღალი მშობიარობით.

X

მე არ ვამცირებ ამის მნიშვნელობას. ვიცი, გაბედულებაა საჭირო. მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ ვინმეს აღმოსჩენოდა კიდეც ეს *Courage de luxe* და მათ გაჰყოლოდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაეგო: შიმდეგ სად მიიპარებიან ეს ადამიანები და რას აკეთებენ იმ უამრავ სხვა დღეებში და იძინებენ თუ არა ღამით? ამის დადგენა განსაკუთრებით აუცილებელი იქნებოდა: სძინავთ თუ არა. მაგრამ მხოლოდ გაბედულება საქმეს ვერ შევლის. რადგან ისინი სხვებივით კი არ მიდიან-მოდიან, რომელთა გადევნებაც სულ იოლი რამ იქნებოდა. ისინი უცბად ჩნდებიან და ისევ ქრებიან, როგორც კალის ჭარისკაცები, ბავშვები რომ ჩაამწყრივებენ და მერე ერთბაშად მოუსვამენ ხოლმე ხელს. ცოტა მოშორებული ადგილებია, სადაც ისინი ჩვეულებრივ დგანან, მაგრამ მივარდნილი სულაც არ ეთქმის. ბუჩქნარი უკან იხევს, გზა ოდნავ უხვევს დატარა მდელის გაყოლებაზე. აქ დგანან ისინი, მათ ირგვლივ გამჭვირვალე სივრცეა მხოლოდ, თითქოსდა ვულკანური მინის ქვეშ იდგნენ. შეიძლებოდა, ჩაფიქრებულ მოსეირნებად მიგეჩნია ეს შეუმჩნეველი და პატარა, ყველა თვალსაზრისით, თავმდაბალი კაცები, მაგრამ შეცდებოდი. ხედავ იმათ მარცხენა ხელს, რაღაცას რომ ეძებს ძველი პალტოს ირბე ჯიბეში? როგორ პოულობს, როგორ ამოაქვს და როგორ იჭერს რაღაცა ციკქნას მოუხერხებლად და თვალშისაცემად მალლა ჰაერში? ერთი წუთიც არ გადის და ორი, სამი ჩიტი უკვე ემშვება: ბელურები, ცნობისწადილით და სკუპ-სკუპით მიდიან მისკენ, და თუ კაცო ახერხებს, რომ უძრაობაზე მათ უაღრესად ზუსტ წარმოდგენას თავისი დგომა შეუსატყვისოს, მაშინ სრული საფუძველი იქმნება იმისათვის, რომ ჩიტები კიდეც უფრო მიუახლოვდნენ. ბოლოს, პირველი აფრინდება და ერთხანს ნერვიულად ელურტულებს და დაფარფატებს იმ ხელის სიმალლეზე, რომელიც (ღმერთმა ხომ იცის) მათ რკბილ და დასორსვლილ პორის ციკქნა ნატებს სთავაზობს თავისი არასმომთხოვნი და ხაზგასმით უარისმთქმელი თითებით. და რაც უფრო ბევრი ხალხი იკრიბება კაცის გარშემო, შესაბამის მანძილზე, რა თქმა უნდა, მით უფრო ნაკლები აქვს მათთან საერთო. ის დგას, როგორც ლამპარი მანათობელი, რომელიც პატრუქის ნარჩენით იწვის, იწვის და ანათებს, თვითონაც თბება თავისი ცეცხლით, მაგრამ ოდნავადაც არ ირბევა.

<sup>1</sup> ონანი — ბიბლიური პერსონაჟი.

<sup>2</sup> *Courage de luxe* (ფრანგ.). — გაბედულება-ფუფუნება (გაუგონარი გაბედულება).

და თუ როგორ იზიდავს და როგორ იტყუებს, ამის განსჯა იმ პატარა და სულელ ჩიტებს არ შეუძლიათ. მაყურებელნი რომ არ ყოფილიყვნენ და ამ კაცს დასცლოდა იქ საკმაოდ ხანგრძლივად დგომა, მჯერა, ერთხელაც ანგელოზი მოფრინდებოდა, დასძლევდა ზიზღს და გალუული ხელით გულფუნჯივით მოგებდა ძველი პურის პატარა და მოტკბო ნატებს. მას ელობება ახლაც ხსენებენ, როგორც ყოველთვის: იმისთვის ზრუნავს, რომ ჩიტები მოდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ. ესეც დიდ ფუფუნებად მიაჩნიათ და ამტკიცებენ, ის კაცი სხვას არც არაფერს ელოდებოდა. ანკი რას უნდა ელოდებოდეს ეს გაცვეთილი, ჩამოკონკილი, გალუმბული თოჯინა, ოდნავ ირიბად რომ ჩარჭობილა დედამიწაში, როგორც ძველი ხომალდის ქიმებიდან ჩამოხსნილი ხის კაცუნები, დანიელი მენავეები თავიანთ ბალებში რომ არჭობენ ხოლმე? ნეტავ ეს დგომა იმის გამო ხომ არ დასჩემდა, რომ ესეც ადრე თავისი ცხოვრების ქიმზე იდგა, სადაც ყველაზე მეტად ეხლებოდნენ ქარტახილები? ასე გამოხუნებული და ჩამორეცხილი იმიტომ ხომ არ არის ახლა, რომ ოდესღაც სულმთლად ფერადი იყო. არ გინდა ჰკითხო?

✶ მაგრამ ქალებს ნურაფერს ჰკითხავ, თუ დაინახავ რომელიმეს, მშიერ ჩიტებს პურს როგორ უწვდის. მათ შეიძლება კიდევ გაჰყვეს ადამიანი. ქალები ჩიტებს ისე, სიარულისას აპურებენ. მათი გაყოლა ადვილი იქნებოდა. მაგრამ დაეხსენ. მათ არ იციან, ეს როგორ მოხდა: ერთხელაც მთელი გროვა პური უჩნდებოდათ ხელჩანთებში. და ისინი წინ იშვერენ პურის დიდ ნაჭრებს თავიანთი სიფრიფანა მანტილიიდან, ნაჭრებს, რომლებიც გაღეჭილია ოდნავ და სველი. ქალებს სიამოვნებთ, მათი ნერწყვი მთელ სამყაროს რომ უერთდება, რომ პატარა ჩიტუნები აქეთ-იქით დაფრენენ და პირით ამ გემოს დაატარებენ, თუმცა, ცხადია, ივიწყებენ ამას მაშინვე.

✶ და მე ვიჯექი შენს წიგნებთან, შენ, შეუვალო!, მუდამ რომ მხოლოდ შენებურად გრძნობდი ცხოვრებას, და ვკითხულობდი და ვცდილობდი ჩემებურად გამეგო. ისევე, როგორც ცდილობენ სხვები, არაფრად რომ არ აგდებენ შენი სამყაროს დიდ მთლიანობას, მის ციციქნა ნაწილს იწოვენ მხოლოდ თავიანთი სულის შესატყვისს და კმაყოფილნი სტოვებენ წიგნებს. რადგანაც მაშინ, ჯერ კიდევ არა მქონდა შეცნობილი — დიდება — ეს საჯარო ჩამონგრევა შემოქმედი და ქმნადი სულისა, რომლის შენების ადგილზედაც ბრბო იჭრება და ქვეებს განზე უყრის.

შენ, ახალგაზრდავ, ვინც და სადაც არ უნდა იყო, ვისაც თავზარს გცემს მარტოობის და მტრობის შიში, დაიმახსოვრე: შენთვის მხოლოდ სასიკეთოა, რომ ამქვეყნად არავინ გიცნობს. და თუ ასე გიმხედრდებიან ისინი, ვინც შენ არად გაგდებენ, და თუკი შენი მახლობელნიც გყიდიან და გწირავენ ჩუმად და მათ ყველას სურთ ამოგძირკვონ ძირფესვიანად შენი ძვირფასი აზრების გამო, რას შეედრება ეს ცხადი საფრთხე, შენსავ თავში რომ განგამტკიცებს და გამოგაწრთობს, გვიან მოსული დიდების იმ ცბიერ მტრობას, რომელიც შენ უვნებელს გაგხდის, რადგან როგორც ქარი მტვერს ისე გაგფანტავს!

ნუ სთხოვს ნურავის, შენს შესახებ ილაპარაკოს, თუნდაც აუგად. და რო-

1 იველისხმება ჰ. იბსენი. (მთარგ.).

ცა ქამი გამოხდება და შეამჩნევ, შენი სახელი ირგვლივ ხალხში როგორ ტრიალებს, იმაზე უფრო მნიშვნელოვნად მას ნუ მიიჩნევ, ხალხის პირში რაც ჩაფრდნილა. იფიქრე, რომ ის უკვე წახდა და მოიშორე. სულ სხვა სახელი ამოიჩიე, რომელიმე, რომ ღმერთს შეეძლოს გვიან ღამით შენი მიხმობა. <sup>საქმის შესახებ</sup> ხელი ირგვლივ ყველას გადაუშალე.

შენ უმარტოესო, გამიჯნულო, როგორ შეიძლეს და დაგეწიეს ამ განდიდების გზით და წყალობით! განა რა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც თავად შენს არსს უმხედრდებოდნენ, ახლა კი შენთან გაუბიათ ურთიერთობა როგორც ტოლ-სწორთან. შენს სიტყვებს ყველგან თან დაათრევენ თავიანთი სულის ბნელ გალიებში და აჩვენებენ მათ მოედნებზე და აღიზიანებენ კიდევ ჩუმ-ჩუმად გისოსების იმედით — შენს სიტყვებს — ამ საშინელ გარეულ ცხოველებს.

და როცა პირველად გკითხულობდი, ისე როგორც საჭიროა შენი წაკითხვა, შენმა სიტყვებმა გამოარღვიეს გალიები და თავს დამესხნენ ჩემს უდაბნოში, სასოწარკვეთილნი, როგორც შენ თავად იყავი ბოლოს, შენ, გზა, რომლისაც შეცდომითაა მოხაზული ყველა რუკაზე. ნახტომივით იჭრება ცაში ეს უიმედო ჰიპერბოლა შენეულ გზისა, ერთადერთხელ რომ იხრება ჩვენსკენ და თავზარდაცემული ისევ გვშორდება. რა განადვლებდა, ვილაც ქალი რჩება თუ მიდის? ვილაცას რეტი ესხმება თუ სიგიჟე იპყრობს? მკვდრები ცოცხლობენ თუ ცოცხლები ცოცხლად კვდებიან? — რას იძიებდი? ეს ყველაფერი შენთვის ისეთი ბუნებრივი იყო ყოველთვის. შენ მიდიოდი ამ ხილული ცხოვრების გავლით, შეუჩერებლად; ისე როგორც წინკარს გადიან. მაგრამ იქ უკვე ჩერდებოდი და იცდიდი წელში მოხრილი — იქ, შიგნით, სადაც ცხოვრება დულს და გადმოდის, ილექება და სახეს იცვლის: სულის სიღრმეში, ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე შეულწევიათ. რაღაცა კარი აღიმართა ანაზღად შენს წინ და შენ აღმოჩნდი ცეცხლის შუქზე კოლბათა შორის. იქ, სადაც არვის არასოდეს წაგიჟიანია. უნდობელო, იქ იჯექა და ეკვირდებოდი: როგორ იცვლიდნენ სახეს განცდები, ერთი განცდა სულ სხვა განცდად რომ გარდიქმნებოდა. და იქ, რადგანაც სისხლში გქონდა შენ ჩვენება და არა შექმნა ანდა თუნდაც თქმა, უზარმაზარი რამ განიზრახე: ეს ერთი ციციქნა მოძრაობა, ყველა ეს ოდნავი რხევა სულისა, რასაც თავადაც ჭერჭერობით მარტოოდენ გამადიდებელი შუშით ხედავდი, სრულიად მარტოს გაგეზარდა ისეთ ზომამდე, ვეებერთელა რომ გამხდარიყო ათასთა თვალწინ, ყველას წინაშე. ასე გაჩნდა შენი თეატრი. შენ არ შეგეძლო დაგეცადა, რომ ეს თითქმის უსივრცო, საუკუნეთა მანძილზე წვეთ-წვეთობით დაწნეხილი ჩვენი შინაგანი, უხილავი ცხოვრება სხვა რომელიმე ხელოვნებას აღმოეჩინა და ნელ-ნელა გაეხილვადებინა ზოგიერთთათვის, რომელნიც ბოლოს თავს მოიყრიდნენ და მოითხოვდნენ, ერთად ენახათ ამ დიდებულ მიხვედრათა დადასტურება მათ წინ გადახსნილ სცენის ახალ სიმბოლოებში. არა, შენ ამას ვერ დაუცდიდი. შენ უკვე არსებობდი და შენი ვალი იყო, რომ ეს ვერგასაზომი რაღაცა განცდა, ნახევარი გრადუსით რომ იწვედა ზევით, გადახრის კუთხე ჭერ სრულად დაუძაბავი ნებისყოფისა, რომელიც შენ გამოთვალე სულმთლად ახლოდან, მონატრების ერთი წვეთის მცირე ამღვრევა და ეს მისხალი ფერისცვალება ნდობის ატომში, — ეს დაგედგინა და გეჩვენებინა, რადგანაც ამგვარ ამბებში იყო ახლა ცხოვრება: ჩვენი ცხოვრება, რომელიც ჩვენში შესრიალებულიყო, შიგნით მიკუნჭულიყო, ისე ღრმად, რომ ეჭვიც არავის აღარ ჰქონდა მის იქ ყოფნაზე. და შენ ისეთს, რო-

გორიც იყავი — ჩვენებისათვის გაჩენილი, დროის გარეშე ტრაგიკული პოეტი, — ის უფაქიზესი აღმოჩენები ერთი დარტყმით ღოხდა გარდგეიქმა უღამაჯე-რებლეს ეესტებად, ყველაზე უფრო რეალურ საგნებად და შეუღეჭი უმაგალითო ძალმომრეობას შენს შემოქმედებაზე, უფრო და უფრო მოუთმენლად და სასოწარკვეთით რომ დაეძებდა სულში ნანახის ექვევალენტებს ხილვად, გარეთა საგანთა შორის. აქ იყო ბაჭია, იყო სხეენი, დარბაზი, სადაც ვილაც კაცი დააბიჯებდა: მიწის ზრიალი გვერდით ოთახში, ხანძარი, ფანჯრებს წინ აალეებული. აქ იყო მზე: იყო ეკლესია და კლდე, რომელიც ეკლესიას ჰგავს. მაგრამ ეს ყველაფერი აღარ კმაროდა. ბოლოს კოშკები გახდა საჭირო და აღიმა-რთნენ, მთაგრეხილები და ზვაგები უზარმაზარი, შეცნობადით ავსიბოლ სცე-ნას შეუცნობელის გულისთვის რომ აზანზარებენ — და ყველაფერს მარხავენ წამში. აქ კი მეტი აღარ შეგეძლო: ის ორი ბოლო, ასე ტანჯვით რომ მოღუნე ერთმანეთისკენ — ერთმანეთისგან მიისწრაფოდა: შენი შეშლილი ძალა ამო-სკდა ელასტიური კვერთხის სიღრმიდან, იგი გასწორდა... და თითქოს არც კი ყოფილიყო ქმნილება შენი.

აბა სხვაგვარად ვინ მიხვდებოდა, სიცოცხლის ბოლოს ფანჯრებს რატომ არ სცილდებოდი, შენთვის ჩვეული თვითნებობით იქ რად იდექი: გამვლელე-ბისთვის გასურდა გეცქირა, რადგანაც აზრი დაგებადა, რომ ერთ დღეს ეგებ რაიმე შეგექმნა მათგან, თუკი შენს საქმეს ისევ თავიდან შეუდგებოდი. ✓

მაშინ პირველად მეცა თვალში, რომ ქალის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ. როდესაც მის შესახებ მიაბობდნენ, ვგრძნობდი, თავად ის რომ განზე რჩებოდათ, იხსენებდნენ გარეშე პირთ და წვრილად აღწერდნენ ადგილ-სამყოფელს, გარემოცვას და გარემოებებს, უამრავ საგანს, ერთ წერტილამდე. ყველაფერი ეს სადაც წყდებოდა, რბილად და ასე ვთქვათ, ფრთხილად წყდე-ბოდა მსუბუქი კონტურით, რომელიც რაღაცნაირად მასზე მიმანიშნებდა და რისი თავიდან შემოხაზვა შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. „როგორი იყო?“ — ვკითხულობდი მაშინ. „ქერა, დაახლოებით შენნაირი“, ამბობდნენ ისინი და ყვე-ლაფერს ჩამოთვლიდნენ ისევ წვრილ-წვრილად, რაც კი იცოდნენ მის შესახებ. მაგრამ ამით ის კონტური ისევ მთლიანად იჩინებოდა და მისი წარმოდგენა აღარ შემეძლო. მის ნამდვილად დანახვას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როდესაც დედა იმ ამბავს მიაბობდა, ნიადაგ რომ ვითხოვდი ხოლმე.

და მაშინ დედას ჩვეულებად ჰქონდა, რომ ყოველთვის, როცა კი ძალ-ლის ეპიზოდზე გადავიდოდა, თვალებს ხუჭავდა, და ასე მთლიანად ჩაკეტილ, თუმცა მაინც თითქოს გამჭვირვალე სახეს რაღაცნაირად უჩიათად იქერდა ორთავე ხელით, მას საფეთქლებს რომ უგრეილებდნენ, „მე ეს ვნახე, მალტე“. იფიცებოდა ის; „მე ეს ვნახე“. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მიაბობ ეს ამბავი, როცა აღარავის დანახვა აღარ ეწადა და ყოველთვის, მოგზაურობაშიც კი, თან დაჰქონდა პატარა, ხშირნასვრეტიანი ვერცხლის საწური, რითაც ყვე-ლანაირ სითხეს წურავდა, რადგან მკვრივ საკვებს რა ხანია ვეღარ იტანდა. მხო-ლოდ ბისკვიტი ან პური იყო, რასაც ის, მარტო დარჩენილი, აქუცმაცებდა და ხამცეც-ნამცეც შეექცეოდა, ბავშვებმა რომ იციან ისე. ქინძისთავების წინაშე შიში უკვე მთლიანად დაუფლებოდა, სხვებს კი მხოლოდ ამას ეუბნებოდა მო-საბოდიშებლად: „ველარაფერს ვეღარ ვიტან, მაგრამ თქვენ ნუ შეწუხდებით,

მაინც შესანიშნავად ვგრძნობ თავს“. ჩემკენ კი უეცრად შეეძლო შემობრუნებულობა (რადგან მაშინ უკვე წამოზრდილი ვიყავი) და ღიმილით, მას რომ უაღრესად დაბავდა, ეთქვა: „რამდენი ქინძისთავია, მალტე, და როგორ ყველგან ყრია, და როცა ფიქრობ, რა ადვილად ცვივიან ძირს...“ ცდილობდა ეს სუბრობით ეთქვა, მაგრამ მას თავზარს სცემდა ყველა იმ ცუდად მიმგრებულ ქინძისთავზე ფიქრი, ყოველ წუთს რომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო.

მაგრამ, ინგებორგზე რომ მიამბობდა, არავითარი საფრთხე უკვე აღარ ელოდა... მაშინ ის თავს არ იზოგავდა, მაშინ ის ხმამაღლა ლაპარაკობდა; იცინოდა, როცა ინგებორგის სიცილი აგონდებოდა. მაშინ შეიძლებოდა დანახვა, თუ რა ლამაზი უნდა ყოფილიყო ინგებორგი. „ის ყველას სიხარულს გვანიჭებდა, მალტე“, — ამბობდა დედა, — „მამაშენსაც, სწორედ რომ სიხარულს ანიჭებდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც ირგვლივ ყველა ამბობდა, რომ მოკვდებო, თუმცა ოდნავ შეუძლოდ გამოიყურებოდა, და ჩვენ ყველანი ვუმალავდით ამ საშიშროებას, ერთხელ საწოლში წამოჯდა და იმ ადამიანივით, რომელსაც სურს გაიგონოს, როგორ ეღერს რაიმე, რალაცნაირად თავისთვის ჩაილაპარაკა: თავს ნუ იწვალე... ჩვენ ყველამ ვიცით... და შემძლია დაგამშვიდოთ, რომ კარგია რაც ხდება... მე მეტი მაინც აღარ მინდაო. წარმოიდგინე, მან თქვა: მეტი აღარ მინდაო, მან, რომელიც ჩვენ ყველას გვახარებდა. ნეტავ, ოდესმე თუ ჩასწვდები ამას, როცა დიდი გახდება, მალტე? იფიქრე ამაზე მოგვიანებით, ვინ იცის, ეგებ რაიმეს მიხვდე. ძალიან კარგი იქნებოდა, ვინმე ისეთი რომ არსებობდეს, ვისაც ამგვარი ამბები ესმის“.

„ამგვარი ამბები“ აფიქრებდა დედას, როდესაც მარტო იყო. ის კი სულ მარტო იყო იმ ბოლო წლებში.

„მე ვერასოდეს მივხვდები ამას, მალტე“, — ამბობდა ზოგჯერ თავისი უცნაურად გაბედული ღიმილით, რომელსაც არ სურდა ვინმეს დაენახა და რომელიც თავის მიზანს სავსებით ასრულებდა უკვე იმით, რომ ბაგეზე ჩნდებოდა ხოლმე. „მაგრამ რომ არც არავის იზიდავს ამის გარკვევა? მე რომ კაცი ვიყო, დიახ, სწორედ, კაცი რომ ვიყო, ამაზე ვიფიქრებდი, ზუსტად, წისისა და რიგის მიხედვით, და თავიდან. რადგან რალაც სათავე ხომ უნდა ასებობდეს. და თუკი ამ დასაწყისს ჩავწვდებოდი, ეს უკვე რალაცა იქნებოდა. ოპ, მალტე, ასე მივდივართ ამ ქვეყნიდან და მეჩვენება, რომ ყველა რალაც დაბნეულია და მოუცლელი და საკმაო ყურადღებას არ გვაქცევენ, როცა მივდივართ, თითქოს ვარსკვლავი ვარდებოდის და არავინ ხედავდეს და არავინ ნატრულობდეს რასმე... არ დაივიწყო რაიმეს ნატვრა, მალტე. სურვილი, ეს არ უნდა დათმოს ადამიანმა. მე მგონი, შესრულება არ არსებობს, მაგრამ არსებობს სურვილები, რომლებიც დიდხანს ძლებენ, თითქმის მთელი ცხოვრება, ისე, რომ დრო აღარც კი გრჩება, მათ შესრულებას დაელოდო“.

დედამ ინგებორგის პატარა სეკრეტერი ზემოთ დაადგმევინა თავის ოთახში და ხშირად წავასწრებდი ხოლმე მის წინ მჯდომს, რადგან მე ნებართვის გარეშე შემეძლო შესვლა: ჩემი ნაბიჯები მთლიანად ხალიჩაში ინთქმებოდა, მაგრამ დედა მაინც მგრძნობდა და ხელს მხარზემოდან მიწვდიდა ნელა. ეს ხელი თითქმის სრულიად უწონო იყო და მას ისევე ვკოცნიდი, როგორც სპილოსძვლის ჯვარცმას, საღამოობით ძილის წინ რომ მაძლევდნენ ხოლმე. ამ დაბალ კარადას, დედაჩემის წინ თხელი დაფით რომ იხსნებოდა, ის როგორც ინს-

ტრუმენტს ისე უჭდა. „შიგ იმდენი შუა“, — ამბობდა დედა. მართლაც, შიგნით საოცარი ნათელი იდგა ძველი ყვითელი ლაქის წყალობით, რომელზედაც ყვავილები იყო მიმოხატული, ყველგან ერთი ლურჯი და ერთი წითელი და თუკი ალაგ-ალაგ სამი ყვავილი იყრიდა თავს, შუაში იისფერი ჰქონდათ, მათ რომ მიჯნავდა. ეს ფერები და მათთან ერთად ვიწრო თარაზული კონტრასტის მწვანე იმდენადვე ჩაბინდულიყვნენ თავისთავში, რამდენად სხივდინარეც ძირი იყო, თუმცა ცხადად გასარჩევი კი არა. ეს ქმნიდა ტონების უცნაურად რბილსა და დაბურულ ერთიანობას, იმის გამო, რომ ისინი შინაგანად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, მაგრამ ამაზე არას ამბობდნენ.

დედა ხსნიდა პატარა უჯრებს და ყოველი მათგანი ცარიელი იყო. „ოპ, ვარდები“, ამბობდა ის და წინ იხრებოდა მწუხარე და ბინდიან სურნელებაში, რომელიც არასდროს იფანტებოდა, ამასთან, მას მუდამ ეგონა, უცბად რაღაც შეიძლება კიდევ აღმოჩენილიყო რომელსამე საიდუმლო უჯრაში, უჯრაში, რომელიც არავის აგონდებოდა და მხოლოდ რაღაც ფარული ზამბარის დაჭერას ემორჩილებოდა. „ერთხელაც იქნება და გადმოხტება, აი, ნახავ“, — ამბობდა ის სერიოზულად და შიშნეულად და საჩქაროდ ხურავდა ყველა უჯრას, ხოლო ის ქალაღდები, რაც მათში მართლა დარჩენილიყო, დედას სათუთად შეეგროვებინა და ჩაეკეტა, წაუკითხავად. „მაინც ვერ გავიგებდი ამას, მალტე, ნამდვილად ძალიან ძნელი იქნებოდა ჩემთვის.“ მას მუდამ ეგონა, რომ ყველაფერი ძალიან რთული იყო მისთვის. „ცხოვრებაში არ არსებობს კლასები დამწყებთათვის, კაცს მაშინვე ურთულესი მოეთხოვება“. მარწმუნებდნენ, რომ დედა ასეთი თავისი დის, გრაფინია ოლეგორ სკეელის სიკვდილის შემდეგ გამხდარიყო, რომელიც დაიწვა თურმე, როცა მეჯლისის წინ, შანდლებიან სარკესთან თმაში ყვავილებს ისწორებდა. მაგრამ ბოლო ხანებში მას ხომ ინგებორგი ეჩვენებოდა ყველაზე უფრო ამოუხსნელ იდუმალებადა.

ახლა კი მინდა ის ეპიზოდი აღვწერო, სწორედ ისე, როგორც დედა მიყვებოდა ხოლმე, როდესაც ვთხოვდი.

„ეს იყო შუა ზაფხულში, ხუთშაბათს, ინგებორგის დაკრძალვის შემდეგ. ტერასიდან, სადაც ჩაის შევექცეოდით, კაცს შეეძლო ვეებერთელა რცხილებს შორის საგვარეულო აკლდამის სახურავი დაენახა. სუფრა ისე იყო გაშლილი, თითქოს არასდროს მჯდარიყოს აქ კიდევ ერთი ადამიანი და ჩვენც ხალვათად შემოვსხდომოდით მაგიდას. თვითუღს რაღაც წამოეღო, წიგნი თუ ხელსაქმის კალათა, ისე რომ ადგილი აღარც რჩებოდა. აბელონე (დედაჩემის სულ უმცროსი და) ჩაის ასხამდა და ყველანი გართულნი იყვნენ რაოაცის მიწოდება-გადაწოდებით. მხოლოდ პაპაშენი იჯდა ჩუმად სავარძელში და სახლისაკენ იმზირებოდა. ის დრო გახლდათ, როცა ჩვეულებრივ ფოსტას ველოდით და ისე ხდებოდა, რომ სწორედ ინგებორგს მოჰქონდა ხოლმე, რომელიც ვახშმის თადარიგის გამო კარგა ხნით იგვიანებდა. მისი ავადმყოფობის კვირებში, საკმარისი დრო გვექონდა, რომ მის მოსვლას გადავჩვეოდით, რაკი ყველამ ვიცოდით, რომ მოსვლა არ შეეძლო, მაგრამ ამ ნაშუადღევს, მალტე, როცა ინგებორგს მართლა აღარ შეეძლო მოსვლა, ის მოვიდა. ვინ იცის, ეგებ ჩვენი ბრალი იყო, ეგების ჩვენ დავეუძახეთ. რადგან მაგონდება რომ ვიჯექი და დაძაბული ვცდილობდი გამეაზრებინა თუ რა შეიცვალა ბოლოს და ბოლოს. და უცბად ვხედავ: ვეღარ ვიხსენებ თუ რა შეიცვალა. იმ წუთს სრულიად დამავიწყდა, რომ ინგებორგი მკვდარი იყო — ავიხედე და დავინახე, რომ ყველა სახლისკენ იცქირებოდა, რაღაც განსაკუთრებულად და თვალში საცემად კი არა, არამედ მა-



რთლა მშვიდად და ყოველდღიური მოლოდინით. და ის-ის იყო (ცივი ოფლი მასხანს, მალტე, როცა მაგონდება) — და ის-ის იყო, ღმერთო, დამიფარე, უნდა შეთქვა „სად არის ამდენ ხანს...“, რომ ამ დროს მაგიდის ქვემოთ სავით გამოვარდა კავალერი, ისე, როგორც სჩვეოდა მუდამ და მის შესაგებებლად გაექანა. მე ეს დავინახე მალტე, მე ეს დავინახე მალტე. ქანა ინგებორგის შესახვედრად, თუმცა ინგებორგი არ მისწავლა. მისთვის მოვიდა. მივხვდით, რომ ძალღი მისკენ გაიქცა, ორჯერ მოგვხვდა, თითქოს რაღაცას გვეკითხებოდა. შემდეგ კი ერთბაშად მიაწყდა, ზუსტად ისე, მის სიცოცხლეში როგორც იცოდა და უკვე მასთან იყო. რადგან მან დაიწყო ინგებორგის ირგვლივ ბტუნვა, მალტე, რაღაცის ირგვლივ, რაც იქ არ იყო, და შემდეგ ახტა, რომ სახე აელოკა, მალბა ახტა და ჩვენ გვესმოდა, როგორ წკმუტუნებდა სხარულით და როცა ის ასე ბტებოდა, ზედიზედ, კაცს შეიძლებოდა მართლა ეფიქრა, რომ ძალღი ამ ნახტომებით ფარავდა ინგებორგს. მაგრამ უეცრად მან დაიყმუელა, საკუთარივე ბიძგისაგან პაერში შემოტრიალდა, უკან გადმოქანდა, მოუხერხებლად და რაღაც განსაკუთრებულად ბრტყლად დააწყდა დედამიწას და აღარ იძვროდა. მეორე მხრიდან მსახური გამოვიდა სახლიდან, ხელში წერილებით. ერთ ხანს ყოყმანობდა. როგორც სჩანს, ადვილი არ იყო ჩვენი სახეებისკენ გამოშურება და მამაშენმაც უკვე ანიშნა ხელით, შეჩერდიო. მამაშენს, მალტე, ცხოველები არ უყვარდა. მაგრამ ახლა ის ნელა გაემართა, ნელა, როგორც მაშინ მომეჩვენა და ძალღისკენ დაიხარა. რაღაცა უთხრა მსახურს, რაღაცა, მალტე, ერთმარცვლიანი. დავინახე, როგორ ისკუბა მსახურმა კავალერის ხელში ასაყვანად, მაგრამ მამაშენმა თავად აიყვანა და თითქოს ზუსტად იცოდა სად მიდიოდა, სახლში შევიდა.



ერთხელ ამ ამბის თბრობისას თითქმის რომ დაგვალამდა, მზად ვიყავი დედაჩემისთვის „ხელის“ შესახებ შეამბნა. იმ წუთში შევძლებდი ამას. უკვე ამოვისუნთქე კიდევ, მაგრამ უეცრად გამახსენდა, თუ რა კარგად გავუგე იმ მსახურს, მათი სახეებისკენ რომ ვერ შესძლო წასვლა და მიუხედავად სიბნელისა, დედაჩემის სახის შემეშინდა, თუკი იმასვე დაინახავდა, რაც მე დავინახე. კიდევ ერთხელ ამოვისუნთქე სასწრაფოდ, რათა შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს სხვა არც არაფერი მდომებია. ამ ამბიდან რამდენიმე წელი იყო გასული, როცა ურნეკლოსტერის სასახლეში ჩვენი უცნაური ლამის შემდეგ დღენიადაც იმ მიზნით დავეხეტებოდი, რომ პატარა კრიკს გავნდობოდი, მაგრამ იმ ლამინდელი საუბრის შემდეგ ის ისევ გულდახურული გახდა ჩემს მიმართ და თავს მარიდებდა. მგონი, პატარას აღარა მცემდა. სწორედ ამიტომ მსურდა მისთვის „ხელის“ შესახებ შეამბნა. მეგონა, მის თვალში ფასი მომემატებოდა (ეს კი რაღაც მიზეზით აუცილებლად მჭირდებოდა), თუკი გავაგებინებდი, რომ მე ეს ნამდვილად განვიცადე; მაგრამ ერთი თვის არიდების ისეთი ოსტატი გახლდათ, რომ ვერაფერი გავახერხე. მერე უეცრად გავემგზავრეთ კიდევ. და ისე მოხდა, რომ ამბავს, რომელიც ეგზომ შორს ძევს ჩემს ბავშვობაში, მხოლოდ ახლა ვყვები პირველად (და ბოლოს და ბოლოს ისევ ჩემს თავს ვუყვები), რაც საკმაოდ უცნაურია.

თუ რა პატარა უნდა ვყოფილიყავი მაშინ, იმით ვასკვნი, რომ მახსოვს, სავარძელში ვიყავი ჩამუხლული, რათა უფრო მოხერხებულად მივეწვდომოდი

მაგიდას, სადაც ვხატავდი. ეს იყო მწუხრის ყამს, ზამთარში, თუ არა ვცდები, ქალაქის სახლში. მაგიდა ჩემს ოთახში იდგა ფანჯრებს შორის და ოთახში სხვა არაფერი ენთო იმ ლამპის გარდა, ჩემს სახატავ ფურცლებს რომ ანათებდა და მადმუაზელის წიგნს, რადგან მადმუაზელი ჩემს გვერდით იჯდა და ოდნავ უკან გადახრილი წიგნს კითხულობდა. ის ჩვენგან შორს იყო ხედიდან წიგნის კითხვისას ისიც კი არ ვიცო, წიგნში იყო თუ სადმე სულ სხვაგან შეტყობილით ეკითხა, იშვიათად ფურცლავდა, და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ წიგნის გვერდები მის თვალთა ქვემოთ თავისთავად ივსებოდა ახალ-ახალი ნაწერით, თითქოსდა ის რაღაც სულ სხვა სიტყვებს ეძებდა, სიტყვებს, მას რომ სჭირდებოდა და იქ რომ არ იყო. ასე მეგონა ხოლმე, როცა ვხატავდი. ვხატავდი ნელა, რაიმე გარკვეული განზრახვის გარეშე და როცა აღარ ვიცოდი, შემდეგ რა დამეხატა, ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი თუ თავს ოდნავ მარჯვნივ გადავხრიდი; ასე ყველაზე უფრო სწრაფად ვამჩნევდი. კიდევ რა აკლდა. აქ იყვნენ ცხენებზე ამხედრებული ოფიცრები, საომრად რომ მიიჩქაროდნენ, ან უკვე ბრძოლის შუაგულში ტრიალებდნენ და ეს უფრო ადვილი დასახატი იყო, რადგან ბოლიდა ხდებოდა საჭირო, რომელიც ყველაფერს ფარავდა.

დღეა კი ამტკიცებდა, თითქოს კუნძულებს ვხატავდი. კუნძულებს დიდი ზეგებითა და სასახლით, კიბეებითა და ყვავილოვანი ნაპირებით, წყალში რომ იძირებოდნენ. მაგრამ მე მგონი, ის იგონებდა, ან კუნძულები მოგვიანებით უნდა დამეხატა.

მაშ ასე, მე მხედარს ვხატავდი, ერთადერთ მხედარს, უცნაურად აღკაზმულ ცხენზე. ცხენი ისეთი ჭრელი გამოდიოდა, რომ სულ ფანჯრების ცელაში ვიყავი, მაგრამ ყველაზე ხშირად წითელი მჭირდებოდა, და მეც წამდაუწუმ ვტაცებდი ხოლმე ხელს. და აი, ერთხელაც რომ დამჭირდა, ფანჯარი გაგორდა (ახლაც ვხედავ როგორ მიგორავს) განათებული ფურცლის გასწვრივ მაგიდის კიდეზე, და ვიდრე ხელს ვტაცებდი, გვერდით ჩამიქროლა, ძირს დავარდა და გაუჩინარდა. ის აუცილებლად მჭირდებოდა, და მართლა გასაბრაზებელი იყო, რომ ახლა ფორთხვით უნდა გავდევნებოდი. ისეთი მოუხერხებელი არსებისათვის, როგორც მაშინ გახლდით, დიდ ამბავს ნიშნავდა ძირს ჩამოცოცება: საკუთარი ფეხები მეტისმეტად გრძელი მეჩვენებოდა და ველარ ვახერხებდი მათ გაშლას. დიდხანს ჩაჩოქილი ჯდომისაგან კიდურები დამბუყებოდა. ველარც კი ვარჩევდი, ჩემი რა იყო და სავარძლისა რა. ბოლოს, როგორც იქნა ძირს ჩამოვხტი, ცოტა შეცბუნებული, და აღმოვჩნდი ხალიჩაზე, მაგიდის ქვეშ კედლამდე რომ ეფინა. მაგრამ აქ ახალმა სიძნელემ იჩინა თავი. ზემოთ სინათლეს შეჩვეული და თეთრ ქალაღზე აღბეჭდილი ფერებით ჯერ ისევ აღფრთოვანებული ჩემი თვალები სრულიად ვერაფრის გარჩევას ვერ ახერხებდნენ მაგიდის ქვეშ, სადაც სიბნელე ისეთი ჩაკეტილი და გამკვრივებული მეჩვენებოდა, რომ მეშინოდა, არ დავეჯახო-მეთქი. ბოლოს ჩემს შეგრძნებას მივენდე და ჩამუხლული, მარცხენა ხელზე დაყრდნობილი, მეორე ხელით გრილი, გრძელბეწვიანი ხალიჩის ვარცხნას შევუდექი, რბილად რომ ნებდებოდა ჩემს თითებს, მაგრამ ფანჯარს ვერსად ვპოულობდი. მომეჩვენა, უამრავი დრო დავკარგე-მეთქი, და უკვე მინდოდა მადმუაზელისათვის მომეხმო და მეთხოვა, ჩემთვის ლამპა მოემარჯვებინა, როცა შევნიშნე, რომ უნებურად დაძაბული ჩემი თვალებისათვის სიბნელე ნელ-ნელა მჭვირვალდებოდა. უკვე შემეძლო იქითა კედელი გამერჩია, ძირს ღია ფერის თამასა რომ მიჰყვებოდა. ჯერ მაგიდის ფეხებზე ვამახვილე ყურადღება, მერე კი პირველ რიგში, ჩემი საკუთარი, წინგაწვდი-

ლი ხელი შევიცანი, სრულიად მარტო რაღაც წყლის ცხოველივით რომ მოძრაობდა ქვემოთ, თითქოს ფსკერს სინჯავსო. ჩემს ხელს, ახლაც კარგად მახსოვს, თითქმის ცნობისწადილით შევცქეროდი. მომეჩვენა, რომ მან ბევრი ისეთი რამ იცოდა, რაც მე მისთვის არ მესწავლებინა. როგორც, მაგალითად, ეს მოძრაობა, ძირს ასე ერთპიროვნულად რომ დაეცეცებოდა და აღტყინებდა და სდროს შემენიშნა. მივდევი მას, როცა ის ასე წინ მიიწევედა, მინტუჩისებრი და ყოველნაირად და ყველაფრისთვის მზად ვიყავი. მაგრამ როგორ უნდა ვყოფილიყავი მზად იმისათვის, რომ ანაზღეულად კედლიდან სხვა ხელი გამოემართა მის შესახვედრად, უფრო დიდი, უჩვეულოდ გამხდარი ხელი, რომლის მსგავსიც არასოდეს მენახა. ისიც ასევე რაღაცას ეძებდა საპირისპირო მხრიდან ჩემსკენ და ორი წაწვდილი ხელი ბრმად მიემართებოდა ერთმანეთისაკენ. თუმცა ჩემი ცნობისწადილი ჯერ არ ამოწურულიყო, მაგრამ უეცრივ გაქრა და დარჩა მხოლოდ შეძრწუნება. ვგრძნობდი, რომ ხელებიდან ერთ-ერთი მე შეკუთვნოდა და რომ ის რაღაც ისეთ ამბავში გაება, რასაც აღარაფერი ეშველებოდა. ყველა უფლების გამოყენებით, რაც კი მასზე გამაჩნდა, ის შევაჩერე და ბრტყლად და ნელ-ნელა უკანვე გამოვწიე, ისე, რომ ამასობაში, იმ მეორეს, რომელიც ძებნას განაგრძობდა, თვალს არ ვაშორებდი. მივხვდი, რომ ის არ მოისვენებდა. არ შემიძლია გითხრათ, როგორ ავცოცდი ისევ ზემოთ. სავარძელში რაც შეიძლებოდა ღრმად ჩავჯექი, კბილები მიკაწკაწებდა, ვგრძნობდი, სახე სისხლისაგან დამეწრიტა და მეჩვენებოდა, თვლებში ლურჯი ფერი აღარ დამრჩა-მეთქი. „მადმუაზელ“ — მინდოდა მეთქვა და არ შემეძლო. მაგრამ ის უეცრად თვითონვე შეკრთა, წიგნი იქვე ისროლა, სავარძელთან ჩაიმუხლა და დამიძაბა. მგონი, მანჯღრევედა კიდევ. მაგრამ მე სავსებით გონზე ვიყავი. რამდენიმეჯერ ნერწყვი გადავყლაპე, რადგან უკვე მოყოლა მსურდა. მაგრამ როგორ? აუწერელი დაძაბვით ძალები მოვიკრიბე, მაგრამ ამის გამოხატვა, ისე, რომ ვინმეს რაიმე გაეგო, შეუძლებელი ვახლდათ. უკეთუ ამ ამბისათვის საერთოდ არსებობდა სიტყვები, მე მეტისმეტად უასაკო ვიყავი, რომ ისინი მეპოვა. და ანაზღეულად შემიპყრო შიშმა: ამ სიტყვებს ხომ შეეძლოთ, ერთხელაც, ჩემი ბავშვობის შემდეგ გამომცხადებოდნენ. და ყველაზე დიდ საშინელებად მომეჩვენა, რომ მაშინ იძულებული გავხდებოდი, მეთქვა ისინი, სინამდვილე იქ, ქვემოთ, ერთხელ კიდევ გადამეტანა, სხვაგვარად, სახეცვლილად, თავიდან. მომესმინა, როგორ ვეთანხმები, როგორ ვიღებ მას, ამის ძალა კი აღარ შემწევედა.

ცხადია, ეს ჩემი წარმოსახვაა მხოლოდ, როცა ვამტკიცებ, მაშინ უკვე ვგრძნობდი, რომ რაღაცა გაჩნდებოდა-მეთქი ჩემს ცხოვრებაში, პირდაპირ ჩემში, რაც მარტოს უნდა მეტარებინა და რითაც მარტოს უნდა მევლო ყველგან, მუდამ და მუდამ. ვხედავ, როგორ ვწევარ ჩემს პატარა, თეჯირიან საწოლში და არ მეძინება და როგორ ბუნდოვნად ვხედავ წინასწარ, რომ ცხოვრება სწორედ ასეთი იქნებოდა: სავსე პირწმინდად საკვირველი ამბებით, მხოლოდ ერთისთვის რომ არის ნაგულისხმები და არ გამოითქმება. არა, რა თქმა უნდა, მაშინ კი არა, მერე, გვიან, თანდათან დაგროვდა ჩემში რაღაც დარდიანი და მძიმე სიამაყე. ვხედავდი, როგორ ვივლიდი შინაგანი ცხოვრებით სავსე და მღუშარე. დაუცხრომელ სიმპათიას განვიცდიდი უფროსთა მიმართ. აღფრთოვანებული ვიყავი მათით და გადავწყვიტე კიდევ მეთქვა ეს. გადავწყვიტე მადმუაზელისათვის მეთქვა, როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა.

შემდეგ მეწვია ერთი ავადმყოფობა, ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, რომელთა წყალობით ჩემთვის ცხადი ხდებოდა ხოლმე, რომ „ხელის“ ამბავი არ იყო ჩემი პირველი საკუთარი გამოცდილება. სიცხე ფათურობდა ჩემს და სულ ქვემოდან, სულის ფსკერიდან ამოჰქონდა რალაც ამბები, სურათები, განცდები, რომელთა შესახებაც მანამდე არაფერი ვიცოდი. და მე ვიწეპი, ზედ ჩემივე თავი დამხვავებოდა და ვუცდიდი წუთს, როცა მიბრძანებდნენ, ეს ყოველივე ისევ ჩემში შემეტანა და იქ ფენა-ფენა დამელაგებინა, წესიერად და თანმიმდევრულად. დავიწყე კიდევ, მაგრამ ჩემს ხელეჭველ ყველაფერი უფრო იზრდებოდა, იწეწებოდა და საშინლად მატულობდა. შემდეგ კი მრისხანებამ შემიბყრო და როგორც იყო, ისევე გროვა-გროვად ჩავყარე ყველაფერი ჩემში, ძალით ჩავტენე და ჩავტეპნე. მაგრამ მის ზემოდან ველარ შევიკარი და ასე ნახევრად ღიამ დავიყვირე. ვყვიროდი და ვყვიროდი. და ბოლოს, როდესაც საკუთარი თავიდან გამოხედვა მოვახერხე, დავინახე, რომ ისინი დიდი ხანია უკვე ჩემი საწოლის ირგვლივ შეგროვილიყვნენ და ხელებს მიჭერდნენ და ერთი სანთელიც იყო იქ და მათი ვეება ჩრდილები მათ ზურგებს უკან დაბარბაცებდნენ. მამაჩემმა მიბრძანა მეტყვა, თუ რა ხდებოდა; ეს მეგობრული, დაოკებული ბრძანება იყო, მაგრამ მაინც ბრძანება. და ის მოუთმენლობამ შეიბყრო, როცა პასუხი არ გავეცი.

დედა არასდროს მოდიოდა ღამით, თუმცა არა, ერთხელ მოვიდა. მე ვყვიროდი, და მადმუაზელი შემოვიდა, სივერსენი — სახლის მმართველი ქალი და გეორგი—მეეტლე; მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. და ბოლოს მათ ეტლი გააგზავნეს მშობლების მოსაყვანად, დიდ მეჯლისზე რომ იყვნენ მიწვეულნი, მგონი, ტახტის მემკვიდრე პრინცთან. და უცბად შემომესმა, ეტლი როგორ შემოგრიალდა და გავყუჩდი, წამოვჯექი და კარისკენ დავიწყე ცქერა. და აი მეზობელ ოთახებში ოდნავი შრიალი გაისმა და დედა შემოვიდა, გრძელ სამეჯლისო კაბაში გამოწყობილი, რომელსაც ის არად აგდებდა და თითქმის გამოიქცა. თეთრი ბეწვი ზურგს უკან გადაიგდო და შიშველი მკლავებით შემომეხვია. და მე გაოცებულმა და აღტაცებულმა როგორც არასდროს, შევიგრძენი მისი თმა, მისი პატარა, მოვლილი სახე და ცივი თვლები მისი ყურის ბიბილოებზე და აბრეშუმი მხრების კიდებზე, ყვავილთა სურნელება რომ ასდიოდა. და ჩვენ ასე ვიდექით, გულაჩუყებულნი ვტიროდით და ერთმანეთს ვკოცნიდით, ვიდრე არ ვიგრძენით, რომ მამა იქვე იდგა და ერთმანეთს უნდა მოვშორებოდით. „მაღალი სიცხე აქვს“, — მომესმა დედაჩემის შემკრთალი ნათქვამი. მამა ხელში მწვდა და მაჯისცემის სინჯვას შეუდგა. მას მონადირეთუხუცესის კოსტიუმი ეცვა, „სპილოს ორდენის“<sup>1</sup> ლამაზი, ბრტყელი, ცისფერი ზონრით. „რა უაზრობა იყო ჩვენი მოხმობა“, წარმოსთქვა მან ოთახის სიღრმისკენ, ისე რომ ჩემთვის არც შემოუხედავს. ისინი უკან დაბრუნებას შეპირებოდნენ, უკეთეს სერიოზული არაფერი აღმოჩნდებოდა. და სერიოზული ხომ მართლაც არაფერი ყოფილა. ჩემს საბანზე კი დედაჩემის საცეკვაო ბარათი ვიპოვე და თეთრი კამელიები, რომლებიც არასოდეს მენახა და თვალებზე დავიდე, რადგან ვიგრძენი, რა გრილი იყო.

<sup>1</sup> სპილოს ორდენი — დანიის პირველი რაინდული ორდენი. 1459 წელს განაახლა ქრისტიან I და რომის პაპის ბუღით დამტკიცდა, როგორც „ქალწულ მარიაშის ქმობა“. (მთარგ.).

მაგრამ რაც უსაშველოდ გრძელდებოდა, ეს იყო შუადღეები ამგვარი ავადმყოფობის დროს. უძილო და მშფოთვარე ღამის შემდეგ დილით ყოველთვის ძილი მერეოდა და როცა ვიღვიძებდი და მეგონა, უკვე თუნდებოდა, შუადღე იყო და შუადღე რჩებოდა და აღარ აპირებდა დამთავრებას. და ასე ვიწეჭი გაშლილ საწოლში და შეიძლება ოდნავ ვიზრდებოდი კიდურებში და მეტისმეტად ქანცაწყვეტილი ვიყავი იმისათვის, რომ რაიმეს წარმოსახვის თავი მქონოდა. ვაშლის ხილფაფის გემო დიდხანს მრჩებოდა პირში, ეს კი აურაცხელ შესაძლებლობებს მთავაზობდა, უკეთუ მას რაიმე სხვა მნიშვნელობას მივანიჭებდი და მოვახერხებდი, რომ ამ წმინდა სიმეავეს ფიქრების ნაცვლად ეტრიალა ჩემში. მოგვიანებით, როცა ძალა მიბრუნდებოდა, ზურგქვეშ ბალიშების ზვინს აღმიმართავდნენ ხოლმე და მე შემეძლო წამოემჯდარიყავი და ჯარისკაცებით მეთამაშა. მაგრამ ისინი ისე ადვილად ყირავდებოდნენ უსწორმასწორო საბნის მაგიდიდან და თან მთელი მწკრივი ერთბაშად; და მე ხომ ჯერ წესიერად არც კი ვიყავი სიცოცხლეში დაბრუნებული, რომ ყოველთვის ისევე თავიდან დამეწყყო, უცბად ეს ჩემთვის მეტისმეტი აღმოჩნდებოდა ხოლმე და მე ვითხოვდი, იმწუთშივე მოეშორებინათ ყველაფერი და მსიამოვნებოდა, რომ ისევე მხოლოდ ჩემს ორ ხელს ვხედავდი, ოდნავ მოშორებით, ცარიელ საბანზე.

როდესაც დედა ზოგჯერ ნახევარი საათით შემოვიდოდა და ზღაპარს მიკითხავდა (ნამდვილი ხანგრძლივი კითხვა სივერსენს ევალებოდა), ეს მართლა ზღაპრის გულისთვის კი არა ხდებოდა. რადგან ჩვენ უკვე გამორკვეული გვექონდა, რომ ზღაპრები არცერთს არ გვიყვარდა. ჩვენ სასწაული სულ სხვაგვარად გვესმოდა. მიგვაჩნდა, რომ ყველაზე ბუნებრივი ამბები ყველაზე სასწაულებრივი იყო. დიდად არაფრად ვაგდებდით ჰაერში ფრენას, ფერიები იმედს გვიცრუებდნენ და სხვა არსებად გადაქცევა ჩვენთვის ერთობ ზედაპირულ ფერისცვალებას წარმოადგენდა. მაგრამ კითხვით ცოტას მაინც ვკითხულობდით, რათა საქმიანი იერი გვექონოდა. არ გვსიამოვნებდა, როცა იძულებულნი ვხდებოდით, ვინმე შემოსულისთვის განგვემარტა, თუ რას ვაკეთებდით. განსაკუთრებით მამაჩემს ვპასუხობდით ხოლმე გადაჭარბებულად ზუსტად და მკაფიოდ.

მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ხელს არავინ შეგვიშლიდა და როცა გარეთ ბინდდებოდა, მივეცემოდით ხოლმე მოგონებებს, საერთო მოგონებებს, რომლებიც ორივეს ძალზე ძველი გვეჩვენებოდა და ღიმილს გვგვრიდა, რადგან მას შემდეგ ორთავეს ხანი შეგვმატებოდა. გვახსენდებოდა: ერთი დრო იყო, როცა დედა ნატრობდა, რომ მე პატარა გოგონა ვყოფილიყავი და არა ის ბიჭი, რომელიც სამწუხაროდ უკვე ვიყავი. ეს სურვილი როგორღაც გამოვიცანი და აზრად მომივიდა, ზოგჯერ ნაშუადღევს დედაჩემის ოთახის კარზე დამეკაკუნა და როცა ის კითხულობდა, ვინ არისო, მაშინ ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო მეპასუხა, სოფია-მეთქი. თან ისედაც სუსტ ხმას ისე ვინაზებდი, რომ ხორხში მიღიტიინებდა. და მერე როცა ოთახში შევდიოდით (პატარა გოგონას საშინაო კაბაში გამოწყობილი, ისედაც რომ მეცვა ხოლმე, ბოლომდე აკეცილი სახელოებით), უბრალოდ სოფია ვიყავი, დედას პატარა სოფია, შინაურულად რომ ფუსფუსებდა და დედა რომ თმას უწნაედა, რათა იმ ცუდ მალტეში არ არეოდათ, თუ მოვიდოდა. მისი მოსვლა კი არავის

ებიტნავებოდა. დედას და სოფიას ერთნაირად სიამოვნებდათ, რომ მალტე იქ არ ბრძანდებოდა და რომ მათი საუბრები (რომელთა დროსაც სოფია ისევ იმ წვრილი ხმით ლაპარაკობდა) უმეტესად მალტეს უგვანო საქციელს ეხებოდა და დასტიროდა. „ოჰ, ოჰ, ეს მალტე“, ოხრავდა დედა. სოფიამ კი იმდენი რამ იცოდა ბიჭების უსაქციელობაზე საერთოდ, თითქოს ბიჭების შთველ ლაშქარს იცნობდა.

„ნეტავი გამაგებინა, რა დაემართა სოფიას“, — უცბად იტყოდა ხოლმე დედა ამ მოგონებების დროს. ამაზე მალტეს, ცხადია, პასუხის გაცემა არ შეეძლო, მაგრამ როცა დედა აზრს გამოთქვამდა, სოფია ალბათ უკვე მოკვდაო, მაშინ კი მალტე ჩიუტად ედავებოდა და აფიცებდა, ეს არცერთ შემთხვევაში არ დაეჭვებინა, სოფიას არსებობა რა გინდ ძნელი დასამტკიცებელიც არ უნდა ყოფილიყო.

ახლა, როცა ვიგონებ, მიკვირს, რომ ამ სიცხეების ქვეყნიდან ყოველთვის მაინც მრთელი და საღ-საღამათი ვბრუნდებოდი, და თავს ერთ მშვენიერ დღეს ისევ იმ უაღრესად ერთობლივ ცხოვრებაში აღმოვაჩინდი ხოლმე, სადაც თვითეულს სურდა, განემტკიცებინა განცდა, რომ ნაცნობ საგანთა შორის იმყოფებოდა, და სადაც ასე ფრთხილად იტანდნენ ერთმანეთს გასაგები და ცხადი მოვლენების საუფლოში. იქ რაიმეს ელოდებოდნენ და ის მოდიოდა ან არ მოდიოდა, რაღაც მესამე კი გამორიცხული გახლდათ. იყო მოვლენები, სამწუხარო მოვლენებად რომ მიეჩნიათ, ერთხელ და სამუდამოდ, იყო სასიხარულო მოვლენები და უამრავი — არაფრისმთქმელი. უკეთუ ვინმეს რაიმე სიხარულს უმზადებდნენ, ეს იყო სიხარული და სხვა არაფერი, და ისიც ამის შესაბამისად უნდა მოქცეულიყო. მთლიანად ეს ყველაფერი ფრიად მარტივ რასმე წარმოადგენდა და თუ კაცი ერთხელ აუღებდა ალლოს, მერე ყველაფერი თითქმის თავისთავად მიდიოდა. გრძელი ერთნაირი გაკვეთილები, როცა გარეთ ზაფხული იდგა; სეირნობანი, რომელთა შესახებაც ფრანგულად უნდა მოგეთხრო; სტუმრები, რომელთა გულისთვისაც სახლში გიხმობდნენ, და რომელნიც სასაცილოდ მიიჩნევდნენ, თუკი მაინცდამაინც იმ დროს მოწყენილი იქნებოდი და შენით ერთობოდნენ, როგორც შეიძლება კაცი გაერთოს ჩიტების ნაღვლიანი სახით, სხვა სახე რომ არ გააჩნიათ; და დაბადების დღეები, რა თქმა უნდა, ბავშვებს რომ იწვევდნენ შენი გულისთვის. ბავშვებს, რომელთაც ძლივს თუ იცნობდი, დამორცხვებულ ბავშვებს, სხვებსაც რომ ამორცხვებდნენ, ანდა თავხედებს, სახეს რომ გიკაწრავდნენ და გილილავებდნენ, (სახეს, რომელიც ის იყო გაჭირვებით მიგელო), და შემდეგ უეცრად რომ მიემგზავრებოდნენ, როცა ყველაფერი გადმოქოთებული იყო სკივრებიდან და უჯრებიდან და გროვა-გროვად ეყარა იატაკზე. მხოლოდ მაშინ, მარტოდმარტო რომ თამაშობდი, როგორც ყოველთვის, შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ამ შეთანხმებულ და არსებითად უწყინარ სამყაროში უეცრად რაღაც გაუთვალისწინებელზე გადაგებიყებინა და ისეთ მიმართულებათა შორის ამოგეყო თავი, რომელნიც მთლიანად განსხვავებული ბუნებისანი იყვნენ და რომელთა აღრევე გათვალისწინება სრულიად შეუძლებელი გახლდათ.

მადმუაზელს დროდადრო შაკიკი აწუხებდა, ესოდენ მძაფრად რომ წამო-  
 უვლიდა ხოლმე და ასეთ დღეებში მე ძნელი საბოვნელი გახლდით. მეც  
 ეტლეს გზავნიდნენ პარკში, თუკი მამაჩემს გავახსენებოდი და უფალს  
 მომკრავდა. შემეძლო ზემოდან, ერთ-ერთი სასტუმრო ოთახიდან დამენახა,  
 როგორ გარბოდა ჩვენი მეეტლე გრძელ ხეივანში და როგორ მეძახდა. ეს სა-  
 სტუმრო ოთახები, ულსგორის სასახლის ფრონტონზე ერთიმეორის გვერდით  
 განლაგებული, სულ ცარიელი იყო, რაკი ამ დროს იშვიათად თუ ვინმე გვეს-  
 ტუმრებოდა ხოლმე. ამ ოთახებს მოსდევდა ის დიდი კუთხოვანი დარბაზი, ეს-  
 ოდენ ძალუმად რომ მიზიდავდა, იქ არაფერი იდგა ერთი ძველი ბიუსტის გა-  
 რდა, რომელიც, მგონი, ადმირალ იუელის<sup>1</sup> გამოსახულებას წარმოადგენდა. მა-  
 გრამ სამაგიეროდ ირგვლივ მთელ კედლებში დატანებული იყო ღრმა, ნაცრის-  
 ფერი კარადები. ისე, რომ ფანჯარაც კი ამ კარადების თავზე, ცარიელ, თეთ-  
 რად შეფეთქილ კედელში გამოეჭრათ. გასაღები, ერთ-ერთი კარადის კარში  
 რომ ვიპოვე, ყველა დანარჩენსაც აღებდა. ასე დავათვალიერე მოკლე ხანში  
 ყველაფერი, რაც კი ეკიდა: მეთვრამეტე საუკუნის კამერპერთა ფრაკები, საში-  
 ნლად ცივი ჩაქსოვილი ოქრომკედის გამო, მათი პიჯაკები, „დანებროგისა“<sup>2</sup>  
 და „სპილოს ორდენთა“ შესამოსელი, პირველად ქალის კაბები რომ გვეგონე-  
 ბოდათ, ისეთი მდიდრული და საგანგებო შესახედაობა ჰქონდათ და მათი სარ-  
 ჩული ისე ლბილად ხვდებოდა ხელს. შემდეგ კი ნამდვილი სამეჯლისო კაბები,  
 გაფხორილი სარჩულების წყალობით ერთმანეთისაგან შორიშორს და ისე გა-  
 ხევებული რომ ეკიდა, თითქოს რაღაც უსაშველოდ გრძელი სპექტაკლის თო-  
 ჯინები ყოფილიყვნენ; სპექტაკლისა, რომელსაც ისე სამუდამოდ გასვლოდა  
 ყავლი, რომ ამ თოჯინების თავები ახლა სულ სხვა რამეში გამოეყენებინათ.  
 ამათ გვერდით კი ის კარადები იყო განლაგებული, რომლებიც მთლად დაებ-  
 ნელებინა იქ დაკიდულ, ბოლომდე შეკრულ სამხედრო ფორმებს. ეს ფორმები  
 დანარჩენ სამოსთან შედარებით გაცილებით უფრო ნახმარი ჩანდნენ და მგო-  
 ნი, არც სურდათ, რომ შენახულიყვნენ.

არავის მოეჩვენება გასაკვირად, რომ ამ ტანსაცმელს საკიდარიდან ვხსნი-  
 დი და სინათლეზე გამომქონდა, რომ ხან ერთსა და ხან მეორეს ტანზე ვიფა-  
 რებდი ან მხრებზე წამოვისხამდი ხოლმე; რომ ერთი კოსტიუმი, რომელიც  
 თითქოს უნდა მომრგებოდა, ფაცაფუციტ ჩავიცვი, ცნობისწადილითა და მღე-  
 ლვარებით შეპყრობილი მეორე ოთახში გავვარდი და უამრავ სხვადასხვაფე-  
 რი მწვანე მინისგან შეკრულ, ვიწრო სარკესთან მივირბინე. ოპ, როგორ ვცახ-  
 ცახებდი იმის წადილით, რომ შიგ შევსულიყავი, სარკის წიაღში, და რა ცნო-  
 ბისწამლები გახლდათ, როცა უკვე იქ ვიყავი: რაღაცა მოიწევდა იმ ბურუსი-  
 დან, უფრო ნელა, ვიდრე თავად ის, ვინც სარკეში იხედებოდა, რადგან სარკე  
 იმავე წუთს როდი იჯერებდა და ნამძინარევს როდი უნდოდა მაშინვე გაემეო-  
 რებინა, რასაც კარნახობდნენ. მაგრამ ბოლოს ნებას უნდა დაჰყოლოდა და მა-  
 შინ განსაცვიფრებელ რასმე აჩენდა, რაღაც უცხოს, რაღაც სულ სხვას, ვიდ-  
 რე ელოდნენ, რაღაც სრულიად უცაბედსა და თავისთავადს, რასაც სწრაფად

<sup>1</sup> იენს იუელი (1631—1700) — დანიელი ადმირალი.  
<sup>2</sup> დანებროგის ორდენი — დანებროგი — დანიის სახელმწიფო დროშა. ლევენდის მიხედ-  
 ვით 1219 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში ციდან ჩამოეშვა. დანებროგის ორდენი — დანიის მეორე  
 რაინდული ორდენი, დააარსა ქრისტიან V 1671 წელს.

შეაღებდა თვალს კაცი, რათა მეორე წუთს მაინც საკუთარი თავი შეეცნო და არც მთლად რაღაცა ირონიის გარეშე, ერთ წამში რომ შეეძლო მთელი სიამოვნების ჩაშხამება. მაგრამ თუ მაშინვე ლაპარაკს დაიწყებდი, წელში მოიხრებოდი, საკუთარ გამოსახულებას თავს დაუქნევდი, ასე შეგჩვედი, გარეთ საკუთარი თავისაკენ გამომზირალი, გაშორდებოდი და შემდეგ უფროსი რაღაცა გადაწყვეტილებითა და თან აღელვებული კვლავ დაუბრუნდებოდი, მაშინ ხომ წარმოსახვა უკვე მთლიანად შენს მხარეზე იყო, ვიდრე მთელი ეს თამაში თავად არ მოგბეზრდებოდა.

მაშინ სწორედ იმ გავლენას ვაკვირდებოდი, სამოსს რომ შეუძლია მოახდინოს ადამიანზე. ჩავიცვამდი თუ არა რომელიმეს ამ კოსტიუმთაგან, უნდა მელარებინა, რომ მისი გავლენის ქვეშ ვექცეოდი. ის მიდგენდა მოძრაობებს, გამომეტყველებას, ჩემს მიხვედრებსაც კი ის მკარნახობდა. ჩემი ხელის მტევანი, მაქმანიანი მანქეტები რომ ეცემოდა, სულაც აღარ იყო ჩემი ჩვეულებრივი ხელი; ის აქტიორივით მოძრაობდა, დიახ, მინდოდა მეთქვა, თავისთავს თვითონ შესცქეროდა-მეთქი, რა გადაჭარბებულადაც არ უნდა ეღერდეს. მაგრამ ეს გარდასახვანი ისე შორს კი არ მიდიოდნენ, რომ გაუცხოვება მეგრძნო რაიმე ჩემი თავისგან. პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვანი იყო ეს გარდაქმნები, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი ჩემსავე თავში. სულ უფრო გაბედული ვხდებოდი, სულ უფრო შორს მივყვებოდი ჩემს წარმოსახვას, ზემოთ მივჭროდი, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ყოველთვის მოვახერხებდი თავის დაჭერას. სწრაფად მზარდ თავდაჯერებულებაში ცთუნებას ვერ ვამჩნევდი. ჩემს ბედისწერას ისღა აკლდა, რომ, ბოლო კარადა, რომელსაც, მეგონა, ვერ გავაღებ-მეთქი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ნებას დაჰყვა და წინ სამოსის ნაცვლად ნიღბების მთელი წყება გადამიშალა, რომელთა ზღაპრული სიჭრელისგან თავბრუ დამეხვა. შეუძლებელია იმის ჩამოთვლა, რაც იქ ეკიდა. გარდა შავი, ნიღბიანი მანტიისა, კარგად რომ მახსოვს, იქ იყო სხვადასხვა ფერის დომინოები, ქალის ქვედატანები, წკრიალ-წკრიალი რომ გაჰქონდათ ჩაკერებული მონეტების გამო. იყო პიეროები, სულელური რომ მეჩვენებოდა, ნაოქებასხმული თურქული შარვლები, არაბული ქუდები, პატარა ქაფურის ტობრაკები რომ დასთრევდათ უკან და არათრისმაქნისი თვლებით მოოჭვილი გვირგვინები. მთელი ეს ქრელა-ქრელა პატივისცემას არ აღმიძრავდა, იმდენი საცოდავი არანამდვილობა იდგა მათში, და ისე გამოშიგნულად და უბადრუკად ეკიდნენ იქ, და ისე დუნედ და უნიათოდ ეთრეოდნენ ძირს, სინათლეზე როცა გაჰქონდა. მაგრამ რამაც მართლა გამოგნა, ეს იყო უზარმაზარი წამოსახამები, ქსოვილები, შარფები, პირბადეები, მთელი ეს დამყოლი, ვრცელი და გამოუყენებელი აღკაზმულობა, ასეთი სალუქი და მოალერსე, ან ისე სრიალა, რომ ხელიდან უსხლტებოდა ადამიანს, ან ისე მსუბუქი, რომ სიოსავით მილივლივებდა ან ერთობ მძიმე, მათ პირველად დამანახეს უსასრულოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობანი: გავმზდარიყავი მონა ქალი, რომელსაც ჰყიდნენ, ან უანა დ'არკი, მოხუცი მეფე ან ჯადოქარი. ყველაფერი შემეძლო, განსაკუთრებით კი იმის წყალობით, რომ ნიღბებიც იქვე იყო, დიდი, დამუჭრებული თუ განცვიფრებული პირისახენი ნამდვილი წვერებითა და ჩამობურთული ან ზემოთ აყრილი წარბებით. მანამდე ნიღბები არასდროს მენახა, მაგრამ იმთავითვე ეხვდებოდი, რომ ისინი უნდა არსებულებოდა ამქვეყნად. გამეცინა, რადგან გამახსენდა, რომ ერთი ძალი გვყავდა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნიღბს ატარებდა. წარმომიდგა მისი კეთილი თვალები, მუდამ თითქო-



სდა ბანჯგელიანი ნიღბის სიღრმიდან რომ იმზირებოდნენ. ისევ ვიცობდი და თან ვიშოებოდი და ამასობაში სულ დამავიწყდა, თუ ვინ უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ახალიც იყო და საინტერესოც, რომ ეს შემდეგ პირდაპირ სარკის წინ გადამეწყვიტა. ნიღბს, რომელიც ავიფარე, უცნაური, ფუტურული სწრაფად და მჭიდროდ მეკვროდა სახეზე, მაგრამ მაინც შემეძლო იქიდან მოხერხებულად მეჭვრიტა. ასე რომ, როცა ნიღბი უკვე სახეზე მქონდა, მაშინლა შევეუდექი ქსოვილების არჩევას, ვიდექი და ჩალმასავით ვიხვევდი თავზე, ბოლოს ნიღბის ქვედა კიდე ყელთან უზარმაზარ წამოსასხამში ჩაეფლო, ხოლო გარშემო მჭიდროდ შეფუთული აღმოჩნდა. მეტი აღარ შემეძლო. თავი საკმარისად შებურულ-შენიღბულად დავიგულე, ერთ კვერთხსაც დავავლე ხელი და ასე გავბაჯბაჯდი. მართალია, არცთუ მსუბუქად, მაგრამ როგორც მეჩვენებოდა, ძალზედ ღირსეულად, სასტუმრო ოთახში სარკესთან.

ჩემი ჩაცმულობა მართლაცდა დიდებული აღმოჩნდა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სარკემაც იმავე წუთს აირეკლა და უკან დააბრუნა, ისეთი დამარწმუნებელი რამ გახლდათ. სულაც არ იყო საჭირო ბევრი მოძრაობა. ეს გამოცხადება სრულყოფილებას წარმოადგენდა მაშინაც კი, როცა არაფერს არ აკეთებდა. მაგრამ ღირდა კი იმის გაგება, თუ ვინ ვიყავი ბოლოსა და ბოლოს, ამიტომ ოდნავ შევეტრიალდი და ორივე ხელი ზემოთ აღემართე. თითქოს ვლოცულობდი, რაც, როგორც მაშინვე შევნიშნე, ერთადერთი სწორი პოზა გახლდათ. მაგრამ სწორედ ამ საზეიმო წუთს, საიდანაც სრულიად ახლოდან, ჩემი მრავალფენოვანი სამოსით დახშული, რაღაც მრავალბგერა ხმაური შემომესმა: შიშისაგან თავგზააბნეულმა ის არსება სარკეში თვალთაგან დავკარგე და საშინელმა სიანჩხლემ შემიპრო, როცა დავინახე, რომ პატარა, მრგვალი მაგიდა, ღმერთმა იცის თუ რა და რა, ალბათ ძალზე მყიფე საგნებთან ერთად გადამეყირავებინა. როგორც შემეძლო დავიკუხე და მაშინვე დავინახე ჩემი აებედითი მოლოდინის დადასტურება: თითქოს ყველაფერი დალეწილიყო, ორივე, სრულიად არაფრისმაქნისი მომწვანო-მოლურჯო ფაიფურის თუთიყუში, ცხადია, თვითთული თავისებურად უკეთურად დამსხვრეულიყო. რაღაც შუშის ყუთს კი, საიდანაც ვერცხლის ქაღალდში შეხვეული რაღაც მწერების მსგავსი კანფეტები მოგორავდნენ, თავისი სახურავი შორს მოესროლა და იმ სახურავის ნახევარილა მოსჩანდა, ხოლო მეორე ნახევარი საერთოდ გამქრალიყო. მაგრამ ყველაზე საშინელი უთვალავ წვრილ ნამსხვრევად ქცეული ფლაკონი გახლდათ, საიდანაც რაღაც ძველისძველი ესენცია გადმოღვრილიყო და აი, ახლა საზიზღარ ლაქად აჩნდა ღია ფერის იატაკს. სასწრაფოდ მოვწმინდე რაღაცით, ძირს რომ დამთრევდა, მაგრამ ლაქა უფრო ჩაშავდა და მთლად დაუშნოვდა. ნამდვილმა სასოწარკვეთამ შემიპყრო. ავდექი და რაღაც ისეთ საგანს დავუწყე ძებნა, რითაც ყველაფერს წესრიგში მოვიყვანდი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე და თან ისე შებურული ვიყავი და ისე მეშლებოდა ხელი ძებნასა და მოძრაობაში, რომ მრისხანება მომეძალა ჩემი უაზრო მდგომარეობის გამო, რომელსაც ველარც კი ვაცნობიერებდი. ყველაფერს ვიგლეჯდი ტანიდან, მაგრამ ყველაფერი უფრო მჭიდროდ მეკვროდა. წამოსასხამის ზონრები მახრჩობდა და თავზე წამოდგმული ჩალმაც ისე მაწვებოდა, თითქოს თანდათან იზრდებო. თან ჰაერიც შეიხუთა, თითქოს დადამბლავდა ამღვრეული სითხის ძველთაძველი სურნელებისაგან.

გავარვარებული და განრისხებული სარკესთან მივიტყერი და ღონემიხდილი ვუყურებდი ნიღბიდან, რა გაფაციცებით მუშაობდნენ ჩემი ხელები. და სწო-

რედ ამას უცდიდა სარკვე. წუთი, როცა მას თავი უნდა გამოეჩინა, დამდგარა. ვიდრე ჩემი შებოჭილობა სულ უფრო იზრდებოდა და მე მთელ ძალდასრულ ვაძავედი, რათა რამენაირად ამ ჩემი შეფუთულობიდან თავი დამეღწია, სარკვე მაიძულებდა, რა ვიცი რა საშუალებებით, მისკენ მეცქიოდა და მკარნახობდა რაღაც სურათს, არა, რაღაცა სინამდვილეს, რაღაცა უცნაურ შეუწყვდომელ, კოშმარულ სინამდვილეს, რომელიც მგუდავდა და არას მეკითხებოდა, რადგან ახლა ის იყო მოქმედი და უფრო ძლიერი, მე კი სარკვე ვიყავი. მივშტებოდი ჩემს წინაშე მდგომ ამ ვეება, ზარდამცემ უცნობს და ჯოჯობეთად შეჩვენებოდა მასთან ასე პირისპირ ყოფნა. მაგრამ იმ წუთას, ამას რომ ვფიქრობდი, მოხდა ყველაზე უარესი: მე გონი დავკარგე, უბრალოდ, მთლიანად გამოვითიშე. ერთი წამი რაღაც ენითაუწერელ მტკივნეულ და ამოო ლტოლვას განვიცდიდი ჩემივ თავისაკენ: რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ის იყო, ის უცნობი და სხვა აღარაფერი მის გარდა.

ადგილს მოვწყდი და გავეჭეცი. მაგრამ ეს მე კი არა, თვით უცნობი გარბოდა ის ყველაფერს ეჯახებოდა, ბინას ვერ სცნობდა, არ იცოდა საითკენ წასულიყო, ერთი კიბე ჩაირბინა და გასასვლელში ვიღაცას შეასკდა, ვინც კვილით გადახტა განზე. რომელიღაც კარი ვაილო და რამდენიმე ადამიანი გამოვიდა. რა! რა! რა კარგი იყო, რომ მათ იცნობდა. ეს სივერსენი გახლდათ, კეთილი სივერსენი, მოახლე გოგო და მსახური. მხოლოდ არჩევალა იყო საჭირო. მაგრამ ისინი როდი გამოიქცნენ გადასარჩენად. მათი გაოგნება საზღვარს გადასცდა, იდგნენ და იცინოდნენ. ღმერთო ჩემო, მათ შეეძლოთ ასე მდგარიყვნენ და ეცინათ, მე კი ვტიროდი. მაგრამ ნილაბი ცრემლებს არ ატარებდა. ცრემლები სახეზე მელვრებოდა, მაშინვე შრებოდა და ისევ მელვრებოდა. და ბოლოს დავიჩოქე იმათ წინაშე, როგორც არავინ არასოდეს არ დაჩოქილა; დავიჩოქე, ხელები აღვაბურე მათკენ და შევლაღადე: „ამომიყვანეთ, თუ კიდევ შეიძლება და დამიჭირეთ“. მაგრამ არ ესმოდათ. ხმა აღარ მქონდა.

შემდეგ სივერსენი სიცოცხლის ბოლომდე ჰყვებოდა, ძირს როგორ დავცემოლეუარ და ისინი კი როგორ განაგრძობდნენ სიცილს, იმ რწმენით, რომ ჩემი დაცემაც მთელი ამ სანახაობის ნაწილი იყო. მაგრამ შემდეგ აღარ განვიძრეულვარ და პასუხიც აღარ გამიცია. და როგორ დასცემიათ თავზარი, როცა ბოლოს მიმხედარან, რომ მე გულწასული ვიყავი და იმ ქსოვილებში საგასოვით ვეცდე, ნამდვილი საგანივით.

დრო სწრაფად გადიოდა და შეუმჩნეველად მოატანდა ხოლმე ის დღეც, როცა მოჭადაგე დოქტორ ესპერსენს ვპატიუბდით. ორივე მხარისათვის ეს ფრიად მომქანცველი და შემალონებელი პურადობა გახლდათ. თავის უალრესად ღვთისმოსავ მეზობლებს მიჩვეული, მას რომ ლამის ზედ აღნებოდნენ, დოქტორი ჩვენთან რაღაც ადგილს ვერ პოულობდა. მე ვიტყოდი, იჭდა და ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით უჰაერობისაგან სულსა ღაფავდა. ლაყუჩებით სუნთქვა, მას რომ გამოემუშავებინა, სულ უფრო უჭირდა, პირთან ბუშტები უჩნდებოდა და მთელი ეს პროცესი არცთუ საიმედო შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასაუბრო მასალა, თუკი სიზუსტეს გამოვიჩინთ, საერთოდ არ არსებობდა. ამ მასალის ნამცეცების ათვისება მოსაუბრეთაგან წარმოუდგენელ ძალას ითხოვდა და ამით დაქტიურად მთელი მარაგი ნადგურდებოდა კიდევ. დოქტორი

ესპერსენი ჩვენთან რაღაც სახლიკაცის როლით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც სწორედ რომ არასოდეს ყოფილა ჩვენთვის. ის როგორც თავად თვლიდა, სულის დარგში იყო განწესებული. სული საჯარო დაწესებულება განლდათ მისთვის, რომლის წარმომადგენლადაც თავი მიაჩნდა და აბეზინგენის<sup>1</sup> რომ არასოდეს სამსახურის გარეშე არ ყოფილიყო, თვით თავის მუდღუნს-თან, თავის „მოკრძალებულ, ერთგულ რებეკასთანაც კი, ურიცხვი მშობიარობის გზით თანდათან რომ უახლოვდებოდა ნეტარებას“, როგორც სხვა კერძო შემთხვევაში აღნიშნა ლაფატერმა<sup>1</sup>.

რაც შეეხება მამაჩემს, მისი დამოკიდებულება ღმერთის მიმართ სავაებით კორექტული გახლდათ და უზადო თავაზიანობით აღბეჭდილი. ზოგჯერ ეკლესიაში, სუნთქვაშეკრული რომ იდგა და მოთმინებით უცდიდა იმ წუთს, როცა წელში უნდა მოხრილიყო, მეჩვენებოდა, ღმერთთანაც მონადირეთუხუცესის მოვალეობას ასრულებს-მეთქი. დედას კი, პირიქით, თითქმის შეურაცხყოფელად მიაჩნდა, რომ ვინმეს შეიძლება, რაღაც მოწვესრიგებული და ზრდილობიანი დამოკიდებულება ჰქონოდა ღმერთთან.

ის რომ სხვა, მძაფრი და მრავალფეროვანი რიტუალების რელიგიას ზიარებოდა, მისთვის მართლაც ნეტარება იქნებოდა, საათობით მუხლო ედრიკა და ძირს განრთხმულიყო და უზარმაზარი ჯვარი დაეკიდა მკერდზე ანდა მხრებით ეზიდა. მას ჩემთვის ლოცვა არ უსწავლებია, მაგრამ სიმშვიდე ეუფლებოდა, როცა ხალისით ვიჩოქებდი და ხან წელშიმოხრილი, ხან გამართული, მლოცველივით ვიწვდიდი ხელებს. ჩემს თავთან საკმაოდ განმარტოებულმა მე ადრევე გავიარე განსაცდელთა და გამოცდილებათა უგრძესი რიგი, რომელიც შემდეგ, ძალიან გვიან, ღმერთისკენ წარვმართე და ისე მძაფრად, რომ ის შეიქმნა და დაიმსხვრა შექმნისთანავე. ცხადია, ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო. და ამ დაწყებისას ზოგჯერ ვფიქრობდი, დედაჩემი მჭირდება-მეთქი. თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით სწორი იქნებოდა რომ სრულიად მარტოს გამევილო ეს გზა. და ესეც რომ არა, ამ დროს დედა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

დოქტორ ესპერსენთან დედას ხუმრობა და გართობაც შეეძლო. დედა იწყებდა საუბარს, დოქტორი რომ სერიოზულად იღებდა, და როგორც კი ესპერსენიც აპყვებოდა, დედა ფიქრობდა, ეს სავსებით საკმარისიაო, და უურადლებას აღარ აქცევდა, სრულიად ავიწყდებოდა, თითქოს დოქტორი იქ აღარც იყო. „როგორ შეუძლია ასე იაროს სახლებში და ადამიანს მაინცდამაინც მაშინ დაადგეს თავზე, როცა ის კვდება?“ — ამბობდა დედა ესპერსენზე.

დოქტორი მასაც დაადგა თავზე ამ შემთხვევის გამო, მაგრამ დედამ ალბათ ველარც დაინახა: ალქმის უნარი უკვე დაჰკარგვოდა, ყველაზე ადრე კი სახე ჩაუქრა. ეს შემოდგომაზე მოხდა. უკვე ქალაქში ვაპირებდით გადაბარგებას, რომ დედა უეცრად ავად შეიქნა, ან უფრო სწორედ, მან მაშინვე დაიწყო კვდომა: კვდებოდა ნელა და უნუგეშოდ, მთელ სხეულზე კანი უშრებოდა და უჭკნებოდა. ეჭიმები მოდიოდნენ. ერთ დღესაც ყველანი ერთად შეიყარხენ და მთელი ჩვენი სახლი გაავსეს. მათი თათბირი რამდენიმე საათს გაგრძელდა. თითქოსდა სახლი საიდუმლო საბჭოსა და მის თანაშემწეთ დაესაკუთრებინათ, ჩვენ კი ხმის უფლება არა გვქონდა. მაგრამ შემდეგ მათ უცბად დაკარგეს ყოველგვარი ინტერესი დედაჩემის მიმართ. ისევ მოდიოდნენ ხოლმე, თღონდ

<sup>1</sup> ი. ა. ლაფატერი (1741—1801) — შვეიცარიელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და პოეტი.

სათითაოდ, თავაზიანობის გულისთვის, რათა ერთი სიგარა მოეწიათ და ერთი ჭიქა პორტვეინი მიერთვათ. ამასობაში კი დედა მოკვდა.

დედაჩემის ერთადერთ ძმასღა ელოდებოდნენ, გრაფ ქრისტიან ბრაეს, რომელიც ერთი ხანობა თურქეთის სამსახურში იდგა, როგორც ყველა ამბობდა, ფრიად გამოერჩიათ და დაეწინაურებნენ. ერთ დღეს ჩამოვიდა უცხოელი მსახურის თანხლებით და მე ძალიან გამიკვირდა, რომ ის მამაჩემზე მალალი და ალბათ უფრო ხნიერიც აღმოჩნდა. ბატონებმა მაშინვე რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, რაღაც, რაც ჩემის მიხვედრით, დედას ეხებოდა. შემდეგ მამაჩემმა თქვა: „ძალზე დამახინჯებულია“. ამ ნათქვამს მაშინ ვერ მივხვდი. მაგრამ გამაყრუოლა, როცა მომესმა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მამაჩემმაც თავს ძალა დაატანა და გაჭირვებით წარმოსთქვა. მაგრამ თუ ის იტანჯებოდა, როცა დედაჩემის დამახინჯება აღიარა, მხოლოდ შელახული თავმოყვარეობის გამო.



მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ამჯერად უკვე ურნეკლოსტერში, ისევ გავიგონე, რომ გრაფ ქრისტიანს ახსენებდნენ. და სწორედ მატილდე ბრაე გახლდათ, ვინც მასზე განსაკუთრებული სიყვარულით ლაპარაკობდა ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ცალკეულ ეპიზოდებს ის თვითონ თხზავდა, რადგან ბიძაჩემის ცხოვრება, რომლის შესახებაც ნიადაგ მხოლოდ მითქმა-მოთქმა აღწევდა საზოგადოების და ასე განსაჯეთ, ოჯახის ყურამდეც კი, უსასრულო მრავალფეროვნებით შეიძლებოდა გადმოცემულიყო, რაკი ამ ჭორების გაბათილება მას არასოდეს უცდია. ურნეკლოსტერი ახლა მის მფლობელობაშია. მაგრამ არავინ იცის, ცხოვრობს თუ არა იგი იქ. ეგებ ჯერ ისევ მოგზაურობს ჩვეულების მიხედვით. ვინ იცის, ეგებ მისი სიკვდილის ამბავი დედამიწის უშორეს კუთხიდან უკვე გზაშია. მოწერილი უცხო მსახურის ხელით ცუდ ინგლისურ ანდა რომელსამე უცნობ ენაზე. ვინ იცის, ეგებ ამ მსახურმა, არც არაფერი ნიშანი მოგვცეს, როცა ბატონის სიკვდილის შემდეგ მარტო დარჩება. ვინ იცის, ეგებ, ორივენი რა ხანია, რაც დაიღუპნენ და რომელიმე ჩაძირული გემის მგზავრთა სიაში სულ სხვა გვარებით წერიან.

თღონდ მაშინ ურნეკლოსტერში ეტლი რომ ჩაიჭროლებდა, მუდამ ველოდი: აი, ახლა შემოვა და დავინახავ-მეთქი და გული განსაკუთრებულად მიწყებდა ძვერას. მატილდე ბრაეც გვარწმუნებდა: სწორედ ასე მოვაო, ასე იცის, უცბად გაჩნდება ხოლმე, მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებ მოელიანო. არასდროს მოსულა, ჩემი ფიქრი კი კვირების მანძილზე ამ კაცს დასტრიალებდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოვალენი ვიყავით, რაღაც ურთიერთობა ვქონოდა ერთმანეთთან და მე უდიდესი სიამოვნებით მოვისმენდი მის შესახებ რაიმე ნამდვილს.

და როცა მალე ამის შემდეგ ჩემმა ცნობისმოყვარეობამ გარკვეულ გარემოებათა წყალობით მთლიანად ქრისტიანე ბრაესკენ აიღო გეზი, მე თვითონ მიკვირდა, რომ სულ არა ვცდილობდი ამ ქალის ცხოვრებიდან რაიმე შემეტყო. მხოლოდ ის აზრი მაწუხებდა, იყო თუ არა მისი პორტრეტიც გალერეაში ამის დადგენის სურვილმა ისე უჩიათად და მტანჯველად შემიპყრო, რომ რამდენიმე დამე თვალს რული არ გამკარებია, ვიდრე სრულიად მოულოდნელად, ის დამე არ დადგა, როცა, მე, ღმერთო ჩემო, ავდექი, სანთელი ავიღე და ჩემი ოთახი-

დან გამოვედი. სანთლის ალი ისე თრთოდა, თითქოს შიშისგან კანკალებსო. ხოლო მე შიშზე არ ვფიქრობდი. საერთოდ, არაფერზეც არ ვფიქრობდი: მაცდობდი. მალალი კარები, თითქოს მეთამაშებოდა. ისე მსუბუქად იღებოდა ჩემს წინ, ჩემს ზემოთ და გზას მაძლევდა. ოთახები მშვიდად მეგებებოდნენ და ბოლოს იმ ბნელი სიღრმით, რომელმაც უცბად შემომასუნთქა, მივეჯდარიყავი ლერეაში ვიყავი უკვე. მარჯვნივ ლამით ავსებულ ფანჯრებს შევიგრიბობდი, ხოლო მარცხნივ სურათები უნდა ყოფილიყო გამწკრივებული. სანთელი რაც შემეძლო მალლა ავწიე: დიახ, იქ სურათები იყო.

თავიდან გადავწყვიტე მხოლოდ ქალებისათვის შემეხედა. მაგრამ შემდეგ ყველა ვიცანი სათითაოდ, ულსგორშიც ხომ ასე ეკიდნენ და როცა მათ ასე ქვემოდან ვაშუქებდი, ისინი ირბოდნენ და სინათლეში სურდათ შემოსვლა და მე გულქვაობად მეჩვენებოდა, რომ ცოტა ხნით მაინც არ დამეცადა. აქ იყო ისევ ის ქრისტიან მეოთხე ლამაზად დაწნული თმით, მის ფართო, რბილად ამოზნექილ ყვრიმალეებს რომ დაჰყვებოდა. აქ იყვნენ, მე მგონი, მისი ცოლები, რომელთაგან მხოლოდ ქრისტიანა მუნკს ვიცნობდი და აი, უეცრივ ფრაუ ელენ მარსვინმა შემომანათა გამომცდელად, ქვრივის სამოსსა და იგივე მარგალიტისმძივიან თავსაბურავში გამოწყობილმა. აქ იყვნენ მეფე ქრისტიანის შვილები: სულ უფრო და უფრო ნორჩები — ახალ-ახალი ცოლებისაგან. „უბადლო“ ელენორა თეთრ ბედაურზე ამხედრებული, თავისი ცხოვრების ბრწყინვალე ხანაში, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. გიულდენლოვეები: ჰანს ულრიკი, რომელიც ისეთი სისხლჭარბი იყო თურმე, რომ ესპანეთში ქალებს ჰგონებოდათ, სახეს იღებავსო, დაუვიწყარი ულრიკ ქრისტიანი და ულფელდების ლამის მთელი საგვარეულო. ხოლო თვალები შავად რომ მოეხატათ, ჰენრიკ ჰოლკი უნდა ყოფილიყო, ოცდაცამეტი წლის ასაკში რაიხსგრაფი რომ გახდა თურმე და ფელდმარშალი, უცნაური გარემოების შედეგად: ქალწულ ჰილბორგ კრაფსესაკენ მიმავალს, გზაში დასიზმრებოდა, რომ საცოლეს მაგივრად მახვილი მიაგებეს ვითომ, სიზმარი გულთან ახლოს მიეტანა, უკანვე გაბრუნებულიყო და შესდგომოდა თავის საბედისწერო, ხანმოკლე ცხოვრებას შავი ჭირით რომ დაემთავრებინა ბოლოს. მათ ყველას ვიცნობდი. ნიმფეგენის კონგრესის წევრებიც გვყავდა ულსგორში, ერთმანეთს რომ წააგავდნენ ოდნავ, რადგანაც ყველა ერთდროულად დაეხატათ: მათ ყველას ტუჩებზე წარბივით გადარკალოდა წვრილი ულვაში, ხოლო ტუჩები კი ისეთი ცოცხალი და მგრძნობიარე ჰქონდათ, რომ ლამის თვალებივით იმზირებოდნენ.

ჰერცოგი ულრიკი რომ ვიცანი, თავისთავად გასაგებია, და ოტო ბრაე და კლაუს დაა, და შტენ როზენსპარე, თავისი მოდგმის უკანასკნელი შთამომავალი, რადგანაც ამათი სურათები იქ, ულსგორში მქონდა ნანახი, ანდა ძველ ჩანთებში ნაპოვნი სპილენძის გრავიურებიდან ვიცოდი, რომლებზეც მათი სახეები იყო ამოტვიფრული.

მაგრამ შემდეგ ბევრი გამოჩნდა ჩემს უცნობი: ქალები ნაკლებად, ბავშვები მრავლად. ხელი დიდი ხანი იყო რაც დამეჩანცა და მიცახცახებდა, მაგრამ სანთელს ისევ ზემოთ ვწევდი, რათა ბავშვები დამენახა რამენაირად. მე გავუგე მათ, ამ პატარა გოგონებს, ხელზე ჩიტი რომ დაესვათ და დავიწყებოდათ. ზოგჯერ პატარა ფინია იყო ჩაცმული იმათ ფეხებთან, ბურთი იდო იქვე, ხოლო მახლობელ მაგიდაზე ყვავილები და ხილი ელაგა, მაგიდის უკან სვეტზე ჯერ ისევ ეკიდა გრუბების, ბილებისა თუ როზენკრანცების პატარა ღერბი: ამდენი რამ დაეხვავებინათ ბავშვების გარშემო, თითქოსდა უამრავ

რამეზე უხდიდნენ ბოდიშს. გოგონები კი უძრავად იდგნენ, გრძელ კაბებში გამოწყობილი და იცდიდნენ. აშკარად ჩანდა, რომ იცდიდნენ მშინ კვლავ დავიწყე ფიქრი ქალებზე და ქრისტინე ბრაეზე და იმაზე, ~~შევძლებდი~~ თუ არა მის ცნობას.

მინდოდა სწრაფად გავქცეულიყავი გალერეის ბოლოში, <sup>მეტი</sup> ~~მეტი~~ უნცნო გამოვყოლოდი კედელს და ისევ მეძებნა, მაგრამ რალაცას დავეჩახე. ისე ელვისებურად შემოვბრუნდი, რომ პატარა ერიკი უკან გადახტა და დაიჩურჩულა: „ცოტა ფრთხილად, მაგ შენი სანთლით“.

„შენა ხარ?“ — ვიკითხე სუნთქვაშეეკრულმა, თან ჯერ ვერ გამეგო, კარგი რამ მოხდა თუ საშინლად ცუდი, აქ რომ გადავაწყდი. მან მხოლოდ ჩაიციხა და აღარ ვიცოდი, ახლა რაღა მექნა. ჩემი სანთელი ლიფლიფებდა და მისი სახის გამომეტყველებას წესიერად ვერც კი ვხედავდი. ალბათ მაინც ძალიან ცუდი იყო, აქ რომ დამიხვდა. მაგრამ ამ დროს მომიახლოვდა და მითხრა: „იმისი სურათი აქ არ არის, ჩვენ ისევ ვეძებთ“. თავისი ნახევარხმითა და ცალი მოძრავი თვალით მან რალაცნაირად ზემოთკენ მიმანიშნა და მე მივხვდი, რომ ჭერს გულისხმობდა. მაგრამ ერთბაშად თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა:

„ჩვენ?“ — შევეკითხე — „განა ქრისტინე ზემოთ არის?“

„ღიახ“ — თავი დამიქნია და გვერდით მომიდგა.

„თვითონაც ეძებს?“

„ჰო, ჩვენ ვეძებთ“.

„მაშ, სურათი სხვაგან წაიღეს?“

„ჰო, შენ წარმოიდგინე! — თქვა მან აღშფოთებით, მაგრამ არ მესმოდა რა სურდა ქრისტინე ბრაეს.“

„თავისი თავის დანახვა სურდა“... — სულ ახლოს ჩამჩურჩულა ერიკმა.

„აჰ, ასე“... — ვითომ გავიგე და მან უცბად სანთელს შეუბერა და ჩააქრო. ვიდრე ჩააქრობდა დაეინახე, წინ როგორ გადმოიწია სინათლეში და წარბები ზემოთ აჭიმა. შემდეგ კი დაბნელდა. უნებურად უკან დავიხიე.

„რას ჩადიხარ?“ — დავიყვირე მოდუნებულმა და სასაგამშრალმა. ის ჩემსკენ გადმოხტა, მკლავზე ჩამომეკიდა და ახითხითდა.

„რა იყო?“ — იქით გავწიე, მინდოდა მკლავიდან ჩამომეწყვიტა, მაგრამ მაგრად ჩამბლაუჭებოდა, და ველარაფერი მოვახერხე, როცა კისერზე მომხვია ხელი.

„გინდა ვითხრა?“ — დაისისინა მან და ოდნავ მომანერწყვა ყურის ბიბილოზე.

„ჰო, ჰო, ჩქარა“.

აღარ ვიცოდი, რას ვამბობდი. ის ისევ კისერზე ჩამომეკიდა და თან ფეხისწვერებზე იწევდა.

„მე სარკე მივუტანე“, — თქვა და კვლავ ახითხითდა.

„სარკე?“

„ჰო, რადგან სურათი ხომ არ არის აქ?“

„არა, არ არის“, — ვანიშნე ხელით.

მან ცოტა იქით, ფანჯრისკენ წამათრია და ისე მაგრად მტაცა ხელი მკლავში, რომ წამოვიყვირე.

„ის სარკეში არ არის“, — ჩამბერა ყურში.

უნებურად ხელი ვკარი და რალაცამ ჭახანი გაიღო, ასე მეგონა, რალაც მოვტეხე-მეთქი.

„წადი, წადი“, — და ახლა თავად გამეცინა. „სარკეში არ არის, როგორც თუ სარკეში არ არის?“

„სულელი ხარ“, — ავად მომახალა და მერე აღარ უჩურობდა. მისი ხმა გადაიფურცლა, თითქოსდა ის თავისი ხმის რაღაც ახალი, ჯერ გამჩუმებელი ნაწილით ალაპარაკდა: „ან სარკეში ჩანს ადამიანი“, — დამარცვლა ნაწილით სულივით დამრიგებლურად და მკაცრად, „და მაშინ მისი სურათი აქ ვერ იქნება, ან აქ არის და მაშინ არ შეიძლება სარკეში ჩანდეს“.

„რასაკვირველია“, — ვუბასუხე საჩქაროდ, ისე, რომ არც კი დავფიქრებულვარ. მეშინოდა, არ წასულიყო და მარტო არ დავეტოვებინე. ხელიც კი ვტაცე.

„გინდა მეგობრები ვიყოთ?“ — შევთავაზე. რამდენჯერმე მათხოვინა და შემდეგ მედიდურად მომიგო: „ჩემთვის სულერთია“. — შევეცადე, მაშინვე დამეწყო ჩვენი მეგობრობა, მაგრამ მოხვევინა ვერ გამებედა. „ძვირფასო ერიკ“, როგორც იქნა, აღმომხდა ბოლოს და მგონი, ოდნავ შევეხე კიდევ. უეცრად საშინლად დავიღალე. მიმოვიხედე, ველარ გამეგო, აქ როგორ მოვხვდი, ან როგორ არ შემეშინდა, როცა აქ წამოსვლა დავაპირე. აღარ მესმოდა, სად იყო ფანჯრები და სად სურათები და როცა წავედი, იძულებული ვიყავი მას მივყოლოდი. „ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებენ“, — დამამშვიდა დიდსულოვნად და კვლავ ჩაიხითხითა.

„ჩემთვის“  
„სულელი“  
„რასაკვირველია“

ძვირფასო, ძვირფასო ერიკ, ჩემი ერთადერთი მეგობარი ალბათ მაინც შენ იყავი, რადგან სხვა არასდროს არავინ მყოლია. სამწუხაროა, რომ მეგობრობა არ მოისურვე. შემეძლო ზოგი რამ მომეთხრო შენთვის. ეგებ, აგვეტანა კიდევ ერთმანეთი. ვინ იცის. მაგონდება, შენს სურათს ხატავდნენ მაშინ. პაპამ ვიღაც მოაყვანინა, ვინც შენ გხატავდა, ყოველ დღით თითო საათი. მხატვრის სახეს ველარ ვიხსენებ, მისი სახელიც ამომივარდა თავიდან, თუმცა მათილდე ბრაე წამდაუწყებ იმეორებდა.

ნეტავ თუ ისე გხედავდა ისიც, როგორც მე გხედავ? ჰელიოტროპისფერი კოსტიუმი გეცვა. მათილდე ბრაე გიყვებოდა ამ შენს კოსტიუმზე. მაგრამ ეს სულერთია. გხედავდა ის კაცი? მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე. დავუშვათ, რომ ის ნამდვილი მხატვარი იყო. დავუშვათ, სულ არ ფიქრობდა, რომ შეგეძლო მომკვდარიყავი, სანამ შენს სურათს დაამთავრებდა, დავუშვათ, ასე გულჩვილად არ უდგებოდა საქმეს, რომ ის უბრალოდ მუშაობდა, რომ მაგ შენ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ თაფლისფერ თვალებს ალტაცებაში მოჰყავდა მხოლოდ, რომ არცერთი წუთით არ უგრძვნია უხერხულობა იმის გამო, რომ ცალი თვალი არ მოძრაობდა. სხვაც ყველაფერი დავუშვათ, რაც საჭიროა ნამდვილი პორტრეტის შესაქმნელად: მაშინ აქ შენი სურათია, შენი სურათი, უკანასკნელი ურნეკლოსტერის გალერეაში.

(და როცა ათვალიერებ გალერეას და უკვე ყველა სურათს ნახავ, იქ ბოლოში კიდევ მოსჩანს ვიღაც ბიჭი. ერთი წამით! ვინ არის ეს ბიჭი? — ერთ-ერთი ბრაე. ხედავ ვერცხლის სვეტს მრუმე მინდორზე და ფარშევანგის ფერად ბუმბულებს: იქვე სახელიც წერია: „ერიკ ბრაე“. განა ეს ის ერიკ ბრაე არ არის, სიკვდილით რომ დასაჯეს? რა თქმა უნდა. საკმაოდ გახმაურებული ამბავია. ამგრამ იმ კაცს აქ ვერ ვხედავთ. ეს ბიჭი ბიჭად გარდაიცვალა. სულერთია როდის. არ შეგიძლია ამის დანახვა?).

\* \* \*

როდესაც სტუმრები გვყავდა და ერიკს უძახდნენ, მატყლდებოდა მუდამ იმას ირწმუნებოდა, რომ პირდაპირ დაუჭერებელი იყო, როგორც ვხვდებოდა ბიჭი მოხუც გრაფინია ბრაეს, დიდდაჩემს. ამ ქალზე ამბობდნენ, რომ დიდდაჩემს ბატონი იყო. მე არ ვიცნობდი. სამაგიეროდ ქალზე კარგად მახსოვდა მამაჩემის დედა: თავისი სიცოცხლის ბოლომდე ულსგორის ნამდვილი ბატონ-პატრონი, ვინც გულში მუდამ ჯავრობდა დედაჩემზე, რომ მან როგორც მონადირეთუხუცესის მეუღლემ ამ ოჯახში შემოაბიჯა. ამ დღიდან მოკიდებული ისე იქცეოდა, თითქოს თავის თავს უკან აყენებსო და მოსამსახურეთ ყოველ წერილმანზე დედასთან აგზავნიდა, თუმცა მნიშვნელოვან საქმეებს ისე მშვიდად სწყვეტდა და განაგებდა, რომ არასდროს არავისთვის ჩაუბარებია ანგარიში. დედაჩემს, მგონი, სხვა არც რა სურდა. ის სულ არ იყო იმისთვის გაჩენილი, რომ დიდი ოჯახი წარემართა, სრულებით არ გააჩნდა უნარი, გაერკვია — რომელი საქმე იყო მნიშვნელოვანი და რომელი — უმნიშვნელო. რაზედაც ელაპარაკებოდნენ, მუდამ ეგონა, ეს არის მთავარიო და სხვა დანარჩენი სრულიად ავიწყდებოდა, რაც, არადა, ასევე მოსაგვარებელი იყო. ის არასოდეს უჩიოდა დედამთილს. ანკი ვისთან უნდა დაეჩივლა: მამაჩემი ერთობ პატივისცემული და დამჭერე ვაჟი გახლდათ, პაპაჩემს კი ბევრი არაფერი ეკითხებოდა.

ფრაუ მარგარეტ ბრიგე, როგორც ჩემმა მეხსიერებამ შემომინახა, ტანმალალი, გოროზი ქალი იყო. მხოლოდ პაპაჩემზე ბევრად უფროსად შემიძლია წარმოვიდგინო. ის თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა ჩვენს შორის და არავის გვაგდებდა სათვალავში. არცერთ ჩვენგანზე არ იყო დამოკიდებული და არავინ ვჭირდებოდი. მხოლოდ შინაბერა გრაფინია ოქსეს არ იშორებდა გვერდიდან, რომლისთვისაც ოდესღაც რაღაც შემწეობა აღმოეჩინა და ამის გამო ისიც უსაშველოდ დავალეებულად გრძნობდა თავს. ეს შემთხვევა, როგორც ჩანს, რაღაც გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან ქველმოქმედება ფრაუ ბრიგეს ბუნება არ გახლდათ. ბავშვები არ უყვარდა და ვერც ცხოველები ეკარებოდნენ ახლოს. არც კი ვიცი, უყვარდა თუ არა საერთოდ რაიმე. ჰყვებოდნენ, რომ ის, სრულიად ნორჩი გოგონა დანიშნული ყოფილა მშვენიერ ფელიქს ლიხნოვსკიზე, რომელიც შემდეგ ასე შემზარავად დაიღუპა ფრანკფურტში და როდესაც გრაფინია გარდაიცვალა, მის ნივთებში შორის მართლაც აღმოჩნდა დაღუპული საქმროს პორტრეტი, რომელიც მოგვიანებით, თუ არა ვცდები, თავადის ოჯახს დაუბრუნეს. ვინ იცის, ვფიქრობ ახლა, ამ კარჩაკეტილი, სოფლური ცხოვრების გამო, როგორც წლითიწლობით სულ უფრო მეტად ხდებოდა ულსგორის ცხოვრება, მარგარეტ ბრიგე სხვა ბრწყინვალე ცხოვრებას ასცდა: თავის საკუთარსა და ბუნებრივს. არ ვიცი, მისტიროდა თუ არა იმ ცხოვრებას. ვინ იცის, ეგებ შეიძულა კიდევ, რაკი ეს ცხოვრება მას არ ეწვია და ამით გამოტოვა შესაძლებლობა — მარჯვედ, ლამაზად და დიდებულად ყოფილიყო ნაცხოვრები. თავისი განცდები ფრაუ ბრიგეს ქალზე ღრმად მიეჩქმალა სულის წიაღში და ზედ აურაცხელი ნაჭუჭი ჩამოეცვა, უამრავი მყიფე, ოდნავ ლითონისებრ მბზინავი ნაჭუჭი, რომელთაგან ყოველი ზემოთა ახლისა და გრილის მთაბეჭდილებას სტოვებდა. ოღონდ, დროდადრო ის თავს გასცემდა ხოლმე რაღაც გულუბრყვილო მოუთმენლობით, აქაოდა საკმაო ყურადღებას არ მაქცევთო. ჩემ დროს, მაგალითად, უცბად შეეძლო სუფრასთან ლუკმა ისე ხმამაღლა და რაღაც განსაკუთრებულად რთულ ყაიდაზე ჩაეყლაპა, რომ ყველას



ყურადღება მიეპყრო და ერთი წამით ყოფილიყო ისეთი სენსაციური და საინტერესო, როგორც ალბათ მთელი სიცოცხლე უნდოდა ყოფნა. ახლა ვფიქრობ, რომ მგონი მამაჩემი ერთადერთი იყო, ვინც ამ ერთობ მრავალჯერად შემთხვევას სერიოზულად იღებდა. მოწიწებით წინ გადახრილი მშვენიერება ხოლმე დედამისს და ჩანდა, რომ თავის საკუთარ ჯანმრთელ სწავლებელს იმ წუთშივე სთავაზობდა და მთლიანად უთმობდა. კამერპერი, რაღა თქმა უნდა, მაშინვე სწყვეტდა ჭამას, ერთ ყლუპ ღვინოს მოსვამდა ხოლმე და ყოველგვარი მოსაზრებისაგან თავს იკავებდა.

თავადი ბრიგე ერთადერთხელ ამხედრებოდა თურმე თავის მეუღლეს, ისიც სუფრასთან. მას შემდეგ დიდი ხანი იყო გასული, მაგრამ ამ ამბავს ისევ ერთთავად ჰყვებოდნენ ირგვლივ, ჩუმ-ჩუმად და გესლიანად. თითქმის ყველგან აღმოჩნდებოდა ხოლმე ვინმე ისეთი, ვისაც ჯერ კიდევ არ გაეგონა. ჰყვებოდნენ, რომ გრაფინიას ერთი ხანობა თურმე ფრიად აღიზიანებდა ღვინის ლაქები, ზოგჯერ ვინმეს ბედოვლათობის წყალობით სუფრაზე რომ ჩნდებოდა. ყოველ ასეთ ლაქას, რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო გაჩენილი, მაშინვე ამჩნევდა და როგორც საშინელ უგვანობას დაუნდობლად ამხელდა. სწორედ ასეთი ამბავი მომხდარიყო ერთხელ ხალხმრავალ და საპატიო წვეულებაზე. რამდენიმე უწყინარი ლაქა, მან უსაშველოდ გააზვიადა და გაუთავებელ და გამჭირდავ ბრალდებებს მოჰყვა. და როგორც არ ცდილობდა თურმე პაპაჩემი მისი ყურადღება ხელის ოდნავი მინიშნებითა და სახუმარო შეძახილებით სხვა საგანზე გადაეტანა, ის მაინც უჭითად განაგრძობდა საყვედურებს, ვიდრე მოულოდნელად სიტყვა პირზე არ შეაშრა: საქმე ის გახლდათ, რომ იმ წუთას რაღაც ჯერარყოფილი და სრულიად შეუცნობელი რამ მოხდა თურმე: კამერპერმა შავი ღვინო მოატანინა, რომელიც ის-ის იყო ჩამოერიგებინათ და ახლა მოხუცს მთელი ყურადღება მოექრობა და თვითონვე ივსებდა ჭიქას, მაგრამ სასწაული სწორედ ის იყო, რომ იგი თურმე არ შეჩერებულა და სულ უფრო მზარდ სიჩუმეში ნელა და ფრთხილად განაგრძობდა ღვინის ჩამოსხმას, როცა ჭიქა უკვე კარგა ხნის ავსებული იყო პირთამდე... კიდევ კარგი დედაჩემმა, რომელიც სიცოცხლე ვერასოდეს იკავებდა, ახლა ხმამაღლა გაიციინა და საერთო დაძაბულობა გაჭფანტა: ყველამ შვებით ამოისუნთქა, კამერპერმაც ზემოთ აიხედა და მსახურს ცარიელი ბოთლი გადასცა.

შემდეგში სხვა ახირებამ იმძლავრა დიდდაჩემის ხასიათში: ვერ იტანდა სახლში თუ გზად ხდებოდა ვინმე. ერთხელ, როდესაც მზარეული ქალი დაშავდა და გრაფინიამ მის შეწვეულ ხელს მოჰკრა თვალი, მაშინვე იმის მტკიცებას მოჰყვა, მთელ სახლში იოდოფორმის სუნი ტრიალებსო და ძლივს გადააფიქრებინეს მსახურის დათხოვნა. მასთან არავის უნდა ეხსენებინა ავადმყოფობა და თუ ვინმე იმდენ წინდაუხედაობას გამოიჩენდა, რომ უსიამოვნო საგანზე ჩამოაგდებდა სიტყვას, გრაფინია პირად შეურაცხყოფად იღებდა და შემდეგ დიდხანს არ უვიწყებდა.

იმ შემოდგომას, როცა დედაჩემი გარდაიცვალა, გრაფინია სოფია ოქსესთან ერთად თავის ოთახებში ჩაიკეტა და ჩვენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. საკუთარ ვაჟსაც კი აღარ იღებდა. მართლაც და ეს სიკვდილი ფრიად უდროოდ და უადგილოდ დაგვატყდა თავს. ოთახებში ციოდა, ღუმელები ხრჩოლავდა და სახლი თავვეებით აივსო. თავს ვერსად დაალწეედი. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო ყველაფერი. ფრაუ მარგარეტ ბრაე აღშფოთებული გახლდათ, რომ დედა მოკვდა. რომ დღის წესრიგში ისეთი საკითხი დადგა, რაზეც ლაპარაკს

ის მუდამ კრძალავდა, რომ ახალგაზრდა ქალბატონმა გაბედა და დაასწრო მას, ვისაც თვითონაც ჰქონდა მოფიქრებული სიკვდილი, თუმცა დრო ჯერ არ დაედგინა. რადგან რომ უნდა მომკვდარიყო, ხშირად ფიქრობდა. მაგრამ არ სურდა ვინმეს აეჩქარებინა. ის მოკვდებოდა, მაგრამ მაშინ, როცა თვითონ მოეპრიანებოდა და შემდეგ შეეძლოთ ყველანი ერთად დახვდნენ, თუკი ასე ეჩქარებოდათ. X

დედაჩემის სიკვდილი ჩვენთვის ბოლომდე არასდროს უპატიებია. სხვათა შორის, იმ ზამთარს რაღაც ერთბაშად მოტყდა. სიარულისას ისევ ისეთი მალაღლი ჩანდა, მაგრამ სავარძელში რაღაცნაირად მოიკუნტებოდა ხოლმე და სმენაც თანდათან აკლდებოდა. შეგეძლო მჯდარიყავი და საათობით სახეში გეცქირა მისთვის, ვერაფერს გრძნობდა. სადღაც, საკუთარ წიაღში იყო ჩაკარგული და ძალზე იშვიათად და ისიც წამიერად თუ უბრუნდებოდა მიტოვებული სახლივით გაუდაბურებულ თავის განცდებს. დროდადრო რაღაცას შეესიტყვებოდა შინაბერა ოქსეს, მას რომ მოსასხამს უსწორებდა; ან თავისი დიდრონი, საგულდაგულოდ დაბანილი ხელებით ისე აიკრეფდა ხოლმე კაბის კალთებს, თითქოს წყალი ყოფილიყო მის ფეხებთან დაღვრილი, ანდა თითქოს ჩვენს სისუფთავეში ეპარებოდა ეჭვი.

ის გაზაფხულის დამდეგს მოკვდა, ღამით, ქალაქში: სოფია ოქსემ, თუმცა კარი ღია ჰქონდა, ვერა გაიგო. დილით რომ ნახა, უკვე შუშასავით ცივი და უფერო იყო.

მალე, ამის შემდეგ დაიწყო კამერჰერის დიდი და საშინელი ავადმყოფობა. თითქოსდა თავადი ბრიგე თავისი მეუღლის სიკვდილს ელოდებოდა, რომ შემდეგ ისე დაუდევრად და შმაგად მომკვდარიყო, როგორც ჰმართებდა.

\* \* \*

დედაჩემის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ერთი წელი იყო გასული, აბელონე პირველად რომ შევამჩნიე. ის ყოველთვის ჩვენთან ტრიალებდა და ამით ბევრი რამ აკლდებოდა. ამასთან აბელონეს არც მიმზიდველი გარეგნობა ჰქონია. ეს ჯერ კიდევ ძალიან ადრე დავადგინე და შემდეგ სერიოზულად აღარასოდეს შემიმოწმებია ჩემი შთაბეჭდილება. კითხვა იმისა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა აბელონეს, მანამდე სასაცილოდ მომეჩვენებოდა. აბელონე იქ იყო და მას ისე იყენებდნენ, როგორც შეეძლოთ. მაგრამ ერთხელაც ჩემს თავს შევეკითხე: „რისთვის არის აბელონე აქ?“ თვითელი ჩვენგანის იქ ყოფნას გარკვეული აზრი ჰქონდა, თუნდაც ეს აზრი არც ისე თვალსაჩინო ყოფილიყო, როგორც მაგალითად, ფროილან ოქსეს შემთხვევაში. მაგრამ, რისთვის იყო აბელონე ჩვენთან? ერთხანობა ლაპარაკობდნენ, თითქოს აბელონეს გული უნდა გადაეყოლებინა. მაგრამ ეს აზრი მალე დავიწყებას მიეცა. არაუინ არას აკეთებდა აბელონეს გასართობად და მას სულაც არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ ერთობოდა.

მაგრამ ერთი სიკეთე სჭირდა აბელონეს: მღეროდა. ანუ იყო დღეები, როცა მღეროდა. რაღაც ძლიერი, შეუმცდარი მუსიკა იდგა მასში. უკეთუ მართალია, რომ ანგელოზნი მამრნი არიან, მაშინ შეიძლება ითქვას, სწორედ რაღაც მამაკაცური იყო მის ხმაში: სხივმფინარე, ზეციური მამაკაცურობა. მე, რომელიც ჯერ კიდევ ბალღობაში ესოდენ უნდობლად ვეკიდებოდი მუსიკას (იმიტომ კი არა, რომ ის ყველა დანარჩენზე უფრო ძლიერ მიტაცებდა ჩემი წიაღიდან. არამედ იმიტომ, რომ შეენიშნე, ბოლოს იმავე ადგილას კი აღარ მამღერებდა).

რუნებდა, სადაც თავიდან შემეგება, არამედ სადღაც უფრო დიდ სიღრმეში ჩავყავდი, რაღაც მოუმწიფებელ, უცნობ საუფლოში, ვუძლებდი ამ მესტყას, რომელზედაც ასე შემართულად შეიძლებოდა აზიდულიყავი ზემოთ, ხუთ უფრო მაღლა და მაღლა, იქამდე, ვიდრე გაიფიქრებდი, უკვე ცააო რა ხანია. მაშინ ვერ ვგრძნობდი, რომ აბელონე მოგვიანებით სხვა ზეცათაგან განსხვავდებოდა.

ჩვენი ურთიერთობა პირველ ყოვლისა იმაში ვლინდებოდა, რომ ის დედაჩემის ქალიშვილობაზე მომითხრობდა. აბელონე ყოველნაირად ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ დედა ბავშვობაში ძალზედ გაბედული იყო და სიცოცხლით სავსე. მარწმუნებდა, არავინ მოიძევებოდა ცეკვასა და ჯირითში მისი ბადალიო. „ის ყველაზე თამამი იყო და დაუდგრომელი. მერე კი უცბად ადგა და გათხოვდა“, ამბობდა ამდენი წლის შემდეგ ჯერ ისევ გაკვირვებული აბელონე. „ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ყველანი გაოგნდნენ“.

ერთხელ დავინტერესდი, თუ თვითონ რატომ არ იყო გათხოვილი. აბელონე შედარებით ასაკოვნად მეჩვენებოდა და რომ კიდევ შეეძლო გათხოვება, აზრადაც არ მომსვლია.

„არავინ იყოო“, მიპასუხა უბრალოდ და ერთბაშად გალამაზდა. ნუთუ აბელონე ლამაზია? განცვიფრებული შევეკითხე ჩემს თავს. მალე სახლი დავტოვე და არისტოკრატთა აკადემიაში გავემგზავრე სასწავლებლად. დაიწყო საზიზღარი და საშინელი ხანა. მაგრამ როცა იქ ყველასაგან განცალკევებით ფანჯარასთან ვიდექი და ცოტა ხნით ყველა თავს მანებებდა, მაშინ გარეთ ხეებს გავცქეროდი და აი, ამ წუთებში და ღამლამობით რწმენა ჩამესახა, რომ აბელონე ლამაზი იყო და მე დავიწყე მისთვის ყველა იმ მოკლე თუ ვრცელი წერილის მიწერა, სადაც, როგორც მეგონა, ულსგორზე ვწერდი და იმაზე, რომ უბედური ვიყავი ფრიად. მაგრამ ისინი, როგორც ახლა ვხედავ, სიყვარულის წერილები გამოდიოდა. რადგანაც ბოლოს დადგა არდადეგები, ჯერ რომ არაფრით არა დგებოდა და ჩვენ თითქმის შეთანხმებული აღმოვჩნდით, რომ ერთმანეთს სხვათა თანდასწრებით არ შევხვედროდით.

დათქმული სრულიად არაფერი გვქონია, მაგრამ როცა ეტლმა პარკში შეუხვია, ჩამოვხტი, ალბათ იმ მიზეზით, რომ არ მსურდა უცხო სტუმარივით ეტლი ზედ კარზე მიმეყენებინა. შუა ზაფხული იდგა. ერთ-ერთ ბილიკზე გავიქეცი აყვავებული ოქროწვიმისკენ და იქ აბელონეც შემომეგება. ლამაზი, ლამაზი აბელონე.

არ მსურს როდესმე დავივიწყო, როგორ შემომხედე. როგორ მოგქონდა შენი შემოხედვა, თითქოსდა რაღაც სრიალას აკავებდი მაღლა აწეულ სახეზე.

ოჰ, ნუთუ მანდ ჰავა ოდნავადაც კი არ შეცვლილა? ნუთუ სიღბო არ შეემატა ულსგორის შემოგარენს ჩვენი სითბოსგან? განა ზოგიერთი მაგ ვარდებიდან უფრო ხანგრძლივად არ ყვავილობს ახლა ჩვენს ბაღში, დეკემბრამდეც კი?

შენს შესახებ სხვა არაფერი არ მინდა მოვყვე, აბელონე. არა იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვატყუებდით, ვატყუებდით, რადგან შენ ერთადერთი კაცი ვიყვარდა, მუდამ, მაშინაც, ვინც არასოდეს დავიწყებია — შენ, მოყვარულო, მართლა შემძლებელო სიყვარულისა, ხოლო მე ყველა ქალი. არაფრის თქმა არ მინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როდესაც ვამბობთ, უსამართლობას ჩავდივართ თითქოს.

\* \* \*

აქ ხალიჩებია,<sup>1</sup> აბელონე, კედლის ხალები. წარმოვიდგენ ხოლომე/ თითქოს აქა ხარ, სულ ექვსი ხალიჩაა, მოდი, ნელ-ნელა წინ ჩავუაროთ. რა სიმშვიდე დგას ყველაში არა? მრავალფეროვნებაა ჩემთვის. ყველგან ერთი და იგივე ოვალური, ლურჯი კუნძულია გამოსახული, მოლივლივე დაბინდულ-წითელ ფონზე, სადაც ყვავილები და პატარა, თავისთვის მოფუსფუსე ცხოველები მიმოფანტულან. მხოლოდ იქ, ბოლო ხალიჩაზე კუნძული ოდნავ ზემოთ იწევს, თითქოს შემსუბუქდაო. კუნძულზე მუდამ ერთი ქალი დგას, ოღონდ სულ სხვადასხვანაირად შემოსილი. ზოგჯერ მოახლე ქალის მომცრო ფიგურაც ახლავს. ხოლო ცხოველები, რომელთაც ღერბები უჭირავთ, სულ იქ არიან — დიდად გამოსახულნი შუა კუნძულზე, თითქოს მონაწილეობენ ყველაფერში, რაც იქა ხდება. მარცხნივ ლომია და მარჯვნივ, უფრო ნათელი ფერის — ცალეშვა. მათ ერთნაირი აღმები უჭირავთ, თავს ზემოთ რომ აუწევიათ: სამი ვერცხლისფერი, ამომავალი მთვარე, წითელი მიწდვრის თავზე ლურჯი ზონრით შეერთებული. დაინახე ეს ყველაფერი? გინდა დავიწყოთ პირველი ხალიჩით!

ქალი მიმინოს აპურებს. რა დიდებული კაბა აცვია! ფრინველი ქალის ხელიდან კენკავს და ოდნავ ირხევა. ქალი მიმინოს შეჰყურებს და თან მეორე ხელს თასისკენ იწვდის, მოახლეს რომ მიუერთმევიო, რათა ჩიტს მარცვალი კიდევ მიაწოდოს. მარჯვნივ, ძირს, შლეიფზე პატარა ფინია ჩაყუნცულა, აბრეშუმით ბეწვი რომ აქვს და ზემოთ იხედება, იმის იმედით, ეგებ მეც ვინმეს გავახსენდო, და შეამჩნიე, ქვემოთ კუნძულს დაბალი ვარდების ღობე რომ ევლება გარს? ღერბიანი ცხოველები ამაყად იწევენ ზემოთ და ალაში კიდევ ერთხელ ეხვევათ მანტიასავით. ღერბი ლამაზი აბზინდით არის შეკრული. ქარი უბერავს.

ხომ უფრო ჩუმად უახლოვდები მომდევნო ხალიჩას, რადგან შენიშნე, რომ ქალი ასე ღრმად ჩაძირულა საკუთარ თავში. ის გვირგვინსა წნავს ჩაფიქრებული, ყვავილების აწია გვირგვინს. უახლოეს მიხაკებს იღებს ფართო სინიდან, რომელიც მოახლეს უჭირავს. მათ უკან გრძელ სკამზე ხელუხლებლად დგას ვარდებით სავსე კალათა. მაგრამ ქალს ვარდები აღარ უნდა და კალათას მაიმუნი დაპატრონებია. ლომს გულგრილი სახე აქვს, ალბათ მოსწყინდა ყველაფერი, ცალეშვა კი ისე იყურება, თითქოს ყველაფერი ესმის, რაც ხდება.

განა მუსიკას არ უხმობს ეს სიმშვიდე? განა ეს სიმშვიდე არ შეიცავს მას? მძიმედ და დიდებულად მოკაზმული, ქალი მისულა პატარა ორღანთან (რა ნელა, არა?) და უკრავს, ასე, ზეზეულად. მას საკრავის მიღები მიჯნავს მოახლისაგან, რომელიც საბერველს ამოძრავებს. ასე ლამაზი ჯერ არასოდეს ყოფილა ქალი. საოცარია მისი თმა — მისი ორი მძიმე ნაწნავი, რომლებიც შუბლზე თავსაბურავს ზემოთ შეუკრავს და ბოლოები, ნასკვიდან რომ ამოზიდულა, ჯილასავით აღგას თავზე. გუნებაწამხდარი ლომი ძლივძლივობით

<sup>1</sup> იგულისხმება XVI საუკუნის ექვსი გობელენი, რომლებიც დაცულია საფრანგეთის ერთ-ერთ მუზეუმში. იქ გამოსახულია ქალი მითიურ ცხოველთან (единорог) ერთად. ეს ცხოველი შუასაუკუნეებში ქალწულებრივი უბიწოების სიმბოლოდ ითვლებოდა. მაშინდელი რწმენით იგი ჩნდებოდა მხოლოდ იმ სარკეში, რომელშიც უბიწო ქალწული ჩაახედებდა.

უძლებს მუსიკას და ამოსახეთქ ღრიალს იკავებს. ცალეშვა კი ლამაზია, თითქოს ტალღებში ირწეოდეს. ლომი მუქარით ათვალეირებს <sup>იჭაურებას:</sup> არავისა აქვს მოსვლის უფლება.

ქალი დაღლილი ჯერ არ გვინახავს. აქ კი? ნუთუ დაღლილია? <sup>მეტი ვინაა</sup> ლოდ ჩაუმუხლავს. რადგან რალაც ძალიან მძიმე უბყრია ხელთ. შეიძლება გეფიქრა, რომ ზარდახშაა, მაგრამ მეორე ხელი. ცალეშვასაკენ გაუწვდია და გახარებული ცხოველი უკანა ფეხებზე დამდგარა, წინა ფეხებით კი მის კალთას ეყრდნობა. ეს სარკეა, ქალს რომ უჭირავს. ხედავ? მარტორქას სარკეში ახედებს.

აბელონე, თავს ვირწმუნებ, რომ აქა ხარ. აბელონე, ხვდები, რას ნიშნავს ეს? მე მგონი, უნდა ხვდებოდე.

(პირველი ნაწილის - დასასრული)



ფრანგულიდან თარგმნა ზაინაღ ბაშსახურაძიამ

### თოჯი

ვუძღვნი ედუარდ მანეს

ჩემი ერთი მეგობარი მეუბნებოდა: ილაუზიები, როგორც სჩანს, ისევე ბევრია, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობანი, ან ადამიანთა მიმართებანი საგნებთან. ხოლო როდესაც ილაუზია ქრება, ანუ როდესაც ვხედავთ ადამიანს, ან ფაქტს ისეთად, როგორც არის სინამდვილეში, ჩვენგან დამოუკიდებლად უცნაური გრძნობა გვეუფლება, რომელსაც ართულებს ნაწილობრივ გულისტკივილი გამჭრალ ილაუზიაზე, ნაწილობრივ სასიამოვნო განცვიფრება ახალი რეალური ფაქტის წინაშე. თუ არსებობს აშკარად ჩვეულებრივი მოვლენა, ყოველთვის ერთგვაროვანი, მოვლენა, რომლის არსის განსაზღვრაშიც შეუძლებელია შეცდომა — ეს არის დედობრივი სიყვარული. დედის წარმოდგენა დედობრივი სიყვარულის გარეშე ისევე ძნელია, როგორც სინათლის წარმოდგენა სითბოს გარეშე. ამიტომ განა ბუნებრივი არ არის დედის ყველა სიტყვაში, ყველა ქცევაში ბავშვის მიმართ, სწორედ დედობრივი სიყვარულის გამოხატულება დავინახოთ? თუმცე მოისმინეთ ეს პატარა ამბავი, თუ ვით გავხდი მსხვერპლი ამ უცნაური და ძალზე ბუნებრივი ილაუზიისა.

„როგორც მხატვარი, მე ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდები სახეებს, ფიზიონომიებს შემხვედრი ადამიანებისას, თქვენ იცით, რა სიამოვნებას გვანიჭებს ეს უნარი, რომლის წყალობითაც თავად ცხოვრება ხდება ჩვენთვის უფრო მძაფრი, შინაარსიანი, ვიდრე სხვა ადამიანთათვის. შორეულ კვარტალში, სადაც მე ვცხოვრობ, სადაც შენობები დღესაც დაშორებულნი არიან ურთიერთისაგან ბალახით დაფარული ფართო ტრამალებით, ხშირად მინახავს ერთი ბავშვი, რომლის სახეც აღბეჭდილი იყო მგზნებარებით და ანათებდა ცოცხალი გონიერებით. მან პირველ შეხედვასთანავე განმაცვიფრა სხვა ბავშვურ სახეებს შორის. მე მას ხშირად ვხატავდი ხან ბოშის ბიჭად, ხან ანგელოსად და ხანაც მითიურ ამურად. ვხატავდი მოხეტიალე მუსიკოსად ვიოლინოთი ხელში, ხანაც ეკლის გვირგვინით თავზე, ნალურსმებით ხელებზე, ხანაც ერ-

ოსის ჩირადნით ხელში. ეს მშვენიერი ბიჭუნა ისე მომწონდა, რომ ბოლოს მივმართე მის მშობლებს, რომელნიც ფრიად გაჭირვებულნი იყვნენ და ვთხოვე მოეცათ ჩემთვის ბავშვი, თანაც დავპირდი, რომ კარგად ჩავაცმევდი, დავახურავდი, მივცემდი ხოლმე ცოტა ფულს და არ დავაკისრებდი სხვა მოვალეობებს მშობლების რეცხვისა და ჩემი ზოგიერთი სხვა დავალების შესრულებისა. როდესაც ბავშვი მოწესრიგდა, იგი კიდევ უფრო გამშვენიერდა და ჩემთან ცხოვრება მისთვის სამოთხე იყო იმასთან შედარებით, რისი ატანაც უხდებოდა მას მამის ქონში.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს პატარა კაცუნა მაოცებდა ზოგჯერ თავისი უცნაური, ასაკისათვის შეუფერებელი დებრესიის გამოვლინებებით. მან მალე გამოავლინა აგრეთვე ჭარბი მიდრეკილება ტკბილეულობისა და ლიჭიორებისადმი. ერთხელაც, როდესაც დავრწმუნდი, რომ მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, მან კიდევ ერთხელ ჩაიდინა ასეთივე პატარა ქურდობა. მე დავემუქრე, მშობლებთან დაგაბრუნებ-მეთქი. შემდეგ გამოვედი სახლიდან და დიდხანს ვიყავი გარეთ, საქმეებზე.

„რარიგ შემზარა, როდესაც შინ მობრუნებულმა ვიხილე ჩემი ცელქი, პატარა მეგობარი აი ამ კარადის კარზე ჩამოკიდებული. ფეხები მიიტკმის ეხებოდნენ იატაკს; სკამი, რომელსაც, როგორც სჩანს, ფეხი ჰკრა, იქვე ეგდო, თავი კრუნჩხვისაგან მხარზე მოქცეოდა; დაბერული სახე და საშინელი დაყინებული მზერა ფართოდ გახელმწიფი თვალებისა თავდაპირველად ჰქმნიდნენ რაღაც ილუზიას სწოტოცხლის ნიშანწყლისას. მისი ჩამოხსნა ყულუფიდან არც ისე ჩოლი აღმოჩნდა, როგორც თქვენ ფიქრობთ: საქმოდ გამაგრებულიყო. შემზარა გაფიქრებამ, რომ გვამი შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო იატაკზე. ცალი ხელით სხეული მეჭირა და მეორე ხელით თოკს ვჭრიდი, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. პატარა ბოროტმოქმედმა გამოიყენა ძალზე წვრილი თოკი, რომელიც ღრმად შეჭრილიყო მის სხეულში და ახლა ყელის გასათავისუფლებლად საჭირო იყო წვრილი მაკრატლით მოსინჯვა თოკისა, დაბერული კისრის ხორცში რომ შესულიყო ღრმად.

„მე დამავიწყდა თქმა იმისა, რომ თავდაპირველად ხმამალლა ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი; თუმცა არცერთმა მეზობელმა არ მოინდომა ჩემი შველა, მათ გამოავლინეს იმ ცივილიზებული ადამიანის თვისება, რატომღაც თავს რომ არიდებს ჩამოხრჩობილი კაცის საქმეებში ჩარევას. ბოლოს გამოჩნდა ექიმი, რომელმაც გამოაცხადა, ბავშვი უკვე რამდენიმე საათის გარდაცვლილიაო. უფრო გვიან, როდესაც გავხადეთ დაკრძალვის წინ, გვამი იმდენად გაქვავებულიყო, რომ ვერ მოვუხარეთ ხელ-ფეხი, რის გამოც იძულებული გავხდით, შემოგვეჭრა მასზე ტანსაცმელი.

რა თქმა უნდა, ყოველივე უნდა მომეხსენებინა კომისარისათვის, რომელმაც გამომცდელად შემომხედა და მითხრა: „ცუდადაა საქმე!“ — ვინაიდან, როგორც სჩანს, მას ჰქონდა პროფესიული ჩვევა, ყოველი შემთხვევისათვის, მართალის თუ მტყუანის შეშინებისა.

„რჩებოდა ერთადერთი უკანასკნელი მოვალეობის აღსრულება, რის გაფიქრებაც კი მზარავდა: უნდა შეემეტყო მინდობისა მშობლებისათვის. ფეხები უკან მრჩებოდა, როდესაც გადავწყვიტე წასვლა. ბოლოს როგორც იქნა მივედი; მაგრამ ჩემდა განსაკუთრებულად, დედამ მომისმინა ყოველგვარი ცრემლის ჭარბი. მამა-წერე ეს უცნაურობა ამ საშინელ ტრამვას, მის მიერ განცდილს და გამახსენდა გამოთქმა: „ყველაზე საშინელი მწუხარება მუნჯი მწუხარებაა!“ რაც შეეხება მამას, მან მხოლოდ ოდნავ ჩლუნგი დაფიქრებით გამოსცრა: „ბოლოს და ბოლოს. როგორც სჩანს, ასე სჯობდა! მაგის ბოლო მაინც ეგ იყო!“ „ამასობაში გვამი ჩემს დივანზე ესვენა და მე ვამთავრებდი მსახური ქალის დახმარებით უკანასკნელ სამზადისს, როდესაც ჩემს სახელოსნოში შემოვიდა დედა გარდაცვლილისა. მას უნდოდა, როგორც სთქვა, დაეხედა შვილის გვამისათვის. რა თქმა უნდა, მე არ შემიძლო დამეშალა მისთვის ვარამის გადმოღვრა ამ უკანასკნელ ნუგეშზე უარის თქმით... შემდეგ მან მთხოვა მეჩვენებინა ის ადგილი, სადაც ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო.

„ო, არა ქალბატონო, — მივუგე მე, ეს საშინელი განცდა იქნება თქვენთვის!“ უნებლიეთ შევავლე თვალი იმ ავბედით კარადას და შემზარა იმ ამბავმა, რომ მის კარზე ისევ მოჩანდა ლურსმანი და მასზე დაკიდებული თოკი. მივეარდი ამ საშინელ კვალს მომხდარისას გასანადგურებლად, მაგრამ იმ წუთში, როდესაც ვაპირებდი გადამეგდო თოკი ფანჯრიდან, საბრალო ქალი მეცა ხელში და იკივლა: „ო, არა, გევედრებით! დამიტოვეთ ეგ მე!“ „როგორც სჩანს, იგი შეიშალა სასოწარკვეთისაგან“, — გამიელვა — ვინაიდან ნაზი გრძნობა აქვს თვით იმისადმიც კი, რამაც სიცოცხლეს მოუსწრაფა მის ვაჟს და სურს შეინარჩუნოს საშინელ და ძვირფას რელიქვიად“, — ასე რომ დედა დაეპატრონა ლურსმანს და თოკს.

ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ყველაფერი! კიდევ დამრჩენოდა მცირე სამუშაო, რასაც გულმოდგინედ შევუდექი, რათა თანდათან გავთავისუფლებულიყავ ამ პატარა გვამის ტირანიისაგან, რომლის აჩრდილიც ყველგან დამდევდა და არ მაძლევდა მოსვენებას თავისი ფართოდ დაჭყეტილი უძრავი თვალებით. მაგრამ მეორე დღეს მივიღე მთელი კიბა წერილებისა: ნაწილი ჩემი სახლის მკვიდრთაგან, ნაწილი მეზობელი სახლებიდან: ერთი პირველი სართულიდან; ერთი მეორიდან და მესამიდანაც კი და ა. შ.; ერთნი ნახევრად ხუმრობით, თხოვნის სერიოზულობის შესანიღბად, სხვანი თავხედურად და უგუნურად მწერდნენ, მაგრამ ყველას მიზანი ერთი და იგივე იყო, სახელდობრ ის, რომ მათ სურდათ მიეღოთ ჩემგან ნაჭერი ამ ავბედითი და სასწაულმოქმედი თოკისა. თანაც მწერდნენ არა იმდენად მამაკაცები, რამდენადაც ქალები; ამასთან ყველანი ისინი — დარწმუნებული იყავით ამაში—როდი ეკუთვნოდნენ უმდაბლეს, უბირ ფენას მოსახლეობისას... მე შევი-ნახე ეს წერილები...

„და მაშინ, უეცრად, გამინათდა გონება და მივხვდი, რად



მოითხოვდა დედა ისეთი დაყინებით ჩემგან ამ თოქს და რაში ხე-  
დავდა იგი ნუგეშს“.



ქართველი  
წიგლისმწიქნი

### გმირული სიკვდილი

ფანჩიულე იყო ბრწყინვალე მასხარა და თითქმის მეგობარი პრინცისა. თუმც ის ადამიანები, რომელნიც თავისი მდგომარეობით კომიკოსთა როლისათვის არიან განწირულნი, რაღაც საბედისწერო მიმზიდველობას ხედავენ ხოლმე ყოველივე სერიოზულში. მართალია, ძნელი წარმოსადგენია, რომ მასხარას გონებას ესოდენ დესპოტურად დაუფლებოდნენ თავისუფლებისა და მამულის ცნებები, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ფანჩიულემ მიიღო მონაწილეობა რამდენიმე უკმაყოფილო დიდებულის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში.

ყოველთვის მოიძებნებიან ხოლმე კეთილი ნების ადამიანები, რომელნიც ასმენენ ხელისუფლებასთან ამგვარ ბოროტად განწყობილ ინდივიდებს, მიზნად რომ დაუსახავთ ხელმწიფეთა დამხობა და საზოგადოების გარდაქმნა მათი თანხმობის გარეშე. ფანჩიულე და სხვა შეთქმულნი დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს დაუყოვნებლივ.

მე მზადა ვარ ვირწმუნო, რომ პრინცი თითქმის შეწუხდა, როდესაც დაინახა თავისი საყვარელი მასხარა ურჩ ქვეშევრდომთა სიაში. ეს პრინცი არაფრით განსხვავდებოდა სხვა პრინციებისგან, მაგრამ უკიდურესად ფაქიზი მგრძნობელობა მას სხვებზე გაცილებით უფრო მკაცრსა და დესპოტს ხდიდა. იგი ხელოვნებაზე იყო შეყვარებული და კარგადაც იცოდა ხელოვნება, ამავე დროს გაუმამლარი გახლდათ განცხრომაში. ადამიანების მიმართ გულგრილი და ზნეობის საკითხებში განურჩეველი, თვით ნამდვილი არტისტი იყო და სცნობდა მხოლოდ ერთადერთ საშიშ მტერს — მოწყენილობას. და ის ხრიკები, რომელთაც პრინცი მიმართავდა კაცობრიობის ამ ტირანის დასამარცხებლად, ნამდვილი ურჩხულის რეპუტაციას შეუქმნიდნენ მას მკაცრი ისტორიკოსის თვალში, მაგრამ ამ სამფლობელოში, წერა შეიძლებოდა მხოლოდ სასიამოვნო და საკვირველ ამბებზე, რომელნიც კაცს შვებას ანიჭებენ. ამ პრინცის უდიდესი უბედურება იყო, რომ მას არ ჰქონდა დიდი არენა საკუთარ უნართა გამოსავლენად. ბევრია ასეთი ჭაბუკი ნერონი, რომელთაც სული ეხუთებათ ძალზე ვიწრო ჩარჩოებში და რომელთა სახელი და ქველი მიდრეკილებანიც სამუდამოდ იკარგება შთამომავლობისათვის. წინდაუხედავმა განგებამაც ამ პრინცს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნარნი მიანიჭა, ვიდრე სამფლობელონი.

უეცრად გავარდა ხმა, რომ სუვერენმა განიზრახა შეწყალება შეთქმულთა. ეს ხმა აღმოცენდა იმის შედეგად, რომ კარზე გამოაცხადეს საზეიმო სპექტაკლი, რომელშიც ფანჩიულეს უნდა შეესრულებინა ერთ-ერთი მთავარი, თავისი საუკეთესო როლი და რო-

მელსაც უნდა დასწრებოდნენ სიკვდილმისჯილი დიდებულნი, — რაც უტყუარი ნიშანი უნდა ყოფილიყო შეურაცხყოფილი პრინციის სულგრძელობისა, — ასე ამბობდნენ მალემრწმენნი.

ბუნებით ესოდენ ექსცენტრიული ადამიანისაგან მართლაც რომ მოსალოდნელი იყო ყოველივე, თვით სიკეთე და ქველმოქმედებაც კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იგი ნელავე ყოველივე ამაში რაიმე მოულოდნელ განცხრომას; მაგრამ მათთვის, ვინც ჩემგვარად იყო ჩახედული ამ თავისებური და ავადმყოფი სულის სიღრმეებში, უფრო ბუნებრივი იყო დაშვება იმისა, რომ პრინცმა განიზრახა სიკვდილმისჯილი ადამიანის სასცენო ტალანტების გამოცდა. მას სურდა ესარგებლა შემთხვევით, ეწარმოებინა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დაკვირვება და შეემოწმებინა, რამდენად შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი ნიჭი მსახიობისა ან მიიღოს სხვაგვარი სახე იმ უჩვეულო სიტუაციის ზეგავლენით, რომელშიც იგი იმყოფება; იყო თუ არა მის სულში ამ გადაწყვეტილების მიღმა რაიმე გარკვეული განზრახვა შეწყალებისა? ეს საკითხი, როგორც სჩანს, მარად გაურკვეველი დარჩება.

და ბოლოს, დადგა ღირსშესანიშნავი დღე: პატარა სასახლე მოიკაზმა მთელი თავისი სიმდიდრით, ენით უთქმელი პომპიტა და ბრწყინვალეობით, რაც თითქმის წარმოუდგენელი იყო ესოდენ მცირე და ღარიბი სახელმწიფოს ზეიმისათვის. ეს იყო მართლაც და ორმაგი ზეიმი — ერთის მხრივ — სიმდიდრითა და ფუფუნებით, მეორე მხრივ — იმ ამაღლევებელი, იღუმალის ინტერესით, რომელთანაც იგი იყო დაკავშირებული.

ფანჩიულე განსაკუთრებით გამოირჩეოდა უტყვე როლებში, რომელნიც თითქმის მუდამ მთავარნი არიან ფეერულ დრამებში, სადაც სიმბოლურად არის ასახული ცხოვრებისეული მისტერიები. იგი მსუბუქი ნაბიჯით გამოვიდა სცენაზე, სავსებით თავისუფლად, რამაც კიდევ უფრო დაარწმუნა კეთილშობილი საზოგადოება პრინციის ღმობიერებასა და გულმოწყალებაში.

როდესაც რომელიმე მსახიობზე ამბობენ, კარგი მსახიობიაო, იგულისხმება ის, რომ პერსონაჟში, რომელსაც იგი განასახიერებს, მაინც მოსჩანს თვით მსახიობი, მისი ხელოვნება, მისი ძალისხმევა და მისი ნება. მსახიობმა რომ მიაღწიოს პერსონაჟთან მიმართებაში იმას, რასაც აღწევდნენ მშვენიერების იდეასთან მიმართებაში საუკეთესო ანტიური ქანდაკებები, — ნამდვილად ცოცხალნი, გასულიერებულნი, მოძრავნი, თვალხილულნი — ეს იქნებოდა სავსებით მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ამბავი. მაგრამ იმ საღამოს ფანჩიულე იმდენად სრულყოფილი ხორცშესხმა იყო იდეალურისა, რომ მას სხვაგვარად ვერც წარმოიდგენდით. ეს ხუმარა დადიოდა, მოძრაობდა, იცინოდა, ტიროდა, იგრიხებოდა და ამავე დროს მას თავს ადგა ჩაუქრობელი ნათელი, — სხვათათვის უხილავი, მაგრამ ჩემთვის ხილული, რომელშიც საოცრად შერწყმულიყო ხელოვნების სხივი მოწამეობრივ შარავანდედთან. რალაც განსაკუთრებული მადლით გასხივოსნებული ფანჩიულე ღვთაებრივსა და ზესთაბუნებრივს აქსოვდა თავის უკიდურესად ექსტრა-

ვაგანტურ ხუმრობებშიც. კალამი მიკანკალებს და თვალები ცრემლით მევსება მღელვარებისაგან, როდესაც ვცდილობ აღგიწეროთ ის დაუვიწყარი საღამო. ფანჩიულემ მთელის გარკვევით და უდავობით დამარწმუნა იმ საღამოს, რომ ხელოვნებით თრობას ყველგან ხე მეტად ძალუძს თვალთავის უჩინოქმნა ქვესკნელის მთელ შინელებისა: რომ გენიას ძალუძს კომედიის თამაში საფლავის კართან სიხარულით. რომელიც ფარავს მისგან ამ საფლავს, რამეთუ ამ დროს იგი სამოთხეში ნეტარებს, რაც გამორიცხავს ყოველგვარ აზრს საფლავისა და ხრწნადობის შესახებ.

დამწრე საზოგადოებამ, მიუხედავად მთელი თავისი მოყიჩებისა და ფუქსავატობისა, მალე იგრძნო თავის თავზე ხელოვანის ყოვლისმძლეობა. აღარავინ ფიქრობდა წამებაზე, სიკვდილსა და მწუხარებაზე. ყველამ დაივიწყა სადარდებელი და მთლიანად მიეცა იმ ორკეც სიამოვნებას, რომელსაც გვანიჭებს ჭვრეტა ცოცხალი ხელოვნების შედეგებისა. სიხარულის და აღტაცების მქუხარე ხმები არყევდნენ შენობის თაღებს, თვით ექსტაზში შესულმა პრინციმაც შეუერთა თავისი აპლოდისმენტები ქვეშევრდომთა ტაშს. ამასთან, ნათელმხილველ მზერას არ გამოეპარებოდა, რომ პრინცის ექსტაზს კიდევ სხვა რამ ერთვოდა ზედ. გრძნობდა თუ არა იგი თავს დამარცხებულად თავის დესპოტურ ძალმოსილებაში? გრძნობდა თუ არა იგი თავს დამცირებულად თავის ხელოვნებაში. რაც გამოიხატებოდა ადამიანთა გულეებში შიშის დათესვასა და მათი გონების ჩახშობაში? ან იქნებ იმედგაცრუებულად გრძნობდა თავს და თავის ანგარიშში მოტყუებულად? ასეთი ვარაუდები, სხვათა შორის, არსებითად გაუმართლებელნიც და შეუმოწმებელნიც, მომდიოდა თავში იმ დროს, როდესაც თვალს ვადევნებდი პრინცის ფერმკრთალ სახეს, ამჯერად კიდევ უფრო გადაფითრებულს, თოვლით დაფარული თოვლივით. ბაგენი შეკუმშოდა, თვალები ანთებოდა შინაგანი ცეცხლით, იჭვიანობის ფარული ბოღმის ცეცხლს რომ ჰგავდა, მაშინაც კი, როდესაც იგი დემონსტრირებულად უკრავდა ტაშს თავის ძველ მეგობარს, ამ საკვირველ ხუმარას, რომელიც ესოდენ განსაცვიფრებლად დასცინოდა სიკვდილს. მე თვალი ვკიდე ერთ მომენტში, ვით დაიხარა მისი უდიდებულესობა და რაღაც უჩურჩულა მის გვერდით მდგომ პატარა პაყს. პატარა ბიჭუნას ონავარი სახე გაებადრა ღიმილით და მაშინვე დასტოვა ლოყა პრინცისა, თითქოსდა ჩქარობსო რაღაც გადაუდებელი დავალების აღსრულებას. რამდენიმე წუთის შემდეგ უხეშმა, ხანგრძლივმა სტვენამ შეაწყვეტინა ფანჩიულეს ერთ-ერთი საუკეთესო მომენტთაგანი თავისი როლისა, თან ყური მოსჭრა მსმენელებს და გული დაუკოდა. ხოლო დარბაზში, იმ ადგილიდან, საიდანაც მოისმა ეს უეცარი ნიშანი გმობისა, სიცილით წამოხტა პატარა ბიჭუნა და გავარდა კორიდორში.

ფანჩიულე თითქოს ოცნებისაგან გამოერკვაო, ჯერ დახუჭა თვალები, შემდეგ ასევე არაბუნებრივად დაჭყიტა ფართოდ, შემდეგ დააღო პირი, თითქოსდა სურს ღრმად ჩაისუნთქოსო, ოდნავ წაბარბაცდა ჯერ წინ, შემდეგ უკან და მკვდარი დაეცა სცენაზე.

გაამართლა თუ არა საბოლოოდ ჯალათის ანგარიშები ამ ხმალი-  
ვით მჭრელმა სტვენამ? გრძნობდა თუ არა პრინცი თავისი ხრიკის  
მთელს ჯოჯოხეთურ ძალას? ძნელი სათქმელია შეებრალო თუ არა  
მას თავისი ძვირფასი, შეუდარებელი ფანჯიულე? ექსტრემული  
იქნებოდა და კანონზომიერიც ამის დაშვება.

დანაშაულში გარეული დიდებულებიც უკანასკნელად დასტუ-  
ბნენ თეატრალური სანახაობით. ისინი იმავე ღამეს გამოასალმეს  
წუთისოფელს.

მას აქეთ მრავალი მსახიობი, მრავალ ქვეყანაში ღირსეულად  
დაფასებული, ჩამოდიოდა საგასტროლოდ ი სახელმწიფოს კარზე,  
მაგრამ ვერცერთი ვერ შეედრებოდა ნიჭით ფანჯიულეს საოცარ  
ტალანტს და ვერც იმსახურებდა მისებრ წყალობას.

### ცუდი მეზუზა

არსებობენ ჭვრეტითი ნატურები, სავსებით უმოქმედონი, რომ-  
ელნიც ზოგჯერ, რაღაც იდუმალი, აუხსნელი იმბუელსის ბიძგით,  
ჩაიდენენ ხოლმე მათგან სავსებით მოულოდნელ საქციელს.

ადამიანი, რომელიც ცუდი ამბის შეტყობის შიშით სულმოკ-  
ლეობით შებყრობილი, საათობით დააბოტებს კართან და ვერ ბე-  
დავს შინ შესვლას, რომელიც კვირების მანძილზე არ ხსნის წე-  
რილს ან ნახევარ წელიწადს ვერ იწყებს საქმეს, რომლის აუცილე-  
ბლობაც მან ჯერ კიდევ გასულ წელს შეიგნო. — უეცრად გრძნობს,  
რომ რაღაც უხილავი, დაუთრგუნავი ძალა უბიძგებს მას ქმედები-  
საკენ, როგორც ისარს, მშვილდიდან გატყორცნილს. მორალისტი  
და ექიმი, ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიის მქონენი, ვერ ხსნიან,  
საიდან იშვის ეგზომ ანაზღად ასეთი შმაგი ენერგია განცხრომის  
მოყვარე, ზანტ სულელებში. ან ვით ხდება, რომ ადამიანები, რომელ-  
თაც არ ძალუძთ აღასრულონ სავსებით უბრალო და აუცილებელი  
საქმეც კი, უეცრად ჰპოვებენ თავის თავში ესოდენ ჭარბ გაბედუ-  
ლებას სავსებით უაზრო და ხშირად უკიდურესად სახიფათო ქმე-  
დების ჩასადენად.

ჩემმა ერთმა ნაცნობმა, სავსებით უბოროტო მეოცნებემ, ხან-  
ძარი გააჩინა ტყეში, რათა ენახა, მართლაც ისე იოლად თუ ეკიდე-  
ბოდა ხეებს ცეცხლი, როგორც ამბობდნენ. ათგზის მოეცარა მას  
ხელი ამ საქმეში და მეთერთმეტეჯერ გაუმართლა, თან კარგადაც  
გაუმართლა.

მეორე კაცი სივარას მოწევს თოფისწამლით სავსე კასრის გვე-  
რდით, რათა დაინახოს, დარწმუნდეს, გამოსცადოს თავისი ბედი,  
**თავისი ძალა, რათა „გაჩისკოს“, შეიგრძნოს სიმძაფრე შიშისა,** —  
ერთი სიტყვით. — დაუფიქრებლად, კაპრიზით ან უსაქმობით.

ამგვარ ენერგიას ჰბადებს ჩვენში მოწყენა და მეოცნებეობა,  
ის ადამიანები, რომლებშიც იფეთქებს ხოლმე ასეთი ენერგია,  
უმეტესწილად, როგორც აღვნიშნე, ყველაზე მეტად უზრუნველი  
და ზანტი მეოცნებენი არიან კაცთა შორის.

ზოგი იმდენად მორცხვია, რომ თვალებს ხრის დაბლა თვით მამაკაცის შემოხედვაზეც კი და დიდი ძალისხმევა სჭირდება თავისი სუსტი ნებისა კაფეში შესასვლელად ან თეატრის ღია კარებში კონტროლის გასავლელად, სადაც კაპელდინერი მინოსის, ან რადამანტიის მსგავს გარდანქეშანად ეჩვენება მას, მაგრამ იგივე კაცი უეცრად მივარდება, კისერზე ჩამოეკიდება გზად მიმავალ მოხუცს და გადაკოცნის განცვიფრებულ გამვლელთა თვალწინ.

რად იქცევა იგი ამრიგად? იმის გამო, უთუოდ იმის გამო, რომ მოხუცის სახე საოცრად ესიმპათიურა მას. როგორც სჩანს, ასეა. მაგრამ უფრო ბუნებრივია დავუშვათ, რომ მან თავადაც არ უწყის, რად იქცევა ასე.

მე თავად არაერთგზის გავმხდარვარ მსხვერპლი მსგავსი შეტევებისა, მსგავსი ლტოლვებისა და მომსვლია აზრი რომელიღაც ვერაგი დემონების შესახებ, ჩვენში რომ შემოსახლდებიან და გვაიძულებენ ხოლმე თავიანთი უკიდურესად აბსურდული ბრძანებების აღსრულებას.

ერთ დილას გამომეღვიძა ამრეზილს, უსაქმობით დაღლილს, თან მეჩვენებოდა, რომ ამჯერად მზად ვიყავი რაღაც დიადი საქმის ჩასადენად; ამასთან, ჩემდა საუბედუროდ, ფანჯარა გამოვალე.

გთხოვთ დაუკვირდეთ, რომ მისტიფიკაციის სული სრულიადაც არ გახლავთ შედეგი წინასწარი გააზრებისა და ანგარიშისა, იგი უეცარი გასხივოსნების შედეგია და ბევრი აქვს საერთო იმ ალტყინებასთან, ექიმები ისტერიულს რომ უწოდებენ, ხოლო უფრო გათვითცნობიერებული ხალხი — სატანურს. ამგვარ წინასწარგანწყობას იწვევს ჩვენში დაუთრგუნავი ლტოლვა ყოველნაირი სარისკო და უკუღმართი საქციელის ჩადენისაკენ.

პირველი გამვლელი, ქუჩაზე რომ შევნიშნე აღმოჩნდა მეშუშე, რომლის გამყივანი ხმა მოსწვდა ჩემს სმენას პარიზის ჩახუთულ ჩაზრქელებულ ატმოსფეროში. სხვათა შორის, ვერ ამიხსნია, რად მომიცვა ასეთმა უეცარმა, დესპოტურმა სიძულვილმა ამ უბრალო, საცოდავი კაცისადმი.

„ჰეი! ჰეი! — მოვუხმე მას, ამასთან ფარულად ისიც მსიამოვნებდა, რომ ჩემი ოთახი მეექვსე სართულზე იყო, ხოლო მეშუშეს ფრიად გაუჭირდებოდა ამოსვლა ვიწრო და დაგრებილ კიბეზე და თავის მყიფე ტვირთსაც რამდენიმეჯერ მიახლიდა კედელს.

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა იგიცა. მე გულდასმით დავათვალიერე მისი შუშები და მივახალე: „როგორ? მაშ, თქვენ არ გქონიათ ფერადი მინები? არ გქონიათ ვარდისფერი, ცისფერი, მეწამული მინები? შავიური, სამოთხისდარი მინები? ო, შე უსიციხვილოვ! და ამის შემდეგ შენ კიდევ ჰბედავ ლარიბ-ლატაკთა ბინებში წოწიალს და თან არ დაგაქვს ისეთი მინები, რომელნიც ცხოვრებას ოდნავ უფრო ლამაზ ფერებში მაინც გვაჩვენებენ?“ და ამ სიტყვებით კინწისკვრით ჩაეუძახე მას იმავე კიბეზე, რომლითაც ამოვიდა, იგიც ჩაბარბაცდა ძირს ბურტყუნითა და ბორძიკით.

მე კი აივანზე გამოვედი, დავტაცე ხელი ყვავილების ქოთანს

და როდესაც მეშუშე კვლავ გამოჩნდა ქუჩაზე, პირდაპირ ეტყობო-  
 ცნე ჩემი ქურვი, მოვახვედრე ძვიდეს მისი ტვირთისას, იგი მიწა-  
 ზე გაიშლართა და დაემსხვრა მთელი თავისი ავლა-დიდება, რომ-  
 მელიც ბზრიალითა და ლიწილიწინით გაიფანტა, თითქოს შემეხდა და-  
 ეცაო ბროლის სასახლეს.

მე კი, ჩემივე სიშმაგით მთვრალმა, მივაძახე მას გააფთრე-  
 ბულმა:

„ცხოვრება ლამაზ ფერებში უნდა ჩანდეს! ცხოვრება ლამაზ  
 ფერებში უნდა ჩანდეს!“

ასეთი ნერვიული გამოხდომები ფრიად სახიფათოა და ხში-  
 რად ძვირადაც გვიღირს ხოლმე, მაგრამ განა დაგიდევთ თუნდაც  
 მომსვრელ და სამუდამოდ ამომგდებ წყევლას იგი, ვინც ერთ წამ-  
 ში ჰპოვა სიამის მთელი უსასრულობა?

### საუვარლების პორტრეტები

მამაკაცთა ბუდუარში, ანუ ელეგანტური სამორინეს თამბაქოს  
 მოსაწევ ოთახში, ეწეოდა და სვამდა ოთხი მამაკაცი, ისინი არც  
 ისე ახალგაზრდანი იყვნენ, მაგრამ არც თუ მოხუციანი, გარეგნულა-  
 დაც სილამაზემდე ბევრი უკლდათ, მაგრამ ვერც მახინჯებს შე-  
 არქმევდა კაცი; თუმც მიუხედავად ასაკისა, ყოველი მათგანი ატა-  
 რებდა დაღს სიამეთა ვეტერანისას, ყოველ მათგანში იგრძნობო-  
 და რაღაც ცივი და დამცინავი სევდა, რომელიც თითქოს გარკვე-  
 ვით ამბობდა: „ჩვენ ვნახეთ ცხოვრება, კარგად ვატარეთ დრო,  
 ახლა კი ვეძებთ ისეთ რამეს, რის სიყვარულსაც შევძლებთ და  
 პატივისცემასაც“.

ერთმა მათგანმა ქალებზე დაიწყო საუბარბერა თქმა უნდა  
 უფრო ჭკვიანური იქნებოდა, საერთოდ არ წამოეწყო საუბარი ამ  
 თემაზე; მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი ჭკვიანი დამამიანებიც, რომ-  
 მელიც თითო-ორთა ჭიქა ღვინის შემდეგ არ ერიდებიან ბანა-  
 ლურ თემებს. ასეთ შემთხვევაში მთხრობელს უსმენენ ხოლმე, რო-  
 გორც მსუბუქ, საცეკვაო მუსიკას.

„ჩვენ ყველანი მამაკაცები ვართ, — დაიწყო მან, და აღარა  
 ვართ ქერუბინოს<sup>1</sup> ასაკში, როდესაც ღრიალების უყულობის გამო  
 მუხის ხეებს ეხვევიან ხოლმე. ეს პირველი სტადიაა სიყვარული-  
 სა. შემდეგ ეტაპზე ჩვენ ვიწყებთ უკვე გარჩევას, ზედმეტი განსჯა  
 კი, უცილოდ დაცემის დასაწყისია. აქ ჩვენ დავდევთ მხოლოდ სი-  
 ლამაზეს. რაიცა შემეხება მე, ბატონებო, შემიძლია დავიტრაბახო,  
 რომ უკვე მივალწიე კლიმაქტერიულ ასაკს — მესამე პერიოდს  
 ცხოვრებისას, როდესაც სილამაზე თავისთავად უკვე აღარ გვაკმა-  
 ყოფილებს, თუ მას არ ახლავს არომატები, მორთულობა და ა. შ.  
 მე მზადა ვარ ვაღიარო რომ მიველტვი ზოგჯერ რაღაც მეოთხე სტა-  
 დიას, როგორც ნეტარებას, რომელიც სრულ სიმშვიდეს მომიტან-

<sup>1</sup> ქერუბინო — პავი გრაფ ალმაივიასი ბობარშეს „ფიგაროს ქორწინებიდან“.

და. მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე, — რა თქმა უნდა ბავშვობის გამოკლებით, — მუდამ განსაკუთრებით მალიზიანებდა აუტანელი სისულელე და შეზღუდულობა ქალებისა. თუ რამ მიყვარს ცხოველებში, ეს არის მათი უშუალოება და უბრალოება. აწ კი უფრო მეტი განსაჯეთ, რა გადავიტანე ჩემი უკანასკნელი საყვარლის წყალობით.

„იგი გახლდათ ბუში ერთ-ერთი პრინცისა. რა თქმა უნდა, გარეგნულად ლამაზი იყო. — სხვაგვარად ხომ არ ავიყვანდი მას! მაგრამ ეს შესანიშნავი გარეგნობა შეხამებული იყო მასში აუტანელ, მახინჯ პატივმოყვარეობასთან. ეს იყო ქალი, რომელიც მუდამ მოწადინებული იყო, ეთამაშა მამაკაცის როლი. „თქვენ რა მამაკაცი ხართ! აი, მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავ!... — ჩვენ ორს შორის მე ვარ მამაკაცი!“ — აი, გამუდმებული, თავის მომაბეზრებელი სიტყვები, რომლებიც მესმოდა მისი პირიდან, საიდანაც მხოლოდ სიმღერის მოსმენა მეწადა. როდესაც მომეცემოდა რაიმე შემთხვევა და გამოვხატავდი ჩემს აღტაცებას რაიმე წიგნით, პოემით ან ოპერით, — იგი მეტყვოდა: „მაშ თქვენ ძალას ხედავთ მაგაში, არა? რა გესმით თქვენ ძალისა!“ და იწყებდა არგუმენტირებას.

„ერთ მშვენიერ დღეს მან დაიწყო შესწავლა ჭიმიისა, და მას შემდეგ ჩემსა და მის ტუჩებს შორის მუდამ რაღაც სინჯარა იყო გამოჩხერილი. ამასთან იგი საკმაოდ უკარება ვინმე გახლდათ. როდესაც, სიყვარულით ანთებული, შევეხებოდი ხოლმე მას ოდნავ გაუფრთხილებლად, იგი კრუნჩხვებით მპასუხობდა, როგორც მიმოზა“.

— რითი დამთავრდა ეგ ყოველივე? — იკითხა ერთ-ერთმა სამთაგანმა, — არ მეგონა, თუ ასეთი მომთმენი იყავი!

— უფალმა მიხსნა განსაცდელისგან, — მიუგო პირველმა.

— ერთ მშვენიერ დღეს ეს მინერვა, იდეალურ ძალაზე მეოცნებე, დავიჭირე ჩემს მსახურთან ისეთ პოზაში, რომ სხვა გზა არ დამრჩენოდა, უჩუმრად უნდა გავცლოდი იქაურობას, რათა არ გამეწითლებინა ორივე. საღამოს ორივე დავითხოვე, თან გადავეუხადე, რაც ერგებოდათ ჩემგან.

— ჩემი ამბავი კი ასეთია, — სთქვა მან, რომელმაც ამასწინ შეკითხვა დაუსვა თანამოსაუბრეს — მე მხოლოდ საკუთარი თავისადმი მეტქმის საყვედური. ბედმა გამილიმა, მაგრამ ვერ შევიცან ბედი. არც ისე დიდი ხნის წინათ ხელში ჩამივარდა ქალი, რომელიც, უდავოდ უნაზესი, უმორჩილესი და უერთგულესი არსება იყო, მუდამ მზადყოფნით აღსავსე! თან ყოველგვარი გატაცების გარეშე. „კი ბატონო! რა თქმა უნდა! ოღონდ მოისურვეთ!“ ასეთი იყო ჩვეულებრივ მისი პასუხები. ურტყით ჯოხები ამ კედელს ან ტახტს და თქვენ გაცილებით მეტ გმინვა-ობვრას გაიგონებთ მათგან, ვიდრე ჩემი საყვარლის მკერდს აღმოხდებოდა, თვით უკიდურესად მძვინვარე ვნების ქარიშხლის დროსაც კი. თითქმის ერთწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ იგი გამომიტყდა, რომ ვერცერთხელ ვერ იგრძნო ჩემთან სიამოვნება. მე მომბეზრდა ეს უთანასწორო დუელი და ეს შეუდარებელი ასული ბოლოს გა-

თხოვდა. შემდგომში მე მომეპრიანა მისი ნახვა, მან მაჩვენა ექვ-  
სიოდე მშვენიერი ბავშვი და მითხრა: „ასე, ჩემო ძვირფასო, თქვე-  
ნი ყოფილი საყვარელი შეუღლებობაშიც ქალწულად დარჩა“.  
მასში არ შეცვლილიყო არაფერი. ზოგჯერ გული მწყდება: რად არ  
შევირთე იგი ცოლად...“

ყველამ გაიცინა და ახლა დადგა მესამის ჯერი. მანაც დაიწყო:  
„ბატონებო, მე გამოვცადე სიამენი, რომელთაც თქვენ, შე-  
საძლოა არც კადრულობდით. მე ვილაპარაკებ კომიურ მომენტზე  
სიყვარულში, — კომიზმის იმ სახეობაზე, რომელიც ამავე დროს  
არ გამოირიცხავს აღტაცებას. მე გაცილებით უფრო აღტაცებული  
ვიყავი უკანასკნელი საყვარლით, ვიდრე თქვენ გყვარებიათ ან  
გძულებიათ თქვენები. ამასთან, ყველა ისევე იყო აღტაცებული,  
როგორც მე. როდესაც ჩვენ რესტორანში შევიდოდით, რამდენიმე  
წუთში ყველას ავიწყდებოდა ჭამა და მას უთვალთვალეზდნენ.  
თვით ლაქიები და მოლარეებიც კი ივიწყებდნენ თავიანთ მოვა-  
ლეობას და ეძლეოდნენ ამ გადამდებ აღტაცებას. ერთი სიტყვით,  
რამდენიმე ხანს ნამდვილი მოვლენის გვერდით მომიწია ცხოვრე-  
ბამ. იგი დაუსრულებლად ჭამდა; ლეჭავდა, ცოხნიდა, ყლაპავდა,  
ნთქავდა — თან ყოველივე ამას სჩადიოდა საოცრად ჰაეროვნი  
და უზრუნველი იერით. იგი დიდი ხნის განმავლობაში ნამდვილ აღ-  
ტაცებას იწვევდა ჩემსას. იგი რაღაც სათუთი, მეოცნებე, ინგლი-  
სური თუ რომანტიული მანერით იტყოდა ხოლმე: „მშია!“ იგი ამ  
სიტყვას იმეორებდა გამუდმებით, დღისით თუ ღამით, თანაც აჩენ-  
და მსოფლიოში უბრწყინვალეს კბილებს, გულისმომწყველეს და  
შესაქცევს ერთდროულად. — ალბათ გავმდიდრდებოდი, ბაზრო-  
ბაზე რომ გამომეყვანა იგი და შეჩვენებინა ხალხისათვის, როგორც  
მონსტრი პოლიფაგი ანუ ყოვლისჩამნთქმელი მონსტრი. მე მას  
კარგად ვკვებავდი, მაგრამ მაინც მიმატოვა...“

— პროვიანტის მომმარაგებელთან ხომ არ გაგექცათ?

— დიახ, რაღაც ამდაგვართან. — ეს იყო რომელიღაც საინ-  
ტენდანტო მოხელე, რომელსაც ჰქონდა რაღაც უცოდველი შემოსა-  
ვალი და შეეძლო უზრუნველყოფა ამ საცოდავისა რამდენიმე  
ჯარისკაცისთვის სამყოფი ულუფით. ასეთია ჩემი ვარაუდი, ყოველ  
შემთხვევაში.

— მე კი, — სთქვა მეოთხემ, — საშინელი ტანჯვა გადამხდა  
სწორედ იმის გამო, რაც დიამეტრალურად უპირისპირდება ჩვეუ-  
ლებრივ ქალურ ეგოიზმს. მე ვთვლი, რომ თქვენ ამაოდ უჩივით  
თქვენი საყვარლების არასრულყოფილებას, თქვენ, ბედნიერნო  
მოკვდავენო!

ეს ფრიად სერიოზული ტონით წარმოითქვა. ამის მთქმელი  
მშვიდი და დარბაისლური იერის მქონე კაცი იყო. ფიზიონომიის  
მიხედვით შეიძლებოდა სასულიერო პირად ჩაგეთვალათ იგი; მა-  
გრამ ამ ფიზიონომიას რაღაც უცნაურად ანათებდნენ გამჭვირვა-  
ლე. მონაცრისფრო თვალები. რომელნიც თითქოს ამბობდნენ: „მე  
ასე მსურს!“ ან „ასეა საჭირო!“ ანდა: „მე არ გაპატიებთ!“

„თქვენ, ბატონო გ... თქვენი ნევროზულობით, ან თქვენ ორი-



ვენო, ბატონებო, კ... და ჭ... თქვენი სულმოკლეობით და ფუქსავატობით რომ ყოფილიყავით დაკავშირებულნი ისეთ ქალთან, რომელთანაც მე მქონდა საქმე, უთუოდ გადაიხვეწებოდით ან დაიხოცებოდით, მე კი, როგორც ხედავთ, გავუძელი წარმოიდგინეთ პიროვნება, რომელიც არასოდეს სცდება, არც გრძნობაში არც ანგარიშში, წარმოიდგინეთ ეს აუტანელი გარკვეულობა და სიმშვიდე ხასიათისა, ეს ერთგულება მიმიკის გარეშე, უდრტვინელობა სისუსტის გარეშე, ენერჯია უხეშობის გარეშე. ჩემი სიყვარულის ამბავი ჰგავს დაუსრულებელ მგზავრობას რაღაც წმინდა, სარკისებრ გაბრიალებულ ზედაპირზე, თავბრუდამხვევად ერთფეროვანზე, საიდანაც ირეკლება ყველა ჩემი გრძნობა თუ ქცევა ჩემივე სინდისის ულმობელი მგრძნობელობით. — ასე გასინჯეთ, მე ვერ მიმეცა ჩემი თავისათვის უფლება ვერცერთი გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმისა, ან გრძნობას აყოლისა, ვინაიდან თან მდევდა მუნჯი საყვედური ამ მარადის ჩემგან განუყრელი აჩრდილისა სიყვარული რაღაც მეურვეობად იქცა ჩემთვის. რამდენი სისულელის ჩადენისაგან მიჩხნა მან და რაოდენ ვნალვლობ, რომ არ ჩავიდინე ისინი! რამდენი აფალი გადამახდევინა ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ! მან წამართვა ყველა ის სიამე, რისი მონიჭებაც შეეძლო ჩემთვის ჩემსავე დაუფიქრებლობას. მისი ცივი, ულმობელი კანონები გზას უღობავდნენ ჩემს ყველა ჭირვეულობას, თანაც ყველაფრის დაგვირგვინება ის იყო, რომ როდესაც გადაივლიდა საფრთხე, იგი ჩემგან ამდლობასაც არ მოითხოვდა. რამდენჯერ ლამის ვეცო ყელში დანშევძახე: „კმარა ეგ სრულყოფილება, შე უბედურო, მინდა მიყვარდე ამ გალიზიანების და ამ ტვირთის გარეშე!“ რამდენიმე წელს ვინახავდი გულში მისადმი სიძულვილს და მაინც დაჩოქილი ვიყავამის წინაშე. და ბოლოს მისი წერა აღმოჩნდა სიკვდილი და არა ჩემი...“

„როგორ! — წამოიძახეს დანარჩენებმა, — მაშ, გარდაიკვალა?“

— დიახ. შეუმღლებელი იყო ასე გაგრძელება სიყვარული სულისშემხუთველ კოშმარად იქცა ჩემთვის. გამარჯვება ან სიკვდილი, ეს ხომ დევიზხა პოლიტიკური ბრძოლისა, — ასეთივე იყო ალტერნატივა, რომელიც ბედმა დააყენა ჩემს წინაშე. ერთ საღამოს, ტყეში... წყლით სავსე თხრილის პირას... მელანქოლიური გასვირნების შემდეგ, როდესაც მის თვალებში ირეკლებოდა ცის სიწმინდე, ხოლო ჩემს გულში დუღდა ჯოჯობეთი...

— რაო?

— როგორ?

— რისი თქმა გსურთ?

— ეს გარდუვალი იყო. მე ძალზე სამართლიანი კაცი ვარ და ვერ გავლაზავ და ვერც ვავაგდებ მსახურსაც კი, რომელსაც ბრალი არ მიუიღვის. მგრამ ეს გრძნობა ხომ უნდა შემეთავსებინა იმ შემზარავ სიძულვილთან, რომელიც მქონდა მის მიმართ; ხომ უნდა გავთავისუფლებულიყავი ამ არსებისგან და თანაც არ შემეზ-

ღალა ჩემი მისადმი პატივისცემა. რას დავაკლებდი მას თქვენის აზრით, თუ იგი ესოდენ სრულყოფილი იყო?"

დანარჩენმა სამმა მოსაბურემ მას გაურკვეველი, ოღონდ დაბნეული მხერა შეავლეს, რომელიც თითქოს ამბობდა: ჩვენ ვერაფერს ვკვიდსო ესოდენ სასტიკი, თუმც საკმაოდ გამართლებული ინსტიტუტის ჩადენა.

შემდეგ მოატანიეს კიდევ რამდენიმე ბოთლი ღვინო, რათა როგორმე მოეკლათ ეს სიცოცხლისუნარიანი დრო და შეემოკლებინათ დამდორებული მდინარეა წუთისოფლისა.

### მადმუაჟელ ბისტური

გარეუბნის ბოლოში ვიყავი, გაზის მოცახცაზე ნათელში მივიკვლევდი გზას, როდესაც ვიგრძენი, ვილაცამ ხელკავი გამიკეთა და მიჩურჩულა ყურში:

„თქვენ ექიმი ხართ, მუსიო, ხომ?“

მოვიხედვე; ეს იყო მალალი, ჩასუქებული ქალი, ფერუმარულიანი, თმაგაშლილი და დიდთვალება. ქარი უწეწავდა თმას და ქუდის ბაბთებს.

— არა, არ გახლავართ ექიმი. გამიშვით თუ შეიძლება.

— რასა ბრძანებთ! თქვენ ექიმი ხართ დანამდვილებით. განა ვერ ვხედავ! წამობრძანდით ჩემსას. ძალზე კმაყოფილი დარჩებით, გარწმუნებთ!

— კარგი, უსათუოდ შემოვივლი, ოღონდ ექიმის შემდეგ, რა ჯანდაბაა!

— აჰ! ახლა მივხვდი, — გადაიხარხარა მან, თან ხელს არ მიშვებდა, — თქვენ ხუმარა ექიმი ბრძანდებით! ასეთებიც შემხვედრია. წამობრძანდით!


მე ძალზე მიყვარს იღუმალემა, ვინაიდან არ ვკარგავ ხოლმე იმედს მისი შეცნობისას. ამიტომაც გავყევი ჩემს თანამგზავს, — უფრო სწორად, უეცრად მოვლენილ გამოცანას.

მე აღარ აგიწერთ მის ხუხულას; მას შეხვდებით ბევრ კარგად ცნობილ ძველ ფრანგ პოეტებთან. ერთი დეტალი ოღონდ, რომელიც გამორჩა რენიეს: ორი სამი პორტრეტი ცნობილი ექიმებისა ეკიდა კედელზე.

რა პატივში აღმოვჩნდი! გალვივებული ბუხარი, შემთბარი ღვინო, სიგარები: ეს უცნაური ქალი თავადაც სიგარას წევდა და თან მეუბნებოდა: „იყავით, როგორც შინ, ჩემო ძვირფასო, მოეწყვეთ როგორც გენებოთ; ეს გაგახსენებთ კლინიკას და თქვენი ახალგაზრდობის კეთილ ყამს — ესეც ასე! როგორ მოახერხეთ გაჭალარავება? თქვენ ხომ ჯერაც არ ბრძანდებოდით ასეთი, როდესაც ინტერნად იყავით ექიმ ლ...სთან, მე მახსოვს თქვენ მისი ასისტენტი იყავით მძიმე ოპერაციებისას, აი კაცი, რომელსაც უყვარს ჭრა და ჩეხვა! თქვენ ინსტრუმენტებს აწოდებდით მას, ძაფებს და ბამბას... ხოლო ოპერაციის დასასრულს, იგი დახედავდა საათს და

ამაყად იტყოდა ხოლმე: ზუსტად ხუთ წუთში, ბატონებო! — მე ხომ ყველგან დავდივარ. მე მშვენივრად ვიცნობ ამ ბატონებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე შენობით ლაპარაკზე გადადმოვიდა და კვლავ განაგრძო თავისი სიმღერა: „ექიმი ხარ არა, ჩემო ფისუნიავ?“



ამ გაუგებარმა რეფრენმა მაიძულა წამოვმხტარიყავი ზე.

„არა-მეთქი! — დავიღრიალე“.

„ქირურგი, ხომ?“

— არა, არა-მეთქი! შენთვის თავის წასაჭრელად კი, ეშმაკმა წაგიღოს!

— მომხედე, — მითხრა მან და გამოიღო კარადიდან მთელი კიბა ლითოგრაფიებისა. ეს აღმოჩნდა კოლექცია იმ დროს ცნობილი ექიმებისა, მორენის ნამუშევრები, ეს კოლექცია რამდენიმე წლის განმავლობაში გამოფენილი ჰქონდათ quai Voltaire-ს ბუკინისტებს.

— აჰა, სცნობ ამას?

— ჰო! ეგ ხომ X-ია. სხვათა შორის სახელი ზედ აქვს მიწერილი. მაგრამ მე პირადადაც ვიცნობ მას.

— გასაგებია... ეს კი Z-ია, რომელიც ხშირად ამბობდა ხოლმე X-ის შესახებ ლექციებზე: „ეს არის ურჩხული, რომლის მთელი ზნედაცემულობა აღბეჭდილია მის სახეზე“ — იმის გამო, რომ ვერ შეთანხმდნენ რაღაც საკითხში... რამდენს იცინოდნენ ამაზე ჩვენი მედიკოსები იმხანად, გახსოვს?

— აი ეს არის, რომელიც ასშენდა მთავრობასთან შეამბოხებებს, მის კლინიკაში რომ იწვნენ. ეს ამბოხის დროს იყო, საკვირველია, ასეთი ლამაზი მამაკაცი და ასეთი უგულო?... ეს კი K გახლავს, ცნობილი ინგლისელი ექიმი: მე დავიჭირე იგი პარიზში ჩამოსვლისას. შესახედად კი ნამდვილი ქალიშვილია! არა?

— მაცადე. — სთქვა მან, რა დაინახა, რომ მე ხელი შევავლე ზონრით შეკრულ პაკეტს იქვე მაგიდაზე. „ეს ინტერნი ექიმები იყვნენ, ამ პაკეტში კი ექსტერნებია“.

მან მარაოსავით გააწყო უამრავი ფოტოსურათი გაცილებით უფრო აბალგაზრდა სახეებისა.

„როდესაც კიდევ გნახავ, ხომ მომცემ შენს ფოტოსურათს, ჩემო ოქროვ?“

— კი მაგრამ, — მივუგე მე, მასავით ერთი და იგივე აზრით შეპყრობილმა, — მაინც რატომ გგონივარ ექიმი?

— იმიტომ, რომ ასეთი საყვარელი ხარ და ასეთი კეთილი ქალებისადმი!

— უცნაური ლოგიკაა! — გაჭიფიჭრე მე.

— არა, მე ვერ გამაცრუებ; მე ხომ ამდენი ექიმი მინახავს. იმდენად მიყვარს ისინი, რომ ხშირად დავდივარ ხოლმე მათ სანახავად. მიუხედავად იმისა, რომ ავად არა ვარ, არიან ისეთებიც, რომელნიც ცივად მეტყვიან ხოლმე: „თქვენ არა ხართ ავად!“ სხვანი

კი მიგებენ. — მე ხომ ვეკეკლუცები მათ და თვალებს ვუნაბავ.

— და თუ ვერ მიგიხვდნენ?

— იმ შემთხვევაში, თუ ამაოდ მომიხდა მათი შეწყობა, ვტოვებ ბუხარზე ათ ფრანკს — ეს ადამიანები ხომ ისეთი კარგები არიან და ალერსიანები. ლა პიტეში ერთი ახალგაზრდა ინტელექტუალი გაშვებულა ჩხრიკე, ანგელოსის სახიანი, თან ისეთი ყურადღებიანი! რამდენს შრომობს საბრალო! მისი მეგობრები მეუბნებოდნენ, გროში არ გააჩნიაო, მშობლები ღარიბებია და ვერაფერს უგზავნიან თურმე. ამან გამათამაშა. სიმართლე უნდა ითქვას, მე ხომ საკმაოდ ჭამაში ვარ, თუმც არც ისე ახალგაზრდა. მეც ჩავუჩურჩულე: „შემოიარე ჩემსას ხშირად! ნუ შეგრცხვება: მე არ გთხოვ ფულს!“. მაგრამ, ალბათ გესმის, რომ მე ეს პირდაპირ კი არ მიმიხვია, მისთვის, არამედ ქარაგმულად შევაპარე! იმდენად ძეშინოდა ამ საბრალო ბიჭის შეურაცხყოფისა! დამიჯერებ, ერთი უცნაური სურვილი მაქვს, ოღონდ ვერ გამიმხელია მისთვის! — მინდა იგი ერთხელ მეწვიოს თავისი ინსტრუმენტებითა და წინსაფრით, ოდნავ სისხლითაც რომ იყოს შესვრილი“.

მან ეს სავსებით უცოდველი იერით თქვა, ისე როგორც მგრძნობიარე კაცი ეტყოდა მსახიობ ქალს: „მე მინდა გნახოთ იმ კაბაში, თქვენი ცნობილი როლის შესრულებისას რომ გეცვათ!“

მე დაეუბრუნდი ჩემთვის საინტერესო საკითხს და ვკითხე: „არ შეგიძლია გაიხსენო, როდის და რა ვითარებაში დაგებადა პირველად ეგ მიდრეკილება?“

მე უცებ ვერ გავაგებინე მას, მაგრამ ბოლოს, როცა მიმიხვდა, მომიგო სევდიანად და რამდენადაც მახსოვს, თავდახრით: „არ ვიცი... არ მახსოვს, მართალი გითხრა“.

რა და რა უცნაურობას არ წააწყდები კაცი დიდ ქალაქში ხეტიალისას და გარემოზე დაკვირვებისას! შენს გარშემო ცხოვრება სავსეა ამ უწყინარი ურჩხულებით. — უფალო, ღმერთო ჩემო! შემოქმედო, ყოვლისმპყრობელო! მსაჯულო, ყოვლისმომტევებელო! შენ შექმენ კანონი და თავისუფლება, წყაროვ ყოველთა მიზეზთა და მიზანთა; შენ, რომელმაც შთამინერგე სულში მიდრეკილება საშინელისაკენ, ეგებ იმიტომ, რომ მოაქციო გული ჩემი, ისევე როგორც დანა არჩენს ტკივილს ადამიანისას, ჰოი, უფალო, შეიწყალე შეშლილნი! უფალო დამბადებელო! ხომ არსებობენ ურჩხულები მის წინაშე, ვინც ერთადერთმა უწყის მათი არსებობის მიზანი, უწყის, რად არიან ისინი ამგვარად შექმნილნი და არა სხვაგვარად?

### მოწოდებაანი

მშვენიერ ბაღს ჩამავალი მზის ნაკვიანევი სხივები აფერადებდნენ. მომწვანო ცაზე მოხეტიალე მატერიკებივით მიცურავდნენ ოქროს ღრუბლები, ბაღის შუაგულში ოთხი მშვენიერი ბიჭუნა,

რა თქმა უნდა, თამაშით დაღლილი, საუბრობდა ურთიერთშორის.

ერთი ამბობდა: „გუშინ თეატრში წამიყვანეს. ამ დიდებულ სასახლეში, რომლის სიღრმეშიც მოსჩანს ზღვა და ცა, სიმღერით ლაპარაკობენ ქალები და მამაკაცები, სერიოზულნი და პირქუშნი, მაგრამ გაცილებით უფრო ლამაზები და მორთულები, ვიდრე ისინი, ვისაც ვხედავთ ჩვეულებრივად. ისინი ხან ემუქრებიან ნეთს, ხან ევედრებიან, ხან სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და ხშირად ხანჯალზეც იტაცებდნენ ხოლმე ხელს. აჰ, რა მშვენიერია ეს ყოველივე! ქალები იქ გაცილებით ლამაზები არიან და მალე-მალე, ვიდრე ისინი, ჩვენთან რომ სტუმრად დადიან, და თუმცა საშიშად გვეჩვენებიან დიდთვალეებიანნი და სახენათელნი, მაგრამ არ შეიძლება, არ შეგიყვარდენ. გზარავს, ტირილი გინდა და მაინც გსიამოვნებს. და შემდეგ, რაც ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია, გებადება სურვილი ასევე იყო ჩაცმული, ასევე იქცეოდე და ასევე სიმღერით ლაპარაკობდე.“

ოთხთაგან ერთ-ერთმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ამ ხანაგს და თან რაღაც წერტილს უყურებდა ცაში, უეცრად სთქვა: „შეხედეთ! შეხედეთ! ხედავთ თუ არა მას, ერთ-ერთ ეულ ღრუბელზე რომ ზის. პატარა ცეცხლოვან ღრუბელზე, ნელა რომ მისცურავს?.. თითქოს დაგვცქერისო ზევიდან“.

„ვინ არის იგი?“ — იკითხეს დანარჩენებმა.

„ღმერთი!“ — მიუგო ბიჭუნამ დაბეჭითებით.

„აჰა, იგი უკვე შორსაა; მალე მიეფარება თვალს: იგი ალბათ მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. შეხეთ, შეხეთ, ახლა ხეებს გადაუვლის, — აი იქ, თითქმის ჰორიზონტზე... ახლა კი სამრეკლოს მხარეზე დაეშვა. აჰ, უკვე აღარ მოსჩანს იგი!“ — ბავშვი კიდევ დიდხანს იდგა იმ მხარეს მიბრუნებული და თვალს არ აშორებდა ხაზს, რომელიც ჰყოფს ცას დედამიწისაგან. მისი მზერა ექსტაზითა და სინანულით ანათებდა.

„აი სულელი! მაგის ღმერთს ვერავინ ხედავს თავად მაგის გარდა!“ — წამოიძახა მესამე ბიჭუნამ, რომლის მთელი ფიგურაც საოცრად ცოცხალი იყო და მოძრავი. — აი, მე კი მოგიტხოვრებთ ისეთ ამბავს, რაც არცერთ თქვენგანს არ უგემია არასოდეს და რაც გაცილებით უფრო საინტერესო იქნება თქვენს თეატრზე და თქვენს ღრუბლებზე. ამ რამდენიმე დღის წინათ მშობლებმა წამიყვანეს სამოგზაუროდ. გავჩერდით სასტუმროში, სადაც აღარ იყო ადგილები და მე ჩემს ძიძასთან უნდა გამეთია ღამე. — შემდეგ მან ახლოს მოიზიდა ამხანაგები და ხმადაბლა განაგრძო: — „იცით, რა უცნაური გრძნობაა, როდესაც ძიძასთან ერთად წევხარ ლოგინში მარტო. მე არ მეძინებოდა და ვერთობოდი, ვიდრე ძიძას უძინავ: ვეფერებოდი ხელებზე, კისერზე, მხრებზე. ხელები და კისერი მას სხვა ქალებზე გაცილებით უფრო მსხვილი აქვს, კანი კი ისეთი ნაზი აქვს, თითქოს საფოსტო ქალაქი იყო ან აბრეშუმი. ისეთი სასიამოვნო იყო, რომ დიდხანს, დიდხანს ვეფერებოდი ძიძას, მაგრამ მერე შემეშინდა უეცრად, შემეშინდა. არ ვალვიძებოდა და კიდევ არ ვიცო, რად შემეშინდა. შემდეგ ჩავრგე თავი მის თმაში.“

მხრებზე გადმოყრილ ფაფარივით თმაში, დამიჯერეთ, მას ისეთი საამური სუნი აქვს, როგორც აი ამ ბალის ყვავილებს სცადეთ ერთხელ თუ მოახერხოთ იგივე და თქვენც კარგად დანიხავთ!”

ასე ყვებოდა პატარა ავტორი ამ საოცარი აღმოჩენისა და თან თვალგაფართოებული აქეთ-იქით იხედებოდა, ფიქრობდა, უკვე თავისი განცდილი, ხოლო ჩამავალი მზის სხივები მისი წითური კულულების გარშემო თითქოსდა გოგირდოვან ნათებას ჰქმნიდნენ ვნებისას. ამასთან აშკარა იყო, რომ მომავალში იგი არ დახარჯავდა ცხოვრების წუთებს ღრუბლებს მიღმა არსებული ღმერთის ძიებაზე და სულ სხვა რამეში ჰპოვებდა ცხოვრების მიზანს.

ბოლოს, მეოთხე ბიჭუნამ თქვა: „იცით, შინ ჩემი ყოფა უხალისოა; მე არავის მივყავარ თეატრში, ჩემი მეურვე ძალზე ძუნწია, არც ღმერთი ზრუნავს ჩემზე და ჩემს დარღებზე, არც ლამაზი ძიძა მყავს, რომ მანებივროს. ხშირად მიფიქრია, ერთადერთი რამ თუ მომიტანდა შვებას: პირდაპირ, სულ პირდაპირ მეარა შორეთისაკენ, ისე, რომ არავის სცოდნოდა და სულ ახალ-ახალი ქვეყნები მომენახულებინა. მე ვერსად ვერასოდეს ვიგრძნობ თავს კარგად, ვინაიდან ყოველთვის მეჩვენება, რომ სხვაგან უფრო კარგად ვიქნები, ვიდრე იქ, სადაც ამჟამად ვარ. აი მაგალითად, მეზობელ სოფელში უკანასკნელ ბაზრობაზე ვნახე სამი კაცი, რომელთა ცხოვრებაც ძალზე მომეწონა. ალბათ არ მიგიქცევიათ მათთვის ყურადღება. ტანმორჩილნი იყვნენ, სავსებით შავები, მაგრამ ამაყნი მიუხედავად თავიანთი ძონძებისა: იფიქრებდი, არაფერი არ ადარდებთო: დიდი შავი თვლები უბრწყინავდათ დაკვრის დროს; ისე საოცრად უკრავდნენ, რომ მინდოდა ცეკვაც და ტირილიც ერთდროულად; ლამის ჰკუთხე შევცდი სიამოვნებისგან. ერთი მათგანი ნელ-ნელა უსვამდა ვიოლინოს ხემს, თითქოს რაღაც დარღზე ყვებო; მეორე პატარა ჩაქუჩს ურაკუნებდა კისერზე ჩამოკიდებულ მცირე როიალს, თითქოს დასცინისო თავის მეზობლის კვნესას, მესამე კი ამ დროს მთელი ძალით ურტყამდა ციმბალებს. მათ იმდენად მოსწონდათ თავი, რომ მაშინაც კი განაგრძეს ეს ველური მუსიკა, როდესაც ხალხი დაიშალა. მე კი დამაინტერესა — სად ცხოვრობდნენ ისინი, ავედევნე ტყის პირამდე და მაშინდა დავრწმუნდი, რომ თურმე არ ჰქონიათ სახლი. აქ ერთ-ერთმა თქვა: „ხომ არ გაგვეშალა აქ კარავი?“ „მე მგონი, არ ღირს, — მიუვო მეორემ, — ისედაც კარგი ღამეა!“

მესამე კი ფულს ითვლიდა ამ დროს და ამბობდა: „ეს ხალხი ვერ გრძნობს მუსიკას, მათი ქალებიც დათვებივით დაბაჯბაჯებენ ცეკვის დროს. საბედნიეროდ, ერთ თვეში ავსტრიაში ვიქნებით, — იქ უფრო სასიამოვნო ხალხია“.

„ესპანეთში ხომ არ წავსულიყავით? შემოდგომა კარგია. სჯობია გავასწროთ წვიმების სეზონს, და იქ ყანურატობი-ლა გავისველოთ“, — ამბობდა ერთ-ერთი.

„ხომ ხედავთ, ყველაფერი დავიმახსოვრე... შემდეგ მათ დალიეს თითო კათხა არაყი და დაიძინეს ვარსკვლავიან ცის ქვეშ. თავდაპირველად მსურდა მეთხოვა მათთვის — თან წამიყვანეთ და

მასწავლეთ-მეთქი დაკვრა თქვენს საკრავებზე, მაგრამ ვერ გავუბე-  
დე, ვინაიდან ძნელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თანაც მეშინოდა,  
გზაში არ დამიჭირონ, ვიდრე მოვასწრებ-მეთქი გასვლას საფრან-  
გეთიდან“.

დანარჩენი სამი ბიჭის განურჩეველმა სახეებმა მაფიქრებინა,  
რომ მათ არ ესმოდათ ამ ბავშვისა. მე კარგად დავუკვირდი მის  
სახეს: მის გამოხედვაში, მისი შუბლის მოყვანილობაში, ნაადრე-  
ვად ცნაურდებოდა რაღაც საბედისწერო, რომელიც ჩვეულებრივ  
განიზიდავს ხალხს, ჩემში კი რატომღაც სიმპათიას აღძრავს მხო-  
ლოდ. წუთით უცნაური აზრიც კი დამებადა: ხომ არ მყოლია-მეთქი  
ძმა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი დღემდე?

მზე ჩაესვენა. ბნელი გამეფდა. ბავშვები დაიშალნენ, ყოვე-  
ლი მათგანი თავის გზას გაჰყვა, რათა არაცნობიერად სხვადასხვა  
გარემოებათა და შემთხვევითობათაგან დამოუკიდებლად, ეპოვათ  
თავისი ბედი, ეწვალეზინათ მახლობლები, გამოევიდნათ ლტოლვა  
დიდებისკენ თუ მოყივნებისკენ.

### საბრალო ძაღლები

ვუძღვნი ჯოზეფ ა. სტივენსს

მე არასოდეს მრცხვენოდა თვით ჩემი საუკუნის ახალგაზრდა  
მწერალთა წინაშეც კი იმ აღტაცებისა, რომელსაც იწვევს ჩემში  
ბაჟფონი<sup>1</sup>; თუმცა დღეს როდი მივმართავ სულს ამ მეცნიერისას,  
რომელიც გვისურათხატებს ბუნებას მთელი თავისი დიდებულე-  
ბით.

მე უფრო მეტი ხალისით სტერნს<sup>2</sup> მივმართავდი და ვეტყოდი  
ასე: გარდმოხდი ციდან, ან აღსდეგ ელისეს მინდვრებიდან და  
შთამაგონე ქება ამ საბრალო, კეთილი ძაღლებისა, — ქება შენი  
ღირსი, სენტიმენტალურო ხუმარავ! დაგვიბრუნდი იმ უკვდავ ვირ-  
ზე შემჯდარი, რომელიც მუდამ თან გახლავს შთამომავლობის  
ხსოვნაში; თანაც მთავარია, რომ ვირი წარმოგვიდგეს იმ დაუვიწყარ  
ორცხობილათი, რომელიც პატრონმა სიყვარულით მიამაგრა  
მის აღვირს.

ჯანდაბას აკადემიური მუზა! რა მესაქმება ამ ბებერ უკარებას-  
თან! მე ვუხმობ უფრო მახლობელ მუზას, ქალაქის ქალს, სიცოცხ-  
ლით სავსეს, — დე შემეწიოს იგი ამ კარგი ძაღლების ქებაში, საბ-  
რალო, ჭუჭყიანი ძაღლების ქებაში, რომელთაც ყველა აძევებს  
და მიერეკება, თითქოს ჭირიანები ან მუნჩიანები იყვნენო — მათი  
ამხანაგის, ლატაკის გარდა და პოეტის გარდა, რომელიც მათ თანა-  
მოძმის თვალთ შეესცქერის.

მიმიფურთხებია კოკობზიკა ძაღლებისათვის, ამ ოთხფეხა პო-

<sup>1</sup> ბაჟფონი — ფრანგი, ნატურალისტი და ფილოსოფოსი (XVIII ს.).

<sup>2</sup> სტერნი — ინგლისელი მწერალი (XVIII ს.).

ჩიორებისთვის, — ამ კინგჩარლზებისთვის, დანიური გოშიებისათვის, პედელებისათვის, რომელნიც იმდენად არიან მოხიბლულნი საკუთარი თავით, რომ უცერემონიოდ ებლანდებიან ფეხებში მომსვლელს ან მუხლებზე ახტებიან მას, საკუთარი თავით უფრო მოხიბლულნი, ბავშვებით ანცნი, ლორეტებით კულებს და ნაც ღვარძლიანნი და თავზედნი, ხელშინაურთა მსგავსად.

მიმიფურთხებია მწევარ ლევრეტებისათვის, ამ ოთხფეხა გველებისათვის, ნიადაგ რომ თრთიან ამპარტავანი იერით. მათ წაგრძელებულ ცხვირებს იმდენი ყნოსვაც არა აქვთ, მეგობრის გეში რომ მოძებნონ, ხოლო ჩაქყლეტილ თავებში იმდენი ჭკუაც არ აბადიათ, რომ დომინო მაინც ითამაშონ.

აბა ადგილზე, აუტანელო უქნარებო!

ისხედით ჭკვიანად თქვენს რბილ, კომფორტაბელურ ხულებში. მე კი ვუმღერ ჭუჭყიან, საბრალო ძაღლს, უსახლკაროს, მაწანწალას, ან აკრობატ ძაღლს, — ძაღლს, რომლის ინსტინქტიც, ლატაკის, ბოშის ან ჯამბაზის ინსტინქტის მსგავსად, გაფაქიზებულია გაჭირვებით, ამ კეთილი დედით, ყოველგვარი დახვეწილობისა და განვითარების ჭეშმარიტი მფარველით.

მე ვუმღერ მაწანწალა ძაღლებს, — მათ, რომელნიც მარტოდ-მარტო დაეხეტებიან ჩვენი უშველებელი ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ შუკებში, აგრეთვე მათ, რომელნიც აეკიდებიან უსახლკარო კაცს და თითქოს ეუბნებიანო თავიანთი ჭკვიანი, პარპალა თვალებით: „წამიყვანე შინ, იქნებ შევაერთოთ ჩვენ ორის გაჭირვებული ცხოვრება და მცირეოდენი შვება მაინც ვპოვოთ!“

„საით მიეჩქარებათ ძაღლებს?“ კითხვას სვამდა ერთ დროს ნესტორ როკებლანი თავის უკვდავ ფელეტონში, რომელიც თავად მას, როგორც ჩანს, უკვე დაავიწყდა. და რომელიც მხოლოდ მე მახსოვს დღემდე და ალბათ კიდევ სენტ ბევს.

საით მიეჩქარებათ ძაღლებს? თქვენც მეკითხებით, დაუკვირვებლო ადამიანებო? მათ მიეჩქარებათ საქმეებზე.

მათაც აქვთ თავიანთი საქმიანი შეხვედრები, პაემანები. ნისლში, თოვლჭყაბში, წვიმაში თუ ხვატში, ისინი სადღაც მიიჩქარიან, მირბიან, მიფართხუნობენ, ქვეშ უძვრებიან ეკიპაჟებს რწყილებისაგან აღგზნებულნი, მათი სტიმულია ვნება, მოთხოვნილება ან მოვალეობის შეგნება. ისინიც ჩვენსავით დილაადრიან უკვე ფეხზე არიან და მიიჩქარიან სარჩოს საძებრად ან ეძებენ სიამოვნებას.

ზოგი მათგანი ღამეულ თავშესაფარს ჰპოულობს სადმე ნანგრევებში, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად, გარკვეულ დროს მიდის და მოწყალებას ითხოვს პალე-როილის ერთ-ერთი სამზარეულოს წინ, სხვები ჯგუფ-ჯგუფად გაირბენენ ხუთ ლიეს, რათა გაიზიარონ ურთიერთშორის ტრაპეზა, რომელიც მათ მოუმზადა რომელიმე სამოცწლიანმა შინაბერამ, რომლის მოცალე გული ცხოველებს ეკუთვნის. ვინაიდან სულელმა მამაკაცებმა უარყვეს იგი.

არიან ისეთნიც, რომელნიც გამოქცეული ზანგებივით, ვნებისაგან შეშლილნი სტოვებენ თავიანთ სოფლებს და მოაწყდებიან ქალაქს, რათა რამდენიმე საათს იხტუნონ და ითამაშონ კვალუც



ქუენასთან, რომელიც, მართალია, ოდნავ დაუდევარია თავის მორთულობით, მაგრამ მაინც ამპარტავანია და მაღლიერი.

მაინც რა ზუსტნი არიან ისინი — ყოველგვარი ჩანაწერების, უბის წიგნაკების და დაეთრების გარეშე!



ეროვნული  
კონცენტრაცია

იცნობთ თუ არა ზანტ ბელგიურ ძალს და დამტკბარსა თუ არა ჩემგვარად ამ მძლავრი ნაგაზებით ყასბის, მერძევის ან მეფუნთუშის ურიკაში რომ არიან შებმულნი და თავიანთი ძლევამოსილი ყეფით განა იმის დასტურს არ გამოხატავენ, რომ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ცხენებს? ახლა ამ ორ არსებას დამიხედეთ, კიდევ უფრო ცვილიზებულ სამყაროს წარმომადგენლებს, ნება მიბოძეთ შეგახედოთ კლოუნის ოთახში მისი არყოფნის დროს.

შეღებილი ხის საწოლი, უფარდაგო იატაკზე გადმოვარდნილი საბანი, ბალღინჯობით გასვრილი, ჩალის გადაკრული ორი სკამი, თუჯის ღუმელი და ორი-სამი გატეხილი მუსიკალური საკრავი. სევდის მომგვრელი გარემო! მაგრამ შეხედეთ ერთი ამ ორ ჭკვიან არსებას გაცვეთილ, თუმც მდიდრულ მოკაზმულობაში, რომელნიც ჯადეგისთვის დამახასიათებელი კონცენტრაციით უცქერიან ამ უსახელო ბაღზამს, ნელ-ნელა რომ დულს ღუმელზე, ხოლო ჭვამბრდან ამოჩრღლა გრძელი კოვზი, თითქოს ბაირადიანო, შენობის დამთავრების მაუწყებელი.

მაგრამ განა სამართლიანობა არ იქნება, რომ ამგვარმა გულმოდგინე კომენდიატებმა წასვლამდე აივსონ კუჭი ესოდენ ნოყიერი სუპით და ნუთუ თქვენ არ აპატიებთ ამ მცირე მგრძნობელობის გამოვლინებას ამ საბრალო არსებებს, რომელნიც იძულებულნი არიან დილიდან საღამომდე გაუძლონ მაყურებელთა გულგრილობას და დასის ხელმძღვანელის უსამართლობას, რომელიც ითვისებს ლომის წილს და ოთხი კაცის სამყოფ სუპს მიირთმევს!

რამდენჯერ ვუჭკვრეტდი თანაგრძნობით ამ ოთხფეხა ფილოსოფოსებს, ადამიანის მონა-მორჩილთ, რომელთაც რესპუბლიკური სიტყვარი თავისუფლად მიაკუთვნებდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა რომელიმე კატეგორიას, რესპუბლიკა მხოლოდ ადამიანთა კეთილდღეობაზე რომ არ ზრუნავდეს და ჰპოვებდეს დროს, რათა მიუზღოს დამსახურებისამებრ ძალღებსაც.

ხშირად მიფიქრია, ამგვარი მამაცობის, მოთმინების და შრომის მუქათა იქნებ მიეზღოთ-მეთქი მათ ძალღებისათვის განკუთვნილ სამოთხეში (რა ვიცი, იქნებ არსებობს ასეთიც!), სადაც მოხვდებიან ეს საბრალო, კეთილი, დასვრილი და გაწამებული ძაღლები, ხომ გვარწმუნებს სვედენბორგი, თითქოს არსებობს ცალკე სამოთხე თურქებისთვის და ცალკე ჰოლანდიელებისათვის!

ვერგილიუსის და თეოკრიტეს მწყემსები ეჭიბრებოდნენ ერთიერთს სიმღერის ხელოვნებაში და მოელოდნენ ჯილდოდ ერთ თავ ყველს, კარგად ნახელოვნებ სალამურს ან ჯიქანდაბერილ თხას. პოეტმა კი, რომელმაც უმღერა საბრალო ძაღლებს, საჩუქრად მიიღო მშვენიერი, მდიდრული, თუმც გაბუნებული ყილეტი, რომლის შემხედვარეს გახსენდება შემოდგომის დაღლილი მზე, მიმკვ-





გარინა ცხებავა

Pelite-aves de grands cheveux.  
Elle était pâle-et pourtant rose...!

თარგმანა რუსულან ქაბულაძე

რა, ფერმკრთალი არ ეთქმოდა, არამც და არამც — პირიქით, ნატამალიც არ ეცხო ამის და მაინც იყო — *pourtant rose*, რაც დასტურ და ნათელქმნილი თავის დროზე იქნება ჩემგან.

1918-1919 წლის ზამთარი იდგა — ჭერ ისევ 1918 წლის დეკემბერი. ერთი თეატრის ერთ სცენაზე, სად, აღარ ვიცი, მესამე სტუდიის მოწაფეებს „ქარბუქს“ ვუკითხავდი, ჩემს პიესას. დარბაზი იყო ცარიელი. სცენა — სავსე.

ჩემი „ქარბუქი“ მე ვუძღვენი იურის, ვერას, სიყვარული — მათ მეგობრობას. იური, ვერა და-ძმანი იყვნენ. ჩემს სულ ბოლო გიმნაზიაში ვერაც სწავლობდა, ოღონდ კლასით მე წინ ვიყავი. ვხედავდი მხოლოდ შესვენებაზე: თმახუჭუჭა გამხდარ გოგოს, ყველაზე მეტად ზურგი მახსოვს, გრძელი ზურგი, ჩამოშლილი თმის გრებილი, ხოლო პირისპირ შემოფეთებულ ზმანების: მახსოვს — პირი, მედიდურად კილოებდაშვებული, თვალები კი — პირის პირუკედ — მოცინარე, ანუ კილოებაფრენილი. ხაზების ეს დაშორშორება გამოუთქმელ დელვას მგვრიდა, რასაც ვაწერდი სილაძაზეს და რაც სხვებს ფრიად აკვირვებდათ, რადგან ვერაფერ საამისოს ვერ ამჩნევდნენ, და ამით უფრო მაოცებდნენ. აქვე ვიტყვი, მართალი მაინც მე გამოვდექი. იგი იმზომ ლამაზი იყო, რომ პარიზში, 1927 წელს, მძიმე ავადმყოფს ეკრანზე თამაშს აიძულებდნენ.

ამ ვერასთან, ამ ვერასთვის თავის დღეში სიტყვა არ მითქვამს. და როცა ახლა, სკოლის დამთავრების ცხრა წლის შემდეგ „ქარბუქს“ მისი სახელი წავაწერე, შიშით ვიფიქრე, ვაითუ ვერაფერი ვერ გაიგოს, ვაითუ არ ვახსოვარ და არც ოდეს შევუმჩნევივარ.

(კი მაგრამ, ვერა რა შუაშია, როცა ამბავი სონეჩკაზეა? ვინაიდან ვერასგან მოდის, ვერა წინ უძღვის ამ ისტორიას, ვერა არის ძველთაძველი საწყისი მისი, ამბავი — მოკლე — გრძელზე გრძელი წინაისტორიით. და შემდგომითაც.)

საიდან, როგორ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, იგი, ცოცხალი, რა გზით მოვიდა?

1917 წლის ოქტომბერია... მისი ბოლო დღე, ანუ პირველი — მიწურუ-

<sup>1</sup> ფერმკრთალი იყო — მაინც ვარდისფერი გადასდიოდა, პაწაწინა — გრუზა თმის ტევრით... (ფრანგ.).

ლიდან (საყარაულოსთან ისევ გრილი და გრუხუნია). მოსკოვიდან ყირიმი-საკენ მივემგზავრები. ბნელ ვაგონში, ზედა საწოლზე ვილატ უმაწვილი ლექსს კითხულობს. აი, ის ლექსი:

ამ ოცნებაში დაათენდათ რამდენჯერ მამათ ~~რამდენჯერ~~  
სვამდნენ კონიაკს უნდებოდნენ მთელი დღე ~~კამათს~~  
ყირონდის პლაშიით და ბედიტად დაბრილი ხიშტით —  
აჰა, მოვიდა ისიც — ყინვით, ყიუინით: „ჰკა მათ!“

და გვარდიელთა — დეკაბრისტთა აჩრდილებს უკვდავს  
მიბჟავთ პოლკები უსამართლო სამართლის ძლევად,  
საომარ მარშში ბუკებს ხმები უხმობენ ბუკთა,  
და, დათოვლილი, გარინდულა პუშკინის ნევა.

ბოტფორტებიან იმპერატორს — თავად ხელმწიფეს  
მოუნდა ასე — გიხმო პოლკი პრეობრაჟენსკის,  
ქუჩის ბოლოში ამაყ კლარნეტს ყოფა ემძიმა —  
დაეცა, დაცხრა... თქვენც გიჭირდათ, მაგრამ არ შერცხვით...

მან კი დათოვლილ პეტროპავლოვსკს ერთი მოხედა —  
მიუგდო უური ხმას სროლისას — ვინ ვის რად უშენს —  
და გაიხსენა ჯადოქარმა და შემოქმედმა  
ხმა გიუური და სამახსოვრო — დამაცა, უშ, შე...!

-- ეს რა არის, ვერ იტყვით მაინც, ვინ დაწერა?

-- ვინა და ჩემმა ამხანაგმა, ჩვიდმეტი წლის გიმნაზიელმა. პავლიკი  
ჰქვია.

პიეტ-მეგობრით მოამაყე იუნკერი, ვით პუშკინი — იმ მეგობრებით —  
დამარცხების ჯავრს ლექსით რომ იყრის, და თითქოს ამის საპასუხოდ — ხმა  
ზემოყან:

- - ძალზე ჰგავს პუშკინს: პატარა ტანის, მკვირცხლი, ხუჭუჭა, ქილვა-  
შებიც, აქვს. ბიჭები პუშკინს ეძახიან პუშკინოში, სულ წერს და წერს. ყო-  
ველ დილას ახალ ლექსს აცხობს.

ინფანტა, გწამდეს: მზად ვარ შევდგე ყოველ კოცონზე,  
ოღონდ ვიცოდე, რომ წამებას ჩემსას უმწერენ  
შენი თვალები...

პიესაცა აქვს — „ინფანტას თოჯინები“. ეს იქიდანაა. ჯუჯა ეუბნება ამას  
ინფანტას. ჯუჯას უყვარს ინფანტა. ჯუჯა თვით არის, არა, ჯუჯა სულაც არაა,  
თუმცა პატარა კია.

...ის, ერთადერთი — ათას სახელით...

ყირიმიდან რომ ჩამოვედი, უპირველესად პავლიკის ბინა მოვიძიე. სად-  
ღაც, მაცხოვრის ტაძრის ახლოს ცხოვრობდა თურმე. არ ვიცი, რატომ, უკანა  
კიბით მოვხვდი მასთან. სამზარეულოში შევხვდით ერთმანეთს. გიმნაზიელის

<sup>1</sup> ლექსები თარგმნა ტარიელ ჰანტურიაშ.

დილებიან სამოსელში კიდევ უფრო მოჰგავდა პუშკინს, ლიცეელ პუშკინს. პატარა პუშკინს — ოლონდ პუშკინს შავი თვალებით, პუშკინს — ლეგენდის. ვერც ის, ვერც მე სამზარეულომ ვერ შეგვაცბუნა. ამ დიდ-პატარა ქვების საუფლოში ერთურთს მიგვავდო რაღაცა ძალამ — ისე რომ — გულმა ორივესამ—ქვაბებზე მეტად დაიზრიალა. ეს შეხვედრა მიწისძვრას ჰგავდა. იმის მიხედვით, მე რომ მივხვდი, ვინც იყო იგი, ისიც მიხვდა, მე ვინ ვიყავი. (არა, ლექსებს არ ვგულისხმობ, ისიც არ ვიცი, წაკითხული თუ ჰქონდა მაშინ ჩემი ლექსები).

ერთხანს მონუსხულ-გაშეშებულნი — არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექით ასე — იმავე უკანა კიბით, ლექსებისა და სიტყვების ღვარით, გამოვედით...

მოკლედ, პავლიკი წამოვიდა და ჩემს სახლში, ბორისოგლებსკის შესახვევში კარგა დიდი ხნით გადმოიხვეწა. იჯდა მთელი დღე, მთელი დილა, მთელი ღამე.. ნიმუშად ასეთი ჯდომის ერთ დიალოგს მოვიტან აქვე:

მე — რიდით:

— პავლიკ, როგორ გგონიათ — რასაც ახლა ვაკეთებთ, ამას აზრი აქვს?

პავლიკი — უფრო რიდით:

— ეს ნიშნავს — ღრუბლებში იჯდა და გამგებლობდე.

იურა ჰყავდა პავლიკს მეგობრად და სულ მის ამბებს მიყვებოდა: „მე და იურამ... იურას რომ ეს წავუკითხე.. გუშინ მე და იურა განზრახ ხმამაღლა ვიკოცნებოდით, რომ ჰგონებოდათ, ბოლოს და ბოლოს იურასაც ვილაც შეუყვარდაო... ჰოდა, სტუდიელები რომ გამოცვივდნენ, მე შევრჩი ხელში!!!“

ერთ მშვენიერ საღამოს კი იურაც მომგვარა.

— აი, მარინა, გაიცანი, ეს იურაა, ჩემი მეგობარი.

ყოველი სიტყვა ერთნაირი ხაზგასმითა და სისავსით ეღერდა.

თვალი ავაპყარ — ამას კარგა დრო მოვანდომე, ვინაიდან იურას მზერა ველარ და ველარ ავაწვდინე — ვერას თვალები, ვერას ტუჩ-პირი დავინახე.

— ღმერთო ჩემო, ძმა ხომ არა ხართ... კი, კი, ცხადია, ძმა ხართ მისი... არ შეიძლება ვერა თქვენი და არ იყოს!

— იმაზე მეტად ქვეყანაზე არავინ უყვარს!

ვილაპარაკეთ მე და იურიმ, პავლიკი დუმდა — ცალკ-ცალკე თუ ორივეს ერთად — მძიმე, დიდრონი, ცეცხლოვანი თვალებით გვჭამდა.

იმავე საღამოს, უკვე შუაღამე, არა, როცა რიჟრაჟი იყო, ჩემს ალვებთან რომ დავშორდი, ორივეს ერთად ლექსი ვუძღვენი:

სძინავთ ხელიხელგადაქდობილებს —  
ძმაკაცს და ძმაკაცს — ნამდვილ ძმობილებს!  
ერთად სვამდნენ და ერთად მღეროდნენ  
და ამ სიზმარსაც ერთად ელოდნენ!  
მე სიზმარს მათსას პლედო დავხურე  
და ახლა იმათ სუნთქვას ვაყურებ,  
და, თვალდახუკულთ, თითქო თითებით  
ვამცნობდე ბედის ფერსა და ფორმას:  
აქ — ცისარტყელას! — ორმაგ დიდებას,  
და იქ დაფიონს! — სიკვდილსაც ორმაგს!

არ დავაშორებ ამ ხელებს, არა!  
ამას ის მიჯობს, რომ ცეცხლის აღლად  
თვით ჭოჯოხეთში ვბოლავდე მარად!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თუმცა ცეცხლის ნაცვლად — „ქარბუქი“ იშვა.

რომ ჩემი სიტყვა არ გამეტება — მათი ხელჭიდი არ დამერღვია — ჩემს გულში უნდა და-ძმის ხელებიც გადამეჭლო ერთმანეთისთვის. მარტივად რომ კთქვა: მარტო იური არ მყვარებოდა და პავლიკი არ დამეჩაგრა, ვისთანაც „სამყაროს გამგებლობა“ ძალმიძდა მხოლოდ, იური უნდა მყვარებოდა პლიუს ვილაციტ, თუმცა ეს ვილაც პავლიკი ვერ იქნებოდა, ვინაიდან იური მისი მიმატებით უკვე იყო, ამიტომ უნდა მყვარებოდა იური ვერას მიმატებით, რითაც ამას თითქოს განვაქარვებდი, სინამდვილეში კი ვაძლიერებდი, ვინაიდან რაც დას აკლია, ძმაში ჰპოვებ. მე წილად მხვდა გასაოცრად და გაუსაძლისად სავსე სიყვარული (ვერა რომ ავადმყოფი ყირიმშია და არაფერი, სულ არაფერი იცის ამაზე — არას ნიშნავდა.)

და თავიდანვე უთქმელად და ულაპარაკოდ დადგინდა ასე: ერთად მოვლენ და ერთადვე წავლენ. მაგრამ რაღაი ერთბაშად არაფერი არ დადგინდება, ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონის ზარი გაისმა:

— თქვენა ხართ?

— მე.

— არ შეიძლება როდესმე მაინც მარტო მოვიდე?

— როდის?

— დღეს.

(მაგრამ სონეჩკა სადღაა? უკვე ახლოა, თითქმის კარზეა, ოღონდ დრო — ერთი წელიწადი ჯერ წინ გვიდევს).

თუმცა მაშინვე დაგვსაჯა ღმერთმა: მე და იურას მარტოებს მოგვეწყინა, ვინაიდან თავიდათავზე, ჩემსა და მასზე, მასსა და ჩემზე ლაპარაკი ვერ გაგვებედა (ვინემ პავლიკთან, თავი უფრო კრძალვით გვეჭირა!) დანარჩენი — არ ხერხდებოდა. ჩემს მაგიდაზე პატარა ნივთებს ხელით სინჯავდა, სურათებზე მეკითხებოდა, მე კი — ვერაზე შეკითხვაც კი ვერ გამებედა, იმდენად იგი — ვერა იყო. ასე ვისხედით და ვისხედით, ვინემ ამ ჭლომით გამოთხოვების ის ერთი წამი არ გამოვჩეკეთ, როცა უკანა ხვეული კიბით გავაცილე და კიბის ბოლოდან — იქაც კი ჩემზე ერთი თავით მაღალი იყო — სხვა არაფერი, მზერა მესროლა. — კი? — არა — და იქნებ მაინც? არა, ჯერ არა — და კიდევ ჩვენი ორმხრივი ღიმი — მისი ალტაცებული განცვიფრებისა, ჩემი არაადვილი გამარჯვებისა (ერთი ასეთი გამარჯვება — და დამარცხება აღარ აგცდება).

ასე გაგრძელდა მთელი წელი.

ჩემი „ქარბუქი“ მაშინ, 1918 წლის იანვრის თვეში მისთვის არ წამიკითხავს. დაასაჩუქრო განცალკავებით შეგიძლია ძალზე მდიდარი, ხოლო რაღაი იგი ასეთად არ მჩვენებია ჩვენი ხანგრძლივი ერთად სხლომისას, პავლიკი კი — ასეთი იყო, ისევ პავლიკი დავასაჩუქრე — „ინფანტას“ გამო, თუმცა ჩემთვის არ მოუძღვნია — იურისათვის კი კარგა ხნის მერე უფრო ძნელი (ჩემთვის ალბათ — ღარიბული) რამ ავარჩიე — ჩემი პიესა წამეკითხა მთელი მესამე სტუდიისათვის (ყველა — იური, პავლიკი და ის, ბნელ ვაგონში „თავისუფლებას“ რომ კითხულობდა, ვახტანგოვის სტუდია გახლდათ), წამეკითხა, რაც მთავარია, ვახტანგოვის — მათი ღმერთის და მამამთავრის წინ.

ჩემი მიზანიც ხომ ეს იყო — რაც შეიძლება უფრო მეტი მერგუნებინა — ეს კი მსახიობისთვის ბევრი ხალხი, ბევრი თვალი და ბევრი ყურია.

და ჰა, გმირის გაცნობიდან ერთ წელზე მეტის, ხოლო „ქარბუქის“ დაწვრიდან ერთი წლის მერმე ისევ ის სცენა — სცენა ხალხით სავსე, ხოლო დარბაზი — ცარიელი.

(ჩემი სიზუსტე, ვიცი, მოსაწყენია, მკითხველისათვის თარიღები არას მეტყველებს, ნაწარმოების სილამაზეს კი აზიანებს. არადა, ჩემთვის არსებითია, ასე განსაჯეთ, წმიდათაწმიდაც. ყოველი წელი და წლის ყველა დრო იმ ხანებისა ჩემთვის — პიროვნებაა: 1917 წელი — პავლიკია, 1918 წლის ზამთარი — იურა, სონეჩკა — 1919 წლის გაზაფხული... ცხრიანი, ორი ერთიანი, ორი ცხრიანი... არც ძალმიძს იგი წარმოვიდგინო გარეშე ამ შენაცვლებულ ერთიანების და ცხრიანების... ჩემი სიზუსტე — უკანასკნელი ერთგულებაა, რაც შემიძლია სიკვდილის შემდეგ იმას მივაგო.)

მაშასადამე — ისევ ის სცენა, სინათლით და ხალხით სავსე, ხოლო — დარბაზი ცარიელი, შავი და ბნელი.

დავიწყე კითხვა. დავიწყე და სახე ისე ამიაღმურდა, კიდევ შემეშინდა, — ვაითუ თმაზეც ცეცხლი მომედოს: ვგრძნობდი კიდევაც ღერების ტკაცანს, როგორც კოცონმა იცის ხოლმე გაჩაღებამდე.

ვკითხულობდი და ვერც რვეულს, ვერც სტრიქონებს ველარ ვხედავდი, თითქოს აღისფერი ნისლი მეხვია, ვკითხულობდი ალაღბედზე, ზეპირად და სულმოუთქმელად — როგორც სვამენ! — ანდა როგორც მღერიან ხოლმე! — ჩემი ყველაზე ამღერებული, ჩემი ყველაზე გულჩამწვდომი ხმით:

გრაფის დარბაზთა უდაბნოში ისევ იცურებს,  
როგორც ოდესღაც დაცურავდა — მთვარე მაღალი.  
შენ ქალი ხარ და დავივიწყე — შენ არ ისურვე  
(ქიუტად), ისევ გხსომებოდა სახე, სახელი...  
მწირ ქალს — სიწმრები, მწირს კი — გზები...  
თავს არ გაცოდებ.  
გთხოვ, დამივიწყო — ესღა გახსოვდეს!..

(ქალს სძინავს. ფანჯრის მიღმა ზანზალაკების წკრიალი ისმის. წკრიალის ხმა შორს და შორს მიდის, რომ სამუდამოდ მიწყდეს მერე.)

დავამთავრე და მყის ყველა ისე ალაპარაკდა, როგორაც მე — მყისვე დავდუმდი.

- დიდებულია!
- უჩვეულო!
- გენიალური!
- თეატრალური!
- და ა. შ.
- ბატონს იურა ითამაშებს!
- ბებერს ლილია შ.
- იურა ს. ვაჭარს.
- მუსიკას — იმ სამუდამოდ მიმწყდარ ზანზალაკების, იურა ნ. დაწერს.
- ოღონდაც — ქალი მოსასხამით ვინ იქნება?
- უბოდიშოდ, დაურიღებლად ერთმანეთს — პირში:

— შენ ვერ იქნები: მკერდი დიდი გაქვს.

(ან: მოკლე ფეხები).

მე, გულში ჩემთვის: „ქალი მოსასხამში — ჩემი სულია. მას ვერაფერ ვერ ითამაშებს“.

ყველა ერთად ლაპარაკობდა, მე კი — ვიწვოდი. მერე მადლობით ლამის დამახრჩვეს. „დიდი სიამე მოგვანიჭეთო... იშვიათი სიხარულიო...“ ყველა სახე უცხო იყო, ანუ ჩემთვის არასაჭირო. და ჰა—ისიც: დიდი ბატონი მოსასხამში. კი არ მოვიდა, გან-გან გავიდა, მისმა სიმალლემ, ვით მოსასხამმა, ყველას გამაროდა, სცენის კიდეზე გამიყვანა:

— ქალს მოსასხამში მხოლოდ ვერა თუ ითამაშებს, მხოლოდ ვერა.

**ჩ ე მ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი — მ ა თ მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს ?**

— აი, მარინა, გაიცანი, — მესმის პავლიკის დაბალი ხმა, მოზეიმე, — ეს სოფია გოლიდუია. — როგორც იმ ერთი წლის წინ: „აი, მარინა, გაიცანი, ეს იურაა, — ჩემი მეგობარი“. ოღონდ ჩემი მეგობარი გადაიყლაპა. (იმაცე წამს მხარით ვიგრძენ: იურა გამშორდა.)

ჩემ წინ პატარა გოგო იდგა. ვიცი, ინფანტა პავლიკისა! ორი შავი ნაწნავი, ორი დიდრონი შავი თვალი, ლოყები — ატკრეცილი.

ჩემ წინ ხორცშესხმული ცეცხლის ალია. ელავს, ბრიალებს ყველაფერი — ბაგე, ლოყები თუ თვალები. პირის კოცონში იწვის, მაგრამ ვერ იწვება თეთრი კბილები, ცეცხლის ალს თითქოს დაუგრეხია ორი შავი თმის ნაწნავი. ერთი ზურგზე და ერთიც მკერდზე — თითქოს იმ ცეცხლსვე გადმოუსვრია. და ამ ცეცხლიდან ნატყორცი მზერა — ეგზომ აღსავსე ალტაცებით, სასოწარკვეთით, შიშის გრძნობით და სიყვარულით!

— განა მართლა ასე ხდება? განა არსებობს მსგავსი დუქნები... ქარბუქები... ან სიყვარული.. მოსასხამიანი ეს ბატონები, მხოლოდ იმიტომ რომ ჩაძოდიან, სამუდამოდ წავიდნენ მერე? კი ვიცი—ასე რომ იყო, ახლა ვიცი, — ასეც არის. იმიტომ რომ ეს — მართლა იყო. თქვენც ხომ მართლა ისე იდექით. იმიტომ რომ ეს თქვენ იდექით. ბებრუხანა კი — იჭდა. და ყველაფერი კარგად იცოდა. ქარბუქი კი ღრიალებდა, მან მოაქროლა იგი ზღურბლთან. მერე კვლავ უკან გააქროლა... კვალიც გააქრო. ხოლო ქალი მეორე დღეს იპოვეს მინდვრად... რატომ მარხილში არ ჩაისვა? რატომ ქურქში არ გაახვია და არ წაიყვანა?

ლულულუღებს, თითქოს ძილში იყოს. მეტი რომ არ იქნება — თვალები ისე გაუგანივრდა, თითქოს ცხადლივ ხედავდეს სიზმარს. თითქოს მარტონი გიყოთ, თითქოს ირგვლივ არავინ იყოს, თითქოს მეც არ — ვიყო. და როცა რატომღაც შვებანაგრძნობმა მიმოვიხედე — სცენაზე მართლაც არავინ იყო: ყველამ იგრძნო, ან იქნება დრო იხელთეს და უხმაუროდ გაიკრიფნენ. სცენა ჩვენ დაგვრჩა.

მაშინლა შევამჩნიე, მისი ხელი მეჭირა კვლავაც.

— ოი, მარინა, მაშინ რა შიში ვიგრძენი! რამდენი ვიტირე მერე... როცა დაგინახეთ, როცა თქვენი ხმა გავიგონე, ისე ერთბაშად თავდავიწყებით შეგიყვარეთ, მივხვდი, არ შეიძლება კაცს თავდავიწყებით არ შეუყვარდეთ — მეც ხომ ერთბაშად ასე შეგიყვარეთ...

— იმან კი არა.



— ჰოდა, მორჩა კიდევაც ყველაფერი. აღარც მე მიყვარს. თქვენ მიყვარხართ, ის მეჯავრება — ვინაიდან მუხლმოდრეკით არ შეგიყვარათ.

— სონეჩკა, ვერ შეამჩნიეთ, სახეზე თუ რა ცეცხლი მეკიდა?

— ცეცხლი? პირიქით, ვიფიქრე კიდეც; ეს რა ნაზი ვარდისფერი და ნაზი ალმური-მეთქი.

ზიზლიჩისეკა

— მაშასადამე, შიგნით ვიწვოდი, იმდენად, რომ შემეშინდა, ვაითუ სცენა — თეატრი — მთელი მოსკოვი გადავწვა-მეთქი. მეგონა — მის გამო იყო, მისთვის იყო, პირველად — ყველას წინაშე — ჩემი თავი, მისადმი ჩემი განწყობა რომ გადმოვშალე. ახლა კი ვიცი: ის ცეცხლი თქვენთვის გიზგიზებდა... არც ერთს არ გვერგო. სიყვარული კი მაინც გაჩნდა, ჩემი და თქვენი.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ალმურება, 1918 წლის დეკემბერში. სონეჩკა ჩემი უკანასკნელი ალმურია. დაახლოებით იმ ხანებიდან აღარც შემცვლია ფერი-უფერობა — და არ მგონია, უკანასკნელ ფერცვალეზამდე შემეცვალოს.

ეს ცეცხლი მასთან შეხვედრის იყო? თუ მისი ხანმოკლე, შეუნაცვლებელ ცეცხლის ნაშუქი?

...ბედნიერი ვარ, ჩემი უკანასკნელი ალმურება სონეჩკას რომ ზედა.

— ასე გიყურად, ცხოვრობთ — ძილი არა, ჭამა არა, სულ ცრემლი, სულ განცდები სიყვარულისა, და მაინც ვარდისფრად ღვივით. ნეტა საიდან?

— ოი, მარინა! ეს ხომ უკანასკნელი ძალისხმევაა, უკანასკნელი ძალის მოკრეფა!

აი, სად მართლდება ჩემი ეპიგრაფის პირველი სტროფი:

ღიახ, ფერმკრთალი — ამდენი უბედობით — კიდევაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა! — უკანასკნელ ძალას იკრეფდა და იწვოდა. ეს ვარდისფერი — გმირობის იყო, ადამიანის, ვინც გადაწყვიტა დამწვარიყო და სხვა გაეთბო. დილა რიყრაყზე, როცა ორივეს თავზე დაგვთენებია, გვიანობამდე, გვიან ხანამდე საუბრის მერმე, როცა ყველას — სულ ქორფათაც — იმ დროს ფანჯრიდან შიირალი ცის მწვანე ფერი, რიყრაყის ფერი ედებათ ხოლმე, მისი შავთვალა პაწია სახე ნავსადგურის ქუჩაბანდის ვარდისფერი ფარნის დარად ანათებდა — ღიახ, ღიახ, რა თქმა უნდა, ეს იყო ნავსადგური — ის კი ფარანი, ხოლო ჩვენ ყველა — ის საწყალი, საბრალისი მეზღვაური, რომელსაც უკვე დრო მოსვლია გემზე დაბრუნდეს, რეცხოს გემბანი, ზღვის წყალი ყლაპოს...

სონეჩკა, გწერ ამას ოკეანეზე. (ჰოი, ნეტავი ასე ეღერდეს: „გწერ ოკეანიდან“, მაგრამ არა! გწერ ოკეანეზე, სადაც არასოდეს ყოფილხარ და არც იქნები. მისწნაპირებზე, რაც მთავარია, მის კუნძულებზე ბევრი, ბევრი შავთვალა ცხოვრობს. მეზღვაურებმა ეს იციან.)

მისი სიცილი ტირილს ჰგავდა — ტირილი სიცილს — თუმცა არ მახსოვს, მის თვალზე ცრემლი დამენახოს. შეიძლება ასედაც ითქვას: თვალეზი ისე გიზგიზებდნენ, ცრემლს მყის აშრობდნენ, ცრემლს გადმოღვრას არ აცლიდნენ. მუდამ სატირლად გამზადებულ ამ მშვენიერ შავ თვალეზში ნამს ვერ ნახავდი, პირიქით, ცრემლით სავსენიც კი მცხუნვარებას გადმოაფრქვევდნენ, სით-

<sup>1</sup> ფერმკრთალი იყო — და მაინც ვარდისფერი გადასდიოდა (ფრანგ.).

ბოს ავლენდნენ, არა სისველეს. რამეთუ მთელი თვისი გულის სიკეთის (სხვე-  
ბის — არსიკეთის) მიუხედავად ახერხებდა ერთი კურცხალიც არ გადმოეგდო.  
და მაინც, მაინც ცრემლებს ღვრიდა.

ეს მშვენიერი შავი თვალები, ყურძნის დიდრონი კუმპლების / დარნი,  
ვფიცავარ, რომ მწველნიც იყვნენ, მათ მაკქერალს ნეტარებდა — ღამის გე-  
ცინა! ალბათ სწორედ ამას ჰქვია, „იტორაო ცხარე ცრემლებით!“. მამასადამე,  
მე მინახავს ჭეშმარიტად ცხარე ცრემლები. დანარჩენთ კი — მე ვიყავი თუ  
სხვები იყვნენ — გრილი ან თბილი გვცვივა, მას კი — ცხარე სდიოდა.  
ხოლო ლოყების სიმბურვალე ვარდისფერს ხდიდა სისხლივით ცხელ და ზღვის  
წყალივით მლაშე ამ მარგალიტებს.

კაცი იტყოდა, მოცარტისებრად ტიროდაო.

აი, რას ამბობს მის თვალებზე ედმონ აბუ თავის მშვენიერ „მთათა  
უფალ“-ში:

— ჰოი, მისი თვალები უნდა გენახათ, საყვარელო ჩემო ბატონო! თქვენი  
სიმშვიდისათვის მე ვისურვებდი ეს თვალები არასოდეს არ გეხილათ. არც  
შავი იყო და არც ლურჯი, რაღაც სხვა ფერი გადასდიოდათ, მარტოდმარტო  
მათთვის შექმნილი. მუქი, მუქი თაფლისფერი, მწველი, ხავერდოვანი, ამ  
ფერს მხოლოდ ციმბირის ძოწსა და ბადის ზოგიერთ ყვავილს უნახავ. მე  
გაჩვენებთ სკაბიოზასა და შტოკროზის თითქმის შავ ჯიშს, მათი ფერი მო-  
გაგონებთ, თუმც სულ მთლად არა, მისი თვალების სარცარ ელფერს. ოდეს-  
მე თუ სამჭედლოში ღამე შესულხართ და გინახავთ, რა უცნაურ ყავისფერს იკ-  
რავს გავარვარებული რვალის ფირფიტა, ეს იქნება ზუსტად მისი თვალების  
ფერი. მთელ ქალურ სიბრძნეს და ბავშვურ უმანკოებას ამოიკითხავ ამ თვა-  
ლებში, მაგრამ ამ წიგნის დიდხანს კითხვამ შეიძლება დაგაბრმავოს. მისი თვა-  
ლები კაცს რომ დაწვავდა — ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც მე ჰერმანი  
მქვია. ამ თვალთა სხივნი ატმებსაც კი დაამწიფებდა იმ თქვენს ხეხილის  
ბაღში.

გასაგებია ახლა პავლიკის წამოძახილი?

...გწამდეს: მზად ვარ, შევდგე ყოველ კოცონზე,  
ოდონდ ვიცოდე, რომ წამებას ჩემსას უმჯერენ  
შენი თვალები...

მე კი უბრალოდ ასე ვიტყვოდი:

თვალნი თაფლისფერნი, ცხენის წაბლის ფერი, ფსკერზე ოქროსფერნი,  
მუქი თაფლისფერნი, ფსკერზე — ქარვისფერნი, ოდონდ მოწითალო, აღმო-  
სავლური და არა ბალტიის ქარვის ფერი. თითქმის შავნი — ფსკერზე წითელი  
ოქრო, დროდადრო მოტივტივე, დროდადრო ქარვა გამდნარი — თვალები —  
ფსკერზე გაძირულ, ჩაძირულ ქარვის დარნი.

კიდევ ვიტყვი: წამწამთ სიხშირით თვალები ოდნავ მოჭუტულნი. თით-  
ქოს წამწამნი უშლიდნენ მზერას, თუმც, მათ დანახვას ჩვენ არ გვიშლიდნენ,  
ვით სხივები ვარსკვლავის ჰერეტას. და კიდევ ერთი: ტიროდნენ, და მაინც  
იცინოდნენ. ამიტომაც მისი ცრემლისა არ სჯეროდათ. მოსკოვს ცრემლების  
არა სჯერა. მარტოდნენ მე დავიჯერე...

მისი საერთოდ არა სწამდათ. მე რომ ყველა საჯარო ადგილს მისი ქებით  
ვაყრუებდი, მპასუხობდნენ... თავშეკავებით, ისიც ჩემი ხათრით, შეფარულ  
კიცხვით:

— ჰო, ძალიან ნიჭიერია... მაგრამ, იცით, ყველგან არა, საკუთარ თავს თამაშობს მუდამ, მაშასადამე — არ თამაშობს, უბრალოდ — სცენაზე ცხოვრობს. ვინაიდან სონია შინ — და სონია სცენაზე...

იგი სცენაზე:

გამოდის პატარა გოგო-თეთრკაბიანი, ორი შავი ნაწნავით ზურგს ჩაჭიდებული ჰყვება და ჰყვება:

— მე და ბებია ერთად ვცხოვრობდით... ბინა გვქონდა ნაქირავეები... მდგმური... წიგნები... ბებია ქინძისთავით თავის კაბაზე მამამდა ხოლმე... მე კი — სირცხვილით ვიწვებოდი...

ეს მისი ცხოვრება იყო, მისი ბებია, მისი სიყრმე, მისი „სიბრიყვე და სიალალე“, მისი თეთრი ღამეები.

მთელი ქალაქი იცნობდა და მის სანახავად, მის საყურებლად დადიოდნენ. „ნახეთ? პატარა ტანის, თეთრკაბიანი, ნაწნავიანი... ღამის ჩაყლაპო!“ სახელი კი არვინ იცოდა: „პატარა ტანის...“

„თეთრი ღამეები“ მოვლენა — იყო.

წარმოდგენას სამი ნაწილი ჰქონდა. პირველი: ტურგენევის „ლეიტენანტ ერგუნოვის ამბავი“ იყო. ქალი ალქაჯი, ქალი თვალთმაქცი, რომელიც მიყრუებულ გარეუბანში აცთუნებს, აჯადოებს ყმაწვილ ლეიტენანტს. აღტქმა-დაპირებების შემდეგ კი ამ ყმაწვილის საფულიანად უკვალოდ ქრება. მახსოვს, ლეიტენანტის მოლოდინში თავს იკობტავენს, ბინას ალაგებს. ვეებერთელა შუა ფარდულში კი — ქალის ტუფლია, ქუსლჩათელილი. მაგრამ ფეხის ერთი მოქნევა — მთელი სცენის სიგრძეზე და მორჩა, მილაგდა იქაურობა!

მაგრამ ეს ჯერ იგი არაა, ეს — ჯერ სონეჩას შესავალია.

მეორე? მგონი — ზღვისპირეთი, ნავსადგური, მეზღვაურები, — იქნებ სულაც — და-ძმა მოპასანისა? გაქრა, უკვალოდ ჩაიარა.

მესამე კი — ფარდა გადაიწია: სონეჩა დგას, სკამის ზურგზე ხელჩავლებული, ჰყვება ღიმილით, დამორცხვებით ბებუის, მდგმურის, მათი ღარიბული ცხოვრების ამბავს, თვისი პირველი სიყვარულის. ჰყვება ისევე დამორცხვებით, თვალებისა და ცრემლის კიაფით, როგორც ჩემთან, ბორისოგლებსკზე მიყვებოდა დამორცხვებით იურასა თუ ვახტანგოვზე — მიყვებოდა, არ თამაშობდა, ანდა მთელი არსებით, მთელი თავგანწირვით თამაშობდა, უფრო კი — ნაწნავის ბოლოს აწვალებდა. აქვე ვიტყვი, ბოლოებს ბაფთით არასოდეს არ ისკვნიდა, თავისთავად ენასკვებოდა, ან საფეთქლებთან დახვეულ კულულს აწვალებდა, წამწამებიდან იშორებდა: როცა ჩასაჭიდად სკამი არ ჰქონდა, ხელები აბა სად წაელო. ნაწნავების ბოლოების და საფეთქელთან კულულის გრება — ეს იყო და ეს მისი თამაში.

მგონი, არც კაბა იყო თეატრალური, საგანგებო; საკუთარი, საზაფხულო კაბა ეცვა — იქნებ სულაც იმდროინდელი, როცა თექვსმეტი წლისა იყო?

— ვიყავ აეორე სტუდიელთა წარმოდგენაზე, ის თქვენი სონეჩა ვნახე. ასე ხელდახელ იქცა ყველასთვის ჩემს სონეჩად — როგორც ჩემი, მხოლოდ ჩემი იყო ვერცხლის ბეჭდებ-სამაჯურები ან ფარდულიანი გულისპირი — რასაც არავინ მეცილებოდა, ვინაიდან არც არავის არ სჭირდებოდა.

აქვე უნდა ვთქვა, ვინაიდან მერე მაინც ცხადი გახდება — სონეჩა ჩემთვის უმალ საყვარელ ნივთად, საჩუქრად იქცა, რომლის დასაკუთრება სიხარულსა გგვრის. ასეთი გრძნობა არც მანამდე და არც მერმე არავისადმი არ მქონია. — საყვარელ ნივთებისადმი კი — მუდამ, ნიადაგ, არაა, წიგნი რომ

გიყვარს, ისე არა, სწორედ ბეჭედს რომ სჩვევია, ისე რიგად, რომელიც ბოლოს მაინც იმ თითს წამოეცმება, რომელსაც უნდა წამოცმოდა, ანუ ჩემს თითს, რომელიც ჯერ კიდევ იმ ყორღანში, ჯერ კიდევ იმ ბოშასთან გაჭიოდა, ჩემი რომ იყო, რომელსაც ჩემთან ყოფნა ისევე ახარებდა, რეგორც მასთან, რომელიც მე ისევე მეტმასნებოდა, როგორც მე მას, რომელიც ჩემს განუყოფელი ნაწილი იყო — არადა, თითიანად უნდა მოეწყვიტათ! ამით ჩვენს ურთიერთობას არ ამოვწურავ. მთელ სიყვარულს, როგორის წარმოდგენაც შეიძლება, კიდევ ესეც ემატებოდა...

და კიდევ ერთი: რატომღაც მწყინდა, მაბრაზებდა, გულზე მხეთქავდა, როცა სოფია ევგენიევნას (ვითომდა დიდ ქალს!), ან გოლიდების (ვითომდა კაცს) ანდა უბრალოდ სონიას ეძახდნენ — თითქოს სონეჩკა რომ დაეძახნათ, ამით დიდი რამ დააკლდებოდათ! ეს კი ჩემთვის გულგრილობას და, ასე განსაჯეთ, უგულობას მოასწავებდა. უნიჭობასაც. ნუთუ არ ესმით (იმათ თუ ამათ), რომ იგი სწორედ სონეჩკაა, — სხვანაირად ტლანქად გამოდის, რომ მოფერებით არ დაუძახო, არამც და არამც არ შეიძლება. პავლიკი რომ გოლიდებიდ იხსენიებდა („ინტანტათი“ კი დაიწყო!), მასზე გული გამიგრილდა, ვინაიდან მარტო სონეჩკა კი არადა, ქალი არაა, ვინც შეიძლება (საზოგადო მოღვაწის გარდა) ზურგს უკან გვართ მოიხსენიო — ისარგებლო მისი არყოფნით, დაამცრო, კაცად აქციო, ხოლო როცა ზურგს უკან იმ სახელით მოიხსენიებ — პატარა გოგოს რომ ეძახიან — სიახლოვის და სინაზის ნიშანია, რაიც დედურ გრძნობას დედოფალსაც ვერ შეულახავს. (სასაცილოა? ის ჩემზე მხოლოდ ორ-სამი წლით უმცროსი იყო და მაინც მწყინდა. ისე მწყინდა — თითქოს დედა ვიყავი მისი.)

არა, ვისაც ვუყვარდი, ვისაც ჩემი გულისნადების კითხვა შეეძლო, სონეჩკას ეძახდა ხოლმე და თან რიდიტ დააყოლებდა — თქვენი სონეჩკა.

ვინემ იგი ჯერ წინა დგას, სკამის ზურგზე მოჭიდებული გაუგებრობის ასაცილებლად მის გარეგნობას აგიწერთ ისევ.

ერთი შეხედვით, ამ წამწამების და ნაწნავების, ამ ვარდისფრის და წაბლისფრის მნახველს უკრაინელი გეგონებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: მის სახეს ტიპიურის, ეროვნულის არა ეცხო რა — იმზომ ფაქიზი ნამუშევარი, დიდოსტატის ნამუშევარი იყო იგი. იმასაც ვიტყვი: ნიჟარას ჭავდა — ოკეანეს რომ გამოეძერწა — ნესტოები, პირის რკალი, წამწამთ გრეხილი. პაწია ყური — ყველაფერი ნიჟარასავით თითქოს ნაძერწი, ნაქანდაკევი — და ამასთან სულ მოძრავი — ასე გეგონა, თან ქმნიდნენ და თანაც იმითვე თამაშობდნენ. ანუ ქმნიდა ოკეანე, ტალღა კი — ათამაშებდა. *Je n'ai jamais vu de perle rose, mais je soutiens que son visage était plus perle et plus rose!*

როდის მოვიდა? რანაირად? არა, ზამთარში ჩემს ცხოვრებაში იგი არ იყო. მაშასადამე, გაზაფხულზე გაჩნდა იგი, 1919 წლის გაზაფხულზე, უფრო სწორად — აპრილის თვეში, იმიტომ, რომ მის მოგონებას ჩემი სახლის წინ ნორჩი მწვანით შებუმბლული ალვები ერწყმის.

სულ პირველად — დივანზე მახსოვს, ფეხებშეკეცილი. ჯერ არ ენათა,

<sup>1</sup> მე არ მინახავს მარგალიტი ვარდისფერი, მაგრამ ვამტკიცებ: მისი სახე უვარდისფერეს მარგალიტზე უფრო სკვიოდა.

ფანჯრის მიღმა ჯერაც რიჟრაჟი ჭიატობდა. პირველი მისი სიტყვა, რაიც ახლაც ყურში ჩამესმის, ჩივილი იყო:

— ოი, როგორ, შემაშინეთ მაშინ, მარინა! გული გამისკდა, ვაითუ მისი თავი წამართვას-მეთქი! ვინაიდან ვინმემ არ შეგიყვართ, მუხლმოდრეკილმა, დახოქილმა არ შეგიყვართ, ამაზე ფიქრიც, ამის დაშვებაც არ შეიძლება — ეს ხომ უბრალოდ (გაოცებული თვალები) სისულელეა? იმიტომაც ასე დიდხანს არ მოვდიოდი, რადგან ვიცოდი, რომ მართლა ასე შეგიყვარებდით, შეგიყვარებდით ქალს, ვის გამოც მას არ ვუყვარვარ. აღარ ვიცოდი, თუ რა მექნა, იმ წუთიდანვე, როცა სცენაზე თავი დახარეთ და კითხვა დაიწყეთ. მერე კი, მერე გულში თითქოს დანა გამირჭეს! მერე რა მწარედ! როცა ყველაზე ბოლოს მოგიახლოვდათ, სცენის კედელზე გაგიყვანათ, ყველას გაგარიდათ და რალაც ჩუმად გითხრათ, თქვენ კი თავი არ გგილიათ — თითქოს გულში ჩაგჩურჩულებდათ... არა, მართლა არ მინდოდა შემყვარებოდით! ახლა კი — ჩემთვის სულ ერთია, იმიტომ რომ იგი ჩემთვის აღარ არსებობს, მხოლოდ თქვენა ხართ, ახლა თვითონაც ვხედავ: მას არ შეეძლო შეყვარებოდით, რომ შეძლებოდა — „წმინდა ანტონის“ რეპეტიციას არ გადაჰყვებოდა, ხოლო წმინდა ანტონი რომ ყოფილიყო — ანტონი არა...

— წმინდა იური.

— კი, კი, არც არასდროს ისადილებდა და ისაუბრებდა...

— ანდა წმინდა გიორგი.

— კი, კი. ოი, მარინა! სწორედ ლახვარმომარჯვებული წმინდა გიორგი, როგორც კრემლის კარებზეა! ან უბრალოდ სიყვარული შეიწირავდა.

ისე რიგად თქვა, სიყვარული შეიწირავდა, ზედ ეტყობოდა, თვითონ — მისი თუ ჩემი — ყველასი და ყოველივესი — სიყვარულის წერა იყო, რევოლუცია იქნებოდა — არ იქნებოდა, ულუფები იქნებოდა — არ იქნებოდა, ბოლშევიკები იქნებოდნენ — არ იქნებოდნენ, სულ ერთია, სიყვარულის წერა შეიქნებოდა, იმიტომ რომ ეს იყო მისი მოწოდება — და დანიშნულება.

— ნეტა სულ მუდამ თუ გეყვარებით? კი, კი, მარინა, სულ გეყვარებით, ვინაიდან მალე მოვკვდები, რისგან არ ვიცი, მე ხომ სიცოცხლე ასე მიყვარს, მაგრამ ვიცი, რომ მალე მოვკვდები, ალბათ იმიტომაც მიყვარს ყველა და ყველაფერი ასე გარდარევით და უიმედოდ... როცა იურაზე გეუბნებით — არ დამიჯეროთ, რადგან ვიცი — სხვა ქალაქებშიც... მხოლოდ თქვენ არ ხართ სხვა ქალაქებში — ისინი კი!.. მარინა, როდესმე გიფიქრიათ კი, რომ აი, ახლა, აი, ამ წამს, რომელიღაც ნავსადგურში, იქნებ კუნძულზეც, გემზე ადის ის, ვინც შეიძლება შეიყვაროთ? ან გემიდან ძირს ჩამოდის — ჩემს ფიქრში იგი მუდამ მეზღვაურია, ზღვაოსანი, სულ ერთია — ოფიცერი თუ მეზღვაური... ჩამოდის და ქალაქში დადის თქვენს საძებრად, რომელიც აქ ხართ, ბორისოგლებსკის შესახვევში. ან უბრალოდ მესამე მეშჩანსკაიაზე დააბიჯებს (მოსკოვში ახლა საოცრად ბევრი მეზღვაურია, არ შეამჩნიეთ? ხუთი წუთი რომ იყურო — სულ აცაბაცა წაგივა თვალი!) მაგრამ მესამე მეშჩანსკაია ისე შორსაა ბორისოგლებსკის შესახვევიდან — ვით სინგაპური... (დუმილი). სკოლაში გეოგრაფია მიყვარდა მხოლოდ — ცხადია, არა ეს გრძედები, განედები და გრადუსები (მერიდიანები მუდამ მიყვარდა), — მარტოოდენ სახელები... ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ეს ბურთივით დედამიწა გავსებულია ქალაქებით და კუნძულებით, ხოლო ამ ბურთის ყოველ წერტილში (გლობუსი

არ გაქვთ? გაჩვენებდით) — ყოველ წერტილში — ვინაიდან ბურთი მხოლოდ გარეგნულად არის პატარა და წერტილიც გარეგნულად არის წერტილი — ათასებია იმათგანი, ვინც შეიძლება მე შევიყვარო... (მუდამ ამას ვეუბნები იურას იმ წუთას, როცა უკვე ნათქვამი მაქვს, შენ გარდა არვინ არ მიყვარს-მეთქი, ვეუბნები, ასე ვთქვათ, იმავე პირით, მისით <sup>მსხვერპლ მხრით</sup>, იმიტომ რომ ესეც სიმაართლეა, ისიც და ესეც, იმიტომ რომ ვიცო, ერთი და იგივეა, თუმცა ამისი დამტკიცება არ შემიძლია, სიტყვა მაკლია, ისე როგორც — ვინდა ზედა ტოტს მიწვდე, მაგრამ არ შეგიძლია, რადგან სიმაღლე დაგაკლო ღმერთმა! და მაშინ მგონია, საცაა ჭკუიდან შევიშლები-მეთქი...) არ იცით, გლობუსი ვინ მოიგონა? არც მე ვიცი, რუკა, საათი ვინ მოიგონა. ნეტა მაინც რას გვასწავლიან იმ სკოლაში?! ღმერთმა დალოცოს, ვინაც გლობუსი მოიგონა! (ალბათ მოხუცი კაცი იყო, თეთრწვერა კაცი...) იმიტომ რომ მისი წყალობით შემიძლია ორივე ხელი ერთბაშად შემოვხვიო მთელ დედამიწას — და ყველა ჩემი სიყვარული გულში ჩავიკრა!

„არც მე ვიცი... საათი ვინ მოიგონა...“

ერთხელ ჩემს მაგიდაზე ქვიშის საათს ათამაშებდა, საბავშვო საათს, ხუთწუთიანს: ჩხირებში მოქცეულ პატარა შუშას, წელში გამოყვანილს, ქვიშას წვრილ-წვრილად ხუთ წუთში რომ ძირს ჩამოცრიდა.

— აი, ერთი ხუთი წუთიც გავიდა კიდევ... — მერე დუმილი, თითქოს ოთახში არც ყოფილიყო, და უცბად, უცაბედად: — ახლა უკანასკნელი, უკანასკნელი წამიკოც და მორჩა, გათავდა!

ათამაშებდა დიდხანს, დიდხანს, წარბებშეყრილი, მთელი არსებით ამ ქვიშის ნაკადს მიჯაჭვული (როგორც მე — მას.) და უცბად ზარდაცემული ამოკივლებს:

— ოი, მარინა! გამეპარა! უცაბედად — ფიქრმა წამილო — დროზე აღარ გადავაბრუნე და მორჩა, ვერასოდეს ვერ გავიგებ, ახლა რომელი საათია. ვინაიდან — ვთქვათ, რომელიღაც კუნძულზე ვიყოთ, აბა ვინ გვეტყვის, ან საიდან გვეცოდინება?!

— განა ხომალდი დაგავიწყდათ, მარჯნებისთვის რომ მოგვაკითხავს? მარჯნის ნატეხებისთვის? იმ მეკობრეთა ხომალდზე კი ყველა მეზღვაურს საათითაოდ სამი საათი და ექვსი ძეწკვი აქვს! ან უფრო მარტივად ვიტყვი — ხომალდის დაღუპვის შემდეგ ჩვენთან ერთად გადარჩა — კატა. მე ჯერ კიდევ პატარაობის წლებიდან ვიცი, რომ «Les Chinois voient l'heure dans l'oeil des Chats»<sup>1</sup>. ერთ მისიონერს თურმე საათი გაუჩერდა და ქუჩაში ჩინელ ბიჭს ჰკითხა, რა დროაო. ბიჭი ჰაიჭარად სადღაც გავარდა, ვეება კატა მოათრია, და, თვალეებში რომ ჩახედა, ასე უთხრა: „ახლა შუადღეა“.

— მაგრამ მე იმ ქვიშის პაწია ნაკადზე ვამბობ, რომელმაც დრო იცოდა და, გადამატრიალებსო, — მე მელოდა. ოი, მარინა, ასე მგონია, ვილაც მოვკალი.

— არა, დრო მოჰკალით:

ჰკითხეს, — რომელი საათია? — და უპასუხა

ცნობისმოყვარეთ მან უბრალოდ: მარადისობა!

— ოი, რა დიდებულია! რა არის? ან ის ვინ იყო და ეს ამბავი მართლა თუ იყო?

<sup>1</sup> ჩინელები დროს კატის თვალეებით იგებენ ხოლმე (ფრანგ.).

— იყო პოეტი ბატოშვილი, ჰკუაზე შეშლილი, და ეს ამბავი მართლა იყო.

— რა სიბრყველა პოეტს დრო ჰკითხო. და უნიჭობა. ჰკუაზე ალბათ ასეთი ბრყველი კითხვების გამოც შეიშალა. აღმოაჩინეს რაღა საათი! რა დროა, იქით უნდა ეთქვათ, არ კი ეკითხათ.

— არა, უკვე ექვი ჰქონდათ, შეიშალათ, და შეამოწმეს.

ალბათ ასეთი  
ბრყველი  
კითხვები

— თავიც მოიჭრეს, ვინაიდან ეს გენიოსის პასუხია, სპეტაკი სულის. კითხვა კი — მედიკოს სტუდენტისა, ბრყვის, უგნურის, — თან საჩვენებელთის ქვიშის საათის მრგვალ გვერდებზე ასრიალებს: — მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, ვითომდა მე ღმერთი ვიყო... არა, არა, ასე არა: რომ საათი მე კი არა, ღმერთს ეჭირა და გადაბრუნება დაავიწყდა. ვთქვათ, ერთი წამიკოთი დაფიქრდა და დროც მორჩა, დროც გათავდა... რა საშინელი, რა საოცარი სათამაშოა. ოი, მარინა, როგორ მინდა ჩემთან ეძინოს, ჩემთან დაიძინოს...

ერთი პაწია ნაკადიო... ერთი პაწია, პაწია წამი... ყველაფერს და ყოველივეს ასე კნინობით იხსენიებდა (დაპატარავებულს, გულის ამჩვილებელს...) თითქოს მისი სიპატარავე ლაპარაკსაც გადადებოდა. ხმარობდა სიტყვებს მსახიობთა სიტყვარიდანაც, მაგრამ, ჰოი ღმერთო, რა სხვანაირად ჟღერდნენ ისინი მისი ბავიდან! მაგალითად, მანერიკო. „როგორ მიყვარს თქვენი ალია: რა სხვანაირი მანერიკო აქვს...“

მანერიკო, მანერებიო (აკი ნაბიჯი არის უკვე „მაშეროჩკამდე“), — მსახიობის კი არადა, ინსტიტუტული გოგოს ნათქვამს ჰგავს. განა ტყუილად მეჩვენება, ყურში ჩამესმის: „ინსტიტუტში როცა ვსწავლობდი...“ გიმნაზიას არა მარტო უნდა მიეცა, ალბათ მისგანაც გადმოეღო ეს — ძველებური, ძველმოდური, ეს ძველი დროის, ასი წლის წინანდელი, სადღაც მეთვრამეტე საუკუნის ხანის ქალწული სული, გაღმერთებისა და მუხლმოდრეკის ეს სურვილი, ასე ლტოლვა უბედო სიყვარულისკენ.

ჯერ ინსტიტუტი, მერე მსახიობობა, ან იქნება ინსტიტუტი, გუვერნიობა და მერე — მსახიობობა... (ბუნდად მახსოვს ვიღაც-ვიღაც უცხო ბავშვები...)

— ალიამ რომ გუშინ ითხოვა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებიო, ცოტა ხანს არ დავიძინებ, ცხვირპირიკო ისეთი ჰქონდა, შეჭამდი კაცი...

მანერიკო... ცხვირპირიკო... წამიკო... ნაკადიკო... თვითონ კი... გოგო იყო, გოგუცუნა, რაიც ასევე — კნინობითია...

— მამაჩემი მევიოლინე იყო, ღარიბ-ღატაკი მევიოლინე. საავადმყოფოში გარდაიცვალა. ყოველდღე დავდიოდი, ერთი წამითაც არ ვცილდებოდი — ხარობდა, მე რომ მივდიოდი, მარტო ამით ხარობდა. ყველაზე მეტად მე ვუყვარდი... (არ ვიცი, მატყუებს კი მეხსიერება, როცა ჩამესმის: სამეფო კარის მევიოლინე? მაგრამ ვისი, ინგლისის, რუსეთის კარის? იმიტომ რომ — თქმა დამავიწყდა — გოლიდეი — ინგლისურად „hollyday“-ს — კვირას, უქმეს ნიშნავს. სონეჩკა გოლიდეი: ეს სახელი ექვანივით ჰქონდა შებმული!)

— ორი და მყავს, მარინა ,ორივე კალმით ნახატი, მალღები, ცისფერთვალეზა, ოქროსთმიახანი. ორივე — წმინდაწყლის ლედი. მარტო მე გამოვედი უშნო, შავტუხა...

რატომ ერთად არ ცხოვრობდნენ? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, ნიადაგ მათზე წუხდა, მათზე ზრუნავდა, ზრუნავდა საქმით.

— ოი, რამდენი ფული უნდა, რომ კარგად ეცვათ, კარგი კაბა და ფეხსაც-  
მელი, იმიტომ რომ, — სუნთქვა შეკრული ალტაცებით, — ლამაზებია, მალ-  
ლები, ტანწერწეტნი — მარტო მე ვარ ასე პატარა.

— ჰოდა, ასე პატარამ და უმცროსმა კი...

— სწორედ მიტომაც! მე, არალამაზს, ცოტა მჭირდება, ლამაზებს კი —  
ყველგან — ყველა ზღაპარში — ბევრი უნდათ. აბა ჩემსავით რომ არ ივლიან!  
(თეთრი ზედაწელი, შავი ქვედატანი ან თეთრი კაბა — სხვანაირად ჩაც-  
მული არც კი მინახავს.)

ერთხელ რომელიღაც სასადილოში (ნაფოტას სუფი ქერის ბურღუ-  
ლით, მეორე თავად — თვითონ ნაფოტა, ოლონდ უპუროდ, თავისი წილი პური  
მან ალიას მისცა), დები დამანახა — მაგიდას უსხდნენ, ინგლისელი ქალებივით  
ყელმაღალნი, — თავი ოდნავ დახარეს სალმის ნიშნად (მერე კიდევ მათკენ  
გაიქცა) — ცისფერთვალება, ბროლივით თეთრნი, ოქროსთმიანნი. თეთრი  
შლაპები, ფარფლებდახრილი, დიდი თავადის ქალების დარად...

— შეხედე, ალია, იმ ორ ქალს ხედავ? ჩემი დებია. ხომ მართლა ლამა-  
ზებია?

— თქვენ სჯობიხართ.

— შენთვის ვჯობივარ, ჩემო კარგო გოგონი! იმიტომ რომ ასე გიყვარ-  
ვარ.

— მიტომ მიყვარხართ, რომ ყველას სჯობიხართ.

ბავშვმა, ბავშვის მიერ ფარხმალდაყრილმა, ხმა ვერ გაიღო.

ალბათ ზღაპრების ბრალი იყო, ზღაპრის კანონის — სხვანაირად ვერ  
ამიხსნია, სახელების ასე მოყვარულს — არც კი მიკითხავს, რა ჰქვიათ-  
მეთქი. ასევე დებად დარჩნენ ჩემთვის, ზღაპრის ობოლი თხუპნიას დებად.

მახსოვს, დედაზე სულ რომ წუხდა, დედა მუდამ საწუხარი რომ იყო მისი.  
დედას უნდა მივწეროო, დედას უნდა გავუგზავნოო. ალბათ პეტერბურგში  
დარჩა დედა, თვითონაც ხომ იქიდან იყო.

(„თეთრი ლამეები“ განა ტყუილად იყო.)

— მე ხომ ვიცი, მეც ხომ ასევე დავდიოდი, მეც ხომ ასე მიყვარდა... რო-  
ცა პირველად წავიკითხე... თუმცა პირველად არასოდეს არ წამიკითხავს!  
ოლონდ „თეთრ ლამეებში“ მარტო ნასტენკა კი არა ვარ, ისიცა ვარ, მეოცნე-  
ბეც, თეთრი ლამეების ტყვეობას რომ თავი ვერა და ვერ დააღწია.. მე ხომ  
მუდამ ვორდები ხოლმე, არა, კი არ ვორდები — მე — ორი ვარ: იურას  
სიყვარულშიც კი: მე მე ვარ და კიდევ — იურაც: ყველა მის ფიქრს  
ვფიქრობ, ჯერ არ უთქვამს — და უკვე ვიცი (იმიტომაც არაფერს ველი!),  
მეცინება, მაგრამ უნდა ვთქვა: როცა მე — ის ვარ, მევე მძულს ჩემი თავი.  
ოლონდ თქვენთან ვარ, მარინა, — მე — მე, უკეთ, მე — ყველა ის ვარ,  
თეთრ ლამეებში ასე რომ უყვარს, ასე უვლია და უწანწალია... მე თვითონა  
ვარ თეთრი ლამე...)

პეტერბურგელი რომ იყო, მაშინვე მივხვდი, „ურიგოს“ რომ ხმარობდა  
„ცუდის“ მაგივრად.

— ეს მართლა ასე ურიგოა?

— რა?

— რადა, „ურიგოს“ თქმა, — თავად კისკისებს.



ვინ არის და სადაური  
ეს ნამდვილი სასწაული



აი, საიდან გაჩნდა როზანეტა ჩემს „ფორტუნაში“, საიდან გაჩნდა „ფორტუნის“ მთელი უკანასკნელი სცენა, რამეთუ „ვინ არის და სადაური“ უკვე ბრძანებაა, რომ როზანეტა (სონეტა) იყოს ქვეყნად, როზანეტა, შეკარის გოგო, რომელიც ამბობს:

მოვედი თქვენი ბოლო ნების აღსასრულებლად!  
რა გნებავთ! — გნებავთ? დაუტოვეთ მშობლებს წერილი,  
ან იქნებ გინდათ, თმა შევიჭრა თქვენდა სახსოვრად! —  
მთხოვეთ, რაც გინდათ! დღევანდელ დღეს მთხოვეთ, რაც გინდათ,  
არის ყოველი ნება თქვენი — ნებადართული!

რა ცოცხლად ხატავს სონეტას ეს „ყოველი ნება თქვენი“, სიკვდილამდე ერთი საათით ადრე რომ უთხრა გოგომ სიკვდილმისჯილს, სიყვარულისა და სიცოცხლის სულ ბოლო საათს, ნაჩუქნს სამოქმედოდ, სიკვდილის წინა საათს, მთელი სიყვარული რომ მოიცვა და დაიტია.

და ეს სახელიც — როზანეტა.

(სონეტა! ჩემი ნატვრა და სურვილია, ამ ამბის შემდეგ შეყვარებოდი — ყველა მამაკაცს, ექვით მოგეკლა — ყველა ცოლი, შენზე ოცნებას დაეტანჯა — ყველა პოეტი...)

ჩემს რვეულებში იგი გაჩნდა, როცა პირველად მოვიდა ჩემთან და საბრალოსად შემომჩივლა:

— ოი, მარინა! (ისე ჭკვიანი იყო, მამის სახელით არასოდეს არ მოუმართავს იმ „თეთრი ლამეების“ შემდეგ, მაშინვე — მეორე (თუ მეათასე) შეხვედრისას.) — ოი, როგორ ვითამაშებდი თქვენს ქალს — „ქარბუქში“. მე ხომ ყოველი მოძრაობა, სად და როგორ თქვას, სად ხმა გაუწყდეს, სად დადუმდეს, ყოველი მისი ამოსუნთქვა უკვე ვიცი... ჩემსავით მას ვერავინ ვერ ვითამაშებდა, მაგრამ ვაი რომ არ გამოვა — საამისოდ მეტისმეტად პატარა ვარ...

განა მარტო ტანით იყო იგი პატარა — განა ცოტაა ტანით პატარა! — ტანი ჩვეულებრივი თოთხმეტი წლის გოგოსი ჰქონდა — მისი უბედურება და მისი ხიბლი სწორედ ის გახლდათ, რომ მართლაც თოთხმეტი წლის გოგო იყო ყველაფრით და ყველანაირად. წელი კი ათას ცხრაას ცხრამეტი იდგა. პოი, რამდენჯერ მინატრია — და არც მრცხვენია ამის გამხელა — ჩემსა და მის ასე მოკლე წუთისოფელში — რად არ ჰყავს-მეთქი განათლებული და მოყვარული ბერი მფარველი, ვინც მკლავებს ვერცხლის ჩარჩოსავით შემოავლებდა... და გამოცდილ მესაჭესავით... ჩემს პატარა ნავს დიდ ზღვაში გააცურებდა... მაგრამ მოსკოვში ამ ათას ცხრაას ცხრამეტ წელში ასეთები არსად არ იყვნენ.

(ვიცი, ამ ჩემი სიყვარულით „ეფექტს“ ვასუსტებ, რომ მკითხველს თავად უნდა უყვარდეს იგი, არადა, მკითხველივით მეც რომ მინდა „მევე მიყვარდეს“, სონეტასავით მეც რომ მინდა „მევე მიყვარდეს“, ერთგულ ძალღივით მეც რომ მინდა ეს სიყვარული... ნუთუ ვერ მიხვდით, რომ მკვდარია ჩემი პატ-

რონი და რომ ცხრა მთის გადაღმა აგერ ორი ცხრა წელია დარდი მაყმუვლებს და მაწყმუტუნებს?)

...ნატამალი კეკლუცობისა სულ არ გააჩნდა. ჰქონდა სიანცე პატარა ბიჭის (უკიდურესად ქალურ, ქალწულურ, პატარა გოგოს გარეგნობასთან შეზავებული) ეშმაკობა — lutin<sup>1</sup>, მთელი არსებით, გერმანულად რომ იტყვიან, Einfall<sup>2</sup>-ო. (შენი გულისთვის სამ სიტყვარს ვძარცვავ, ჩემო სონეჩკა! ვაი, არ ვიცი ინგლისური — თორემ საშენოდ იქ ბლომა სიტყვას აღმოვაჩენდი. ესპანურში კი — ხომ ნუ იტყვი!).

ზმანებასავით მიდგას თვალწინ ის ნატაშა, ყვავილის გეგაზე რომ შეხტება ამ სიტყვებით: „აბა აკოცეთ ჩემს თოჯინას!“ ის ნატაშა, ინდოელივით მკლავები მუხლებს რომ შემოხვია და ცუგრიასავით მთვარეს უმღერის, ლამის გაფრინდეს ფანჯრის რაფიდან... ოგარევის კონსუელა, გერცენის ნატაშას დილიყანსთან რომ ემშვიდობებდა... კოზეტა თავისი დედოფალათი და ფანტინა თავისი კოზეტათი... დიკენსის ყველა პატარა ზმანება-ქალი... ჭულიეტა. მიჩეი... მინიონა, და ბოლოს Mignon-იც კი — ის არფაზე დამკვრელი ბიჭი, მერე მინიონად გადაქცეული, რომელიც ერთ-ერთ თავის Wanderung<sup>3</sup>-იდან შინ, დედასთან ჩამოიყვანა იმ ჭაბუკმა — გაეთუ რომ გახდა შემდეგში.

(ვიცი, არც ახლა ვიძლევი რასმე, ბევრს კი ვკისრულობ), ერთხელ კიდევაც ამოვშალე ეს ადგილი ხელნაწერიდან, მაგრამ ისინი ისე მეხვევიან, არ მეშვებიან, ისე უნდათ სონეჩკას მეოხებით კვლავ მოველინონ ამ ქვეყანას...

მაგრამ მთავარ სახელს — არ გავამხელ. ის მხოლოდ ლექსში ან — არსად არ გახშიანდება.

ჰოდა, რადგანაც იგი ჩემი გმირი ქალი ვერ იქნებოდა — „ისე პატარა ტანისა ვარო“, — ისევ პატარა გოგოებზე უნდა მეწერა. როზანეტა „ფორტუნადან“, გოგონა „თავგადასავლიდან“, ფრანჩესკა „კაზანოვას დასასრულიდან“ — ყველა სონეჩკაა, ცოცხალი და სულჩადგმული — თუმცა სულ მთლად არა, თუმცა უფრო უბრალო, ვინაიდან, ჰეინეს თქმისა არ იყოს, პოეტს ხეირს ვერ დააყრის თეატრი და თეატრს პოეტი, — მაგრამ მუდამ ცოცხალი, თუ მთლად არა — მუდამ მაინც ის, სხვა — არასოდეს.

ერთი ჩემი ლექსი კი მაინც — მოვპარე — მოვპარე იმას, ვისაც სტროფიც კი არასოდეს დაუწერია — მოვპარე — ჩემი უსაზღვრო, უმაგალითო პატიოსნების მიუხედავად. ეს ჩემი ერთადერთი პლაგიატია.

ერთხელ მიამბო, როგორ აწყენინეს:

— ოი, მარინა! იმხელა ცრემლები ვღვარე, ვერ მეტეოდა თვალებში ცრემლი.

— იცით, როდესმე მოგპარავთ ამას ლექსისათვის, ვინაიდან საოცარი ნათქვამია — ზუსტი და...

— წაიღეთ, ყველაფერი წაიღეთ ჩემი, რაც გესურვებთ, ლექსებისათვის გინდ სულ მთლიანად, გინდ ყველაფერი! ვინაიდან თქვენს ხელებში ყველაფერი მარად იცოცხლებს! ჩემგან კი აბა რა დარჩება? რამდენიმე კოცნა მხოლოდ...

<sup>1</sup> სიგიჟმაყუე (ფრანგ.).

<sup>2</sup> საოცრება (გერმ.).

<sup>3</sup> მოგზაურობა (გერმ.).

ჰოდა, სამი წლის შემდეგ (ვინ იცის, იქნებ დღე-დღესაც თანხვდა) აი, ეს ლექსიც:



როცა ძმამ ჩემმა თელების შუკას  
ჩაუარა და ოცნების ვრცელი,  
ფიქრში შეთხზული გზა განვლო: — უკანი  
ვერ ეტეოდა თვალეში ცრემლი

როს მეგობარმა ოცნების ყურეს  
შემოუარა: — დაბრუნდი! დარჩი  
ვერ ეტეოდა საგულეს — გული,  
ვერც მკლავი — მკლავში, ვერც ტანი — ტანში!

ხელს განშორება უნდოდა ხელთან,  
ბაგეს — სიტყვასთან, სიტყვას — ბგერასთან  
თითებთან გამოთხოვების ელდას  
ხელის მტევანი ვერა, ვერ ასცდა!

როცა ძვირფასმა სტუმარმა ჩემმა...  
— ო, ღმერთო! ჩვენაც მოგვხედე ერთი!  
მეტობდა ცრემლი ზვირთების ცემას  
და იყო ცრემლი — თვალეებზე  
და ატლანტიკის ვარსკვლავზეც მეტი..

(ატლანტიკის ვარსკვლავები ჩახჩახებენ Lacanau-Océan-ზე, სადაც ახლა ამ მოთხრობას ვწერ. წუხელ ღამის პირველ საათზე მათ შემყურეს ეს სტრიქონები მომაგონდა — ოღონდ პირუკუდ: რომ ოკეანეზე ვარსკვლავები თვალეებზე უფრორე მეტობს! ასე ამგვარად წრეც შეიკრა).

ეს ლექსი დაიწერა და გაეგზავნა ბორის პასტერნაკს, მაგრამ მისი ავტორი და ადრესატი — სონეჩკა გახლავთ.

უკანასკნელი ათინათი, უკანასკნელი გახმიანება მისი ჩემს ლექსებში — უკვე კარგა ხნის დაშორებიდან — ჩემს „ვაჟკაცში“ შინამღერია: „მარუსია კი ყველას სჯობია!“ (სილაბაზით თუ გულმხურვალეებით...) — თვით მარუსიაც, ვინც სიკვდილს სძლია და ყვავილად იქცა, მაგრამ გასწირა უკვდავებაც კი, ოღონდ სატრფოსთან ერთად დაღუპულიყო, მისი ექო და ნახმევია.

— მარინა, როგორ გგონიათ, ღმერთი შემინდობს ამდენის კოცნას?

— გგონიათ, ღმერთი ითვლიდა?

— არც მე მითვლია.

...რაც მთავარია, პირველი მუდამ მე ვკოცნი ხოლმე, ისე უბრალოდ, როგორც ხელს ვართმევ, ოღონდ — უფრო შეუკავებლად. უბრალოდ დაცდა არ შემიძლია. მერე ყოველთვის ჩემს თავს ვაყვედრი: „ნეტავ ვინ გთხოვდა? ახია შენზე!“ ხომ ვიცი, ეს რომ არავის მოსწონს, ყველას უნდა იქით გეხვეწოს, გამოგძალოს, შემთხვევას სდიოს, თავი მოიკლას, ინადიროს... რაც

მთავარია, არ მიყვარს ხოლმე, როცა პირველი სხვა მაკოცებს. ის მაინც ვიცი, კოცნა მე მინდა.



— მარინა, ვერასდროს ვერ გამეგო (ვერც ჩემი თავისი ვერცხვით) როგორ იქნება — კოცნის შემდეგ ილოცო კაცმა — იმავე ზეგნებით — არა! როცა ვლოცულობ — ვითომ არასდროს არ მიკოცნია, როცა ვკოცნი — ვითომ არასდროს არ მილოცნია.

— სონეჩკა ჩემო! სავსებისაგან გულისა არის ეგ თქვენი კოცნა.

ჩვენ არასოდეს გვიკოცნია ერთმანეთისთვის; მხოლოდ მაშინ, როცა ვხვდებოდით ან ვშორდებოდით. მაგრამ მხრებზე კი ხშირად გადავხვევივართითქოსდა დასაცავად, დასაფარავად, ვინაიდან უფროსი ვიყავ. (თუმცა სამი წლით, სინამდვილეში მთელი არსებით. თავის დღეში „პატარასი“ არა მქონდა რა.)

გადავხვევივართ მხრებზე ძმურად.

არა, ეს იყო წმინდა ცეცხლი, მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანება, განტვირთვის, დახარჯვის, აღსრულება-განხორციელების ცდის გარეშე. ვარამი დახმარების ცდის გარეშე. სწორედ ამაზეა ჩემი ფრანგული მონათხრობი, ჩემს ფრანგ მეგობარს რომ გავუგზავნე თხუთმეტი წლის გასვლის მეორე. მეგობარი წავიდა, გაქრა, მოთხრობა დარჩა. დაე დარჩეს.

არ მახსოვს, მისთვის რომ მეკოცნა, გარდა ჩვეულებრივი, თითქმის უნებლიე ამბორისა შეხვედრის ან განშორების უამს. არა იმიტომ, მორცხვობის ცუდი — ან კარგი გრძნობა მაკავებდა, ეს იყო „შენობით“ — მიმართვის მსგავსი: მე მეტისმეტად მიყვარდა იგი, სხვა ყველაფერი დანარჩენი მცირედს ნიშნავდა.

ვინაიდან, როცა არ გიყვარს, კოცნა უფრო მეტის მოქმელია, როცა გიყვარს — უფრო ნაკლების; საკმარისი მისდათავად იგი არ არის. ანუ დალიო წყალი, რათა კიდევ სვა და სვა იგი. კოცნა სიყვარულის დროს — ზღვის წყალსა ჰგავს, როცა წყურვილი გახრჩობს. (ზღვის წყალი, სისხლი — ვარგისია მხოლოდ ჩაძირულ გემის მგზავრებისთვის!) თუკი ეს უკვე თქმულია სხვისგან — გავიმეორებ. რადგან მთავარი არა ახლის თქმაა, არამედ ერთადერთ სწორ თქმას მიაგნო.

მე მერჩივნა წყურვილი სულაც არ მომეკლა და კიდევ ერთი, რაზეც არავის დაუწერია, თუმცა ესოდენ ცხადი და აშკარა გახლავთ: კოცნა, როს გიყვარს, — ცუდი გზაა, დავიწყებისკენ რომ მიჰყავხარ. არა სატრფოსკენ, არამედ სატრფოსაგან. იწყება სულთა კოცნით, მერმე ბაგეთა და თავდება კოცნის-კოცნით. გაქარწყლებით. მაგრამ მე ხშირად ვეხვეოდი ძმური, მფარველი გრძნობით, რათა ცოტათი მაინც დამეცვა ყოფის, სიცივის, ღამისაგან.

...ჩემი პატარა ბავშვი, ვისთვისაც ნება მართო დაბრუნების არასოდეს არ მიმიცია.

თუმცა ამაზე არც მიფიქრია — რადგან ეს იყო რეალობა ისეთთა შორის, ჩვენ რომ ვიყავით — ანუ გამოუვლობა. მხოლოდ ახლა, თხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ, მადლიერებით მახსენდება ეს ყველაფერი, რამეთუ მაშინ ეს ყოველივე თავში ფიქრადაც არ გამივლია!

<sup>1</sup> დაწერილია ფრანგულად.

უზარმაზარი და უსიერი მწვანე სავარძელი — აი, სონეჩას საცხოვრებელი, დიდზე დიდი სავარძელი, გარს რომ ტყესავით შემოვლებოდა ამ სავარძლის მწვანე ბუჩქში ცხოვრობდა იგი, სავარძლისა, ფანჯარასთან რომ იდგა და მდინარე მოსკოვს — მის მიმდებარე მოტიტვლებულ კედლებს, გადაპყურებდა.

იქ ეძიებდა იგი ნუგეშს იურას გამო, იქ კითხულობდა ჩემს წერილებს, მწერდა თავისას, იქ სწავლობდა მონოლოგებს, იქ ლოდნიდა პურის ქერქს ფიქრში წასული, იქ, ცრემლების ღვრისა და წერილების წაკითხვის შემდეგ, მოულოდნელად ძილი წაიღებდა და ძილში ინელებდა ყველა იურას, ყველა ვახტანგოვს თუ ვახტანგოველს.

*C'était son lit, son nid, niche!*

სახლი ცოტა აღმართზე იდგა, საგუბრის წყლის ჩხრიალში უნდა აგველო წაფერდებული მესერი კიდეც უფრო მეტად წაფერდებული მინაწერით: ხელწერას ვასწორებო... (თანაც 1919 წელს! თითქოსდა სხვა დარდი არავის ჰქონდა. თანაც ასეთი ასოებით!)

იდგა სახლი, ამ სახლში — სავარძელი. ამ სავარძელში კი სონეჩა, ფეხბაკეცილი, თითქოს მოქცევა იყო და წყალი ჰა და ჰა, ფერხთამდე მისწვდებოდა (სადაცაა — კიდეც დაუფარავდა.) ფეხები მყის ძირს, ხელები ჩემკენ: — მარინა! რარიგ გამახარეთ!

ხელდახელ მაცლის ჩანთასა და მხრიდან აბგას. იმის მტკიცება, სავარძელში რომ არ ჩავჯდები, აღარ მჭირდება, იცის ჩემი ხასიათი და ჩემი ჩვევები. დაბალი და განიერი რაფის მიღმა — სადაც ვჯდები — ლალი სივრცეა, უკან — სივრცე, წინ — სიყვარული.

— მარინა! დღეს ცისკრის წირვაზე ვიყავ და ისევ ბევრი ვიტირე. — თითებს ჩამოთვლით კეცავს და საქმიანად: — იურას, ვახტანგ ლევანოვიჩს არ ვუყვარვარ, არც ევგენი ბაგრატიონოვიჩს... არადა, შეეძლო კი! თუნდაც შვილივით, მეც ხომ ევგენიევნა ვარ — არავის არ ვუყვარვარ, არც სტუდიაში...

— არც მე?

— ოო! თქვენ! თქვენ ყოველთვის გეყვარებით, განა ჩემი სიკარგის გამო, არამედ გადაყვარებას ვერ მოასწრებთ... იურამ კი უკვე მოასწრო, რადგან სიკვდილი ვერ მოვასწარი.

(სიყვარული, სიყვარულიო... ნეტავი რას ფიქრობდა, როცა ამას ჩემთან ამბობდა?)

ეს მაგონებს ჩემსავე კითხვას ტახტის მემკვიდრის ყოფილი პოლკის ჯარისკაცისადმი, როდესაც იგი მიყვებოდა, დროშა როგორ გადაარჩინა, და მე ვკითხე:

— რას გრძნობდით მაშინ?

— რას და არაფერს, როცა დროშაა — პოლკიცაა, დროშა არაა — არც პოლკია. — როცა სიყვარულია — შენც ხარ, შენც ცოცხლობ, არაა სიყვარული და...

სონეჩასთვის სიყვარული იყო ყოფნა და არსებობა: არარსებობა სხვა რამეში: არ აღსრულება, არ ახდომა.)

მუშტად ქცეულს, პაწაწინას თმიდან აღარც სახე უჩანს, აღარც ხელები,

<sup>1</sup> ის იყო მისი საწოლი, მისი ბუდე, მისი ჯიხური (ფრანგ.).

ალარც ცრემლები, თითქოს საკუთარ თავში ჩამალულა — ყველაფრისაგან, როგორც ვლადიმირელმა ძიძა ნადიამ იცოდა ხოლმე ჩემს პატარა რინაზე თქმა: ჩაიბუდაო... ხოლო ირგვლივ, მაღლა თუ დაბლა — ტყე, თალი, მოქცევა სავარძლისა.

იმით, თუ როგორ ჩაღრმავდებოდა, ეკვროდა და ეხუტებოდა იგი სავარძელს, ჩანდა, რაოდენ საჭირო იყო მისთვის ვინმე ხნიანი კაცის ღონიერი, მოყვარული ფართო მკლავები. (სავარძელი ხომ მუდამ — მოხუცია.)

სონეჩკა სავარძელში — ეს იყო მისი მოყვარული ბუნებისა და ნატურის ცხადი სურათი. (ნატურა — ეს მისი ლექსიკონის სიტყვა იყო, ძველი და უცნაური ლექსიკონისა, თითქოს დიკენსიდან გადმოთარგმნილის.) რადგან ეკვროდა, ეხუტებოდა იგი სავარძელს, არა ვით კატა ეკვრის ხავერდს, არამედ ვით სულიერი სულიერსა.

ახლად მივხვდი: იგი სავარძელს მუხლებზე ეჯდა!

რომ გავართო, რომ იურასაგან მისი ფიქრები წარვიტაცო. ვუამბობ, ფეხით როგორ წავედით მე და ალია გუშინ ვორობიოვის გორებისკენ, როგორ ჩავჯექი შიშისაგან შუაგულ რკინიგზის ხიდზე რკინის კადონებიდან წყლის დანახვაზე, როგორ გამიკრთო შიში ალიამ მის მიერ იქვე მოგონილ ამბით: ვითომ გაიბო მაშინვე ხიდი და ორივე წყალში ჩავცვივდით, მაგრამ როდი დავიხრჩეთ, ვინაიდან სულ ბოლო წამს ანგელოზები მოგვეშველნენ, ვინაიდან უკანასკნელ წამს მათაც გაიგეს, რომ „ეს ქალი სალდათური აბგით მზარზე“ — პოეტია, ეს გოგონა კი ოფიცრისეული ფოლაქებით — მისი შვილი, როგორ გაგვაქანეს ანგელოზებმა ბაზრობაზე, სადაც ჩვენთან ერთად იტრიალეს კარუსელზე („თქვენ და თქვენმა ანგელოზმა, მარინა, ლომზე, მე და ჩემმა კი — ცხვარზე...“) მერე კი ბორისოგლებსკის შესახვევშიც მიგვეყვანენ და იქ ჩვენთან დარჩნენ, ლუმელს გვინთებდნენ, ჩვენ გამო შეშას იპარავდნენ („...ვინაიდან ეს ანგელოზები ანგელოზები კი არ იყვნენ... თვითონაც იცით, მარინა, ვინაც იყვნენ...“)

მერე ალინასა და ანგელოზების დახმარებით ვით გადავედით მართლა ხიდზე და კარუსელზე, იქ ვიტრიალეთ: მე — ლომზე, ხოლო ალიამ — ცხვარზე... მერე კი ხიდზე ასე კარგად გადაყვანისთვის ალიას ფარდულში ვუყიდე ქოლოს ელატინის ტკბილი საწუწნი და ალიამაც სეფისკვერივით კრძალვით შეწუწნა, მერე უკვე მდინარეზე ანგელოზებმა კი არადა, წითელხალათიანმა გლეხებმა გადაგვიყვანეს. ერთ-ერთში ალიამ თავისი საყვარელი წინამძღოლი შეიცნო „კაპიტანის ქალიშვილიდან“ — და ასე შემდეგ... ასე შემდეგ... — ვინემ სონეჩკას სახე არ გაუნათდა — მერე არ გაეცინა — და მერე მთლად არ გადაიბადრა...

— მარინა, მაშინ პროვინციაში ვთამაშობდი. იქ ზაფხულობით ყოველთვისაა ხოლმე ბაზრობა. მე კი ვგოყდები ყველანაირ გასართობზე, უბრალოზე და ღარიბულზე. ვარდისფერი მამლებითა და ხის მჭედლებით. თავადაც თავსაფარს წავიკრავდი ხოლმე ვარდისფერს და ასე მეგონა, ამ თავსაფრიანად დავიბადე. თუმცა ყველაფერზე ასე ვიცი: გინდ თავსაფარი იყოს ეს და გინდ ჩემი დების დიდი თეთრი ქუდები... ზოგჯერ ვფიქრობ: თუნდაც გვირგვინი დამადგან-მეთქი! — თუმცა არა, ჩამომცურდება, თავი ისეთი პატარა მაქვს. არა, არა, არ მითხრათ ახლა! ეს სულ თმაა. აბა ძირამდე გადამხოტრეთ! ხომ გეუბნებით, არაფერი აღარ დარჩება!.. მარინა, თავხოტორა თუ გეყვარებით? თუმცა თქვენ ხომ უკვე გიყვარვართ, — ვინაიდან თქვენ

წინ ყველა თავხოტორაა, იურაც კი, თუმცა არა, იგი ნახევრად თავხოტორაა: პატიმარივით! მარინა, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ? სამარცხვინოდ ბევრს? თან ყველაფერზე ერთად და ყველაფერს ერთად? იცით, წუთი არაა, ლაბარაკი არ მინდოდეს, ტირილის დროსაც: ვტირი და თანაც ვლაპარაკობ. მინდოდა სულ ვლაპარაკობ: ვკამათობ, ვყვები, ჩემსას ვამტკიცებ, ერთი სიტყვით — ნაკადული რომ მიხტის ქვებზე — ისე უაზროდ! მე ხომ თქვენ გარდა არავინ მისმენს. ოი, მარინა! პირველი, მე ვინც შემიყვარდა, გაცილებით უფროსი იყო, ჩემზე თითქმის ორჯერ უფროსი, უკვე დიდი შვილები ჰყავდა — იმიტომაც შემიყვარდა — შემწყნარე იყო — ძალზე შემწყნარე, არასოდეს არ ბრაზდებოდა, არადა, ისიც ხშირად ხუმრობით მსაყვედურობდა: „აჰ, სონია! როგორ არ გესმით, არის წუთები, როცა ლაბარაკი არ შეიძლება?“ მე კი ისევ განვაგრძობ — შეუჩერებლივ — თავში სულ რაღაც ფიქრები მომდის, ყველა ერთბაშად — და სულ სხვადასხვა. ზოგჯერ ვნანობ, მხოლოდ ერთი ხმა რადა მაქვს-მეთქი... ოი, მარინა, აგერ უკვე მუცლით მეზღაპრე გავხდი ლამის!

...იმ ბაზრობაზე მოგიყვებით, ერთხელ მივდივარ ასე თავწაკრული და ვხედავ: ქალი კი არა, უშველებელი დედაკაცი, კილიტებიანი ეოლოსფერი მოკლე ქვედაკაბა რომ აცვია, არღნის ხმაზე ცეკვავს და ცეკვავს. არღანს კი ვიღაც მოხელე უკრავს, არც ისე ახალგაზრდა, გამწვანებული, წითელცხვირა, კოკარდიანი ქუდი ხურავს (ცხვირიც კოკარდას უგავს). საოცრად შემეცოდა: საწყალი-მეთქი! ალბათ სამსახურიდან გამოავდეს ლოთობისათვის, ჰოდა, იმანაც, შიმშილით რომ არ მოვეკვდეთ... თურმე კი სიყვარულის გამო ყოფილა. ათი წლის წინათ სადღაც თავის ქალაქში ბაზრობაზე უნახავს ქალი, მაშინ თურმე ქორფა, წერწეტი გოგო იყო, ალბათ საოცრად გულისშემძვრელი. იმწუთსავე შეჰყვარებია (ქალს კი — არა, ვინაიდან უკვე ქმარი ჰყავდა — მუცლით მეზღაპრე). მას მერმე თურმე ბაზრობას აღარ მოშორებია, ხოლო როცა ბაზრობა სხვა ქალაქში გადაიტანეს, ისიც გაჰყვა და მას აქეთ ყველგან თან სდევს. სამსახურიდან რომ გაავდეს, მეარღნეობას მიჰყო ხელი. ჰოდა, აგერ ათი წელია უკრავს არღანზე და ვერც შეამჩნია. როგორ გასუქდა, ჩაგოდრდა ქალი და რომ ლამაზი კი არადა, შემზარავი შესახელია... ჩემი აზრით, არღნის დაკვრა რომ შეეწყვიტა, უმაღ ყველაფერს მიხვდებოდა — და სულსაც დაღევდა. მარინა, მე საშინელება ჩავიდინე: იმ ქალს მისთვის ერთხელაც არ უკოცნია. რომ ეკოცნა, არღნის ტრიალს შეწყვეტდა ალბათ, ვინაიდან ამ კოცნისთვის ატრიალებდა! მე კი მთელი ხალხის თვალწინ... მივედი მასთან გულის კანკალით: „ნუ გეწყინებათ, ვინაიდან ვიცი თქვენი ამბავი: სიყვარულისთვის როგორ დატოვეთ ყველაფერი, ხოლო რაკი მეც ასეთი ვარ...“ და ვაკოცე ყველას თვალწინ. შიგ ტუჩებში. სხვანაირად არ ჩამითვალოთ, მე ჩემი თავი ვაიძულე. არ მინდოდა, მეშინოდა და მრცხვენოდა კიდევ: კაცის, ქალისაც მეშინოდა და არც სურვილი მქონდა! მაგრამ მაშინვე ჩემს თავს ვუთხარი: ხვალ ბაზრობა მიდის აქედან — ეს ერთი. დღეს უკანასკნელი ვადა არის — ეს მეორე. მის სიცოცხლეში მისთვის არავის უკოცნია — ეს მესამე. და უკვე აღარავინ აღარც აკოცებს — ეს მეოთხე. შენ კი მუდამ გაიძახი, სიყვარულზე მაღლა ჩემთვის არაფერი არ არსებობსო — ეს მეხუთე. მაშ დაამტკიცე — ეს მეექვსე. და მართლაც ვაკოცე! ჩემს სიცოცხლეში კოცნა, მარინა, ასე არასდროს გამძნელებია. მაგრამ რომ არ მეკოცნა, თავის დღეში ვერ გავბედავდი და ჭულიეტას ვერ ვითამაშებდი.

— იმან რა ჰქნა?

— იმან? — კისკისით.

მეხდაკრულივით  
იღვა ევგენი...



ქართული  
წიგნობის  
კავშირები

თუმცა არც შემიხედავს. უკანმოუხედავად წამოვედი. ალბათ მას აქეთ დგას და დგას ისევ იმ ადგილზე... მთელი ათი წელი ამტვერებული მოედნები, მთვრალი გლებები, და მაინც სხვამ აკოცა — იმან არა! და კიდევ ერთი ამბავი, მარინა, ამბავი პაშა მეზღვაურისა...

სადაა ეს ამბავი, რომელზეც უბის წიგნაკში 1919 წლის გაზაფხულზე ჩაწერილი მაქვს: „სონეჩკა გოლიდების ნაამბობი პაშა მეზღვაურზე“, გვერდით კი სუფთა ფურცელია ჩასაწერად დატოვებული ასევე ჩაუწერად დარჩენილი ამბავისა. დაკარგულა პაშა მეზღვაური! შორს გაუცურავს პაშა მეზღვაურს!

ჰოი, ამბავთა, აღსარებათა, ტანჯვათა და ნუგეშთა სავარძელო.

მეორე მოქმედი გმირი მისი ოთახისა გახლდათ — ზანდუკი, ქლალი ფერის ტყავის ზანდუკი, ჯერ კიდევ იმდროინდელი, როცა სონეჩკას მამა სამეფო კარის მუსიკოსად ირიცხებოდა.

— ნეტა შიგ რა გაქვთ?

— ჩემი მზითვევი! (რა მზითვევი — მერე შევიტყობთ.) ვინაიდან როდესმე მაინც ხომ გავთხოვდები! მართლა, მართლა (მისი გამოთქმა): ჯერ ხელის თხოვა, მერე უარი, მერე თანხმობა, მერე თეთრი კაბა, ფლერდორანჯი, ფაქტა... მე მძულს ჯვრის წერა... სამოქალაქო სამოსელში! წახვიდე ისე, მხოლოდ ჰაიპარად კბილები გამოიხეხო, ერთი თვის შემდეგ კი გამოაცხადო: ერთი წელია ცოლ-ქმარი ვართო. ეს უნი-ქობაა, ვინაიდან — დამორცხვებაც უნდა იყოს, ჭიქების მიჭახუნებაც, შამპანურის ამოფეთქვაც, მოლოცვებიც — საჩუქრებიც — და კიდევ ტირილი — რაც მთავარია. ოი, მარინა, როგორ ვიტყვებ მაშინ! ჩემს იუროჩკაზე, ევგენი ბაგრატიონოვიჩზე, თეატრზე, ყველასა და ყოველივე ამის გამო, რადგან მაშინ უკვე — მორჩა: მხოლოდ ის მეყვარება.

მესამე მოქმედი გმირი მისი ოთახის წესრიგი იყო. შეუძლებელი და აუხდენელი რევოლუციის იმ ხანებში, თითქოსდა სამ მოახლეს ეწმინდოს და ეფერთხოს მტვერი. არსად მტერის ნასახიც კი, არსად არაფერი ადგილიდან დაძრული თუ გამოწეული. არა წერილი (ჩემგან თუ იურასაგან გამოგზავნილი). ან იქნებ ყველა ბალიშქვეშ ედო! ეს გახლდათ ინსტიტუტული გოგოს ოთახი არდადეგებზე, გუგერნანტ ქალის — კონდიციის ხანს, ოთახი — ასი, არა, — ორასიოდე წლის წინანდელი, უფრო მარტივად — მეზღვაურის ჰგავდა კაი-უტას: წესრიგი არა არყოფნის, არამედ ყოფნის. წესრიგს ამ ოთახში დაედო ბინა. ასე დგას ხოლმე გაჯგიმული გარდემარინი მისალმებისას.

არც არავინ ეხმარებოდა. მარიუშკა მთელი დღეები ნაფოტა თევზის ან კიდევ ზეთის რიგში იდგა (კიდევ ერთი რამის გულისთვის, რაზედაც — შემდეგ!) დაბრუნებული კი ამ ნაფოტას კედელს ახლიდა. ყველაფერს თვითონ, თავისი ხელით აკეთებდა ჩემი სონეჩკა. მიტომაც გულს მიჩუყებდა მისი ჩემთან მეგობრობა, მისი გულწრფელი აღტაცება ჩემი უცნაური და კიდევ საზარი სახლით, სადაც თავის ადგილზე არა იდგა რა, სადაც ყველაფერი — ერთხელ და სამუდამოდ დაძრული იყო, ანუ განუწყვეტლივ და გაუთავებ-



ლივ შორსა და შორს მიიწევდა — ვინემ კედლებს არ გასცდებოდა: გასა-  
ჩუქებლად? მოსაპარად? თუ გასაყიდად?

მაგრამ იმას კი დავსძენ, რომ ყველა ბავშვს, მეტადრე კარგი თვალებიდან,  
მუდამ მოსწონდა ჩემი სახლი (ასეა დღემდე), მისი უსაზღვრო და უსაზომო  
თავისუფლება და... და კიდევ ის, რომ ჭეშმარიტად *boite à surprises*<sup>1</sup>  
იყო, მოულოდნელი სასწაულებით — უზარმაზარი და უძირო, განუწყვეტლად  
რომ აჩენდა ახალ და ახალ საგნებს, ხშირად — *sans nom*<sup>2</sup>...

ჩემი სახლი ასე ბავშვივით მოსწონდა სონეჩასაც, მოსწონდა, როგორც  
თოთხმეტი წლის პატარა გოგოს, თუმცა იგი ხომ ამ ხნისაც იყო.

ბარემ ყველაფერს ვიტყვი იმ ჩემს სახლზე: ჩემი სახლი — დიკენსის  
სახლი იყო: „სიძველეთა დუქნის“ სახლი, სადაც ეძინათ ხიმინჯებზე, ცოტაო-  
დენ „ოლივერ ტვისტის“ სახლიც — ტომრებზე რომ იწვნენ ხოლმე, ხოლო  
სონეჩა მისდათავად — თავით ფეხამდე დიკენსის გმირი იყო: ციცქნა დო-  
რიტი — ვალის ციხეში, დავით კოპერფილდის დორა თავისი საანგარიშოთი  
და ძაღლის ჩინური ბუდრუგანათი, ფლორენს დომბი — თავისი პატარა ძმით,  
ის უცნაური გოგოც „საერთო მეგობრიდან“, ბებერ ებრაელს სახურავზე რომ  
უხმობს — არყოფნისათვის: **«Montez! Montez! Soyez mort! Soyez mort!»**<sup>3</sup>  
ის გოგოც „ორი ქალაქიდან“, ვინც ავდრისგან აფრიალეზულ მარმაშის ფარ-  
დის უკან კლავესინს უკრავს და თქეშის პირველი წვეთების რაკარუკში რე-  
ვოლუციონერთა ნაბიჯების ბრაგუნა ესმის...

დიკენსის პატარა გოგოები — ყველანი მართლა და ნამდვილად იყვნენ,  
რაკილა მე სონეჩას შევხვდი.

სონეჩას სიყვარულს ჩემი სახლისადმი სისხლის ყვილი — ანუ ატავი-  
ზმი დაერქმეოდა.

(დიკენსი ადრეული დოსტოევსკის ტრანსკრიფციაში, როცა დოსტოევსკი  
კიდევ გოგოლიც იყო: აი, ესაა ჩემი სონეჩა. „თეთრ ღამეებს“ სამი ავტორი  
ჰყავდა, ჩემს სონეჩას სამი ავტორი — წერდა.

შესძლებდა კია არ ეთამაშა, ან ვერ ეთამაშა — „თეთრი ღამეები“?!)

ღილით მივდიოდი მუდამ მასთან — შევეუვლიდი, შევეურბენდი ხოლმე  
მარტო, უბავშვებოდ. მისი ოთახი ჩახჩახა მახსოვს — თითქოს ღამეს ამ  
ოთახში არც გაეთიოს. მზის ოქროს ღვარი მწვანე სავარძელზე, მზის ოქროს  
ღვარი მუქ ოქროსფრად მბზინავ პარკეტზე.

— თი, სონეჩა, კაცმა უნდა აგიყვანოს და სავარძლიანად გადაგიყვა-  
ნოს — სხვა ცხოვრებაში. ასე სავარძლიანად დაგიშვას მერე მეთვრამეტე  
საუკუნეში — იმ თქვენს საუკუნეში, როცა ქალისგან კაცის პრინციპებს  
არ თხოულობდნენ, კმარობდნენ მხოლოდ — ქალის სიკეთე-სათნობას, არა  
იღებეს, ახარებდათ მხოლოდ — გრძნობები, ყოველ შემთხვევაში — ახარებ-  
დათ კოცნა-ამბორი, რითაც მეოცე საუკუნეში თქვენ ყველას აფრთხობთ.  
რომ მაგ თქვენი სავარძლიდან რკინის ეგ ორი კვადრატული საშინელება კი  
არადა, მაშინები იყოს გადმოკიდული, რომ მათ მოსკოვის ქვეებზე კი არა.

1 სიურპრიზების კოლოფი (ფრანგ.).

2 უსახელოს (ფრანგ.)

3 ამოღით! და მოკვდით! მოკვდით! (ფრანგ.)

საერთოდ არსად გაევიწყლოთ და ისეთი ლანჩები ჰქონდეთ, ჯერ ფეხაუდგმელ ბავშვს რომ აქვს ხოლმე. რამეთუ თქვენ ხართ (სულ ვეძებთ სიტყვას, თქვენთვის შესაფერისს — საუნჯე? განძი? joyau? bijou?) — kleind! რასაც მოსკოვში ახლა, ამ ცხრამეტ წელში მხოლოდ მე ვამჩნევ, თუმცა არაფრის გაკეთება თქვენთვის არ ძალმიძს.

ბიზლიფისეკა

— ოი, მარინა! როგორ შემრცხვა მის წინაშე ამ ჩემი დაბალი, კვადრატული, ჰვინტებმრგვალი ფეხსაცმელისა!

„მის წინაშე“ — ამჯერად იურა არ იყო. ჩემს ცხოვრებაში სონეჩკა და დიდზე დიდი მწუხარება ერთად მეწვია, იმ დღეებში, როცა ალექსეი ალექსანდროვიჩი სტახოვიჩი გარდაიცვალა. რა იყო ჩემთვის ალექსეი ალექსანდროვიჩი სტახოვიჩი — უკვე სადღაც და ოდესღაც მაქვს მონაყოლი, აქ მხოლოდ ჩემს გამოუქვეყნებელ ლექსს მოვიყვან, მისადმი მიძღვნილს:

ასმა ბებერამ ვერ დამალა სისხლი და ჯიში,  
ვერ გაიხწორებ ხელებს, თუნდაც ნაჯახით ჩეხო!  
ჯიშს შენსას სამი საუკუნის არა აქვს შიში —  
ხარ დაკარგული ძველი განძის ხშიერი ექო!

ასე მგონია, სულ ვერსალის სუნთქავ ჰაერით,  
თუნდ სულ იბოლო — როგორც ბოლავ — შენს შავ ტაფასთან!  
ვერ დაიმოკლებ კისერს ბლუზით ვერანაირით,  
და ვერც სხვა მოვა უსახელო შენს დიდებასთან!

თოვლი და საუა დაგაწვება, როგორც სახურავს! —  
მაინც ვერ მოხრის ლარივით ზურგს საუა და თოვლი!  
ბატონკაცური ახირებით — ეს სამსახური  
თავად ისურვე, თვით ინებე — ამაყმა ყოვლად!

მაგრამ თუ ბავშვი გაუწოდებს ყვავილს — ოცნებას —  
ის გაიხსენებს უკვე წარსულ თავის ცხოვრებას,  
და სწორედ ისე, დედოფლისთვის რომ უკოცნია —  
მიღებით დაღლილს ხელზე კრძალვით ეამბორება!

ერთმა მსმენელმა უმალ ეს მკითხა: „რას ნიშნავს: მიღებით დაღლილსო?“ „როცა კაცი, გამყიდველი, იღლება ხოლმე ფულის მიღებით“. (თვალეებში კვლავ გაუგებრობა.) „ჰო, იღლება ფულის მიღებით — რამის გაყიდვით“. „— განა ეს ხდება?“ მე უმალ. „და მერე როგორ. ლევ ტოლსტოისა ცხომ ასე დაემართა: დაღალა იასნაია პოლიანასა და გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის თხზულებათა შემოსავალმა და — გაიქცა კაცი“. „მაგრამ ეს ხომ გამონაკლისი შემთხვევაა, ის ხომ გენიოსია, თქვენ კი (ჩემი თანმოსაუბრე პოლონელია) „ბაღდატ“ ამბობთ“. — „ჩემი ბაღდატ — ქალი გახლავთ, მიღებას კი მოთმენა უნდა, ხოლო ქალებს გენიოსებზე უფრო ნაკლები მოთმინება აქვთ, ჰოდა, ჩემმა „ბაღდატ“ სტახოვიჩის უმალ ვარდი მიართვა!...“

დავძენ იმასაც, რომ სონეჩკა და სტახოვიჩი ერთ სტუდიაში — მეორე

<sup>1</sup> განძეული (გერმ.)

სტუდიაში იყვნენ ერთად, სადაც სონეჩკას „თეთრი ღამეები“ მილიოდა ერთადერთი მოქმედი გმირით — სონეჩკათი, და „მწვანე ბეჭედი“ ერთადერთი მოქმედი გმირით — სტახოვიჩით (ბეჭედრ — იგივე ახალგაზრდობა).

სწორედ ამ lesson-ზე მიაბობდა bon ton, maintin, tenye<sup>1</sup> სონეჩკა, როცა თავისი ჭკინტებმრგვალ ფეხსაცმელზე თქვა.

— ოი, როგორ მრცხვენოდა, მარინა, ყოველ ჯერზე ლამის სირცხვილით დაემწვარიყავი. მაგალითად, იგი გვიხსნის ქალმა თავი როგორ დაუკრას, ხელი გაუწოდოს, სტუმარი როგორ გაისტუმროს ან, პირიქით მიიღოს ხოლმე. „გამიგეთ? მაშინ აბა ვინმემ გვაჩვენოს. არავის შეუძლია? აბა ისევ თქვენ, სონია გოლიდეი“. მეც გავდივარ, მარინა, სირცხვილით ცოცხალმკვდარი ამ ჩემი დაბალქუსლიან, ტლანქი, ხარისდრუნჩა საშინელი ფეხსაცმლის გამო. ასეთი ფეხსაცმლით გაიარო მთელი დარბაზი — მერე ვის წინაშე? ვისაც ყველა სამეფო კარის მეჯლისებზე უცეკვია, ისეთ ფეხსამოსს... ისეთ ფეხებს მიჩვეულია... მაგრამ მაინც გავდივარ ხოლმე, იმიტომ რომ სხვა ვინ გავა, სხვა უფრო უარესია, განა ჩაცმულობით, არამედ ჩემზე ნაკლებ შემძლები ხელის გაწოდების, ვისიმე გასტუმრების. ოი, მარინა, როგორ შევძლებდი ყველაფერს, ეს ფეხსაცმელი რომ არ მცმოდა! ეს ყოველივე ხომ ჩემს არსებაში ისე ღრმადა ზის, მე ხომ სისხლში მაქვს ეს ყველაფერი! მაშინვე ყველაფერს — ვხვდები! თვითონაც მუდამ მაქებდა — იქნებ დანუგეშება უნდოდა ჩემი ამ საზიზლარი ფეხსაცმლის გამო? — „დიახ, დიახ — სწორედ — ეგრე...“ არც არასოდეს დამხედავდა ფეხსაცმელზე, თითქოსდა ვერც კი ამჩნევდა, რარიგ სირცხვილით — მწვაფდნენ ისინი. არც მე არ დაეყურებდი, მე ხომ მანამდე მეშინოდა, იმ წუთამდე, ვინემ მეტყოდა: „აბა თქვენ, სონია გოლიდეი!“ ჰოდა, რომ მეტყოდა, მორჩა, უკვე თავისუფლად გავდიოდი, იმათზე აღარ ვფიქრობდი — ოი, მარინა! ჩემთვის აღარც კი არსებობდნენ, მაგრამ მის თვალებს არაფერი ეპარებოდა იმიტომ, რომ როცა ერთხელ ერთმა ჩვენმა მოწაფემ უთხრა, არ შემიძლია, ვინაიდან ფეხსაცმელები მამძიმებსო, ასე უპასუხა: „რაც უნდა გეცვათ ფეხზე — მიმოხვრას ეს ვერ შეცვლის. შეხედეთ სოფია ევგენიევნას: განა ვინ იტყვის, რომ თითო ფუთი რკინა ჰკიდია ბონივარის ტყვესავეთ ფეხზე?“

— სონეჩკა, არ წავიკითხავთ ზღაპარი პატარა ალზე?

— დანის წვერებზე რომ ცეკვავდა? მაგრამ ეს ხომ ათასჯერ უფრო იოლია, ვინემ უთოები როცა გკიდია... ეს ჩემი საყვარელი ზღაპარია! რამდენჯერაც არ წავიკითხავ, სულ ჩემი თავი მგონია. როგორ უნდოდა ამოცურვა — და ამოცურა, დაინახა წყლის ზევით მყოფი ეს ქვეყანა და მარმარილოს ის მკვდარი ბიჭი, უფლისწული რომ იყო თურმე... როგორ ჩაუდგა სული — თვით კი დამუნჯდა — როგორ ცეკვავდა მერე მის წინ მუნჯი... ოი, მარინა, ამაზე მეტი ბედნიერება რაა — ასე გიყვარდეს... სულს გავიღებდი საამისოდ! აჰ, მარინა! როგორ მიყვარს, ვინმე რომ მიყვარს! გაგიყვებით მიყვარს — თვითონ რომ მიყვარს! დილიდან, არა, დილამდე, აი იმ დილამდელ ხანს — ჯერ კიდევ გძინავს და უკვე იცი, რომ ისევ და ისევ... ოდესმე დაგვიწყებიათ, ვინმე რომ გიყვართ? მე — არასოდეს. ისეა, როგორც კბილის ტკივილი — ოღონდ პირუკუდ, იქ გიყუის, აქ კი — ვერ იტყვი, ვერ გამოთქვამ. (წამით

<sup>1</sup> გაკვეთილები... კარგი ქცევის, თავდაპერისა... (ფრანგ.)

დუმილი: მღერის?) აი, როგორც შაქარი და მარილია ერთმანეთის საპირისპირო, ოღონდ ერთი ძალისა. ოი, მარინა! რა საოცარი ბრიყვი ხალხია.

მე — გაოცებით:

— ვინ?

— აი, ვისაც არ უყვარს, თვითონ არ უყვარს, თითქოსდნენ მხოლოდ — შენ უყვარდე. მე არ ვამბობ... რა თქმა უნდა... — იღუმტარ და მალა გეცლება — ასე გგონია, კედელს ეხლები. მაგრამ, მარინა, — იღუმტალი ხმით, — მე ხომ კედელიც შემიძლია შევიყვარო! აი, იუროჩკას... ზოგიერთ წუთს... თითქმის შეყვარებული თვალები აქვს! მაგრამ — მგონია — ძალა არ ჰყოფნის ამის სათქმელად, მთას ურჩევნია შეეჭიდოს ასაწევად, ვინემ ეს ზგიტხრას, ვინაიდან სიტყვას ვერაფერს შეაშველებს, მე კი იმ მთის გადაღმა — კიდევ სხვა მთა მაქვს, კიდევ სხვა მთა და კიდევ სხვა. მთა... — სიყვარულის მთელი ჰიმალაები! ვინც ყველაზე მეტს იკოცნება, ვინც თითქოს ყველაზე მეტად მოყვარულია, შეგიმჩნევიათ, რარიგ უფროთხის ამ სიტყვის თქმას, რარიგად არ ემეტება?! ერთმა მითხრა, ეს... ეს გრძნობის სიტლანქეაო... — ჩაიფრუტუნა, — მოძველებული რალაცაო, სიტყვა რის მაქნისია — როცა საქმეზე მიდგება საქმე! (ანუ კოცნები და ასე შემდეგ.) მე კი ვუთხარი: „ეჰე! არა! საქმე ჯერ კიდევ არას ამტკიცებს, სიტყვა — ყველაფერს!“ მე ხომ მართო ეს მინდა მითხრას: მიყვარხარო, სხვა არაფერი, მერე რაც გინდა ის გააკეთოს, თუნდაც ნუ ვეყვარები, მე საქმეებს არ დავუჯერებ, იმიტომ რომ სიტყვა — უკვე ნათქვამი არის. მე მხოლოდ ამ სიტყვით ვცოცხლობ, ის მასაზრდოებს, იმიტომაც ასე დაემტკლევდი. ჰოი, რა ძუნწი, რა ანგარიშიანი და მფრთხალი ხალხია, სულ მინდა ვუთხრა: „შენ ოღონდაც თქვი, მე — შემოწმებას არ დავიწყებ!“ მაგრამ არა, არ ამბობენ, ვინაიდან ასე ჰგონიათ, მაშინ — ცოლად უნდა შეგიერთოს, დაიბორკოს, ვერ აიბორკოს. თუ პირველმა ვთქვი, პირველი ვერც ვერასდროს მივატოვებო. (მეორენიც არ ამბობენ, არცთუ სხვა მომდევნონი). თითქოსდა შეიძლებოდეს ჩემგან პირველი არ წავიდეს, პირველმა არ მიმატოვოს!

ცხოვრებაში არ ყოფილა — მე პირველს ზურგი შემექციოს და არც შევაქცევ, რა ხნის სიცოცხლეს არ მომცეს ღმერთმა. უბრალოდ არ შემიძლია, ძალა არ შემწევს — მუდამ ვუცდი, სხვამ მიმატოვოს, იმიტომ რომ პირველმა მივატოვო — ეს იგივეა, ჩემს გვამს მე თვითონ გადავაბიჯო. (რა საშინელი სიტყვაა, არა! მკვდარი სიტყვა. ოი, მივხვდი. ეს ის მკვდარია, ვინც არავის არასოდეს არ ჰყვარებია. მაგრამ ჩემთვის ასეთი მკვდარიც არ არსებობს!) პირველს ჩემს გულში არავისთვის მილაღატნია, პირველმა გადავიყვარო, ჯერ არ მომხდარა. მუდამ, ყოველთვის — ვიცდი, ვინემ გაძლება შემწევს, ვინემ უკანასკნელი წვეთი დარჩება — აი, როგორც ბავშვობაშია, ჭიქას გამოსცლი, დაგცხება კიდევ, და მაინც სრუტავ, თუმცა შენს ანაორთქლს სრუტავ მართოდენ!

აჰ, იცით, ოღონდ არ დამცინოთ, — ეს სულ მოკლე, ხანმოკლე შეხვედრა იყო — ერთი ტურნეს დროს — თუ ვინ, არაა, მგონი, საჭირო — სულ უმაწვილი — გაგიჟებამდე შემიყვარდა, იმიტომ, რომ ყოველ საღამოს ღარიბად, ცუდად ჩაცმული პირველ რიგში იჯდა ხოლმე. განა ფულის გამო, არა, საამისო ფული სად ჰქონდა, თვალების გამო იჯდა მხოლოდ. მესამე საღამოს კი ისე მიცქერდა — თითქოს ან თვალები გადმოუცვივა, ან საცაა სცენაზე ამოხტებო. (ვლაპარაკობ, დავდივარ, ცალი თვალი კი სულ მისკენა მაქვს:

რას შერებდა-მეთქი? არა, იქაა, ზის და ზის მაინც.) ოღონდ ამას მიხვედრა უნდა! ვინაიდან ეს არ იყო ისეთი მზერა, როცა კაცი თვალებითა გჭამს (ის ხომ თითქმის ბიჭი იყო) — არა, იგი თვალებით მსვამდა, მონუსხულივით მიცურებოდა, გეგონებოდა, ჩემი ყოველი სიტყვითა თუ მოძრაობით მრჩებოდა და ფიქრით, თითქმის თოკით — ვეწეოდი და ტანზე ვიხვევდი — აღსანიშნავი ასეთი გრძნობა — კიდევ სჩვევიათ მევიოლინეთ, უფრო სწორად, ქამანებსა — და მდინარეებს... და კიდევ ხანძარს!.. თითქოსდა მე ცეცხლი ვიყავ და ის საცაა ამ ცეცხლში შემოხტებოდა. თავად არ ვიცი, როგორ დავამთავრე, მოვრჩი თამაშს. რადგან, მარინა, ისე მეგონა, ფეხი დამიცდებოდა და — იმ თვალეში ჩავვარდებოდი. როცა ბოლოს კულისებში შევხვდი იმას (ვიცი, საშინელა უხამსობაა, მაგრამ ყველაფერი უხამსობაა, სად და როგორაც არ უნდა მოხდეს, ის კლდეებიც, დ, ანუნიცოს ქალწულები რომ ისხდნენ ხოლმე — სულაც არაა უკეთესი!).. და, როცა იმ უბადრუკ კულისებში ვაკოცე იმას, არაფერი არ მიგრძვნია გარდა იმისა: ქალი გადავრჩი!.. ეს ძალზე ხანმოკლე იყო. სათქმელი არა გვქონდა რა. ჯერ სულ ლაპარაკად ვიყავ ქცეული — მერე დავდუმდი. ვინაიდან არ შეიძლება, მე — არ შემიძლია ჩემი სიტყვების საპასუხოდ — მხოლოდ მზერა, მხოლოდ კოცნა მივიღო ხოლმე! პოდა, ვწევარ ერთ დილას, არა, დილაც არ იყო, მძინავს, არა, აღარ მძინავს, და უცებ ვამჩნევ, რომ სულ რაღაცას ვიმეორებ პირით, ტუჩებით ვიმეორებ... მივაყურადე — იცით, თურმე რას ვამბობდი? რა იქნება, სულ ცოტა კიდევ თავი მომაწონო! სულ ცოტა კიდევ, თუნდ ერთი წუთით, თუნდ ერთი წამით თავი მომაწონო!

— მერე?

— ვერა, ვერ შეძლო.

— რა ვერ შეძლო?

— სულ ცოტა კიდევ — თავის მოწონება. ვერც შეძლებდა — გინდ გაეგონა. იმიტომ რომ მას, მძინარეს, კი არ ვთხოვდი, არა — ჩვენ ბინა სხვადასხვა ადგილას გვქონდა და საერთოდაც... — მე ჰაერს ვეხვეწებოდი, იქნებ — ღმერთსაც, ანდა უბრალოდ ჩემს საკუთარ თავს, სულ ცოტა კიდევ შევძლო-მეთქი.

— მერე?

თვალეგაბრწყინებული:

— შევძელი მაინც. იმან ვერა — მე კი შევძელი. და არასდროს არ შეუტყვია. ყველაფერი კარგად მოეწყო. მამაჩემი, გოროზი გენერალი, ვითომ მოსკოვში იყო და არც იცოდა, მე თუ სცენაზე ვთამაშობდი: მე ვითომ მეგობარ ქალთან მივდიოდი (თორემ იქნებ გამომყოლოდა, გამნათებელიც გამხდარიყო?!)— და არც არასდროს დავივიწყებდი (ამას არა ვტყუოდი), ხოლო როცა მატარებელი უკვე დაიძრა — ხალხში მე არავის არ ვკოცნი ხოლმე — მის ვარდებს ფანჯარაში ვაკოცე მხოლოდ... ვინაიდან სიყვარული სიყვარულია, მაგრამ სამართლიანიც ხომ უნდა იყო. განა რა მისი ბრალია, რომ აღარ მომწონდა. ეს ხომ უბედობაა და არა ბრალი. ჩემი უბედობა და არა მისი ბრალი. ჩემი უნიჭობა. ეს იგივეა, სერვიზი დაამტვრიო და გული მოგივიდეს, რკინისა რატომ არა იყო. პიესა კი — სადაც ერთმანეთი შევიყვარეთ — იური სლეზკინის პიესა იყო. რა სასაცილო გვარია, არა? ჩემთვის ზედგამოჭრილი. ჩვენმა ანტრეპრენიორმა ასეც მითხრა: „სულ ცრემლად რომ იღვრებით, პატარა სო-

ნია, იური სლუბკინს მისთხოვდით ბარემ“. — საქმიანად: — მარინა, იგი ბებერია?

(ვიცი, თხოვრის მთლიანობას რომ ვარღვევ ახლა, მაგრამ სიმართლე ჩემთვის მხატვრულობაზე მეტად ფასობს.

ეს „მომაწონე“ ჩემი მეორე პლაგიატია:



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როგორც ის — ჭლექით შეპყრობილი — სულ რომ კვნესოდა, მომაწონეო ერთხელაც თავა!

და შემდეგ:

როგორც ის ჭლექით შეპყრობილი — რომელიც ყველას ევედრებოდა: მომაწონე ცოტათი თავი!

და ბოლოს:

ვით ის — მატროსთან, მეც, ცხოვრებავ, შენთანა ვარ და შენ გევაჭრები: მომაწონე, თუნდ წამით, თავით!

ასე ნელინელ, მიყოლებით, თანდათანობით შემოვიინახე, ლექსში გავასრულე და დავასრულე სონეჩკას მთელი სახვეწარი, ვინაიდან იგი ასაკით უფრო დიდი რომ ყოფილიყო, სწორედ ასე — დაასრულებდა.)

— აბა, სონეჩკა, სტახოვიჩზე განაგრძე ისევ. თავის დაკერის, მისალმების სწავლების გარდა კიდევ რა იყო გაკვეთილებზე?

— რაც გინდა, ყველაფერი. მაგალითად — თმა როგორ დაივარცხნო. „ქალის თმამ უნდა გამოკვეთოს — შეინარჩუნოს — დაინარჩუნოს თავის მოყვანილობა; არანაირი თმის აბუება, თმა მხოლოდ — და ისიც ზუსტად — თავს უნდა შემოეველოს, რათა სახე არ ჩაიკარგოს, სახე მთავარი დარჩეს. შუაზე გაყოფილი და უკან სწორად გადავარცხნილი, ყურს ნახევრად რომ ფარავდეს — აი, როგორც თქვენ გაქვთ ხოლმე, სონია გოლიდელი“. „ალექსეი ალექსანდროვიჩ! მე ხომ სწორი თმა არა მაქვს!“ — ვამბობ სიცილით. „პო, მაგრამ ეს ბუნებრივი ხვეულებია, ბუნებრივად დატალღული, ჩარჩო კი იგივეა — ოლონდ — ცოტათი — როკოკოს მსგავსი... მე ვამბობ საერთო ხაზზე: თქვენი სადა და მშვენიერია, დიახ, დიახ, — მშვენიერი“. (ოი, რარიგად ვამაყობდი იმ წუთებში! რადგან ვგრძნობდი: არა მარტო ვინც წინ ედგა, იმათგანაც კი, ვინც უკან ედგა — გამომარჩევდა!..) კიდევ იმაზე, როგორ უნდა მოიქცე, როცა, ვთქვათ, ქუჩაში წინდა ან სხვა რამ ჩაგიცურდა: „ვისაც არ უნდა მიჰყვებოდეთ, — დინჯად მოშორდით და აუჩქარებლად, უფაციფუცოდ გაისწორეთ, რაც საჭიროა... არ გამოქაჩოთ, არ იჩქაროთ, არც მაინცდამაინც მალვით, ფარულად — არამედ დინჯად, მშვიდად... აბა გვიჩვენეთ, გოლიდელი! აი, არბატზე მივდივართ და უცებ იგრძენით, წინდა ჩაგვარდათ, კიდევ სამი ნაბიჯი და სულ მთლიანად ჩაგიცურდებათ... რას გააკეთებთ?“ მეც — ვაჩვენე. განზე გავედი, რეზინა მოვიძიე, მივაგენი და — დინჯად, მშვიდად, აუჩქარებლად... „ყოჩაღ, ყოჩაღ! თუკი მართლა ყველა თანხმლებთან, ვინც უნდა იყოს, (საოცარი და საწყალი, დამცინავი ღიმილით თანაც,) და არა მარტო ჩემისთანა ბებერ მასწავლებელთან ასეთ სიმშვიდეს შეინარჩუნებთ...“ ერთ-

ხელაც ველარ მოვითმინე და შევეკითხე: „ალექსეი ალექსანდროვიჩ, საიდან იცით ეს ყველაფერი? წინდების, ზონრების, ჩვენი გრძნობების, თმის ამბები?.. საიდან გვიცნობთ ასე კარგად — თავით ფეხამდე?“ მან კი დინჯად (ისე დინჯად, რომ ჩემ გარდა ყველამ ირწმუნა) ასე მითხრა: „ეს ყველაფერი რომ იცოდეს ჩემისთანა მოხუცმა კაცმა, გასაკვირი არაფერია, მაგრამ თქვენ კი, პატარა გოგოს, ეს შეკითხვა რამ დაგიბადათ?“ ოღონდაც მუდამ, სულ მუდამ მე ვაჩვენებდი, მუდამ, სულ მუდამ ჩემზე აჩვენებდა, როგორ უნდა, ხოლო სხვებზე — როგორ არ უნდა. ბიჭებმა ასეც შემარქვეს: სტახოვიჩის მაგალითით.

— გოგოებს შურდათ?

იგი ზეიპით:

— შურით სკდებოდნენ!! ეს ხომ ისეთი პატივი იყო! იგი ხომ ყველას გასაოცრად უყვარდა ჩვენთან, არადა, ნეტა გაცოდინათ, რა კეკელები არიან და თანაც რა უტიფრები, გაფხორილები! რა კულულებით! — ფრუტუნით. — თუმცა კი ლამაზი ფეხსამოსი აცვია ყველას.

— რატომ, სონეჩკა, ნუთუ ასე ცოტა ფულს იღებთ?

მან — უწყინარად:

— სხვებს ქმრები ჰყავთ, ვის ერთი, ვის ორი ქმარი. მე კი — იურები, კიდევ დედა და ორი და მყავს. თანაც...

— კალმით ნახატები. ვიცი, ვნახე. თქვენ კი საწყალი ობოლი ხართ, ვინაც ნაცარში უნდა იქექოს მაშინ, როცა სხვები ცეკვავენ. მაგრამ მსახიობი ხომ მაინც თქვენ ხართ.

— სამაგიეროდ ისინი ჩემზე უფროსებია. არა, მარინა, მამა რომ მოკვდა, მაშინვე მივხვდი — და ასეც გადავწყვიტე. ესენი კი — ფეხზე მაჩვენა, — მაინც მძულან. ჯერ თავიდან რამდენი ცრემლი მალვრევინეს. ვერამც და ვერამც ვერ შევეჩვიე.

— ოი, საშინელება იყო, მარინა! თეატრში ტიფის შემდეგ პირველად როცა მოვიდა — ჩაუვლიდნენ და ვერც კი სცნობდნენ, ისე იყო თურმე შეცვლილი, დაბერებული. მერე უთქვამს ერთი ჩვენი სტუდიელისთვის: მე ყველასთვის უმაქნისი ბეხრეკი ვარო... არადა, როგორ მღეროდა ხოლმე, რა ხმა ჰქონდა!

(ესხედვართ ზემოთ, იმ ჩვენს ცარიელ ფიცრულ სამზადში, ბავშვებს სძინავთ, მთვარეა ცაზე...)

დიახ, ეს იყო ვალხის ვცეკვავდით  
ძველებურ, ძვირფას

ვალხსი

სიქაბუკეში თითქო მიყვარდით,  
თითქო გეტრფოდით, თითქო გელტვოდით,  
როგორც მშვენიერ ქალს!

„ალექსეი ალექსანდროვიჩი ეს თქვენ — მიუმატეთ. ეს ხომ არაა სიმღერაში!“ — სიცილით ვეუბნებით. „ჩემსაში — არის!“

ალექსეი ალექსანდროვიჩი, თქვენ, ვინც იცოდით ფასი ქალების — ფასი მარგალიტების — და კიდევ სულის რაობის — ჩემი სონეჩკა სულზე მეტად

რატომ არ შეიყვარეთ? მის ირგვლივაც ხომ „მეთვრამეტე საუკუნის“ სურნელი იდგა? ან რა მიზეზით ვერ გადაურჩით, რა დაგაკლდათ ამ საშინელ მარტს? რა მიზეზით ვერ გაუძელით თუნდაც კიდევ — ერთი საათი?

არადა, იგი გვერდით იყო — სიცოცხლით სავსე, მომჭიბველად ვისაც შეეძლო, ვინც მზად იყო შეყვარებოდათ, თქვენი გულისთვის — მარტსა და იყო — ვინც უსიყვარულოდ კვდებოდა და იღუპებოდა.

იქნებ გეგონათ: მას სხვები ჰყავსო, ახალგაზრდები... ვიცი, ვიცი მე ის სხვები! და თქვენც — იცოდით.

როგორ დატოვეთ მაინც ასე — სხვების ამარა, დატოვეთ იმ ბიჭუჭების, ყველასი და ყოვლის ამარა, ვისაც ასე ამაოდ და უნაყოფოდ ასწავლიდით „bon ton. maintien. tenue“...

თუმცა ერთი მათ შორის ერთი... მაგრამ იმაზე — შემდგომ იყოს.

თეატრში იგი არ უყვარდათ. მას — გვერდს უვლიდნენ, რაზეც ხშირად შემჩივლია ჩემს მეგობარ ვახტანგ მჭედლოვისთვის (ამ რეჟისორმა იგი მოსკოვს აღმოუჩინა).

— მარინა ივანოვნა, ტყუილად გგონიათ — მძიმე ქალია. არა, ჟინიანით, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ, ასე ვთქვათ, უპატივცემლო. არასოდეს არ იცი კაცმა, შენს შენიშვნას როგორ მიიღებს. ზოგჯერ კი უადგილო კისკისს ატებს (თვით — საოცარი მელანქოლიკოსი ვინმე გახლდათ) — შენ ეუბნები, ეგ თვალეში გიყურებს — და ისე კისკისებს, ბოლოს შენც კი გაგელიმება, და გაკვეთილსაც — გამოეთხოვე. შენს პრესტიჟსაც. აბა რას უზამ? პატივმოყვარე — სულ არაა, მაგრამ — უფლებისმოყვარეა, თავისნება, მე ვიციო, როგორც უნდა — და მორჩა, ვერა ძალით ვერ შეაგონებ.

— არადა, იქნებ მართლაც იცის და მართლაც ასე უნდა?

— მაშინ საკუთარი თეატრი უნდა ჰქონდეს, ჩვენ კი — სტუდია ვართ, ერთად ვმუშაობთ, ერთად ვცდილობთ... მიზანს ერთად ვაღწევთ.

— მაგრამ თუ თვითონ თავიდანვე მიაღწია?

— ჰმ... „თეთრ ღამეებში“ — რა თქმა უნდა, ისე კი ეგ თავის თავის მსახიობია, თავის სიმალლის, თავისი ხმის, თავის კისკისის, თავის ცრემლების, ნაწნავების... გასაოცრად ნიჭიერია, თუმცა დღემდე არ ვიცი, ეს ნიჭი მსახიობის — ადამიანის — თუ ქალისა მოდგამს... თავით ფეხამდე — მეტიმეტად თავისებური, განსაკუთრებული ვინმე გახლავთ, ანსამბლში ვერ გამოდგება; მხოლოდ ეგა ჩანს!

— თქვენც ადექით და მთავარ როლებში ათამაშეთ!

— ყოველთვის ამას ხომ ვერ შეძლებ და არც ყველა მთავარ როლში გამოდგება — თუნდაც გარეგნული მიზეზის გამო, ძალზე პატარაა. მაგისტრის საგანგებო რაღაც უნდა დადგა: შუა სცენაზე დააყენო — და მორჩა. როგორც „თეთრ ღამეებში“. იცის, უნდა და შეუძლია ყველაფერი — თავად, მისითვე. რეჟისორმა აქ რა გააწყოს? (მე, ფიქრში: „მუხლი მოიყაროს“.) გარდა ამისა, ჩვენ ხომ სტუდია ვართ, ხომ არსებობს სამართალი, რომ სხვებმაც თავი გამოიჩინონ. ეგ დასავლური თეატრის მსახიობია, არა რუსულის, მაგისტრის უნდა ცალკე პიესა დაწეროს ვინმემ...

— ვახტანგ ლევანოვიჩ, თქვენს ხელთ — საოცრებაა.

— მაგრამ მე რა ვქნა, თუკი ეს — არა მჭირდება?

— თქვენ არ გჭირდებათ, სხვას მიეცით. კარგ ხელს ჩაუგდეთ.



— კი მაგრამ, სად, ვის?

— მე გეტყვით, თუ ვის: თქვენივე საბრალდებულო აქტიდან გეტყვით: ეს ხელი — მეთვრამეტე საუკუნისა უნდა იყოს, მელანქოლიკოს და მეცენატ/ინგლისელისა, ხელი, რომელმაც ციმციმ უნდა ატაროს — იმ დროის გარდა, როცა მის წინ მუხლებზე არ დგას. მისდა საუბედუროდ, არ დგებდა. საუკუნის წინ და არა ჰყავს ორი მოყვარული, ძლიერი ხელი — კიდევ საკუთარი ვარდისფერი თეატრი — თავის ნიჟარა. განა ვერ ხედავთ, ეს რომ — ბავშვი-მსახიობია, თქროს კარეტით მოქროლილი, ჩიტი-მსახიობი, ადელი-ნა პატი. oiseau-mouche<sup>1</sup> და არა თქვენი მეორე თუ მესამე სტუდიელი? რომ მას თაყვანის და არა ლაზვრის ცემა სჭირდება?

— მერედა, ვინ სცემს ლაზვარს? იქით ჩაგცემს! თქვენ რა იცით, რანაირი ენაკვიმატი და ზღარბივით ეკლიანია, ვერავის ვერ ეთვისება... იქნებ სული მშვენიერი აქვს, მაგრამ ხასიათი — საშინელი. მარინა ივანოვნა, არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენ მაინც — მას არ იცნობთ: იცნობთ ადამიანის, პოეტის თვალით, როცა თქვენთან, თქვენ გვერდით არის, მაგრამ ხომაა პროფესიული გარემო კიდევ, ამხანაგური. არა, ვერ ვიტყვი, როგორც ამხანაგი, ცუდია-მეთქი, უბრალოდ — ამხანაგობის არა სცხია რა, მისდათავადი ვინმე არის. თუ გაგიგიათ სტანისლავსკის „წრეში შესვლა“? ჩემი და თქვენი სონეჩკა კი — პირწმინდა წრიდან გამოსვლაა. ანუ — პირწმინდა ცენტრი... თან საოცრად ენამწარე! გახუმრებაც არ შეიძლება — მაშინვე ტირის და უმალ — ისეთ გესლიან რაღაცას გეტყვის... ზოგჯერ არც იცი: ბავშვია? ქალი? თუ ჰაჯი ვილაც? ვინაიდან ზოგჯერ მართლა ქაჯად იქცევა!

(წამით თავში გამიელვა: ვინც უყვართ ხოლმე, ასე იმაზე ამბობენ მხოლოდ, ვინაც აღრე უყვარდათ! მაგრამ მასზე სხვანაირად არავის უთქვამს, ყველასთვის ხინჯივით იყო და არ უყვარდათ — ამის გამო.)

— მარინა! დღეს საოცრად მატკინეს გული!

— ისევ იმ ჩვენმა ანგელოზმა?

— არა, ამჯერად იმან არა, სულ პირიქით! გადაწყდა, რომ ჩვენთან „ოთხი ჭინკა“ დაიდგას. მე კი ერთიც არ შემახვედრეს, თუნდაც მეოთხე! თუნდაც სულ პატარა! თუნდაც მეხუთე!

(აი, მაშინ თქვა ის სიტყვები დაუვიწყარი: „იმხელა ცრემლები ვლვარე-თვალეში ვერ მეტეოდა!“)

კი, ავგული ეგონათ იგი. თუმცა ჩემთვის პირში არ უთქვამთ — რადგან მე მასზე ავგულად მთვლიდნენ. მაგრამ ჩემს აღტაცებას მისი სიკეთით — ან სიჩუმით — ან ჩაზმუვლებით პასუხობდნენ. არადა, სიცოცხლეში არ შემხვედრია უფრო უბრალო, უფრო ნათელი, უფრო მეტყველი სიკეთე — კაცის. სხვისთვის ყველაფერს გაიღებდა, ყველაფერი ესმოდა და გაეგებოდა, ყველა ეცოდებოდა. „ავგულობა“ კი? — ეს ან შეკითხვა იყო, როგორც მე და ხოდა-სევიჩს გვჩვეოდა ხოლმე, ან, უფრო სწორად — პასუხი, კიდევ უფრო სწორად — რიპოსტი ენის ნიჭისა, ენის ხურდა ან კიდევ რიპოსტი — კატის თათის.

Petite fille modèle - et Bon petite Diable. Toute ma petite სონეჩკა -

<sup>1</sup> კოლიბრი (ფრანგ.)

innuence — tenue dans la C-tesse de S'egur. On n'est pas compatriotes pour rien!"<sup>1</sup>

(გრაფინია დე სეგური დიდი მწერალი ქალი გახლავთ, რომელმაც სულელურად ბებიად ჩათვალა თავი და მხოლოდ ბავშვებისთვის წერა. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მის ზღაპრებს «Nouveaux Contes de Fées» (Bibliothèque Rose)<sup>1</sup> — მის ნაწერთაგან ყველაზე ნაკლებად ცნობილს და ყველაზე საუკეთესოს — დიახაც იშვიათ ზღაპრებს და დიახაც ერთპიროვნულთ (ხალხურ ზღაპრებიდანაც კი ნასესხები არაფერია), ზღაპრებს, რომელთა ერთგულიც აგერ უკვე ოთხი ათეული წელია ვშთები, რომლებიც აქ, პარიზში ოთხჯერ გავასაჩუქრე და სამჯერ დავინარჩუნე, რამეთუ ვიტრინაში მათი დანახვა ჩემთვის — უცილობლად ყიდვას ნიშნავს.)

კიდევ ორიოდ სიტყვა ვახტანგ მჭედელოვზე — საბოლოოდ რომ უსამართლო არ გამოვიდეს. მას საოცრად უყვარდა ლექსი, იყო ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი, ჭეშმარიტად კაცური კაცი და უსაზღვროდაც მერჩია იგი ყოვლად ბრწყინვალე ვახტანგოვს (ანუ სონეჩკას „ევგენი ბაგრატიონოვიჩს“), ვისგანაც ქროდა კი არადა, ძალუმ ბერავდა — სიცოცვე გონის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი „ფანტაზიას“ ეძახის ხოლმე. სიცოცვე და უნაყოფობა თვითონ სიტყვა „ფანტაზიისა“. (თეატრალურის მხრივ იქნება ვცდები, ადამიანურის — არა მგონია.) და თუ ჩემმა ვახტანგ მჭედელოვმა ჩემი სონეჩკასთვის რაღაც ვერ შექლო, ალბათ იმიტომ, ეს რაღაც იყო ყველაფერი, ანუ საკუთარი თვით და ყოვლად განადგურება, არყოფნა, სიყვარული, ანუ ზოგადად დიდზე დიდი უსამართლობა. ვახტანგ მჭედელოვი უდავოდ მჯობდა, მე კი სონეჩკა უფრო მიყვარდა. ვახტანგ მჭედელოვს თეატრი უფრო უყვარდა, მე კი — სონეჩკა. ხოლო რთლი თუ რად არ მისცა „თუნდაც სულ პატარა, მეხუთესიც კი“ — იქნებ იმიტომ, რომ ჭინკა-ჭაჭებიც ალფეგორიულნი და არანამდვილნი იყვნენ, ანუ ჭინკების არა ეცხოთ რა (საეჭვოა, რომ სცენაზე ოთხივე მოქმედებაში ზედიზედ — ოთხი კუდიანი ჭინკა გამოეყვანათ.) ამ პიესას მე არ ვიცნობდი, მგონი კი — ჰერმან ბანგის საცირკო რომან „ოთხი ჭინკიდან“ უნდა იყოს. მე მხოლოდ სიტყვამ მატკინა გული და კიდევ — ცრემლებმა.

ჩემი სონეჩკა არ უყვარდათ. ქალებს — სილამაზის, კაცებს — ჭკუის, მსახიობებს (mâles et femelles<sup>3</sup>) — ნიჭისათვის, იმათ, ამათ თუ სხვებს — განსაკუთრებულობის, განსაკუთრებულობის შიშის გამო.

Toute les femmes la trouvent laide,  
Mais tous les hommes en sont fous...<sup>4</sup>

პირველი — მართალია (ანუ ლექსში, სწორედ პირუკუ), მეორე — არა. სილამაზის, ნიჭისა და გრძნობათ სიფიცხის ყველაზე უფრო გაფურჩქენის ხანში იგი არავის არ უყვარდა, დაცინვითა და... შიშით იჩხუნიებდნენ.

კაცებისთვის იგი საშიში... ბავშვი იყო. არსება და არა ქალი. არ ცოდ-

<sup>1</sup> სამკალოთი გოგო და საყვარელი ქაჯუნა. ჭინკა. ჩემი სონეჩკა — უზომოდ ჭგავს გრაფინია დე სეგურს, ვისი თანამემამულეც ტყუილად არ იყო.

<sup>2</sup> „ჩადოსნური ზღაპრები“ (ვარდისფერი ბიბლიოთეკა) (ფრანგ.).

<sup>3</sup> მამრებს და მდედრებს (ფრანგ.).

<sup>4</sup> მასხვად თვლიდა ყველა ქალი,

ყველა კაცი ჭკუას კარგავდა... (ფრანგ.)

ნენ, ვით მოქცეოდნენ... ვერ ახერხებდნენ... (სონეტის ჭკუას არასოდეს არ ეძინა „დახუჭე, თვალი... ახლა მეორე...“ მესამე კი არ იძინებდა, მუდამ ფიზიკობდა.) ყველას ეგონა (როცა ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა) ჩვენ დაგვიცინისო. რომ მახსენდება, ჩემს სონეტს ვის თავს არჩევდნენ? მანუ ყალბეს, ხელოვნურობას, ცრუქალობას ამჯობინებდნენ — ცრუქალობას და ცრუ კარმენამდე მოყოლებული! (არ დაივიწყოთ, რომ სიყალბის გულისგული, თეატრი გახლდათ.)

რაკი სიტყვამ მოიტანა, იგი უფრო ესპანელს ჰგავდა, ვინემ ინგლისელს. როცა ვთქვი, ნაციონალური არაფერი გააჩნდა-მეთქი, ეს იმიტომ, რომ პირველისგან — მალოროსიულ-ნაციონალურისგან, ყველაზე ტიპურ-ნაციონალურისგან გამომერჩია. ესპანელი ქალის სახე კი — ყველაზე არანაციონალური სახე გახლავთ ნაციონალურ სახეთა შორის, ყველაზე ზოგადი და ერთადერთი: პორტრეტიდან — ალფეგორიამდე, ესპანელი ქალის სახე ეს ადამიანური ქალის სახეა, ტანჯვისა და ვნების ყველანაირი განცდა რომ ძალუძს, ეს — სონეტის სახე გახლავთ.

ოლონდ — გეოგრაფიული და არა ოპერის ესპანელი პატარა ქალი. ქუჩა-ქუჩა დამავალი სიგარეტის ქარხნის მუშა. დააბზრიალე სევილიის შუა მოედანზე და მაშინვე გაითავისებ, მაშინვე შენად გახდი. ვანა ტყუილად შევარქვი მაშინ, თუმცა იმაზე, რასაც ახლა ვწერ, არც მიფიქრია, ჰაიპარად და ერთბაშად მისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჩემს პირველ ლექსში — პატარა სიგარეტის და კიდევ უფრო მიახლოებით: კონსუელა — თუ კონჩიტა — კონჩა. Concha — ეს ხომ თითქმის სონეტია არის.

— კი, კი, მარინა! თი, არა, მარინა! კონჩა — ეს ხომ იგივე დამთავრება და დასრულებაა, ოლონდ უფრო მალე და სწრაფად!

პირველი, მასზე რომ გავიგონე — ინფანტაო — ტყუილად არ უთქვამთ (ინფანტადან სიგარეტამდე — ესპანელი ქალის სახე ყველაზე აკლასობრივი სახე გახლავთ.)

ახლა, როცა ესპანეთი დაგვიახლოვდა, ესპანეთი ჩვენთან უფრო ახლოს მოვიდა, ცრუ ესპანეთი კი უკან მიდგა, უფრო დაგვიშორდა, როცა ყოველდღე ვხედავთ მკვდარ თუ ცოცხალ ქალების და ბავშვების სახეთ, შესაძლოა მის სახესაც გადავეყაროთ: ოლონდ თოთხმეტწლიანთა შორის უნდა ეძიო ერთი შესწორებით — განუმეორებელი უნდა იყოს.

კიდევ ერთს ვიტყვი: ასეთ სახეებს ზოგჯერ მეშხანურ წრეშიც შეხედები, ტურგენევის დროის რუს მეშხანებში. (მთელი ბოლო წლების ტურგენევი — მათი გავლენითაა.) მარმაშის ფარდა და მის უკან — უზარმაზარი შავი თვალები („ვის დაემსგავსა? მთელი მოდგმა თეთრგვრემნები ვართ“). ასეთი სახე უმცროს დებს ჰქონდათ — მეშვიდეს მეექვსის შემდეგ, სულ ნაბოლარას. „ფოსტმეისტერს ექვსი ქალი ჰყავს, მეშვიდე — კალმით ნახატი...“)

გარეუბნებში... მივარდნილ ადგილებში... ქალაქის განაპირა. იქ, საღივ გზები იყრება და შორიშორდება.

ამ სახეს საყურეები დამშვენდებოდა.

და კიდევ — თბილზე, კაკალზე. სონეტია მათი გიჟი იყო, ყველა გამქრალი სანოვაგიდან ყველაზე მეტად მათ ნატრობდა. სიცილი, კბილები, თვით

ლაპარაკი ისეთი ჰქონდა, თითქოს თხილ-კაკალს აცნატუნებს და ჩხრიალებსო, თითქოსდა ციყვის თხილის მთელი მარაგი წამოიმშვარა.

— რა მწვანეებია, მარინა, თუ ჩაკბიჩე — მყავეა, ყველაზე მყავე, ლიმონზე და მწვანე ვაშლზედაც! და უცებ — თრახ! გულზე გამწვანდება, მოყვითალო, ოდნავ ძირმომწვარი, თითქოს დანით ორად გაჭრილი: მრგვალი, მაგარი, ყველაფერზე უფრო მაგარი, თქვენთვის და ჩემთვის. თუმცა მარტო ტყისა არ მიყვარს (მერედა, რა ძნელია მათი მოკრეფა. ზემოთ მტევნებად დახუნძლულა. შენ კი ვერა და ვერა წედები. ჩამოსწევ ტოტს და თრახ! გაგისხლტება, ისევ ზევით დაკონწიალობს, სილურჯეში — ისეთ სილურჯეში, თვალები გეწვის! ისეთი მწვანეებია — თვალები გტკივა! ისინი ხომ ვარსკვლავებს ჰგვანან! ნაჭუჭი — სხივებივით აქვთ!..) მიყვარს ქალაქურიც, ბერძნულიც, ამერიკულიც და კედარისა! — საოცარი პატარა ზანგუნები!.. მთელი ტომსიკა რომ გაქვს! თანაც „ომსა და მშვიდობას“ კითხულობ შენთვის. ომი — არა, მშვიდობა მიყვარს, უნებურად — მთელ გვერდებს ვტოვებ... იმიტომ რომ ეს კაცების საქმეა მხოლოდ, ქალების არა...

...თხილის ჩხრიალი იყო, ნაკადულის ჩქერთა რაკრაკი ქვებზე თუ ქვებისა ჩქერების ქვეშ — ფოთლების ჩურჩულ-შრიალი („არყის ხეზე ქარი ფოთლებს ფურცლავს...“), მუჭში მომწყვდელ მარგალიტის მძივებისა თუ მომწვანო შროშანთა სრესა — ან ცრემლების მომსკდარი ღვარი! — რაც ბუნებაში მრგვალია და მოძრავია, რაც ბუნებაში იცინის ან რითაც ბუნება იცინის ხოლმე, — იცინოდა ჩემი სონეჩკაც, მაგრამ ყველაფრით ერთად: ფოთლებით, წყლით, კაკლის მძივებით თუ მძივის კაკლებით, კბილებითა და შავი თვალებით, ისე რომ, მასთან ყველაფერი უფრო მდიდრული ჩანდა, ვინემ ბუნებაში იხილავ ამას...

...— მოკლედ:

**მეყვარებოდა სულ ერთია მე ეს ტიტინი,  
დაგიკოცნიდი სულ ერთია მაგ ლამაზ ფეფებს!**

კაცებს და ქალებს არ უყვარდათ, უყვარდათ მარტო ბავშვებს, მოხუცებს, მსახურთ, ცხოველებს, სულ ყმაწვილ ქალებს.

ღმერთს ყველაფერი მიეცა მისთვის — რომ ჭკუის დაკარგვამდე, რომ მუხლმოდრეკით შეჰყვარებოდათ: ნიჭიც, გულის სიფიცხეც, სილამაზეც, ჭკუა-გონებაც, ენით უთქმელი მომხიბვლელობაც და უსახელო დიდებაც — სახელზე დიდი („აი, ის „თეთრ ლამეებში“ — რომ თამაშობს..“) და მაინც ეს ყველაფერი იყო მის ხელთ — მტვერი, არარაობა, ვინაიდან უნდოდა — თავად ჰყვარებოდა, ვინაიდან თავად უყვარდა.

საამისოდ კი პოეტი თუ გამოდგებოდა. დიდი პოეტი ანუ კაცი ისეთივე დიდი ბუნების, როგორც პოეტი. ასეთი კი არ შეხვედრია. ათას ცხრაას ცხრამეტ წელს მოსკოვში ასეთები აღარსად იყვნენ.

— ო, მარინა! როგორ მიყვარდნენ, რამდენს ვტიროდი მათზე! რამდენს ვლოცულობდი! იცით, მარინა, როცა მიყვარს — ვერაფერი ვერ შემაშინებს, დავფრინავ, მიწას ფეხს არ ვაკარებ! ყველა იძახდა — სად მიდიხარ! მოგკლავენო! ყველაზე უფრო იქ ისვრიანო! მე კი ყოველდღე მივდიოდი, კალათით

სადილი მიმქონდა მათთვის. საჭმელი, ჭამა ხომ უნდოდათ? წითელგვარდიელებს გავუძვრებოდი, გავუსხლტებოდი. „საით — ლამაზო?“ — „დედა მყავს ავად, სადილი მიმაქვს, მოსკვა-რეკის გაღმა დამირჩა“. — „ვიცი, ვიცი, ალბათ ულვაშოსანი და წვეროსანი დედა იქნება!“ — „ოი, არა, ულვაშო და წვერო არ მიყვარს: ულვაშები ხომ კატებსა აქვთ, წვერები — მარტლას! მარტლა დედასთან მივალ!“ (და უკვე ვტირი.) „თუ მარტლა დედასთან მიხვალ, გაიარე, ოლონდ კარგად იყურე, თორემ ვაითუ წერა გახდე ჩვენი ან იუნიკერების ტყვიებისა და დარჩება მოხუცი დედა უსადილოდ...“

სონეჩკა ჩემს შვილებს აღმერთებდა: ექვსი წლის ალიას და ირინას, ორი წლისას. შემოსვლის უმალ ირინას საწოლიდან ამოიყვანდა.

— აბა როგორ ხარ, ჩემო გოგონი? თუ იცანი შენი გალიდა? ჰა, ჩემზე როგორ მღერი? გალი-და, გალი-და! არა?

ირინას მუხლებზე, ალიას თავისი ფრთის — ანუ ირინასაგან თავისუფალ მარჯვენა მკლავქვეშ დაისვამდა. („ბავშვებს მუდამ მარცხენა ხელზე ვისვამ, თქვენც ხომ ასევე? მარჯვენათი რომ დავიცვა — და ჩავიხუტო“). ასევე მიდგას თვალწინ ნეტარებით გარინდული ეს შეჯგუფული სამი თავი: მრგვალშუბლა ირინას ოქროსფერი თმის კულულები თითქოს რქებივით ადგა შუბლის ბორცვებზე, ალიას ბაცი ოქროსფერი თმა გუმბათივით ამართნოდა პატარა რაინდის მსგავსად, მათ შორის კი სონეჩკას სადად გადავარცხნილი წაბლისფერი ბუჭუჭა თავი, ხან ორივეს ჩახუტებული და ნეტარებით განაბული, ხან ერთისკენ, ხან მეორისკენ გადახრილი. სასაცილოა — მაგრამ დიდი სონეჩკა ამ პატარებზე არცთუ ბევრად უფროსი ჩანდა.

აკოკრებულს ნაადრევად  
დედა შენი გავდა ვარდნარს,  
ხოლო შენი დაბადება —  
ვარდის ფურცლის ჩამოვარდნას!

(როცა სონეჩკა მახსენდება, მაშინლა ვხვდები, თურმე რატომაც ადარებდნენ ქალებს ყვავილებს, მათ თვალებს — ვარსკვლავთ, ბაგეს — ვარდ-ფურცელთ და ასე შემდეგ — საუკუნეთა სიღრმის წიაღში.

ვხვდები კი არა, ხელახლადა ვქმნი.)

...ასევეც დარჩნენ — შეჯგუფულად, თითქოს მაშინაც სურათი იყო.

ხოლო როცა ირინა დაიძინებდა, სონეჩკას კი მუხლებზე უკვე ალია ეჯდა, ეს პირწმინდა ფლორენსი იყო, ფლორენს დომბი თავისი პატარა ძამიათი: დიკენსი სახტად დარჩებოდა მათ დანახვაზე!

სონეჩკა ჩემს შვილებთან დედობის სრულქმნილი ხატი იყო, დედა ქალწულის, ქალწული დედის: გოგო-ღვთისმშობლის:

ყრმის და ღვთისმშობლის აღერსის წამი!  
მარადუამ იყო, იქნება, არის!

— აბა გეყოს გალიდაზე, თორემ გავყოყოჩდები! ახლა „ჰაი დუ-დუ“ დაიწყო. აბა როგორ მღერი ხოლმე?

მაი დუ-დუ,  
 მაი დუ-დუ,  
 საქმეა გასაკვირი.  
 საქმეა გასაკვირი.  
 ზის მუხაზე, ზის მუხაზე,  
 ხელთ უპყრია საყვირი.  
 ყეფს საყვირი, თვითონ — დუმს.  
 მაი დუ-დუ,  
 მაი დუ-დუ!



ეგრე, ეგრე, ჩემო ლამაზო! ოღონდ ამას გაგრძელებაც აქვს: „საყვირი ნახარატევი, ოქროში დაფერილი...“ — მაგრამ ეს შენთვის ჯერ ძნელია, ეს მაშინ, ცოტა რომ გაიზრდები.

ასე და ამგვარად — საათობით, დაუღლელად, გაუბეზრებლად, დაუშრეტელად.

— მარინა, მე არასოდეს შვილი არ მეყოლება.

— რატომ?

— არ ვიცი, ეჭიმმა მითხრა და ამიხსნა კიდევ, მაგრამ ისე რთულია — ჩვენი შინაგანი აგებულება...

დიდი ქალივით დინჯად, წამწამებს უკვე ვარსკვლავთ სხივებივით აციმციმებს.

ყველაზე დიდი მწუხარება და უბედურება მისთვის ხელცარიელი მოსვლა იყო ჩემს გოგოებთან.

— დღეს ვერაფერი, ვერაფერი ვერ მოგიტანე, ჩემო გოგონი! — იტყოდა ხოლმე ირინას ვედრებით სავსე, ლამის მომთხოვნ მზერაზე. — ბოლო წუთამდე სულ ვუცდიდი, იმედი მქონდა, მომცემენ-მეთქი... სამაგიეროდ პირობას გაძლევ, ნამდვილ პირობას, შემდეგ მოსვლაზე სხვა რამის გარდა კიდევ შაქარი მოგიტანო...

— შაქარი მინდა! — ირინა ალტაცებით და ბრძანებითაც კი.

— არა გრცხვენია, — აღშფოთებისა და სირცხვილისაგან ალია მზადაა ირინას პირი მოუკუმოს.

ხოლო სონეჩკას დაწვრილებით განმარტებაზე ირინა — ვისაც შაქრის გარდა უკვე არაფრის გაგონება აღარ სწადია — რომ შაქარი ხვალ იქნება, როცა ირინა დაიძინებს, მერე გაიღვიძებს, დედა ხელ-პირს დაბანს, კართოფილს აჭმევს და...

— კათოფილი მინდა!

— ვაი რომ არც კართოფილი მომიტანია, ჩემო გოგონი, მე ხვალინდელზე გეუბნები... — წრფელი დარცხვენით ამბობს სონეჩკა.


— სონეჩკა! — ალია აღელვებით, — ირინასთან საჭმლის ხსენება არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ ეს ესმის, მხოლოდ ამას იგებს, ამის შემდეგ სულ მოგთხოვთ და მოგთხოვთ!

— ოი, მარინა! თავს რომ ვიკლავდი, შვილი რატომ არ მეყოლება, ახლა მგონი — ბედნიერიც ვარ: ალბათ გავგიჟდებოდი, ჭკუაზე შევიშლებოდი, შვილს რომ საჭმელი ეთხოვა და მე ვერ მიმეცა... თუმცა რამდენი სხვა რჩება კიდევ...

სხვა მისთვის არავინ იყო, არც დიდებსა და არც პატარებს შორის.

ორი ჩანაწერი ალიას რვეულიდან 1919 წლის გაზაფხულზე (მაშინ ალია ექვსი წლის იყო).

„სალამო დადგა, უკვე დაბანას შევუდექი. უცებ კაკუნი მესმის. მარინას აბრეშუმის შალი მოვისხი, პირი არც გავიმშრალე, ქვემოთ ჩქარე ჩვეულებრივ ვიკითხე:



— ვინ არის? (მარინას მოწვეული ჰყავდა მსახიობი სოფია ევგენიევნა გოლიდელი, პატარა გოგოს რომ ჰგავს).

კარს იქიდან მესმის:

— სონია ვარ, ალია!

კარი სწრაფად გავაღე.

— სოფია ევგენიევნა!

— ჩემო სულიკო! ჩემო ძვირფასო! ჩემო გოგონი! — შემომძახა მან, მე კი კიბეზე ავირბინე მარინასთან და ალტაცებით დავუყვირე:

— გოლიდელია!

მაგრამ მარინა იქ არ დამხვდა, იგი იურა ნ-სთან ერთად სხვენზე ასულიყო.

ფეხების ბანა დავიწყე. უცებ სამზარეულოს კარზე დააკაკუნეს. გავაღე, სოფია ევგენიევნა შემოვიდა, სკამზე დაჯდა, მუხლზე დამისვა.

— ჩემი საყვარელი გოგო მარტო დატოვეს! მგონი — ყველა სტუმარს აქ უნდა დავუძახოთ.

— მაშინ ფეხები როგორ დავიბანო?

— ოო, ეგ კი ცუდი იქნება.

ვიჯექი და თავი გოლიდელის რბილ მხარზე მედო. ის კი ოდნავ-ოდნავ ეხებოდა ჩემს შალს. დამტოვა იმ პირობით, წასვლისას დაგემშვიდობებო. მაგრამ რომ ვნახე, აღარ და აღარ მოდის, პერანგზე შალმოსხმულმა გოლიდელის მივაკითხე და მუხლებზე დავუჯექი. იქ იყვნენ იურა ს., კიდეც ერთი სტუდიელი და გოლიდელი. მარინა კი უფრო ადრე იურა ნ-სთან ერთად სხვენზე ავიდა. მარტო შავი წინდები მეცვა, არც ფეხსაცმელი და არც სანდლები. კაცი პირდაპირ იტირებდა! იურა ს-მ თეთრი ღვეზელი მომცა. გოლიდელი დაბურღულ თმაზე ხელს მისვამდა, მხიარული ჩანდა. გოლიდელის ნაცნობი ქალი მოვიდა. სახურავზე ვილაცის ნაბიჯები გაისმა. თურმე სხვენის სარკმლიდან მარინა და იურა ნ-ი სახურავზე გადასულიყვნენ. იურა ს-ი სანთლით სახურავზე აძვრა და დაიძახა:

— ჩქარა სინათლე, დიასახლისს შევლა სჭირდება!

ფანჯრის რაფაზე ვიჯექი, ნელ-ნელა სახურავისკენ მივჩოჩავდი. გოლიდელს თავის ნაცნობ ქალს დაუძახა:

— ვაიმე, ბავშვს სახურავზე უნდა ასვლა! წაიყვანეთ ეს გიჟი გოგო!

იმ ქალმა აყვანა რომ დამიპირა, გავძალიანდი. ბოლოს თვითონ გოლიდელს ამიტაცა და საწოლისკენ წამიყვანა. არ გავძალიანებოვარ, მაგრამ გავიძახე:

— გალიდა ცუდია! გალიდა არ მიყვარს!

იგი ჩუმად იციხნოდა და მერე ს-ოვს გადამცა, ხელები დამიმძიმაო. ის აყო დამსვეს, რომ მარინა დავინახე, სხვენიდან ჩამოდიოდა. (გოლიდელის რომ მივყავდი, ასე მეუბნებოდა: „დაწყნარდი, ალია! მარინას შენ პირველი დაინახავ!“) მარინას ხელში სქელი სანთელი ეკავა სპილენძის შანდლით. გოლიდელს მარინას უთხრა:

— მარინა, ალექსამ მითხრა, არ მიყვარხარო!  
მარინას ძალზე გაუკვირდა — როგორც მგონია.

ჩვენსა მსახიობი სონეჩკა გოლიდელი იყო. სამხარეულოში ვისხედით. სიბ-  
ნელე იდგა.

— იცი, ალექსა, — მითხრა მან, — იურამ წერილი გამომიგზავნა: „ჩემო  
საყვარელო სონეჩკა! ძალიან მიხარია, რომ არ გიყვარვართ. მე ძალზე საძა-  
გელი ვინმე ვარ. კაცმა არ უნდა შემიყვაროს. ამიტომ ნუ გეყვარებით“. მე  
კი ვიფიქრე, ამას განზრახ წერს, რომ უფრო მეტად შეიყვარონ, არ შეიზიხ-  
ლონ.

მაგრამ არ კი ვთქვი არაფერი. სონეჩკა გოლიდელის პატარა ვარდისფერი  
სახე და შავი თვალები აქვს, პატარა ტანი, წვრილი ხელები. ვფიქრობდი იუ-  
რაზე და ჩემთვის ვამბობდი: „რომ შეიყვაროს, იმიტომ უხმობს, იმიტომ  
სწერს ამ წერილებს. მართლა რომ ფიქრობდეს, საძაგელი ვარო, განა მოს-  
წერდა“.

...თუმცა საძაგელი არ იყო, არა, მხოლოდ უძალო, ვნებადაცლილი. თავ-  
მომწონეობის გარდა არა ვნება არ გააჩნდა, რასაც ასე უხვად — და სავალა-  
ლოდ — მისი სილამაზე ასაზრდოებდა. რა მახსოვს მისი ნათქვამიდან? ყო-  
ველ ჩემს ჯიქურ კითხვაზე, რა მოგწონთ, რას არჩევთ-მეთქი, — „არ ვიცი...  
ეს ყველაფერი ისე ძნელია...“ (ან: „ეს ყველაფერი ისე არა ადვილი...“ სინამ-  
დვილეში კი — „ჩემთვის იმდენად სულერთია...“). იტაცებდა მხოლოდ თე-  
ატრი. მახსოვს, ერთხელ საათზე მეტი მელაპარაკა იმაზე, თუ როგორ შექმ-  
ნიდა (ხელით შექმნიდა?) პატარა თეატრს და დაჰყოფდა მას ურიცხვ უჯრე-  
დად, ყოველ უჯრედში — კაცუნებს, მისი პიესის მოქმედ გმირებს მოათავ-  
სებდა, უჯრედებშუა ადგილი კი — საერთო იქნებოდა, საყოველთაო...

— კი მაგრამ, რა პიესები დაიდგმებოდა... ან რა თეატრი იქნებოდა?

— არ ვიცი... — იღუმალი ხმით, — ჯერჯერობით ეს არ ვიცი... მაგრამ  
ყველაფერს მშვენივრად ვხედავ... — ნეტარებით: — ისეთი პაწაწუნები,  
თითქმის არც ჩანან...

ზოგჯერ — იტალიაზე მოჰყვებოდა გაურკვეველ ოცნებას, ნატვრას:

— აი, მე და პავლიკი იტალიაში გავემგზავრებით. ფლორენციის სერებ-  
ზე ვივლით, მარლიან დაგრეხილ პურს ვჭამთ, კიანტის დავლევთ, მანდარინს  
ხიდან მოვწყვეტთ...

მე, ნახმევივით:

— და მარინას მოვიგონებდით...

ისიც ნახმევის ნახმევივით:

— და მარინას მოვიგონებდით...

მაგრამ ეს იტალიაც გოლდონის იტალია იყო და არა ნაოცნებარი  
იტალია.

ერთხელ პავლიკმა მითხრა:

— მარინა! იურამ შექსპირის დადგმა გადაწყვიტა.

მე ხუმრობით:

— მართლა?

— ჰო, მაკბეტის დადგმა უნდა და იცით, იქიდან ნახევარს არ დატო-  
ვებს!



— სჯობს კია ნახევარი — მიუმატოს. სცადოს მაინც, იქნებ შეეძლოს რაღაცა დაავიწყდა? იურამ კი გაიხსენა და შეავსო.

ერთხელ, რაღაც ამდაგვარი პატივმოყვარე ბოდვების შემდეგ ბოდვებს აყოლილ, ძვალ-რბილადვე თეატრალურ ვახტანგოვის სიახლოვეს იზრდებოდა — ასე ვუთხარი:

— იურა, ერთხელ მაინც მოუსმინეთ სიმართლეს თქვენს სიცოცხლეში. ქალებს უყვარხართ, არადა, გინდათ მამაკაცებმა რომ პატივი გცენ.

მისი სტუდიელი ამხანაგები — პავლიკის გარდა, ისე რომ იყო იურაზე შეყვარებული, როგორც პუშკინი გონჩაროვაზე — თუმც პავლიკისთვის ასეთი სილამაზე ყოვლად გამორიცხული რამე გახლდათ (გონჩაროვა რომ ქალი იყო, იურა კი კაცი, არაფერს ცვლიდა, რამეთუ პუშკინმა გონჩაროვას ცოლად თხოვითაც მისი სილამაზე ვერ შეიძინა, დარჩა პატარა, ცქვიტა და ა. შ.) — პავლიკის სიყვარული იყო კიდევ ძლეული ექვის გრძნობაც: გადაწყვიტო ის შეიყვარო, ვინც სინამდვილეში უნდა გძულდეს, ანუ წმინდაწყლის რომანტიზმი — მაშასადამე, პავლიკის გარდა მისი სტუდიელი ამხანაგები იურას — შემწყნარებდ... უყურებდნენ, უკეთ — იმათ, ვისაც იგი გვიყვარდა, თითქოს ჩვენი ეს სისუსტე, ჩვენი მისით მოჯადოება შეწყნარების ღირსი იყო: „იური... პო...“ — და ამ გაბმულად ნათქვამ პო-ს არ მოსდევდა სხვა — არაფერი.

(მისსა და პავლიკის სიყვარულს ექვიანობა უფრო ეთქმოდა: იურას მხრიდან — პავლიკის ნიჭის, პავლიკის მხრიდან — იურას სილამაზის, ექვიანობა, რომლის სიმწარემ და აუტანლობამ ორივე აიძულა სიყვარულად ექცია იგი და აქციეს კიდევც. და კიდევ ბუნების იღუმალი ანგარიში: ორივე ერთად ლორდ ბაირონი გამოდიოდა.)

მისი მთელი არსება გახლდათ სილამაზის ემანაცია. მაგრამ რაღაი კერა (სილამაზე) უფრო მძლავრია, მასში ყველაფერი თითქოს იყო და ნამდვილად იყო არასაკმარისი, ზოგჯერ მთლიანად — მისი უღირსი. მაინც დიდი ტრაგედიაა, როცა სახე — სხვა ყველა დანარჩენზე უკეთესი გაქვს და სილამაზე — სხვა ყველაფერზე უმთავრესი, როცა საქონელი ასე აშკარად გამოფენილა — შენივ საკუთარი სახის წყალობით.

მისგან ყველანი ამ სილამაზის თამასუქებს თხოულობდნენ, როგორც ქალები — ისე რეჟისორები. ყველა უკან დასდევდა, ყველა ეხვეწებოდა, (ერთმა მივუზღე მარტოოდენ სილამაზისთვის). „რას ბრძანებთ, ბატონებო, თავის დღეში მსგავსს არავის შევპირებივარ...“ არა, ძვირფასო, ასეთი სახე უკვე შეპირებაა. ოღონდაც იმის შეპირება, რის აღსრულებაც არ შეგიძლია. მსგავს შეპირებებს ასრულებს მხოლოდ ყვავილები, კიდევ ძვირფასი თვლები — ორივ სავსებით და მთლიანად, არადა წმინდა სებასტიანები. უნდა ითქვას, რომ ამ თავის სილამაზეს, ვით ანგელოსი, რიდით და კრძალვით ატარებდა. (ნეტავი საიდან მერგო?) მაგრამ საქმეს ეს არ შეველოდა — უფრო უარესი გამოდრიოდა. მამაკაცს აქ ერთი გზა რჩება — ეს სილამაზე არად ჩააგდოს (ზე დაპყუროს), მაგრამ მაშინ სულით უნდა იყო დიადი, სულით მაღლა იდგე, ის — დაბლა იდგა, ამ ხიბლით ჩვენებრ ტყუვდებოდა...

ანგელოსს აბა როგორ აღწერ? ანგელოსი არ შედგება ამ თუ იმისაგან, იგი მთლიანად, ერთიანად წარმოგიდგება. ანგელოსი რომ ლაპარაკობს, იქ ექვს ადგილი არ უნდა პქონდეს: ჩვენ ყველანი მხოლოდ — ერთს, მას ვხედავთ ხოლმე.

ოლონდ ამას კი დაეუმატებ: ოცი წლის ჭაბუკს ჭალარა ნასთი გასდევდა თმაში, ჭალარა და წმინდა ვერცხლისა.

და კიდევ: თახვისსაყელოიანი ვეება ქურჭი, რადგან სიმალღეს ანგელოსისა და არა ადამიანის მომადლებოდა, ოლონდ არა დაეფიგურა რადგან ფიგურა — თავადვე იყო. იმ ცხრამეტ წელში მის ანგელოსობას შემწედ ჰყავდა, დრო მფარველობდა, ან უსაშველოდ ვეება ქურჭით ან წმინდა ანტონის ქლამიდითა, ანუ მუდამ და მარად სამოსელით, მუდამ და მარად — ნისლით და ბურით. ამ გაგებით სახეც არ ჰქონდა: აქა-იქ ჩავარდნილი, აქა-იქ ფერებმოლივლივე, „და ოქროსფრად ალივლივებს ყანებს ცელქი ნიავქარი...“ (უკეთ ვერცხლისფრად). ეს იყო ანგელოსის კრებითი სახე, მაგრამ იმდენად უეჭველი, რომ ყველა პატარა გოგო თავის სიზმრებიდან უმაღ იცნობდა და — ცნობდა კიდევ.

მაგრამ სახე ანგელოსისა ტყუილად არავის მინიჭებია, ანგელოსისა მართლაც რაღაცა ჰქონდა: ხმაში (ამ ჩვენს ყველაზე შინაგან-შინაგანში, რაიც ფრანგებმა organe-დ ტყუილად როდი მონათლეს), ხელების ფრთხილ მოძრაობაში, ან თავდახრილი როგორ გისმენდა, ან დახრილ თავს, მოქცეულს ხელისგულებში, როგორ აწევდა, ქვეშ-ქვეშ გამოგხედავდა, ან უძრავ ზმანებად კარს უეცრივ მოადგებოდა, ან უკვალოდ ვით გაქრებოდა.

მისი სილამაზეს, მისი სილამაზის ანგელოსობას რაღაც მაინც უნდა ესწავლებინა და ასწავლა კიდევ. ის კარნახობდა, როგორ ევლო („ისე ფრთხილად, თითქოს შიში აქვს, რაღაც პაწია უხილავი არსებანი არ გავსრისოო“, ალიას სიტყვებით), ის კარნახობდა ქესტს და კილოს, სიტყვის (აზრის) სწავლება ამ სილამაზეს არ შეეძლო, ეს სილამაზის საქმე არ იყო — იმიტომაც არაფრის თქმა არ შეეძლო (ან კი რა ჰქონდა!), გამოვლინება — ყველაფრისა.

ამიტომაც ტყუუდებოდნენ: სულ უბრალო დამლაგებლიდან მოყოლებული მე და სონეჩკამდე. „ისე უყვარს, ვერც გამოუთქვამს...“ (ისე — დასტურ არ უყვარდა, არამც და არამც). „რაღაც იღუმალეებით სავსე არის...“ იღუმალეებით სავსე არ იყო. არანაირით — გარდა ასეთი სილამაზის თვითიდუმლებით.

როგორ გააბიჯოს, ასეთ სილამაზეს ძალუძს ასწავლოს (ასწავლის კიდევ), როგორ მოიქცეს — ვერამც და ვერამც, გამოვლინება — შეუძლია, გამოთქმა — არა! საჭირო ხმას, საჭირო კილოს, საჭირო დუმისს, საჭირო სულთქმას შეაძლებინებს, საჭირო სიტყვას — ვერა და ვერა, ეს უკვე სულსხვა საუფლოა, სად გამგებელნი ჩვენ — „ინფანტას ჯუჯა კაცნი ვართ“.

„ანგელოსისა რაღაც“ კი არა, — ყველაფერი ანგელოსისა მონიჭებოდა, გარდა სიტყვისა, საქციელისა და საქმისა, რაიც იყო — ყოველად ჩვეულებრივი, ნახევრად მოწაფური, ნახევრად მსახიობური, მისი წრისა და ასაკის ხალხზე თუ კარგი არა, არცთუ უარესი. მისი ეს სილამაზე აჩენდა მხოლოდ არარაობად.

მე ვთქვი, რაღაც გაგებით სახე, სახიერება არ ჰქონდა-მეთქი. იყო ანგელოსური გარეგნობა ჩვეულებრივი (ცარიელი) ნაგებობისა, გარეგნობა, მსგავსება მხოლოდ (რასაც ახლა ვიქმ — საფლავზე წანაწერია), და მაინც სჯობდა, ეს რომ — ჰქონდა, ვინემ — არ ჰქონოდა.

მისადმი იყო (ეს უკვე წარსული ამბავია, მას აქეთ თითქმის ოცი წელია! მაშინდელი მისი ასაკი!) ჩემი ლექსების კრილოსანი „კომედიანტი“, მასზე იყო, მისთვის იყო, მაშინდელ ცოცხალ მასზე იყო ჩემი პიესა „ლოზენ“

(ბედი), მისი ცოცხალი წამოძახილით ჩემს ოთახში, ტეხურ ყინვის დროს, მეთვრამეტე საუკუნის მუქი ლურჯი ფარნის ქვეშ:

**ნუთუ ხელები დამისკდება?  
ჯანდაბას ყინვა! ოღონდ ხელები მეცოდება...**



(ეს „ჯანდაბა“ ბარბითზე უფრო ნაზად უღერდა!) — თვალწინ მიდგას მუქი ლურჯი სინათლისა და ღია ლურჯი ჩრდილის ციგლიგი თითქოს დასტურად მის შიშნეულად აწეულ ხელზე... მისადმი იყო ჩემი (დაკარგული) პიესა „ქვის ანგელოსი“: სოფლის მოედნის შუა ამართულა ქვის ანგელოსი, ვის გამოც საპატარძლონი საქმროთ ტოვებდნენ, ცოლები — ქმრებს, სიყვარული კი — სიყვარულს, ვის გამოც თავს იხრჩობდნენ, იწამლავდნენ, მონაზვნად იკვეცებოდნენ, იგი კი — მაინც დგას გამართული... სხვა მოქმედება, მგონი, არ იყო. კიდევ კარგი, ის რვეული რომ დაიკარგა, ისევე თავი დაიხრჩო, მოიწამლა თუ მონაზვნად აღიკვეცა. მისი ჩრდილია ჩემს ლექსებში (და ჩემს ლექსებზე) სონეჩკასადმი. მაგრამ მასზე — ცალკე უნდა დაიწეროს. აქ ნათქვამი — მხოლოდ სონეჩკას ნათელყოფაა, იმის მაჩვენებელი, თუ რაზე იყო მიპყრობილი, განურინებლად მიჯაჭვული, რას აევისო პირთამდე და რისგან ნიადაგ ციმციმებდა მისი წაბლისფერი დიდი თვალები 1919 წლის გაზაფხულის ხანს.

შევუხდოთ მსგავსებას მისას ანგელოსისას, სონეჩკა ჩემო.

ერთხელ მასთან შევიარე — კვლავ რაღაც ძღვენით. შინ არ დამიხვდა, სამაგიეროდ გადია იყო.

— იუროჩკას წიგნი წასაკითხად რომ მოუტანეთ, ამისათვის დიდი მადლობა. დაე იკითხოს, თავი გაირთოს. თორემ, ჩემო საყვარელო, მოტანით აქ ცოტას მოაქვს. ბევრი მოდის, დილიდან საღამომდე სულ დადიან, თვალი არა აქვს გახელილი — ზარს რეკავენ, თვალს დახუჭავს — ისევე ზარია — სულ კი ხელცარიელნი და თან პრაშტაპრუშტით. არა, იმ გოგოებს კი არ ვკიცხავ — ყმაწვილებს აბა რას მოჰკითხავ. იუროჩკა ისე ლამაზია, ნულა იტყვი, მუდამაც ლამაზი იყო, დაიბადა ასე ლამაზი, ატატებული რომ დამყავდა — ბარიშნები მაშინაც კი ჩამწვარნი იყვნენ. მეც ვეტყვი ხოლმე: „ასე ლამაზი მაინც რამ დაგბადა? კაცს არ შეჰფერის!“ „განა, გადია, ჩემი ბრალია“. კი, არაა მისი ბრალი, მაგრამ ეს რას მშველის წამდაუწუმ კარის გასაღებად სირბილისას... კი ბატონო, კოცნონ (მაინც ვერაფერს გამოკოცნიან), ოღონდაც: თუ კოცნი, ისიც იფიქრე, ბრინჯი, ფეტვი ან უბრალოდ ლავაში მაინც მოიტანე — ვერა ხედავთ, რა გამხდარია, მის დას ვერას ეს რამდენი წელია ბერკულოზი აქვს, ხომ შეიძლება მაგასაც დაემართოს: ერთმანეთის ალი-კვალია, ერთი სისხლი — მას ნუ კი მისცემ, ცხადია, ხათრიანი ყმაწვილია, არ გამოგართმევს, — მე მომიტანე სამზარეულოში: „აჰა, გადია, ცოტა ღონეზე მოიყვანეთ ეგ თქვენი თვალისჩინი“. შენც არ მომიკვდე! თუ სამზარეულოში მომაკითხავენ, მარტო იმიტომ, შემომტირონ, არ ვუყვარვართო. თავცარიელნიც ბრძანდებიან და ხელცარიელნიც. სამაგიეროდ პირი აქვთ სავსე: სისულელეებითა და პრაშტაპრუშტით. არადა, ერთი დადის მასთან — ოქრო გოგოა. (ორი მყავს მარტო, რომელთაც მოაქვთ. ოღონდაც ერთი — გუვერნანტი ქალის დარად გოროზია, ცხვირიც კაი დიდი აქვს, თუმცა ახლა მასზე

არ ვამბობ...) ბარიშნა გალიდეს იცნობთ კია? მოვა ხოლმე: „იურა შინაა?“ ვერ მამის სახელსაც მოაყოლებდა, მერე კი მალე შემეჩვია, ჩემი კარო რცხვენია. შინაა, შინ, ჩემო ლამაზო, ოღონდაც სძინავს. „არა, არ გააღვიძოთ, მოსკლას არც ვაპირებდი, ოღონდ კი ეს — მოვუტანე, მხოლოდ იმას ნურაფერს ეტყვი...“ ხელში შეხვეულს მომაჩეჩებს, შიგ კი განა ფეტვი ან შავი პურია, მუდამაც თეთრი ფუნთუშაა, კი, კი, თეთრი... ნეტა ვიცოდე, სად შოულობს?! ანდა მისი წინდების კემსვას მოჰყვება. „იუროჩკას წინდებს დაუკემსავ“, მეტყვის ხოლმე. „რასა ბრძანებთ, ეგ რა ყმაწვილი ქალის საქმეა, პატარა ქალბატონო, ეს ბებერმა უნდა აკეთოს“. „არამც და არამც“, თან ისე ფიცხად, ისე ტკბილად შემომხედავს. „პატარა ქალბატონს რად მეძახით, სონია დამიძახეთ, მე კი გადიას დაგიძახებთ“. მას აქეთ ასეც ვეძახი — სონეჩკა-მეთქი, როგორც პატარა გოგოს. არადა, ისე უყვარს, ენა ვერ აწერს! წინდებს დაუკემსავს, ხალათს გაუუთოვებს (ჩემსას კი სძინავს, ბაიბურში არაა ბიჭი!), ლოყაზე მაკოცებს, იუროჩკა ჩემგან მოიკითხვით, და წავა ხოლმე. რამდენჯერ მითქვამს იმ ჩემი ლამაზისთვის: „ბევრი ფიქრი აბა რად გინდა, სულერთია, მასზე უკეთესს ვერ მოძებნი: ლამაზიცაა, ჭკვიანიც, საქმიანიც, თეატრშიც თამაშობს — თავის თავს ამართლებს ქალი, რა ბნელი ღამეც არ უნდა იყოს, დოხტურთან გაიქცევა, მთელ ქალაქს ფეხზე დააყენებს, დოხტურს კი მაინც მოგვიყვანს: მაგისტანა ცოლის ხელში ავად გახდომაც არ შეგაშინებს! შენი შვილებისთვისაც კაი დედა იქნება, რაკი შენისთანა აყლაყუდა შვილად დაისვა. სიმაღლითაც მოუხდებით ერთიმეორეს: შენ — ამხელა, ეგ კი პატარა!“ („აყლაყუდებს მუდამ პატარა ქალები უყვართ“, — მეუბნება). მისხალი ოქრო მაინც ოქროა.

— იურამ რაო?

— დგას, იღიმება, კრინტს არა ძრავს. არ უყვარს — და იმიტომ ალბათ.

— სხვა ვილაც უყვარს?

— იჰ, ჩემო კარგო, არავინაც არ უყვარს მაგას, თავის დღეში არც ჰყვარებია ჩემსა და ვეროჩკას გარდა.

(მე, ფიქრში: „კიდევ თავისი თავი სარკეში“).

— ჰო, ბარემ სონეჩკაზე მოვრჩები ამბავს. შინ არ დახვდება — სიცილით მიდის, დახვდება და — მუდამ ტირილით. გული გრილი აქვს ჩვენსას, გენაცვა.

— გული მართლა გრილი აქვს.

სარკეც — გრილია.

სონეჩკასაც ჰყავდა თავისი გადია, „გავთხოვდები და — მზითვად ჩემს ყვითელ სუნდუკს წავიღებ“. თუმცა გადია არა, მოახლე იყო. მაგრამ ოჯახს შემორჩენილი ძველი მოახლე ხომ იგივე გადია არის. ეს მარიუშკა, რაც მე და სონეჩკა ვმეგობრობდით, თვალთ ერთხელაც არ მინახავს — ხან ნაფოტა თევზის, ხან ზეთისა და ხან კიდევ რაღაცის გამო დღენიადაგ რიგებში იდგა. სამაგიეროდ მისი სახელი სულ მესმოდა, სულ უფრო ხშირად და ხშირად — „მარიუშკა ისევ გამიწყრება“ (იურას, თეთრად გათენებული ღამეების, ვილაციისთვის მიცემული ფეტვის გამო...)

ერთხელ კარზე კაკუნი მესმის. გავაღე კარი და გაშავებული სახე შემჩნა, თვალებიდან მოყოლებული.

— მარინა! — ზღურბლიდანვე. — საშინელება დამატყდა თავზე, ოთახში კუბო შემომისახლეს.

— რააა?

— აი, მისმინეთ, ჩემმა მარიუშკამ თურმე სადღაც ყური მოსმინა კუბოებს არიგებენო — კი, კი, ნამდვილ კუბოებს... (პაუზა) — გარდაცვლილთათვის — ეს ხომ ახლა — ფუფუნებაა. ხომ იცით, რა გაუკეთეს ალექსეი ალექსანდროვიჩის სტუდიაში. ჰოდა, აქაოდა, ყველგან დაარიგეს, მარტო ჩვენთან არაო, ყოველ ცისმარე დღე მიდიოდა, ვინემ ნოქარს მოთმინება არ გაუწყდა და არ უთხრა: „ნეტა როდის გაჭიმავ ფეხებს. ბები, რომ კუბოსთვის ჩვენთან აღარ ეთრიო? თუმცა იმაზე ადრე გაგძვრება სული, ვინემ კუბოს მოგცემდეთ“. — მოკლედ, მსგავსი ტკბილი სიტყვები. მაგრამ ჩემი მარიუშა კერკეტა კაკალი გახლავთ: „დაპირება — დაპირებაა, მე ჩემი რატომ უნდა დავკარგო“. ჰოდა, გაუთავებელივ აკითხავდა. ბოლოს მივიდა დღეს — თურმე მიიღეს. „გელირსა ხომ, ბები, ბედნიერება?“ — და შუა ღუქანში გამოუდგა ცისფერი კუბო. — „აბა ერთი მოიზომე, თუ ჩაეტევი მაგ შენი ძვლებით?“ — „ჩატევით კი ჩავეტევი, — უთქვამს, — ოღონდაც ამაში არა“. — „ვითომ ამაში რატომ არა?“ — „იმიტომ რომ ცისფერი კაცისაა, მე კი ქალიშვილი ქალი ვარ და ვარდისფერი უფრო შემშვენის. ისე რომ, კეთილინებე და ვარდისფერი მომეცი, მე ცისფერი არაფერში გამომაღვება“.

„რაო, — უთქვამს იმას, — შე კუდიანო ბებერო შენა, ჯერ ხომ სისხლი გამიშრე, ახლა ქალიშვილი ქალიც აღმოჩნდი და ვარდისფერში ნებივრობა მომინდომე! ვარდისფერს ვერ ეღირსები, ბებერო ქაჯო, იმიტომ რომ ვარდისფერი არ მოგვსვლია“, „მაშინ, თქვენო დარბაისლობავ, თეთრი იყოს, — შემეშინდა, ვაითუ სულ ცარიელი გამიშვას-მეთქი, — ვინაიდან კაცის ცისფერ კუბოში წოლა ქალიშვილი ქალისათვის დიდი თავლაფია, ჩემი სიცოცხლე კი, არტახებიდან სუდარამდე, პატიოსნება არ შემილახავს“. მაშინ ადგა და ფეხები დამიბაკუნა: „წაილე, შე კუდიანო ქალიშვილო, რასაც გაძლევენ — და მოწყდი აქედან, თორემ რაღაც უბედურებას ჩამადენინებ! ახლაო, ყვირის, რევოლუციაა, ქვეყანა აირ-დაირია, ქალებს კაცებისგან არავინ არჩევს, მით უმეტეს მიცვალებულებს... წაილე, წაილე, გეუბნები, თორემ ამით გაგათავე!“ — ჰოდა, კუბოს სახურავი ლამის არ მხეთქა! სირცხვილო და თავის მოჭრა, ჯარისკაცები იყვნენ ირგვლივ — ხორხოცებენ, ჩემკენ ათითებდნენ... ვნახე, საშველი არ ყოფილა, მოვიგდე ზურგზე ეს ჩემი საუკუნო განსასვენებელი და წამოვედი. არადა, პატარა ქალბატონო, ისე მეწყინა, ისე ჩამწყდა გული, რამდენი მე მაგისთვის ვეთრიე და რამდენი დაცივნა ვყლაპე: და მაინც კაცის ცისფერ კუბოში უნდა ჩავწყე“. ახლა, მარინა, კუბო ოთახში მიდგას. არ დაგინახავთ, კარის ზემოთ ღრმა თარო მაქვს — ჩემოდნებისთვის! ჰოდა, ხვეწნით შემიკლა: ფეხებში რომ არ გვედებოდესო — რაც მთავარია — მისი ფერი თვალში არ მეჩხირებოდეს და გულს არ მიწუხებდესო. „იმიტომ, რომ, შევხედავ თუ არა, პატარა ქალბატონო, იმავ წამს ვიშხამები“. ჰოდა, დგას ახლა იქ. (პაუზა). ალბათ როდესმე მაინც — შევეჩვევი!

(ეს იყო 1919 წლის ამაღლებაზე.)

მეოთხე მოქმედი გმირი სონეჩას ოთახისა — კუბო იყო.

აი, ჩემი სონეჩა სხვისი, — გარეშე თვალით დანახული:

— დღეს თქვენი სონეჩკა გოლიდვი ვნახე. ტრამვით მოვდიოდრი ვხედავ—  
დგას, ტყავის ხელსაკიდს მოჭიდებული, რაღაცას კითხულობს, თან იღიმება.  
უცებ მხარზე უზარმაზარი ტორი დაადო ჯარისკაცმა. და ეცით, რა ქნა? თავ-  
აუღელვებლივ და ისევე გაღიმებულმა ტორი მხრიდან მუხმღრეპით კითქოს  
ნივთი რამ ყოფილიყო.

— ეს— პირწმინდა სონეჩკაა! დარწმუნებული კი ხართ, ის იყო?

— აბა როგორ. ბევრჯერ მინახავს „თეთრ ღამეებში“, თეთრი კაბა, ორი  
ნაწნავი... არადა, ისე... კობტად გააკეთა (ჩემი მოსაუბრე პოლონეთიდან გაბ-  
ლდათ), მთელ ვაგონს გაეცინა და ერთმა კიდევც — ვაშა! — შესძახა.

— იმან კი რა ქნა?

— არაფერი. არც აუხედავს. ოღონდაც თითქოს ღიმილით უფრო გადაი-  
ზადრა... შესახედად ძალზე კარგია.

— ასე გგონიათ?

— თვალებდახრილი, ნაწნავიანი — დასტურ მადონა. ალბათ ბევრს უყ-  
ვარს და ბევრი უყვარს?

— არა, მხოლოდ ბავშვები უყვარს.

— ჰოო... მაგრამ ეს ხომ ხელს არ —

— არა, უშლის.

ასე ვიცავდი, ვიფარავდი ჩემს სონეჩკას — ბურჟუათა ტორებისაგან.

ბევრი უყვარდა?

დანამდვილებით არასოდეს არ ვიცოდი, მის სატრფიალო ამბებს სიახ-  
ლოვე თუ სხვა რამ კავშირი დაერქმეოდა. მაგრამ ერთად ოცნება იყო თუ ერ-  
თად წოლა — ტირილით მუდამ მარტო ტიროდა, ტირილი მარტოს უხდებოდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახინაშვილმა

### მედეა

მეორე მოქმედება

კრეონის სასახლე კორინთოს სამეფო ციხესიმაგრეში. კრეუზა ზის, მედეა მის წინ დაბალ სკამზეა ჩამომჯდარი და ხელში ქნარი უჭირავს; აცვია ბერძნული ტანსაცმელი.

პრეუსა: ჯერ პირველ სიმზე ჩამოქარი!

მედეა: ასეთნაირად?

პრეუსა: არა, თითები თავისუფლად აამოძრავე.

მედეა: არ შემოძლია.

პრეუსა: მოინდომე და დაუკარი.

მედეა: ვინდომებ, მაგრამ, როგორც ვატყობ, არ შემოძლია.

(ქნარს გვერდზე გადადებს და წამოდგება).

მხოლოდ შუბზე მაქვს შეჩვეული ჩემი მარჯვენა.

ნადირობაში, სიტლანქეში კარგად მადგება.

(მარჯვენა ხელს თვალებთან ახლოს მიიტანს).

შავ დღეს დავაყრი მე ამ თითებს, შავ დღეს დავაყრი!

პრეუსა: ნეტარებას მგერის, როგორც უნდა ცუდად დაუკრა, რომ ამ სიმღერას იაზონზე უკეთ იმღერებ.

მედეა: ეგრე იქნება, მართალს ამბობ, ეგრე იქნება.

მაგაზე კი არ მიფიქრია ერთხელაც ვცადო!

გაეხარდებო? ნუთუ, მართლა გაეხარდებო?

პრეუსა: რაღა თქმა უნდა, ბავშვობაში, აქ რომ ცხოვრობდა, ყოველ ცისმარ დღეს მაგ სიმღერას დაჰლილინებდა, როს მოვისმენდი, სიხარულით წამოვხტებოდი, რადგანაც ბავშვი უმღეროდა შინ დაბრუნებას.

მედეა: რანაირად ეღერს ეგ სიმღერა?

პრეუსა: აბა, მისმინე.

პატარაა და არცთუ ისე მთლად მოსაწონი,

მაგრამ შეეძლო გულიანად ემღერა მუდამ

ასე მგზნებარედ, უშუალოდ და დამცინავად:

ოი, ღმერთებო,

დიდო ღმერთებო!

მინდა ვიყო

მორქმული და

მირონცხებული,

მამაკაცები

რომ დავჯაბნო

და დავიპურო  
ლამაზმანები.



მედეა: შესაფერისი სიმღერაა!

პრეუზა: შესაფერისი?

მედეა: შინაარსიც ზედგამოჭრილი.

პრეუზა: რის შინაარსი?

მედეა: მამაკაცები რომ დაჯაბნოს  
და დავიპუროს ლამაზმანები.

პრეუზა: მართალი გითხრა, მაგაზე არც დავფიქრებულვარ.

მე იმნაირად წავიმღერე, რომ მიმებამა.

მედეა: ასე ამაყად იდგა იგი კოლხთა მიწაზე;  
კაცებს თვალეზი მორიდებით ძირს დაეხარათ,  
მან კი ურჩ მწერით გულში ცეცხლი ამიბრიალა;  
შინიდან ჩუმად გავიპარე, მას ვანდე ბედი,  
სანამ გულეზში გვიღვიოდა მძვინვარე ცეცხლი,  
მანამ სუხველას გავურბოდით, ვემალებოდით;  
როცა ის ცეცხლი მინაელდა და ბოლიდა დარჩა,  
მაშინ დაირღვა სიმშვიდე და უშფოთველობა.  
ასეთნაირად მიმზიდველი და ძალოვანი,  
გმირი თუ ღმერთი იწიდავდა და იწიდავდა,  
მიიზიდა და შეიწირა მსხვერპლი ბოლომდე;  
ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებრივ მოიმწყვანილა,  
ისე რომ შველა აღარავის არ შეუძლია.

პრეუზა: ცოლი არა ხარ, რატომ ამბობ შენი ქმრის აუგს?

მედეა: მე აღბათ შენზე უკეთ ვიცნობ თავით ფეხამდე.  
მარტო ეგ არის მოვლენილი მთელ დუნიაზე,  
სხვები უბრალო მოკვდავები არიან მხოლოდ.  
უგრძნობელია და თავნება; საკუთარ და სხვის  
ბედნიერებას ერთნაირად ეთამაშება.  
დიდებისათვის, ვისაც გინდა, მას გაიმეტებს,  
ცოლი თუ უნდა, უყოყმანოდ მიადწევს მიზანს,  
უველა საქმეში ჩაერევა ავად თუ კარგად!  
სამართლიანი, ვინც მას უნდა, მხოლოდ ის არის.  
მე აღბათ შენზე უკეთ ვიცნობ თავით ფეხამდე  
და ამჟამადაც მასზე ვფიქრობ, რაც უკვე მოხდა;  
მაგის ცხედარი რომ მაჩვენა, გავიცინებდი.

პრეუზა: კარგად იყავი!

მედეა: მიდიხარ უკვე?

პრეუზა: აბა, კიდევ დიდხანს გისმინო?  
დიდო ღმერთებო! ცოლი ქმარზე  
ამდენს უნდა ლაპარაკობდეს?

მედეა: მაგნაირ ქმარზე დიახ, უნდა ილაპარაკო!

პრეუზა: ღვთის და ცის მადლმა, ვაღიარებ, ქმარი რომ მყავდეს,  
ისეთი ავუნე, უკეთური, როგორც შენია,  
მისგან — ბავშვები, ნამეტნავად — მამაილები,  
რომ მოვეკალი, მაინც გულით მიყვარებოდნენ.

მედეა: თქმა ადვილია, ასრულება კი უძნელესი.

პრეუზა: ის სიტყვო აღარ ექნებოდა იოლ ცხოვრებას.  
ისე მოიქეც, როგორც შენი გული გპარნახობს.  
მესიამოვნა ტყბილი სიტყვა ჩემზე ნათქვამი,  
ახლა კი წავალ. გამოვტყუდები, შენს ნაუბარში  
შეურაცხყოფაც, სიძულვილიც ამოვიკითხე.  
ბევრი სიავე შევამჩნიე ადამიანებს,  
თუმც ვაებათა ვაებაა შურისძიება.





გეშვიდობები და გისურვებ, უკეთესი რომ იყო ქვეყნად.

მედეა: ხომ არ ბრავდები?

პრეუზა: ვერ დაგიმალავ.

მედეა: არსად წახვიდე, ჩემთან დარჩი, უარს ნუ შეტყვი, ნუ მიმატოვებ, შენ იყავი ჩემი მფარველი!

პრეუზა: ამნაირ სათნოს სიძულვილით სავსე გაქვს გული.

მედეა: შე მოძულე ვარ, იაზონი კი მოყვარული.

პრეუზა: ახლა მითხარი, გამომიტყდი, მეუღლე გიყვარს?

მედეა: რომ არ მიყვარდეს, მაშინ აქ ხომ არ ვიქნებოდი?

პრეუზა: შეც ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი ვერ გამიგია.

თუ გეყვარება, შენთვის მუდამ კარგი ვიქნები და გავიხარებ ოქახური კეთილდღეობით, მაგრამ ხომ იცი რა ზნისაა, რა ხასიათის, ვით ქარისაგან გახაფანტი შავი ღრუბელი. რა საქმეც უნდა ჩაიდინოს, ნუ ჩავერევით. დილით შევნიშნე, თავ-პირი რომ ჩამოსტიროდა; საკმარისია, ის სიმღერა უმღერო ერთხელ, გულზე შალამოდ მოეცხება, იმწამს შეატყობ. ქნარიც აქვეა. როგორც ძაღვიც, ისე იმღერე. (ჩამოჯდება).

გადმოდგი ფეხი, რალად დგახარ, რატომ აუოვნებ?

მედეა: ჭერ შეგაცქერდი, დაგაკვირდი, აგხედ-დაგხედე,

მართალი გითხრა, ვერ გავძეხი შენი უურებიო,

ეგრე ლამაზი, მოხდენილი სულით და ხორციო,

შეურეველი, მშვენიერი და გულკეთილი.

თეთრი მტრედით დაქარქარებ და დანავარდობ,

ისე ნარნარად გაგიშლია ეგ ფართო ფრთები,

ბუმბულიც კი არ გენამება ცხოვრების ულარტში,

რასაც ბრძოლითაც კი ვერ ვაღწევთ და ვერ ვახერხებთ.

გამოასხივე აბა ერთხელ შუბლგახსნილ ციდან

და ჩემ დაკოდელ გულში ისე ჩამოიხედე,

სადაც წერია: ზიზლი, ურვა, უბედურება;

უცებ წაშალე. პო, წაშალე მაგ სათუთ ხელით

და წმინდა სახით სადაც გინდა მოიკალათე.

უღრეკელობა, ბავშვობაში რომ ვაშაუობდი,

ბრძოლაში გაცვდა, გადამექცა უილაქობად.

ჩემგან ერთი რამ დაისწავლე, დაიმახსოვრე:

მაგარ საქმეებს სულ ბეჩავნი ატრიალებენ.

(დაჯდება კრეუზას ფეხებთან დაბალ სკამზე).

აქ ჩამოვჯდები, შენ მუხლებთან ჩავიმალეები,

და შემოგჩივლებ, სიძლიერემ რაც მომიტანა;

უნდა ვიცოდე, რა ვაკეთო, რა არ ვაკეთო.

რახან ქალი ვარ, კიდევ უნდა მოგემსახურო,

უნდა ვქსოვო და სხვა ქალური საქმეც ვიღონო,

საქსოვ დაზგაზეც ვიმუშავო, რომ გავიწაფო,

თუმცა აბუჩად ამიგდებენ ჩვენებურები,

მაშ მოახლენი რალად გვინდა და შინაუშები,

თუ ქალებიც და ქალბატონიც საქმიანობენ;

არ დაივიწყო, მამაჩემი კოლხთა მეფეა,

არ დაივიწყო, ღმერთი ჩემი წინაპარია,

არ დაივიწყო, რაც მოხდა და რაც გვემუქრება...

(წამოდგება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს).

გეუბნები, არ დაივიწყო.



- კრეშუა: (ისიც წამოღგება):  
რად მეღავები?  
წარსულში თუკი უამური რამე მომხდარა,  
ღმერთსაც და კაცსაც ავიწყდება ხულ ერთიანად.
- მეღეა (პირს ყურთან მიუტანს):  
ასე გგონია? რა კარგია, მეც რომ მეგონოს!  
(შემოდის იაზონი).
- კრეშუა (მიჰკენ შეტრიალდება):  
შენი მეუღლე აი, აქ დგას. ჩვენ დავმეგობრდით!
- იაზონი: კარგია, კარგი.
- მეღეა: მომესალმე, რას შემართლები?  
იგი ძალიან კეთილია, გულიხსმეირი;  
მე მეგობრად და მასწავლებლად გამომადგება.
- იაზონი: წარმატება მისურვებია!
- კრეშუა: რამ ჩაგაფიქრა?  
ძალიან კარგად ვიცხოვრებთ და ვიმხიარულებთ.  
მოვალეობა იაზონს და მამაჩემს შორის,  
მე, ჩემდა თავად, მოვიფიქრე. გავანაწილე,  
შენ და მეღეამ კი...
- იაზონი: მეღეა!
- მეღეა: რას მიბრძანებ, ჩემო მეუღლე?
- იაზონი: ბავშვები როგორ იქცევიან, მოინახულე?
- მეღეა: მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი.  
ხალისიანად მომეჩვენენ.
- იაზონი: კიდევ ერთხელ შეგველო თვალი!
- მეღეა: ახლაბან ვიყავ.
- იაზონი: ერთხელაც-მეთქი, ვის ვეუბნები!
- მეღეა: რაკი ეგრე გსურს.
- იაზონი: დიახ, ეგრე მსურს.
- მეღეა: რადგან მასეა, კეთილი წავალ.  
(გაღის).
- კრეშუა: რატომ გაგზავნე? ძალიანაც კარგი ქალია!
- იაზონი: შინდა როგორმე თავისუფლად ამოვისუნთქო!  
მაგისი შურა ხელ-ფეხს მიკრავს, მაფორიაქებს  
და ერთხელ კიდევ გაუუჩებულ ტკივილს მახსენებს.
- კრეშუა: ო, ეს რა მესმის, მართლმსაჯულო დიდო ღმერთებო?!  
ეს ასე აშბობს, ისიც ასე ლაპარაკობდა.  
მაშ ვინ თქვა, ცოლ-ქმარს ერთმანეთი უნდა უყვარდით?
- იაზონი: რალა თქმა უნდა, ცხოვრებაში დგება ის უამი,  
როცა ჭაბუკმა ქალწულს თვალი უნდა შეავლოს  
და ღვთის წყალობით ახრულდება მათი წადილი.  
~~ფარულად უკრებს, უიფლებს და აყვრდება,~~  
თვალს რომ შეასწრებს, მის სიხარულს არ აქვს საზღვარი.  
დაუფიქრებლად დედ-მამასთან გაჩნდება უმალ,  
სათქმელს გაანდობს და ისინი „მოს“ რომ ეტყვიან,  
გაიმართება ზარ-ზეიმი, ნათესავები  
საიდან აღარ ჩამოდიან, მთელი ქალაქი  
წვეულებაში, ღრეობაში მონაწილეობს.  
ნეფე-ბატონი საქორწინო გვირგვინით შემკულ  
დედოფალს წმინდა ტაძრისაკენ გზას შესთავაზებს  
და უვავილებით საკურთხეველს მიადგებიან.  
გაწითლებულთ და სასიკეთოდ აკანკალებულთ  
აუხრულდებათ სანუკვარი გულის წადილი.  
როგორც წესია, მამა მერე ნეფე-დედოფალს



ჩერ ხელს ჩაბკიდებს და შემდეგ კი გულით დალოცავს.  
 ვინც ამნაირად ქორწინდება, უყვართ ერთერთი.  
 მეც მსურდა ასე მომხდარიყო, მაგრამ ამაოდ.  
 თქვენ კი, ღმერთებო, ვისი ხელი მარჯუნეთ წილად,  
 უღარიბესის, რომ შეძენა თავშესაფარი  
 და არა იშის, თავზე გვირგვინს ვინც დამადგამდა.

**პრეპუზა:** ისე არ მოხდა, როგორც სხვები ქორწინდებიან?  
 არ წარმოუთქვამს მამას თქვენი ლოცვა-კურთხევა?

**იანონი:** მანაც აღმართა მკლავი, მაგრამ იმ მარჯვენაში  
 ხმალი ეჭირა და ლოცვის ნაცვლად წყევლა-კრულვა  
 შემოგვითვალა, თუმცა უკანვე დავუბრუნე;  
 ვაჟი მოუკვდა, თვით სიცოცხლეს გამოესალმა,  
 წყევლალა დარჩა, რაც ორივეს თან დაგვაღვენა.

**პრეპუზა:** რარიგად გინდა, განვლილ წლებს რომ ფერი უცვალოს  
 რა ქველი იყავ და რა მკვახე გამხდარხარ ახლა.  
 მე რაც ვიყავი, იგივე ვარ, სულ არ შევცვლილვარ,  
 რაც მაშინ მსურდა, ახლაც ისევ ის სურვილი მაქვს,  
 რაც ამო იყო, საამური მგონია დღესაც,  
 დასაგმობი კი ამჟამადაც დასაგმობია,  
 შენ, როგორც ვატყობ, გარდაქმნილხარ.

**იანონი:** დიახ, ეგრეთა!  
 მეტილა გინდა ქვეყანაზე უბედურება,  
 იშვიათად, რომ წმინდა კაციც სპეტაკი დარჩეს.  
 აქ უნდა საქმეს წინ წაუძღვე, იქ დაბეჩავდი,  
 სამართლის ძალა აამაღლო, ააღორძინო,  
 იქ რომ ვერაფერს მიაღწევდი, აქ მიაღწიო,  
 რადგან ამ მიზანს სხვა ესწრაფვის მომარჯვებული.  
 პატივისცემა რომ დაირღვა დედამიწაზე,  
 ნუგეშად დაგვრჩა ერთადერთი — პატივისცემა.  
 მე ცუდი საქმე არაფერი ჩამიდენია,  
 ოღონდაც ბევრი მოვისურვე, მოვიწადინე.  
 სხვა რას იქმნოდა, მე უჩუმრად ვაკვირდებოდი;  
 უკეთურებას აწყდებოდნენ და არ ფიქრობდნენ,  
 რომ თვითვე იყვნენ ბოროტების თესლის მთესველნი.  
 მე ამჟამადაც ბოროტების აღმურთან ვდგავარ  
 და ვერას ვიტყვი, მასში წვლილი არ მიძევს-მეთქი.  
 ო, სიჭაბუკე, რატომ არ ხარ მარადიული!  
 ოი, ოცნება, სანეტარო თავდავიწყება,  
 აკვნის რწმევიდან სამარემდე წამი ხარ მხოლოდ.  
 უცებ გავყვები მოგზაური უგრძეს მდინარეს  
 და ძლიერ მკერდით გავუმკლავდი მოვარდნილ ტალღებს.  
 თანდათანობით გვემატება დღეები, წლები,  
 ქრება ოცნება და ამაო, ფუჭი სიცხადე  
 შემოგვაპარებს როგორღაც თავს და ჩაგვაფიქრებს.  
 ამგვარად აწმყო აღარ არის ზე ნაყოფისა,  
 რომ ჩაიძირო მისი ჩრდილას მყუდროებაში,  
 ის მიუწვდომელ, მიუკარებ მარცვლად იქცევა,  
 რაკილა რგავენ, მომავალში რომ გაიხაროს.  
 სად უნდა იყო, სად იცხოვრო და რა აკეთო,  
 თვით რა დადგები და როგორი ცოლი შეგბვდებოდა,  
 ბავშვი როგორი გაიზრდებოდა, რა ბედი ელის,  
 დასაბამიდან ეს გვაფიქრებს და ეს გვაწუხებს.  
 (ჩამოაჭდება).

**პრეპუზა:** რატომღა ფიქრობ, როცა უკვე იზრუნეს შენზე?



ნაზონი: კარსმომდგარ გლახას ნარჩენებს რომ გაუწოდებენ, ეგ არის ზრუნვა? რადგანაც მე იაზონი ვარ, ცოტა სხვანაირ მზრუნველობას ხომ არ მოვიტხოვ? როცა მაგიდას მივუჭდები უცხოად, ასეა: ფეხები უნდა დავაღაგო, როგორც წესია, ბავშვებთან ერთად დავიძინო, რათა უცხოთა თანაგრძნობა გამოვიწვიო? რაკილა მამა ხელმწიფე მყავდა, მისი შვილი იგივე არ ვარ? ვინ არის ქვეყნად იაზონს რომ შეედრებოდეს? (წამოდგება).

ერთხელ ვიყავი მოყაყანე ბაზართან ახლოს, თქვენი ქალაქის ფართო ქუჩას მივუყვებოდი. და იცი, როგორ შნოიანად მივაბიჯებდი, თითქოს იმწუთას არგონავტებს გავშორებოდი, ნუთუ იმიტომ, შენთან მსურდა დამშვიდობება? იმ ხალხის ზღვაში ტალღებივით. აურზაურით მოისწრაფოდნენ ოთხთვალეები, მარდი ცხენები. სახურავებზე და კოშკებზე ტევა არ იყო, თითქოს რაიმე განძს იყოფდნენ ორომტრიალში. ციმბალზე დაკვრა მოისმოდა ყოველი მხრიდან და იმ ხმაურში საამური შეძახილები. ჭგუფ-ჭგუფად იდგა თავმოყრილი სვიანი ხალხი, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული და სხივნათელი თითქოს ხელმწიფეს, დიდგვაროვანს ანდა გმირთა გმირს სიყვარულით და მოწიწებით ეგებებოდა... ის დედაბურჯი მე ვიყავი, ვისაც ისინი ურიაბულით და ზარ-ზეიმით ესალმებოდნენ... ახლა, როდესაც იმ ქუჩაზე კვლავ ჩავიარე, არც ვინმეს სიტყვა წარმოუთქვამს, შემოუხედავს და არც არავინ ძველებურად მომხალმობია. ჩემ გარშემო კი ვინც იდგა და მაკვირდებოდა, ალბათ ფიქრობდა, შუაში რას დაუუდებულა, ცუდი ადათის კაცი, უველას ხელს რომ უშლისო.

კრეუზა: შენ შეგიძლია დაიბრუნო ძველი დიდება.

ნაზონი: მორჩა, გათავდა, ვერასოდეს ვერ ვეღირსები.

კრეუზა: მე ხერხს გასწავლი და უველაფერს მიაღწევ, მჭერა.

ნაზონი: ხერხი კი ვიცი, მაგრამ გვერდში ამომიდგები?

მამ ისე ჰქენი, რომ სამშობლო არ მივატოვო, რომ კორინთოში შენთან დავრჩე სამარადუამოდ; კოლხთა მიწაზე ხაწმისი არც შემიმჩნევია, მე არც მინახავს, მხოლოდ ცოლმა შეავლო თვალი. მამ მოახერხე, რომ შედეამ თავის დაწყვეტილ სამშობლოსკენ იბრუნოს პირი, მოგონებებიც თან წაიღოს, აი, მაშინ კი, ადამიანთა შორის მყოფი ადამიანად გარდავიქმნები.

კრეუზა: ეგ არის მხოლოდ? მე სრულიად სხვა ხერხი ვიცი: გონება დინჯი უნდა გქონდეს, გული — ხალასი.

ნაზონი: მადლს ვინ იზამს და მაგ სიკეთეს ვინ შემასწავლის?

კრეუზა: ღმერთებს ვინც უნდათ, თვით ისინი ამწყალოებენ.

ერთხელ მოგმადლეს, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს.

ნაზონი: ხანდახან მაინც გაგონდება ჩვენი ბავშვობა?

კრეუზა: წარამარა და დიდ სიხარულს მანიჭებს მუდამ.

ნაზონი: ერთი სული და გული გვქონდა, რომ მახსენდებოდა.



პრეზუზა: მართლაც რა ტკბილად ვეპყრობოდით ერთმეორეს.  
გახსოვს, ჩაფხუტი ერთხელ თავზე რომ ჩამოვიმხე?

ნაზონი: როგორ არ მახსოვს, თვალწინ მიდგას, დიდი იყო და  
მოქროსფერო კულულებზე გეჭირა ხელით.  
ვამ, რა დრო იყო! დიდებული, არა, კრეუზა?

პრეზუზა: ჩვენი დანახვით მამაჩემი როგორ ხარობდა?  
სიძე-პატარძალს რომ გვეძახდა ხუმრობით, გახსოვს?

ნაზონი: არარა მოვა თავისთავად.

პრეზუზა: ამჭერად მოვა,  
თუ მოვიფიქრებთ; მარტოკაცი როგორ გასწვდება?  
ამიტომ თავებს მხიარულად ნუ მოვაჩვენებთ!  
(მეღეა ბრუნდება).

მეღეა: პატარებს უკვე მოვუარე.

ნაზონი: კარგად გიქნია.  
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს).  
უმაწვილკაცობის სიხალისევ, გაუხუნარო,  
მოგონებებში ჩაძირულს და უჩინარო,  
შენ მოგაკითხე, გაგიხსენე, გავინავარდე,  
ბავშვობის ნათელს დავეწაფე დახარბებული  
და ცივ წყაროთი გავიგრილე შუბლი და მკერდი.  
ორთვალა ეტლით ბაწრისაკენ გავწიე ერთხელ,  
მარდი მერანი შემეფეთა უეცრად გზაში,  
თითო მუშტი რომ ვუთავაზეთ მე და მხედარმა  
ერთმეორეს, იქ იდექი გაბრაზებული  
და გვიუბრები გამწყრალი და შეშინებული.  
ჩემი გულისთვის უველასთვის მტრად გადაქცეული.  
ტაძარში ორნი ვლოცულობდით მუხლმოდრეკილი,  
იქ, ისე მოხდა, ერთმანეთი გადაგვაფიწყდა  
და მაღალ ღმერთებს შევევედრეთ, ორი მკერდიდან  
ერთად ექცია ორი გული ერთსულოვანი.

პრეზუზა: სუყველაფერი რარიგ კარგად დაგხსომებია?

ნაზონი: იმ სიტკბობას მე ვისრუტავ სულ ერთიანად.

მეღეა: (უჩუმრად მიდის და იქვე ახლოს დადებულ ქნარს აიღებს).  
მინდა, იაზონ, რომ გიმღერო ერთი სიმღერა!

ნაზონი: ის ციხე-კოშკი, ზღვის ნაპირას, გახსოვს თუ არა,  
მამის გვერდით რომ იდექი და მწარედ მოთქვამდი,  
როცა მე ნავი მოვამზადე გასამგზავრებლად?  
შენი ცრემლები სრულებითაც არად ჩავაგდე,  
რადგანაც ჩემს გულს სულ სხვა რამე ამოძრავებდა.  
დაბბერა ქარმა, გამოგტაცა თავსაბურველი,  
მოულოდნელად ზღვის ტალღებში გადაუძახა,  
მაგრამ მაშინვე გადავხტი და ამოგიტანე.

პრეზუზა: ახლაც აქა გაქვს?

ნაზონი: აბა დაფიქრდი, რამდენმა დრომ  
განვლო მას შემდეგ და ქარმა თან გაიყოლია.

მეღეა: იაზონ, მინდა, რომ გიმღერო ერთი სიმღერა.

ნაზონი: შენ მომძახე: ჩემო ძმავო, კარგად იყავო!

პრეზუზა: ახლაც გეტყვი: გამარჯვებული იყავი, ძმავო!

მეღეა: იაზონ, მინდა, რომ გიმღერო ერთი სიმღერა.

პრეზუზა: სიმღერა იცის, ბავშვობაში შენ რომ მღეროდი,  
უური დაუგდე, ის სიმღერა უნდა გიმღეროს.

ნაზონი: მას ახე! ნეტავ, სად ვიყავი გადაკარგული?  
ასეთნაირად ვიცი რამის აკვიატება:

სიუმაწვილის დრო დამცინის და მამასხარავეებს,  
ზმანება ზოგჯერ მსიაზოვნებს, მაგრამ ცლაქლაქებ,  
რაც არ ყოფილა და მერმისშიც რომ არ იქნება.  
როგორც ქაბუკი მომავალზე ოცნებობს მარად,  
ისე სულდგმულობს მამაკაცი თავის წარსულით.  
აწმუომ არ იცის, ნაღდ ცხოვრებით თუ ცხოვრობს ვინმე  
ჰო, ამუამადაც უძლეველი გმირი ვიყავი,  
ლამაზი ცოლიც გვერდით მედგა და ოქროც მქონდა,  
მამულ-დედულში კი ჩემს ბავშვებს ეძინათ ტკბილად.  
(მედვის ახლალა მიაქცევს უურადლებას):  
რაო, რა გინდა?



პრეშუზა: სიმღერა უნდა, რომ გიმღეროს,  
ქაბუკობისას რომ მღეროდნო ჩვენში ყოფნისას.

იანონი: ისეთნაირად შეგიძლია?

მედია: უნდა ვეცადო.

იანონი: ნუთუ შენ ერთი ქეციანი სიმღერით გინდა,  
მე უმაწვილობა დამიბრუნო, შენ კი სიკეთე?  
თავი ანებე. ერთმანეთი დავაშოშმინოთ,  
ის გვირჩევნია, რადგან ერთხელ უკვე ვიწვნიეთ.  
ჰო, არც სიმღერა, არც ეგეთი რაღაცეები!

პრეშუზა: დაე, იმღეროს. გაიტანჯა, რომ შეესწავლა.  
ქანცი გაუწუდა.

იანონი: მაშ იმღერე, ჭანი გავარდეს!

პრეშუზა: მეორე სიმზე ჩამოშკარი.

მედია (შუბლზე ხელს იტყვეს):  
დამვიწუებია.

იანონი: მე ხომ ვითხარი, არაფერი გამოვა-მეთქი!  
სხვა საკრავზეა შეჩვეული მაგის მარტვენა,  
ურჩხულს უმღერა ჭადოქრულად და ჩააძინა.  
სხვაგვარად უღერდა, ვიდრე შენი ტკბილი სიმღერა.

პრეშუზა (ჩასჩურჩულებს):  
ოი, ღმერთებო,  
დიდო ღმერთებო...

მედია (აპყვება):  
ოი, ღმერთებო...  
დიდო ღმერთებო, მკაცრებო და სამართლიანო!  
(ქნარი ხელიდან გაუვარდება და ხელებს ცრემლიან თვალებზე მიიფარებს).

პრეშუზა: შეხედე, ტირის. რა ჭიუტი და ველური ხარ.

იანონი (შეაჩერებს):  
შენ, როგორც გატყობ, ჩვენი არა გაგვიგება რა!  
ღმერთების ხელი ურევია, რასაც იგი გრძნობს,  
სისხლიან ხელებს აფათურებს თუ ასამარებს.  
შენ მეუფეთა სამართალში ნუ ჩაერევი!  
აბა გეხილა გველეშაპის ბუდეში მაშინ,  
ვეება ურჩხულს რარიგად არ ეპუებოდა,  
შხამიან ენას საზარლად რომ ამოძრავებდა,  
მოიმარჯვა და ხერხიანად სტყორცნა ბოძალი,  
აუღვარებულ თვალებიდან სულ ცეცხლს აფრქვევდა,  
სიკვდილის შიში ჩადგომოდა იმავ თვალებში,  
ამიტომ გული დაიოკე და გამოაწრთე.  
აიღე ქნარი, შენ მიმღერე მე ის სიმღერა,  
არ აბოგინო, დაიფრინე ბოროტი სული,



- რაცა ხანია, რომელიც მე მალჩობს, მაწამებს,  
შენ შეგიძლია მოახერხო, სხვას არვის ძალუძს.
- კრეუზა:** ვიმღერებ დიდი სიამოვნებით.  
(სურს ქნარს დასწვდეს).
- მედეა** (მკლავში ხელს წაავლებს და შეაჩერებს):  
ხელი მაგას!  
(მეორე ხელით თვითონ იღებს ქნარს).
- კრეუზა:** რახან ეგრეა, შენ იმღერე, კეთილი.
- მედეა:** არა!
- იაზონი:** ქნარს არ ანებებ?
- მედეა:** არა.
- იაზონი:** არც მე დამანებებ?
- მედეა:** არა!
- იაზონი** (მიუახლოვდება და ქნარს წაეტანება):  
მაშინ ძალით უნდა ვეცადო.
- მედეა** (ადგილიდანაც არ დაიძვრება და ქნარს თავისკენ ეწევა):  
ტყუილად ცდილობ.
- იაზონი** (თავისკენ დაქაჩავს):  
მომეცი-მეთქი!
- მედეა** (არ უთმობს, თავისკენ ქაჩავს, რაც შეუძლია, ქნარი გატყდება):  
ა, შეხედე, ორად გაიპო!  
(დამსხვრეულ ქნარს კრეუზა მოისვრის).  
ორად გაიპო ხმატკბილი ქნარი!
- კრეუზა** (შეშინებული უკან შემობრუნდება):  
შემოგვაკვდა!
- მედეა** (გაფაციცებით ირგვლივ მიმოიხედავს):  
ვინ შემოგვაკვდა? მე ცოცხალი ვარ! ცოცხალი!  
(ფეხმოუცვლელად დგას და თავაწეული დაყინებით იმზირება.  
გარედან ისმის საყვირების ხმა).
- იაზონი:** გამარჯვებულის იერი გაქვს, ნეტავ რა ხდება?  
ამწუთს რაც მოხდა, ალბათ ნანობ, რომ ჩაიღინე.  
(კვლავ მოისმის საყვირების ხმა.  
კარი იღება და სწრაფი ნაბიჯით მეფე შემოაბიჯებს).  
(შეეგებება):  
რას მოასწავებს ეგ საბრძოლო მუსიკის ხმები?
- მედეა:** მე მეკითხები, უბედურო?
- იაზონი:** დიახ, ბატონო!
- მედეა:** ზარდაცემული რომ ვიყავი, ახლა კიდევაც.  
ვიღაც პეროლდი მოსდგომია ჩემი ბინის კარს  
ამფიქტიონელ ღვთისმოსავთა წარმოგზავნილი.  
ჩერ შენ გეძებდა, მერე შენი ცოლიც იკითხა,  
ქვეყანას მოსდო და ხმამაღლა გაიძახოდა,  
გაძვეებულეებს მოვაკითხეთ, სად არიანო!
- იაზონი:** ოჰ, ეგლა გვაკლდა!
- მედეა:** ჩუმად, უკვე გვიახლოვდება!  
(იღება კარი, შემოდის პეროლდი, მის უკან ორი მებუჯე დგას, ცოტა მოშორებით  
კი რამდენიმე თანმხლები).
- პეროლდი:** დე, ღმერთი იყოს მზრუნველი და თქვენი მფარველი!
- მედეა** (საზეიმო განწყობილებით):  
მითხარ, ვინ ხარ და რას ეძებ ჩემს სამფლობელოში?
- პეროლდი:** მე უძველესი სახამართლოს — ამფიქტიონის  
წევრი გახლავარ სახელგანთქმულ ქალაქ დელფოსში  
და ღვთისმსახური მოვლენილი მოძმეთა მიერ;  
მსურს მოგახხენო განაჩენი შურისძიების,



იოლკოსის — უოფილი მეფის, აწ გარდაცვლილი პელიასის ნათესავთა დანაშაულის.

მეფე: დამნაშავეებს ჩვენს ქალაქში ნუკი დაეძებ, სჯობს მათ ბინებში მოიკითხო ბრალდებულები.

ჰეროდო: აქ შევეუარე იაზონს და ასე ვუთხარი: წუველა და კრულვა არ მოგაკლდეთ შენ და მეუღლეს! ჩადენილი გაქვს საზარელი დანაშაული: ბრალი მიგიძღვის ბიძაშენის ტრეღად სიკვდილში.

იაზონი: სტუუი, რადგანაც არც მსმენია მეფის სიკვდილი.

ჰეროდო: მაშ მაგას ჰკითხე, მაგან იცის უველაზე კარგად.

იაზონი: არ ჭობია, შენ თვითონ ჰკითხო?

ჰეროდო: ხელით კი არ მოუკლავს მეფე, იმ ხელოვნებით, რაც შორეულ სამშობლოდან ჩამოიტანა. როცა მეფე ავად შეიქნა, — აღბათ სამსხვერპლო, რადგანაც იგი იშვიათად ხდებოდა ავად, — ქალიშვილებმა მოაკითხეს იმწუთს მედვას, მამაჩვენის განკურნებაში მოგვეხმარეო. იგი მაშინვე დაუბუღდა და გზას გაუდგა.

იაზონი: შესდექი რაკილა დაუშალე, აღარ წახულა.

ჰეროდო: პირველად მართლა არ წახულა, მაგრამ მეორედ შენს უკითხავად დაითანხმეს, დაიყოლიეს; ოქროს საწმისი, რომელიც მას შიშის ზარს სცემდა, შენი დაქცევის და ზიანის მანიშნებელი, სამაგიეროდ გადარჩენის იმედს აძლევდა. ქალიშვილებმა სიბარულით გაანდეს, ისიც შევიდა, როცა მეფეს უკვე ჩასძინებოდა. გრძნეულ სიტყვებით შეულოცა, დაათილისმა, და ცოტა ხანში მეფეს უფრო ღრმად ჩაეძინა. არამი სისხლის გამოდენა ბრძანა თუ არა, მეფეს მაშინვე გადაუჭრეს ორივე ვენა; ერთი ხანობა მოიხედა, კარგად ხუნთქავდა, როცა კრილობა შეუხვიეს, ქალიშვილები სიბარულისგან ცახ ეწიენ, განიკურნაო. მერე მედვამ გაეცალა იქაურობას, ქალიშვილებიც გაიკრიფნენ დასაძინებლად. ცოტა ხნის შემდეგ ბროტინის ხმა ჩაესმათ ძილში, ქალიშვილები გაეშურნენ მეფის ოთახში და თვალში ეცათ საზარელი სანახაობა: მოხუცი ეგდო იატაკზე სახეშეშლილი და შავ ნაკადად ვენებიდან სისხლი სდიოდა. საკურთხეველთან იწვა იგი, სადაც ეკიდა ვერძის ტყავი, მაგრამ საწმისი გამჭრალიყო. ვილაცხეებმა დაინახეს ოქროს საწმისი მხრებზე რომ ესხა და წუვდიადში მიაბიჭებდა.

მედვა (ურულ თავისთვის):

ეგ იყო ჩემი შურისგება, მისაგებელი. მოხუცის რისხვას რომ ვიხსენებ, მაცივ-მაცხელებს.

ჰეროდო: დიდხანს რომ აღარ გრძელდებოდეს ეს სისაძაგლე და ჩვენი ქვეყნის მადრიც არ იწამლებოდეს, თესალიელი იაზონი, ეზონის შვილი მოიკვეთოს და თვით იგემოს ის მრისხანება; ჩემი წმინდა მოვალეობა მავალდებულებს გამოგიცხადოთ, რომ გაძევდეს საბერძნეთის ღვთიურ მიწიდან თვით იაზონი, მეუღლე და





მემკვიდრეები. არავითარ წილს არ მიიღებს  
სამშობლო მიწის და თვით ღმერთებიც არაფერს არ  
უწილადებენ. მაგისათვის აღარ არსებობს  
თავშესაფარი და კანონი საბერძნეთისა.

(ცისკენ აღაპყრობს მზერას).

მოიკვეთონ იაზონი და მედეა!

მედეა და იაზონი მოიკვეთონ!

მოიკვეთონ

იაზონი და მედეა!

ამიერიდან, სამ დღე-ღამის განმავლობაში,  
ვინც თავშესაფარს აღმოუჩენს და შეიკედლებს,  
მარტოდმარტო კაცს, მარტოხელას სიკვდილს ვუცხადებ,  
თუ ქალაქია, ან მეფეა, ომი მოგვიწევს!  
ამნაირია განაჩენი ამფიქტიონის  
და ასეთია სამართალი ჩვენი ქვეყნისა;  
ყველამ გაიგოს, იცოდეს და დაიცვას წესი.  
ღე, ღმერთი იუოს მზრუნველი და თქვენი მფარველი!  
(შებრუნდება წასასვლელად)

**იაზონი:** ზეი კედლებო, რაღას დგახართ, ჩამოიქცეით,  
თან ჩამიტანეთ, რათა მეფეს ვარჯა და ზრუნვა  
შეუმსუბუქოთ!

**მეფე:** შესდექ ჰეროდდო, მოისმინე ჩემი ნათქვამიც!

(იაზონისკენ შეტრიალდება):

ფიქრობ, გულიდან ამომიგდეს, რასაც შეგპირდი?  
დამნაშავედაც რომ ჩაგთვალო, ჩემი შვილი ხარ,  
მე სწორედ იმას მოგათხოვებ, ვინც შენ დაგეძებს;  
მე კარგად ვიცი, დამნაშავე შენ რომ არა ხარ,  
ჩვენთან დარჩი და მე ვიქნები შენი მფარველი.  
ვილა გაბედავს, რომ მეგობარს მეფე კრეონის  
უშალ თავდებად არ დაუდგეს, როგორც ალაღ კაცს,  
ან ვინ მაკადრებს, რომ ჩემს სიძეს ხელი შეაბოს?  
ღიახ, ჰეროდდო, ნამდვილ სიძეს, ქალიშვილის ქმარს!  
დიდი ხნით ადრე, რაცკი იუო გადაწყვეტილი,  
ბედნიერების იმ დღეებში, დავსძენდი, ახლაც,  
უბედურების ტალღებს კიდევ მოაგორებენ.  
ეგ შენი ცოლი იქნება და დარჩი მამახთან.  
ასეთნაირად მოახსენე თქვენს ამფიქტიონს;  
ვინ გაამტყუნებს მეფე კრეონს იმ განაჩენის  
გამოტანისთვის, განსასჯელი რომ გაამართლა  
თავისი ღვიძლი ქალიშვილის ხელგასამართად?  
მოუთხრე ყველას, ვინც აქეთკენ გამოვაგზავნა,  
არ მოქცელობდეთ დიად ღმერთთა მოწყალეობა.  
(ჰეროდდი გადის).

უდაბურ მხრიდან კი რომელიც ჩამოებეტა  
ფარისევლურად და გაგწირა დასადუპავად,  
ვინც ამოდენა დანაშაულს სჩადის ამქვეყნად  
და მერე შენ გთვლის ბრალდებულად, თანაზიარად,  
იმას ვაძევებ ჩემი ქვეყნის საზღვრებს გადაღმა,  
სიკვდილი მაგას, თუ ხვალინდელ დღეს აქ შეხვდება!  
მაშ აიყარე, გადაბარგდი ამ ქალაქიდან,  
რომ განაივდეს მოწამლული შენგნით ბაერი!

**მედეა:** რაც ჩავიდინე, ყველაფერი მაშ მე მბრალდება?  
მე გეუბნებით, არაფერში არ მიღვეს ბრალი.

მეფე: რა ბოროტებაც ჩაიღინე, საქმარისია.

ამ ბინიდან და ქალაქიდან გარდაიხვეწე.

მედეა (იაზონს მიმართავს):

უნდა წავიდე? თანახმა ვარ, თუ გამოწყვები  
ვით დამნაშავემ, შენც უნდა ზღო პირგასამტებლო  
მინდა უცილოდ მოგაგონო ძველთა ნათქვამი:  
ამ ქვეყანაზე არცინ კვდება მარტოეული,  
არც სახლეული, არც სხეული, არც დაღუპული!  
ასეთნაირად ვფიცავთ ხოლმე აღსასრულის უამს;  
ახლა შევეშვათ, მოდი ერთი..



იაზონი: რატომ მეხები?

ჩამომეცალე ჩემთა დღეთა დამაწყევარო!  
შენ ჩამიმწარე ცხოვრება და ბედნიერება,  
გაცნობის დღიდან შემაძაგე სუყველაფერი,  
გადარეულის სიყვარული მარგუნე წილად!  
შენი აკვანი კვლავ წაიღე შენს ურუ მხარეში,  
იმ ხალხთან, ვისაც შენ ეკუთვნი სისხლით და ხორციით.  
მანამდე უკან მომამავე, რაც კი წაიღე,  
თვით იაზონი დამიბრუნე, ბოროტო სულს!

მედეა: იაზონი რომ დაგიბრუნო უკან, ეგ გინდა?

აქვეა, აქვე იაზონი, ჰა, წაიყვანე!  
მედეას ვინლა დამიბრუნებს, მე რა ვიღონო?  
შენს სამშობლოში მე გეძებდი, მე მოგაკითხე?  
რაო, მამაშენს შენი თავი მე გამოვტყუე?  
ან ძალით ხომ არ მოგახვიე თავს სიყვარული?  
მშობლიურ მიწას მე მოგწუვიტე და მოგაშორე?  
ბედის ანაბრად მიგატოვე და გასაკილად?  
მე დაგიძახე მოლაღატე, ბოროტმოქმედი?  
შენ ხომ დამწამე, ვაი, ჩემს თავს, უკეთურობა?  
რა სიბოროტე ჩავიღინე, ან ვისთვის, მეტყვი?  
დამეხსენ, ზიზღით, სიძულვილით ნუ მეკიდები,  
გაძვევებაც და მოკვლაც არის სამართლიანი,  
რადგანაც მე ვარ შემწარავი, ავწნე არსება,  
ღრმა უფსკრული და საწარელი სანახაობა,  
ასეთნაირად შემაჩვენა მთელმა ქვეყანამ!  
შენ კი დაგინდო ბოროტების თავო და თავო,  
სიავკაცობის ერთადერთო მიზეზთაგანო!  
გახსოვს, მუხლებში ჩაგივარდი და გემუდარე,  
როცა მიბრძანე სისხლიანი საწმისის აკვრა;  
სანამ ვცდიდი და გაუბედავდი, სიკვდილს ვარჩევდი,  
შენ კი მბრძანებლურ-დამცინავი ღიმილით მითხარ:  
ახლავ აიღე! საკუთარ ძმას მკლავში რომ ვტაცე  
ეს მარჯვენა და შევეშველე, აღარც ის გახსოვს?  
სიკვდილს გადარჩა, გამეტებით რომ მოუქნიე,  
ღის მკერდზე იყო მიურდნობილი და ძლივსლა მოსწყდა,  
მაგრამ შენ გამო ზღვის ტალღებში ჰკოვა სიკვდილი.  
მომიახლოვდი გეუურება? ნუ გამირბიხარ!  
აქეთ მოდექი, სხვის ზურგს უკან ნუ იმალები!

იაზონი (წინ წამოდგება):

მეზიზღები, არ მეშინია!

მედეა: მაშ, ახლოს მოდი!

(ოდნავ ხმას აუწყებს):

იცო, რას გიტყვი, ნუ მიუურებ ათვალწუნებით,  
ბიძის სიკვდილის წინ იმ დღეს რომ შემომეუურებდი!



ჩემი ბინიდან როს გავიდნენ ქალიშვილები,  
ისე ვიყავი დაბნეული, შენთვის არც მიიქვამს;  
შენ შემოხვედი ჩემს ოთახში მოულოდნელად,  
შემომაცქერდი, თვალი თვალში გამიყარე და  
შენი განზრახვა საიდუმლოდ, შიშით გამანდო,  
როგორც თანახმორს, მოზიარეს, ტოლუფლებიანს;  
ასე მითხარი: ბიძაჩემი ავად რომ არის,  
მიტომ მომადგნენ ავუნე მამის განსაკურნავად,  
გამაგრილებელ სასმელ წამალს თუ დაუმზადებ,  
აი, იმდაგვარს, საბოლოოდ რომ გააგრილოს,  
ეგვი მარადის დაისვენებს, მეც დამასვენებს  
გაბედულება თუ გეყოფა, მაშ უარყავი

იანონი: გულშემწარავო, რაებს ჩმახავ, რას შემართლები?!

ჩემი ოცნება შენ დაახშე და გააქარწყლე,  
შენი სარკის წინ დამაყენე „მე“-სთან პირისპირ  
და ჩემს ნაფიქრალს გაიძახი ჩემ წინააღმდეგ?  
შენი ასავალ-დასავალის არა ვიცი რა  
და წიზლსა მგვრიდა მუდამ შენი ნამოქმედარი,  
ის დღე დაიქცეს, რა დღესაც მე შენ დაგინახე,  
ტანჯვა-წამების გარდა ვერა შევიძინე რა.  
თავს ვუჩიჩინებ, სამუდამოდ რომ ჩამოგცილდე,  
და ქვეყანასთან ერთად გწყველი, ქოქოლას გაყრი.

მედეა: მასეთნაირად რად ირჩები, ჩემო შეუღლები?!

იანონი: გირჩევნია, გზას რომ გაუდგე!

მედეა: მოხუცი მამა,  
როცა მწარედ შემუქრებოდა, მაშინ შემპირდი,  
არასოდეს მიგატოვებო. გატებე სიტყვა?!

იანონი: თვით შენ უარყავ მოცემული ფიცი და აღთქმა,  
ამიტომ გითვლი მამაშენის წყევლას და კრულვას!

მედეა: მომიახლოვდი, მოწიზღარო ჩემო შეუღლები!

იანონი: უკან დაიწი!

მედეა: ჩემს მკლავებში გინდოდა ყოფნა!

იანონი: ჰა, უკან-მეთქი, თორემ ხმალსაც მოვიშველიებ!  
ბოლოს მოგიღებ, თუ აქედან არ გამეცლები!

მედეა (ნელი ნაბიჯით თანდათან უახლოვდება):  
აქა ვარ, დამცხე! აჰა, დამკარი!

პრაუზა (იანონს შეჰყვირებს):  
არ გაბედო!  
მშვიდობიანად გაგვეცალოს, თავი ანებე!

მედეა: შენც აქ ყოფილხარ, ვერცხლისფერო გველის წიწილო?  
ნუ სისინებ და მომხიბლავად ნულარ ქანქარებ!  
გულით რომ გსურდა, გვერდით გიღვას უკვე — შეუღლები!  
ნუთუ მაგიტომ მპირფერობდი და მლაქუცობდი,  
მერე გველივით კისერზე რომ შემომხვეოდი?  
ახლა ხანჯალი ხელთ რომ მქონდეს, შენ და მამაშენს,  
კანონიერ მეფეს ქვეყნისას, გულს გაგიპობდით.  
მიტომ მღეროდი დამატკობელ, წარმტაც სიმღერებს?  
მიტომ მირჩიე ქნარზე დაკვრა, კაბაც მიბოძე?  
(მოსასხამს შემოიხვეს).  
ამ დაწყევლილთა ნაჩუქარი რაში მქირდება!  
(იანონს მიუბრუნდება):  
აი, შეხედე, ამ მოსასხამს როგორც დავფხრეწავ,  
ნაგლეჭს უბეში მოვითავსებ ასეთნაირად,  
ნაკუნ-ნაკუნად ქცეულებს კი უბეჭვეშ გავიფენ.



ისე დაირღვა სიუვარულიც, ჩვენი კავშირიც.  
ნაფხრეწებს ცხვირწინ დაგიური და გაგათელინებ  
უკეთურო და უბედობის ნაღღო მოთავევ.  
მომგვარე ჩემი ბავშვები და გზას გაუდგები!

მეფე: ბავშვები ჩვენთან დარჩებიან.

მედეა: დედას არ უთმობ?

მეფე: შენნაირს, არა!

მედეა (იაზონს მიმართავს):  
შენც ეგრე ფიქრობ?

იაზონი: ეგრე ვფიქრობ.

მედეა (დადგება კარის პირდაპირ):  
მაშ მომისმინეთ, პატარებო!

მეფე: უკან დაიწი!

მედეა: შენ ბრძანებ, მარტო მე წავიდე? დე, ეგრე იყოს!  
დაღამებამდე თანახმა ვარ, გზას რომ გაუდგო,  
ოდონდ ბავშვები გაშატანე, ასე მოვიგდეთ!  
შენ კი, რომ დგახარ, ფარისევლობ და პირმოთნეობ,  
მოჩვენებითად მიამიტობ, ზემოდან მიმწერ,  
მოუფიქრებელ საქციელზე აიღე ხელი,  
თორემ მედეას ბედი შენვე დაგიბრუნდება.

იაზონი: გვაშინებ კიდეც?

მეფე: გზას გაუდექ, ნულარ აუოვნებ.

მედეა: მე წავალ, მაგრამ, რომ იცოდეთ, კვლავ დავბრუნდები  
და თან მოვიტან, რაც შეგფერის და გეკადრება.

მეფე: ხედავ, თვალეში შემოგვეცქერის და გვემუქრება?

თუ სიტყვა არ ჭრის,  
(მცველებს მიმართავს):  
მაშინ შუბი მოიშველიეთ!

მედეა: უკან დაიწით, არ გაბედოთ ხელის შეხება!  
შენ კი, მეფეო, დრო აღნუსხე განშორებისა,  
აბა დაფიქრდი, ავი რამ თუ ჩამიდენია!  
მაშ გზა მომეცით, შურისგებაც თან დავიღვენო!  
(გადის).

მეფე: ცოტაოდენი საზღაურიც გაიყოლიე!  
(კრეუზას მიმართავს):

თავით ფეხამდე დაგიფარავთ, რა გაცახცახებს!

კრეუზა: რასაც ვაკეთებთ, ის მაფიქრებს, მართებულა?  
სამართლიანად თუ ვირჩებით, ვინ რას დაგვაკლებს?  
(ფარდა ეშვება)

(გაგრძელება იქნება)



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან შარვაშიძემ

### I თავი

ბიჭები მარსია ბლეინის სკოლის გოგოებს რომ ელაპარაკებოდნენ, ველოსიპედებს წინ დაიყენებდნენ ხოლმე, საჭე კი ხელით ეჭირათ. ისე, რომ ველოსიპედი გოგო-ბიჭს შორის ბარიერით აღიპართებოდა და მათ შემხვედრს ეგონებოდა, ბიჭები წამით შეყოვნდნენ და მალე ისევ გზას გაუდგებოდა.

გოგოებს თავზე პანამები ეხურათ, რადგან ბიჭებს იქვე, სკოლის შესასვლელთან ხვდებოდნენ. თავშიშველა სიარული სკოლის წესების დარღვევად ითვლებოდა. სკოლის დირექცია კი მხოლოდ მაშინ ხუჭავდა თვალს, როცა წესს მეოთხე<sup>1</sup> და უფროსი კლასების გოგოები არღვევდნენ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქუდს უდიერად გვერდზე მოიგდებდნენ. გოგოებს პანამის ფარფლები უკან აკეცილი, წინ კი დაშვებული უნდოდა ჰქონოდათ, მაგრამ ამ წესის დასარღვევად ათასნაირი დახვეწილი ხერხი არსებობდა. ხუთივე გოგოს, ახლა რომ ერთმანეთს მიკვროდნენ, ქუდები ისე დაეხურათ, სათითაოდ ყველას ხასიათს ამოიცნობდა კაცი.

სწორედ ეს გოგოები შედიოდნენ ბროდის „ტომში“, როგორც დირექტორმა სიძულვილით შეარქვა მათ, როდესაც ისინი თორმეტი წლისანი გახდნენ და საშუალო სკოლაში გადავიდნენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ადრეც ამ სახელით იცნობდნენ გოგოებს სკოლაში. ისინი იმთავითვე სცნეს მისს ბროდის შეგირდებად, რადგან ბევრი რამ იცოდნენ ისეთი, რასაც, დირექტორის თქმით, საერთო არაფერი ჰქონდა პროგრამასთან, პირიქით, შეუფერებელიც კი იყო სკოლისათვის, როგორც სასწავლო დაწესებულებისათვის. განიორკვა, რომ გოგოებს რალაც-რალაცები უკვე სმენოდათ ბუჰმანიტებსა<sup>2</sup> და მუსოლინზე, აღორძინების ხანის იტალიელ მხატვრებზე, იმაზე, თუ რატომ სჯობდა პირის კანისთვის ლოსიონი და გამამელისის ნაყენი უბრალო საპონსა და წყალს, გაეგონათ სიტყვა *pubertatis*<sup>3</sup>, იცოდნენ, როგორ იყო მოწყობილი „ვინი პუპის“ ავტორის სახლი ლონდონში, გასცნობოდნენ აგრეთვე შარლოტა ბრონტესა და თვით მისს ბროდის სამიჯნურო თავგადასავლებს. მათთვის ცნობილი იყო აინშტაინის არსებობა და იმათი მოსაზრებანიც, ვინც ბიბლიას სიყალბედ მიიჩნევდა. ასტროლოგიის საფუძვლებსაც დაუფლებოდნენ, მაგრამ ამასთან ვერ გეტყოდნენ, როდის მოხდა ფლოდენის<sup>4</sup> ბრძოლა და არც ფინეთის დედაქალაქის სახელი იცოდნენ. მისს ბროდივით მისი ტომის ყველა გოგო, ერთის გარდა, მიახლოებითი სიზუსტით ითვლიდა თითებზე.

როცა თექვსმეტი წლისანი იყვნენ, მეოთხე კლასში სწავლობდნენ, გაც-

ვეთილების შემდეგ უსაქმოდ დაეხეტებოდნენ და უკვე შეგუებულნიც იყვნენ სკოლის წესებს, მაშინაც კი ამ გოგოებში ადვილად შეიცნობდით მისს ბროდის შეგირდებს. მთელი სკოლა იცნობდა მათ, მაგრამ არ უყვარდით და ეჭვის თვალითაც კი უცქეროდნენ. თავად ძალზე გულგრილნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ და მისს ბროდისთან მეგობრობის გარდა, არც სხვათა აკავშირებდით, მთელი სკოლა მასაც ეჭვის თვალით უყურებდა.

მარსია ბლეინის სკოლას პანსიონი არ გააჩნდა. იგი მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში დაუარსებიათ. სკოლის ასაგებად შესაწირი ფული ერთ მდიდარ ქვრივ ქალს გაუღია, რომელიც ედინბურგელი წიგნის მკინძავის ცოლი ყოფილა და სიკვდილამდე გარიბალდის ეთაყვანებოდა. ამ მამაკაცივით ქალის სურათი სააქტო დარბაზში ეკიდა. ყოველ წელს, სკოლის დამაარსებლის დაბადების დღეზე, სურათთან, პატარა კათედრაზე ლარნაკს დგამდნენ ქრიზანთემებისა და გეორგინების ხელოვნური თაიგულით. იქვე გადაშლილი ბიბლია იდო წითელი მელნით გახაზული სიტყვებით: „დედაკაცი მხნე ვინმე პოოს, რამეთუ უპატიოსნეს არს ანთრაქთა მრავალსასყიდლისათა ეგვეითარი იგი“.

გოგოებს, ახლა რომ ხის ძირში ბიჭებს ელაზღანდარებოდნენ და უსაქმობისაგან მიწას ტყეპნიდნენ, თავისებურად გაეთქვათ სახელი მთელ სკოლაში. თექვსმეტი წლის მონიკა დუგლასი კლასის მამასახლისი იყო და განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით გამოირჩეოდა — ზეპირად ანგარიშობდა. ზოგჯერ სიბრაზისაგან ისე აენთებოდა, უხვად არიგებდა აქეთ-იქით სილაქებს. გრძელი, მუქი ნაწნავები, სწორი და მსხვილი ფეხები და ზამთარზაფხულ ნიადაგ წითელი ცხვირი ჰქონდა. თექვსმეტის რომ შესრულდა, მონიკა დუგლასი პანამას კინკრიხოზე ისე წამოიკოსებდა, გეგონებოდა, პანამა კი არა, ერთი ციცქნა ქუდივით. თითქოს იცოდა, როგორც არ უნდა დაეხურა, სულერთია, მაინც სასაცილო გამოჩნდებოდა.

როზ სტენლი კი თავისი სექსუალობით იქცევდა ყველას ყურადღებას. ქერა, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ქუდი უბრალოდ ედო, მაგრამ პანამის ფარფლები ორივე მხრიდან აეკეცა.

პატარა, მოხდენილი და ფერიასავით ჰაეროვანი იუნის გარდინერი ყველას ხიბლავდა თავისი ნარნარი მიმოხვრით ტანვარჯიშის გაკვეთილებზე ცურვაშიც ყველას სჯობდა. პანამის ფარფლები წინ მუდამ აკეცილი ჰქონდა, უკან კი დაშვებული.

სენდი სტრენჯერი კი პანამას ირგვლივ აუკეცავდა ფარფლებს და რაც შეიძლება უკან გადაიწევდა. ქუდი რომ არ გადავარდნოდა, რეზინი მიაკერა და ნიკაპქვეშ იმაგრებდა. ზოგჯერ რეზინს პირში ჩაიდებდა და ლეჭავდა. ამიტომ, გაუცვდებოდა თუ არა; მაშინვე ახალს მიაკერებდა. სენდის ღორივით წვრილი, ჭრუტა თვალები ჰქონდა. სკოლაში იმით გაითქვა სახელი, რომ ძალზე ლამაზად წარმოთქვამდა ხმოვნებს, რითაც ალტაცებაში მოჰყავდა მისს ბროდი ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში სწავლის დროს.

— აბა, გამოდი და რამე წაგვიკითხე, დღეს ძალიან დავილაღეთ.

მან მოისროლა შორს თითისტარი,  
და სარკმელიდან გახედა სივრცეს,  
სადაც ჰყვარდა ნაზი შროშანა,

და სადაც სწრაფი ისრისმაგვარად  
ქროდა მხედარი კამელოტისკენ.

— ეს ხომ სულიერად ამაღლებს ადამიანს, — მისს ბროდი ხელს წარ-  
ნარად აქნევდა და ისე ელაპარაკებოდა ათი წლის გოგოებს, რომლებიც მოუ-  
თმენლად ელოდნენ ზარის დარეკვას, — როცა ადამიანს ფანტაზიის სურვილი  
არ გააჩნია მისი საქმე დაღუპულია, — ირწმუნებოდა იგი.

— იუნის, გამოდი და მალაყს გადადი. იქნებ ცოტათი გამოვცოცხლდეთ.  
მაგრამ ახლა ბიჭები გულიანად იცინოდნენ ჯენი გრეის ლაპარაკზე, რა-  
საც სასცენო მეტყველების გაკვეთილებზე დაუფლებოდა. ჯენი გრეი მსახიო-  
ბობას აპირებდა. იგი სენდის საუკეთესო მეგობარი იყო. პანამას წინ დაშვე-  
ბული ფარფლებით იხურავდა. ჯენი „ტომის“ ყველაზე ლამაზი და მოხ-  
დენილი გოგო იყო და სწორედ ამით გამოირჩეოდა ყველასაგან სკოლაში.

— ნუ მაიმუნობ, ენდრიუ, — თქვა მან მედიდურად.

ხუთი ბიჭიდან სამს ენდრიუ ერქვა და ახლა სამივემ ჯენის დაუწყო გა-  
მოჯავრება: — „ნუ მაიმუნობ, ენდრიუ“. გოგოებს სიცილისაგან პანამები  
უხტოდათ თავზე.

მათ „ტომის“ უკანასკნელი წევრი მერი მაკგრეგორი მიუახლოვდა, რო-  
მელიც ამ გოგოებში ყველაზე დიდი ბენტერა იყო. ამიტომაც ყველას ად-  
ვილად შეეძლო მისთვის გადაებრალებინა, რაც მოესურვებოდა. მას თან ახ-  
ლდა ვინმე ჯონის ემილი ჰემონდი, ძალზე მდიდარი ოჯახის შვილი, რომელიც  
არცთუ ისე დიდი ხანია მშობლებს ბლეინის სკოლაში გამოეგზავნათ. დიდი  
ყაჩაღანა ვინმე იყო და მშობლებსაც ისლა დარჩენოდათ, იმედის თვალით  
ეცქირათ მომავლისათვის. იქნებ ამ სკოლაში მაინც მოეთოკათ მათი ქალი-  
შვილი, რადგან მანამდე ვერც ერთმა სკოლამ და ვერც ერთმა აღმზრდელ-  
მა ვერაფერი გააწყო მასთან. ისევ ის მწვანე ფორმის კაბა ემოსა, რომელსაც  
ძველ სკოლაში იცვამდა. დანარჩენ გოგოებს კი სოსანისფერი სასკოლო კა-  
ბები ეცვათ. ჯერჯერობით ჯონის ემილის ერთადერთი დანაშაული მხოლოდ  
ის იყო, რომ ქალაღის სორსალს ესროდა დროდადრო სიმღერის მასწავლე-  
ბელს. რა არ იღონა, ტომის წევრი გამხდარიყო. ყველას დაყინებით სთხოვ-  
და, ჩემი სახელი ჯონის ემილი სრულად წარმოთქვითო. ასე ეგონა, ეს უპირა-  
ტესობას ანიჭებდა, რათა „ტომის“ სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო, მაგ-  
რამ ამაო გამოდგა ყველა ცდა, თუმცა თვითონაც ვერ გაეგო რატომ.

— აი, მასწავლებელიც მოდის, — თქვა ჯონის ემილიმ და თავით ალაყა-  
ფის კარისკენ მიანიშნა.

ორმა ენდრიუმ ველოსიპედები გზისკენ მიაბრუნა და გააქროლა. და-  
ნარჩენები კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, ადგილიდან არც დაძრულან,  
უტიფრად იდგნენ და მეორე მხარეს იყურებოდნენ, აქაოდა, ფენტლენდ  
ჰილზე მორიალე ღრუბლების ცქერით ვტკბებითო. გოგოებმა კვლავ წრე  
შეკრეს, თითქოსდა რაღაცაზე კამათობდნენ.

— გამარჯობათ, — მიესალმა მისს ბროდი გოგოებს. — რამდენიმე დღეა  
არ მინახიხართ. ამ ყმაწვილებს ნულარ ვალოდინებთ. ნახვამდის, ბიჭებო.

სახელოვანი „ტომი“ მისს ბროდის უკან მიჰყვა და ყაჩაღანა ჯონის ემი-  
ლიც მათ გაედევნა.

— მე მგონი, ამ ახალ გოგონას არ ვიცნობ, — თქვა მისს ბროდიმ და თან

გულდასმით შეათვალიერა ჯოისი. როცა ერთმანეთი გაიცნეს, მისს ბროდიმ თქვა: — ძალიან კარგი, ძვირფასო, ჩვენ უნდა წავიდეთ.

სენდომ მაშინ მიიხედა უკან, როცა გრძელკანკება დაუდგომელი ჯოის ემილი საპირისპირო მიმართულებით წავიდა, მერე კი მოჰკურცხლა. „ტომი“ კვლავ მარტოდმარტო დარჩა თავის, საიდუმლოებებით სავსე ცხოვრებასთან, როგორც ამ ექვსი წლის წინ, ბავშვები რომ იყვნენ, ცხოვრებისეულ სიბრძნეს, — ეუბნებოდა მაშინ მისს ბროდი თავის აღსაზრდელებს. — ამიტომაც ყველა ჩემი მოსწავლე *crème de la crème*!

სენდომ მოწკურული თვალებით გახედა მონიკას წითელ ცხვირს და როცა კვალდაკვალ მიჰყვა მისს ბროდის „ტომს“, სწორედ მაშინ მოაგონდა ეს სიტყვები:

— გოგოებო, მინდა ხვალ სალამოს ვახშმად მეწვიოთ, — თქვა მისს ბროდომ, — იქნებ სალამოსათვის მოიცალოთ.

— დრამატული წრე რომ... — ჩაიბუტბუტა ჯენიმ.

— გააფრთხილე, ვერ მოვალო, შეთქმულების თაობაზე მინდა მოგელაპარაკოთ. სკოლიდან უნდათ დამითხოვონ. რა თქმა უნდა, არსადაც არ წავალ, — როგორც სჩვეოდა ხოლმე, იგი ძალზე მშვიდად ლაპარაკობდა.

მისს ბროდის არასოდეს უმსჯელია თავის პირად საქმეებზე კოლეგებთან მხოლოდ ყოფილ მოსწავლეებს ეკითხებოდა რჩევას და თანაც იმათ, ვისაც ძალზე ენდობოდა. სკოლაში ადრეც ბევრჯერ უცდიათ შეთქმულების მიწყობა, იქნებ თავიდან მოვიცილოთო, მაგრამ ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა.

— ისევ სხვა, რომელიღაც მოწინავე სკოლაში გადასვლაზე გადმომიკრეს სიტყვა. შენი სწავლების მეთოდი შეიძლება იქ უფრო გამოდგეს, ვიდრე აქ, მარსია ბლეინის სკოლაშიო. მაგრამ არსადაც არ წავალ, აქ დავრჩები, ამ მასობრივი განათლების ფაბრიკაში. ჯერ კიდევ საჭირო ვარ აქ. მომიყვანეთ აღსაზრდელად რომელიც გნებავთ გოგო შესაფერის ასაკში და იგი უკვე ჩემი იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე.

გოგოებმა გაიღიმეს, ყველამ თავისებურად დაახურდავა მისი ნათქვამი.

მისს ბროდომ მრავლისმეტყველად დააკვესა თაფლისფერი თვალები. ნამზეური რომაული პროფილი კიდევ უფრო ძლევამოსილ იერს აძლევდა. ბროდის „ტომს“ ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ გამარჯვება ბოლოს მაინც მას დარჩებოდა. მხოლოდ იულიუს კეისარს თუ ხელეწიფებოდა ესოდენ ძლევამოსილად გამარჯვება. მისს ბროდი სკოლიდან არასოდეს წავიდოდა. თუკი სკოლის ხელმძღვანელობას მისი თავიდან მოცილება სურდა, მისი მოკვლის გარდა სხვა გზა არ რჩებოდა.

— ამჯერად ვინ არიან ბანდის წევრები? — იკითხა როზიმ, რომელიც სექსუალობით იქცევდა ყველას ყურადღებას.

— მათზე ხვალ სალამოს ვილაპარაკებთ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ, — თქვა მისს ბროდომ.

— რა თქმა უნდა, — ერთხმად დაუდასტურეს გოგოებმა, — ვერაფერს გახდებიან.

— მით უმეტეს ახლა, როცა კვლავ გაფურჩქვნის ხანაში ვარ. ყოველთვის გახსოვდეთ, მთავარია, დროზე გამოიცნოთ თქვენი გაფურჩქვნის ხანა. აი,



ჩემი ტრამვაიც მოვიდა. რა თქმა უნდა, ადგილს არავინ დამითმობს, 1936 წელია, ჩემო კარგებო, რაინდების დრო წარსულს ჩაბარდა.

მანამდე კი, ექვსი წლის წინათ, მისს ბროდიმ თავისი ახალი კლასი ბაღში წაიყვანა, რომ იქ, თელის ძირში, ისტორიის გაკვეთილი ჩაეტარებინა. — დი-რეფანი რომ გაიარეს, დირექტორის ოთახთან შეჩერდნენ. ვარი-მოსელები-ბინათ, ოთახში კი კაცის ჭაჭანება არ იყო.

— გოგონებო, მოდით და შეხედეთ, — თქვა მისს ბროდიმ.

ისინი ღია კართან მოქუჩდნენ და მისს ბროდიმ ოთახის მოპირდაპირე კედელზე, ჭიკარტებით მიმაგრებულ პლაკატზე მიუთითა. ზედ სახეგატყლა-პული მამაკაცი ეხატა. ქვემოთ კი მიეწერათ: „ყველაზე მთავარია საფრთხე ავიცილოთ“. ეს სტენლი ბოლდუინია. უკანასკნელ არჩევნებზე პრემიერ-მინისტრი გახდა, მაგრამ დიდხანს ვერ შერჩა, — თქვა მისს ბროდიმ.

— მისს მაკკეიმ სურათი არ ჩამოახსნევინა, რადგან სჯერა ამ ლოზუნგი-სა: „ყველაზე მთავარია საფრთხე ავიცილოთ!“ მაგრამ მთავარია არა საფრ-თხის აცილება, არამედ სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება; მომყევით, გოგონებო.

მისს ბროდი პირველად ესაუბრა გოგონებს გულახდილად, მათაც იგრძ-ნეს, რომ იგი სრულიად განსხვავდებოდა სკოლის დანარჩენი მასწავლებლები-საგან. ზოგიერთმა მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ეს მტკიცე, მონოლითურ ჯგუ-ფად შედუღებებული სკოლის ხელმძღვანელობაც შეიძლებოდა სრულიად გან-სხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისაგან. გოგონებიც, ღიახაც გახალისებულ-ნი, რომ აურზაურის მონაწილენი გახდებოდნენ, თავად კი არავითარი ზიანი არ მიადგებოდათ, თან მიჰყვნენ გულად მისს ბროდის თელის ჩრდილში, სა-დაც არა საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ხშირად, იმ მზიანი შემოდგომის დღეებში, როცა კარგი დარი იდგა, გო-გონები თელის ძირში სკამებზე ჩამოსხდებოდნენ და მეცადინეობდნენ.

— წიგნები ხელში გეჭიროთ, — ეტყოდა ხოლმე ხშირად მისს ბროდი იმ შემოდგომაზე გოგონებს, — თუ ვინმე თავს წამოგვადგა, ეტყვი, ისტორიის, ლიტერატურის ან ინგლისური ენის გაკვეთილი გვაქვსო.

გოგონებსაც წიგნები წინ დაეწყით და იმის მაგიერ, შიგ ეცქირათ, ყვე-ლანი მისს ბროდის მიშტერებოდნენ.

— ამასობაში კი მოგიყვებით, როგორ ვიმოგზაურე ამ ზაფხულს ეგვიპტეში, გასწავლით, როგორ უნდა მოუაროთ სახის კანს, ხელებს, მოგიყვებით, რო-გორ გავიცანი ერთი ფრანგი მამაკაცი მატარებელში, როცა ბიარიცში მივემ-გზავრებოდი. იმ იტალიურ სურათებზეც გესაუბრებით, მე რომ ვნახე. ვინ არის უდიდესი იტალიელი მხატვარი?

— ლეონარდო და ვინჩი, მისს ბროდი.

— არ არის სწორი. ჯოტო უნდა გეთქვა. ის ჩემი საყვარელი მხატვა-რია.

სენდის ზოგჯერ ეჩვენებოდა, მისს ბროდის ზურგი და მკერდი ერთნაი-რად გაბრტყელებული აქვსო, ზოგჯერ კი მკერდი უფრო ქალური, დიდი უჩანდა და სენდიც, გაკვეთილზე ჭრუტა, თითქმის შეუმჩნეველი თვალებით მიაშტერდებოდა მისს ბროდის, რომელსაც თავი მალლა ეჭირა და ფანჯრი-დან იცქირებოდა. ამ დროს, როგორც იგი იტყოდა, ხოლმე, ეანა დარკს ჰგავდა.

ხშირად მოიქვას თქვენთვის და ამ უკანასკნელი არდადეგების დროსაც დავრწმუნდი, ახლა ჩემს არსებაში მართლაც გაიღვიძა ქაღმა, ეს დრო ქალს შეიძლება ისე გამოეპაროს, ვერც კი გაიგოს. თქვენც, გოგონებო, როცა წამოიზრდებით, ფხიზლად იყავით, არ გამოგეპაროთ თქვენი გაფურჩქვნის ხანა, რა ასაკშიც არ უნდა გეწვიოთ იგი. ამ დროს მთელი არსებობა უნდა მიეცეთ ცხოვრებას. მერი, რა გიღვეს მერხში, რას ჩამტყურობინარ?

მერი გამოლენჩებული იჯდა და იმის თავიც არ ჰქონდა, რაბუ მოესაზრებინა. ისე ბენტერა იყო ტყუილის თქმაც ვერ მოეხერხებინა, არ იცოდა, როგორ დაეძვრინა თავი.

— ეს კომიქსია?, მისს ბროდი, — თქვა მან.

— გინდა თქვა, რომ კომედიური მსახიობის, მასხარას სურათია? გოგონებმა ჩაიხითხითეს.

— სასაცილო სურათებია, — მიუგო მერიმ.

— მართლაც რომ სასაცილო სურათებია. რამდენი წლისა ხარ?

— ათის, მემ.

— უკვე საკმაოდ დიდი ხარ. ეს სურათები საშენო არ არის. მომეცი, — მისს ბროდიმ ფერად ფურცლებს დახედა.

— ვეფხვის ბოკვერი ტიპი! — თქვა მან და წიგნი სანაგვე ყუთში მოისროლა. როცა დაინახა, ყველანი იმ წიგნს მიშტერებოდნენ, ამოიღო სანაგვე ყუთიდან, ნაკუწებად აქცია და კვლავ შიგ ჩაყარა.

— ყურადღებით მომისმინეთ, გოგონებო, გაფურჩქვნის ხანა ის ასაკია, რისთვისაც ჩნდება და ცოცხლობს ადამიანი ამ ქვეყანაზე. ახლა, როცა ჩემი გაფურჩქვნის ხანა დადგა... სენდი, რატომ არ მისმენ? რაზე ვლაპარაკობდი?

— თქვენი გაფურჩქვნის ხანაზე, მისს ბროდი, — მიუგო მან.

— თუ ვინმე მოვიდა, გახსოვდეთ, ინგლისური ენის გრამატიკის გაკვეთილი გვაქვს. მანამდე კი ცოტას ჩემს ცხოვრებაზე მოგიყვებით. მაშინ სულ ახალგაზრდა გახლდით, თუმცა ექვსი წლით უფროსი ვიყავი იმ კაცზე.

მისს ბროდი ზურგით თელის ხეს მიეყრდნო. გვიანი შემოდგომის დღე იდგა. ქარის ოდნავი დაბერვისას ფოთლები გუნდ-გუნდად ცვიოდა და ბავშვებს ეყრებოდა. ისინიც გახარებულნი, თავისუფლად რომ შეედლოთ წამოდგომა და წათამაშებაც კი, თმასა და კალთებზე დაყრილ ფოთლებს იბერტყავდნენ.

— „ეამია მინდორ-ველთა სიმწიფის და ნისლიანი ამინდებისა“... ომამდე ერთ ყმაწვილზე ვიყავი დანიშნული, მაგრამ ის გმირულად დაეცა ფლანდრიის ველზე, — თქვა მისს ბროდიმ, — სენდი, შენ რა, სარეცხის რეცხვას აპირებ?

— არა, მისს ბროდი.

— მაშ სახელოები რატომ აგიკეცია? არაფერი მესაქმება იმ ადამიანთან, ვინც სახელოებს აიკეცავს... ახლავე ჩამოუშვი, ჩვენ ხომ ცივილიზებული ხალხი ვართ. ზავის გამოცხადებამდე ერთი კვირით ადრე დაიღუპა. შემოდგომის ფოთოლივით მოწყდა. მხოლოდ ოცდაორი წლის იყო. კლასში რომ დავბრუნდებით, რუკაზე გიჩვენებთ იმ ადგილს, სადაც ჩემი სატრფო ვანისვენებს. თქვენ მაშინ დაბადებულიც არ იყავით. ის ღარიბი იყო. წარმოშობით ეირშირელი გახლდათ; სოფლელი, მაგრამ შრომისმოყვარე და

ჭკვიანი ყმაწვილი იყო, ხელი რომ მთხოვა, ასე მითხრა: „ცარიელ წყალზე და პურზე ვიქნებით!“. ასე ამბობდნენ თურმე ჰიუს სოფელში, როცა უბრალო ცხოვრებას გულისხმობდნენ. ცარიელ წყალზე და პურზე ვიქნებით! რას ნიშნავს ეს, როზი?



— იმას, რომ თქვენ უბრალოდ იცხოვრებდით, მისს ბროდი, — მიუგო როზ სტენლიმ, რომელმაც მერე, ექვსი წლის შემდეგ სექსუალობით მიიპყრო ყველას ყვრადღება.

მისს ბროდი გაცხარებული მოუთხოვდა ბავშვებს გარდაცვლილ საქმროზე, როცა გაზონზე მათკენ მომავალი დირექტორი — მისს მაკეი დალანდეს. სენდის ჭრუტა თვალებიდან დაპალუბით სდიოდა ცრემლი. ამან ჯენიზეც კი იმოქმედა, რომელმაც შემდეგ სილაამაზით გაითქვა სახელი მთელ სკოლაში. იგი ასლუკუნდა და მუხლთან ქვედა საცვლის რეზინში შეკვებებული ცხვირ-სახოცის ამოსაღებად შეაცურა ხელი.

— ჰიუ ზავის გამოცხადებამდე ერთი კვირით ადრე მოკლეს, — თქვა მისს ბროდიმ, — ამას მერე საყოველთაო არჩევნები ჩატარდა და ხალხი ასე გაჰყვიროდა: „სიკვდილი კაიზერს“. ჰიუ ტყის ყვავილია, სამარეში მშვიდად რომ განისვენებს. — ახლა როზ სტენლი აზლუქუნდა. სენდიმ ცრემლიანი თვალებით გვერდზე მიიხედა. იგი გაზონზე მათკენ მომავალ მისს მაკეის უყურებდა, რომელიც მთელი ტანით წინ გადმოხრილიყო.

— ერთი წუთით მოვედი და მალე უნდა წავიდე, — თქვა მან, — რა გატირებთ, გოგოებო?

— ისტორიის გაკვეთილი გვაქვს და ჩემმა ნაამბობმა აუჩუყათ ვული, — მიუგო მისს ბროდიმ და მარჯვედ დაიჭირა ძირს ჩამოვარდნილი ფოთოლი.

— მერედა, ათი წლის გოგოები მასწავლებლის ნაამბობზე ტირით? — იკითხა მისს მაკეიმ. გოგოები ძლივძლივობით წამოდგნენ, ჯერ კიდევ გაოგნებულნი იმ ამბით, მისს ბროდიმ რომ მოუყვიათ ჯარისკაც ჰიუზე. — მხოლოდ თქვენს სანახავად მოვედი და მალე წავალ. მაშ ასე, გოგოებო, ახალი მეოთხედი დაიწყო. იმედი მაქვს ყველამ შესანიშნავად დაისვენეთ. ამიტომაც მოუთმენლად ველოდები თქვენს ნაწერებს, თუ როგორ გაატარეთ ზაფხული. ამ ასაკში კი ისტორიის გაკვეთილებზე აღარ უნდა ტიროდეთ. მე მგონი, არ ღირს.

— კარგი ჰქენით, რომ კითხვაზე არ უპასუხეთ, — უთხრა მისს ბროდიმ გოგოებს, როცა მისს მაკეი წავიდა. — გამოუვალ მდგომარეობაში უმჯობესია საერთოდ არაფერი თქვათ. არც კარგი და არც ავი, როგორც იტყვიან, სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი ოქრო. მერი, შენ მისმენ? გაიმეორე, რა ვთქვი. დონდლო, თვალედაქვეტილმა და სანტაკლაუსივით მუდამ ცხვირაწითლებულმა მერი მაკგრეგორმა, რომელსაც სკოლაში ყველა ლენჩად თვლიდა და ყველაფერს მას გადააბრალებდნენ ხოლმე, ოცდასამი წლისამ სიცოცხლე ცეცხლმოკიდებულ ოტელში რომ დაასრულა, ძლივს ამოდერდა: „ოქრო“.

— არ ვთქვი, რა არის-მეთქი ოქრო?

მერიმ ირგვლივ მოავლო თვალი და მერე ზევით აიხედა. სენდიმ უჩურჩულა: — ჩამოცვენილი ფოთლები.

— ჩამოცვენილი ფოთლები, — გაიმეორა მერიმ.

— უბრალოდ რომ ვთქვათ, არ მისმენთ, — თქვა მისს ბროდიმ. — თქვენ

რომ ყურადღებით მისმენდეთ, გოგოებო, თქვენგან crème de la crème-ს გამოვხრდით.



ქართული  
ბიზნეს-ბიურო

II თავი

ოცდასამი წლის მერი მაკგრეგორმა ისე გალია თავისი წუთისოფელი, ექვდაც არ ჰქონია, რომ მისს ბროდის არასოდეს გადაუხსნია გული კოლეგებისათვის და სამიჯნურო თვაგადასაველებს მხოლოდ თავის შევირდებს უამბობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, როცა მერი მაკგრეგორი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქალთა მაშველ რაზმში ჩაეწერა და ერთი უნიათო მოწყალების დის სახელი დაიმსახურა, ძალზე იშვიათად თუ გაიხსენებდა ხოლმე მისს ბროდის, თუმცა არასოდეს ყოფილა მისადმი ცუდად განწყობილი. მერე, როცა მერის ერთადერთმა თაყვანისმცემელმა კაპრალმა, რომელიც მხოლოდ ორი კვირის გაცნობილი ჰყავდა, მიატოვა, პაემანზე აღარ მოვიდა და ისე გადაიკარგა, კაცმა არ იცოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მერიმ თვალი გადაავლო წარსულს, რომ გაეხსენებინა, თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც თუ ყოფილა ბედნიერი. მაშინ კი მიხვდა, ის წლები, როცა მერზე იჭდა და სულგანაბული უსმენდა მისს ბროდის მოყოლილ ათასნაირ ამბებს, ირგვლივ სამყაროსთან რომ საერთო არაფერი ჰქონდა, მისი ცხოვრების უბედნიერესი დღეები იყო.

ამ ყველაფერმა წამიერად გაუელვა თავში და მეტად აღარც უფიქრია მისს ბროდიზე. ეს კია, იმ დამცირების მერე წინანდელივით უსიცოცხლო და უგერგილო გახდა, ასეთივე დარჩა სიკვდილამდე, სანამ, კემპერლენდში შვებულებით ჩასული, სასტუმროში გაჩენილი ხანძრის დროს დაიღუპებოდა. სულის შემხუთავ კვამლში დარბოდა დერეფნის ერთი ბოლოდან მეორეში. ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან ისევ უკან მობრუნდებოდა, მაგრამ იქაც ცეცხლის ბრიალა კედელი ხვდებოდა. ღრიალი და ყვირილი არ გაუგონია, ცეცხლის გუგუნს ჩაეხშო ხმები. კვამლმა ლამის თვითონაც დაახრჩო, და ხმა ვერ გაელო. მესამედ რომ მოტრიალდა, ვიღაცას დაეჯახა, წაიქცა და სულიც დალია. ახლა კი, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ათი წლის მერი დიახაც უხალისოდ იჭდა მისს ბროდის გაკვეთილზე.

— იატაკზე მელანი ვინ დაღვარა? შენ, მერი?

— არ ვიცი, მისს ბროდი.

— მე კი მგონია, შენ დაღვარე. შენისთანა უნიათო გოგოს მნახველი არა ვარ. თუ არ გაინტერესებს, რას ვყვები, თავი მაინც მომაჩვენე, ყურადღებით გისმენო.

სწორედ ეს ბედნიერი დღეები გაიხსენა მერი მაკგრეგორმა, თვალი რომ გადაავლო წარსულს.

სენდი სტრენჯერიც წინასწარვე გრძნობდა, რომ მომავალში ეს დღეები მისი ცხოვრების უბედნიერესი დღეები იქნებოდა. თავის დაქალ ჯენი გრეისაც ასე უთხრა, როცა იგი დაბადების დღეზე ჩაიხე შიიპატიყა. სენდის ათი წელი შეუსრულდა. დღეობაზე გოგოები კუბებად დაჭრილ ანანასსა და ნალებს მიირთმევდნენ, მაგრამ თავიდათავი ის იყო, რომ მარტონი დატოვეს. სენდის ეგონა, ბედნიერებასაც ამ უცხოური ანანასის გემო და იერი დაჰკრავ-

და და, სანამ ოქროსფერ ნაჭრებს კოვზით აიღებდა და პირში გადაუძარებდა, ჭრუტა თვალებით დაკვირვებით დაჰყურებდა მათ. ის მომყავო გემოც, ახლა სასიამოვნოდ რომ უშუშხავდა ენას, რაღაც იმ უჩვეულო ბედნიერებას, კუთვნილი იყო, რომელსაც საერთოდ არაფერი აქვს არც საჭმელთან და არც იმ ბედნიერებასთან, შენდა შეუგნებლად თამაშის დროს რომ განიცდი. გოგობმა ნაღები ბოლოსთვის მოიტოვეს და ახლა გემრიელად შეექცეოდნენ.

— ჩემო პატარა გოგოებო, თქვენ ყველანი საზოგადოების *crème de la crème* იქნებით, — გამოაჯავრა სენდიმ მისს ბროდის.

ჯენის სიცილი წასკდა და ნაღები ცხვირსახოცში ჩააბურჭყა.

— იცი, ამბობენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღეები ახლა გვაქვს, — თქვა სენდიმ.

— ჰო, ყველა იმას ამბობს, სანამ სკოლაში სწავლობთ, რაც შეგიძლიათ ისიამოვნეთ, რადგან, კაცმა არ იცის, მერე რა მოგელითო, — მიუგო ჯენიმ.

— მისს ბროდი ამბობს, ცხოვრების საუკეთესო წლები ქალისთვის გაფურჩქვნის ხანააო, — თქვა სენდიმ.

— იგი ხომ ჩვენი მშობლებივით გათხოვილი არასოდეს ყოფილა.

— ჩვენს მშობლებს ჯერ არც გაფურჩქვნის ხანი დადგომიათ, — მიუგო სენდიმ.

— სამაგიეროდ სქესობრივი ურთიერთობა აქვთ, — ჩაილაპარაკა ჯენიმ.

გოგობმა წამით შეწყვიტეს საუბარი, რადგან ეს წუთია წამოცდენილი სიტყვები მათთვის სრულიად ახალი და თანაც საკვირველი რამ იყო, თითქმის წარმოუდგენელი, მერე სენდიმ თქვა:

— გასულ კვირას მისტერ ლოიდს ბავშვი შეეძინა. ალბათ ცოლთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა.

ეს კი უფრო ადვილად წარმოიდგინეს გოგობმა და ისტერიული სიცილი აუვარდათ. მისტერ ლოიდი უფროსკლასელებს ხატვას ასწავლიდა.

— შეგიძლია ისინი ამ დროს წარმოიდგინო? — წასჩურჩულა ჯენიმ.

სენდიმ კიდევ უფრო მოწკაურა თვალები, შეეცადა გონებაში დაეხატა ეს სურათი.

— ამ დროს ალბათ პიყამა ეცვა, — ჩურჩულითვე უპასუხა მან.

გოგობი სიცილისაგან ჩაბუირდნენ, როცა თვალწინ სკოლაში მედიდურად მიმავალი ცალხელა მისტერ ლოიდი წარმოუდგათ.

მერე ჯენიმ თქვა:

— სულ რაღაც წუთებში ხდება ყველაფერი.

მის ნათქვამს კი დაეჭვებოდა, რადგან სულ ცოტა ხნის წინ გაიგეს, გოგო, რომელიც ჯენის მამის საბაყლო დუქანში მუშაობდა, ფეხმძიმედ გამხდარა, როცა ამის გამო ერთი ვაი-უშველებელი ატყდა, ჯენიმაც ყური მოჰკრა რაღაც-რაღაცებს და მერე შეკრებილი ამბები მეგობარს გაანდო. ორივენი გამოკვლევას შეუდგნენ, რომელსაც ასეც უწოდეს — „გამოკვლევა“. ერთმანეთს დაუკავშირეს რა უფროსებისაგან მალულად ყურმოკრული და სქელტანიან ლექსიკონში ამოკითხული.

— ყველაფერი წამში ხდება. მოწმენდილ ცაზე მების გავარდნასა ჰგავს.

— თქვა ჯენიმ, — თინისაც ასე დაემართა, როცა პადოკში თავის კავალერთან სეირნობდა, მერე იძულებული გახდნენ დაქორწინებულიყვნენ.

— მანამ საცვალს გაიხდიდა შეიძლებოდა ყოველგვარი კურვილი დაპ-  
კარგვოდა, — თქვა სენდომ. „საცვალში“, რა თქმა უნდა, „ნიფსავს“ გუ-  
ლისხმობდა; მაგრამ აქ ეს სიტყვა არ გამოდგებოდა, რამეთუ ძალზე ჭრიდა  
ყურს.

ბიზლიფისეკა

— ჰო, აი, ეგეც არ მესმის, — თქვა ჯენომ.

კარი გაიღო და ოთახში სენდომს დედამ შემოჰყო თავი.

— ერთობით, გენაცვალე? — იკითხა მან.

მისი მხრების იქიდან ჯენის დედა იყურებოდა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, როცა სუფრას შეხედა, — ესენი  
ტკბილს შეეჭყევიან.

სენდომ ძალზე შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო თავი  
ამ შენიშვნის გამო; ბოლოს და ბოლოს წვეულებაზე საქმელი ხომ არ იყო  
მთავარი.

— ახლა რას გააკეთებთ? — იკითხა სენდომს დედამ.

სენდომ ისე ქუშად გახედა დედას, თითქოს ეუბნებოდა, შენ არ დამპირ-  
დი, მარტო დაგტოვებთო?! სიტყვა სიტყვაა. კარგად იცი, რა ცუდია, როცა  
ბავშვს რაიმეს შეპირდები და მერე სიტყვას გატეხავო. ამით შეიძლება მთე-  
ლი ცხოვრება გაუფუჭო. ეს ხომ ჩემი დაბადების დღეაო.

დედამისმა უკან დაიხია და ჯენის დედაც თან გაიყოლა.

— ხელს ნუ შევუშლით, — თქვა მან, — იმხიარულეთ, იმხიარულეთ,  
გენაცვალე.

სენდომს ზოგჯერ სირცხვილი სწვავდა დედა რომ ინგლისელი ჰყავდა და  
„გენაცვალეო“ ეძახდა. ედინბურგელი დედები კი „ჩემო ძვირფასო“, ასე  
მიმართავდნენ შვილებს.

სენდომს დედას მყვირალა ფერის ზამთრის პალტო ეცვა ხოლმე, იორკის  
ჰერცოგის მეუღლის პალტოსავით მედიის ფაფუკი ბეწვით გაწყობილი. სხვა  
გოგოების დედებს კი ტვიდის პალტოები ან ანდატრის ქურქები ჰქონდათ,  
მთელი ცხოვრება რომ ატარებდნენ ხოლმე.

გადაუღებლად წვიმდა. ბაღში საშინელი სინესტე იდგა და გოგოებმა  
გარეთ გასვლა ვერ მოახერხეს, რომ ავსტრალიაში მიმავალი გვირაბის გათხ-  
რა დაემთავრებინათ. ნამუსრევიანი მაგიდა ოთახის კუთხეში გადაიტანეს.  
სენდომ როიალის სკამს თავი ახადა და პატარა ყუთიდან ნოტებშუა დამალუ-  
ლი რვეული ამოიღო. ფურცლის პირველ გვერდზე ეწერა:

### ჟოხი ტყეში

სენდი სტერნჯერისა და ჯენი გრეის თხზულება.

ეს გახლდათ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მოთხრობა მისს ბროდის მიჯ-  
ნურ ჰიუ კარუტერსზე. იგი ომში არ მოუკლავთ. დეპეშა შეცდომით ყოფილა.  
ჰიუ დაბრუნდა და მისს ბროდის სკოლაში მიაკითხა. პირველად აქ სკოლის დი-  
რექტორს, მისს მაკკეის გადაეყარა. სწორედ მან აუწყა, მისს ბროდის შენი-  
ნახვა აღარ სურს, რადგან სხვა შეიყვარაო. ჰიუმ გესლიანად ჩაიციხა, იქაუ-  
რობას გაერიდა და მთას მიაშურა, სადაც ჟოხში დაბინავდა და სადაც ერთ-  
ხელ სენდომ და ჯენომ იპოვეს იგი. მას ტყავის ქურთუკი ეცვა. თხზულების

ამ ნაწილში სენდი ჰიუს ჰყავდა დატყვევებული. ჯენიმ კი მოახერხა და გრი-  
ბარა, სიბნელეში ქვემოთ ჩასასვლელი გზა უნდოდა ეპოვა. ჰიუს მის და-  
დევნებას აპირებდა.

„ჰიუს, — ემუდარებოდა სენდი, — გეფიცებით ყოველივე წმინდს, ვინც მის და-  
ბროდის არასოდეს ჰყვარებია სხვა მამაკაცი. ახლა, თავის გაფურჩქვნის ხანს,  
იმედით აღვსილი გელოდებით ქვევით. თუ ჯენის გაუშვებთ, ისევ უკან მოგ-  
გვრით თქვენს საყვარელ ქალს, ჯინ ბროდის და საკუთარი თვალით იხი-  
ლავთ მას. თორმეტი წლისა და ერთი დღის განშორების შემდეგ კვლავ ვნე-  
ბიანად ჩაიკრავთ მკერდში“.

ქოხში დაკიდებული ფარნის სინათლეზე ჰიუს შავმა თვალებმა გაიელ-  
გეს.

„იქით მიდექი, გოგო, — დაუყვირა მან, — გზას ნუ მილობავ, განა არ  
ვიცი, ეს გოგო ჩემს ყოფილ საცოლეს სიტყვასიტყვით ჩაუჭიკჭიკებს ყვე-  
ლაფერს და ჩემს ადგილსამყოფელსაც მოასწავლის. თქვენ გგონიათ, ვერ  
ვხვდები, მისი მოგზავნილები რომ ხართ. უნდა მერე მასხარად ამიგდოს და  
ქვეყანაზე გამომატენოს. მოსცილდი კარს, მე შენ გეუბნები!“

„არასოდეს, — დაიყვირა სენდიმ და მოქნილი ტანით სწრაფად აეკრა  
კარს, ურდულს ჩაებლაუჭა, დიდრონი ლაყვარდოვანი თვალები მუდარის ცეც-  
სლით უელავდნენ“.

სენდიმ ფანქარი ჯენის გადასცა. — ახლა შენი ჯერია, — უთხრა.

ჯენიმ დაწერა: „ხელის ერთი მოქნევით ჰიუსმ გოგო ქოხის მეორე კუთ-  
ხეში მოისროლა. მერე ზღურბლს გადააბიჯა და გარეთ გავიდა. ირგვლივ მი-  
დამო მთვარის შუქს მოევერცხლა. მიდიოდა და აინუნშიაც არ აგდებდა ამო-  
ვარდნილ ქარბუქს“.

— ჩექმებზეც ჩაამატე, — უთხრა სენდიმ.

ჯენიმ დაწერა: „მაღალყელიანი ჩექმები თვალისმომჭრელად ლაპლა-  
პებდნენ მთვარის შუქზე“.

— ძალიან ხშირად გაქვს ნახსენები მთვარის შუქი, — თქვა სენდიმ —  
მაგრამ არა უშავს, გამოსაცემად რომ მოვამზადებთ, მაშინ ამოვიღებთ.

— რას ამბობ, სენდი! ეს ხომ ჩვენი საიდუმლოა.

— ვიცი, — მიუგო სენდიმ, — მაგაზე ნუ წუხარ. სანამ ჩვენი გაფურჩქვ-  
ნის ხანა არ მოაწევს, მანამდე არ გამოვაქვეყნებთ.

— როგორ ფიქრობ, მისს ბროდის ჰიუსთან როდესმე სქესობრივი ურთი-  
ერთობა თუ ჰქონდა? — ჰკითხა ჯენიმ.

— მაშინ ბავშვი უნდა ჰყოლოდა, ასე არაა?

— არ ვიცი.

— არა მგონია, ასე იყოს, — თქვა სენდიმ, — მათი სიყვარული ყველა-  
ფერზე მაღლა იდგა.

— მისს ბროდიმ თქვა, როცა უკანასკნელად ჩამოვიდა შვებულებით, თავ-  
დავიწყებით ჩავეკონეთ ერთმანეთსო.

— არა მგონია, ტანთ გაეხადათ, — თქვა სენდიმ, — შენ როგორ ფიქ-  
რობ?

— ვერაფრით ვერ წარმომიდგენია — მიუგო ჯენიმ.

— სულაც არ მინდა ვინმესთან სქესობრივი ურთიერთობა მქონდეს, —  
თქვა სენდიმ.

— არც მე მინდა, — უთხრა ჯენიმ, — ვინმე პატიოსან მამაკაცს გავყვები ცოლად.

— ირისი აიღე.

გოგოები ხალიჩაზე ისხდნენ და ტკბილედ უხედავდნენ. სენდიმ ბუხარში ცეცხლი შეუკეთა. ალი ავარდა და მისი შუქი ჯენის კულულებზე დაეფრქვია.

— მოდი, ვითომ კუდიანები ვართ და კოცონთან ვსხედვართ, როგორც წმინდანთა თაყვანისცემის დღეს.

ნახევრად სიბნელეში ისხდნენ, ირისს შეეპყოდნენ და თან კუდიანთა ლოცვებს ბუტბუტებდნენ.

— მუზეუმში ბერძნული ღმერთის შიშველი ქანდაკება დგას. გასულ კვირას ვნახე, მაგრამ ბიცოლა ქეთის ვახლდი და კარგად ვერ შევათვალიერე, — თქვა ჯენიმ.

— მოდი, მომავალ კვირას მუზეუმში წავიდეთ, — შესთავაზა სენდიმ, — ეს ხომ ჩვენთვის გამოკვლევაა.

— ჩემთან მარტო გამოგიშვებენ?

სენდის უფროსების გარეშე არსად უშვებდნენ.

— არა მგონია, — თქვა სენდიმ, — იქნებ ვინმე დავიყოლიოთ წაგვიყვანოს.

— მისს ბროდის შეიძლება ვთხოვოთ.

მისს ბროდის ხშირად დაჰყავდა გოგოები სურათების გალერეებსა თუ მუზეუმებში. ასე რომ, დიახაც შეიძლებოდა მას წაეყვანა ისინი.

— ვთქვათ და, იმ შიშველ ქანდაკებას არ შეგვახედოს? — იკითხა სენდიმ.

— მე მგონი, მის სიშიშველეს ვერც შეამჩნევს, — მიუგო ჯენიმ, — და არც იმ რაღაც ჯანდაბას შეხედავს.

— ვიცი, — თქვა სენდიმ, — მისს ბროდი ხომ ყველაფერზე ისე მალდა დგას, ასეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევს.

ჯენის წასვლის დრომაც მოაწია. ნოემბრის მწუხრით მოჯადოებულ ედინბურგში დედასთან ერთად ტრამვაით უნდა გაევლო დინ ბრიჯის ხიდი. სენდიმ ფანჯრიდან ხელი დაუქნია დედა-შვილს და გაიფიქრა, ნეტა ჯენიც თუ ხვდება, რა გაორებულ ცხოვრებას ვეწევით, უამრავი პრობლემებიდ სავსესო. მილიონერებიც კი ვერ გადააწყდებიან ალბათ ამგვარ სიძნელეებს. ხომ ყველამ კარგად იცის, რა გაორებულ ცხოვრებასაც ეწევია ისინი.

სალამოს გაზეთი გველივით ჩასრიალდა საფოსტო ყუთში. უცებ ისეთი მყუდროება გამეფდა მთელ სახლში, სალამოს ექვსი საათის შემდეგ რომ დაისადგურებს ხოლმე.

ოთხს რომ თხუთმეტი წუთი უკლდა, მისს ბროდი თავისი კლასის გოგოებს ლექსს უკითხავდა, რათა შინ წასვლამდე ცოტათი გაეხალისებინა ისინი. თვალები მიეზნინდა და თავი უკან გადაეგდო.

აღმოსავლეთით მოქრის გრიგალი,  
და ყვითელი ტყე სულ განიძარცვა.



მერე კი წვიმამ კოკისპირულმა  
კამელოტს დასცხო შეუბრალებლად.



სენდის ჭრუტა, უფერული თვალები მოეწკურა, პირი მოეწკურა და უცქეროდა მისს ბროდის.

როზ სტენლი ტანვარჯიშის სამოსის ქამარს ძაფებს აძრობდა. ჯენი კი ისე მოეხიბლა ლექსს მონუსხულივით იჯდა და პირდაღებული უსმენდა მისს ბროდის. მოწყენილს ვერასოდეს ნახავდით. მოწყენა არც სენდის ჩვეოდა, თუმცა კი გაორებულ ცხოვრებას ეწეოდა.

ის მდინარისკენ ჩაუყვავდა და  
იქვე მონახა უნიხბო ნავი  
და მიაწერა ნავის კედელზე:  
„შალოტი სვებედგამწარებული“.

„ნეტა რითი დაწერეთ ეს სიტყვები, თქვენო ბრწყინვალეებავ?“ — ფიქრში დაეკითხა სენდი ლედი შალოტს. „ბალახიან ნაპირზე შემთხვევით წავაწყდი თეთრი საღებავით სავსე ქილასა და ფუნჯს“, — მიუგო მოწყალედ ლედი შალოტმა. — „ვიღაც დაუდევარ უმუშევარს დარჩებოდა“.

„აფსუსს, თანაც ასეთ წვიმაში!“ — თქვა სენდიმ, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა. ამ დროს მისს ბროდის ხმა ჭერს მისწვდა, ისიც გახვრიტა და ზედა სართულში უფროსკლასელთა ფეხებს მოეფინა.

ლედი შალოტმა თეთრი ხელი მხარზე დაადო სენდის და დაეინებით ჩააქტერდა სახეში. მერე დაბალ, სევდანარევ ხმაზე წარმოთქვა:

„რა უიღბლო იქნება ეს ახალგაზრდა და ლამაზი ქალიშვილი სიყვარულში“.

— ნეტა ეს სიტყვები რას უნდა ნიშნავდეს? — შეშფოთებით წამოიძახა სენდი. პირი მაგრად მოეკუმა და ჭრუტა, მოწყურული თვალებით მისს ბროდის მიშტერებოდა.

— რამე ხომ არ გტკივა, სენდი? — დაეკითხა მისს ბროდი.

სენდიმ გაოცებით შეხედა მისს ბროდის.

— ისწავლეთ, გოგოებო, ისე დაიჭიროთ თავი, ვერავინ შეგამჩნიოთ მღელვარება. — მიმართა მათ მისს ბროდიმ, — სწორედ ეს არის ქალის საუკეთესო ღირსება — შეინარჩუნოს სიმშვიდე, როგორც ლხინის, ისე მწუხარების ყამს. აბა კარგად დააკვირდით მონა ლიზას, აი, იქ! — ყველამ იქითკენ მიიხედა, სადაც მონა ლიზას სურათი ეკიდა, რომელიც მისს ბროდის მოგზაურობიდან ჩამოეტანა. გაფურჩხვენი ხანს მიღწეული მონა ლიზა მშვიდად იღიმებოდა, თუმცა ქვედა ყბა კარგა გვარიანად შესიებოდა. თითქოს ეს-ესაა კბილის ექიმიდან მობრუნებულიყო.

— იმ ქვებზე უფრო ხნიერია, რომელზედაც ზის. შვიდი წლის რომ იყავით, მაშინ უნდა დაევალებინათ ჩემთვის თქვენი აღზრდა. ის კი არადა, ზოგჯერ შიშით ვფიქრობ, უკვე დაგვიანებული ხომ არ არის-მეთქი. მაშინ ჩემი მოსწავლეები რომ ყოფილიყავით, საზოგადოების *crème de la crème* იქნებოდით. — სენდი, გამოდი და რამდენიმე სტროფი წაგვიკითხე. მოგვასმენინე ერთი, როგორ გამოთქვამ ხმოვნებს.

სენდი, რომელიც სისხლით ნახევრად ინგლისელი იყო, ძალზე კარგად გამოთქვამდა ხმოვნებს. სწორედ ამით გახლდათ ცნობილი სკოლაში. როზ სტენლის ჯერ არ გაეთქვა სახელი სექსუალობით და ამიტომაც მან კი არა, სწორედ იუნის გარდინერმა წააკითხა ერთხელ ჯენის დეკლარაციებში ერთი სტროფი — „ჰკრთებოდა ყრმაი იგი მუცელსა მხსნაჲსა საძაგელთო, პირში მიახალეს და თან დაემუქრნენ კიდევ, დაგაბეზლებთო. ჯენის უკვე სახელი გაეთქვა თავისი სიტურფით. ძალზე ნაზი ხმა ჰქონდა, ამიტომაც მისტერ ლოუტერი, მათი სიმღერის მასწავლებელი, აღფრთოვანებული შეჰყურებდა ხოლმე, როცა იგი მღეროდა: „მობრძანდი აქეთ, სადაც ყვავილობს გაზაფხული, სავსე, გულუხვი“... თან კულულებს უწეწავდა ჯენის. ეს კი ძალზე სახიფათო იყო, რადგან მისს ბროდი ყოველთვის ესწრებოდა სიმღერის გაკვეთილებს. თმის კულულს რომ უწეწავდა მისტერ ლოუტერი, თან ანცი ბავშვივით, თავს რომ აწონებს ყველას გაუთავებელი ოინებით, მისს ბროდის უყურებდა. თითქოს ეწადა გაეგო, მისს ბროდიც ხომ არ ამყვება ამ ედინბურგელისთვის უკადრის საქციელშიო.

მისტერ ლოუტერი ტანმორჩილი კაცი იყო; გრძელი ტანი და მოკლე ფეხები ჰქონდა, თმა და წვერ-ულვაში კი ქლალი. თვითეულ გოგოსთან მივიდოდა, ხელს ყურთან მიიდებდა და ეტყოდა: „აბა, იმღერე, აა!“

აა — მღეროდა ჯენი მაღალი, წკრიალა ხმით, როგორც ჰიბრიდის კუნძულებიდან მოვლენილი ზღვის ფერია, ვისზედაც ლექსი წაეკითხა სენდის, თან ცერად გამოხედავდა სენდის, რომ მისი მზერა დაეჭირა.

მისს ბროდიმ გოგოები სიმღერის ოთახიდან გამოიყვანა და როცა ყველა მის გარშემო მოქუჩდა, ასე უთხრა: „მე მხოლოდ იმისათვის ვარ მოწოდებული, გოგოებო, რომ თქვენი აღზრდა ვითავო. ხვალ რომ შოტლანდიის ლორდ-ჰეროლდი გამომეცხადოს და ხელი მთხოვოს, უარს ვეტყოდი. მთელი ჩემი ძალ-ღონე თქვენ შეგალიეთ ჩემი გაფურჩქვნის ხანს, აბა, ახლა კი ერთ რიგად დაეწყვეთ და ერთმანეთს მიჰყევით. თავი მაღლა ასწიეთ და ისე იარეთ, როგორც მშვენიერი სიბილ ტორნდაიკი<sup>9</sup> მიაბიჯებს“.

სენდიმ თავი უკან გადასწია, ჰორფლიანი ცხვირი აბზიკა, ჰრუტა თვალები ჰერს მიაპყრო და რიგს მიჰყვა.

— როგორ დადიხარ, სენდი?

— როგორც სიბილ ტორნდაიკი, მემ.

— ერთხელაც იქნება მეტისმეტად შორს წახვალ, სენდი.

სენდის სახეზე წყენა და თანაც გაოცება გამოეხეტა.

— დიახ, — მიუგო მისს ბროდიმ, — კარგა ხანია თვალს გადავინებ და ვხედავ, რომ დიდი ცეტი გოგო ხარ. ვშიშობ, ფეხს ვერასოდეს მოიკიდებ მაღალ საზოგადოებაში ანუ, როგორც ამბობენ, ვერ იქნები *crème de la crème*.

საკლასო ოთახში რომ დაბრუნდნენ, როზ სტენლიმ თქვა:

— ბლუზაზე მელანი დამესხა.

— წადი ქიმიის კაბინეტში და სთხოვე, ლაქა ამოიყვანონ, მაგრამ იცოდე, აბრეშუმში ფუჭდება.

ზოგჯერ გოგოები აბრეშუმის ბლუზის სახელოს განზრახ დააწვეთებდნენ ხოლმე მელანს, რომ მერე მისს ბროდის ბუნებისმეტყველების კაბინეტში გაეგზავნა ისინი, სადაც უფროსკლასელებს ქიმიის გაკვეთილი უტარდებოდათ. იქ კი, მუდამ თეთრ ხალათში ჩაცმული ქიმიის მასწავლებელი მისს ლოკ-

პარტი, რომლის დანახვაზეც ბავშვებს შიშის კანკალი დაუვლიდათ ხოლმე, ჰიდროსკოპიულ ბამბას თეთრი, გამჭვირვალე სითხით გაყლენთავდა და სახე ლოზე დასხმულ მელნის ლაქას წაუსვამდა. კრინტსაც არ დაძრავდა, ისე ვერა გოგონას ხელი და მთელი ყურადღება მხოლოდ ამაზე ჰქონდა გადატანილი.

მისს ლოკპარტი გოლფის თავგამოდებული მოთამაშე გახლდათ. მოკლე, ქალარა თმა ტალღებად გადაევარცხნა უკან და ეს კიდევ უფრო მკვეთრად აჩენდა მის ნამზებურ და ქარდაკრულ სახეს. ქიმიის კაბინეტში წასვლა როზ სტენლიმ იმიტომ ითხოვა, უბრალოდ მობეზრდა ვაკვეთილზე ჯდომა. სენდი და ჯენი კი იქ წასასვლელად ხანდახან ბლუზებს მელნით მოითხვრიდნენ ხოლმე, თანაც დიდი სიფრთხილით, და ისიც თვეში ერთხელ, რადგან ეშინოდათ, მისს ბროდი ეშმაკობას არ მიგვიხვდესო. როცა მისს ლოკპარტი ამ უცნაური სურნელებით გაყლენთილ ოთახში დააბიჯებდა, თითქოს სუფთა ჰაერის ღრუბელი ერტყა გარს.

ამ ოთახში იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ერთხელ, როცა სკოლიდან გამოვიდა და თავის სპორტული მანქანისაკენ გაემართა, სწორედ მაშინ ჰკიდა სენდიმ თვალი. მისს ლოკპარტს, როგორც ყველა ჩვეულებრივ მასწავლებელს, ტვიდის ნაოჭიანი ქვედატანი და პიჯაკი ეცვა. სენდის ეჩვენა, რომ მის გარეგნობას რაღაც პეწი აკლდა. ქიმიის კაბინეტში სამ წყებად დაედგათ გრძელი მაგიდები, რომელზედაც ათასნაირი ქილები და სინჯარები ეწყო. ქილებში სხვადასხვა ფერის კრისტალები და ფხვნილები ეყარა. ზოგში კი რაღაც სითხე ჩაესხათ, აქვე იდგა ყავისფერი, ოქროსფერი, ნაცრისფერი, ღია ცისფერი უცნაური მოყვანილობის ჭურჭლები, რომლებიც ჩიბუხებსა და ხახვის თავებს წააგავდნენ. ამ გარემოში სენდის მისს ლოკპარტი კიდევ უფრო არაჩვეულებრივი ეჩვენებოდა. მხოლოდ ერთხელ მივიდა სენდი ზუსტად იმ დროს ქიმიის კაბინეტში, როცა ვაკვეთილი ტარდებოდა. უფროსკლასელი გოგოები, რომელთაც უკვე შესამჩნევად აკოკრებოდათ მკერდი, მაგიდებთან წყვილ-წყვილად იდგნენ. ხელში მწვანე სითხით სავსე სინჯარები ეჭირათ და მაგიდებზე ჩარიგებულ აირმაშუქის ალზე ანჯორევდნენ. გაშიშვლებული ხის ტოტები ნაზად ელამუნებოდნენ ოთახის ფანჯრებს, რომელთა მიღმაც ზამთრის სუსხიან ცაზე ვეება წითელი მზის დისკო ეკიდა.

სწორედ ამ დროს მოაგონდა სენდის, რომ ადამიანის ცხოვრებაში უბედნიერეს ხანად სკოლაში გატარებული წლები ითვლება და ისიც განარებულნი გაიქცა ჯენისთან და აუწყა: უფროს კლასებში სწავლა გაცილებით საინტერესოა, თვითონ მისს ლოკპარტი კი ფრიად მომხიბვლელი ქალიაო.

— ქიმიის კაბინეტში ვისაც როგორ სურს, ისე იქცევა, — თქვა სენდიმ, — ასეც უნდა აკეთებდნენ.

— მისს ბროდისთან ჩვენც იმას ვაკეთებთ, რაც გვინდა, — მოუგო ჯენიმ, — ის კი არადა, დედაჩემი მეუბნება, ძალზე ბევრის უფლებას გაძლევთ მისს ბროდიო.

— ასე ჩვენს ნებაზე კი არ უნდა ვყავდეთ მიშვებული, ვაკვეთილებს უნდა გვიტარებდეს. — თქვა სენდიმ. — აი, ქიმიის ვაკვეთილზე კი შეიძლება ვისაც რა უნდა, ის აკეთოს.

— მე მომწონს მისს ბროდისთან სწავლა, — უთხრა ჯენიმ.

— მეც, — მიუგო სენდომ, — დედა მეუბნება, მისს ბროდის უნდა უფრო ფართო ზოგადი ცოდნა მოგცეთო.

მიუხედავად ამისა, ქიმიის კაბინეტში წასვლა ენით <sup>აუწყოფელ</sup> იღუმალ სიხარულს ჰგვრიდა სენდის. ამიტომაც იყო, დიდი სიფრთხილით უმკმელებდა და ბლუზას მელნით ხელახლა მხოლოდ გარკვეული დროს მისთვის შემდეგ თუ მოითხვრიდა, რადგან ეშინოდა, მისს ბროდი მის ეშმაკობას არ მიმხვდარიყო. სანამ მისს ლოკპარტს მელნის ლაქები ამოჰყავდა, სენდი მონუსხულივით იდგა ხოლმე, ამ გრძელ ოთახში, რომელიც ქიმიის მასწავლებლის კანონიერ სამფლობელოს წარმოადგენდა. რაღაც მაგიური ძალა იზიდავდა აქეთ. იმ დღეს, როცა სიმღერის გაკვეთილის შემდეგ როზ სტენლი ლაქების ამოსაყვანად მისს ლოკპარტთან გაგზავნეს, მისს ბროდომ ასე მიმართა თავის კლასს:

— უფრო ფრთხილად უნდა იხმართო მელანი, ქიმიის კაბინეტში ყოველ წუთს აქეთ-იქით სიარულის უფლებას ვერ მოგცემთ. ჩვენს სახელს უნდა გავუფრთხილდეთ. — მერე დასძინა: — ხელოვნება უფრო ამაღლებულია, ვიდრე მეცნიერება. ჯერ ხელოვნება, მერე მეცნიერება.

დაფაზე დიდი რუკა ეკიდა, რადგან გეოგრაფიის გაკვეთილი ჰქონდათ. ის იყო მისს ბროდი მოტრიალდა, რათა რუკაზე ალიასკა ეჩვენებინა, რომ ისევ მოსწავლეებს შეხედა და უთხრა:

— ყველაზე წინ ხელოვნება და რელიგია უნდა დააყენოთ, მერე ფილოსოფია, ბოლოს კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ასეთია ცხოვრების უმთავრეს საგანთა თანამიმდევრობა. ასე არიან განლაგებულნი მნიშვნელობის მიხედვით.

ამ კლასს მისს ბროდი ორი წელი ასწავლიდა. ახლა კი სწავლების პირველი წლის ზამთარი იდგა. 1931 წელი დაიწყო. გოგოებში მისს ბროდის უკვე გამორჩეული ჰყავდა საყვარელი მოსწავლეები, ვისი ნდობაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა. უფრო სწორად ისეთები, რომელთა მშობლები ალბათ წინააღმდეგი არ იქნებოდნენ მისი, ასე ვთქვათ, აღზრდის უფრო თანამედროვე მეთოდებისა, საგანმანათლებლო მოღვაწეობის დროს რომ ხელმძღვანელობდა.

ეს მშობლები ან ძალზე განათლებულნი იყვნენ და მათგან არავითარი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, ან ფრიად უვიცნი, ანდა ძალზე ბედნიერნი, რომ მათთვის ხელსაყრელ პირობებში შეეძლოთ შეიღებისათვის განათლების მიცემა, ან კიდევ იმდენად მიაშიტნი, ეჭვიც არ შეეპარებოდათ იმ ცოდნის ღირსებაში, რასაც მათი ასულები ამ ესოდენ განთქმულ სკოლაში იღებდნენ.

მისს ბროდი თავის რჩეულ მოსწავლეებს შინ, ჩაიზე პატიეებდა ხოლმე. თან სასტიკად აფრთხილებდა, კლასში ამაზე არაფერი წამოგცდეთო, სწორედ მათ ანდობდა საიდუმლოს, უყვებოდა თავის პირად ცხოვრებაზე. იმაზე, რომ დავა ჰქონდა სკოლის დირექტორსა და მის დამქაშებთან. გოგოებმა ისიც შეიტყვეს, მათ გამო მისს ბროდის ძალზე ბევრი უსიამოვნება რომ გადახდენია თავს.

— ეს ყველაფერი თქვენ გამო მოხდა. მინდოდა ჩემი გაფურჩქვნის ხანაში მხოლოდ ჩემი გავლენა გქონოდათ. აი, ასე შეიქმნა ბროდის „ტომი“. თავდაპირველად იუნის გარდინერი ძალზე თვინიერი და მოკრძალებუ-

ლი გოგო იყო. ამიტომაც ვერავენ მიხვდა, რატომ შეიყვანა მისს ბროდში იგი რჩეულთა რიცხვში. მერე და მერე კი ჩაიზე მიპატიჟებული გოგოების გასართობად ათასგვარ სისულელეებს იგონებდა, ხალიჩაზე ყირაზეც გადადიოდა ხოლმე. „შენ ჩვენი არიელი ხარ“, — უთხრა ერთხელ მისს ბროდში. ამის მერე ხომ იუნისმა ყველას ლაბარაკით გამოუჭედა ყურები. კვირისთვის მისს რაზე გადასვლას უკრძალავდნენ, რადგან მისს ბროდი ასე თუ ისე მაინც პირ-წავარდნილი ედინბურგელი შინაბერა გახლდათ ბევრ რამეში.

შაბათობით კი, სანამ ჩაის დასალევად დასხდებოდნენ ანდა მერე, სანამ გოგოები ჭურჭელს რეცხავდნენ და თავლით მოთხვრილ თითებს ილოკავდნენ, იუნის გარდინერი ამ დროს სამზარეულოს ლინოლიუმზე მალაყს გადადიოდა.

იმ დღიდან, რაც იუნისი მისს ბროდისთან ჩაიზე მიპატიჟებულ თანაკლასელებს ართობდა, ოცდარვა წელი გასულიყო. იგი მოწყალების დად მუშაობდა და ცოლადაც ექიმს გაჰყვა. ერთ საღამოს ქმარს ასე უთხრა:

— გაისად, ფესტივალზე რომ წავალთ...

— მართლა?

იუნისი პატარა ხალიჩას ქსოვდა და ამ დროს უნებლიეთ იმ ძაფს გამოჰკრა ხელი, რომელიც სრულებით არ სჭირდებოდა.

— მართლა? — ისევ ჰკითხა ქმარმა.

— როცა ედინბურგში ვიქნებით, — თქვა იუნისმა, — შემახსენე, რომ მისს ბროდის საფლავი მოვინახულო.

— მისს ბროდი ვინ იყო?

— ჩემი მასწავლებელი. ზედმიწევნით კულტურული ქალი. მთელი ედინბურგის ფესტივალად მარტო ის ღირდა. ჩაიზე გვპატიჟებდა ხოლმე და გაფურჩქვნის ხანაზე გვიყვებოდა.

— რა გაფურჩქვნის ხანაზე?

— თავისი გაფურჩქვნის ხანაზე. ერთხელ მოგზაურობისას ეგვიპტელი კურიერი შეუყვარდა და, როცა დაბრუნდა, ყველაფერი მოგვიყვა. კლასში გამორჩეულად რამდენიმე გოგო უყვარდა. მეც იმათ რიცხვში გახლდი. იცი, ათასნაირ აკრობატულ ილეთს ვაკეთებდი, ისინი რომ გამერთო.

— ყოველთვის ვგრძნობდი, რაღაც უცნაურად იყავი აღზრდილი.

— ჰო, მაგრამ არ გეგონოს, რომ სულელი იყო. სავსებით საღად აზროვნებდა და მშვენივრად იცოდა, რასაც აკეთებდა. თავის სამიჯნურო თავ-გადასავლებზეც კი გვიამბო.

— მაშინ მეც მომიყევი.

— ო, გრძელი ამბავია. შინაბერა იყო. ყვავილები უნდა მივიტანო მის საფლავზე. ნეტა თუ მივაგნებ?

— როდის მიაბარა სული უფალს?

— ომის დამთავრებისთანავე მოკვდა. მაშინ უკვე სამსახურიდან ჰყავდათ დათხოვილი. სკოლიდან წასვლა მისთვის ტრაგედია იყო. აიძულეს დროზე ადრე მიეტოვებინა სკოლა. ძალიან სძულდა სკოლის დირექტორს. იგი ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა გასცა. ჩვენ „ბროდის ტომს“ გვეძახდნენ. ვერა და ვერ გავიგე, ვინ დააბეზლა.

ახლა დროა იმაზეც მოგიხროთ, როცა მარტის ერთ პარასკევ დღეს, მისს ბროდში „ტომი“ ედინბურგის ძველ უბნებში სასუიროდ წაიყვანა. ამ

დღეს სკოლის ცენტრალური გათბობის მილები გასკდა და ბავშვები შინ გა-  
 უშვეს. გოგოებს მუქი ლილისფერი პალტოები ეცვათ, თავზე კი თეთრ-მწვა-  
 ნე ფუნჯებიანი ველურის ქუდეები ეხურათ. ქარი გაყინული ფორტიდან უბე-  
 რავდა და თოვლის მოლოდინში ცაც დამძიმებულიყო. მერი მაკგრეგორი  
 სენდის მოპყვებოდა გვერდით, რადგან იმ დღეს ჯენი სახლში წავიდა, მათ  
 უკან მონიკა დუგლასი მოდიოდა, რომელმაც შემდეგში სახელი იმით გაითქვა,  
 რომ რთულ მათემატიკურ გაანგარიშებებს ზეპირად ახდენდა და თანაც ბრა-  
 ზისაგან უცბად ისე აენტებოდა, სიახლოვეს ვერავინ გაეკარებოდა. მას  
 წითელი სახე და ფართო ცხვირი ჰქონდა. შავი ქუდიდან მუქი ნაწნავები მო-  
 უჩანდა. ბოძებივით სწორ და მსხვილ ფეხებზე შავი წინდები ჩამოეცვა. მის  
 გვერდით მაღალი, ქერათმიანი როზ სტენლი მოაბიჯებდა, რომელსაც ჯერ  
 კიდევ არ მიეჩცია ყურადღება თავისი სექსუალობით. სახეზე ოდნავ სიყვით-  
 ლე დაჰკრავდა. გამუდმებით მატარებლებზე, ამწეებზე, ავტომობილებზე,  
 „კონსტრუქტორებზე“ და ისეთ რამეებზე ლაპარაკობდა, რაც მხოლოდ ბი-  
 ჰებს თუ იტაცებდა. არ აინტერესებდა, როგორ მუშაობდა ძრავა ან როგორ  
 იწყობოდა „კონსტრუქტორი“. სამაგიეროდ ზეპირად იცოდა მათი სახელ-  
 წოდებები, ფერები, ცნობდა ყველა მარკის ავტომობილს და იმაშიც ერკ-  
 ვოდა, რომელს რამდენი ცხენის ძალა ჰქონდა, რა ღირდა სხვადასხვა მარ-  
 კის „კონსტრუქტორი“. ამ სიკეთესთან ერთად ხეებსა და ღობეებზე ძროშია-  
 ლიც ეხერხებოდა. თერთმეტი წლის როზ სტენლი თავის გატაცებათა გამო  
 ცოტათი ქალაბიქას წააგავდა, მაგრამ ამას მაინც არ დაუქარგავს მისთვის  
 ქალური მომხიბვლელობა. პირიქით, სწორედ ამ საკითხების ზედაპირული  
 ცოდნა დაეხმარა მას შემდეგ ბიჭებთან ურთიერთობაში.

როზის გვერდით სიბილ ტორნდაიკივით თავაწეული მისს ბროდი მიაბი-  
 ჯებდა. კეხიანი ცხვირი სიამაყეს მატებდა მის სახეს. ტანზე თახვისსაყულო-  
 იანი განიერი პალტო ეცვა, რომელიც საგულდაგულოდ შეეკრა ყველა ლილ-  
 ზე. ყავისფერი ფეტრის ქუდის ფარფლები კი ირიბად აეკეცა. მისს ბროდის  
 უკან, ყველაზე ბოლოს, პატარა იუნის გარდინერი მოდიოდა, იუნისი, რომელ-  
 მაც ოცდარვა წლის შემდეგ მისს ბროდი გაიხსენა და ასე თქვა: მის საფლავ-  
 ზე უნდა მივიდეთ. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ისე შეხტებოდა, თითქოს  
 ტროტუარზე ეს-ეს არის პირუმტების გაცეთებას აპირებსო. ამიტომაც დრო-  
 დადრო მისს ბროდი მოუტრიალდებოდა და საყვედურით ეტყოდა: „ოჰ, იუ-  
 ნის“. ზოგჯერ მისს ბროდი გოგოებს უკან ჩამორჩებოდა, რომ იუნისთან ელა-  
 პარაკა.

სენდი, რომელიც იმხანად „მოტაცებულს“<sup>10</sup> კითხულობდა, ამ წიგნის  
 გმირს ალან ბრეკს ესაუბრებოდა და ამიტომაც უხაროდა მერი მაკგრეგორის  
 გვერდით სიარული, რადგან მასთან ლაპარაკი მაინცდამაინც აუცილებელი  
 არ იყო.

- მერი, შეგიძლია ჩუმად ელაპარაკო სენდის.
- სენდის ჩემთან ლაპარაკი არ უნდა, — მიუგო მერიმ, რომელიც შემ-  
 დგომ ცეცხლმოკიდებულ ოტელში წინ და უკან დარბოდა, სანამ არ დავარ-  
 და და სული არ განუტევა.
- თუ ასე გამოშტერებული და უცხვირპირო იქნები, სენდი არც დაგე-  
 ლაპარაკება. ეცადე სასიამოვნო სახე მაინც მიიღო, მერი.
- „სენდი, მანანების მინდვრით წადი და ეს წერილი მაკფერსონებს მიუ-

ტანე“, — უთხრა ალან ბრეკმა“. — ჩემი სიცოცხლე და ჩვენი საერთო საქმეც ახლა ამ წერილზე პკილია“.

— „იმედს არასოდეს გაგიცრუებ, ალან ბრეკ“, — თქვა სენდიმ, — „არასოდეს“.

— მერი, ეცადე არ ჩამორჩე სენდის, — უთხრა მისს ბროდის და ალან ბრეკის დავალებით ფრთაშესხმული სენდი კი ამ დროს სიხარულით ცას სწვდებოდა. სანამ მანანების მინდორს გადაივლიდა ალან ბრეკის სიფიცხემ და მადლიერებამ გულის აჩუყებამდე იმატა.

მერი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა სენდის. მათ ქალაქის ვანაპირა, უშენ ადგილზე გაიარეს, რომელსაც მედოუსს ეძახდნენ. აქ გამუდმებით ქროდა ქარი და მოქუშული ცის ქვეშ მინდორიც მწვანე ლაქად ჩანდა.

ძველი ქალაქი უნდოდათ დაეთვალიერებინათ, ადგილი, საიდანც მისს ბროდის თქმისა არ იყოს, ისტორია იწყებოდა. ისინი მიდლ მედოუსს ხეივანს მიაღწენ.

იუნისი, რომელიც ყველაზე უკან მიდიოდა, ცალ ფეხზე ტტუნვას მოკყვა და თან თავისთვის იმეორებდა:

ედინბურგი, ლიტი  
პორტბელო, მასელბურგი  
და დალკეიტი<sup>11</sup>.

მერე ფეხი შეიცვალა და კვლავ განაგრძო:

ედინბურგი, ლიტი

მისს ბროდი მიტრიალდა და ხმა გააკმენდინა, მერე მერი მაკგრეგორს შეუძახა, რომელიც ქუჩაში მიმავალ ინდოელ სტუდენტს მიშტერებოდა.

— მერი, წესიერად ვერ გაივლი?

— მერი, — უთხრა სენდიმ, — ნუ უყურებ ყავისფერ ძიას.

გულშეწუხებულმა მერიმ უაზროდ შეხედა სენდის და ფეხს აუჩქარა. სენდი კი ხან აუჩქარებდა ფეხს, ხან გაჩერდებოდა, რადგან ალან ბრეკი მის საყვარელ სიმღერას უმღეროდა, სანამ იგი მანანებით მოფენილ მინდორს გადაივლიდა და წერილს მიიტანდა მაკფერსონებთან. ამ წერილს უნდა ეხსნა მისი სიცოცხლე, ალანი მღეროდა:

ეს სიმღერაა ალანის დაშნაზე.  
მკვდავი ჰედდა მას,  
ცეცხლმა გამოწრთო ის.  
ახლა კი ალან ბრეკის  
ხელში კრთის და ელვარებს.

მერე ალან ბრეკმა მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— „ყოჩაღი გოგო ხარ, სენდი. მეფის ქვეშევრდომთაგან არც ერთს არ ჩამოუვარდები ვაჟკაცობაში“.

— ასე სწრაფად ნუ მიდიხარ, — ამოილულულა მერიმ.

— თავი რას ჩაგიქინდრია, — გამოეპასუხა სენდი, — აბა, ზევით ასწიე.

უცებ ძალიან მოუნდა სენდის, რომ კეთილად მოპყრობოდა მერი მაკ-

გრეგორს. წარმოიდგინა კიდევ, როგორ ეამებოდა, უფრო თავაზიანად თუ მოექცეოდა მას. ის იყო დააპირა კიდევ ასე მოქცეულიყო, რომ უკანიდან მისს ბროდის ხმა მოესმა, რომელიც როზ სტენლის ელაპარაკებოდა: — თქვენა ხართ მომავალი გმირები: ბრიტანეთი ღირსი იქნება, რომელიც გმირებმა იცხოვრონ. ეროვნებათა ლიგა...

ამ სიტყვებმა მისს ბროდის არსებობა მოაგონა სენდის და შეაფერხა მისი განზრახვის აღსრულება.

სენდიმ უკან მოიხედა და, მეგობრებს რომ გადახედა, მისს ბროდის ერთ მთლიან სხეულად აღიქვა ისინი.

წამით იგრძნო, რომ თვითონ, იმ დროს იქ არ მყოფი ჯენი, მუდამ ყველაფერში დამნაშავე მერი, როზი, იუნისი და მონიკა, როგორც ერთ არსად ქცეულნი, თითქოსდა ღმერთს იმიტომ გაეჩინა ამქვეყნად, რომ მისს ბროდის ბედ-იღბალს და ნება-სურვილს დამორჩილებოდნენ.

იმან, რომ მერი მაკგრეგორს თავაზიანად უნდა მოპყრობოდა, კიდევ უფრო შეაშინა სენდი, რადგან მერე ამის წყალობით თვითონ ჩამოსცილდებოდა მეგობრებს და ბოლოს სულ მარტო დარჩებოდა: მერიზე უარესადაც მოექცეოდნენ, რომელსაც, მართალია, ყველა „განტეგების ვაცად“ მიიჩნევდა, მისს ბროდის მაინც მომავალ გმირთა სიაში ჰყავდა ჩარიცხული.

— ჯენი აქ რომ ყოფილიყო, შენს გვერდით არც დავდგებოდი, — უთხრა სენდიმ მერი მაკგრეგორს.

— ვიცი, — მიუგო მან.

სენდის საკუთარი თავი შესძაგდა. ისევ მერის ჩააცივდა და აღარ ეშვებოდა, რადგან გაეგონა, თუ საქმეს ძირისძირობამდე მისდიე, ბოლოს მისგან შეიძლება რალაც გამოდნესო. მერიმ ტირილი დაიწყო, მაგრამ ჩუმად ტიროდა, რომ მისს ბროდის არ შეემჩნია. სენდი აქ უკვე ველარაფერს გააწყობდა. გადაწყვიტა ყურადღება არ მიექცია მისთვის და გათხოვილი ქალივით, ქმარს რომ გაებუტება ხოლმე, თავისთვის ევლო.

— „აბა, კოლინ, რომელი ქალი აიტანს იმას, რომ სახლში ნათურები გადაიწვა, გამკეთებელი კი არავინაა“.

„სენდი, ძვირფასო, საიდან უნდა მცოდნოდა...“

მედოუზის ბოლოში რომ გავიდნენ, წინ სკაუტი გოგოების ჯგუფი შემოხვდათ, მისს ბროდის „რაზმმა“ სწრაფად ჩაუარეს მათ გვერდით. მარტო მერი მაკგრეგორი მიშტერებოდა ლურჯ ფორმებში გამოწყობილ გოგოებს, რომლებიც მხნედ მიაბიჯებდნენ და უფრო შესამჩნევი შოტლანდიური კილოთი ლაპარაკობდნენ, ვიდრე თვითონ ისინი მისს ბროდის თანდასწრებით. როცა გოგოებმა უკვე ჩაიარეს, სენდიმ მერის გადაულაპარაკა:

— უხერხულია ასე მიშტერება.

— მე არც მივშტერებივარ.

უკან მომავალი გოგოები ამ დროს მისს ბროდის სკაუტებსა და ბრაუნებზე<sup>12</sup> ეკითხებოდნენ, რადგან დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგოთა უმრავლესობა ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

— ვისაც ასეთი ორგანიზაციები მოსწონს, — აღნიშნა მისს ბროდიმ თავისი მკაფიო ედინბურგული კილოთი, — მართლაც რომ ზედგამოჭრილი იქნება მათთვის.



ამგვარად, ბრაუნებსა და სკაუტებზე საუბარი ამით ამოიწურა. სენდის მოაგონდა, როგორი გატაცებით ყვებოდა მისს ბროდი მუსოლინის წარსულსა და იტალიიდან ჩამოტანილ ფოტოსურათზე, რომელზედაც შავხალათიანთა საზეიმო სვლა იყო გამოსახული.

— ესენი ფაშისტები არიან, — თქვა მისს ბროდის და სკაუტების ვლა, — ვინ არიან ესენი, როზ?

— ფაშისტები, მისს ბროდი.

ყველას შავი სამხედრო ფორმები ეცვათ და ერთ სწორ მწკრივად მიაბიჯებდნენ. მარჯვენა ხელი ყველას წინ ჰქონდა გამოშვერილი. მუსოლინი ტრიბუნაზე იდგა და ფიზკულტურის მასწავლებლისა და სკაუტთა წინამძღოლის მსგავსად იქიდან გადმოსცქეროდა. მუსოლინის მოსპო უმუშევრობა და ბოლო მოუღო უწესრიგობას ქუჩებში. მიდღ მედოუს ბოლოში რომ გავიდნენ, სენდის მოაფიქრდა, რომ მათი „ტომიც“ მისს ბროდის ფაშისტთა რაზმს წააგავდა. იმიტომ კი არა, რომ მწყობრად მიაბიჯებდნენ, რასაც ქუჩაში შემთხვევითი გამვლელიც კი ადვილად შეამჩნევდა, არამედ რაზმში იმისთვის გაერთიანებულიყვნენ, რომ მისს ბროდის მოთხოვნებისა და ნებასურვილის მიხედვით ემოქმედათ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სენდის ისე ეჩვენა, მისს ბროდის მიერ სკაუტი გოგოების გაკიცხვის მიზეზი ეჭვიანობა იყო, ვინაიდან ფაშისტურ ორგანიზაციას შეიძლება მათთვის კონკურენცია გაეწიას, მისს ბროდი კი ამას ვერ ურიგდებოდა, სენდის ერთხანობას ისიც კი გაიფიქრა, ბრაუნთა რიგებში ჩავეწერებო, მაგრამ შეეშინდა, მეგობრებს ჩამოვცილდებო, და მაშინვე გადაიფიქრა, თანაც ძალიან უყვარდა მისს ბროდი.

„ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ, სენდი“, უთხრა ალან ბრეკმა. მის ფეხებქვეშ დამსხვრეული მინა ხრაშუნობდა, რომელიც სისხლით მოთხვრილ გემბანზე ეყარა. ალან ბრეკმა დანა აიღო და პიჯაკს ვერცხლის ღილი ააჭრა.

„სადაც არ უნდა აჩვენო ეს ღილი“, თქვა მან „ალან ბრეკის მეგობრები ყველაფერში დაგეხმარებიან“.

— ახლა მარჯვნივ მოვუხვიოთ, — თქვა მისს ბროდის.

ისინი ედინბურგის ძველ უბანში შევიდნენ, რომელსაც მანამდე, კაცმა რომ თქვას, წესიერად არც კი იცნობდნენ, რადგან მათი მშობლები არა იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი ისტორიით, რომ შვილები ქალაქის ამ მიყრუებულ, აყროლებულ ჯურღმულების ლაბირინთებში ეტარებინათ. სწორედ აქედან იწყებოდა ქალაქი. კენონგეიტი, გრასმარკეტი, ლონმარკეტი — ასე ეძახდნენ ქალაქის იმ ჩაქამებულ უბნებს, რომლებიც მკვლელობისა და ძალადობის ბუდე გამხდარიყო. „ლონმარკეტელი ყაჩაღი, დაპატიმრებულია“, — ამგვარ განცხადებას ხშირად წააწყდებოდა კაცი ედინბურგის გაზეთებში. მხოლოდ იუნის გარდინერი და მონიკა დუგლასი იყვნენ ნამყოფი პაისტრიტზე, როცა ედინბურგის ციხე-სიმაგრეიდან ჰოლირუდისაკენ მიმავალი სამეფო მილი<sup>13</sup> გაიარეს.

ჰოლირუდის სასახლეში სენდი ბიძამისმა მანქანით წაიყვანა და იქ ნახა ძალზე მოკლე და განიერი საწოლი, რომელზედაც შოტლანდიის დედოფალს, მარიამ სტიუარტს ეძინა თურმე; აქვე იყო ერთი ბეწო, მათ სამხარეულოზე პატარა ოთახი, სადაც დედოფალი რიჩიოს<sup>14</sup> კარტს ეთამაშებოდა.

ისინი გრასმარკეტის დიდ მოედანზე გავიდნენ, სადაც ციხესიმაგრე იყო აღმართული. მისი დანახვა კაცს ყველა მხრიდან შეეძლო. დღი სახლებშია დარჩენილ თავისუფალ ადგილზე აეგოთ. ამ სახლებში უწინ არისტოკრატია ცხოვრობდა. სენდის პირველად დაეუფლა ისეთი გრძნობა, რომელსაც ადამიანი უცხო ქვეყანაში მოხვედრისას განიცდის, როცა თავისებურ სუნს შეიგრძნობს და მისთვის უჩვეულო ფერებსა და უცნობ მათხოვრებს ხედავს. გაყინულ ტროტუარზე ვიღაც კაცი ჩამომჯდარიყო, უბრალოდ თავისთვის იჯდა. პატარა ბიჭები იქვე მომბანას თამაშობდნენ, ზოგი ფეხშიშველაც კი. როცა მუქ ლილისფერ ტანსაცმელში გამოწყობილმა მისს ბროდის გოგოებმა ჩაუარეს მათ, ისეთი სიტყვები მიაძახეს ზურგში, რომელიც აქამდე გოგოებს ჯერ არ გაეგონათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ უწმაწური სიტყვები იყო. ბნელ ქუჩაბანდებში ბავშვები და შალშემოხვეული ქალები გამოჩნდნენ და მერე ისევ გაუჩინარდნენ. სენდიმ იგრძნო, რომ დაბნეულობისაგან მერის ხელს ჩასჭიდებდა. დანარჩენებიც ხელჩაკიდებულნი იდგნენ და მისს ბროდის უსმენდნენ, რომელიც ამ დროს ისტორიაზე მოუთხრობდა მათ. ისინი პაი სტრიტს მიუყვებოდნენ.

— ჯონ ნოქსი<sup>15</sup>, — ყვებოდა მისს ბროდი, — ძალზე გულღობი კაცი იყო, ფრანგი დედოფლის<sup>16</sup> გვერდით თავს მუდამ მოუსვენრად გრძნობდა, ჩვენ, ედინბურგელები, დიდად დავალებული ვართ ფრანგებისაგან. მათი წყალობით ევროპელები გავხდით. — ირგვლივ საშინელი მყრალი სუნი იდგა. პაი სტრიტს ზემოთ, შუა ქუჩაში ხალხს მოეყარა თავი.

— წყნარად ჩაუარეთ გვერდზე, — უთხრა გოგოებს მისს ბროდიმ. შექუჩებული ხალხი რკალივით გარს შემორტყმოდა ვიღაც ქალსა და კაცს, რომლებიც ერთმანეთს უყვიროდნენ. კაცმა ორჯერ უთაქა ქალს თავში. ვიღაც ტანდაბალი, მოკლედ შეკრეჭილთმიანი ქალი, რომელსაც წითელი სახე და დიდი პირი ჰქონდა, კაცს მიუახლოვდა და უთხრა:

— მე ვიქნები შენი ქმარი.

მერე, თავისი ცხოვრების მანძილზე, სენდი ბევრჯერ დაფიქრებულა ამაზე, თუმცა დარწმუნებული იყო, იმ ტანდაბალმა ქალმა სწორედ ასე უთხრა კაცს: „მე ვიქნები შენი ქმარი“ და არა „შენი ცოლი“. მაინც ვერა და ვერ ჩასწვდა ნათქვამის აზრს. ბევრჯერ უსაუბრია იმ ხალხთან, ბავშვობა რომ ედინბურგში გაატარეს, და გაოცებულს აღმოუჩენია, რომ მათთვის თითქოს კიდევ სხვა ედინბურგი არსებობდა, რომელიც სრულიად არ ჰგავდა იმ ქალაქს, სადაც იგი გაიზარდა, და რომ ამ სრულიად განსხვავებულ ქალაქებს მხოლოდ გარეუბნების, ქუჩებისა და ისტორიულ ძეგლთა სახელები ჰქონდა საერთო. თითქოს ასევე განსხვავებულ 30-იან წლებში ცხოვრობდა ეს ხალხი. ამიტომ, როცა ორმოცი წლის სენდის მონასტერში მნახველთა მიღების ნება დართეს — ეს კი კანონით სასტიკად იკრძალებოდა, მაგრამ გამონაკლისი მისი „ტრაქტატის“ ხატრით დაუშვეს — და ერთ-ერთმა მნახველმა ასე უთხრა: „დათ ელენ, ედინბურგის სკოლაში ალბათ მეც თქვენს დროს ვსწავლობდი“, სენდიმ, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე წელი ფერისცვალების მონასტერში ელენს ეძახდნენ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ხელი რკინის გისოსს ჩაავლო, კრუტა, მიმქრალი თვალები მნახველს მიაპყრო და სთხოვა მისთვის ეამბნა სკოლაზე, სადაც სწავლობდა, იქ გატარებულ წლებზე და იმ ედინ-

ბურგზე, როგორსაც იგი იცნობდა. აღმოჩნდა, რომ სენდის სულ სხვა ედინ-ბურგში უცხოვრია, რომ პანსიონი, რომელშიც ეს კაცი სწავლობდა, ისეთი ცივი და ნაცრისფერი შენობა იყო. მას ქედმაღალი ინგლისელი მასწავლებლები ასწავლიდნენ ან, როგორც თვითონ მნახველმა თქვა: „თითქმის ინგლისურ სელები“, რომლებსაც განათლება მესამე ხარისხოვან კოლეჯებში უჭირავთ.

სენდი არასოდეს დაინტერესებულა, სად ესწავლათ მის მასწავლებლებს. სკოლა მის წარმოდგენაში მუდამ მზით გასხვივოსნებული ნათელი შენობა იყო, რომელიც ზამთარში მარგალიტისფრად ელვარებდა. „მაგრამ ედინ-ბურგი, — განაგრძობდა მნახველი, — მაშინ გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე დღესაა. რა თქმა უნდა, ახლა განაპირა ადგილები გაწმინდეს და გაასუფთავეს. ყველაზე მეტად ქალაქის ძველი უბანი მომწონდა. მუდამ გროსმარკეტზე დავებხეტებოდით ხოლმე ბავშვები. თუ არქიტექტურაზეც ვილაპარაკებთ, მაშინ ამაზე ლამაზი ქალაქი ხომ ევროპაში არ მოიძებნება“.

— ერთხელ კენონგრეიტზე სასეირნოდ წაგვიყვანეს, — თქვა სენდიმ — მაგრამ იქაურმა სილატაკემ შემზარა.

— რა გაეწყობა, ოცდათიანი წლები იყო, — მიუგო კაცმა. — დაო ელენ! მითხარით თუ შეიძლება, თქვენი აზრით, რამ იქონია ყველაზე დიდი ზეგავლენა თქვენზე 30-იან წლებში? მხედველობაში მაქვს, როცა 14-15 წლის იყავით. კითხულობდით თუ არა ოდენს<sup>17</sup>, ან ელიოტს<sup>18</sup>?

— არა, — მიუგო სენდიმ.

— ჩვენ, ბიჭები, ოდენითა და მისი წრის პოეტებით ვიყავით გატაცებული. ესპანეთში გვინდოდა წასვლა, რომ სამოქალაქო ომში მიგველო მონაწილეობა. რესპუბლიკანელთა მხარეზე ვიბრძობდით, რა თქმა უნდა, თქვენს სკოლაშიც ორ ბანაკად გაიყვნენ, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა?

— არა, მთლად ასე არ ყოფილა, — თქვა სენდიმ, — ჩვენთან უფრო სხვანაირად იყო საქმე.

— მაშინ, რა თქმა უნდა, ჯერ კათოლიკობა არ გქონდათ მიღებული, არა?

— არა, — მიუგო სენდიმ.

— ბავშვობაში ჩვენზე მოხდენილ ზეგავლენას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

— დიახ, მართალია, — უპასუხა სენდიმ, — მაშინაც კი, თუ ეს ზეგავლენა პროტესტს იწვევს.

— მაშ, ყველაზე დიდი ზეგავლენა რამ მოახდინა თქვენზე, დაო ელენ? პოლიტიკამ, პირადმა ცხოვრებამ? იქნებ კალვინიზმმა?

— ო, არა, — მიუგო სენდიმ—მისს ჯინ ბროდიმ გაფურჩქვნის ხანაში, — და რკინის გისოსებს ისე ჩაებლაუჭა, თითქოს ამ ჩაბნელებული ოთახიდან თავის დაღწევას ლამობსო. სენდი არ ჰგავდა იმ მონაზვნებს, თავიანთ იშვიათ მნახველებს სენაკის რომელიღაც ბნელ კუთხეში მიმჯდარნი, მუხლებზე ხელდაკრეფილნი რომ იღებდნენ ხოლმე. ორივე ხელით გისოსს ჩაფრენილი, ყოველთვის წინ გადაიხრებოდა და ჯიქურ უმზერდა ხოლმე მოსაუბრეს. ამას სხვა მონაზვნებიც აღიარებდნენ და თან ამბობდნენ, სენდის ძალზე დიდი ტვირთი დააწვა მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიაზე გამოაქვეყნა წიგნი, რომელმაც ყველასდა მოულოდნელად დიდი აღიარება ჰპოვაო.

მხოლოდ სენდის გულისთვის დაუშვეს გამონაკლისი და ისიც რჩეულ მნახველებს ღებულობდა: ფსიქოლოგებს, აკადემიკოსებს, მაღალი წრის ქალბატონებს, იმათ, ვისაც კათოლიკობის მიღება სურდათ. ყველა ამ ფსიქოლოგიური ტრაქატის შესახებ ესაუბრებოდა, რომელიც ზნეობრივ აღქმას ეძღვნებოდა. ნაშრომს „ბანალურის გარდაქმნა“ ერქვა.

— სენტ-ჯაილზში აღარ წავალთ, — თქვა მისს ბროდიმ, — რადგან უკვე გვიანია. მე მგონი, ამ ტაძარში ყველანი ნამყოფი ხართ. — მართლაც თითქმის ყველა ნამყოფი იყო სენტ-ჯაილზის ტაძარში, სადაც ძველი დაფლეთილი და სისხლით მოთხვრილი ბაირალები ნახეს. სენდი არასოდეს ყოფილა იქ, მაგრამ არც წასვლის სურვილი ჰქონდა. მუდამ აშინებდა ედინბურგის ეკლესიათა გარეგნული იერი. ისინიც იმ შავი ქვისაგან იყვნენ ნაგები, რომელზედაც თვით ციხე-სიმაგრე იდგა, და მალა აშვერილი წვეტებით იმუქრებოდნენ.

აღრე მისს ბროდიმ მათ კელნის ტაძრის სურათი აჩვენა. იგი საქორწილო ტორტს მიაგავდა და თითქოს მხოლოდ გასართობების, დღესასწაულებისა და ნადიმების გასამართავად აეგოთ, „უძლები შვილი“ რომ აწყობდა თავისი ყარიბობის დასაწყისში. მაგრამ შიგნით ირლანდიური ეკლესიები უფრო მყუდრო იყო, რადგან ღვთის მსახურების დროს იქ თავს იყრიდნენ ჩვეულებრივი მოკვდავნი და არა მოჩვენებანი.

სენდი, როზ სტენლი და მონიკა დუგლასი მართალია მორწმუნე ოჯახებში აღიზარდნენ, მაგრამ მათი მშობლები ეკლესიებში არ დადიოდნენ. ჯენი გრეი და მერი მაკგრეგორი პრესვიტერიანელები გაზლდნენ და საკვირაო სკოლაშიც დაიარებოდნენ. იუნის გარდინერი კი ეპისკოპიალურ ეკლესიას მიეკუთვნებოდა და ამბობდა, მე მამალმერთის, ძელმერთისა და სულიწმინდის არსებობა მწამს და არა იესო ქრისტესიო. სენდი, რომელსაც სულების არსებობა სჯეროდა, გრძნობდა, რომ სულიწმინდა მართლა უფრო შესაფერი იყო მისთვის. რელიგიაზე საუბარი იმ ზამთარს მისს ბროდიმ წამოიწყო, რომელიც ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც ზუსტად იცავდა შოტლანდიური ეკლესიის წეს-ჩვეულებებს და უქმობდა კიდევ. ახლა, როცა გაფურჩქვნის ხანაში იყო, ყოველ საღამოს უნივერსიტეტში შედარებითი რელიგიის მეცადინეობებს ესწრებოდა. მერე კი გოგოებს ყველაფერს უამბობდა და მათ პირველად გაიგეს, რომ ბევრ ღირსეულ პიროვნებას არც ღმერთი სწამდა და არც ალაჰი. გოგოებს კი სთხოვდნენ გულმოდგინედ ესწავლათ ბიბლია, რამეთუ იგი ჭეშმარიტებას და სიკეთეს ღალადებდა. ამიტომ, მისი სიდიადე რომ ეგრძნოთ, ხმამალა უნდა ეკითხათ იგი.

ჩემებრს-სტრიტზე რომ გავიდნენ, გოგოები სამ-სამად დამწკრივდნენ. მისს ბროდი წინ მიდიოდა, სენდისა და როზის შუა.

— ორშაბათს, პირველ შესვენებაზე დირექტორთან ვარ დაბარებული, — თქვა მისს ბროდიმ, — ეჭვი არ მეპარება, მისს მაკკეის ჩემი სწავლების მეტოდებზე უნდა მესაუბროს. ადრეც ვყავდი დაბარებული და მომავალშიც ასე იქნება. მე სწავლების საკუთარი პრინციპები მაქვს და იმით ვბელმძღვანელობ. მის განხორციელებას ვახმარ ყოველივე სიკეთეს, კარგს, რაც კი ახლა, გაფურჩქვნის ხანაში გამაჩნია. „განათლება“ ლათინურად არის „ედუკაციო“, წარმოდგება სიტყვიდან „ე“, რაც ნიშნავს „გარეს“ და ხმნისაგან

„დუკო“ ე. ი. „მე მიმყავს“. სიტყვასიტყვით „ედუკაციო“ ნიშნავს „გარეთ გამოყვანას, გამოტანას“, ჩემთვის პირადად განათლება ნიშნავს იმის გამოძახებულს, მზის სინათლეზე გამოტანას, რაც უკვე მოსწავლის სულშია ჩაბუდებული. მისს მაკევი კი ცდილობს მოსწავლეს ჩაუნერგოს რაღაც ნაწილში აჩნია, ამას მე „ინტრუზიას“ ვეძახი, რომელიც წარმოდგება დანაწესებულ ძისეული პრეფიქსისაგან „ინ“, რაც ნიშნავს „შიგ“ და ფუძისაგან „ტრუდო“ — ე. ი. „მე ვტენი, ვდებ“ მისს მაკევიც ცდილობს ათასგვარი ინფორმაციით გამოუტენოს ბავშვებს თავი. ჩემი ხერხი კი ითვალისწინებს ცოდნის გამოძახებულს, მის სააშკარაოზე გამოტანას. სწორედ ეს არის „განათლება“, რომელიც თვით სიტყვა „ედუკაციოს“ მნიშვნელობიდანაც ჩანს. ახლა მისს მაკევი ბრალს მდებს, გოგოებს ათასნაირი იდეებით უჭედავ თავსო. სინამდვილეში ეს მისი ხერხია. მე კი სრულიად განსხვავებული მიდგომა მაქვს. რას ნიშნავს „განათლება“, სენდი?

— გამოყვანას, — უპასუხა სენდიმ, რომელიც ალან ბრეკთან გასაგზავნ ოფიციალური მოწვევის ბარათს წერდა.

„მისს სენდი სტრენჯერი უმორჩილესად სთხოვს ბატონ ალან ბრეკს, რომ ეწვიოს სადილზე სამშაბათს, 6 იანვარს, საღამოს 8 საათზე“.

სენდისაგან მოულოდნელად მიღებულ მოსაწვევე ბარათს უნდა გაეკვირვებინა „მოტაცებულის“ გმირი, რადგან სრულიად ახალ მისამართზე, ფაიფის საგრაფოში, ზღვიპირას განმარტოებით მდგარ ერთ სახლში ეპატიებოდა მას. ეს სახლი, ჯონ ბეკენის<sup>19</sup> ქალიშვილმა რომ აღწერა ერთ-ერთ რომანში, სენდის რაღაც მანქანებით ჩაეგდო ხელში და მისი სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ალან ბრეკი შოტლანდიელი ჯარისკაცივით გამოწყობილი უნდა გამოცხადებულიყო. ხომ შეიძლებოდა იმ საღამოს ორივენი ვნებათაღელვას შეეპყრო და თავდავიწყებას მისცემოდნენ, მაშინ? სენდის თვალწინ დაუდგა ეს სურათი, მაგრამ მიხვდა, რაღაც შეუსაბამობა გამოდიოდა. ადამიანი სანამ ტანთ გაიხდიდეს, — ფიქრობდა სენდი, — წამით მაინც ხომ უნდა დაფიქრდეს და თუ ეს ასეა, მაშინ ამის მერე როგორღა ეძლევიან თავდავიწყებას?

— ეს „სიტროენია“, — თქვა როზ სტენლიმ, როცა გვერდით მანქანამ ჩაიქროლა, — საფრანგეთისაა.

— სენდი, ძვირფასო, ნუ მირბიხარ, ხელი მომკიდე, — უთხრა მისს ბროდიმ. — შენ კი სულ ავტომობილებზე ლაპარაკობ, როზი. რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ არის კიდევ ისეთი რაღაცები, რაზედაც უფრო ღირს დაფიქრება. დარწმუნებული ვარ, სენდი ახლა ავტომობილებზე არ ფიქრობს, როგორც კარგად აღზრდილ გოგოს შეეფერება, მე მიგდებს ყურს.

თუ ტანთ ერთმანეთის წინ იხდიან, — ფიქრობდა სენდი, — მაშინ ძალზე ცუდია, რადგან ადამიანები იძულებული არიან წამით დაიოკონ ვნება და, თუ შეუძლიათ, წამით მაინც აღარ იფიქრონ ამაზე, მაშინ კვლავ როგორღა აიტანთ ხოლმე სურვილი, თუკი ყველაფერი უეცრად ხდება?

მისს ბროდიმ თქვა:

— მინდა მისს მაკევის მივუთითო, რომ სწავლების ჩვენი ხერხები რადიკალურად განსხვავდებიან. სიტყვა „რადიკალური“ მაშინ იხმარება, როცა ძირებზეა ლაპარაკი. ლათინურად „რადიქს“, „ძირს“ ნიშნავს. სწორედ ჩვენი

მუშაობის არსის ძირეულ გაგებაში განვსხვავდებით მე და დირექტორი. სულ იმაზე ვდავობთ, თუ რა უფრო სწორი იქნება: ბავშვს ფართო ზოგადი განათლება მივცეთ თუ ძალდატანებით ვაზუთხინოთ ათასი სისტემატელები. ამაზე აღრეც გვიკამათია და უნდა ვთქვა, რომ მისს მკაცრ ნებინცდამაინც დიდი ლოგიკოსი არ გახლავთ. ლოგიკოსი ხომ კარგად უნდა იცნოს მსჯელობის ხელოვნებას. ლოგიკა არის თანმიმდევრული მსჯელობის ხელოვნება. მაშ მითხარი, რა არის ლოგიკა, როზი?

— თანმიმდევრული მსჯელობის ხელოვნება, მემ, — მიუგო როზიმ, რომელიც შემდგომ, თუმცა ჯერ კიდევ მაინც ბავშვი იყო, მისს ბროდის ხან აოცებდა, ხან მოწიწების გრძნობას აღუძრავდა, ზოგჯერ აღაფრთოვანებდა კიდევ, ვინაიდან განსახიერება იყო საყვარლისა, ხასისა, რომელიც ყველა სხვა ჩვეულებრივ საყვარელსა და ხასაზე, თვით ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებზე მაღლა იდგა, თითქოს ხორცშესხმული ვენერა იყო, სრულიად განსაკუთრებული ვილაც. სინამდვილეში კი იმ დროს როზის არავისთან ჰქონია რომანი, თუმცა მისს ბროდი კი ასე ფიქრობდა, რადგან თვითონ როზი იძლეოდა ამის საბაბს, რამეთუ სექსუალობით გაეთქვა სახელი. მაგრამ იმ ზამთარს, სეირნობისას, თერთმეტი წლის როზი მხოლოდ ავტომობილებზე ლაპარაკობდა. მისს ბროდი კი გაფურჩქენის ხანაში არც ისე იყო შესული, რომ გოგობთან სექსზე შეძლებოდა საუბარი, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ-ორ გადაკრულ სიტყვას ბროდის ველზე დაღუპულ შეყვარებულზე, საუბრისას რომ ჩაურთავდა ხოლმე: „იგი ნამდვილი მამაკაცი იყო“. ანდა, როცა ჯეიმზ ჰოვის ლექსს „შშვენნიერ კილმინის“<sup>29</sup> კითხულობდა:

უმანკობით

კილმინს

ტოლი არა მყოლია...

თან დაამტებდა: ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო მამაკაცებთან ერთად ლარტაფე-პში არ დაწანწალებდა.

— ორშაბათ დილას მისს მაკკეის რომ ვნახავ, — თქვა მისს ბროდიმ, — ვეტყვი, რომ თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, ჩემი ხერხების გაკილვის უფლება არავის აქვს, თუ არ დაადგენენ, რომ ისინი ოდნავ მაინც უზნეო და სავნოა და რომ ჩემი მოსწავლეები მზად არ არიან გადასაყვანი გამოცდების ჩასაბარებლად. მე მჯერა, რომ ბეჯითად იმეცადინებთ და მოახერხებთ კიდევ ამ მდგომარეობიდან თავის დაძვრენას წინა დღის ნასწავლი გინდაც მთლად დაგავიწყდეთ მეორე დღეს. უზნეობას კი ვერავინ დამწამებს, თუკი ვინმემ ფაქტები შეგნებულად არ დაამახინჯა, არა მგონია, რომ ვინმემ, როდესმე მილაატოს. მისს მაკკეი ჩემზე ახალგაზრდაა და ჩემზე მეტს იღებს. ეს კი შემთხვევით მოხდა ასე. ასე თვლიან, რომ ჩემს დროს უნივერსიტეტი გაცილებით დაბალი დონის სპეციალისტებს უშვებდა, ვიდრე მისს მაკკეის დროს, ამიტომაც უჭირავს უფრო დიდი თანამდებობა, მაგრამ სრულყოფილი მსჯელობის უნარი არა აქვს. ისე რომ ორშაბათს მასთან შეხვედრა სრულე-ბით არ მაშინებს.

— მისს მაკკეის საოცრად წითელი სახე აქვს და ძარღვები უჩანს. — თქვა როზიმ.

— იმის ნებას არ მოგცემთ, რომ ჩემი თანდასწრებით ასე ილაპარაკოთ, როზი, — უთხრა მისს ბროდიმ, — ეს არაკეთილსინდისიერი საქციელია.

სახანძრო კოშკს ჩაუარეს და ლორინსტონ-პლეისს გაუყვნენ. იქ ტრამ-  
ვაიში ჩასხდებოდნენ და ჩერჩილპილზე, მისს ბროდის ბინაში მივიდოდნენ,  
სადაც ჩაიზე იყვნენ მიპატიებულნი. ქუჩის გასწვრივ მამაკაცების გრძელი  
რიგი გაჭიმულიყო. მათ გაცვეთილი პიჯაკები ეცვათ, საყულო არ ეკეთათ.  
ლაპარაკისას იპურჭყებოდნენ და თან თითებშუა გაჩრილ სიგარეტის ნაძვრე-  
ვებს ეწეოდნენ.

— ჩვენ აქ გადავალთ, — თქვა მისს ბროდიმ და გოგოები ქუჩაზე გა-  
დაიყვანა.

— ისინი უსაქმურები არიან, — წაიჩურჩულა მონიკა დუგლასმა.

— ინგლისში მათ უმუშევრებს ეძახიან. შრომის ბირჟიდან ელიან დახ-  
მარებას, — თქვა მისს ბროდიმ, — უმუშევრებისათვის ყველამ უნდა ილო-  
ცოთ. მე ამოგიწერთ მათთვის საგანგებო ლოცვას. ყველამ იცით, რას ნიშ-  
ნავს შემწეობა?

იუნის გარდინერს არასოდეს სმენია ამის შესახებ.

— ეს ყოველკვირეული გასამრჯელოა, რომელსაც სახელმწიფო უმუშევ-  
რებსა და მათ ოჯახებს აძლევს. ზოგჯერ შინ მისვლამდე სასმელში ხარჯავენ  
ფულს, მათი ბავშვები კი შიმშილობენ. ისინი ჩვენი ძმები არიან. სენდი, ნუ  
უყურებ მათ. უმუშევრობის პრობლემა იტალიაში უკვე გადაჭრილია.

სენდიმ იგრძნო, რომ ქუჩის გასწვრივ გაჭიმულ ამ გაუთავებელ რიგს  
თვითონ კი არ მიშტერებოდა, პირიქით, თვითონ იგი იზიდავდა მის მზერას.  
პოდა, ისევ შიშმა აიტანა. რამდენიმე კაცმა თვალი გააყოლა მიმავალ გოგო-  
ებს, მაგრამ ისე კი, თითქოს ვერც ხედავენო. გოგოები ტრამვაის გაჩერე-  
ბასთან მივიდნენ. კაცები რალაცაზე ლაპარაკობდნენ და თან საშინლად იპურ-  
ჭყებოდნენ. ზოგი ხველებ-ხველებით იცინოდა, მერე ქშენა აუვარდებოდათ და  
ისევ იპურჭყებოდნენ.

ტრამვაის რომ ელოდებოდნენ, მისს ბროდიმ თქვა:

— ედინბურგში სასწავლებლად რომ ჩამოვედი, ბინა ამ ქუჩაზე ვიქი-  
რავე, ჩემს დიასახლისზე მინდა ვიამბოთ. ძალზე ხელმოჭერილი ქალი იყო.  
ყოველ დილით ჩემთან შემოვიდოდა და მკითხავდა — საუზმედ რას მიირთ-  
მევთო, თან დაატანდა: „ბოლში გამოყვანილი ქაშაკს ხომ არ ინებებთ? —  
არა, არ ინებებთ. იქნებ თოხლოდ მოხარშული კვერცხი გექამათ? არა, არც  
მაგას შეჭამთ“. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ, რაც იმ ბინაში ვცხოვრობდი,  
კარაქიანი პურის მეტი არაფერი მიჭამია, თუმცა ბევრჯერ არც ეს მქონდა  
თავზე საყრელად.

გოგოების სიცილი მოპირდაპირე მხარეს მდგომ მამაკაცთა სიცილს შე-  
უერთდა. რიგი ნელ-ნელა მიიწევდა შრომითი მოწყობის ბირჟისკენ. რო-  
გორც კი სიცილი შეწყვიტა, სენდი კვლავ შიშმა აიტანა. უყურებდა ამ ზღაზ-  
ვნით მიმავალ რიგს და თვალწინ რალაც საზარელი ურჩხულის სხეული წარ-  
მოუდგა, რომელსაც თუმცა ქალაქში ყოფნის უფლება არ ჰქონდა, აქედან  
წასვლას მაინც არ აპირებდა და ვერც ვერავინ აიძულებდა. დამშეული ბავ-  
შვები მოაგონდა და ამან უფრო შეუმსუბუქა შიშის გრძნობა. ტირილი მო-  
უნდა. ყოველთვის ტიროდა, როცა ქუჩაში მოხეტიალე მომღერლებსა და მა-  
თხოვრებს დაინახავდა. ახლა ძალიან უნდოდა ჩენი ჰყოლოდა გვერდით, რად-  
გან დაუწყებდა თუ არა ღარიბ ბავშვებზე ლაპარაკს, მაშინვე ცრემლებს გად-  
მოყრიდა ხოლმე. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ურჩხულს სიცივისაგან ცახცახი  
დააწყებინა და სენდის ისევ ააკანკალა. მოტრიალდა და მერი მაკგრეგორს, სა-  
ხელოზე რომ შეეხო, ასე უთხრა:

— ხელს ნუ იკვრევიანები.  
— მერი, ძვირფასო, ხელის კვრა როგორ შეიძლება, მისს ბროდის.



— მე ხელი არ მიკრავს, — მიუგო მერიმ.

ტრამვაიში სენდომ მისს ბროდის მოუბოდიშა და უთხრა: „სადაც წავალ, ცოტათი მაცივებსო! მართლაც აკანკალებდა. იმ დროს ძალიან მოუნდა თავის თბილ ოთახში ყოფნა. ახლა, ბროდის ერთსულოვანი „ტომიც“ კი შორეულად და უცხოდ ეჩვენებოდა.

მაგრამ მერე რომ წარმოიდგინა, როგორ გადადიოდა იუნისი მისს ბროდის სამზარეულოს ლინოლეუმზე ყირას, გოგოები კი ამ დროს ჭურჭლის რეცხვით იყვნენ გართულნი, ინანა, რატომ არ გავყევით. ნოტებშუა საიდუმლოდ დამალული რვეული ამოაძვრინა და თავის თხზულებას „ქოხი მთებში“, სადაც მისს ბროდის სასიყვარულო ისტორიას აღწერდა, კიდევ ერთი თავი მიუმატა.

**შენიშვნები:**

- 1 დიდ ბრიტანეთში ძალზე დიდი სხვაობაა საშუალო და დაწყებით სკოლას შორის. აქადა სასწავლო დაწესებულებები, რომელთა შესახებ მ. სპარკი მოგვითხრობს, აერთიანებს დაწყებით და საშუალო სკოლას, მიუხედავად ამისა საშუალო სკოლის კლასებს მინც ასე მოიხსენიებენ: პირველი, მეორე და ა. შ.
- 2 ბუჰმანიტები — მიმდევრები ბურჟუაზიულ-რეაქციული მოძღვრებისა ფრენც ბუჰმანის (1878-1961), რომლის თანახმადაც ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა სოციალური კონფლიქტების აღმოფხვრით შეიძლება.
- 3 სქესობრივი მოწიფულობა (ლათ.).
- 4 ფლოდენის ბრძოლა (1531) — ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა ინგლისისა და შოტლანდიის ქარებს შორის, რომელშიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა შოტლანდიელებმა დამარცხება განიცადეს.
- 5 ნაწევები აღფრედ ტენისონის პოეზიდან „ღეღი შალოტი“ (აქ და შემდეგ ლექსები თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ).
- 6 საზოგადოების რჩეულნი, სიტყვასიტყვით, ნაღების ნაღები (ფრანგ.)
- 7 კომიქსი — იუმორისტული სურათებით ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალი.
- 8 ჯონ კიტსის ლექსი „შემოდგომა“.
- 9 სიბილ ტორნდაიკი (დაბ. 1882 წ.) — კინოსა და თეატრის ცნობილი ინგლისელი მსახიობი.
- 10 იგულისხმება რობერტ ლუის სტივენსონის ამავე სახელწოდების რომანი.
- 11 ედინბურგის გარეუბანთა სახელები.
- 12 ბრაუნსი — სკოტეთა ჯგუფის უმცროსი განშტოება.
- 13 სამეფო მილი — ასე უწოდებენ ედინბურგის ციხესიმაგრეიდან პოლირუდის სასახლისაკენ მიმავალ გზას. პოლირუდის სასახლე აგებულია XI-ის დასაწყისში. იქ ევკსოწლის განმავლობაში ცხოვრობდა მარიამ სტიუარტი, ამჟამად ინგლისელ მეფეთა საგაზაფხულო რეზიდენციაა.
- 14 დავიდ რიჩიო (1533-1586) — იტალიელი მუსიკოსი, მარიამ სტიუარტის ფავორიტი.
- 15 ჯონ ნოკსი (1505-1572) — შოტლანდიის რეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე. მარიამ სტიუარტის მოწინააღმდეგე.
- 16 იგულისხმება მ. სტიუარტი.
- 17 უისტენ ჰიუ ოდენი (1907) — ინგლისელი პოეტი.
- 18 ტომას ელიოტი (1888-1965) — ცნობილი ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი.
- 19 ჯონ ბეკენი (1875-1940) შოტლანდიელი მწერალი — რომანისტი.
- 20 „მშვენიერი კილმინი“ — ერთ-ერთი სიმღერა შოტლანდიელი პოეტის ჯეიმზ ჰოგის (1770-1835) პოეზიდან „დედოფლის გამოღვიძება“.



# ელთ უორტონი

## რომაული სენი



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ზურდან გავაზაშვილმა

ცნობილი ამერიკელი მწერალი ქალი ელთ უორტონი დაიბადა 1862 წელს ნიუ-იორკში, არისტოკრატიულ ოჯახში. იგი ოცამდე რომანისა და მოთხრობათა ათი კრებულის ავტორია. წერდა ლექსებსაც. სხვადასხვა ხასიათის სტატიებს.

ე. უორტონის შემოქმედების ძირითადი თემაა ფსიქოლოგიური და მორალური კონფლიქტი ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მისი ერთ-ერთი გახმაურებული რომანია „სიხარულისა და ბედნიერების სახლი“, რომლის მთავარი გმირი ბუნებით კეთილშობილი, მაგრამ ხელმოკლე ქალიშვილი სიხარბისა და მომხვეჭელობის მსხვერპლი ხდება. 1920 წელს ე. უორტონის რომანმა — „მიაშიტი საუკუნე“ — პულცერის პრემია დაიმსახურა.

1907 წელს ე. უორტონი აშშ-დან საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1937 წელს პარიზის მახლობლად, სენ-ბრის-სუ-ფორეში.

რესტორნის მაგიდიდან ორი ამერიკელი ქალბატონი წამოდგა. მათ საუზმე მოათავეს და სასტუმროს ტერასისაკენ გაემართნენ. შუა ხანს მიღწეულნი, მაგრამ ჩინებულად თავმოვლილნი, ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ. ქალები ტერასის მოაჯირს დაეყრდნენ, ფარული კეთილგანწყობის თვალით გადახედეს ერთმანეთს, შემდეგ კი ქვემოთ გადაშლილ დიდებულ ხედს — პალატინსა და ფორუმს მიაპყრეს მოჯადოებული მზერა.

ქალბატონები ამ სანახაობითა ტკბებოდნენ, რომ მათ ყურთასმენამდე გოგონების წკრიალა ხმამ მოაღწია. ტერასის კიბით ისინი ქვემოთ ეზოში ჩაბოდნენ. — ჩქარა გამოადგი ფეხი, მზიარულად გაიძახოდა ერთი, — ჩვენს ბებრუხანებს საქსოვიც ეყოფათ!

— ო, ბებს, არც მასეა საქმე, — კისკისებდა მეორე.

— მე პირდაპირი მნიშვნელობით არ მითქვამს, თუმცა ჩვენს საწყალ დედიკოებს მეტი რალა დარჩენიათ...

კიბის მოსახვევმა მიაყრუა მათი ხმა. ქალებმა ერთხელ კიდევ შეავლეს თვალი ერთმანეთს. სახეზე მორცხვი, საჩოთირო ღიმილი აუციმციმდათ. ტანმომცრო, ქერა ქალს ლაწვები ვარდისფრად შეეფაკლა, თავი გააქნია და უფრო თავისთვის წაიჩურჩულა:

— ბარბარა! — ეს ისეთ კილოზე თქვა, თითქოს შორიდან ტუქსავდა კიბეზე დამცინავად მოკისკისე ონავარ შვილს.

მეორე ქალბატონი მალაღი, შავგვრემანი და ფერ-ხორციოთ სავსე გახლდათ. პატარა კობტა ცხვირი ოდნავ აპრებოდა. მან შავი წარბები მშველდივით ახიდა და გულკეთილი სიცილით დასძინა:

— აი, თურმე რა აზრისანი ბრძანდებიან ჩვენი ქალიშვილები ჩვენზე!

— ამას მხოლოდ ჩვენზე არ ამბობენ, — შეესიტყვა მუგუზგანა, — ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ახლა საერთოდ ასეთი აზრისა გავრცელებული დედებზე. თუმცა რას ვერჩით...

მან ძვირფასი შავი ხელჩანთიდან მეწამული ფერის აბრეშუმის ძაფის გორგალი და ჩხირები ამოიღო.

— ერთმა ღმერთმა იცის... — წაიჩურჩულა მან. — ისე კი, ასეთმა ცხოვრებამ უამრავი დრო მოგვცა გასაფლანგავად... ხანდისხან ამის ცქერითაც კი ვიქანცები, — დააყოლა მან და მათ ფერხთით გადაშლილ დიდებულ ხედზე მოატარა ხელი.

შავგვრემანს ჩაეცინა. ქალბატონებმა ისევ მომხიბლავ პანორამას გადახედეს იმ უტყვი, მშვიდი გუნებაგანწყობით, რომელიც გაზაფხულის მზით გასხივოსნებული რომაული ცისაგან გადაედებათ ხოლმე ადამიანებს.

საუზმის დრო დიდი ხანია გადასულიყო. ფართო ტერასაზე მიმობნეულ მაგიდებს ტურისტთა პატარ-პატარა ჯგუფებია შემორჩენოდა. ახლა ისინი ფათიფუთით კრეფდნენ ფოტოაპარატებს, ბუკლეტებს და ოფიციალტის გასამრჯელოდ ხურდა ფულისთვის იქექავდნენ ჯიბეებს. ჩქარა ყველა წავიდ-წამოვიდა და ორი ქალი მარტოდმარტო დარჩა მზით გაჩახჩახებულ ვერანდაზე.

— მე მგონი ყველაფერს ისევ აქ დარჩენა სჯობს, — თქვა ქალბატონმა სლეიდმა. იგი თამამი, ენერგიული ქალი ჩანდა. მოწნული სავარძელი მოაჯირთან მიაჩოჩა, უფრო მოხერხებულად მოეწყო და ისევ პალატინს მიაპყრო მზერა.

— ვინც რა უნდა თქვას, ეს მაინც ულამაზესი ხედია მთელ მსოფლიოში! — თქვა მან.

— ნამდვილად... მეც ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა... — დაეთანხმა ქალბატონი ანსლი და სიტყვა „ჩემთვის“ ისეთი ძლივსშესამჩნევი ემოციური გამომხატველობითა თქვა, რომ ქალბატონ სლეიდს აფიქრებინა, ეს უნებურად არ წამოცდენიაო. ისევე როგორც სასხვათაშორისო არ გახლავთ ხოლმე ძველებურ სამიჯნურო წერილებზე სულ ბოლოს „შემთხვევით მინაწერი“.

„გრეის ანსლი ყოველთვის ძველი ყაიდის ქალი იყო“, — გაიფიქრა ქალბატონმა სლეიდმა. შემდეგ კი წარსული მოგონებებით გამოწვეული ღიმილით ხმამაღლა დააყოლა:

— ეს ხედი, ჩემო კარგო, მე და შენ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ გვგვრიდა სიამეს. პირველად რომ გავიცანით ერთმანეთი, მაშინ ჩვენი გოგონებივით ნორჩები ვიყავით, აღარ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — წაიჩურჩულა ქალბატონმა ანსლამ იმავე გაურკვეველ კილოზე. მერე კი უცებ სიტყვა ბანზე ააგდო. იგი თავის მეგობარზე უფრო მორიდებული ჩანდა. — ოფიციალტი თითქოს ფეხს ითრევს, ეტყობა რალაცის თქმა უნდა, მაგრამ მოსვლისა ერიდება.

— ვიცი რაც აწუხებს, ახლავე მოვუვლი მაგას! — ქალბატონმა სლეიდმა ძვირფას ხელჩანთას მიაწვდინა ხელი. სწორედ ასეთივე ჩანთა ჰქონდა ქალბატონ ანსლისაც.

ქალმა ხელით ანიშნა ოფიციანტს მისულიყო მასთან. იგი სწრაფი ნაბიჯით ეახლა, თავაზიანად დაუკრა თავი და მისთვის ჩვეულ პოზაში გაიყინა.

— მე და ჩემი მეგობარი რომის ძველი ტრფიალნი ვართ, ჩემო ვარ/გო, ამიტომ თუ ეს თქვენ სერვისს ზიანს არ მიაყენებს, გვინდა ორიოდ საათი ვერანდაზე დავყოთ და ამ სიმშვენიერით დავტკბეთ, — უთხრა ქალბატონმა სლეიდმა, ჩანთიდან ფული ამოიღო და ოფიციანტს გაუწოდა.

ოფიციანტმა მდაბლად დაუკრა თავი, მადლობა გადაუხადა გულუხვობისათვის და სხაპასხუპით დააყოლა, ქალბატონები სასტუმროს სასურველი სტუმრები ბრძანდებით და ორი კი არა, თუ გნებავთ, ვახშობამდე შეგიძლიათ აქ დაჰყოთ, სანამ მთვარე ამოცურდება ცის კაბადონზე...

ქალბატონ სლეიდს აღარ მოეწონა ოფიციანტის სიტყვამრავლობა და შავი წარბები შექმუხნა. ოფიციანტმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა და ფეხაკრეფით გაიპარა. სლეიდმა ისევ გახსნა შუბლი და გულლიად გაუღიმა მეგობარს.

— ესეც ასე, ხომ გითხარი მე მოვუვლი-მეთქი? მთვარის ამოსვლამდე შეგიძლიათ დარჩეთო. კეთილი და პატიოსანი. ჩვენი გოგონები როდისღა დაბრუნდებიან? შენ იცი სად წავიდნენ, ან როდის ინებებენ მობრძანებას? მე არ ვიცი!

ქალბატონ ანსლის ისევ ოდნავ გადაჰკრა ლაწვებზე სიწითლემ.

— მე მგონი იმ ახალგაზრდა იტალიელმა ავიატორებმა დაპატიყეს, საელჩოში რომ გავიცანით. მე ასე ვიცი, ტარქვინაში უნდა გაფრენილიყვნენ, ჩაიზე დაპატიყეს, ბატონო. არა მგონია იქ შელამებამდე დარჩნენ, მთვარის ამოსვლამდე დაბრუნდებიან.

— მთვარის ამოსვლა, მთვარის ამოსვლა! — წამოიძახა ქალბატონმა სლეიდმა. — ღმერთო, რა ჯადოსნური ძალა შემორჩა ამ მთვარის დღემდე! შენ როგორა გგონია, ჩვენი შვილებიც ჩვენსავით სენტიმენტალურები არიან?

— რა მოგახსენო... მე ისიც არ ვიცი საერთოდ როგორები არიან, — თქვა ქალბატონმა ანსლიმ. — ის კი არა, ჩვენ მგონი ერთმანეთსაც არ ვიცნობთ წესიერად.

— მართალი ხარ. შეიძლება არც ვიცნობთ.

მეგობარმა დაირცხვინა, შეფარვით შეავლო თვალი.

— რას ვიფიქრებდი თუ შენ ასეთი მგრძნობიარე ბუნების ადამიანი იქნებოდი, ალიდა.

— რა ვიცი, იქნებ არცა ვარ...

ქალბატონი სლეიდი ისევ მოგონებებმა გაიტაცა. ქალები ერთხანს მღუპარედ ისხდნენ. მათ უცებ იგრძნეს, რა ცალმხრივად იცნობდნენ ერთიმეორეს, თუმცა ბავშვობიდან განუყრელ მეგობრებად ითვლებოდნენ. რომ გეკითხათ, მაშინვე მზადა ჰქონდათ ერთმანეთის მზამზარეული დახასიათება. ქალბატონი დელფაინ სლეიდი თავადაც აღიარებდა, და თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, სხვასაც დაარწმუნებდა, რომ მისის პორაცია ანსლი, ოცდახუთი წლის წინ, ხორცშესხმული მშვენება გახლდათ ...არა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა მომხიბლავი არსება იყო! რაო? ახლა? ახლაც მშვენიერია, მაგრამ რა შედარებაა, მაშინ კალმით ნახატი ქალწული იყო. დიახ! მერედა, რა გემოვნებით იცვამდა!.. რაღა დაგიმალათ და თავის გოგონაზე, ბარბარაზე, ათასჯერ უკეთესი იყო, როგორ გეკადრებათ!.. თუმცა ბარბი, რა თქმა უნდა, ახალი დროებისა

და შეხედულებათა კვალობაზე, უფრო... ეფექტურია, როგორც ახლა ამბობენ...

ბატონი და ქალბატონი ანსლები ერთობ სასაცილო ცოლ-ქმარი ბრძანდებოდა, ვაშლი რომ გაჭრა, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს. მოკლებდნენ ნიუ-იორკის იშვიათი სამუზეუმო ექსპონატები იყვნენ. მისვლასთან სესიამოვნო გარეგნობის, უზადო ყოფაქცევის ადამიანი გახლდათ. სლუიდებისა და ანსლების ოჯახები მრავალი წლის მანძილზე, ერთ ქუჩაზე, მოპირდაპირე სახლებში ცხოვრობდნენ. როცა სამოცდამეცამეტე ქუჩის მეოცე ნომრის სახლში სასტუმრო ოთახის ფარდებს ცვლიდნენ, იმავე ქუჩის გადაღმა, ოცდასამ ნომერში, უკვე იცოდნენ, იქ რაცა ხდებოდა. მისვლა-მოსვლა, სტუმრიანობა, რაიმეს შექმნა, მოგზაურობა, თარიღის აღნიშვნა ლხინის თუ ჭირის გაზიარება, — ეს უკვე მოსაწყენ ბანალურ ამბად გადაქცეულიყო ამ ღირსეული ოჯახებისათვის. არც ქალბატონ სლუიდს გამოეპარებოდა რა ხდებოდა ანსლისთან. მაგრამ როდესაც მისმა მეუღლემ უოლ სტრიტზე ერთობ დიდ წარმატებას მიაღწია და ზედ პარკ ავენიუზე ახალი სახლიც შეიძინა, მას ანსლები თვალში აღარ მოუვიდა. ერთობ მოსაწყენად ეჩვენა მათი გადაპრანჭული დარბაისლობა და რესპექტაბელურობა.

„ანსლების გამოზომილ, აწონილ-დაწონილი ნაბიჯის და რიტუალების ცქერას, ისევ ბუტლეგერების ბარის პირდაპირ ცხოვრება მიჩვევია. იქ ხანდისხან პოლიცია მაინც დაეცემა ხოლმე თავს და უეცრად ააწიოკებს იქაურობას. აქ კი ქვეყანა რომ დაიქცეს, არაფერი შეიცვლება“, — ახლა ასე ფიქრობდა ქალბატონი სლუიდი. ერთხელ ისიც კი წარმოიდგინა, რომ ანსლების ოჯახს ბუტლეგერებით პოლიცია დაესხა თავს. ეს ისე სასაცილოდ მოეჩვენა, რომ ქალთა ერთ-ერთ ვახშამზე იხუმრა კიდევ ამის თაობაზე. ისე ოსტატურად გაჭრა კბილი ანსლების ოჯახს, რომ ყველას გაეცინა და მისი მონაყოლი ანეკდოტით გავრცელდა. ქალბატონი სლუიდი მერე, ცოტა არ იყოს, შეწუხდა, ვაითუ ამ ამბავმა ქალბატონ ანსლის ყურამდე მიაღწიოსო. თუმცა იმისი იმედიცა ჰქონდა, არავინ ჩაუკაკლავდა მას, სლუიდმა შენზე ასე და ასე თქვაო. ისე კი არც ეს ენაღვლებოდა ძალიან. იმ დროს დარბაისლობა და ღირსეულად თავის დაჭერა მაინც და მაინც დიდად არ ფასობდა. არც ის მიაჩნდათ დიდ ცოდვად თუ კვიმატი სიტყვით ვინმეს მასხარად აიგდებდნენ.

რამოდენიმე წლის შემდეგ მეგობრებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს. სულ რაღაც ერთ-ორ თვეში ქმრები ხელიდან გამოეცალათ. რაღა თქმა უნდა, იყო გლოვა, სამძიმრები, ყვავილების გვირგვინების გაცვლა-გამოცვლა. ორივე ქალმა ძაძები ჩაიცვა. ერთ ბედს ქვეშ მოხვედრილმა ქვრივებმა ისევ განაახლეს გულითადი მეგობრობა, რასაც საზიარო მწუხარებამ დიდად შეუწყობ ხელი.

ახლა კი რამოდენიმე ხნის შემდეგ მათი გზები კვლავ შეიყარა რომში. თვით თავმდაბლობისა და კდემამოსილების განსახიერება ეს ორი ქალბატონი აჩრდილივით აედევნენ თავის თამამ ქალიშვილებს, რომში ჩამობრძანდნენ და ერთსა და იმავე სასტუმროში დაბინავდნენ. ისინი ერთ ბედქვეშ იყვნენ და ალბათ სწორედ ამან შეჰყარა ერთად. ეს ამბავი სულაც არ გახლდათ სასაცილო, მაგრამ უნებურ ღიმილს მაინც იწვევდა. ქალბატონი სლუიდი და ქალბატონი ანსლი ადრე შეილოებს გვერდიდან არ იცილებდნენ და გოგონებიც

დედიკოების კალთას იყვნენ გამოკერებულნი. ახლა კი „მოსაწყენ ბებრუხანებად“ ეჩვენებოდათ.

რა თქმა უნდა, მისის სლეიდს უფრო უმძიმდა და ეთაკილებოდა ასეთი ყოფა, ვიდრე საბრალო, უმწუო გრეის ანსლის. მისი ცხოვრება მთლად შეიცვალა, როცა მისტერ დელქფაინ სლეიდის ქვრივად გადაიქცა. მისი ცხოვრება ურებელი დანაკლისი იყო. მას ყოველთვის ქმრის თანასწორად მიაჩნდა თავი და გულწრფელად ამაყობდა კიდევაც თავისი წმინდა ოჯახით. ერთთავად ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა იმაში, რომ განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ ცოლ-ქმრად ელიარებიანათ. ქმრის სიკვდილმა ერთიანად შეცვალა მისი ცხოვრება. ქალბატონი სლეიდი ძალიან მძიმედ განიცდიდა ამას. მისტერ დელქფაინ სლეიდი სახელგანთქმული კორპორაციის ადვოკატი გახლდათ. იგი სულ საერთაშორისო საქმეებით იყო დაკავებული. მისი ყოველი დღე ამალღებული, მოულოდნელი ამბებით იყო გადატვირთული. ხან საზღვარგარეთელი კოლეგები ეწვეოდნენ უეცრად სტუმრად, ხან სასწრაფოდ ლონდონში, პარიზში თუ რომში მიიწვევდნენ, სადაც დიდებულად იღებდნენ. ქალბატონი სლეიდი ყოველთვის თან დაჰყვებოდა ქმარს. ვერაფრით ვერ დაევიწყებინა მისი მისამართით გამოთქმული ქათინაურებით განცდილი სიამოვნება: „როგორ, ეს ქალი?!.. ასე ძვირფასად და გემოვნებით ჩაცმული... თვალებიდან რომ სულ ცეცხლებს აკვესებს, ეს ქალი მისტერ სლეიდის... ამ სლეიდის ცოლია?! საერთოდ, გამოჩენილი ადამიანების ცოლები დიდი მახინჯი ვინმეები ბრძანდებიან ხოლმე...“

დიახ, და „იმ სლეიდის“ ქვრივობა ახლა აუტანელი იყო. ქმრის ხელში მისი ნიჭი და მშვენიება მთელი სისრულით იფურჩქნებოდა... ახლა კი მხოლოდ ერთადერთ ქალშვილს შესციცინებდა თვალეში. ვაჟიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობით მამის ნიჭი და უნარი უნდა დაჰყოლოდა, პატარავე გარდაიცვალა უეცრად. ის უბედურება შედარებით იოლად იმიტომ გადაიტანა, რომ მაშინ ქმარი ედგა გვერდში. მისტერ სლეიდსაც ესაჭიროებოდა თანაგრძნობა, მაგრამ ქალბატონი სლეიდიც გრძნობდა ქმრის ნუგეშსა და მხარდაჭერას. ახლა კი მთელი დედობრივი ზრუნვა ქალიშვილზე გადაეტანა, ფარვანასავით თავს ევლებოდა. მისი ჯენი ისეთი წესიერი გოგონა იყო, რომ განსაკუთრებული თვალის ჭერა არცა სჭირდებოდა, „მაგრამ რაკი ბარბარა ანსლის დაუახლოვდა, ასე გულარხეინად ყოფნა აღარ გამომადგება“, — დროდადრო გაიფიქრებდა ხოლმე ქალბატონი სლეიდი.

ჯენი თავის ბრწყინვალე მეგობარზე უმცროსი იყო. გოგონას ის უმანკობა და უბრალო მომხიბვლელობა გააჩნდა, რომელიც არავის ეცემა თვალში. სწორედ ეს აღშფოთებდა მისის სლეიდს, ამაზე ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას. მას უნდოდა ჯენი გამიჯნურებოდა ვინმეს, თუნდაც მასზე უღირს ყმაწვილკაცს. მაშინ საჭირო გახდებოდა დედის ჭკუა და მოხერხება, თვალ-ყურის დევნება, რომ საფრთხეს არ გადაყროდა. ახლა კი, ნაცვლად ამისა, ჯენი აქეთ ზრუნავდა დედაზე, რომ დროზე დაეღია წამალი, ისეთნაირად არ დამჯდარიყო რომ ორპირ ქარს გაემჟვალა...

ქალბატონი ანსლი ვერ გახლდათ თავისი მეგობარივით მდიდარი წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული და ამიტომ მის წარმოდგენაში ქალბატონი სლეიდის პორტრეტი უფრო ფერმკრთალად გამოიყურებოდა.

„ალიდა სლეიდი შესანიშნავი ქალია, მაგრამ არც ისეთი ბორცშესხმული მშვენებაა, როგორც თვითა ჰგონია“.

ხოლო უცხოთათვის უფრო გასაგებად მაშინვე დასძენდა, ახალგაზრდობაში ისეთი ანცი და თამამი გოგო იყო, მისი ქალიშვილი კლკლამდვდ ვერ მისწვდებო...  
კლკლამდვდ ვერ მისწვდებო...

„არა, მისი გოგონა, რა თქმა უნდა, თავისებურად კობტაა, ჰკვიანიცაა მაგრამ რა შედარებაა დედამისთან... აი სწორედ ის, როგორ გითხრათ, ცეცხლი, ელვარება არა აქვს... ან როგორც ერთხელ ვილაც თავხედმა შენიშნა, ისეთი „ეშმაკის ფეხი“ ვერ არის...“

ქალბატონი ანსლი ყოველთვის ასეთ ძველ სიტყვებს შეარჩევდა ხოლმე და ბრჭყალებში ჩასმულ ციტატასავით მოიტანდა.

„არა, როგორ გეკადრებათ! ჯენი არაფრით არა ჰგავს დედას!“

ხანდახან ქალბატონი ანსლი ფიქრობდა, მისის სლეიდი ამ ცხოვრებაზე იმიტომ არის გულგატეხილი, რომ ახლა მოსაწყენი, გაცრუებული იმედებითა და შეცდომებით სავსე ცხოვრებადა უღევსო წინ და, ცოტა არ იყოს, ებრალებოდა კიდევ.

ასე და ამგვარად, ეს ორი ქალბატონი ასეთნაირად ხედავდა ერთმანეთს თავის პატარა, მრუდე სარკეში.

ისინი დიდხანს ისხდნენ ერთმანეთის გვერდით. მათ თითქოს შვება მოგვარა ფუჭი, ამო სექმიანობის მიტოვებამ, რაც ასე ცხადად იგრძნობა უსახლვრო **Memento mori**-ს წინაშე, რომელიც ახლა თვალწინ ედგათ. გატრუნილი ქალბატონი სლეიდი ისე წყნარად იჯდა, რომ მისი ჩამიჩუმი არ ისმოდა. თვალეზი კეისრის ოქროცურვილ სასახლისათვის მიეპყრო. ცოტახნის შემდეგ ქალბატონი ანსლიც მოეშვა თავისი ჩანთის ჩბრეკვას და მოგონებებში ჩაეფლო. ამ ორ ქალბატონს, სხვა მეგობართა მსგავსად, ადრე არასოდეს ჰქონიათ ასე ჩუმად და მრავლისმეტყველად ერთმანეთის გვერდით ყოფნის საშუალება. ქალბატონ ანსლის, ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდა კიდევ ამდენი წლის შემდეგ ეს ახალი, შინაურული ურთიერთობა და არც იცოდა ეს ამბავი როგორ აღექვა.

უცებ ზარების რეკვა გაისმა. ეს ხმა დროდადრო აელერდება ხოლმე რომში და წკრილა ვერცხლის ექვნებივით გადაებნევა დიდებულ პალატებს.

ქალბატონმა სლეიდმა მაჯის საათზე დაიხედა და გაკვირვებით წარმოსთქვა: — უკვე ხუთი საათი გამხდარა.

— ხუთ საათზე საელჩოში ბრიჯი იწყება, — ისეთნაირად თქვა ქალბატონმა ანსლიმ, თითქოს საელჩოში წასასვლელად ეპატიყებაო მეგობარს.

ქალბატონმა სლეიდმა კარგა ხანს არაფერი უპასუხა, იგი ისევ თავის ფიქრებმა გაიტაცა. ალბათ ჩემი ხმა არც გაუგიაო, გაიფიქრა ქალბატონმა ანსლიმ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სლეიდმა ხმა ამოიღო:

— რაო, მგონი ბრიჯი ახსენე, არა? — თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, ისე იკითხა მან. — რა ვიცი... შენ თუ გინდა, წადი... მე კი, მაინც და მაინც არ მეხატება გულზე...

— მე სულაც არ მინდა იქ წასვლა. — დაამშვიდა იგი ანსლიმ. — აბა,

<sup>1</sup> გახსოვდეს სიკვდილი (ლათ.).

აქ ყოფნას რამე სჯობს! შეხედე რა მშვენიერებაა... და თანაც „ძველი მოგონებებით სავსე“. როგორც შენა თქვი. — იგი უფრო მოხერხებულად მოკალათდა და ქსოვა განაგრძო.

ქალბატონმა სლევდმაც გადახედა გვერდზე გადადებულ საქსოვს, მაგრამ თითიც არ გაუტოკებია. ნატიფი ხელები უმოძრაოდ ეწყო მუხლებზე.

— ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობდი, — წყნარად თქვა მან. — რომ მოგზაურთა თუ ტურისტთა სხვადასხვა თაობებს რომი მრავალფეროვნად ეგებება. ჩვენი ბებიებისთვის ეს რომაული სენი იყო, დედებისათვის სენტიმენტალური საფრთხე... ო, როგორ გვიფრთხილდებოდნენ, რომ რაიმე ფათურაკს არ გადაეყროდით! ჩვენი გოგონები კი გინდა რომში ყოფილან და გინდა შეინ სტრიტზე. არაფრის შიში და რიდი არა აქვთ. ეჰ, რა იციან... ჯერ ბავშვები არიან. ისე კი, რამდენ რამეს კარგავენ!

ჩამავალი მზის ოქროს ნათელი თანდათან ჩამუქდა. ქალბატონმა ანსლიმ საქსოვი თვალებთან უფრო ახლოს მიიტანა.

— აბაა, რას გვიცავდნენ! ზედ იყვნენ გადაფოფრილი...

— მე ბევრჯერ მიფიქრია, რომ ჩვენს დედებს უფრო მეტი სიფრთხილე მართებდათ, ვიდრე ბებიებს, — განაგრძო სლევდმა. — რომაული სენი! ბებიებისთვის უფრო იოლი იყო სახლში შეეკეტათ ქალიშვილები და თავიდან აეცილებინათ ეს ხიფათი... მაგრამ მე და შენი ყმაწვილქალობის დროს, როცა ასეთი გადასარევი სილამაზე გვიხმობდა გარეთ, თანაც ჩვენი სიჯიუტე... არადა, რა საფრთხე გველოდა ისეთი? დიდი-დიდი, მზის ჩასვლის შემდეგ, გაცვივებულიყავით. ჩვენი დედიკოები კი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ სახლში დავეტოვებინეთ... ჰა, ასე არ იყო?

მან ქალბატონ ანსლისაკენ მიიქცია სახე, მაგრამ იგი ისეთი გატაცებით ქსოვდა, რომ ზედაც არ შეუხედავს მისთვის.

— ერთი, ორი, სამი... მეორე თვალი ჩამივარდა... კიი, ფხიზლად უნდა სჭეროდათ თვალი — ისე მიუგო მან რომ საქსოვიდან თავი არც აულია.

ქალბატონმა სლევდმა დაკვირვებით შეათვალიერა იგი. თავში უნებურმა ფიქრმა გაუელვა:

„ამ მომაჯადოებელ სილამაზეში აი, ამ ქალს თავაუღებლად შეუძლია ქსოვოს... თუმცა რა? ასეთია...“

ქალბატონი სლევდი სავარძელში გადაწვა და თავის ფიქრს მიეცა. ოცნებით დაბინდული თვალებით ხან სახლის სახურავებს უცქერდა, ხან ფორუმს, რომლის მიღმა ეკლესიის ფასადზე თანდათან ქრებოდა მზის შუქი, რის გამოც კოლიზეუმის კონტურები უფრო ნათლად იკვეთებოდა.

„ჩვენ კი ვამბობთ, რომ ჩვენი გოგონები ჩირადაც არ აგდებენ სენტიმენტებს და მთვარის ნათელს... — გაიფიქრა მან. — მაგრამ თუ ბარბარა ანსლიმ ის ახალგაზრდა მარკიზი-ავიატორი თავის ბადეში არ გააბა, მაშინ მე აღარაფერი გამეგება ამ ქვეყანაზე. მის გვერდით ჩემს ჯენის ზედაც არავინ შეხედავს, არც არავის მოუვა თვალში. ამას რა ლაპარაკი უნდა. სწორედ ამიტომ ნებავეს გრუის ენსლის ჩვენი გოგონები ყველგან ერთად დასეირნობდნენ. ჩემი საბრალო, უღიმღამო შვილიყო, მის გვერდით ბებსის მშვენიერება ერთი ათადა ჩანს...“

ამის გაფიქრებაზე ქალბატონ სლევდს ოდნავ გასაგონად ნაღვლიანად ჩაეცინა.

ქალბატონმა ანსლიმ ქსოვას თავი მიანება და კითხვის თვალით შეხედა.  
— მითხარი რამე?

— არა... არაფერი. ახლა იმაზე ვფიქრობდი როგორ ახელებს შენი ბარბარა ყველას თავის ჭკუაზე ტარებას. კამპოლიერის ყმწველი მსგავს რომში საუკეთესო სასიძოდ ითვლება. მასე მიამიტად ნუ მიყვარებ, ჩემო ძვირფასო მშვენივრად გესმის, რასაც გეუბნები. ღმერთმა ხომ იცის, გულში ცუდი არაფერი გამივლია. უბრალოდ, მაინტერესებს ასე ჩვეულებრივ ცოლ-ქმარს, შენ და ჰორაციოს, ასეთი მშვენიერი შვილი როგორ გეყოლათ! — მისის სლუიდმა უსიამოვნოდ ჩაიჭირქილა.

ქალბატონმა ანსლიმ ქსოვას თავი მიანება და უსიტყვოდ გადახედა ოდეს-ღაც ბედნიერებითა და ვნებათაღელვით სავსე ბრწყინვალე შენობათა ნანგრევებს. მისი ქანდაკებასავით გაქვავებული პატარა, კობტა სახე არაფერს გამოხატავდა.

— მთლად მასე არ არის, ჩემო ძვირფასო, — თქვა მან ბოლოს. — ოდნავ მეტი მოგივიდა.

— არაფერიც არ მომივიდა მეტი, — უფრო გულთბილად თქვა ქალბატონმა სლუიდმა. — ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ცოტა მშურს კიდევ შენი ბარბარას ძალიან ვაფასებ. ჩემი გოგონაც მშვენიერია.. მე რომ რამე დამემართოს და ლოგინად ჩავვარდე, ესაა ჩემი პატრონი. მთელი სიცოცხლე მზეთუნახავ ქალიშვილსა ვნატრობდი, ეს კი ნამდვილი სათნო ანგელოზი მეყოლა. მაინც ვერ გავიგე...

— ჩემი ბებსიც ანგელოზია, — წყნარად ჩაილაპარაკა ქალბატონმა ანსლიმ.

— ო, რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა! ოღონდ ფერ-ხორციით სავსე, კობი ვარდივით გაფურჩქნული ანგელოზი. ახლა ისინი იმ ყმაწვილებთან ერთად ზღვის სანაპიროზე დასეირნობენ. ეს ყველაფერი უფრო ცხადად მაგონებს წარსულს...

ქალბატონი ანსლი იხევ თავის საქსოვს მიუბრუნდა.

...ზაფხულის მომაჯადოებელი საღამო იდგა, ქვემოთ იმპერატორთა დიდებული სასახლეების ნანგრევთა წაგრძელებული ჩრდილები გაწოლილიყვნენ...

„ვინმემ რომ შეხედოს, იფიქრებს, ამ ბრწყინვალე სანახაობის შემყურე ქალს გარდასულ დღეთა მოგონებანი აეშალაო (ჩემსავით რომ არ იცნობვის საქსოვის მეტი არაფერი აინტერესებს! თუმცა რატომაც არა? რა აქვს ანსლის სადარდებელი? იგი თითქმის დარწმუნებულია, რომ მისი ბებსი უკვე დანიშნული დაბრუნდება იმ კამპოლიერის ყმაწვილზე... მერე გაყიდის ნიუ-იორკის სახლს, გადმოსახლდება აქ რომში, ახალგაზრდებს არაფერში შეუშლის ხელს... თვალში არ შეეჩხირება.. ამისთვის კი ეყოფა ჭკუა და ტაქტი. დაიჭირავებს შესანიშნავ მზარეულს, შემოიკრებს ისეთ ხალხს, ბრიჯისა და კოქტილისათვის რომ გამოადგება... და მშვიდად, წყნარად გაატარებს სიბერეს შვილიშვილებში გაფუფუნებული...“

ქალბატონმა სლუიდმა თავიდან მოიცილა ეს უკადრისი, საძრახისი ფიქრი. საკუთარი თავი შესძაგდა, მთლად უცხოზედაც არა ჰქონდა ამის უფლება და მით უმეტეს გრეის ანსლიზე. რამ აფიქრებინა ასეთი რამ... ნუთუ ამ შურმა და ბოლმამ უნდა დაახრჩოს? ალბათ ეს ძალიან ადრე დაიწყო.



იგი წამოდგა და მოაჯირს დაეყრდნო. შეეცადა აღელვებული გული საგულეს დაებრუნებინა და აფორიაქებული გონებაც მომხიბლავი ხედრით დაემშვიდებინა, ასე სასიამოვნოდ რომ ელამუნებოდა მზერას. მაგრამ დაწყნარების მაგიერ უფრო აეშალა ნერვები. ერთხანს კოლიზეუმს უცქირა, მისი ცალი მხარე ჩამავალ მზის სხივებს ბაჯალლო ოქროსფრად მოეცარებინა, ცოტა ხანში ოქროცურვილი კედელი მეწამულისფრად აელვარდა. დღე იწურებოდა.

ქალბატონი სლელი შემობრუნდა და მეგობარს მხარზე შეახო ხელი. ამ მოულოდნელ შეხებაზე ქალბატონი ანსლი შეკრთა.

— მზე ჩავიდა. ხომ არაფრის გეშინია, ჩემო კარგო?

— რისი უნდა მეშინოდეს?

— რომაული სენისა ან ფილტვების ანთებისა. მე მახსოვს, იმ ზამთარს როგორ გაცივდი. ქალიშვილობაში ძალიან სუსტი ყელი გქონდა, არ გახსოვს?

— აქ არ ცივა და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ქვემოთ, ფორუმში, კი ახლა ისე უცებ აცივდება რომ გაითოშება კაცი...

— ო, შენ ეგ კარგად მოგეხსენება, გამოცდილი გაქვს, — თქვა ქალბატონმა სლელიმა და ისევ მოაჯირს დაეყრდნო. — „თავს ძალა უნდა დავატანო, რომ ეს ქალი საბოლოოდ არ შემძულდეს“, — გაიფიქრა მან და ხმამაღლა დასძინა:

— აქედან ფორუმს რომ ვუყურებ, შენი პაპიდის ამბავი მახსენდება. დიდი უღმობელი და გულქვა ქალი იყო პაპიდაშენი!

— კი, პაპიდა პარიეტი მართლაც დაუზოგველი ქალი იყო. იმან გააგზავნა თავისი უმცროსი და ფორუმში მზის ჩასვლის მერე, ღამით რომ იშლება ის ყვავილები მომიკრიფე, ალბომისთვის მინდაო. მაშინ ჩვენს ბებიებს და პაპიდებს ყველას ჰქონდა გამხმარი ყვავილების ალბომი. დიდ მოდაში იყო!

ქალბატონმა სლელიმა თავი დაუქნია.

— გარდა მაგისა, ორივეს ერთი კაცი უყვარდა და იქ იმიტომაც გააგზავნაო...

— მასეთი რამ ჩვენს ოჯახს ოდითგანვე მოსდგამს. ამბობენ, პაპიდამ ეს ამბავი მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ აღიარაო. ასეა თუ ისე, საცოდავი უმცროსი დაიკო გაცივდა და სიცოცხლეს გამოესალმა. ბავშვობაში დედა ამ ამბით სულ გვაშინებდა ხოლმე.

— შენ კიდევ მე მაშინებდი მაგით, იმ ზამთარს, აქ რომ ვიყავით ერთად. სწორედ იმ ზამთარს დავინიშნე დელფაინზე.

— ოჰო, მართლა? — ცალყბად ჩაიციხა ქალბატონმა ანსლიმ. — მე გაშინებდი? შენ ისე იოლად შესაშინებელი ქალი რომ არა ხარ?

— მართალია მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, ჩვენი ქალიშვილობის დროს. მაშინ ყველაფრისა მეშინოდა, იმიტომ რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. შენ ეს არც იცი ხეირიანად რა არის, რადგან არ გამოგიცდია.

— მე... დიახ, შესაძლოა, — ყოყმანით, გაუბედავად თქვა ქალბატონმა ანსლიმ.

— ჰოდა, სწორედ იმის ბრალია, რომ იმ ბოროტი პაპიდის ამბავი ასე ჩამყვა გულში. მაშინ მივხვდი, რომ არავითარი რომაული სენი არ არსებობდა უბრალოდ, მზის ჩასვლის შემდეგ ფორუმში ისე აცივდება ხოლმე, რომ გაიყინება ადამიანი, განსაკუთრებით თუ დღისით ცხელა. კოლიზეუმში კი მით უარესი, იქ ნესტიანი სიცივეა.

— კოლიზეუმში?

— დიახ. საღამოთი ჭიშკარს რომ დახურავდნენ, იქ შგლწევს ბოც ისე იოლი საქმე გახლდათ. იოლი კი არა, შეუძლებელი იყო. მაგრამ შეყვარებულები ყველაფერს ახერხებდნენ. სწორედ იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, რაკი სხვაგან პაემანის დანიშვნა ვერ ხერხდებოდა. არ გახსოვს? გვიზღოქონი

— მე? რა მოგახსენო, აღარ მახსოვს.

— არ გახსოვს?! მაშ ის როგორ იყო ერთ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ ნანგრევების სანახავად რომ წაბრძანდი და კარგადაც გაცივდი? ვითომ მთვარის ამოსვლის ხილვა გნებავდა. იმ გასეირნების ბრალი იყო შენი ავადმყოფობა, ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ამბობდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინ ხალხი? თუმცა ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა, რომ აღარა აქვს მნიშვნელობა, ვიღას რაში აინტერესებს... — თქვა ქალბატონმა ანსლიმ.

— მართალია. მერე გამოკეთდი... მაგრამ ეგ არ არის მთავარი, ჩვენს მეგობრებს გაუკვირდათ, რომ შენს ხანგრძლივ ავადმყოფობას ის სეირნობა გაუხდა მიზეზად. მე იმისი თქმა მინდა... ყველამ კარგად იცოდა, როგორ ელოლიავენოდი შენს სუსტ ყელს, დედაშენიც თავს გეველებოდა... იმ ღამეს გვიანობამდე ინავარდე, არა?

— კი, ვინავარდე. ჭკვიანი გოგონები ყოველთვის ვერ არიან ჭკვიანები. მაინც რამ გაგახსენა ეგ ამბავი?

ქალბატონმა სლელიძმა უცებ ვერაფერი უპასუხა, ერთი წუთით შეყოყმანდა და მერე მკვახედ მიახალა:

— იმან გამახსენა, რომ ამის ატანა აღარ შემიძლია!...

ქალბატონმა ანსლიმ უცებ შეხედა, გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, სახე გაუფითრდა.

— რისი ატანა აღარ შეგიძლია?

— რისა და... ნუთუ არასოდეს მოგსვლია აზრად, რომ მე შეიძლება მცოდნოდა რატომ წახვედი იმ საღამოს კოლიზეუმში?

— რატომ წავედი?..

— შენ გგონია, რომ ახლა რაღაცას ვიგონებ, არა? მაშ, ინებე: შენ ჩემს დანიშნულთან პაემანზე წაბრძანდი. თუ გნებავს, სიტყვა-სიტყვით გაგიმეორებ მისგან მიღებულ წერილს...

სანამ ქალბატონი სლელიძი ლაპარაკობდა, მისის ანსლი მძიმედ წამოდგა, ძლივს აიტანა წელი, ჩანთა, საქსოვი და ხელთათმანები კალთიდან ჩამოუცვივდა და იატაკზე მიმოიფანტა. მან ისე შეხედა სლელიძს, თითქოს მოჩვენებას უცქერისო...

— არა, არა... ნუ იზამ მაგას... — ხელები გაასავსავა ქალმა.

— რატომ, რა მიზეზით? აბა, ყური დამიგდე, რაკი გატყობ ჩემი არა გგერა: „ჩემო ძვირფასო და ერთადერთო, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მე შენ მარტოდ მარტო უნდა ვიხილო. ხვალ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, კოლიზეუმთან გელი. ჭიშკართან არავინ დაგაბრკოლებს, დაგხვდებიან და შემოგიშვებენ. ნუ გეშინია, ვერავინ ვერაფერს შეიტყობს...“ იქნებ ეს წერილიც დაგავიწყდა?

ქალბატონი ანსლი ამ აბუჩად ამგდებ ტონს უკვე გულგრილად შეხედა. იგი სკამს დაეყრდნო და მეგობარს პირდაპირ თვალებში შეხედა.

— არა, მეც ზეპირად ვიცი.

— რა თქმა უნდა მინაწერიც გახსოვს, „მხოლოდ შენი დ. ს.“ ასე არ იყო? ახლა მართალი ვარ თუ არა? აი იმ წერილის ბრალი იყო იმ საღამოს. შებინდებისას, შენი სახლიდან წაბრძანება.

ქალები თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს.

ქალბატონმა სლეიდმა იცოდა, ანსლი თავს ძალას ატანდა, რათა სახეზე არ დასტყობოდა, რა ცეცხლიც მძვინვარებდა მის სულში. პატარა სახის მშვიდი ნიღბის მიღმა იგი საშინლად ებრძოდა თავს.

„ხედავ, თავშეკავების როგორი უნარი ჰქონია“, — გულში სწყინდა ქალბატონ სლეიდს.

— ვერ გამიგია, საიდან იცი, — ხმა ამოიღო ქალბატონმა ანსლიმ. — ის წერილი მე მაშინვე დავწვი.

— კი, დაწვავდი, აუცილებლად დაწვავდი. შენ ხომ ასეთი წინდახედული და გონიერი ქალი ხარ! — ახლა კი დაუფარავი გესლით თქვა მან. — და რაკი დაწვი, ახლა ის გიკვირს, საიდან ვიცი რა ეწერა იმ წერილში, არა?

იგი პასუხს დაელოდა, მაგრამ ქალბატონ ანსლის ხმა არ ამოუღია.

— ასე, ჩემო კარგო... იმიტომ ვიცი, რომ ის სამიჯნურო უსტარი მე თვითონ დავწერე!

— შენ დაწერე?!

— დიახ.

ჩამავალი მზის სხივების ოქროს ნათელით გარემოცული ქალები ერთხანს უსიტყვოდ უცქერდნენ ერთმანეთს. ქალბატონი ანსლი მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში.

— ოო... — ყრუდ ამოიგმინა მან.

ქალბატონი სლეიდი ნერვებდაძაბული უცდიდა, რას იტყოდა იგი, მაგრამ ანსლის ხმა აღარ ამოუღია.

— ჭირის დღესავით გძულვარ, არა? — თავს ძალა დაატანა და წამოიძახა სლეიდმა. — უადამიანო და გულქვა ვარ, ხომ? სისხლის მსმელი!

ქალბატონ ანსლის მუხლებზე ჩამოუცვივდა ხელები. სახეზე დაბალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

— შენ ვიღას ახსოვდი... მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ... ოო, ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი წერილი!

— ჩემი დაწერილი წერილი... დიახ, მე დავწერე! იმიტომ რომ მისი დანიშნული ვიყავი. ესეც არ გახსოვდა?

— არც ვაპირებ თავის მართლებას... მახსოვდა.

— ჰოდა, მაინც წახვედი.

— მაინც წავედი.

ქალბატონი სლეიდი ზემოდან დასცქეროდა მწუხარებისაგან მოკუნტულ ქალს. რისხვის ალი ჩაუქრა, ახლა ის უკვირდა, რაზედ მეგონა, ძველი ქრილობების ჭიჭგნა სიამოვნებას მომგვრიდაო.

— კი, შენ ყველაფერი შესანიშნავად გესმის. ამ ამბის მერე მართლა ჭირის დღესავით შემძულდი. თვალის დასანახად ვერ გიტანდი. დარწმუნებული ვიყავი დელფაინი გიყვარდა... და მეშინოდა. შენი სიწყნარისა და მიაპიტობისა მეშინოდა... თითქოს ბუზს არ ააფრენსო. შენი ეშხიანობისა და მიმზიდველობის მეშინოდა, შენი... მოკლედ გზიდან უნდა ჩამომეცილებინე, გაიკე?

ერთი-ორი კვირით მაინც, სანამ დელფაინის სიყვარულში საბოლოოდ დავრწმუნდებოდი. ამან ისე გამაცოფა, რომ სულ დამავიწყა ყველაფერი ამქვეყნად. ავიღე და ის წერილი დავწერე. ნეტავი რატომ გეუბნები ამას, რა ძალა მადგას?!

ერქვენული

— იმიტომ გეუბნები, რომ ყოველთვის გძულდი და მტრად მტყუპობდი, — წყნარად თქვა ანსლიმ.

— შეიძლება. ან სულაც იმიტომ, რომ ეს ამბავი ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდო გულიდან და მოვისვენო, — ქალბატონი სლემიდი გაჩუმდა. — კარგად მოქცეულხარ, ის წერილი რომ დავიწვავს. არა, დარდით თავს რომ არ მოიკლავდი, ამაში სრულიად დარწმუნებული ვიყავი.

იგი ოდნავ წინ წახრილი ადგა თავს მისის ანსლის. უცებ უცნაური გრძნობა დაეუფლა, იგრძნო რომ მათ შორის უეცრად აღიმართა შეუვალი ზღუდე.

— ახლა შენ რაღაც საშინელ, დაუნდობელ მხეცად მიგაჩნევარ, არა?

— არ ვიცი... ის იყო ერთადერთი წერილი მისგან, შენ კი მიმტკიცებ მას არ დაუწერიაო...

— ოჰო, ერთი ამას დამიხედეთ! შენ ყიდევ იმ წერილს მისტირი?

— მე ხსოვნას მივსტირი, — თქვა ქალბატონმა ანსლიმ.

ქალბატონი სლემიდი ისევ ისე თავზე ადგა მას და მალლიდან დასცქეროდა. ამის გაგონებაზე თავბრუ დაესხა, სისუსტე იგრძნო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ქარს რომ დაეჭროლა, ბუმბულივით აიტაცებდა. მიფერფლილმა, მინავლებულმა ეჭვმა ახალი ძალით იფეთქა.

...მაშ, ამ ქალს, მრავალი წლის მანძილზე, იმ წერილით ედგა სული რა ძლიერ უნდა გიყვარდეს კაცი, რომ მისი მიმქრალი ხსოვნა სულში საუნჯედ აქციო! ხოლო იმ კაცის წერილი, ვიზედაც მისი მეგობარი იყო დანიშნული, უძვირფასეს რელიქვიად ატარო! ეს ქალი ნამდვილი ღვთის რისხვა იყო!

— ძალ-ღონე არ დაგიშურებია, რომ საქმრო წაგერთმია ჩემთვის, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაგივარდა. მე შევინარჩუნე იგი! აი, ასე.

— კი, აი ასე.

— ახლა ვნანობ, რომ ყველაფერი გითხარი... არ მეგონა, თუ გულთან ასე ახლოს მიიტანდი. ვიფიქრე, სიცილადაც არ ეყოფა-მეთქი, მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ეს ამბავი ასე გულზე გეცემოდა, როცა იმ დავიდარაბის მერე, ზუსტად ორი თვის თავზე, ჰორაციო ანსლის გაპყევი ცოლად. ლოგინიდან წამოდექი თუ არა, დედაშენმა მაშინვე ფლორენციაში გაგაქანა და ქორწილი გადაგიხადა. ყველას გაუკვირდა შენი ასე უცებ გათხოვება. მე კი ყველაფერს მივხვდი. შენ ეს ჩემი ჯიბრით გააკეთე, რათა გეთქვა, აღიდაზე ადრე გავთხოვდიო. ქალიშვილები ასეთი სულელური საბაბით ერთობ სერიოზულ ნაბიჯს გადადგამენ ხოლმე. შენმა ნაჩქარევმა ქორწილმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ არც ისე გიყდებოდი ჩემს საქმროზე.

— კი, დავარწმუნებდა, — დაეთანხმა მისის ანსლი.

მოკრიალებულ ზეცაზე ოქროს ნათელი სულმთლად გაუფერულდა. შვიდივე ბორცვზე უცებ ჩამოწვა ბინდი. ხის ფოთლებს შორის აქა-იქ სინათლეები აციმციმდა. მიყრუებულ ვერანდაზე, სადაც აქამდე ჩამიჩუმი არ ისმოდა, კანტიკუნტი ნაბიჯების ხმა გაისმა. ოფიციანტები სავაზშმოდ მოსულ ტურისტთა დასახვედრად ემზადებოდნენ. სინებით, ხელსაწმენდებით, სასმისებით

ხელში მიმოდიოდნენ. მაგიდებს, სკამებს ასწორებდნენ, რამოდენიმე მკვიდი-  
დან დამკვნიარი ყვავილები გაიტანეს და ახალი თაიგულები ჩადგეს ლარნა-  
კებში. ვიღაც გაფაშფაშებული ქალბატონიც გამოჩნდა, საწვიმარი ეცვა, დამ-  
ტვრეულ იტალიურ ენაზე ყველას ეკითხებოდა, ჩემი ელასტური საბუთები  
ხომ არ გინახავთ, ძველი ბედეკერის მეგზური ბუკლეტი მქონდა, მერე უნდა  
იგი იმ მაგიდასთან მივიდა, სადაც შუადღისას ისაუზმა, ჯობი გამოუსვა მაგი-  
დის ქვეშ, ოფიციანტები თან დაჰყვებოდნენ.

ტერასის ის მივარდნილი კუთხე, სადაც ქალბატონი სლეიდი და ქალბა-  
ტონი ანსლი ისხდნენ, ჯერ კიდევ ჩაბნელებული იყო. დიდხანს არც ერთ  
ქალს არ ამოუღია ხმა. ბოლოს ისევ სლეიდმა წამოიწყო:

— მე მეგონა, ყველაფერს ხუმრობაში ჩამომართმევდი...

— ხუმრობაში?!

— შენ ხომ იცი, გოგონები როგორი დაუნდობლები არიან ხოლმე. მით-  
უმეტეს, როცა შეყვარებულნი არიან. ახლაც მახსოვს, მთელი საღამო ჩუმჩუ-  
მად მეცინებოდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორი გულის ფანცქალით ელოდი  
დელფაინს იმ სიბნელეში ატუხული. უცხო თვალს ემალებოდი, სმენადაძაბუ-  
ლი უცდიდი ვინმეს დაჩურჩულებას, ერთი სული გქონდა სანამ კაპიტოლიუმ-  
ში შეაღწევდი... არა, მერე, რა თქმა უნდა შევწუხდი, როცა შევიტყვე რომ  
გაცივდი და ავად გახდი.

ქალბატონი ანსლი აქამდე ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა, ახლა კი  
დინჯად შემობრუნდა თანამოსაუბრისაკენ.

— მე არ მიცდია. იგი იქ მულოდა და ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც  
დამპირდა. ჩვენ მაშინვე შეგვიშვეს, — თქვა მან.

ქალბატონი სლეიდი ელდანაკრავივით შეკრთა და უცებ გაიმართა წელ-  
ში. — დელფაინი იქ იყო? მაშინვე შეგიშვეს?.. ო, ახლა კი ნამდვილად ცრუობ.

ქალბატონი ანსლის ხმა უფრო მკაფიოდ გაისმა, ამ ხმაში ახლა გაოცება  
ელერდა:

— რასაკვირველია იქ იყო. მივიდა და მულოდა.

— მივიდა? კი მაგრამ, საიდან იცოდა, რომ იქ დახვდებოდი? შენ რალა-  
ცას ბოდავ!

ქალბატონი ანსლი შეყოყმანდა, ერთხანს რალაცას ფიქრობდა.

— მე მას პასუხი მივწერე, — თქვა მან. — მივწერე, რომ მივიდოდი. და  
ის იქ დამხვდა.

ქალბატონმა სლეიდმა სახეზე ხელები აიფარა.

— ღმერთო ჩემო... პასუხი მისწერე?! ეგ კი ველარ მოვიფიქრე, რომ  
შეიძლებოდა გეპასუხა...

— საოცარია იმ წერილის დამწერმა ეგ როგორ ვერ მოიფიქრე.

— სიბრაზემ დამაბრმავა.

ქალბატონი ანსლი წამოდგა და ბოა შემოიხვია:

— აქ უკვე აცივდა. ჯობია წავიდეთ... ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე  
მოხდა... — თქვა მან და ბეწვი ყელზე მოიხვია.

ამ სიტყვებმა გული ატკინა ქალბატონ სლეიდს.

— კი, წასვლა სჯობს, — თქვა მან და ჩანთა და მანტო წამოკრიფა. — არ  
მესმის, რაზე სწუხარ ჩემთვის, — წაბუზღუნა მან.

ქალბატონი ანსლი უხმოდ გასცქეროდა სიბნელითა და საიდუმლოებით მოცულ კოლიზეუმს.

— იმაზე, რომ იმ ღამეს ლოდინი არ დამჭირვებია.

ქალბატონმა სლუიდმა ნერვიულად ჩაიციხა:

— დავმარცხებულვარ და ეგ არის! მაგრამ შენი შესამჩნევ არაფერი მაქვს და არც არაფერს ვნანობ. ბოლოს და ბოლოს მე ყველაფერი მქონდა. ოცდახუთი წელი დელფაინი ჩემი ქმარი იყო. შენ კი მისგან ერთი წერილის მეტი არაფერი დაგრჩა, თანაც იმ წერილისა, რომელიც მას არ დაუწერია.

ქალბატონი ანსლი უსიტყვოდ იდგა. ბოლოს შებრუნდა და ტერასის კარისკენ იქცია პირი. ნაბიჯიც გადაადგა, მაგრამ უცებ შემობრუნდა და თავის მეგობარს პირდაპირ სახეში შეხედა:

— მე მისგან ბარბარა დამრჩა, — თქვა მან, შეტრიალდა და გასასვლელისაკენ გაემართა.

24 აპრილი, 1984 წ.

□

## ბიორბი გუგლია

### მიმინოს აჩრდილი

მოთხრობა

აფხაზურიდან თარგმნა თეიმურაზ გვანცულაძემ

თუთის წნელს ბოლო დანით ჩავუხლიჩე, ძაფი შემოვუჭირე, ძაფის წვერზე კალია მივაბი და იქით გავწიე, საიდანაც ღოების ეივთივი მესმოდა. წელში მოხრილი მივუახლოვდი და ლორთქო ბალახში ჩავწექი. სულგანაბული გავცქეროდი ჩიტებს. ცხვირში სინესტის სუნი მეძგერა. მიწას გუგუნი გაუდიოდა. უცებ ღაჟოები შეშფოთდნენ და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ველს რომელიღაც ფრინველის აჩრდილმა გადაუარა. სულ ახლოს გავიგონე მისი ფრთების შხუილი და თვალიც მოვკარი დაწურულ მზრებს. ბოლოკარკაზი იყო. მშვიერი ჩანდა. ნადირობდა.

„ამან დააფრთხო ჩიტები“. ტყის პირას მდგარი გაბარჯლული ხის ტოტებს შეფარებული ღაჟოები თანდათან უბრუნდებოდნენ თავიანთ სამყოფელს.

ჩემგან არც ისე მოშორებით ერთი დახრილი ტოტიდან მოულოდნელად ავარდა ცისკენ ლაქო და ისე მოჰყვა ჰაერში ფრთხილს, გეგონებოდა, რაღაც ვერაო.  
 „უჰ, რა ლაქოა! თავისით რომ ასე თამაშობს, გაწვრთნილი რაღას იზამს“, — გავიფიქრე მე. ჩიტმა სხვა ტოტს მიაშურა.

გაბარჯლული ხის კენწეროს მონაცრისფრო ჩიტი შეასკუბდა და მისი ლაქოს ვამსგავსე. ჩიტმა შეიფრთხილა, მოფარფატე პეპელა დაიჭირა და ისევ ტოტზე ჩამოაჯდა. ლუკმა უმაღლ გადაყლააა, ნისკარტი ტოტს აუსვა-დაუსვა და ისევ გაინაბა.

„აბა, ერთი ამას ვესვრი, ვნახავ, რას იზამს“, — გავიფიქრე, ცოტა წინ წავიწიე, დაწოლილი ბალახს ავეფარე და კალიამიკრული წნელი გავისროლე. კალია მიწაზე შეხებისთანავე აფრთხალდა. ლაქომ თვალი ჰკიდა და აფრინდა. ჩიტმა კალია ნისკარტში მოიგდო, მაგრამ რომ წამოფრინდა, ძაფზე აყოლილმა ჯოხმა შეაშინა, თუ რა იყო, ნადავლი დააგდო და ყანისკენ გაფრინდა. ბალახებში გავალაჯე, სხვა კალია დავიჭირე, ისევ ჩემ წნელს მივაშურე და ავიღე. — შუაზე გაგლეჯილი კალია მოვისროლე, წნელს ახალი მივაბი.

იქვე, ახლოს შინდის ტოტზე სხვა ლაქო შევნიშნე. მკერდგამობერილი იყურებოდა აქეთ-იქით. ლობეს აკრულმა მთელი ძალით ვისროლე მისკენ წნელი. ჩიტი აფრინდა, ფრთებგაფაფხული დაჯდა კალიის გვერდით, მერე ნისკარტში მოიქცია და ძაფიანად გადაუძახა პირში. თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მალე გადაყლაბა. ნისკარტი წნელს აუსვა-დაუსვა და გაფრინდა. ძაფზე დაკიდებული წნელი ბარდებში გაიხლართა და მოფართხალე ჩიტი შეაჩერა. მივვარდი და დავიჭირე. ძაფი კბილებით შევაწყვიტე. შინ მოსულმა ლაქოს ფეხებზე ორფად დავახვიე ძაფი, ცალი ბოლო კი წინასწარ გამზადებულ თხილის ჯოხს მივაბი და ჩიტთან ჯოხი აივანზე გავიტანე. ლაქო თავქვე ეკიდა.

„შეჯდები ჯოხზე, აბა რას იზამ. სხვა სად უნდა წახვიდე“... — ჩავილაპარაკე მე და ქართისკენ გავწიე. იქ ერთი მუჭი კალია მოვაგროვე და დავბრუნდი. ლაქო ისევ თავქვე ეკიდა. მოტანილი კალიები ჯოხზე დავუმაგრე. ჩიტი მალ-მალე შეიფრთხიალებდა, მაგრამ ვერსად მიდიოდა...

ცოტა ხანში ლაქოს ეტყობა მოეწყინა თავქვე კონწიალი (სანამ უნდა გაეძლო ასე?) და ყინჩად შემოაჯდა თხილის ჯოხზე. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. კალიას თუ მიაწვდიდი, უარს აღარ ამბობდა.

გავიდა ერთი კვირა. ჯოხს თუ აიღებდი და შეარხევდი, ლაქო ძაფის სიგრძეზე აფრინდებოდა და თამაშს იწყებდა. ვინც ნახა, ყველა მიქებდა, კარგი ლაქოაო. ჩვენი ფისოც რომ გამამაძალდა! ლაქოს ქვემოთ დაუსკუბდებოდა, წელში გაიდრიკებოდა, ყურებს აცქვეტდა და თვალმოუცილებლად ასცქეროდა. პირწყალი ადგებოდა, ენაოდა და კისერს ჩიტისკენ იწვდიდა. ერთხელაც მოაჩირზე შეხტა, მოზრდილი ნახტომი გასჭიმა, აქაო და დავიჭერო, მაგრამ ვერ მისწვდა და ძირს მოიღო ბრაგვანი. ამის მერე ჩიტისკენ თითქმის აღარ გაუხედავს, თითქოს ამბობდა „აბა, ეგ რა საჩემოაო“. ფისოს ლაქოსთვის იმიტომაც აღარ სცხელოდა, რომ ჩვენი ციციქნა ლეკვი აყრიდა შავ დღეს. როგორც კი ჩიტთან დალანდავდა, მაშინვე ყეფით სწვდებოდა ხელში. ფისო ბრჭყალებს გამოაჩენდა, გაქცევას არ კადრულობდა, ლეკვის წინაშე თავს არ იმცირებდა, მაგრამ საბრალო ბოლოს მაინც გარბოდა და სახლის ქვეშ აფარებდა თავს.

„აფერუმ! — თავზე ვუსვამდი ხელს ლეკვს, — აქ იყავი და უღარაჯე!

ის ცუდლუტი ახლოს არ მოუშვა!“ — გამხნევებდი მას და სამუშაოდ მივდი-  
ოდი. ლეკვს მგონი ესმოდა ჩემი ნათქვამი. თათებს გაიწვდიდა, თავს ზედ ჩა-  
მოადებდა და ჩემ დაბრუნებამდე დარაჯობდა ლაქოს.

ერთ დღეს თამბაქოს ფოთლის ასაცმელად უნდა წავსულიყავი, ლაქოც  
თან გავიყოლე. ჩიტიანი ჯოხი ფარდულის ტეხის კედელზე მიამაგრე, მე  
კი დებთან და დეიდასთან ერთად (დედაჩემი ავად იყო და დეიდა ერთი კვი-  
რის წინ ამოვიდა ჩვენ დასახმარებლად) დავჯექი ფოთლის ასაცმელად. მა-  
ხათს ფოთლის ყუნწში ვუყრიდით და დეიდაჩვენის ზურგსუკან მდგარ კალათ-  
ში ვაწყობდით. ფოთოლს შრიალი გაუდიოდა. დეიდა უარს იყო, მთელი საქ-  
მე ჩვენ გაგვეკეთებინა, კარგად არ გამოგივათო. ამაზე დეიდასთან ერთი და-  
ვიდარაბა გვექონდა, სხვა მხრივ ერთმანეთს არ ვემდუროდით.

— თქვენს შრომას გაუმარჯოს! — ფარდულში ჩვენი კოლმეურნეობის  
თავმჯდომარის მოადგილემ, თლაბლანმა შემოაბიჯა. ყველანი ფეხზე წამოვც-  
ვივდით. თლაბლანმა დეიდაჩვენის დანახვაზე წამოიძახა: დამხმარეებიც  
გვყოლია. დასხედით, დასხედითო.

— ვიფიქრე, ბავშვებს დავხედავ-მეთქი და ამოვედი, მაგრამ ველარ მი-  
ვატოვე. ჩემი საწყალი და ძალიან ცუდაა, სადმე წაყვანა არ აწყენდა, მაგ-  
რამ ვისა აქვს ამისი თავი... მისთვის არავის სცხელა...

სანამ დეიდა ლაპარაკობდა, თლაბლანი ჩემ ლაქოს არ აცილებდა თვალს.  
გულაფანცქალებული შევცქეროდი, მეშინოდა არ დავეტუქსე და არ ეთქვა,  
დასწყევლოს ღმერთმა, რა დროს ჩიტია, მოსცდებით, საქმეს ჩამორჩებითო.

— ეეჰ, ღმერთმა საღსალამათი დაგიბრუნოთ მამა... რა უბრალოდ გა-  
დაჰკარგეს! — ამოიოხრა მან.

— ჩვენი თვალის ნათელი იყო ის საწყალი. მაგრამ გადაეკიდნენ, პირში  
სული რად გიდგასო, — ჩაილაპარაკა ფოთლის აცმაში გართულმა ციციმ,  
ჩვენმა მეზობელმა. — ეჰ, ვინც ის გადააკარგვინა...

— ბავშვების იღბალს ღმერთი უნდა განაგებდეს, — კვერი დაუკრა  
დეიდაჩემმაც.

თლაბლანმა ჩიტიანი ჯოხი აიღო და შეარხია. ლაქომ ფრთა გაშალა და  
ფრთხილი დაიწყო, საითაც ჯოხს წაიღებდა თლაბლანი, ჩიტიც იქით მიჰყვე-  
ბოდა. კაცი თუთუნისგან შებოლილ უღვაშებში იღიმებოდა. როგორც ჩანდა,  
მოსწონდა ჩემი ლაქოს ფრენა-ფრთხილი. ბოლოს თლაბლანმა დარბაისლურად  
თქვა:

— მიმინოს დამჭერი კაცისთვის მართლა კარგი ლაქოა.

მესიამოვნა მისი სიტყვები, მაგრამ ვითომ არ გამიგონია. თლაბლანი მო-  
მიბრუნდა:

— ახლა უკვე თვალები უნდა ამოსწვა, — მითხრა, ჯოხი ცალი ბოლოთი  
დაიჭირა და ისევ კედელზე მიამაგრა, თვითონ კი ფარდულიდან გავიდა.

ნაშუადღევს სამუშაოს მოვრჩით და შინისაკენ გავწიეთ. დეიდაჩემმა  
ხემსი გაამზადა და დავნაყრდით. სალამოს ისევ თამბაქოს ფოთლის შესატე-  
ხად ვიყავით წასასვლელი და ცოტა დავისვენეთ. მე ჯერ ბალის ბოლოსკენ გა-  
ვემართე და კალიები მოვუგროვე ლაქოს. სათითაოდ ვიღებდი კალიებს პეშ-  
ვიდან და ჩიტს ვაწვდიდი. ლაქო ნისკარტში მოქცეულ კალიებს ბრჭყალებით  
აცილიდა ფეხებსა და ფრთებს, ხოლო დანარჩენს მადიანად მიირთმევდა. კარ-  
გად რომ დავანაყრე, დარჩენილი კალიები ჯოხზე მივუბი.



მეორე დღეს მეზობლის ბიჭს, მაქსას, რომელიც რკინიგზაზე მუშაობდა, ღარაჯად და იმ დღეს ისვენებდა, ლაქოსთვის თვალები ამოვაწვევინე (მაქსას მე ვინ მომცემდა, თვითონ მაქსამ მომიტანა, ტარსიკონი კი ძველ ჩექმას ავიტყერი და იმისგან გავაკეთე თვალის სახვევები. იმ ჩექმის ტარსიკონი რაღაც რაღაც ლაქოს ავუხვევდი თვალს!).

მიმინოს დასაჭერად დეიდაჩემის სოფელში ვაპირებდი წასვლას. მეორე დღეს უნდა წავსულიყავით, მაგრამ რაღა, სასირე ბადე ვერ ვიშოვე, კაციშვილმა არ მათხოვა.

— სანამ მანჩა აქ იყო, რაღაცა კი მოქსოვა. მგონი სახლის ქვეშ უნდა ეგდოს. თუ თავგებს არ შეუჭამია, წაიღე, ვის რაში სჭირდება. ნეტამც ხვალინდელი დღე არ გამითენდებოდეს მე უბედურს! — მითხრა ციციმ, რა ნახა, ძალიან ვიყავი შეწუხებული.

აცმულ ფოთოლს მანქანაზე ვტვირთავდით. საქმეს მოვრჩით თუ არა, შინ გავყვევი. ციციმ ოდის ქვეშიდან ძალზე ძველი, აბლაბუდით დაფარული ფუთა გამოათრია. ბადეც ფუთაში იყო.

— იმის მერე მიმინო აღარავის დაუჭერია ამ ბადით, ჩვენი საბრალო ბაღლებიც ვერ მიბედავდნენ თხოვნას. მოვესწრები კია იმათ დანახვას, მე თვალდასათხრელი...

— ეგრე ნუ იტყვი, ციცი, ჯერ რა იცი, რა მოხდება! — ვუთხარი მეც. არა და, კარგად ვიცი, გამგეობაში წერილი იყო მოსული, ციცოს ვაჟი მანჩა 1942 წელს ჩრდლოეთ კავკასიაში დაიღუპაო.

— ჰო, შვილო, ალბათ ჩემ დასამშვიდებლად ამბობ. არაფერი ვიცი, რა დაემართათ ჩვენს უიღბლო ბიჭებს, ღმერთმა რამე საშველი მისცეთ, შვილო. მამაზეციერო, შენ გევედრები!

ბადე დავაკეცე და უკან დავუბრუნე. ციცოს გამოვემშვიდობე, ჭიშკარში გავვარდი, ბაღზე გადავირბინე და თამბაქოს ფართობზე გავედი. ფოთლის შეტეხვა უკვე დაეწყათ. მეც ერთ რიგს გავყვევი და შეტეხვას შევუდექი.

დედაჩემმა ცოტათი მოიკეთა და ფეხზე დადგა. ის კი არა და, ტატას (დეიდაჩემს) შინაურ საქმეებშიც ეხმარებოდა უკვე.

— ასე სანამ უნდა მეჭდე გვერდით, წადი, შენც თჯახი გელოდება, — უთხრა დედაჩემმა დეიდას.

— წავალ, ჰო. ვინ იცის, იქ რა დღეში არიან. მერე კიდევ ამოვალ. ამ საქმეებს შეეშვი, ბავშვებსაც ეყოფათ ძალა სამაგისოდ. სულ რაღაცას აკეთებ, სულ წვალობ და ჯახირობ, საკუთარ თავს არ უვლი. რამეს გიტყვით და გწყინს.

- გული არ მიშვებს, რა ვქნა?
- ესენი განა ისევ ჩვილები არიან.
- რომ მეცოდებიან, ბეჩა?!

— არავის არაფერი მოუვა, შენ ხარ ცოდვა, თორემ... — დედაჩემი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მერე ჩაიციინა და დასძინა: — ახლავე აასრულე, რაც გითხარი.

- როგორ მოვიქცეთ, ადამიანო, ხალხს გამოვწყდეთ?
- შენ, ავადა ხარ, არავინ გისაყვედურებს, რატომ გამოგწყდის ჭირსა და ლხინშიო.

— ეგ ჩვენც ვუთხარით, მაგრამ არაფერი ესმის, — ჩავუბრუნე მეც.

დედაჩემიც ისევ თავისაზე იდგა.

— უბედური შენი და, ის კაცი (მამაჩემზე ამბობდა) სალსარამათი რომ ისევ ჩვენთან ყოფილიყო...

— ეჰ, ბეჩა, ყველაფერი რომ შენ გემოზე იყოს, საკუთარ თავს ვერც შეამჩნევდი. ვინ უნდა გისაყვედუროს?

...ტატამ რომ ჩაცმა დაიწყო, მეც წამოვდექი, საწოლის თავზე გადაფენილი შარვალი ჩავიცვი, მამაჩემის ახალუხისაგან გადაკეთებული წითელი პერანგი მოვირგე. ამოვისხი მანქანის საბურავებისაგან შეკერილი წაღები, „სოხუმ-სოჩის“ რომ ეძახდნენ. გამოვეწყე, გამოსაცვლელოც ავიღე და გარეთ გავედი.

— შენ სადღა მიდიხარ? — მითხრა დედაჩემმა არცთუ მკაცრად.

— წამოვიდეს, ბეჩა, რა ხანია მეხვეწება, მასთან წამიყვანე, მიმიწო უნდა დამაჭერინოსო. მალე გამოვუშვებ, არ დავაგვიანებ, — ჩემ მაგივრად უთხრა ტატამ.

დედას თვალდაჭყეტილი შევცქეროდი, მეშინოდა უარი არ ეთქვა, მაგრამ იგი არ შეგვკამათებია.

...ბადე მაინც ვერ ვიშოვე. ჩემი ლაჟო ავიყვანე და ტატას ავედევნე. იმედი მქონდა, იქ ღმერთი რამეს მიწყალობებს-მეთქი. დედაჩემი ეზოში იდგა და გვიყურებდა.

— რა მიმიწოს დაიჭერს, ეგ არ ვიცი, მაგრამ მალე კი გამოუშვი, ხომ იცი, რა დღეშიცა ვართ, — მოაძახა მან დას.

გულაუთაში მანქანა შეგვხვდა და ფშდვანამდე მიგვიყვანა.

— მოვსულვართ, — სიხარულით თქვა ტატამ, მანქანიდან რომ გადმოვედით.

მჭიშთის პირას ლაფნის ხეებთან მდინარე გავტოპეთ და გზას შევეუყევით. ქვემოთ, შორს ზღვის გული კამკამებდა. ცოტა ხანში ზღვის ნაპირიც გამოჩნდა. ჩიტინი ჯოხი მხარზე მედგა და ტატას მივდევი. მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, ტატა ალბათ ასე არ ივლიდა: კაბა წამოეკალთავებინა, ფუთა თავზე შემოედო და გამალებული მიდიოდა. ხანდახან მომხედავდა, ხომ არ ჩამორჩაო. მგზავრობას არ ვიყავი ნაჩვევი, მაგრამ მაინც მარდად მივტანტალუბდი. ჩემ ლაჟოს ქარი რომ მოხვდებოდა, ფრთებს შლიდა და ჯოხს მაგრად უჭერდა ბრჭყალებს. მდინარის ნაპირს მივუყვებოდით. უცებ თითქოს ზღვიდან ამოზრდილ გულამოღრუტულ კლდეებს წავადექით და მალე ჩემი ბიძაშვილების სოფელშიც შევედით. აქ უფრო გრილოდა, ჩრდილიც მეტი იყო... ეზოში შევედით. ბიძაჩემს ბაღები ჩრდილში დაესხა, თვითონაც იქვე მისჯდომოდა და თამბაქოს ფოთოლს აცვამდნენ. მასმა დაგვინახა თუ არა, მახათი განზე გადადო და ჩვენკენ გამოემართა:

— ოჰ, სტუმარიც მოგიყვანია. მოდი აქ, — მან გულში ჩამიკრა და თავზე შეამბორა. — დედაშენი ავად ყოფილა, როგორ არის ახლა?

— გამოკეთდასავით, — უთხრა ტატამ, მანამ მე ვუპასუხებდი, მერე ძმას მზერა შეავლო და განაგრძო: — უფრო ადრე ვერ წამოვედი. რა მექნა, არეულ-დარეული ვერ მივატოვე.

— სწორედ კარგ დროს მოხვედი, — სიცილით უთხრა ბიძაჩემმა.

ბავშვები ჩემთან მოახლოებას ვერ ბედავდნენ. ყველანი ცხვირაქერცილები და დამწვარ-გარუჯულები იყვნენ. ისინი ხან ჩემ ლაჟოს უყურებდნენ, ხან — მე.

— მამამ მიმინო დაიჭირა. აგე, სად უზის, — გაშვერილი ხელით ჩრდილისკენ მიმახედა უმცროსმა. იქ გაპრილებულ, დაბლა დაშვებულ ტოტზე მიმინო იჯდა. მივუახლოვდით თუ არა, მიმინო შეინძრა, ტანი შეიბერტყა ფეხზე შებმულმა ექვანმა გაიწკრიალა.

წაღები წავიძრე და ჩრდილში მსხდომთ შევეუერთდი ფოთლის საცემე ლად.

— ჩვენი სტუმარიც ვამუშაოთ, — სიცილით თქვა ბიძაჩემმა. — მე აცმულს ავკრეფ, თქვენ კი დანარჩენი ააცვით ნელ-ნელა, — დაგვაყალა მან. სიტყვა არ გავამეორებინეთ. ბავშვები ერთმანეთს ვეჭიბრებოდით აცმაში.

— მაშ, მიმინოს დასაჭერად მოხვედი, არა?..

— ესეა, ბადეს თუ ვიშოვი...:

— ბადეს ვიშოვით, კაცო. ჭერ მხოლოდ თითო-ორიოლა თუ მოფრინდება. თუ არაფერი გამოგვივა, ჩემ მიმინოს მოგცემ.

— პირველ ნადავლს როგორ წავიყვან...

— მოსვლისთანავე მუშაობა დაგაწყებინეს? — მომამახა ბებიაჩემმა, როგორც კი თვალი მომკრა. იგი ჩემკენ მოდიოდა, თან ჭაერში ხელით წრეს ხაზავდა, აქო და ავი თვალისგან დაფარული იყავით. — ტიყვ( ასე მეძახდა ბებია), რა ხანია არ მინახავხარ, ბებია შემოგვევლოს. აბა, მოდი, ჩამეკარო!

მე უმალ წამოვხტი, ბებოს გადავეხვიე. მერე მოვბრუნდი და ისევ ძველ ადგილას დავჯექი.

აცმული თამბაქო აცმა-აცმა ავიღეთ, ფარდულში დავალაგეთ და უკან გამოვბრუნდით. მერე ბლის ქერქის კალათა ყელზე ჩამოვიკიდე და ყურძნითა და ლელვით ავავესე.

— მოგშივდება, ბიჭო, დაღამებამდე მშიერი დარჩები. — მითხრა ტატამ და კალათში მჭადის ნატეხიც ჩამიღო.

ბიძაჩემმა აივნის კუთხეში ხის კიბე მიადგა, ავიდა და ჭერზე გაკეთებულ ხერელში ხელი მოაფათურა. იქიდან სასირე ბადე გამოიღო და ძირს ჩამოვიდა.

— მიმინო თუ დაგიჭერია ოდესმე? — შემეკითხა იგი.

— არა, — ვუთხარი მე დარცხვენით.

— ეს საირაოზე წაიღე და იქ დატოვე. მე არ მცალია ყანა გასამარგლი.

შემატყო, მისი ნათქვამი რომ არ მეჭაშნიკა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მოვიმარაგე, რაც საჭირო იყო და აღრიანად დავწექი დასაძინებლად, ვინაიდან საირაოზე თუ ადგილს ადრევე არ დავისაკუთრებდი, მერე ვრნლა მიმიშვებდა...

გულის ძილში ვიყავი, ბიძაჩემმა რომ გამაღვიძა. ო, რა მეზარებოდა ადგომა!

— იჩქარე, იჩქარე, — მეუბნებოდა ბიძაჩემი, — ახლა თუ არ წავედით, მერე გვიან იქნება.

თვალეებს ძლივს ვახელდი, ძილი საწოლისკენ მექაჩებოდა, მაგრამ მაინც უცებ ჩავიცვი.

ბადე და ლაქო ბიძაჩემმა აიღო, მე აბგა მხარზე გადავიკიდე და ბურტყუნ-ბურტყუნით გადავედით ჭიშკრიდან. მასმა ცას ახედა:

— დიდი დათვი ცის შუაგულში მოსულა, მე მგონი, განთიადს ბევრი არა უკლია რა. ეე, ტიყვ, ვიცა, მიმინოზე მონადირენი უკვე ადგილზე სხედან ალბათ, — მითხრა მან.

— ჰმ, რა ვიცი, აღარ დაიძინებდნენ?..

— ზოგი კაცი ღამიანად შეუდგება საქმეს. უფროსად უცხოეთის მკვლელები გვიშლიან ხელს, ჩვენები ადრინად თუ არ ამოვიდნენ, უადგილოდ რჩებიან.

დავადექით შარას, მერე მარცხნივ შევუხვიეთ და ამბარას გორას შევეუყევით. პირველად შეხვედრილი ადგილი დაკავებული იყო, ორი კაცი მოკუნტულიყო და ეძინათ. შევუძახეთ, მაგრამ არც კი განძრეულან. ვერც კი გაიგებდნენ, ბადე და ლაქოები რომ აგეცალა. ამათ გავცილდით თუ არა, მოშორებით სხვა კარავი დავინახეთ. ძლივს ჩანდა კარვის წვერი. იქიდან ალმა გავკვსა, ალბათ თამბაქოს ეწეოდნენ.

— ოო-რა!

— ჰეი!

შესძახეს ერთმანეთს იმათ და ბიძაჩემმა.

— ზემოთ არის ვინმე?

— რაც მოვედით, ავლილი არავინ გვინახავს, — დაიძახა ერთმა.

ბიძაჩემმა ნაბიჯს უმატა, მეც ხუსხუსით ავედევნე. ფართოდ გადაშლილ მძლავრ ხეს ავუარეთ და ბოლო კარავს მივადექით. მასი თავდახრილი შევიდა კარავში და მიწაში ჩასმულ მარგილებზე გადებულ ფიცარზე ჩამოჯდა, თან საჭვრეტებზე აფარებული ტოტები მისწი-მოსწია. გაასწორა.

— ზევით-ქვევით მშვენიერი გასახედია აქედან, — მითხრა მასმა. — აქეთკენ, კარვის უკან გასვლა არ გაბედო, ფლატეა. მტრისას თუ გადავარდი, ასი სულიც რომ გქონდეს, ერთიც არ ჩაგყვება. არ დაგვაქციო... — ჩიტინი ჯოხი ბოლოთი წიფლის ტოტებს შორის მიამაგრა. — აბა, შენ იცი, თვალყური კარგად ადევნე, მიმინომ არ წაგართვას ჩიტი, — გამაფრთხილა მან.

მასმა სასირე ბადე გაშალა და წინა სარკმლის პირდაპირ ჩადგა.

— ჩიტი ბადის ახლოს არ აათამაშო, შეიძლება მიმინომ მოგიკლას. ოდნავ მოშორებით გეჭიროს... ჯოხი სიგრძივ არ დაიჭირო. ამ დილით ბავშვები თამბაქოს უნდა მივაყენო, მე კი ყანაში ვარ წასასვლელი, დღეს თუ ცოტა გამოვმარგლე, საქმე მოლუღლი მექნება, — მასი გაჩუმდა და ამხედ-დამხედა. — გული არ მოგივიდეს, ბიჭო, რომ გტოვებ.

— ჰმ... გული როგორ მომივა, მაგრამ... საქმეს მოგაცდინე.

— აბა, შენ იცი! კარგად იყავი, — მითხრა მან და გამეცალა.

შორს მამლები ზედიზედ ყიოდნენ. ცა მოიწმინდა, ხანდახან ფრინველთა ხმა მოდიოდა...

ჩამძინებოდა, რომ გავიღვიძე, გათენებული იყო. მარცხნივ ზღვა გაწოლილიყო, წინ მალლობი იწყებოდა. ირგვლივ მუხნარი მერტყა. მოშორებით ბოლოკარკაზები დავლანდე. ერთი მათგანი ზემოთ იყო, მოშორებით, მეორე — ჩემ პირდაპირ მდგარი რცხილის წვეროზე, ლიხნის ტაძარზე გამოსახულ ჯვარს მივამსგავსე, საჭვრეტიდან ვიყურებოდი, დარწმუნებული ვიყავი, მიმინო თუ მოვა, აქედან მოვა-მეთქი, მაგრამ მსგავსიც კი არაფერი ჩანდა. ჩემ თავზემთ კვირიონები ერთ ამბავში იყვნენ. ხმა რომ არ გავულოთ, მიმინო გეგონებოდა.

— მოვიდა, მოვიდა! — ჩამესმა უცებ ვილაცის ხმა.

„მე მეძახის?“ — შევყოყმანდი მე ერთი პირობა. ნეტა რა შეამჩნიებ-მეთქი, თავი საჭვრეტში გავყავი და იმ ხრიდან, საიდანაც მიმინოს მოხვლას სულ არ ველოდი, რაღაცამ ჩამიქროლა. მისი აჩრდილი ჩემ წინ მოწყვნილი ჩამ-  
კარგა.

— რამ დააფრთხო ის პირდამწვარი! — ისე ახლადან გავიგონე ვილაცის ხმა, თითქოს ამის მთქმელი ჩემ გვერდით მჯდარიყო.

— რა იყო, კაცი? — გავბედე მეც ხმის ამოღება.

— ვერ დაინახე, ემანდ რომ მოდიოდა?

— დავინახე, მაგრამ...

მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო. აბგა ამოვიღე და წავიხემსე! რარიოდე ლეღვი შეეჭამე. ბოთლს თავი მოვხადე და რამდენიმე ყლუბი წყალობ დაე-ყოლე. ლაქო მობუზული იჭდა, ალბათ შიოდა. პატარა ქისა ამოვიღე და კალიებით დავანაყრე. მერე ლაქოიანი ჯოხი ავიღე, გარეთ გავყავი და ისე, ჩემთვის ავათამაშე. ლაქო მოწყენილი აღარ იყო. ჯოხიც ისევ კედელზე მივამაგრე.

ჩემ თავზე დაკიდებული ვარვარა მზე ზღვისკენ გადაიხარა. დილას აქეთ იმ ერთი მიმინოს მეტი ვეღარ დავლანდე. ფეხის ხმა მომესმა. ჩემ წინ მიწიდან ამომძვრალივით აღიმართა ვილაც მაღალი, სამხედრო სამოსიანი კაცი. პერანგი გადმოშვებული ჰქონდა, ნაქსოვი წინდები შუა წვივამდე სწვდებოდა, ფეხზე ჭვრინტპრილა კალოშები ეცვა. კაცი ზედ ჩემი კარვის წინ იდგა. თვალში მეცა მის მკერდზე მიბნეული სხვადასხვა ფერის ნიშნებიც...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — მითხრა მან.

— ორივეს ხელი მოგვმართოდეს, — მივესალმე მეც და წამოვდექი.

ჩემი სტუმარი კარვის გვერდით, მორზე ჩამოჯდა, მერე მე გამომხედა და წყნარად მითხრა:

— დღესაც ტყუილად დავკარგეთ დრო. ვფიქრობდი, გუშინ რომ ვერას ვავხდით, დღეს მაინც როგორ ვერ მოვიხელთებ რამეს-მეთქი...

— არ ვიცი, სად გადაიკარგნენ ეს მიმინოები, — ვთქვი მეც. — იქნებ ადგილი არ ვარგა?

— ადგილი შესანიშნავია. შეუძლებელია, ნაპირს გამოყოლილი მიმინო აქ არ მოფრინდეს, — მომიჭრა მან.

— იქნებ ჯერ არ დამდგარა საამისო დრო?

— ღვთისმშობლის თვეში მიმინოები მუდამაც დაჭერილი გვყავდა.

— სხვა სოფლიდან რომ მოვა კაცი და...

კაცმა სიტყვა არ დამამთავრებინა:

— ნუ გეშინია, გავიმართლდება, მაგაზე არ იღარდო, — მითხრა მან. —

შეკითხვა სირცხვილი არ არის და ვისი ბიჭი ხარ?

— აქაური არა ვარ.

— აა, მაშ სტუმარი ხარ?

— არც მთლად სტუმარი ვარ, ოღონდ...

— შენ არ გეწყინოს და ძაღლი და მამაძაღლი, ყველა ამ გორაზე ყრია. გუშინწინ აქ ვიჯექი, შენ რომ ხარ ახლა, ვიფიქრე, კალიებს, მოვაგროვებ-მეთქი და აქეთ ჩავიარე. ჩემ დაბრუნებამდე ვილაცას ჩემი ლაქო წაუყვანია, ღმერთმა ნუ აღირსოს ნამუსი! — კაცი კარგა ხანს მიყურებდა თვალეში.

მე ვერ გავუძელი და ავწრიალდი, მაგრამ მას აღარაფერი უთქვამს. ბოლოს მკითხა:

— შენ მასის დისწული არა ხარ?

— დიახ, — მივუგე მე.

— ჰო, ჩვენიანი ყოფილხარ! უჰ! — კაცმა უცებ ამოიხვნეშა, კბილებიც გააკრაქუნა, მარცხენა ფეხი გამართა და შუბლშეჭმუხვნელმა დაიზილა მუხლი.

— ხანდახან ისე ამტკივდება თითქოს სადგისი შემრტობოდეს, — კაცი ცოტა ხანს იდგა, მერე დასძინა: — ბევრი ღგომა არ უხდება, მაგრამ რას ვიზამთ?

— თუ ღგომისას გტკივა, რატომ არ დაისვენებ?

— გული არ მისვენებს, თუ რამე არ ვაკეთე. დამჯდარი რას მივაჩერდე?

— ალბათ ფრონტზე დაგემართა? — ვკითხე დაუფიქრებლად.

— ჰო, ორმოცდაოთხის ბოლოს ...მის მერე სად აღარ ვიყავი სამკურნალოდ, თბილ წყლებზე თუ საავადმყოფოებში...

კაცმა ქისა ამოიღო, შინაური ყვითელი თამბაქო გაზეთის ნახევში გაახვია, პირში ჩაიდო და ცეცხლი მოუქიდა. პირიდან ბოლი ხველებ-ხველებით გამოუშვა.

— ჯარში წევოს მივეჩვიე, თუ რა არის, არ ვიცი, ამას როგორც კი პირში ჩავიდებ, მაშინვე ხველა ამივარდება.

— თუ გვნებს და არ გერგება... — ვუთხარი მე. შემებრალა, ძალიან რომ ახველებდა.

— ჰო, თავი დაანებეო, არა? ღვინოს არ ვსვამ, არაყს პირს ვერ ვაკარებ, ესეც თუ გადავაგდე, მთლად გავთავებულვარ და ეგაა.

„აჯობებდა, თამბაქო არ მოგეწია და ღვინო გესვა“, — გავიფიქრე მე, მაგრამ თქმა ვერ შევბედე, თანაც ახლა ვნახე პირველად, რას იფიქრებდა, პირში რომ შევცმოდით.

ამ დროს ბავშვის ხმა გაისმა, „ო, მამი“-ო, იძახდა.

— რა იყო, კაცო რა გინდა? ახლავე მოვდივარ. ალბათ შიშისგან მოიწია რამე მაგ მუტრუქმა... კარგად იყავი, — თქვა კაცმა, კარავს გაშორდა და ცას ახედა. მეც წამოვდექი გასაცილებლად.

— შიგნით შეძვერი, — მომამძახა მან უცებ, ხელჯობი დააგდო და კარავში შემოვარდა. მეც კუთხეში მივიკუნჩქე. კაცმა დაეოიანი ჯობი გარეთ გაჰყო და სტვენით მაღლა შეათამაშა. ზედ ჩვენს თავზე მიმინო აჰკვროდა ზეცას. მიმინომ ერთი-ორჯერ ირაო დაჰკრა და გაგვეცალა.

კაცი სტვენით ატრიალებდა და ათამაშებდა მაღლა დაეოიან ჯობს, მაგრამ ცას გაცრულ მიმინოს უკან არ მოუხედავს, ისე დაგვეკარგა თვალსაწიერიდან.

— ან მაძღარია, ან ამპარტავნობს, ისე დაგვიქნია ბოლო, თითქოს გვითხრა, ხვიშტი თქვენაო, — კაცმა ჩაიციხა და დასძინა: — ცის ბინადარი კი არა, დღედაღამ მიწაზე მოარულნი არ ფიქრობენ ჩვენზე, თუ დაგჭირდე, დამიძახე, აქვე, ზემოთ ვზივარ, მაგრამ მგონი არ ღირს დღეს ნადირობა, აწი რალა მოფრინდება, — მან ჩიტი დამიბრუნა და წავიდა.

მე თვალგაფართოებული გავცქეროდი საიროს თავს. ზემოთ მიმინოს მსგავს რალაცას ვკიდე თვალი. კარგად ვერ ვარჩევდი, რა იყო. ხანდახან თვალი ატყუებს კაცს. აბა, ვნახავ, რა იქნება-მეთქი, ჩავიჩოქე და კარვის ბოძთან

ამოსული ბარდები ცალი ხელით გადავწიე, მეორით კი ჩიტი ავათამაშე. ვხე-  
დავდი, ფრინველი აქეთ გამოემართა. ახლა კი ყველაფერი ბადეზე <sup>ჰკიდდა</sup>  
მეთქი, გავიფიქრე, თან ჩიტს ჯოხით ვათამაშებდი და თვალს არ ვაცილებდი  
მიმინოს, მიმინომ კლანჭები მოიმარჯვა და თვალის დახამხამებაში <sup>ისევე ჩემს</sup>  
მოუქროლა დაეოს, ბადეს არც კი შეხებია. ზედ სახესთან დავიჩინე <sup>შევიქცა</sup>  
თეთრი ნაკრტენით გაწყობილი მისი მკერდი. გულამოვარდნილი წამოვხტი,  
არ მახსოვს, ლაქო რა ვუყავი. მიმინომ დამლანდა თუ არა, ფრთებით ქარი  
შომაყარა და უკანვე გასხლტა. გული დამეწურა, თითქმის დაჭერილი რომ გა-  
მექცა. მივიხედ-მოვიხედე და იქვე, ხმელ რტოებზე გადაკიდებული ჩემი ლა-  
ქო დავინახე, გამწარებული ეივქივებდა, ეტყობა, გულმა უგრძნო ხიფათი...

— ბიჭო, ვერ დაინახე შენ კარავს რომ ჩამოუქროლა მიმინომ? — მო-  
მაძახა ჩემკენ გაჩქარებით მომავალმა ადგურმა.

- დავინახე, მაგრამ რა...
- რა მოხდა?
- ზურგიდან დამეცა.
- ჩიტი უვნებელია?
- არაფერი დამართნია.
- შენ ჯერ პატარა ხარ... საიდან გეცოდინება? როცა მიმინო ზურგი-  
დან მოდის, ჩიტი შენკენ უნდა მოსწიო, ბადის წინ უნდა გექიროს.

„ნეტავი მცოდნოდა“, — გავიფიქრე, მაგრამ რაღა...

— სიფრთხილე და მოქნილობა ყველა საქმეშია საჭირო. ამ პატარა საქ-  
მეშიც...

- ერთადერთი მიმინო მოვიდა და ისიც ხელიდან გავუშვი.
- ეგ არაფერი. შენი არ იყო და გაგექცა, — დამამშვიდა მან.  
ზემოთ, მუხნარიან მალლობზე ფრინველები ირეოდნენ.
- იმათ ხედავ? — ვკითხე მე, — ერთი, ორი სამი...

— მგონი მიმინოები აიშალნენ, — თქვა ადგურმა, ჯოხი დაიბჯინა და  
წავიდა. მეც ჩემს ადგილას გავინახე, თან ცაში მოლივლივე მიმინოებს ვუ-  
ყურებდი.

მიმინოზე მონადირეთა სტვენა ისმოდა. დავინახე, ერთ-ერთი მიმინო  
ფრთებდაწურული დაეშვა ერთ მალლობზე, მგონი ადგურის ახლოს. ქვასავით  
სწრაფად ეშვებოდა. ხეებში ჩაიკარგა, მე გარეთ გავედი და იქით ვიციქირე-  
ბოდი, აბა, ისევ თუ აფრინდება-მეთქი, მაგრამ ველარ დავინახე.

„აღმათ დაიჭირეს“...

მზე ზღვას მისდგომოდა. აბგიდან მჭადი ამოვიღე და მოვკბიჩე. ლედვი  
დასრესილიყო, აღარ იჭმებოდა და გადავყარე. უცებ ზღვის მხრიდან მიმინო  
გამოჩნდა. იგი მზის სხივებში მოცურავდა ჩემკენ. ლაქოიანი ჯოხი ავიღე,  
გარეთ გავყავი და შევარხიე. ლაქო შეფრთხილდა, პატარა ფრთები ისე  
ააფათქუნა, მშიერი მიმინო კი არა, მაძლარიც კი უარს არ იტყოდა... მიმინო  
რაც უფრო ახლოვდებოდა, ფრთებს მეტად და მეტად წურავდა. ბადეს მოახ-  
ლოებული უცებ შებრუნდა, წელან მოფრენილი მიმინოსავით ზურგიდან ჩა-  
მიშხუილა ნისკარტგადებულმა და ყვითელ თვალეზაკარკლულმა, თან „კიუ“-  
ო ერთი დასძახა. ბადე სწრაფად დავუშვი, მაგრამ ძირს დაშვებული კარვის  
თავს მოხვდა და გვერდზე გადავარდა... ჯოხიანი ხელი ამიკანკალდა. ჩემი

ლაყო ფართხალებდა, თავი ისე ჰქონდა გადასერილი, თითქოს ვენმეს დანა გამოესვას. სისხლი ხელისგულზე მეწვეთებოდა.

— უუ, დაგწყველოს ღმერთმა! — წყევლა მივაღევნე მიმინოს. ცრემლები მახრჩობდა.

შელამებისას შევედი ჩემი ბიძაშვილების ეზოში, საბრალო ჩიტი ხელში მეჭირა.

— რა იყო, რა დაგემართა? — დანახვისთანავე შემომეხვივნენ ბავშვები.

— ჩიტი მომიკლა მიმინომ, — ცოტას გაწყდა, არ ავბლავლდი.

— თავსამც შემოგვევლოს, შვილო, არ იდარდო, — გული გამიმაგრა ბებიამ და მერე დასძინა: — მასი მოგიძებნის ჩიტს... ისეთს, მიმინო რომ დაგაჭერინოს.

ალაგეს ბიძაჩემი მოადგა თამბაქოთი სავსე კალათით ხელში. მან კალათი იმ ხის ძირას დადგა, სადაც ფოთოლს აცვამდნენ. აუუხსენი, რაც და როგორც დამემართა.

— ხომ გითხარი, ჯოხი მოკლეზე დაიჭირე ბადესთან და ჩიტი ისე ათამაშე მეთქი, — შემახსენა თავისი ნათქვამი. ისე მიხსნიდა ჩემ ნაკლს, თითქოს თვითონაც იქ ყოფილიყო.

დილით ბიძაჩემი მეზობლებში გადავიდა, ლაყო იშოვა და მომიყვანა. ბადე ავიღე, ჩიტი ავიყვანე და ისევ ძველ ადგილს მივაშურე. ადგილი თავისუფალი დამხვდა, ბადე ჩავდგი და გავინაბე. შუადღემდე არაფერი დამინახავს. ნაშუადღევს აქა-იქ გამოჩნდნენ მიმინოები. ერთი მათგანი მოშორებით ლივლივებდა. ჩიტი დავანახე, ავათამაშე, მაგრამ არც კი მოუხედა. აღმოსავლეთისკენ მიეშურებოდა. მეორე მაშინლა შეევამჩნიე, რომ ჩამიფრინა.

გული მეუბნებოდა, დღეს რალაც მაინც უნდა მერგოს-მეთქი.

მუხნარიან მალლობს მიმინომ გადმოუარა. ჩიტი დავანახე. როგორც დამარიგეს, ჩიტისთვის კლანჭი რომ არ გაეკრა, ჯოხს შუაში წავავლე ხელი და ზედ ბადის ძირთან დავიჭირე. ბადემ გაიშხულია და დავარდა. ჩიტი განზე მოვისროლე. მიმინო ბადეში გახვეულიყო, მაგრამ ფართხალებდა და მაინც ლაუოსკენ მიიწევედა, თუმცა იქამდე ვერ სწვდებოდა.

— რა ამბავია, ბიჭო? — დაიძახა ადგურმა.

— დავიჭირე! — ვუპასუხე მე.

— აფერუმ!..

აი, ჩემ წინ გულადმა აგდია იგი, ვინც ზეცას იყო გაკრული, ვინც ამაყად დაგვცქეროდა ზემოდან, ხელშეუხებები და მოლაპლაპე..

სულ დამავიწყდა, ბადიდან რომ უნდა ამომეყვანა. გაშტერებული დავცქეროდი. რაც გინდა თქვი და ეს ხომ ჩემი პირველი ნადავლი მიმინო იყო!.. ცალი ხელით ბარდები გადავწიე და მეორით აყვანა დავუპირე, მაგრამ ვინ მიგიშვა! კლანჭები საბრალოვლელად გაამზადა.

— დაიცა, დაიცა, ასე შეიძლება დაგასახიჩროს, — სიცილით ამომიდგა გვერდში ადგური. იგი ჩაცუცქდა და ფრინველი ფრთხილად აიყვანა — ბადე გაშალე, — მიბრძანა მან.

მაშინვე ავწიე ბადის კალთა. ადგურმა ნელა მოაშორა ბადის თოკები ჯერ თავზე, მერე მხრებზე.

— გეზელ-ქორია, — დაადგინა ადგურმა მიმინოს ჭიში.



— გეზელ-ქორი? — აბა, მე საიდან უნდა მცოდნოდა მიმინოს ჯიშები. ადგურმა მიმინო ცხვირსახოცში შეახვია. ცხვირსახოცს წვეროები ჯერ ბოლოსთან გაუკრა, მერე თავთან და ფრთხილად დააწვინა ზურგით მიწაზე. ბადეც ხელახლა ჩავდგით. ფოთლებში მოსროლილი ლაქო ავიყვანე და ნახვით თავის ადგილას მივამაგრე. ლაქოს დავუყვავე, რაკი კარგად გასმტკნა, ყველა ებიცი ვაჭამე. საწყალი ძალისძალად ყლაპავდა მათ. საგულედან ამოვარდნილი გული ჯერ არ დამშვიდებოდა.

— დრო კიდევ გვაქვს, არ იჩქარო, მერე ერთად წავიდეთ, — მიიხრა ადგურმა და თავის ადგილს მიაშურა.

ქვემოთ, თამბაქოს ფართობში ვილაც მწყერაობდა და მიმინოს უწრუპუნებდა.

— რომელი ხარ მანდ? — დაუძახა ადგურმა, მას ჯერ ალბათ ნახევარი გზაც არ გაეგლო.

— მე ვარ, — მიუგო მომწყერავემ, მისი ხმა ტკბილად მომეჩვენა.

— ოჰ, კოლჩია... კაცო, სხვა სამწყერაო ადგილი ვერ იპოვე, აქ რომ არ მოსულიყავი?

იმ კაცმა რალაც უპასუხა, მაგრამ ვერ გავარჩიე. შემდეგ მიმინოს ეყენის ხმა გაისმა და უცნაური ძახილი გავიგონე:

— ბერლინ, ჰენდე ჰოხ, ბახ, ბახ!.. ჰიმლერ, ჰიმლერ!.. აქეთ მოდი-მეთქი, ძაღლის ჭირსამც წაუღიხარ!..

„გაგიჟდა ვილაცაა? რას ამბობს?“ — გავიფიქრე მე.

მალე იმ კაცის თავსაც მოვკარი თვალი, მაგრამ ისევ დამეკარგა თვალთავან, რომ მეგონა, სადღაც ქვემოთ წავიდა-მეთქი, მოულოდნელად კარავში შემოვიდა. კაცს მეზღვაურის ლურჯ-თეთრი მაისურა და განიერი შარვალი ეცვა, შავი ქუდი ეხურა და ზედ მეზღვაურის ნიშნები ეკეთა. კაცს ხელზე დასმული მიმინო წამოუფრინდა, მაგრამ მან შუათითზე წამოცმული ყაითნით მოქაჩა, ისევ ხელზე დაისვა, მეორე ხელი მკერდზე დაუსვა და ფრთებიც გაუსწორა. კაცს ხელისგული შუაზე ჰქონდა გადაკვეთილი.

— ჰიმლერ, ჰიმლერ... ნწ, ნწუ! — კაცი შედგა და ძაღლს დაუძახა. თვალის დახამხამებაში მოვარდა ბირკაში ამოგანგლული მონადირე ძაღლი. ძაღლი ქელავდა, ენა გადმოეგდო. იქვე ჩაჯდა. კაცს წელზე დაკიდებულ ბაწრით ნაქსოვ აბგაში ორიოდე მწყერი ედო.

— სახელი რომ გვარიანი შეგირქმევია, — ვუთხარი მე ძაღლზე.

— ჰმ... ეს ისე, სამასხროდ შევარქვი. ნამდვილი სახელი იმგა ჰქვია, გერმანული ჯიშისაა, ცუდა-მადა არ გეგონოს. მამამისს დაქსი ერქვა, დედას — მლადა, ბაბუას — დაკი, იმის მამას — დიკი, იმის, იმის, იმის მამას ჰიმი... ამტომაც შევარქვი ასეთი სახელი.

— სწორედაც... — მივაჩერდი გაოცებულნი, ამდენი სახელი რომ ჩამოაწიკწიკა.

— მაშ, არა გჯერა? თუ გინდა მის პასპორტსაც გაჩვენებ. საბუთები რიგზე აქვს, ვერაფერს დაგიმალავ.

ამაზე არაფერი მითქვამს. კაცმა თავის მიმინო თავზე შეისვა, ჩემი აიყვანა, ცხვირსახოცი კბილით გახსნა და მკერდზე დახედა.

— თუ არ ვცდები, ჯიშისანი მიმინოა. შენ დაიჭირე?

— აბა, ვინ დაიჭერდა?

— მოდი, გავცვალოთ. ხომ ხედავ, საკლანჭე როგორ ოქროსპვით მაქვს დაფერილი, ექვნები კი სამ-სამ მანეთად მიყიდა. ერთ ვერსზე გიგონებ ხმას.

— მართლა?

— დედის სულს გეფიცები...

— გაწყობილი შესანიშნავადაა, ვხედავ, მაგრამ რჯულს გაფიცებ, მითხარი, მწყერს როგორ იჭერს შენი მიმინო?

— როგორ იჭერსო? არ მოგატყუებ. ცოცხალს არ გაუშვებს, მაშინვე იჭერს, მწყერს წამოაფრენს, ვესვრი... ბერლინ, ჰენდე ჰოხ, ბახ, ბახ!.. — კაცი გაჩერდა, შემომხედა და მერე დასძინა: — ხომ გეუბნები, ბიჭო, ანადგურებს პირდაპირ.

— ჰო, შეიძლება კარგი იყოს, — ვინ გაცლიდა, არ დათანხმებოდი, — მაგრამ ჩემ პირველ ნადავლ მიმინოს ვერავის დავუთმობ. პირველს... ხომ მიმიხვდი, ეს რას ნიშნავს?

— ასე გაგონილა? — კაცს აშკარად არ მოეწონა ჩემი ნათქვამი. თავი ისე მიიბრუნა განზე, თითქოს ვინმეს სახეში ჩაეცხოს.

— თუ გინდა, სანადირო აბგასაც დავიმატებ. ღმერთი ხედავს, მეტი არაფერი გამაჩნია, — მაინც თავისას განაგრძობდა იგი.

— არა! რაშიც რომ მომცე, არ მინდა.

— აბა, არ იხანო!..

— რატომ?

ბოლოს ალბათ მიხვდა, არაფერი გამომივალ, „აბა, გამომართვიო“, — მითხრა და ჩემი მიმინო გამომიწოდა, ჩამოვართვი და ისევ ცხვირსახოცით გავუკარი ფრთები. ასე ვიდრე ჩემს ამოუღებლად. მერე კაცი კუნძზე ჩამოჯდა. მიმინო ისევ თავზე ესვა. წელზე დაკიდებული აბგა მიწას შეეხო და ძაღლმა მწყერები დაყნოსა.

— ჰაიტ, მოშორდი იქით!

ძაღლს თითქოს შერცხვავ, თავი განზე გასწია და დაიწყებუტუნა.

კაცმა ყურიდან ყვითელი პაპიროსი ჩამოიღო და პირში გაიჩქო. ასანთი ხელისგულზე მიიბჯინა, მარჯვენით ერთი ღერი ამოიღო და უცებ მოუკიდა.

მე გაფაციცებული შევყურებდი. ძალიან შემებრალა და გაჭირვებით ვკითხე:

— ეს ომში დაგემართა?

— აბა, სხვა სად დამემართებოდა? — დამიდასტურა მან. მერე ბაგეებზე ღიმილი დაიმჩნია: „გგონია, ლელვის ხიდან ჩამოვვარდი?“

— ასე როგორ ვიფიქრებდი...

— შიგ იმათ ბუნაგში ვიყავი. იმათ ბუნაგში... რაიხსტაგში... ერთხელ სანგარში ვისხედით. საიდან გაჩნდა, მონი და შენ გაიგე. ტანკი მოდის პირდაპირ ჩვენკენ. ერთ ამბავშია... ხელყუმბარა მივიბი და გავცოცდი. ახლოს რომ მოვიდა, ხელყუმბარა ვესროლე. ეს იყო და ღრჭიალით დატრიალდა და დადგა, ცეცხლიც უმალ მოედო. სამი გერმანელი ამოძვრა, მაგრამ სად წამივიდოდნენ! ბერლინ, ჰენდე, ჰოხ, ბახ, ბახ!.. წერტილი დავუსვი.

„მიმინო რომ გამოჩნდეს, ამისი ძაღლი...“, — გავიფიქრე მე, მაგრამ თქმას ვერ ვუბედავდი.

— ჩვენი მეთაურის ბრძანებით მოენეც მომიყვანია. იცი, ეს რას ნიშნავს?

— გამიგონია, ვიცი, — ვუთხარი მე.

— თუმცა ახლა ყველაფრის მოყოლა რა საჭიროა... რაიხსტაგის კედელზე აწერია ჩემი სახელი და გვარი, ისიც დავაწერე. აფხაზეთიდან რომ ვარ, ამ დროს ტყიდან ბიძაჩემი გამოვიდა. კაცი მის დანახვაზე წამოდგა და თქვა:

— თავი შეგაწყინე, წავალ, აბა.

— ო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — მოგვესალმა მასი. ჩვენც ვუპასუხეთ სალამზე.

— ოჰ, კოლჩკა ხარ, შე ამოწყვეტილო? მე ვთქვი, ვინ არის-მეთქი! — ბიძაჩემმა მის აბგაში ჩაიჭვრიტა, — არის რამე დღეს?

— ორად-ორი დავიჭირე. სულ დავიარე ყველაფერი, მაგრამ მეტს ვერ გადავაწყდი.

— ძაან სანადირო ადგილი კი მოგიძებნია, — მასმა მის მიმინოს ჩიჩახვზე დაუსვა ხელი, — კაცო, ამ ფეხმოქცეულით იყავი, თუ სხვა მიმინოთი? მონადრე მასს მიშტერებოდა, ხმა არ გაუღია, მერე ნაძალადევად ალაპარაკდა:

— მწყრები არ არიან, ჭერ არ ჩანან. ნეტავი წვიმა მოვიდოდეს, მერე ვნახავდით, მოვიდოდნენ თუ არა.

მერე ძალღს დაუძახა:

— ნწუ, ჰიმლერ, ნწუ! — და იქით კი არ წავიდა, საიდანაც მოვიდა, ბილიკს აუყვა ზემოთ.

— რას გეუბნებოდა?

— ჩამაცივდა, მიმინოები გავცვალოთო... არ ვიცი, რად უნდოდა...

— უუ, ანიფსის ხატიმც გასწყრომია... თავის ფეხმოქცეულ მიმინოს გაძლევდა?

— ომის მონაწილე ყოფილა, დიდი წვალეზა გაუვლია. — სიბრალულით ვთქვი მე.

— ომში ვიყავი და მისთანებიო? ერთი მაგის...

— მაშ, ხელზე რა მოუვიდა?

— რა მოუვიდოდა! — მასმა შემომხედა და ჩაიციხა. მერე ჩაფიქრდა და დასძინა: — 1941-ის ბოლო იყო. აქედან წასულები ყველანი ტუაფსეში ჩავვიყვანეს. იქ დაგვანაწილეს. მე ქერჩში მიმავალთ გამაყრლეს, არც ვიცი, ეგ იქ დარჩა, თუ სადმე სხვაგან წაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე თვეში შინ დაბრუნდამო, გავიგე. კაცმა არ იცის, როგორ დაიჭრა. ზოგი ამბობს, თოფი გაუსკდა ხელშიო, სხვებმა თქვეს, ბრმა ტყვია მოხვდაო. რა არ შეუძლია მარცხიან შემთხვევას?! ერთი სიტყვით, რა საჭიროა, რაც იყო, სული სახლამდე მოათრია.

გაოცებული ვუსმენდი ბიძაჩემის სიტყვებს.

მასმა აბგა მოიხსნა და გადმომცა.

— ბევრი ვერაფერი მოგიტანე, მაგრამ მანდ ხინკალი უნდა იდოს, ჭამე, მშიერი არ დარჩე!

— რა საჭირო იყო?..

— ყოჩაღ, კარგი მიმინო დავიჭერია, — შემიქო მასმა ნადავლი. — ჩემი ცხენი ორი დღეა არ ჩანს, ერთი დავძებნი. მისრაში თუ გადავიდა, დაიჭერდნენ. არ ვიცი, შემიშვებენ თუ არა, მაგრამ... შინ ადრიანად წავი. აქ არ დარჩე...

საამოდ დაუბერა ნიავმა. ირგვლივ ზღვის პირამდე ყველა მალეობი მწვანეში იყო ჩაყურსული. კალიების ქრიჭინს ხანდახან კვირიონების ხმაც გაეროდა. ვყოყმანებდი, ჯერ წავსულიყავი თუ არა. ამ დროს ჩემ ზემოთ, საკმაოდ მოშორებით ხმაური გაისმა, მაშინვე ყურისწამლები სტვენავდა: გავიგონე. დაფეთებული წამოვვარდი, მიმინო აბგაში ჩავსვი და [აბგა] [აბგა] მოვუკარი. ბაღე დავკეციე, ბამბუჯზე დავახვიე, ლაქოიან ჯოხთან ერთად მხარზე გადავიდე და წავედი. სადგურის საფართან მისულმა დავინახე, რომ ისა და ვილაც ბიჭი კარვის წინ იდგნენ.

— რა იყო, შეგეშინდა? — უცებ მკითხა ადგურმა.

— რა შემაშინებდა, მაგრამ...

ამ დროს ვილაცის ტირილიც გავიგონეთ და ყველამ იქით გავიხედეთ, მაგრამ ხეებს შორის არაფერი ჩანდა.

— ზემოთ რაღაც უცნაური ამბავი ხდება, მაგრამ ვერ გამიგია, რა უნდა იყოს. აქ მომე შენი ჩიტი და ბაღე, — მითხრა ადგურმა, ლაქო და ბაღე ჩამომართვა, ტყეს მიაყურა, კარავში შევიდა და დაჯდა. — აქეთ შემოდით, — გვიბრძანა მან.

ცოტა ხანში კარვის წინ ორმა კაცმა ჩაიარა. წინმიმავალს მილიციელის ფორმა ეცვა, დაბალი ტანის, მაგრამ მკვრივი აგებულებისა იყო. მას ჩაბრტყელებული ცხვირი და ამობრუნებული თვალის უპეები ჰქონდა. ავი შესახედი იყო. მეორეს პერანგი და რეზინის წაღები, „სოხუმ-სოჩის“ რომ ეძახდნენ, ის ეცვა. არ ვიცი, ცვრიან ბალახზე სიარულის თუ სადმე ჭყანტში ჩავარდნის გამო, მის წაღებს ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა. მხარზე საფანტის თოფი ეკიდა, უღვაში აჯაგროდა. წარბშეკვრით გამოიხედა ჩვენკენ.

— ესენი ვინ არიან? — შევეკითხე ადგურს.

— უკან რომ მოდის, ჩვენი სკოლის დარაჯია, მეორე მილიციელია. ალბათ ზღვისპირიდან მოდიან.

— მერე რა უნდათ?

— რა ვიცი.

წინ მომავალი არც მოგვსალმებია, ისე გვითხრა:

— ადექით, დაიკარგენით აქედან!

— რაო? — ადგური წამოდგა.

— რა და, — დარაჯმა თავი განზე გადახარა, გვერდზე გაიხედა და გვითხრა: — არ შეიძლებაო, გითხრეს.

— ადამიანური ლაპარაკი თუ გესმით, დროს ნუ გვართმევთ, — გვითხრა ისევ მეორემ.

— ჩვენ ხელს არავის ვუშლით, — ნელა დაიწყო ადგურმა, — იმით არაფერი დაშავებულა, ბავშვები თუ ცის ბინადარი ფრინველების დასაჭერად ამოვიდნენ. ან კი სხვა საქმე არა გაქვთ?

— ჩვენა ვართ უსაქმურები, ხო, შენი აზრით, დროს ვატარებთ არა? — თვალეები დაქაჩა მილიციელმა, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იკავებდა. — აბა, აქედან მოუსვით, სანამ მთელი და უვნებელი ხართ.

— თუ არა და...

— როგორ ელაპარაკები უფროსს? ხომ არ გგონია, ფეხები ექავება და იმიტომ ამოვიდა აქ? ეგ არ ამბობს. თორემ...

— სპალვან, შენ რაღას ეჩრები? მე მგონი, უკეთესი იყო, შენი სკოლის-თვის მიგებედა წესიერად...

მილიციელი ისე აწრიალდა, ეტყობა, ველარ ითმენდა. მერე ალაპარაკდა:

— ეგ ჩვენი აქტივისტია, დღე და ღამე ჩვენთანაა გვეხმარება ჩვენთანაა. მაშ, შენ გვეურჩები? — გამოესარჩლა იგი თანამგზავრს.

სპალვანს ამ სიტყვებმა გამბედაობა შემატა და ადგურს უთხრა:

— ჩვენ ბევრი რამე გვეხება, ბევრი რამეა დასაცავი და თვალყურის სადევნებელი. ყველაფერს ყურადღება სჭირდება, რა იცნ, რა მოხდება.

— ნუ იქაჩები სასიმინდის მამალივით...

— ეგრე ნუ ელაპარაკები, პირი გამოირეცხე! — ჩაერია ისევ მილიციელი. — რაკი ტყბილად არ გესმის, ჩვენ სხვაც ვიცით, — მან სპალვანს თვალის უყო.

სპალვანი ისე იბლინძებოდა, თითქოს ის იყო ქვეყნის ბურჯი. მან თავის ქიციანით და ლანძღვით ამოგლიჯა მიწიდან მიმინოს საჭერი ბადე, მოიქნია და განზე გადააგდო.

ჩემი ბადე დახიესო, ადგურის თანმხლებმა ბიჭმა ბლავილი მორთო.

— ნუ ტირი! — ადგურმა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა.

სპალვანი ამას არ დასჯერდა და ახლა კარვის დამჭერ ტრეტებს დაუწყო რყევა და ჯაჯგური. ადგურმა უცებ სტაცა მას ხელი მხარში და უბიძგა. სპალვანი შეტორტმანდა, წაქცევას ბევრი არა დააკლდა რა.

— ვაი, ხელი, ხელი! — აღრიალდა იგი.

— ფერიც გეცვლება თურმე. აბა, ისეთი რა დაემართა შენ ხელს, ხომ არ მომიტეხია!

— მამის სულს ვფიცავ, უბედურებას დამატრიალებინებ... მიშველეთ! — სპალვანმა მოწითალო სასტვენს ჩაბერა.

მილიციელმა ხელი რევოლვერის ბუდეზე წაივლო და აყვირა:

— გაჩერდი, გირჩევნია, გაჩერდი!

— მაგით მე ნუ მაშინებ, გენაცვალე, — ოდნავ შედრკა ადგური და განაგრძო: — სადაც საჭირო იყო, იარაღი ხელიდან გივარდებოდათ, ახლა კი ვაუკაცებად მოგაქვთ თავი ჩვენთან. უპ, თქვე უკეთურებო, თქვენა!

— ომში თუ იყავი, ამით ქვეყანა არ დაქცეულა, ჩვენ რას გვაყვედრი. ვერაფრით მივმხვდარიყავი, რაზე ჩხუბობდნენ, რა სურდათ — მწყერაობისა და მიმინოს ჭერის ნება არ გვქონდა, თუ სხვა მიზეზი იყო...

კაცები ერთმანეთზე იწევდნენ და ისე მიუყვებოდნენ გზას. ჩვენც უკან მივდევდით. ქვემოთ სამი შეიარაღებული კაცი შემოგვხვდა, რომლებიც ჩემი ჭკუით სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთმა დამხვდურმა, რუსულად იკითხა, რა მოხდა, რა ამბავიაო.

— არ დაგვემორჩილნენ.

— ჩვენ იქ წყნარად ვისხედით, ხელს არავის ვუშლიდით, არა მგონია, ვისმე რამეს ვუშავებდეთ. — ამბობდა ადგური.

— რაო? არავის ვუშლით ხელსაო? კარვები დაუდგამთ... — თქვა სამხედრომ. — შეიგნეთ, არ შეიძლება ბოროტმოქმედთათვის რომ დგამთ კარვებს.

— ეგეთების დამალვა გულშიაც არ ვაგვივლია.

— არ ვაგვივლიათ, მაგრამ...

— ვაი, ხელი, ხელი, — არ ცხრებოდა სპალვანი.  
 — მოტეხილი არ ჰქონდეს, — უთხრა მას მილიციელმა.  
 — რას მეუბნები, კაცო, — შეშფოთდა სპალვანი.  
 — ხმა არ ამოიღო, ბრიყვო! — დაუცაცხანა მას უფროსმა მერვე ადგურს მიუბრუნდა და უბრძანა: — აბა, მოკლედ მითხარი, რა მოხდა? —  
 — მე არაფერი დამიშავებია. ადამიანურად ვერ გამაგებინეს, რა უნდოდათ. ჩვენთვის ვისხედით მშვიდად, ესენი მოცვივდნენ და ღრიალით დაგვესხნენ თავს.

უფროსმა ადგურის მკერდზე შიბნეული ნიშნები შეამჩნია, „ჰმ, ჰო“-ო თქვა და გაჩუმდა. მერვე თავი გადააქნია და მოჭრით უთხრა:

— წამოდი, იქ გავერკვევით!  
 ხმა აღარავის ამოუღია. ყველანი ერთად გაუდგნენ ბილიკს ქვემოთ, მისრისკენ. მე და ადგურის ვაჟი იქ დავრჩით. მე აქამდე ჩემი მიმინო უფრო მაფიქრებდა, არ წამართვან-მეთქი. კარგა ხანს ვიდექით. გადავწყვიტეთ შებინდებისას წავსულიყავით.

ჩვენი ბარგი ავიღეთ და გზაზე გამოვედით. დამფრთხალნი ვიყურებოდით აქეთ-იქით.

— სად წაიყვანეს მამაჩემი? — შემომჩივლა ბიჭმა. — თითქოს ცოტა რამ გადახდენოდეს თავს.

— ნუ გეშინია, რა უნდა უყონ ომი? და სიკვდილის გამძლებ ადამიანს, — ჩემი მხრით გული გავუმაგრე მე.

— ან ისევ ომი დაიწყოს, ანდა ჯაშუშმა თუ გადმოსცურა ზღვა და ამ სოფელში იმალება. სხვა ვერაფერს ვხვდები.

— ვითომ რატომ უნდა მომხდარიყო მაინცდამაინც ასე?..  
 მივდიოდით გზაზე. ძირს დაცვენულ ფოთლებს ფეხქვეშ შრიალი გაუდიოდა. ამ შრიალის გარდა სხვა ხმა არ ისმოდა. მოშორებით, გზის მარცხნივ მდგარი წიფლის ძირში ლანდებს მოვკარი თვალი. შებინდებულში კარგად არ ჩანდნენ.

— ჰეი, ვინ მოდის ემანდ? — გაისმა ხმა.

— ჩვენა ვართ, აქაურები, — დაიძახა ჩემმა ამხანაგმა.

— სად დაეთრევიტ აქამდე? ვერა ხედავთ, რომ დაქლამდა?

— ადრე ვერ წამოვედით, შორს ვიყავით, — ვუთხარი ლანდს მეც. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მომხდარის შემდეგ ჯერაც ვერ დავმშვიდებულიყავი, მაგრამ არ ვიშჩნევდი.

— ავი რამ არ გედოთ გულში!

— რას ბრძანებთ, ავი რა უნდა განვიზრახოთ?

ამათ რომ გავცდით, ახლა სხვას გადავეყარეთ.

— აქეთ-იქით ნუ იცქირებით, პირდაპირ იარეთ, — თუ პირველი წყნარად გველაპარაკებოდა, ამან შემოგვიღრინა. ცოტა ხანში კიდევ ერთი კაცი დავინახეთ. იგი გზის კუთხეში იჯდა დიდ ქვაზე.

— სალამო მშვიდობისა! — ვუთხარით ჩვენ აჩქარებით. იგი გაქვავებული გვიცქეროდა. ხმას არ იღებდა. ალბათ ჩვენი ხმა არც გაუგონია.

„რა ხდება? რას შემოსევიან ამ სოფელს?“ — მთელი გზა არ მასვენებდა ფიქრები.

სოფლის გასაყართან მე და ბიჭი დავემშვიდობეთ ერთმანეთს. დავინახე, როგორ შევიდა იგი მახლობელ ეზოში. მე კი ქვემოთ ჩავუხვიე და ბიჭის სახლისკენ წავედი. შინ მისულს ყველა გაკვირვებული მომაჩერდა, აცემდათ, ჩიტთან-ბადიანად რომ დავბრუნდი.

— უბედური ბებიაშენი, ხომ გადააკვდი იმ წყეულ მალლომს? — შეიბა, — ჩამიკრა გულში ბებია და თავზე შეამბორა.

მასმა მიმინო ჩამომართვა და შეათვალა.

— მიმინო კი დავიჭირე, მაგრამ ვილაცები გადაგვეკიდნენ, ძლივს დავუძვერით ხელიდან. ადგურმა და იმათ იკამათეს. ადგური დაიჭირეს, — სულმოუთქმელად მივაყარე მე.

— ადგური გზაში შემხვდა, ვილაცებს მიჰყავდათ, მაგრამ რას დააკლებენ?

— რა იყო, რა ამბავია? — შეშფოთდა ბებიაჩემი.

— რა მოხდებოდა... ალბათ უფროსი თუ ჩამოვიდა, — უთხრა ბიძაჩემმა.

— რა ჭირად გაიგეს, ბანდიტები იმალებიანო.

— მაგ ამბავს თავი ანებეთ და სახლში შემოდით, — თქვა მასმა და შინისკენ გასწია. ჩვენც უკან მივეყვით.

მასმა მიმინოს საკლანჭეები და ჩაჩი გაუკეთა. მარცხენა ფეხზე ცალი ეყვანიც შეაბა.

— მარჯვენაზე არ უკეთებენ, რადგან იმით იტაცებს მწყერს, — მითხრა მან. ცოტა ხნის მერე კი დაუმატა: — მეორე ეყვანიცაა საჭირო. მწყერზე ნადირობას რომ დაიწყებ, მაშინ მიამაგრე ბოლოზე. იცი, სად ამზადებენ?

— არ ვიცი. სად?

— ბაზრის ახლოს, მჭედლებთან. უღვაშა რემას თუ იკითხავ, ყველამ იცის და მიგასწავლიან. ორი გამოართვი. შეიძლება მოსძვრეს და დაგეკარგოს.

დილით სანამ გზას გამოვუდგებოდი, მიმინო ცხვირსახოცში შევახვიე, რომ ქარს ბუმბული არ გაეცალა მანქანაზე დგომისას.

შინ მოსულს ჩემი ძმა, დები და მეზობლის ბავშვები შემომეხვივნენ. უკვირდათ, მარტოკამ რომ შევძელი მიმინოს დაჭერა. მეკითხებოდნენ, ბადიდან როგორ გამოიყვანეო. დედაჩემსაც ესიამოვნა, შემაქო, მაგრამ თავისებურადაც დაურთო: — ამ გაწამაწიაში რა დროს წასვლა იყო, ბავშვებმა სახლი თავზე წამოიცივესო...

დედა გაჩუმდა, მე გული მიძგერდა, ნეტავ კიდევ არაფერს მეტყოდეს-მეთქი.

— იმ უბედურსაც რომ სულს ერჩია მიმინოები... მონადირე კაცი იყო. ასე მოიყვანდა ისიც და რაც კვერცხები გვქონდა, სულ იმათ ატენიდა პირში. წვრთნიდა, მაგრამ მწყერაობის დრო სად ჰქონდა, შვილო... ნეტა მწყერს მაინც დაიჭერდეს შენი მიმინო... — დამამშვიდა ბოლოს დედამ.

მე ამის დარდი არ მქონდა. მეგონა, არაფერი გვაკლია, რაკი დედა ფეხზე წამოდგა-მეთქი. იგი იყო ჩვენი იმედი, დასაყრდენი, მთელი ოჯახის მეთვალყურე.

მიმინოს თუთის ძირში მოვუწყე ხარიხა და ზედ შემოვსვი. ძალი ან დორი თუ მიუახლოვდებოდა, ფრთებს შლიდა და გაგულისებული დააწყერდებოდა. მაგრამ მალე შეეჩვია ცხოველებს. მაჯაზე შევისვამდი თუ არა,

კლანჭებს მაგრად მარჯობდა და ცრემლმორეული ძლივს ვაშვებინებდი. მერე ჩემი ძველი შარვლის ნახევი დავჭერი, ხელზე ვიხვევდი და ისევ ვისვამდი მაჯაზე. მისი კლანჭების აღრინდელი ნაიარევი დიდხანს შეტყობოდა, ძლივს მომიშუშდა. მიმინოს ყოველდღე კვერცხს ვაჭმევდი. ხშირად გამყავდა ეზოდან. თამბაქოს ფოთლის შესატეხად რომ მივდიოდი, თან მიმყავდა და იქვე, ახლოს, სამანქანო გზაზე ვსვამდი. ისიც იჯდა გზაზე მუშაობის დამთავრებამდე. თანდათან შინაურდებოდა, წინანდებურად აღარ ფრთხებოდა. ვინც კი ნახა, ყველა მიქებდა. კარგი, ღონიერი მიმინოა, ნამდვილი მომწყურავეაო. მეუბნებოდნენ მცოდნეები.

— მაშშალაჰ, ო, რა მიმინოა! — წამოიძახა თლაბლანმა, პირველად რომ დაინახა. ისე უყურებდა, თითქოს მეწველ ფურს ამოწმებდა. მკერდზე დაუსვა ხელი, ფრთებიც გაუშალა. ცერი ნისკარტთან მიუტანა თუ არა, მიმინომ უმალ ჩაუნისკარტა.

— ამ ცოტა ხანში აჭამე რამე?

მე თამბაქო კალათიდან ვადმოვყარე და მივუგე:

— აი ახლა ვაჭმევ, აი ახლა-მეთქი და დრო გამეპარა ხელიდან.

— არ დაამშოო, ამას გეტყვი. სად დაიჭირე, ააფსაქვზე?

— არა, ამბარაზე.

თლაბლანმა გაკვირვებით შემომხედა.

— კაცო, იქ რომ არავის უშვებენ?.. ადამიანს ერთხელ თუ გაუმართლა, სულ უმართლებს თურმე.

მე აღარ მითქვამს, რაც ვადაძვდა თავს, ანკი რა საჭირო იყო!

თლაბლანი კარგა ხანს ათვალეირებდა მიმინოს.

მიმინოზე მიციებულნი თლაბლანის მზერა არ მომწონდა, მაგრამ რა უნდა მეთქვა!

— მე მგონია, ეგ მწყერს დანახვისთანავე დაიჭერს. ცუდი არ იქნებოდა, რომ გაგეყვანა, — მითხრა მან და კუთხეში მყოფი მეთამბაქოებისაკენ გადაინაცვლა. ამ დროს მაქსა შემოვიდა ფარდულში. მწყერებიანი აბგა ეკიდა, თავზე მიმინო შემოესვა.

— იყო რამე ამ საღამოს? — ჰკითხა თლაბლანმა.

— რალაცა კი იქნებოდა, მაგრამ შორსაც ვერ წავედი.

— კაცო, თქვენი თამბაქო გასათოხნი ხომ იყო? — მშვიდად უთხრა თლაბლანმა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, ბრაზობდა, ხანდახან საშინელი ვადარევა იცოდა, მაგრამ იმ დღეს ეტყობა კარგ ფეხზე ვადმოსულიყო ეზოდან.

— აბა, ერთი მწყერი დაანახვე, ვნახოთ რას იზამს ამის მიმინო, — სთხოვა მან მაქსას. იმანაც აბგიდან მწყერი ამოიღო და გვერდზე აათამაშა. ჩემი მიმინო აწრიალდა, მწყერს გამოხედა, ფრთა აიქნია და გამოქანდა. მაქსასთან მოსული. ეყვანს აწკარუნებდა და დამალულ მწყერს ეძებდა.

— ხომ ვამბობდი, ის არის, ის! — ჩაიციინა თლაბლანმა.

— აწი თუ წაიყვან, მწყერსაც დაიჭერს, — დაუდასტურა მაქსამაც. მერე განაგრძო: — იცი რა? ხვალ დილით ნახევარი კვერცხი აჭამე, მეტი არ მისცე. ნაშუადღევს წავიყვანოთ. ცვარი რომ შეშრება, მაშინ სჯობს უფრო. ოღონდ თასმა დასჭირდება. რა იცი, რას იზამს პირველ ნადირობაზე!.. გიმწყურავია ჯერ მიმინოთი?

მე პასუხის ნაცვლად ჩაეციინე.



მაქსამ რა ნახა, ხმას არ ვიღებდი, ასე მითხრა:

— მაშ, თუ ასეა, აქ მოვალ ნაშუადღევს, დამელოდე!

მაქსა და თლაბლანი გარეთ გავიდნენ და ქვემოთ, თამბაქოს ფართობსკენ გაემართნენ. მაქსას უკან ძალლი აედევნა, თან ჩირგვებს ურბენდა და უნოსავდა.

მეორე დღეს, როგორც დაეთქვით, ნაშუადღევს შევხვდით ფარდულთან. მეც საქმეს ვამთავრებდი...

— ჩასაწყობი რაცაა, მზად არის, აცმულები აიღეთ, — დავუბარე ჩემ ძმას, ალდამირს და პატარა დაიკოს.

— მეც რომ მინდოდა ბქვენთან წამოსვლა? მტოვებთ? — მითხრა ძმამ.

— ამას რომ მითოვებთ, რას მომეხმარება?

— კალათს წამოგიწევს, მეტი რაღა გინდა?..

— რაო, გეშინია მწყერაობას ვერ მოვესწრებით? — დაამშვიდა მაქსამ ალდამირი.

ჩემი მიმინო მაქსამ აიყვანა. როგორც კი მოშორებით მჯდარი ძალლი წამოდგა და მოგვიახლოვდა, მიმინომ ფრთები შეარხია, თავი გადახარა და დააცქერდა.

— ზედავ, ძალლის ეშინია. იქით გადი, ძალლის ჭირმა წაგიღოს! — შეუყვარა მაქსამ ძალლს, რომელიც კოტათი გაგვშორდა, მობრუნდა და დადგა.

— მანდარინის ბაღში მწყერები უნახავთ, დღეს იქ, როგორც ვიცო, არავინ ყოფილა. წამო, იქ წავიდეთ! — მითხრა მაქსამ და სწრაფად გამიძღვა წინ. ჭიშკარში გასულებს ძალლი ისევ ძუნძულით აგვედევნა.

— ჰაი, შინ წადი-მეთქი! — ისევ გაუწყრა მაქსა. ძალლი აწკმუტუნდა. ლობეს გაუყვა, თან უკან-უკან იყურებოდა.

გზა მოვჭერით, ალაგებზე გადავედით და მანდარინის ბაღში შევედით. თასმის ცალი ბოლო მიმინოს მიაბა მაქსამ, მეორე კი შუათითზე დაიხვია. თასმა ბრიგადირის უჩუმრად მქონდა წინასწარ გამზადებული. თასმებზე მაშინ დიდი გასაჭირი იყო — ფოთლის ასაცმელად არ გვეყოფნიდა. ბრიგადირი გვეჩხუბებოდა, მე დიდი ხვეწნა-მუდარით მომაქვს და თქვენ არ იზოგავთო. ეს მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ რა მექნა, უთასმოდ როგორ ვიმწყერავებდი, ისიც პირველად?!

— თასმა ხელს უშლის, მაკრამ... — მითხრა მაქსამ, — რომ დაეხვეს ან რამეს გამოედოს, მშვიდობით...

მაქსამ მიმინო მარჯვენაზე შეისვა და სტვენა-სტვენით ჭაგებს დასცხო ჯობი. მე უკან მივდევდი. ბაღის შუამდე არ ვიყავით მისულნი, რომ მწყერი წამოფრინდა. მაქსამ უმაღ იაზრა მისი ფრენის მიმართულება და მიმინო მიუტევა. მიმინო მწყერს წამოეწია, კლანჭები ჩაავლო და გზა განაგრძო, მაგრამ თასმამ რომ აღარ გაუშვა, იქვე დაჯდა.

— ზედავ, შორს მიდის, დაჭერისთანავე არ დამჯდარა, — მითხრა მაქსამ. იგი თასმას ცერსა და შუათითზე იხვევდა და ნელა მიაბიჯებდა მიმინოსაკენ.

მეც გვერდით მივეყვებოდი, სიხარული გულში აღარ მეტეოდა.

— დაიცა, შეაშინებ.

ახლოს რომ მივედით, მიმინოს მწყერისთვის მკერდი უკვე გაეპო და ზედ გადაფოფრილიყო. მაქსამ ფეხებში ჩაავლო ხელი, თან ამშვიდებდა. მწყერი დაავდებინა, თავი წაავლიოჯა და მიმინოს მისცა. მე მწყერი აბგაში

ჩავიდე. მალე კიდევ ექვსი დაიჭირა. მზე უკვე ზღვას მისდგომოდა. მაქსამ მიმინო მაჯაზე შეისვა და მანდარინის ბალიდან გამოვედით.

— აბა, ერთი მკვდარი მწყერი გადაუგდე! — მითხრა მაქსამ.

მე აბგაში მწყერი ამოვარჩიე და გადავაგდე. მიმინო მაქსას ხელიდან აფრინდა და მწყერს გადაეფოფრა.

— მკვდარზეც მიდის. სიკეთეში მოგეხმაროს! — მაქსამ მიმინო მაჯაზე დამისვა.

შინ მობრუნებულს ისევ სიხარულით შემეგებნენ ბავშვები. ერთ ამბავში იყვნენ, არსენამ მწყერები მოგვიტანაო. დედაჩემსაც ეტყობოდა, უხაროდა.

მეორე დღით ისევ წავიყვანე მიმინო და ჩვენს წინ მდებარე სასაფლაოს მალლობი დავიარე, სიმინდის ყანაშიც შევედი, მაგრამ ვერაფერს გადავაწყდი. ცვრით გალუმპული ალაგებზე გადავედი და მოკლეზე მოვჭერი ძელსკამისაკენ, წყაროსთან რომ იდგა. მივდიოდი და ჩირგვებს ჯოხით ვცემდი. უცებ მწყერი წამოვარდა. მიმინო მიუშვი. იგი შხუილით გავარდა, მწყერი შეიპყრო და დაჭდა. როგორც მაქსამ მასწავლა, მწყერს თავი წავაგლიჯე და მიმინოს გემო ვაჩვენე. იმან ორიოდეჭერ ჩაჭკრა ნისკარტი, მწყერის თავი უკან რომ გამოვწიე, მიმინომ უცებ კლანჭები ჩაავლო ჩემ ხელსა და მწყერის თავს. კლანჭებს ღრმად მასობდა თითებზე. ცრემლები ღაპალუპით წამომცვივდა. მწყერის თავის გადაგდება დავაპირე, მაგრამ არ მიშვებდა.

— რა იყო, ბიჭო? — გავიგონე ვილაცის ხმა. გავიხედე და ლობის გასწვრივ თლაბლანი მოიჩქაროდა. უკან ვილაც ქერა ბიჭი მოსდევდა. თლაბლანი მოვარდა, დაიხარა და უცებ გამითავეისუფლა ხელი მიმინოს კლანჭებისაგან.

— რას სჩადის, ამის ჯიში ამოწყდეს! — ჩაილაპარაკა მან. მერე შემომხედა: — ამას თუ არ გაუგე, მაგრად დაგასახიჩრებს. ასე შეიძლება? შინ რომ მიხვალ, არყით მოიბანე, თამბაქო დაიყარე და სუფთა ნაჭრით შეიხვიე.

მწყერის თავი, რომელმაც კინალამ დამლუპა, შორს მოვისროლე. მიმინო მაგრად ჩავბლუჯე და თასმა ერთ ციდაზე დავიხვიე შუათითზე.

— ეს ოხერი თასმა არ გამოგადგება, მოაშორე, ვითომ სად წავივია? — ტკბილად მითხრა თლაბლანმა.

— ჯერ მეშინია, რა ვიცი...

— მე ასე მგონია და შენ როგორც გსურდეს, — მერე დაფიქრდა და განაგრძო: — ამ ჯიშის მიმინოები ავები არიან. შენ სცადე ერთხელ, მერე... — თლაბლანმა საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა: — მეც მამაშენის სული მიდგას, მისიანი ვარ... ეჰ, ნეტავი გხედავდეს! ალაპი გადმოგხედავთ...

— ეს ვინ გახლავს, ვერ ვიციანი, — შევეკითხე მე.

— ჩემი საწყალი დის შვილია, ეს ერთილა დარჩა.

თლაბლანი ბიქს მიუბრუნდა: — წამო, მოზვეროო, — უახხრა, მხარზე ჯოხი გაიღო, ზედ ხელები შემოაწყო და წასვლა დააპირა. ბიჭი ჩემ მიმინოს მისჩერებოდა თვალეზდაკარკლული.

— ყველასა ჰყავს ჩემ გარდა, — თქვა იმ ბიქმა, — ხომ მითხარი, დაგიჭერო. — იგი ფეხებგაჩაჩხული იდგა და ახლა მე მიყურებდა.

— მიმინოს და მწყერის გარჩევა რომ გეცოდინება, ყველაზე უკეთესს გამოგიძებნი, — თლაბლანი მე მომიბრუნდა: — გუშინწინ თქვენსა ვიყავი.

დედაშენმა მითხრა, ტყიდან შეშა გვაქვს გამოსატანი, იქ გვიწყვია და ურემი მინდაო. როცა გინდოდეს, მოდი და მოგცემ, სხვა ვინ მოგხედავთ?

— ცოტა გვაქვს დამზადებული. იმის გულისთვის არ ღირს ურემის წაყვანა. ბიძაჩემი აპირებს შეშის მოსატრელად ამოსვლას და მაშინ წაფრევან.

— როგორც გინდოდეთ. თქვენთვის მუდამ მზადა ვარ, <sup>ღმერთთან შიშის</sup> ღმერთთან შიშის მითხრა მან და წავიდა.

ბიჭი უკან აედევნა ცუხცუხით. სანამ მალლობს არ გადასცდნენ, სულ უკან იხედებოდა...

შორს აღარ წავსულვარ, იქვე ვტრიალებდი. სამიოდე მწყერი დავიჭირე და სასწრაფოდ შინისკენ გამოვწიე. ეზოში რომ შევედი, მიმინო მაჯიდან ამიფრინდა და ხარიხაზე შემოჯდა. დაჭერილი მწყრები დედას გადავეცი. ერთს მკერდის ნაჭერი ავაჭერი, დანით გავათხელე და ხარიხაზე შემომქდარ მიმინოს მივეცი. იმანაც კლანჭები ჩაბლუჯა და ძიძგნა დაუწყო. უჭირდა დიდი ლუკმის გადაყლაბვა...

მიმინო სამ დღეს არ გამიყვანია სანადიროდ, არადა, მწყრები უკვე მოფრენილიყვნენ... არ მეცალა, ტყეში შეშას ვჭრიდით. ბიძაჩემი კოლმეურნეობაში დაეთხოვა ერთი დღით და ამოვიდა. ჩვენები ვშველოდით, მაგრამ მას ყველაზე მეტად ჩემი და ჩემი მეზობლის, ჯანხვათის იმედი ჰქონდა, თვითონ შეძლებენ დანარჩენსო და იმავე დღეს წავიდა... ჯანხვათი დიდად სახეირო არ იყო, მაგრამ გვეხმარებოდა მაინც. ერთადერთი, რასაც იგი ვერ იტმენდა, საქმლის შემოკლება იყო. მუშაობა ცოტა რომ გაგვიგრძელდებოდა, საქმეს მიატოვებდა და აღრიალდებოდა, დღეს რა, ჭამა-ყლაბა არ გვექნებაო. ჩვენც ვუყვავებდით და ისევ მუშაობას ვაიძულებდით.

ახლაც ერთი დიდი გაშიშვლებული წიფელი წამოვაქციეთ, ტოტები ზოგან ცულით, ზოგან წალდით ავასხიპეთ, ხერხი ავიღეთ და მოკლე-მოკლედ ჭრას შევუდექით. ჯანხვათი წამდაუწუმ გაჰყვიროდა: აღარ უნდა ვჭამოთ, არსენა, დღეს? მოგვშივდაო.

ვეუბნებოდი, დაიცა, ჭერ აი ეს დავჭრათ-მეთქი, ნაშუადღევამდის არც მიჭამია რამე და არც იმას ვაჭამე. ვიცოდი მისი ხასიათი, მუცელს რომ ამოიყორავდა, სახე მთვარესავით გაებადრებოდა, იქვე წამოგორდებოდა და მერე ყვირილითაც რომ გამსკდარიყავი, ვერ გააღვიძებდი. დაჭრილი მორები დავაპეთ, შეშა გავიტანეთ გზის პირას და იქ დავაწყეთ.

ჯანხვათს ცოტა თვალს აკლდა და ამიტომ ხელის ფათურით იღებდა ნაპობებს. მარტო თუ ვერ ერეოდა, მე ვშველოდი აწევაში. ყოველი მორის გადატანის მერე მეუბნებოდა: ოჰ, არსენა, ხომ მომკალი დღეს! არც მასმევ, არც მაჭმევო. ამიკლო მისმა საყვედურებმა...

— აგე, ერთი-ორი ცალი-ლა დარჩა, ახლავე მოვრჩებით, შე კაცო! — გულის მოსაგებად ვეუბნებოდი მე, — დედაჩემმა შენთვის არაყიც გამომატანა, ტყის მფარველს დალოცავ და გადაჭკრავ.

ჩემი ნათქვამი მის სმენას ატკობდა.

— ღმერთი ნუმც დაგარჩენს, შენ ხუმრობ და მე კი დავიჭიანცე, მეტი აღარ შემიძლია... — თუ აქამდე მიღრენდა, ახლა ამას ტკბილად მეუბნებოდა.

მზე უკვე გადახრილიყო, შეშის დამზადებას რომ მოვრჩით. მიწაზე ფოთლიანი შტოები დავაფინეთ. მე ჩანთიდან მჭადი, ყველი, ხახვი და რალაც-

რადაცები ამოვალაგე. არყიან ბოთლს თავი მოვხსენი, სირჩა ავავსე და ჯანხვათს მივაწოდე.

— ო, ღმერთო, წყალობა გვიბოძე, ჩვენო მეთვალყურე, შეგვეწიე, — თქვა მან, გადაჰკრა და სირჩა მომცა. მერე ხელის ფათურით ჩილო მჭადის ნატები, ხახვის ფოჩი და მალლა ასწია:

— ბიჭო, ეს საჭმელი გამოგვიგზავნა დედაშენმა, მიტყობ — დღე რომ ტრაბახობ?

— ჯანხვათ, შე კაი კაცო, რა გული გაგტეხია, აგერ ყველიც არის! — ვიფიქრე, ვერ შეამჩნია-მეთქი ყველის ნაჭერი. ავიღე და მივეცი. გვერდზე პირმიქცეული ჭამდა, ვერ იყო გუნებაზე, ალბათ იუკადრისა ღარიბული სუფრა...

მეც დავილოცე და დავლიე. მჭადის ნატებზე ყველი დავადე და პირში ჩავიდე:

— ეს ისე, სული რომ არ გაგვძვრეს.. შინ რომ მივალთ, დედა იმ დიდ მამალს დაგვიკლავს.

— ჰმ, დაივარგე!

— რაო, ჯანხვათ, არა გჯერა?

— რამდენჯერაც დახმარების სათხოვრად მოხვედი, სულ იმ მამალზე მელაპარაკები, მაგრამ ჯერაც არაფერი ჩანს...

— როგორ თუ არ ჩანს, კაცო, გუშინწინ ჩვენსა რომ იყავი და ლობებზე შემოსკუპული ყიოდა, ის მამალი არ იყო? რა ვიცი...

— ეე, მამლები გაწყვეტილან ქვეყანაზე-მეთქი, ხომ არ მითქვამს!

— სხვა დროს თუ მითქვამს, ამალამ...

— მაგასაც ვნახავთ, — შითხრა მან და მთელ ხახვს გადაუძახა პირში, ზედ მჭადის ნატებიც დააყოლა.

ჭამას მოვრჩით თუ არა, ალდამირის ხმაც გაისმა, ოღონდ საურმე გზიდან კი არა, ცოტა ქვემოდან ისმოდა. მივხვდი ვერაფერი ეშოვა. ალდამირი გადახრილი წიფლის მხრიდან გამოჩნდა, გამალეებული მოდიოდა.

— აქეთ სად იყავი, ბიჭო?

— ხევ-ხევ მოვდიოდი, ძლივს ამოვძვერი. სადა ხართ? — მან თვალზე ხელი მოიხრდილა და ამოგვხედა.

— ურემი ვერ იშოვე?

— ურემი საჩეხში ეყენა, მაგრამ ასე შითხრა, ცალი ხარი არ ჩანს, წუხელს აქეთ ვეძებო.

— ჰმ, აკი შითხრა, ყველაფერს მზა-მზარეულს გაგატანო.

— ცალი ხარი არ ჰყოლია, თორემ თლაბლანი მაგის კაცის არაა, — შითხრა ჯანხვათმა.

— რა ვიცი, რომ დაგვინახავს, თავს გვევლება და... აქ იყავით, მე წავალ...

— შეეშვიტ, ხვალ ვერ გავხიდავთ თუ რა? — უცებ მომაყარა ჯანხვათმა.

— რად ღირს, თუნდაც ერთი ურემი რომ წაგველო. ვცდი, იმას მაინც ხომ გავიგებ, რა მოხდა... — ვთქვი მე და თლაბლანის სახლისაკენ გავწიე.

თლაბლანი ორღობეში შემომხვდა. კანტორაში თუ მიდიოდა, დამინახა თუ არა, სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, თვითონ შითხრა:

— ის არდასაბრუნებელი ცალი ხარი წუხელს აქეთ არ ჩანს. მშრალ ხევში თუ წავიდოდა. ბიჭები გავგზავნე, ვნახოთ, თუ იპოვიან.

— ვიფიქრე, ერთ ურემს მაინც გადავზიდავთ-მეთქი, ერთ ნათქვამს კი არ გვიგდია ეზოში.

თლაბლანმა ისე აღაპყრო ხელები, თითქოს ღმერთს ევედრებოდა:

— რომ არ გამოდის?! — მითხრა მან.

— არა უშავს, მაშინ ხვალ დილით წავიყვან.

შევატყვე, არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი. ალბათ შეშინდა, მის ორპირობას არ მივმხვდარიყავი, მერე ნაძალადევად ჩაიცინა:

— ჰო, მაგრამ... ერთ რამეს გირჩევ: ახლავე პირდაპირ ქარბეისთან წადი (ქარბეი მისი უმცროსი ძმა იყო). დაეინახე, წისქვილიდან მოდიოდა. ხარებიც შებმული ჰყავს. უთხარი, თლაბლანმა გამომგზავნა-თქო და გაგატანს...

მისი ნათქვამი სულაც არ მეპიტნავა, მაგრამ რა მექნა... მივედი პირდაპირ ქარბეისას. შინ მისი ცოლი იყო. რომ ვუთხარი, საქმე ასე და ასეა-მეთქი, მითხრა:

— ის კაცი (ქარბეი) სადღაც წავიდა და არ მობრუნებულა, მაგრამ რაკი დადაპმა (ასე ეძახდა ქალი თავის უფროს მამულს ძველებური წესისამებრ) გითხრა, მე რას გეტყვიო, — ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა. — ის კაცი ახლახან მოვიდა წისქვილიდან, დაღლილია, მაგრამ... — ქალი შეჩერდა და შენმომხვდა.

— ამაღამ ერთი ნათქვამი კი არ გავგაჩნია ცეცხლის დასანთებად, თან არც ისე შორიდანაა მოსატანი, — ვუთხარი მე. სირცხვილისაგან ვიწურებოდი, ვაითუ უარი მითხრას-მეთქი. — თუ ეწყინება...

— რა ვიცი, როგორ გეტყვის რამეს?! —

ხარები ხარბად ძოვდნენ ბალახს. ქართიდან გამოვრეკე, კაკლის ქვეშ მდგარ ურემში შევაბი, კონკილა გამოვიღე და ურემზე დავდე, მოკლე თოკი ხარებს რქებზე დავახვიე, წინ გადავუგდე, ხელი ჩავჭიდე და წინ გავუძეხი „პაიო“-ს ძახილით. ჭიშკრიდან გადავდიოდი, აბუზლუნებული მასპინძელი რომ შემომხვდა.

— რა არის ეს, ბიჭო, რას შვრები? ასე უკითხავად და უპატრონოდ!.. ვერა ხედავ, ფერდები რომა აქვთ ჩაცვნილი? მომეცი აქ! — მიყვირა მან და ხელიდან სასწრაფოდ წამგლიჯა თოკი, ერთ-ერთ ხარს ზურგზე სახრე გადაუჭირა, ურემი მოაბრუნა და ისევ ეზოში შეიყვანა. ვიდექი და გამტერებული შევეცქეროდი.

— ხარები რომ დაღლილნი იყვნენ, არ იცოდი? — შეუყვირა მან სანი-აღვრე არხთან მდგარ ცოლს.


— რა მოხდა, ადამიანო, შეშას მოვიტანო, მითხრა, სხვა დროს როდის ჩამოსულა ჩვენს ეზოში?..


— უჩემოდ არავის არაფერი გაატანო-მეთქი, მითქვამს შენთვის, მაგრამ თქვენ განა გესმით ადამიანისა! აწი დიდრიფშის ხატზე ხომ არ წავიყვანთ და იქ არ დაგაფიცებთ? სხვა როგორ მოვიქცე?..

— თლაბლანმა დამაიმედა, მე მეგონა, მოლაპარაკებულნი იყავით, — ჩავილულულე მე თავგზააბნეულმა.

— თუ ასე შესტიკვა გული შენზე, თავისი ხარ-ურემი რომ მოეცა, ვი-  
თომ რა დაშავდებოდა?

— რა იყო, რატომ იწევთ განზე, თითქოს კოლწევრები არ იყოთ? — შევბედე მე.

— დაღლილები არიან, დღეს პირში არაფერი ჩასვლიათ.  რომ ვიფიქრე, ქართაში შევლალავ-მეთქი, შენ გამომიჩნდი აქ.

— ეპ... ასეა, როცა კაცს საკუთარი არა გყავს.  ერიცხვები

— მერე და რატომ არა გყავთ, კაცო, ვინმემ შეგვიშლია? — მომადანა ქარბეიმ, თან ხარების გამოხსნა დაიწყო.

— მაგის გამო არავინ შეგვიწუხებია, ახლა ვართ ასე, თუ არა... — ვთქვი მე სულშეგუბებით. — სანამ იქნებით ასე, იმასაც ვნახაუ, — დავამთავრე მე.

— რას ჩამაცივდი, აღარ იტყვი? ..ჰამო, ჰამო! — იყვირა მან და ხარს დაუტია, რომელიც სამზადის წინ ჯირკზე დადებულ ქვის როდინს ლოკავდა. მერე მე მომიბრუნდა: — იმ შენი თავგასიებული მეზობლისთვის რომ გამოგერთმია, არ იქნებოდა?

— იმას ხარები შინ რომ ჰყოლოდა, აქ მოვიდოდი?

— „შინ რომ ჰყოლოდა“... — ჩაიციხა მან, — მისი ძველი სამოსახლოს ქართაში ჩამწყვდეული ხარები მისი თუ არაა, აბა ჩემია?

— ეგ მე არ ვიცი.

— არ იცი... ზოგიერთს ხარები დამწყვდეული ჰყავთ, აქაო და ბეწვი არ ჩამოუვარდეთო, ეშინიათ, ჩემები კი...

— რამე რომ ვთქვათ, თავს გადაგვიპობთ, თორემ ეს ხარები აქი კოლმეურნეობისაა?

— მერე, აქაო და კოლმეურნეობისააო, უნდა დავხოცოთ? — მითხრა მან, თან ხარებს მიერეკებოდა.

— ნეტავი მალე შენი სულის მოსახსენებლად დაეკლათ ეგ ხარები! — მივაძახე მე. არ ვიცი, ჩემმა წყევლამ მის ყურამდე ვერ მიალწია, თუ ყური მოუყრუა, მაგრამ ჩემკენ აღარ მოუხედავს და გზა განაგრძო.

უხალისოდ გამოვბრუნდი. გულს ის მიკლავდა, რომ კოლექტივის ხარებს ზოგი-საკუთარივით ექცეოდა. საქმე ის იყო, რომ ომის დროს პირუტყვის ფერმებში შენახვა გაჭირდა, გლეხებს გაუპიროვნეს და ჯერაც მათ-თან იყო. უარს არავინ იტყოდა, სამუდამოდაც რომ დაენარჩუნებინათ. ამაზე ვფიქრობდი მთელი გზა. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, სადაც შეშას ვამზადებდით, ჯანხვათის ხმა შემომესმა:

— უხ, რა ჭირად გადამეკიდენით... მე წელეებზე ფეხს ვიდგამ, თქვენ გემსახურებით, თქვენ კი ჩემზე ერთობით.

— რა იყო, რა დაგემართათ? რაც მაღლობს ამოვუყევი, სულ თქვენი ხმა მესმის.

— არ დამაძინა, კაცო, აღარ მომასვენა, თავი მივდე თვალის მოსატყუებლად თუ არა, ცხვირში წკირით ღიტინი დამიწყო და გამაღვიძა.

— რას მაიმუნობ, ბიჭო! — დავტუქსე ჩემი ძმა.

— რაო, ხუმრობა აღარ შეიძლება?

— შენც მოგიძებნია რაღა სათამაშო კაცი, შენ ნუ მომიკვდები.

— სადაა ურემი?

— უკან მომდევს...

— რას ამბობ, კაცო, არ გამოგატანა?

— სანამ სხვა დროსაც მივადგები, მანამ ნუმც ამდგარა.

— არ გჯეროდა ჩემი ნათქვამი და...

— აბა, რა მექნა? დედაც ზის ალბათ და გველოდება. შეშა სულ აღარა გვაქვს, ფიჩხი მაინც წავიღოთ.

— ასეა ყოველთვის... — ჯანხვათი ისე გვიყურებდა, თითქმის ჩმბრუნებულად „მაგ ფიჩხსაც მე მათრევიანებთო“.

ჩემმა ძმამ გაიცინა და იოხუნჯა:

— ძრობა ფლატეზე ავიდა და სახედარი აუროყინდა, რომ გადაიჩხოს ჩემი...

— აბა, დაიკარგე აქედან, — შეუტია ჯანხვათმა.

მე ფიჩხი მოვაგროვე, წნელით შევკარი და ჯანხვათს ავკიდე. იმანაც უთქმელად გასწია. ალბათ ფიქრობდა, მაღლი ჰქენი, ზედ მარილიც მოაყარეო. მე და ჩემმა ძმამაც ავიკიდეთ იმდენი, რამდენსაც მოვერეოდით და ჯანხვათს მივყევით. გამოვედით ულრანიდან და გზას დავადექით. გზაჯვარედინზე ურნის კოფოზე წამოსკუბული თლაბლანის დისწული შემოგვხვდა. ძარაზე თამბაქოს ფოთლით ავსებული გოდრები ედგა. მივლიოდი ტვირთაკიდებულები და ვფიქრობდი: „აკი მითხრა, ხარი შინ არ მოსულაო. ვინ რას ეტყოდა, რომ ეთქვა, მე თვითონ მჭირდებაო“.

ამ დროს ჯანხვათმა წაიფორთხილა და ძირს მოიღო ბრაგვანი.

— უხ, რა ჭირად გადამეკიდენით! — მან ხელები დაიბჯინა და ძლივს წამოდგა. ჩვენც მივეშველეთ, დავუყვავეთ და ისევ ავიკიდეთ ტვირთი.

მაღლობს შევუყევით. ცას აკრული მთვარე უკვე მთებს მიახლოებოდა, ჩვენ რომ ეზოში შევედით.

— თავი დაგიხოცავთ მაგის თრევით, თქვე საწყლებო, — გვითხრა დედამ. იგი სამზადის წინ იდგა და გველოდა. ფიჩხი სახლის წინ დავყარეთ. მარცხენა მხარი მტებდა. ქუდი მოვიხადე, სახეზე მოვისვი და ფიჩხზე ჩამოვჭექე.

— კაცო, არ გავწყდით წელში?! ოჰ, ღმერთო ძლიერო... — შესჩივლა ჯანხვათმა მამაზეციერს.

— თქვენთვის ქვეყნად ურემი არ არსებობდა?

— ერთმა თქვა, ხარი დამეკარგაო, მეორემ, დაღლილიაო. რას იზამ...

— ღმერთმა შავბნელად ატაროს, არავინ რომ არ ეცოდებათ. აბა, ცეცხლი დაანთეთ და ვახშამს გაგიმზადებთ, — გვითხრა დედამ და სამზადში შევიდა.

უცებ გამეღვიძა და საწოლში წამოვჭექე. უკვე თენდებოდა. აღდამირს გავძახე, მაგრამ იგი ძილს ვერ ართმევდა თავს.

სამწყრე ბადეები და ფარანი წინასწარ გვქონდა გამზადებული, მაგრამ დროზე ვერ ავდექით. მე სასწრაფოდ ჩავიცვი, გული მწყდებოდა, ფარნით სანადიროდ რომ ვერ წავედით... ჩემ ძმას თავი ვანებე, გადავწყვიტე, მიმინოთი მენადირა მარტოკას. აბა გადავიკიდე, მიმინო მაჯაზე დავისვი და ჭიშკარში გავედი.

მე იქვე გადავედი ალაგზე, წყაროსთან მდგარ თუთას გვერდი ავუარე და ძელ-სკამს მივადექე. ქვემოთ აღარ წავსულვარ. მიჯნას ვაყუევო და ჩირ-

გვერს ჯობი დავცხე. ყანიდან ვილაცების ხმა ისმოდა. ალბათ მონადირეები იყვნენ — სისხამ დილით სხვა ვინ გამოვიდოდა ყანაში. მიმინო მაჯაზე მეჭდა. იგი ერთ ამბავში იყო, აქა-იქ წამოფრენილი მწყერჩიტებისავენ იწყებდა. მიჯნასთან აბიბინებულ ბალახს ჯობი დავცხე და გზა განვაგრძე. უცებ ჩემ წინ კინკრით დაფარული თხრილიდან რომელიღაც ჩიტი ამოფრენდა. მძიმე აწრიალდა. ნელა მივუტევე. მიმინომ „კიუ“-ო დაიძახა და ტყვიასსხედი გაკარდა. ისე იოლად შეიპყრო, თითქოს ჩიტს აბუჩად იგდებდა, ამის გამო თავს როგორ ვიწუხებო. მერე რა დარწმუნდა, თასმა არ უშვებდა, მობრუნდა და სხვა მხრისკენ გაიწია, მაგრამ სად წავიდოდა. ნახევრად გამხმარი ატმის ძირას დაეშვა...

მეორე ჯერზე თასმამ არ გაუშვა, მწყერს ვერ მისწვდა და გაექცა. ვიფიქრე, თუ გამოფრინდება, გაფრინდეს-მეთქი და თასმა შევხსენი, აბგაში ჩავაგდე, განვაგრძე ნადირობა. იმ სათიბს, სადაც მე ვნადირობდი, და ქვემოთ მდებარე ყანას მიჯნა ჰყოფდა, რომელიც ალაგ-ალაგ გაუვალი ეკლიანით იყო დაფარული. მიჯნა ხეებთან თავდებოდა. ირგვლივ სიწყნარე იყო, არსაიდან არავითარი ხმა აღარ ისმოდა. თავზემთ მწყერმა გადამიფრინა. მეც ელვის უსწრაფესად ზეცაში შევაგდე ჩემი მიმინო. იგი ტყვიასავით დაეცა მწყერს, დაიჭირა და ფრენა განაგრძო. ვიცოდდი, ახლოს არ დაჯდებოდა, უკან დავიხიე და თვალი არ მომიცილებია. მეგონა, რაც უნდა შორს წასულიყო, მიჯნას მაინც არ გადასცდებოდა, მაგრამ რომ არ გაჩერდა და ქვემოთ წავიდა, ვიფიქრე, არიქა, გამექცა-მეთქი, შამბნარი გადავკვეთე და მიჯნას მივვარდი. სასწრაფოდ გადავედი ალაგზე. ყანაში შესულმა ვილაცის ფეხის ხმა გავიგონე.

— ჰეი, რომელი ხარ? აქეთ შემოფრენილი მიმინო ხომ არ გინახავს? — დავუძახე მე და მივაყურადე, მაგრამ ექვნის ხმაც მიწყდა და ფეხისაც. — ჰეი-ი! — ვიყვირე ისევ.

— არსენა ხარ? — შორიდან გავიგონე ვილაცის ხმა.

— შენ რომელი ხარ? აქ შემოსული მიმინო ხომ არ დაგინახავს? — ვკითხე გულის ფანცქალით.

— ქარბეი ვარ, — ძლივს, ყრუდ მესმოდა მისი ხმა.

— აქ მიმინო შემოფრინდა, არ დაგინახავს?

— თვალი მოვკარი, ემანდ მიჯნაზე რომ გადმოფრინდა, მაგრამ... — ცოტა ხანს გაჩუმდა. — შორს ვერ წავიდოდა.

— საით გაფრინდა, ხომ არ შეგინიშნავს?

— მგონი ქვემოთ მიფრინავდა. მიჯნას გაჰყევი. მე მგონი, იმ თუთას არ გასცდენია.

იქით წავედი თუ არა, ჩემს უკან, საპირისპირო მხარეს სიმინდის ლაწა-ლუწი შემომესმა.

— ჰეი, მანდ, ზემორ არის ვინმე?

— თლაბლანია, საქონლისთვის რტოებს ვბელავდით იმან თავისი წილი წაიღო, დანარჩენი მე უნდა წამელო.

„რა დროს რტოების გადაბელვია, როცა ბალახიც ბლომადაა?“ — გავიფიქრე მე, მაგრამ გული დავიმშვიდე: ამათ რა ჩემი მიმინოს დრო აქეთ-მეთქი. იმისაც კი შემრცხვა, რომ ვეკითხებოდი, თვალი ხომ არ მოგიკრავთ-მეთქი. მიჯნას შევუყევი და იმ ხემდისაც მივედი. ქარბეიმ რომ მითხრა, მაგ-



რამ არაფერი ჩანდა. გავჩერდი და ცოტა ხანს მივაყურე. კალიებისა და ჩიტების ხმის გარდა არაფერი მესმოდა.

— ჰეი, ქარბეი! — შევძახე ისევ.

— ჰაუ! — გამომეხმაურა იგი. — სადღაც მანდაა, სად წავიდოდა, კარგად დაძებნე!

სადღა არ ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. უცებ მოშორებით, სიმინდებში მიმინო დავლანდე, ჩიტს გადაფოფროდა და ძიძვნიდა.

— ის არის! — ვიყვირე გახარებულმა და ჩაცუცქული წავედი მისკენ, მაგრამ ეტყობა, შემამჩნია, წამოფრინდა და შხუილით გადაუქროლა ყანას. ახლავ მივხვდი, რომ ეს გაწვრთნილი მიმინო კი არა, ველური იყო. მიმინომ სამწყურე გორას გადაუარა და პაშირის მღვიმისკენ გადაიკარგა.

— ფუჰ, დაგწყევლოს ღმერთმა! — ჩავიბურტყუნე მე.

— არსენა, ვერ იპოვე? — ახლა ზემოდან მომესმა ქარბეის ხმა.

— სად ჩანდაბაში დაიკარგა, ვერ გავიგე.

გულჩაწყვეტილი და გულმოკლული ვიდექი.

რადას ვიპოვიდი!

— ის ახლა სადღაც ზის განაბული. ცოტა ხანს კიდევ ძებნე, სად წავა, გამოჩნდება სადმე...

„თავგზას მიბნევს, თუ რას შვრება?“ — გავიფიქრე მე, მაგრამ აღარაფერი მითქვამს, ისევ ძებნა განვაგრძე. მიმინო არსად ჩანდა. მალლარიან თუთის ხეს მივადექი, ტოტი ჩამოვწიე, ერთი მტევანი მოვწყვიტე და ყურძნის მარცვლები პირში ჩავიყარე. მშიოდა, მაგრამ ყელში მაინც არ გადამივიდა. კარგა ხანს ვიჭექი ყანაში და ვაყურადებდი, ეგებ ეფენის ხმა გავიგონო-მეთქი. დედაჩემის ძახილი მესმოდა, მაგრამ არ ვეხმიანებოდი.

მზე მალლა-მალლა მიიწვედა, მაგრად აცხუნებდა. ხალხი უკვე ყანებს შესეოდა, ყველა რაღაცას საქმიანობდა, მე კი შინ წასვლა არ შემეძლო, შევრჩიამ ყანას. ბოლოს გული გამიტყდა და ბრაცუნით გამოვწიე შინისაკენ. ცრემლები მახრჩობდა. გზაზე მაქსა შემომხვდა.

— რა მოხდა, ბიჭო, მიმინო არ დაკარგო, იცოდე...

ვუთხარი, რაც დამემართა. მაქსამ გულმოსულმა მითხრა:

— ვაგლახ... იქ, ქვემოთ თუ იყო ვინმე?

— თლაბლანი და ქარბეი.

— რას აკეთებდნენ?

— თხებისთვის ხეებს ბელავდნენ.

— ჰაიტი, უთუოდ იმათ იხიმანკლეს რაღაცა!

— როგორ, კაცო, როგორ იკადრებდნენ ამას?

— კარგი იყო, ასე ყოფილიყო, მაგრამ...

შინ მოვედი. დედამ რომ გაიგო ეს ამბავი, ძალიან ეწყინა.

— როგორც ჩვენ გვიხარია ახლა, ღმერთმა იმაზე მეტად ნუ გაახაროს ისინი. ციება შესჯდომოდეთ...

ცრემლები ღვარად მდიოდა. აბგა მოვიხსენი და დედას მივეცი, სამწყურაო ჯობიც შევაგდე აივნის ქვეშ.

დედას არ მოეწონა ჩემი განწყობილება და დამიყვავა:

— თავსამც შემოგვლვებია... არ იღარდო, შვილო! შენ იყავი კარგად და მიმინოს კიდევ იშოვი.

— იმისთანას ველარ ვიშოვი.

— იმ სისხლისგან დასაცლელებს არაფერი დაუნახავთ?

— ვიცი? აქეთ ეძებე, იქით ეძებეო, მეუბნებოდნენ, მაგრამ...  
მომდგარ სათქმელს ვერ ვამბობდი.

— ეგენი ბოროტს არ ჩაიდენენ ჩვენთვის, რომ დაენახათ... არ მოგცემდნენ! ალბათ ძალიან შორს გაფრინდა, — დაასკვნა მან.

— ნეტავი მართლა გამფრენოდა, — ლაწევებზე ისევ ჩამოდენილი ცრემლები მოვიწმინდე მე.

— ეჰ, შე საწყალო, მიმინო კი არა, მამაშენი დავკარგეთ და...

დედამ მალე კერძი გამიმზადა და ტაბლას მივუჭექე, მაგრამ ჭამის თავი აღარ მქონდა. ორიოდე ლუკმა გადავცლაპე ნაძალადევად, ჩემი ძმა წავიყვანე და ისევ მიმინოს საძებრად წავედი. დარწმუნებული ვიყავი, ვიპოვიდი.

იმ ადგილას მივედი, სადაც მიმინო მწყერს მივუტევე და ძებნა დავიწყეთ. აღდამირი ხტუნვა-ხტუნვით მომდევდა უკან. ძებნამ დაგვქანცა, შუბლზე მომსკდარი ოფლი ხელით მოვიწმინდე, თვალებზე ცეცხლი მეკიდა. თუთის ძირას ჩამოვსხედით. ყანის მხრიდან ეფენის ხმა მომესმა.

— შენ აქ იდექი და ქვემოთ იყურე! — ვუთხარი აღდამირს. ყანის ბოლოსკენ მივდიოდი, სიმინდებში ძლივს ვიკვლევდი გზას. დიდხანს ვიხეტიალე, მაგრამ ეფენის ხმა აღარ გამიგონია. ბოლოს ყანას ზემოდან მოვუარე და ძმასთან დავბრუნდი. მზე ბორცვებს მიფარებოდა, ირგვლივ ბინდს დაესადგურა.

— ვერაფერი ნახე?

— ნემსივით დაიკარგა. ისე უცებ სად უნდა გამქრალიყო! წამო, წავიდეთ, — ვუთხარი ძმას.

კუტკალიების ხმა ზოგჯერ ეფენის ხმად მეჩვენებოდა, შევდგებოდი და უფროს მივუგდებდი:

— ეფენის ხმა არ გესმის, ბიჭო? — ვეკითხებოდი აღდამირს.

— არა, — მოკლედ მიპასუხებდა იგი.

ზედიზედ სამ დღეს ვთელავდი იმ ადგილებს. როგორც კი დროს ვიშოვიდი, დილა იქნებოდა თუ საღამო, კიდევ ერთხელ ვუვლიდი გარს იჭაურობას, ან ვიჭექე ყანაში ყურწამახვილებული და ვაყურადებდი, საკუთარი თავი მებრალებოდა.

— შეილო, თხის დამკარგავმა დღევ დაკარგაო, იმისი არ იყოს, ტყუილა აცდენ დროს. იმას ველარ იპოვი, დაანებე თავი, — მარიგებდა დედა, — ღმერთმა ლუკმა ნუ აღირსოს იმის წამყვანს. ცოტა უცნაურია, ჩიტის გულისთვის რომ ვიწყევლები, მაგრამ...

ოქტომბრის ბოლო იყო. მხარზე ჩანთააკიდებული მოვდიოდი სკოლიდან. აჩქარებით გადავიარე ელიქის გორა. ქვემოთ ყანები უკვე აეჭრათ. მაქსას სახლს იქით ვილაცები ჩალის ზეინს დგამდნენ, ურმების ჭრიალი ისმოდა.

სახლამდე არ ვიყავი მოსული, რომ წინ ჭრიალით მომავალი ურემი დავინახე. წინ კაცი მოუძლოდა. მას ხარების რქებზე დახვეული თოკისთვის ზუსტად შუაში ჩაევლო ხელი. ურემზე ვილაც ბიჭიც იჯდა და ხარებს უმიზნოდ უჯავრდებოდა.

— ო-ოჰო! — შეუძახა კაცმა ხარებს და შეაჩერა, მე რომ დამინახა. — რომელი საათი იქნება?

მაშინვე ვიცანი — ზია იყო, თლაბლანის სიძე. ერთი-ორჯერ მენახა თლაბ-  
ლანისას. ურემზე კი თლაბლანის დისწული, ზიას ვაჟი იჯდა.

გაქვავებული შევცქეროდი მამა-შვილს. ბოლოს გაჭირვებით გამეხსნა კრო-  
ქა და ვუთხარი:

— მესამე გაკვეთილის შემდეგ დავეთხოვე და წამოვედი მთისკენ...  
მეტი წუთი აკლდა. გზაზე ალბათ ნახევარი საათია მოვდივარ

მე ბიჭის მაჯაზე შემომჭდარ მიმინოს შევყურებდი. იგი ფრთებჩამოყრი-  
ლი და აბუზული იჯდა. მაშინვე შეატყობდი, რომ მოქნილობა და სიამოვნება  
დაეკარგა. გული ჩამწყდა...

— რა ხანია მწყერაობის ყავლი გავიდა. ახლა რაღად უნდა, არ ვიცო-  
ვეუბნები, გაუშვი-მეთქი და უარსაა, — მეუბნებოდა ზია.

ახლალა გამახსენდა: სწორედ ეს მიმინო პირველად რომ მოვიყვანე შინ.  
მეორე დღეს ზიას ზედ თავისი ჭიშკრის წინ, მდინარე გუდოეს ხიდთან და-  
ედგა ძელ-სკამი და ძროხის ხორცს ჰყიდდა. მე მას მიმინოსთვის სამასი გრა-  
მი ხორცი გამოვართვი, მაგრამ ზიამ ჩემგან ფული არ აიღო:

— მე და შენ ერთი ნაჭერი ხორცის გარდა სხვა რამეც გვაკავშირებს,  
მიტხრა მან.

არ ვიცოდი, რა მეთქვა, ვიდექი და ტუჩებს ვიკბენდი... „ღმერთმა შევ-  
ბნელად ატაროს“... — გამახსენდა მე. მიმინო რომ ვინმეს არ ეცნო, საკლან-  
ჭეები გამოუცვლიათ, მკერდიც შეუმურავთ, მაგრამ რა შემაცდენდა: ჩემი  
მიმინო თვალებს ისე ნაბავდა, სითბო გამოსჭვიოდა იმათგან.

— სად გადააწყდით ამ მიმინოს?

— ბიძამისმა მისცა, — კაცი ცოტა ხნით გაჩუმდა და განაგრძო: — ახლა  
რაღად უნდა, მწყერებმა უკვე გადაიფრინეს...

უცებ გავცეცხლდი, ალმური მომედო, ვიფიქრე, მივალ, იმ ბიჭს მიმი-  
ნოს წავართმევ და თავში ჩავცხებ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე-

— გეზელ-ქორი, — ვთქვი მე, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. — ამას მკერ-  
დი დამწერისფერი ჰქონდა, რა დაემართა?

— ვინ იცის, იქნებ ნაჭურდალიცაა, ნაჭურდალი! კარგად იყავი. — მი-  
ტხრა ზიამ, თოქს მოქაჩა და გზას გაუდგა.

თვალგაფართოებული გავცქეროდი მათ. სანამ ბორცი არ გადაიარეს



მთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ნანა სუხიტაშვილმა

კატარა, კობტა ქალი იყო. ჰქონდა შავად მზინავი თმა, ფერმკრთალი სახე და მომხიბვლელი, დიდი, ლურჯი თვალები. მომცრო, დახვეწილი და მშვენიერი სახის ნაკვთები გოგონას შეხედულებას აძლევდა, თუმცა უკვე ოცდარვა წლისა იყო. დიდი თვალები ერთთავად მოუსვენრად უბრწყინავდა. მოირას ნერვები აქვს დასუსტებული, — ასე ეუბნებოდა ნაცნობებს მისი ქმარი, როცა საზოგადოებაში მეუღლის გარეშე გამოჩნდებოდა, მოირას ნერვები ლონდონისა და ნიუ-იორკის მღელვარე, დაძაბულ ცხოვრებას ვერ უძლებენ, მოირა მშვიდად მხოლოდ ფლორენციაშია, ფლორენცია მასზე წამალივით მოქმედებსო, — იტყოდა კაცი და სევდიანად დასძენდა: — ჩემი საბრალო მოირა. მერე თითქოს სანტიმენტალობა მოერიო, ჰკვიანი სახე ნაღვლიანი, ალერსით სავსე ღიმილით გაუნათდებოდა. ისეთი მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა, ზოგჯერ კაცი თავს უხერხულადაც კი იგრძნობდა. ღიმილს უმაღლესი ფიქრიანი გამომეტყველება ენაცვლებოდა. ერთბაშად სახე გაუბრწყინდებოდა, მერე ამ ნათელს ისევ გადაიყრიდა და თქვენ წინაშე მეცნიერებას დაწაფებული ახალგაზრდა კაცი იდგა. კაცი, ვის საკვლევ საფანსაც კიბო წარმოადგენდა.

საბრალო მოირა! მოირას აგზნებული ნერვები! მიზეზიანი, ჭირვეული მოირა! ბელოსგუარდოს ფერდობზე ვილას რომ ჭირაობდა, ბალის ბოლოს ტანაყრილი კვიპაროსები აითვალწუნა, გინდა თუ არა, სასაფლაოს მაგონებსო — დაუჩემა მოხუც სინიორ ბარგიონს. კარგი კაცი იყო მოხუცი ბარგიონი, თუმცა ერთობ ახირებულიც ცხადია, აზრადაც არ მოსვლია კვიპაროსების გაჩეხვა, ეს ხეები ხომ მთელ ფლორენციას მატებდა შნოსა და ლაზათს! საწოლი ოთახის ფანჯრიდან, კვიპაროსების მუქ ჩრდილებში, მშვენიერ-გუმბათიანი გიოტოს ტაძარი მოჩანდა. მოხუცმა ბევრი არწმუნა მოირა, რატომ მაინცადამაინც სასაფლაოთ, ეტრუსკებს (ბარგიონს მხოლოდ ამწუთას გაახსენდა ისინი) იგი საღვთო ხედ მიაჩნდათ და გაზაფხულის დღესასწაულზე მთელი დღე და ღამე გარშემო უვლიდნენ. რა ვუყოთ, ბოეკლინმა კვიპაროსი თავის კუნძულზე პირველად სწორედ სასაფლაოზე თუ დარგო. სამაგიეროდ, მას მერე, სადაც კი ამ ხეს ნახავდა, ძირში აუცილებლად ბალახვარდას ან ვარდებს დაურგავდა. ვარდებს, რომელთაც ბერძნები...

— კი ბატონო, — აღარ გააგრძელებინა მოხუცს მოირა ტარვინმა, — კარგით, ბატონო, დავტოვოთ კვიპაროსები.

ეს მომაბეზრებელი ხმა, ეს შეგონებანი, ეს დამახინჯებული ინგლისური...

ღმერთო, რა უცნაური მოხუცია... რომ არ გაჩუმდეს, ცოტაც და, ალბათ, კი-  
ვილს მორთავს მოირა, ოღონდ ახლა გაჩუმდეს, ოღონდ გაჩუმდეს...

— მისტერ ტარვინია? — იკითხა მოხუცმა სინიორ ბარგიონიმ, როცა  
მოირას მეუღლე — ჯონ ტარვინი — შინ დაბრუნდა. ჯონის დანახვებზე  
აიჩეხა: თვითონ მშვენიერი მომხიბვლელი არსებაა. ეეპ, მაინცდამაინც მშვენიერია  
ქალი ვერ ყოფილაო, — დაასკვნა. მაგრამ მარტო სინიორ ბარგიონი როდი  
ფიქრობდა ასე. თუმცა სხვებისაგან განსხვავებით ამ უჭკუობას ქალს იგი ნაკ-  
ლად უთვლიდა, მაშინ როცა ნაცნობი კაცების უმრავლესობა ისე იყვნენ  
მოირათი მოხიბლული, კი არ დასცინოდნენ, პირიქით, თაყვანს სცემდნენ. ამ  
პატარა ტანთან, ამ მომაჯადოებელ თვალებთან, ამ დახვეწილ ბავშვურ სახეს-  
თან ერთად, მისი გამოუცდელიობა და გულუბრყვილობა კაცს ერთგულსა და  
ნაზ სიყვარულს შთააგონებდა. რამდენადაც თვითონ იყო მიაშიტი და უჭკუო,  
იმდენად ადვილად ხიბლავდა ჭკვიანსა და გონიერ მამაკაცებს. საბედნიეროდ  
თუ საუბედუროდ, მოირამ მთელი ცხოვრება მამაკაცთა გარემოცვაში გაატა-  
რა. იმ მამაკაცთა შორის, რომელნიც მუდამ თავიანთი ჭკუითა და გონიერებით  
გამორჩევიან და რომელთაც ხშირად რჩეულებსაც ვეძახით. მოირას პაპა —  
მოხუცი სერ ვატნი კროკერი, ვისთანაც ადრე დაობლებული მოირა ხუთი  
წლიდან იზრდებოდა, იმ დროის ყველაზე ცნობილი ექიმი გახლდათ. მისი  
ადრეული მონოგრაფია, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს შეეხე-  
ბოდა, დღესაც კლასიკურ შრომად მიაჩნდათ. სერ ვატნი თავისუფალ დროს  
ხშირად პატარა შვილიშვილის გვერდით ატარებდა. იგი ლამის აღმერთებდა  
გოგონას, კაცმა რომ თქვას, ზედმეტადაც კი ანებიერებდა. მოხუცისათვის  
მოირაც ისეთივე გასართობი იყო, როგორც თევზაობა და მეტაფიზიკა. დრო  
თვალსა და ხელს შუა გაფრინდა და გოგონა უცებ დაქალიშვილდა, თუმცა  
სერ ვატნისათვის მოირა ისევ ის ნებიერი ბავშვი იყო. მას ისევ ძველებურად  
ხიბლავდა მოირას ბავშვური ტიტინი, გულუბრყვილობა და ზოგჯერ კადნიე-  
რებაც კი. მოხუცი ყველანაირად ხელს უწყობდა ქალიშვილს, ლამის აიძუ-  
ლებდა კიდევაც, მთელი ცხოვრება ბავშვად დარჩენილიყო, ვინაიდან მოი-  
რაში მას სწორედ ის ბავშვი უყვარდა. თითქოს თორმეტგოჯა ნაწლავზე მუდ-  
მივმა ფიქრმა მოხუცის აზროვნებასაც თავისებური კვალი დააჩნია. სერ ვატ-  
ნი ისევე ებრძოდა მოირას გონებრივ ზრდასა და განვითარებას, როგორც  
თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს. არადა, მხოლოდ თორმეტგოჯა ნაწლავსა  
და თავის საქმიანობას გადაყოლილ მოხუცს სხვა არაფერი ახსოვდა. იგი ხომ  
თვითონაც ძალზე გულუბრყვილო კაცი იყო. მხოლოდ სერ ვატნი კი არა, მისი  
მეგობარი ექიმები, მოსამართლეები, პროფესორები და სამოქალაქო სამსა-  
ხურში მყოფი დიდი თანამდებობის პირნიც ისევე ათამამებდნენ გოგონას. ეს  
რჩეული საზოგადოება ხომ ხშირად იკრიბებოდა მოხუცთან. ამდენ მამაკაცთა  
შორის ჩვიდმეტი წლის მოირა ერთადერთი ქალი გახლდათ. თუმცა არა, პაპა-  
მისისთვის რომ გეკითხათ, მოირა ქალი კი არა, ჯერ ისევ ბავშვი იყო. პოდა,  
ეს საქვეყნოდ ცნობილი მამაკაცებიც ბავშვივით ელოლიავენოდნენ. ლამის ხე-  
ლისგულზე ატარებდნენ ქალიშვილს. მოირაც ისე იყო შეთამამებული, ყვე-  
ლას მეტსახელს არქმევდა. მაგალითად, მისტერ ჯუსტის გიდლის — წვერცან-  
ცარა გიდლი შეარქვა და ასე შემდეგ. მაგრამ ამ მხცოვან პროფესორებს  
შემთხვევით ოდნავ რაიმეც რომ ეწყენინებოდათ, იგი უკმეხ პასუხს არ მოე-  
რიდებოდა. ეს სახელოვანი პროფესორები კი, ვითომც არაფერი იყო, მხიარ-

რულად იცინოდნენ. ზოგჯერ ეს სახელოვანი მეცნიერები ისეთი სერიოზული საკითხის განსჯით იყვნენ გართულები, როგორც, მაგალითად, რეგლისის ინდუსტრიული მომავალია, მოირა კი უცბად ისეთ უადგილო კითხვას ჩაურთავდა, გაოცებული მამაკაცები გულიანად ხარხარებდნენ. ~~ქვემოთ მდებარე~~ დღეს ამ ამბავს სიამოვნებით ყვებოდნენ კოლეგებში — სასაქონლო ცენტრების კავად-მყოფობსა და ახლო მეგობრებს შორის. მოირასათვის ამ სწავლული ხალხის გვერდით ყოფნა მართლაც დიდი სიხარული იყო, ვინაიდან მშვენივრად გრძნობდა, ამ მამაკაცებზე ნამდვილ ჯადოსნურ თილისმასავით რომ მოქმედებდა.

ათის ნახევარზე, როცა მოირა სასადილო ოთახს ტოვებდა, მამაკაცები მხოლოდ მაშინ იწყებდნენ საუბარს წყლულსა და მის მოულოდნელ ევოლუციაზე.

— მოირა მთელი სიცოცხლე კაცმა ხელისგულზე უნდა ატაროს, — თქვა ჯონ ტარვინმა პირველივე სტუმრობისას, როგორც კი მოირამ კარი გაჩხურა.

ჯონ ტარვინს პროფესორი ბროუდვოთერიც დაეთანხმა. მერე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მყუდროება კვლავ ტარვინმა დაარღვია.

— რას ფიქრობთ, — ჰკითხა ჰკვიანთვალეებიანმა ტარვინმა, — რას იტყვით ხელოვნური სიმსივნის გადანერგვაზე, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ბუნებრივი სიმსივნის განვითარებას.

მართალია, ტარვინი ოცდაცამეტი წლისა იყო, მაგრამ სერ ვატნის ხან-შიშესულ მეგობრებს შორის კიდევ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, თუმცა მას უკვე მოესწრო საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოქვეყნება. სერ ვატნი ხშირად სიამოვნებით უყვებოდა თავის სტუმრებს ახალგაზრდა მეგობრის წარმატებაზე და ბოლოს უსათუოდ დასძენდა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს ველი ამ კაცისაგანო, ძალზე საინტერესო ყმაწვილი გახლავთ, მთელი ჰქვეყნიერება აქვს მოვლილი — ტროპიკული აფრიკა, ინდოეთი, ჩრდილო და სამხრეთი ამერიკა. რაც მთავარია, ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა. მუშაობს აქ ლონდონში, გერმანიაში, ნიუ-იორკის როსკეფელის ინსტიტუტში, იაპონიაში. ერთი სიტყვით, ბევრს შეეხარბება მისი მატერიალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა. ლუკმაპურისთვის როდი უხდება ზრუნვა, საკმაოდ დდი შემოსავალიცა აქვსო.

— ოო, შენც მოხვედი, ტარვინ, სალამო მშვიდობისა. არა, არა, სულაც არ დაგიგვიანებიათ, აი, ეს მისტერ ჯუსტის გილდი გახლავს, ეს პროფესორი ბროუდვოთერია, ეს კი — პროფესორი სტაგი და, ღმერთო ჩემო, მაპატიე, მოირა, ისეთი პატარა ხარ, ლამის ვერც კი შეგნიშნე, ვაიცანით, ეს ჩემი შვილიშვილია. ტარვინმა ღიმილით დახედა ქალიშვილს — იგი მართლაც ძალზე მომხიბვლელი იყო.

და აი, ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. მოირა ახლა სარკის წინ იდგა და პუდრს ისვამდა. ტონინოს ელოდებოდა ჩაიზე. მანამდე კი ტანისამოსის გამოცვლაც უნდა მოესწრო. სარკის უკან, ფანჯრიდან, კვიპაროსების ხეთა მწკრივებში თითქმის მთელი ფლორენცია მოჩანდა — ერთმანეთს მიჯარული ყავისფერი საბურავები და მათ შორის ამაყად აღმართული, მზით განათებული, უზარმაზარგუმბათიანი მარმარილოს კოშკი. პო, ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. ტყავის ჩარჩოში ჩასმულმა ჯონის ფოტოსურათმა თავიანთი

ქორწინება გაახსენა. ნეტავი რას მიდევს ეს სურათი ამ მაგიდაზეო, გაიფიქრა. ეტყობა. ჩვეულებას ვერ ღალატობდა. მოირა გრძნობდა. მისი მზრიდან ეს ცოტა უსინდისობაც რომ იყო, მაგიდაზე ისეთი ამბით უდევს სურათი, თითქოს დიდად შეყვარებული იყოს... მოირამ ერთხელ კიდევ უფრო დასწრათს. სურათიდან ჯონის ჰკვიანი, ენერგიული სახე შემოჰყუწებდა. ჯონის ადამიანურ კეთილშობილებაზე მეტად სწორედ მისი მეცნიერული ჰკუა-გონება მოსწონდა. ჯმრის პოეტური სული, სილამაზისა და სიყვარული-საკენ მუდმივი ლტოლვა თითქმის აღიზიანებდა კიდევაც. ამის ხმამალა თქმა საშინელება იყო, მაგრამ სიმართლეს სად გაექცეოდა.

ღიახ, საოცრად აღიზიანებდა მოირას ჯონის კეთილშობილება, ამიტომაც არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად. მაგრამ ჯონიმ ისე აიჩემა. გარდა ამისა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდა ყველას მოსწონდა და, რასაკვირველია, თვით მოირასაც. რომელსაც ეგონა, ჯონი ძალზე საინტერესოდ ატარებდა დროს, რაკი ამდენს მოგზაურობდა. თვითონ ხომ თავი ჰქონდა მობეზრებული პაპის გვერდით ამ კარჩაკეტილი ცხოვრებით. არადა, რამდენი ქალი თხოვდება ასეთი პატარა მიზეზისათვის. თუმცა, ცოლად რომ მიჰყვებოდა, მოირა დარწმუნებული იყო, რომ ერთმანეთს მშვენიერად გაუგებდნენ. სამწუხაროდ, მწარედ მოტყუვდა. რატომღაც მეუღლის კეთილშობილებას ხშირად გამოჰყავდა მოთმინებიდან. ჯონი რაც არ უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყო, სხვას არასოდეს აგრძნობინებდა, თავისი ტკივილით სხვას არ შეაწუხებდა. საერთოდ კი, უცებ შეეძლო გუნება-განწყობილების შეცვლა. თუ საკითხი კიბოს ან ფილოსოფიას ეხებოდა, იგი მოაზროვნე მეცნიერად წარმოგიდგებოდათ, ხოლო თუ ბუნებაზე, სიყვარულზე, ღმერთსა და რაიმე მსგავს თემაზე ლაპარაკობდა, ემოციურ, მოზღვავებული გრძნობებისაგან აღელვებულ პიროვნებად იქცეოდა. ახლაც ყურში ედგა, როგორ უთრთოდა ხოლმე ჯონის ხმა, როცა მოირას სტოვებდა. „რა ლენდსირის ძალღივით კანკალებო“, — უთხრა დამშვიდობებისას ერთხელ მოირამ, სანამ დაქორწინდებოდნენ, და კიდევაც გამოაჩავრა: „ნახვამდის, მოირა“. დაცივნამ ჯონი ძალზე შეურაცხყო. მას ხომ ასე ეამაყებოდა, რომ ადამიანში მალალ სულსა და გრძნობებს უფრო აფასებდა, ვიდრე ინტელექტს. ჰო, ადამიანში ყველაზე მეტად მისი კეთილშობილება ხიბლავდა, ვიდრე მისი დიდი მეცნიერება. გოეთე იყო მისი სათაყვანო მწერალი და პიროვნება. პოეტი და სწავლული, ღრმა მოაზროვნე და შმაგი მიჯნური, ხელოვანი აზროვნებასა და ცხოვრებაში. ჯონის მიაჩნდა, რომ ბევრ რამეში ჰქონდა გოეთესთან საერთო. იგი ხშირად უკითხავდა მოირას „ფაუსტსა“ და „ვილჰელმ ტელს“. ისიც ყოველთვის ცდილობდა ჯონისათვის მოეჩვენებინა, რომ ალტაცებული და მოხიბლული იყო გოეთეთი. სინამდვილეში კი ფიქრობდა, გოეთე ერთი თვალთმაქცი ვილაცააო.

— არ უნდა გავყოლოდი ჯონის, — ეუბნებოდა იგი სარკეში თავის გამოსახულებას და თავს სინანულით აქნევდა.

ჯონი მოფერებისა და მოალერსების გარდა ხშირად მოირას ჰკუასაც არიგებდა, თუმცა მისი ბავშვური უშუალოება მასაც ისევე ართობდა და სიამოვნებდა, როგორც სერ ვატნის და მის მეგობრებს, მისი ეს გულუბრყვილობა და სითამამეც ისევე მოსწონდა, როგორც გონიერი ქალის ჰკუა და გონება. ის კი არა, ზოგჯერ სხვების ყურადღებასაც კი ამახვილებდა მეუღლის ბავ-

შვერ საქციელზე, რითაც იგი ხელახლა მიუძღვოდა მოირას ბავშვობისაკენ. სამაგიეროდ ნაკლებად სიამოვნებდა, როცა მოირა მასზე ხუმრობდა, როცა თავისი უგუნურებით ჯონის კეთილშობილებას შეურაცხყოფდა. ამ დროს იგი მოთმინებას კარგავდა, ცოლს საყვედურებით ავსებდა და უჭკუოს ეძახდა, თუმცა სულ მალე გონს მოეგებოდა და მშვილს, მამობრივი მზრუნველობით აძლევდა რჩევა-დარიგებას. საგონებელს მიცემული მოირა კი გუნებაში ფიქრობდა, სულაც არ ვარ ჯონის შესაფერისიო, მაგრამ სულ მალე ჯონი ისევ გაიღიმებდა და მეუღლენ მოფერებას დაუწყებდა, თუმცა მისი ალერსი მოირას ქვასავით ცივსა და მძიმე გრძნობას უტოვებდა.

— მიუხედავად დიდი შინაგანი დაძაბულობისა, მთელი ცხოვრება სულ იმას ვცდილობდი, ხასიათი შემეწყო ჯონისათვის, — გაიფიქრა მოირამ.

მართლაც მოირამ ჯონის თითქმის ყველა მეცნიერული შრომა წაიკითხა მედიცინა და ფიზიოლოგიაში. წაიკითხა რაღაც სახელმძღვანელოები, თუმცა ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. წაიკითხა მისი ისეთი შრომებიც კი, სათაურებიც რომ ვერ დაიხსომა, ამ მოსაწყენ გოეთეზე რომ აღარაფერი ვთქვათ! მოირა ხშირად დაჰყვებოდა ჯონის საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე, მაშინაც კი, როცა დაღლილი იყო და თავის ტკივილი ძალზე აწუხებდა. ხალხში ყოფნა საერთოდ ღლიდა და ბეზრდებოდა, სამაგიეროდ ჯონისათვის იყო ეს შეხვედრები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო. ეს გაუთავებელი მოგზაურობაც, რომელიც, მართალია, სავსეა საინტერესო შეხვედრებით, მაგრამ საკმაოდ მომჭანცველი და მომაბეზრებელიცაა. სხვა რომ არაფერი, მოირა უბრალოდ, ფიზიკურად ვერ უძლებდა — ის ხომ ასეთი პატარა და სუსტი იყო. ჯონის კი თითქოს ყველაფრის მოსწრება უნდოდა. მიუხედავად მთელი ძალების დაძაბვისა, მოირამ იცოდა, რომ ყოველთვის და ყველაფერში ჩამორჩებოდა ქმარს.

— საშინელებაა, — თქვა ხმამაღლა.

მთელი მათი ცოლქმრული ცხოვრება მართლაც რომ საშინელება იყო. კაცმა რომ თქვას, თავლობის თვეშიც კი არ ყოფილა მოირა ბედნიერი, როცა მთელი დღეები კაპრის მთებში დაეხეტებოდა ჯონისთან ერთად. როცა ჯონი ერთთავად თვალეში შესცივინებდა და სიყვარულისა და მშვენიერების გარდა არაფერი ახსოვდა, როცა ასე გატაცებით უხსნიდა და ასწავლიდა მოირას ხეებისა და პეპლების ლათინურ სახელებს, ასეთი გატაცებით კითხულობდა მოირას საყვარელ მწერალს — უორსვორთს. აი, ამ საშინელი თავლობის თვიდან მოყოლებული იმ დღემდე, როცა ნერვებმოშლილსა და გაღიზიანებულს, ექიმმა სიმშვიდე და ქმრისაგან განცალკევება ურჩია. საშინელებაა! ცხოვრებამ თითქმის გაანადგურა იგი. არადა, ჯერ სად იყო ცხოვრება. ეს ჰგავდა იმ მიცვალებულის სხეულის იძულებით მოძრაობას, როცა საცდელად ნერვს ელექტროსტიმულიზაციით უღიზიანებენ. არა, ეს არ იყო ცხოვრება — ეს თვითმკვლელობას უფრო ჰგავდა.

მოირას ჯონისთან ბოლოდროინდელი უსიამოვნო საუბარი გაახსენდა. მაშინ ექიმს უკვე ნათქვამი ჰქონდა ქმარს ცოტა ხნით განრიდებოდა და ნერვები დაემშვიდებინა. ცოლის ფერხთით მოკალათებულ ჯონს თავი მის მუხლებში ჩაერგო. მოირა ამრეზილი დაჰყურებდა მის შეთხელებულ თმას. ერთთავად მიკროსკოპში ყურებისა და სიყვარულისაგან დაქანცული ჯონი ამ წუთში ძალზე სანტიმენტალური იყო. იგი, გატაცებით ლაპარაკობდა სიყვარულ-



ზე, სილამაზეზე, გოეთეს პოეზიაზე, ლაპარაკობდა შეუსვენებლივ. მოირამ იგრძნო, საცაა მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა და კივილს მორთავდა.

— ღვთის გულისათვის, ჯონ, ღვთის გულისათვის, გაჩუმდი!

— რა იყო? — ამოხედა გაოცებულმა და შეურაცხყოფილმა ჯონიმ.

— როგორ ლაპარაკობ ასე? — უთხრა ბრაზმორეულმა მოფრადმს. — შენ ხომ შენს სიცოცხლეში არც რაიმის სილამაზე გიგრძნია და შენი თავის გარდა არც არავინ გყვარებია, გარდა ჰამბურგელი მოხუცი გოეთესი. შენ კარგად იცი, რას განიცდიან ცნობილი ადამიანები ბუნებასა და ქალთან ურთიერთობაში. ჰოდა, ეს შენი განცდებიც მხოლოდ მიბადვია და მეტი არაფერი.

ჯონი მარტო შეურაცხყოფილი კი არა, გაოცებულაც იყო.

— გესმის კი, რას ამბობ? — ჰკითხა მოირას.

— რას ვამბობ და სიმართლეს, სრულ სიმართლეს. შენ მხოლოდ შენი თავისთვის ცხოვრობ, ისიც ამ მელოტი თავისთვის. — თქვა მან და ისტერიული სიცილი ატეხა.

ჯონი შეურაცხყოფისაგან გაოგნებულყო, მოირა კი იცინოდა და იცინოდა.

— აბა რა გითხრა, ნერვებადა ხარ ქცეული, — უთხრა ბოლოს ჯონიმ და თითქოს დამშვიდდა. საბრალო მოირა, მოირა ნამდვილად ავადაა, — გაიფიქრა მან და ოთახიდან გავიდა.

მოირამ თავი ისე გადააქნია, თითქოს აბეზარი ფიქრები მოიშორა. შემდეგ პომადა გადაისვა და პირველ სართულზე ჩავიდა. სასტუმრო ოთახში ალბათ უკვე ელოდა ტონინო. იგი ყოველთვის ადრე მოდიოდა და მოირას მოთმინებით უცდიდა. ახლაც შევიდა თუ არა, ტონინო წამოდგა და საკოცნელად გაშვერილ ხელზე ნაზად ეამბორა. მოირა მოხიბლული იყო მისი სამხრეთული მანერებით. მეცნიერებასა და პოეზიაში ჩაფლულ ჯონის აბა სად ეცალა დახვეწილი მანერებისთვის! ჯონი არც მაინცდამაინც თავაზიანობით გამოირჩეოდა. ჩაცმა-დახურვაშიც საოცრად დაუდევარი იყო. ტონინოს კი უყვარდა კოხტაობა. აი, ახლაც ამ ღია ნაცრისფერ კოსტიუმს, ამ იასამნისფერ ჰალსტუხს, ამ ტყავის თეთრ ფეხსაცმელს კაცი წუნს ვერ დასდებდა.

მშობლიური ქვეყნის გარეთ ადამიანი ერთგვარად თავისუფალია თავისი კლასის ზნე-ჩვეულებისაგან. მშობლიურ ენასავეთ, ჩვეულებასაც შენი საკუთარი ხალხი გაძლევს, ამიტომაც ადამიანის ლაპარაკით და ქცევით ადვილად ხვდები მისი კულტურის დონეს. უცხოეთში, ცოტა არ იყოს, ძნელია ამით კაცის გამოცნობა, რადგან უკულტურო და გაუნათლებელი ადამიანიც კი, თავისი მშვენიერი საქციელით, შეიძლება გამოირჩეოდეს კიდევაც სხვებისაგან. ამიტომაც ჰერცოგსა და დამზღვევი სააგენტოს შიკრიკს, სპეკულანტსა და ჯენტლმენს შორის განსხვავება შენი გამოუცდელი თვალისა და ყურისათვის ძნელი გასარჩევია. აქი მოირასაც ტონინო იტალიელი დიდგვაროვანი ეგონა. მართალია, იცოდა, რომ იგი შეძლებული არ იყო, მაგრამ პატიოსანი ხალხის უმრავლესობა ხომ ღარიბები არიან. მოირამ იგი იმ გადატაკებული ინგლისელი მემამულის ვაჟიშვილს შეადარა, განცხადებას რომ ათავსებს „ტაიმსში“. დამთავრებული მაქვს სახალხო სკოლა, მაქვს სპორტული მონაცემები, ვეძებ რაიმე კარგხელფასიან სამუშაოს“. მოირას ძალიან ეწყინა, თითქმის აღშფოთდა, როცა სინიორ ბარგიტინიმ ტონინის პირველი ნახვისთა-

ნავე ტიპიური ნეაპოლელი დალაქი უწოდა და თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია. მოხუცი თითქოს მიხვდა, ტონინოს და მოირას ნაცნობობას კარგი არაფერი მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, ტონინო დალაქი არ იყო, მაგრამ არც კეთილშობილთა მაღალ წრეს ეკუთვნოდა — იგი წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი გახლდათ. მამამისს, სინიორ ვაზარს, პოზუოლში საკუთარი რესტორანი შექმნდა გახსნილი და სულ მოკლე ხანში სასტუმროს აშენებასაც აპირებდა. მან ვაჟი-შვილი იმ მეგობართან გააგზავნა გამოცდილების მისაღებად, რომელიც მთელ ფლორენციაში საუკეთესო დირექტორად ითვლებოდა. როცა ტონინო საკმაო გამოცდილებას მიიღებდა, პოზუოლში მამამისი ერთ-ერთი ძველი პანსიონის დირექტორად მოწყობას ჰპირდებოდა. იქამდე კი, აღმა-დაღმა უსაქმოდ დაეხეტებოდა ფლორენციაში. მისის ტარვინის გაცნობა მისთვის ბედის გაღმება იყო. როგორც ყოველთვის მოირა იმ დღესაც მარტო სეირნობდა მანქანით, როცა საბურავს უცბად ლურსმანი შეერჭო და გაიხვრიტა. სხვა გამოსავალი არ იყო, საბურავი უნდა გამოეცვალა. ეს კი მოირასათვის, ცხადია, არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ამ ამბიდან ათ წუთსაც არ გაეგლო, რომ სწორედ ამ დროს ტონინომ ჩამოიარა. დაღლილობისა და ნერვიულობისაგან სახელეწილი მოირა მანქანის საფეხურზე უნუგეშოდ იჯდა. თმა ჩამოშლოდა და თვალებიდან ცრემლები დაპალუპით სცვიოდა.

— უცხოელი ლედი გავიცანი, — საღამოს, კაფეში, ტონინო დიდი თვითკმაყოფილებით ყვებოდა იმდღევანდელ თავგადასავალს. იმ ბურჟუაზიულ წრეში, სადაც ტონინო აღიზარდა, უცხოელი ლედი თითქმის მითიურ, ლეგენდარულ არსებად ითვლებოდა. საგანგებო საუბარში ტონინომ ინგლისელი ახსენა. — ახალგაზრდაა და თან ლამაზიცაა, — დაამატა. ლამაზი ინგლისელი ქალის გამოჩენა ამ კუთხეში უბრალო ამბავი როდი იყო. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, დაექვდნენ მისი მსმენელები. — მდიდარია, — ჩაურთო ტონინომ. ეს კი სულ ადვილად დაიჭერეს. უცხოელი ლედები ხომ თითქმის ყველანი მდიდრები არიან. აღფრთოვანებული ტონინო დიდი გატაცებით ყვებოდა ქალის მანქანასა და იმ საუცხოო ვილაზე, სადაც მოირა ცხოვრობდა.

მათი ნაცნობობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა. ამ ორ კვირაში ტონინო უკვე მეოთხედ თუ მეხუთედ ესტუმრა მოირას.

— ორიოდ ყვავილი მოგიტანეთ, — ახალგაზრდა კაცმა ისე მოიბოდიშა, მაშინვე მიხვდებოდი, ბოდიშს კი არ იხდიდა, პირიქით — თავს იწონებდა. მერე აქამდე ზურგს უკან დამალული ხელი წინ გამოიწოდა და მოირას თეთრი ვარდების მშვენიერი თაიგული მიართვა.

— რა თავაზიანი ხართ, — წამოიძახა დამახინჯებული იტალიურით მოირამ. — რა საყვარელი. ჯონი თავს ასე არავისთვის არ შეიწუხებს. ასეთი ყურადღება ზედმეტად მიაჩნია. — თქვა მოირამ და ტონინოს თბილად გაუღიმა. — გმადლობთ, მრავალგზის გმადლობთ.

ღიმილზე ღიმილითვე უპასუხა ტონინომ და მსხვილი, ჯანსაღი, მარგალიტივით ქათქათა კბილები გამოანათა. ქურციკივით დიდი, შავი თვალები უელავდა. მართლაც რომ საოცრად მომხიბვლელი მამაკაცი იყო.

— მომირთმევია ეს თეთრი ვარდები თეთრი ვარდისთვის, — თქვა ტონინომ.

მართალია, ამ, ცოტა არ იყოს, სასაცილო ქათინაურზე მოირას გაეცინა.

მაგრამ, როგორც ყოველგვარი ქათინაური, ესეც საოცრად ესიამოვნა. ტონინომ სულ ადვილად მოახერხა მოირასთან დაახლოება. გაცნობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მოირამ გადაწყვიტა, საკმაოდ გადახუნებული ჰოლისა და სასადილო ოთახის კედლები გაეახლებინა, ტონინო გვერდიდან არ მოსცილებია. დეკორატივ ტონინომ მოუყვანა, ფერებიც მანძილზე და მუშებსაც ის მოურიგდა. ერთი სიტყვით, ტონინო იყო საქმის ნამდვილი ავანჩავეანი.

— შენ რომ არა, — უთხრა კმაყოფილებით და მადლიერებით სავსე მოირამ, — შენ რომ არა, მე ისეთი გამოუცდელი და უმწეო ვარ, აბა რას გავხდებოდი, მუშები წესიერად არც არაფერს გააკეთებდნენ და ალბათ, გვარიანდაც მომატყუებდნენ.

მოირასათვის ტონინოსნაირი კაცი, კაცი, რომელსაც მის მეტი სხვა საქმე და საზრუნავი არაფერი ჰქონდა, მართლაც რომ დიდი ბედნიერება იყო. აბა ბედის ასეთ შემოტრიალებას რა მოაფიქრებდა მოირას! ჯონისთან თვითონ უნდა ეკეთებინა ყველა მოსაწყენი და მოსაბეზრებელი საქმე. ჯონის თავის სამუშაოს მეტი არაფერი ახსოვდა. აი, ტონინო კი ძალზე უპრეტენზიოა, სულაც არ განსხვავდება სხვებისაგან და მშვენივრადაც იცის, რა უნდა აკეთოს.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ტონინოს გარეშე თითქმის არსებობაც კი აღარ შეეძლო მოირას. იგი მისთვის მეტად სასარგებლო პიროვნება გახდა. ტონინომ მოაწესრიგა ელექტროგაყვანილობა, გაყარა ონავარი ჩიტები, რომლებიც სასტუმრო ოთახში, ბუხრის თავზე იკეთებდნენ ბუდეს. შინაური ეკონომიკის მართვა-გამგეობაც უკვე მთლიანად მის კისერზე იყო. რესტორანში გამოზრდილსა და გამოჩვეილს სურსათისა და ღვინის ფასი როგორ შეეშლებოდა! თუ ხორცი საუკეთესო არ გამოდგებოდა, ყასაბს პირდაპირ სახეში სთხლეშდა ქვასავით მაგარ ბივშტექსს. ბოსტნეულის გამყიდველს იმდენს ევაჭრებოდა, სანამ მუქთად არ დასტყუებდა. თევზის გამყიდველს ტკბილი სიტყვებით გულს ისე მოუგებდა, ბოლოს და ბოლოს ყველაზე საუკეთესო ხარისხის თევზსაც კი ლამის მუქთად აძლევდა, ასე რომ, მთელი იმ ხნის განძავლობაში მოირას სუფრაზე ბარაბული ჯიშის თევზი არ გამოლევია. მოირას ქონების პატრონს შეეძლო 1911 წლის პოლ როჯერის გარდა არაფერი დაეღია, ბოლო სადილი ზეთზე კი არა — უცხოური იაკის კარაქზე დაემზადებინა, მაგრამ ტონინო უბრალო ღვინითა და ზეთით ისე უხვად ამარაგებდა, რომ მოირამ არც კი იცოდა სად წაეღო ამდენი ღვინო და ზეთი. ისინი ახლა ხშირად ლაპარაკობდნენ ფართინგზე, კვარტზე, შილინგსა და ცენტნერზე. ტონინოსათვის სურსათ-სანოვაგესა და ღვინოზე ზრუნვა, მათი ფასი და ხარისხი ძალზე მნიშვნელოვანი რამ გახლდათ. ერთ ბოცა ჩიანტში ექვსის ნაცვლად ხუთ ლირას თუ მისცემდა, თავი გამარჯვებულად მიაჩნდა. უნდა გენახათ, როგორი გახარებული იყო, როცა დაამტკიცებდა, ჩიანტი სამწლიანია და ალკოჰოლის შემადგენლობა თოთხმეტი ცენტით მეტი ღირსო. მოირა ბუნებით არც ხარბი გახლდათ, არც ძუნწი. თავის სიცოცხლეში მას არც უფულობა განეცადა და არც ხვების პირისგემოზე ეზრუნა. სერ ვატნის ყოველთვის საკუთარი მზარეული ჰყავდა. გათხოვების შემდეგ კი ჯონის სულ არ ენალვლებოდა, სადილად რას მიირთმევდა. იგი თვლიდა, უმჯობესია ქალმა დრო უფრო მნიშვნელოვან და ინტელექტუალურ საქმეს მოახმაროს, ვიდრე დღედაღამ სამზა-

რეულოში იტრიალოსო. მოირა ჯონისთან უმეტესად სასტუმროებსა და ქეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობდა და თითქმის ყოველგვარი ხაზრუნავისაგან თავისუფალი იყო. და აი, ტონინომ ახლა ბაზრისა და სამზარეულოს მთელი საიდუმლოება გადაუშალა. მოირა უკვე იმასაც ფიქრობდა, თურმე ჯონისთან ოჯახური წვრილმანები ძალზე მოუგვარებელი მჭობნაო, თუ პირველ ხანებში ტონინოზე ეცინებოდა, ასე გულმოდგინედ რომ ზრუნავდა ხორცსა და ნახევარ პენსზე, ცოტა ხნის შემდეგ მასაც სენივით გადაედო ტონინოს მეოჯახეობის ფანატიკური ენთუზიაზმი. თურმე ხორცი და ნახევარი პენსი ძალზე მნიშვნელოვანია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, მოსაბეზრებელი და თვალთმაქცი გოეთეს კითხვა. ვეჭილებისა და მაკლერების დიდი მეცადინეობით სერ ვატნიმ საკმაოდ დიდი თანხა დაუტოვა მოირას, იმიტომ რომ მას უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ ტონინოს გადამკიდეს სულ დაავიწყდა თავისი ბანკის ბალანსი და ლამის თითოეულ პენსს დაჰკანკალეზდა.

— ფლორენციაში თევზი ძალიან ძვირია, — თქვა ტონინომ ცოტა ხნის შემდეგ, ვარდები რომ მიართვა, — გაუგონარი ფასი ადევს თევზეულს. შედარებაც არ შეიძლება, იმდენად იაფია რვაფეხა ნეაპოლში.

— მართლაც, — თქვა ტონინოსავით გულწრფელად აღშფოთებულმა მოირამ.

მეორე დღეს ცა გუშინდელივით ლურჯად აღარ კამკამებდა — ზეცას რძისფერი ღრუბელი გადაჰკროდა. მზე ხანდახან თუ გამოანათებდა ღრუბლებსა და ღრუბლებს შუა. საავდროდ მოქურუხებულნი ცის ქვეშ ბუნება თითქოს ჩამკვდარიყო. მიწას ბული ასდიოდა. ირგვლივ ფოთოლიც კი არ იძროდა, ჰაერი ისე იყო ჩახუთული, კაცს სუნთქვა უჭირდა. მოირას გაღვიძებისთანავე თავის ტკივილი აჰყვა. მცირეოდენ ხმაურზეც კი მისი სუსტი, დაღლილი სხეული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით თრთოდა და ფრთხილდებდა. მთელი მისი სხეული ნერვებად იყო ქცეული. თვითონაც არ იცოდა, რაზე მოუვიდა უსიამოვნება მოსამსახურესთან. მერე კი, როგორმე გული რომ მოეღბო და შემოერიგებინა, ორი წყვილი წინდა აჩუქა. დილის ტუალეტს რომ მორჩა, გადაწყვიტა, წერილები დაეწერა. მუდმივმა საწერმა კალამმა თითები დაუთხუპნა, ამან ისე გაანერვიულა, კალამი ფანჯრიდან ისროლა და ქვაფენილზე ნამსხვრევეებად აქცია. მერე დასვრილი ხელები გულმოსულმა დიდხანს იბანა, მაგრამ მელანი რომ ვერ მოიცილა, თითები სულ ნემსით დაიჩხვლიტა. იჯდა და სიმწრისაგან ცრემლები დაპალუპით სცვიოდა. ხუთ წუთს არ გაეგლო, ასუნტა შემოვიდა. ატირებულ ქალბატონს რომ შეხედა, შეწუხებულმა ჰკითხა: — რა მოხდა, სინიორა? მოირამ თავი გააქნია: — გადი აქედან, — უთხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ გოგო მაინც ჯიუტად იდგა. ხომ გითხარი, გადი-მეთქი, — გაუმეორა მოირამ. არადა, როგორ აეხსნა ამ მოსამსახურე გოგოსათვის, ამისა და ამის გამო ნემსით თითები დავიჩხვლიტეო. ისე, კაცმა რომ თქვას, ვითომ ისეთი რა მოხდა?

მოსახდენი კი მერე მოხდა. მოირას ბავშვობიდანვე საოცრად ეშინოდა ჰექა-ქუხილისა. დღესაც მისი ეს უგუნებობა ამინდის ბრალი იყო. უზარმაზარი შავი ღრუბლები ზღაპრულ ურჩხულებს დამსგავსებოდნენ. ნელა ეპარებოდა მწუხრი ავისმომასწავებელ მღუმარებაში ჩაფლულ გარემოს. სადღაც

პორიზონტთან, აღმოსავლეთის ცის კაბადონი უცბად ელვამ გაანათა, ამაყად აღმართული აპენინის მწვერვალები წუთით ვერცხლისფერ ბინდში გაერთა და მალე ისევ სიბნელეში შთაინთქა. ბუნება წამით გაირინდა. თითქოს უსასრულობაში იძირებაო — მოირა შიშმა შეიპყრო. ქარიშხლის ეჭყუღვდღღღ შეშისაგან აკანკალებული ფანჯარასთან მიიყუთა და შავად ჩამტანქტანქტან მთებს მიაჩერდა. ამ დროს საშინლად იელვა და მორიას ყურს შორეული ქუხილი მისწვდა, იმდენად შორეული, თითქოს სადღაც, შორს, ღონემიხდილი ზღვა ჩურჩულებსო. მორიას გააყრუოლა. ის იყო, პოლში საათმა ცხრაჯერ ჩამორეკა, რომ ძლიერმა ქარმა ბალისაყენ მიმავალი ბილიკის პირას მდგარ მავნოლიის ხეს ისე ძლიერად დაჰქროლა, თითქოს თითოეულ ტოტს ახლენას უპირებსო. ისევ იელვა. ქარიშხალი ლამის ძირიანად თხრიდა ტანწერწეტა კვიპაროსებს. მალე ქარიშხალმა კიდევ უფრო იმატა და ცამ თითქოს პირი მოიხსნაო, ძლიერი თქეში წამოვიდა. შეშინებულმა მოირამ ის იყო ფანჯარა ჩაკეტა, რომ კვიპაროსების გადაღმა ზეცა ცეცხლის ზოლმა შუაზე გააპო, საშინელმა გრგვინვამ იქაურობა გააყრუა და თითქოს კამარა შეკრაო, ზარითა და ზათქით მიწას დაენარცხა. მოირა ადგილს მოსწყდა, საწოლზე პირქვე დაემხო და სახე ხელებში ჩარგო. ციდან კვლავ ხმაურით მოდიოდა და მოდიოდა ღვართქაფი, ცას გრიალი გაჰქონდა, სახლი ზანზარებდა, ფანჯრის მინები ზრილებდა, იდგა ერთი გრუხუნნი და მეხთატება.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, — იმეორებდა შემკრთალი მოირა. მღელვარებისაგან ხმა წასვლოდა.

— „რისი გეშინია, რა უნდა დაგიშავოს, ან ლოგინში თავის წარგვით რას უშველი?“ — გაახსენდა ჯონის სიტყვები.

მოირას სძულდა ჯონი ამ ჰკუისა და სიმართლისთვის: „ღმერთო, ღმერთო, ღმერთო!“ რაღა დარჩენოდა, იწვა და ღმერთს ევედრებოდა, რომ უცბად სინათლეც გამოირთო. შეშინებულმა თვალები ისე მაგრად დახუჭა, შიგ გრძელი და გამჭვირვალე სისხლისფერი სხივები გაუკრთა. ბოლოს თვალები რომ გაახილა და აღელვებულმა ირგვლივ მიმოიხედა, ოთახში კვლავ ბნელოდა. ადგა, ხელის ფათურით ჩამრთველს, როგორც იქნა, მიაგნო და დიდხანს ამაოდ ატრიალა.

— ასუნტა, ასუნტა! — დაუძახა მოსამსახურე გოგოს.

მერე ფანჯრიდან ჩაბნელებულ ბაღს გახედა — გარეთ ისევ კოკისპირულად წვიმდა.

— ასუნტა, ასუნტა! — შეშფოთებული იძახდა მოირა, რომ სწორედ ამ დროს მეხმა თითქოს ზედ სახურავზე იქექა. ახალმა გაელვებამ კარის სახელური გაანათა. მოირამ კარი გამოაღო და ისევ ხმამაღლა დაიძახა:

— ასუნტა! — მაგრამ მისი ხმა უკუნეთმა შთანთქა.

ზეცა კვლავ გრგვინავდა. ქარიშხლისაგან ჩამტვრეული ფანჯარა უცბად ხმაურით გაიღო და ცივმა ქარმა მოირას თმა აუწეწა. ქარმა საწერი მაგიდიდან ქალაღდის დასტა ფრთებივით ააშრილა და წყვედიადში გააბნია. ერთი ფურცელი ცოცხალ არსებასავით ლოყაზე რომ მოეფათურა, მოირამ ხმამაღლა იკივლა, კარს ეცა და ისეთი ძრწოლით ატანილმა ჩაირბინა კიბე, თითქოს სატანა მოსდევდა. პოლში ასუნტას და მზარეულს შეეჯახა — ისინი ასანთის შუქზე ძლივძლიევობით მიიკვლევდნენ მისკენ გზას.

— ასუნტა, სინათლე! სინათლე აანთე! — და შიშისაგან თავგზააბნეულმა გოგოს მკლავზე ხელი მაგრად მოუჭირა.

ამ დროს კვლავ იჭუხა. შეწუხებულმა ასუნტამ ქალბატონს მიახსენა, სინათლის დამცველები გადაიწვა, მთელ სახლში ერთი სანთელიც კი მოიძებნა და ახლა მხოლოდ ასანთის იმედზეა ვართო.

— მაშ ამ სიბნელეში ასე უსინათლოდ როდემდე ვისხდეთ?! — ისტერიულად იკივლა მოირამ.

ჰოლის სამ ფანჯარაში, სამ სურათად დრეკლებოდა ნიაღვრად ქცეული ბალის მრუმე ჩრდილები. კედელზე დაკიდებული ვენეციური სარკის ციალი მკვდრის ოდნავ გაღებულ თვალებს მოგაგონებდათ.

— მაშ ასე ბნელაში ვისხდეთ? — გაიმეორა მოირამ ჭირვეულად.

— ვაი, ვაი! — წამოიძახა ასუნტამ და ასანთის ღერი ხელიდან გააგდო. ამ დროს ისევ იჭექა. სიბნელეში გაცილებით უმწეონი იყვნენ უნუგეშოდ დარჩენილი ქალები.

ტელეფონმა რომ დარეკა, ტონინო ოტელის მეპატრონის კაბინეტში ბანქოს თამაშობდა. — ტელეფონთან გთხოვენ, სინიორ ტონინო, — უთხრა მეკარემ, — ვილაც ქალი გირეკავთ, — თქვა და მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა.

მედიდური გამომეტყველებით დატოვა ოთახი ტონინომ, მაგრამ რამდენიმე წუთში უკანვე შებრუნდა. ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეთი კი საწვიმრის ღილებს გამალებით იკრავდა.

— მაპატიეთ, უნდა წავიდე.

— მიდიხარ? — იკითხეს გაკვირვებულმა ამხანაგებმა. მაგრად ჩაკეტილი ფანჯრების მიღმა ქარიშხალი ისე ღრიალებდა, თითქოს ქვეყნიერებას დაქცევას უქადისო, — რა დროს წასვლაა, ხომ არ გაგიჟდი?

მათ გაოცებაზე ტონინომ მხრები ისე გულგრილად აიჩეჩა, იმწუთშივე მიხვდებოდით, ამ ღვართქაფსა და მეხთატეხაში გარეთ გასვლა სულაც არ აშინებსო. — უცხოელმა სინიორამ დამირეკა, — აუხსნა ამხანაგებს და თან გული მოუვიდა, მათ ცნობისმოყვარეობას რომ აკმაყოფილებდა. — მოირა ტარვინმა მთხოვა, დაუყოვნებლივ ავიდე ბელოსგუარდოში. ელექტრომცველები გადამწვარა, სანთელიც კი არ ჰქონიათ... წარმოდგენილი მაქვს, როგორი შეშინებული იქნება მოირა.

— კი მაგრამ, ამ თავსხმაში რა წაგიყვანს. შენ რა, ელექტრომონტიორი ხომ არა ხარ! — ბრაზმორეული მეპატრონის ვაჟები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, რაკი გრძნობდნენ, რომ ტონინოს ამით თავისი ვაჟკაცობა უნდოდა მათთვის დაემტკიცებინა.

სავარძელში მესამე ახალგაზრდაც იჯდა. იგი სავარძლის ზურგზე ნებიერად გადაწვა: — ძვირფასო, — თქვა მან სიცილით და ტონინოს თითი დაუქნია: გასამრჯელოდ ალბათ კარგ საფასურსაც მიიღებო. ეს ახალგაზრდა ქალების ცნობილი მუსუსი და აღიარებული მოარშიყე გახლდათ: — წადი, ძმაო, წადი, არ ინანებ, — დასძინა ბოლოს ბერტომ და მის უხამს სიცილს დანარჩენებმაც მხარი აუბეს.

ტაქსი სწრაფად მიჭროდა და ტალახის შხეფებს უხვად აფრქვევდა სველსა და უკაცრიელ ქუჩაში. ტონინო კაბინის ბნელ კუთხეში მიყუდებული იჯდა და ყურებში ისევ ბერტოს სიტყვები ესმოდა. მოირა მართლაც რომ მშვენი-

ერი ქალია, რატომ აქამდე არ მოუვიდა აზრად მისი დასაკუთრება? იგი ცდილობდა მოირასთან მხოლოდ მაღალი წრის ზრდილობიანი კაცი ეთამაშა, თალია, არც ქალს მიუცია რაიმე საბაბი, მაგრამ, სიმართლე რომ იტყვას, თვითონ უფიქრია ამაზე. ისე, უნდა ეფიქრა და ეაქტიურა კიდევ უფრო, რომ ჰკითხო, ქალის ცდუნება ხომ მამაკაცის პირდაპირი მოვალეობაა, ზიზველი და საინტერესო ის კაცია, ვინც მეტ ქალს შეაცდენს, არადა, მოირა მართლაც რომ საყვარელი ქალია, — განაგრძობდა ფიქრს ტონინო და ცდილობდა მოირასადმი ვნება გაღვიძებოდა. რა მშვენიერი შემთხვევა ექნება მამაკაცებში სატრაბახოდ! ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მოირა უცხოელია, თანაც რა მდიდარი! ტონინოს სიამოვნებდა მოირას დიდ მანქანაზე, სახლზე, მოსამსახურეებსა და ვერცხლელზე ფიქრი.

— მგონი მოირას მოვწონვარ კიდევაც. ჰო, ჰო, ნამდვილად მოვწონვარ — ფიქრებში წასულმა ათრთოლებული ხელებით სახე მოისრისა და კმაყოფილებით გაიღიმა. — მოირა! — დაიძახა ხმამაღლა. — მოირა!

კარი მოირამ გაუღო. აქამდე იგი ფანჯარასთან იდგა და გზას მოლოდინით გაჰყურებდა.

— ტონინო! — გახარებულმა ქალმა ორივე ხელი შემოაჭდო კისერზე. მოირას ასე არასოდეს გახარებია ვინმეს ნახვა.

ცამ წუთით თითქოს ღრუბელი გადაიყარა. კარებში მდგარ ტონინოს ქარმა ჯერ საწვიმრის კალთები აუფრიალა, მერე ხმაურით შეასკდა სახეზე და ზედ წვიმის წვეთები შეატოვა. მალე ზეცამ კვლავ შავად შეიკრა პირო. ტონინომ კარი ხმაურით მიხურა და ორივენი უკუნეთ სიბნელეში აღმოჩნდნენ.

— ტონინო, რა კარგია, რომ მოხვედი, ტონინო, რა კარგია...

ქუხილმა ისევ გააყრუა იქაურობა. მოირას შეაფრთოლა: — ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — აქვითინებულმა უცებ თავი ტონინოს ეილეტში ჩარგო და კიდევ უფრო ხმამაღლა ატირდა. ტონინომ ხელი თმაზე გადაუსვა. ისე იღვავა და დივნისაკენ მიმავალი გზა გაანათა. მან მოირა აიტაცა და ოთახი გადაჭრა. მალე იგი სუნთქვაშეკრული ჰკოცნიდა მოირას ცრემლებით დანამულ სახეს. ქალი გაღურსული იწვა მის ღონიერ მკლავებში. ახლა იგი იმ შეშინებულ ბავშვს ჰგავდა, ბოლოს და ბოლოს საიმედო მფარველი რომ იპოვა. ტონინო მოირას გულში იკრავდა და სიყვარულისაგან გახელებული სულმოუთქმელად ჰკოცნიდა, თან წყნარად ჩურჩულებდა: — მიყვარხარ მოირა, მიყვარხარ. ამბობდა ტონინო და ქალს უფრო და უფრო ვნებიანად ეკვროდა. ქალი კი ზამბარასავით დაიჭიმა. ტონინოს მკლავებში მომწყვდეული მისი ტანი დაძაბულობისაგან თითქოს ვახევდა. ხავერდოვანი ლოყები შეუფრთხილდა. სველი ქუთუთოები მღელვარებისაგან უთრთოდა. კოცნისაგან ტუჩები ცვილივით დარბილებოდა — მიყვარხარ, მიყვარხარ, სულს ძლივსღა ითქვამდა კაცი, თითქოს აქამდე სურვილებისაგან დაცლილი მისი არსება ახლა ცდილობდა მოირას აღერსით შეესებულებოდა. სიცარიელე, ქალს რომ თავისკენ იზიდავდა, ისე იწოვდა მოირას, როგორც ცარიელი ჭურჭელი — წყალს. ახლა ქალიც სრულიად მშვიდად, ვნებისაგან თვალებმილულული იწვა ტონინოს ძლიერ მკლავებში, სურდა ბოლომდე დამთვრალიყო მისი აღერსით, სამუდამოდ დაედო მის არსებაში ბინა. კმაყოფილი და ბედნიერი იყო, ასე რომ მი-  
ნებდა ტონინოს ტკბილსა და დაუინებულ ვნებას.

— გასამრჯელოდ კარგ საფასურს მიიღებო, — ბერტოს სიტყვებმა ტონინო ტკბილი ზმანებიდან გამოიყვანა და სიყვარულის სპორტსმენად აქცია. უნდოდა ისეთი მოარშიყეე კაცის როლი ეთამაშა, რომელსაც სულ ადვილად შეუძლია ქალის გულის დაპყრობა. „კარგი საფასური“, იფიქრებდა ქალს, მაგრამ მოირა ახლა მის ყოველ შეხებაზე ისე კანკალებდა, რომ ტონინოს საკუთარი თავისა შერცხვა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა ბერტომ ერთი საათის შემდეგ, როცა ტონინო დაბრუნდა, — შეაკეთე დამცველები?

— ჰო, შევაკეთე.

— ალბათ კარგი საფასურიც მიიღე.

ტონინომ აზარტში შესული სპორტსმენივით გაიღიმა. — ცოტაოდენი, — უპასუხა მან და ასეთი ურცხვი ლაპარაკისთვის მაშინვე საკუთარი თავი შესძულდა. განა შეიძლებოდა ასე უტიფრად იმ მშვენიერი წუთების შებღალვა?! თავის ტკივილი მოიმიზუნა და საძინებელ ოთახში ავიდა. ქარიშხალი დამცხრალიყო და ვარსკვლავებით მოქედილ ცაზე უკვე ბღღერიალა მთვარე ანათებდა. ერთიორად ადიდებული მდინარე არც ხმაურით მოქშუოდა. ქვემოთ, ქუჩაში მთვარისაგან განათებული გუბეები მიცვალებულის ღიად დარჩენილი თვლებივით ცივად ციმციმებდნენ. მდინარის გაღმა გრამაფონზე კარუხოს სიმღერას უკრავდნენ.

სიმღერამ ტონინოს სული აუფორიაქა.

მეორე დილას მშვენიერი ამინდი დადგა. მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნასახიც არსად ჩანდა, ახლად ამოსული მზის სხივები აღმასებლივით აელვარებდა მაგნოლიის ფოთლებზე მიმობნეულ დილის ნამს. ჰაერიც კი არ იძროდა. მოირა საწერ მაგიდას იდაყვით დაპყრდნობოდა და, ქარიშხალი კიდევ ხომ არ არის მოსალოდნელიო, შეშინებული სივრცეს გაპყურებდა. ქარისაგან დარჩენილი ხეები საცოდავად გართხმულიყო მიწაზე. საცალფეხო ბილიკი მიყრილ-მოყრილ ფოთლებსა და ყვავილებს დაეფარა. მიუხედავად მშვიდი და მზიანი ამინდისა, წუხანდელი შიში მოირას ცუდ ზმანებასავით ჩარჩენოდა გონებაში. მან ღრმად ამოიოხრა და თმის ვარცხნა დაიწყო. ჯონ ტარვინის სურათი ისეთნაირად დადგა, რომ პროფილმა პირდაპირ სახეში შემოანათა დიდხანს უმზირა სურათს, თან თმას ივარცხნიდა. მერე უცებ თმის ვარცხნას თავი ანება, წამოდგა, სურათი აიღო და მაღალი გარდერობის თავზე შეაგდო. „ესეც ასე“.. ისევ თავის ადგილას დაბრუნდა და რალაც უსიამო ამბის მოლოდინში კვლავ თმის ვარცხნა განაგრძო.

როცა ჩაიცვა, მანქანით ქალაქში ჩავიდა და ერთი საათი ოქრომჭედლებთან გაატარა.

— ნუ, ნუ მოსწევ ამას, — უთხრა იმ დილით ტონინოს, როცა მან ბუხრის თავზე შემოდებული პორტსიგარიდან სიგარეტის ამოღება დააპირა. — ცოტაოდენი ეგვიპტური გიშოვე, ვიცი, ძალიან გაგიხარდება. ჰო, ჰო, სწორედ რომ შენთვის ვიშოვე, — და მომხიბვლელი ღიმილით ხელში პატარა ამანათი ჩაუღო.

ტონინომ მრავალჯერ გადაუხადა მადლობა, უფრო მეტჯერ, ვიდრე ჩვეულებად ჰქონდა. მერე, როცა ამანათს ქაღალდი შემოაძრო და ხელში დიდი და ელეგანტური ოქროს პორტსიგარი შერჩა, შეცბუნებულმა შეხედა მოირას.

— ხომ ძალიან ლამაზია? — ჰკითხა მოირამ.



— დიდებულია, მაგრამ ეს... — ტონინო წუთით შეყოვნდა, — ეს ჩემ-  
თვისაა?

მოირამ სიამოვნებით გაიცინა მის გაკვირვებაზე. მას ხომ განცვიფრე-  
ბული ტონინო არასოდეს ენახა. მუდამ თავშეკავებული და მოჭრქმუნებული  
ვის სამხრეთულ მანერებს, რითაც ისე მოხიბლული იყო მოირამ, ვინც  
ლალატობდა. ახლა კი მოირა გახარებული იყო წონასწორობადაკარგულ  
ტონინოს დანახვაზე, რომელსაც პატარა ბიჭუნასავით სირცხვილისაგან სახე  
აღეწოდა და მღელვარებისაგან ენა ებმოდა. მოირას ართობდა და სიამოვნებ-  
და მისი ყურება. ამ წუთში მას ისევე მოსწონდა ეს პატარა ბიჭი, როგორც  
დახვეწილმანერებიანი და საზოგადოებისთვის ფრიად მოსაწონი ახალგაზრდა  
კაცი.

— ეს ჩემთვისაა? — გამოაჯავრა მოირამ სიცილით. მერე კი ხმა უცებ  
შეიცვალა და დინჯად ჰკითხა: — ხომ მოგწონს? გასული ღამის მისაგონრად  
მინდოდა რაიმე მეჩუქებინა. ტონინომ ხელები უხმოდ დაუკოცნა. ქალმა ისე-  
თი მოურიდებელი მხიარულებით მიიღო მამაკაცის ალერსი, ისე აულელვებ-  
ლად, თითქოს არაფერი მომხდარაო. არადა, ტონინოს ეშინოდა, ზედმეტი  
თქმით ურთიერთობა არ გაეფუჭებინა, შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მოირა-  
სათვის. ახლა კი ნავსი უკვე გატეხილი იყო. — ასეთი შემთხვევები არ უნდა  
დავივიწყოთო, — ამბობდა მოირა და ვაჟს ალერსზე ალერსითვე პასუხობ-  
და. — როცა კი სიგარეტს ამოიღებ, ყოველთვის გაგახსენდება, რა კეთილი  
რა სათნო იყავი ერთი პატარა, სასაცილო და სულელი გოგონას მიმართ.

ამასობაში ტონინო გონს მოეგო: — ამ ღამეს მუდამ ისე გავიხსენებ, ჩემო  
ძვირფასო, როგორც ყველაზე ღამაზსა და სათაყვანოს, — თქვა ისე, რომ  
მოირას ხელები ხელიდან არ გაუშვია, მერე ქალს მრავალმნიშვნელოვნად  
ჩახედა თვალებში. მოირამ თბილად გაუღიმა. — მოირა! — ალელვებულად  
წარმოთქვა ტონინომ და ქალი ღონიერ მკლავებში მოიქცია. მოირამ თვა-  
ლები მილულა, კაცის მკლავებში მოლოდინით გაინაბა. — მიყვარხარ, მოი-  
რა, — ჩურჩულებდა ტონინო და მისი მხურვალე სუნთქვა ნაზად ელამუნე-  
ბოდა ქალს ლოყებზე, — მიყვარხარ, — ვნებით ჩასჩურჩულებდა და ისევ  
და ისევ გიყვივით ჰკოცნიდა. — გაგიყვებით მიყვარხარ... ჩემო პატარა... ჩემო  
ძვირფასო... — ჩურჩულებდა ტონინო იტალიურად. ცოტათი მაინც, სულ  
ცოტათი მაინც თუ გიყვარვარ, მოირა? — ისეთი დაჟინებით ეკითხებოდა  
ამ სიტყვებს, ისეთი გახელებით ჰკოცნიდა, ამ წუთს იგი ნამდვილი შმაგი  
მიჯნური გახლდათ.

მოირამ თვალები აახილა, ვაჟს სიყვარულით შეხედა, მერე უცებ კი-  
სერზე ხელები მოხვია, მთელი სახე გიჟურად დაუკოცნა და ტუჩებზე ხარბად  
დააკვდა: — მიყვარხარ, ტონინო, მიყვარხარ... — ჩურჩულებდა მოირაც. ბო-  
ლოს მშვიდად მოიშორა ვაჟი თავიდან და, როცა ტონინო ისევ წაეტანა სა-  
კოცნელად, ხელიდან გაუსხლტა.

ღღეები ღღეებს მისდევდა და ზაფხული თანდათან ძალაში შედიოდა.  
სალამოს სიგრილეში საამურად გალობდნენ ბუღბუღები.

— რა სასიამოვნოა, — ჩურჩულებდა თავისთვის მოირა, როცა ბუღბუ-  
ლების სტვენას ისმენდა, — რა სასიამოვნოა, იტალიაში ბუღბუღებიც კი  
საყვარლები არიანო.

მზე ჩაესვენა. მოირა და ტონინო ბაღის ბოლოს, პატარა საზაფხულო სახ-

ლში ისხდნენ და ბინდგადაკრულ ბუნებას მღუმარედ გაჰყურებდნენ. ფერდობს ქვემოთ, ზეთისხილის მუქი ჩრდილების ფონზე, თეთრი აგარაკები და ფერმები მოჩანდა. მოირამ ამოიოხრა, — ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! სასაცილოდ ბედნიერი ტონინო ქალს მივალერსა. „ბედნიერები მუშინაა სასაცილო, როცა ამ ბედნიერების ნამდვილი და დიდი მიზეზი არ არის“, — გაიფიქრა მოირამ, აკი ჯონ ტარვინიც თვლიდა, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა რაიმე საინტერესოს (როგორც თვითონ ჯონი აკეთებდა) ქმნის, ან როცა ღირსეულ ადამიანებთან აქვს ურთიერთობაო. ტონინოს ნაცნობებში კი ასეთი ღირსეული ერთიც არ არის. პიკნიკებზე სიარული და სხვადასხვა მარკის მანქანებზე ლაპარაკი, ჯონის აზრით, საინტერესო კი არა, სათვალავშიც არ იყო ჩასაგდები. დიდი ამბავი, ტონინო თუ მანქანის ტარებას სწავლობდა, ისიც მოირასაგან! სასტუმრო ოთახის ახალ ფარდებზე ზრუნვა ხომ არაფრად ღირდა. იქნება არც ის ღირდა რამედ, ახლა ამ სააგარაკო სახლში, ბუნების ამ მშვენიერებასა და მყუდროებაში ასე ერთმანეთს ჩახუტებულები რომ სხედან. არადა, მოირასათვის სწორად ეს იყო ნამდვილი, უსაზღვრო ბედნიერება.

ტონინომ ხელზე აკოცა: — მეც ბედნიერი ვარ, მოირა, უსაზღვროდ ბედნიერი! — თქვა მან ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე. მოირასთან მართლაც რომ თავს ბედნიერად გრძნობდა. ჩაიქროლებდნენ მშვენიერი, ყვითელი მანქანით და ქვეყანას შურით ავსებდნენ. მოირა ხომ ისეთი კობტა და ელეგანტური იყო, თანაც უცხოელი. ტონინო ამოცობდა მოირათი. ყოველივე ამას მოირას ძვირფასი საჩუქრებიც ემატებოდა. ოქროს პორტსიგარი და გიშრის საბელურიანი ხელჯოხი, რომელიც დაბადების დღეზე აჩუქა... ესეც რომ არა, ტონინოს ნამდვილად უყვარდა მოირა. ახსოვს, მთელი სულითა და გულით როგორ ეფერებოდა იმ ჭექა-ქუხილიან, უკუნეთ ღამეში. საოცარია, იმ ქარიშხლიანმა ღამემ თითქოს უცებ დაბადა ძლიერი და ვნებიანი სიყვარული, რაღაც უხილავი ძალით დააკავშირა ისინი ერთმანეთს. ბერტო რომ არა, ალბათ ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა და ტონინო სრულიად კმაყოფილი იქნებოდა პლატონური სიყვარულისა.

— შე საწყალო, — მოძღვრავდა ბერტო ტონინოს, — შენ სიყვარულისა არაფერი გაგეგება, — ეუბნებოდა იგი და თან რანაირ სასიყვარულო თავგადასავალს აღარ უყვებოდა. როგორც ჩანს, ამ ვაჟბატონისათვის სიყვარული ერთგვარი შურისძიება იყო ქალებზე, მათი სიწმინდისა და პატიოსნებისათვის.

სწორედ ბერტოს შთაგონება გახლდათ მიზეზი, რომ ტონინომ კიდევ სცადა ისეთი საფასურის მიღება, როგორც იმ ქარიშხლიან ღამეს მიიღო მონტიკორობისათვის, მაგრამ მოირამ ძალიან შორს დაიჭირა. იცოდნენ, ხმასაც აღარ ვაგცემ, მაგ ზედმეტი ემოციებისაგან თავს თუ არ შეიკავებო. სხვა რა გზა ჰქონდა ტონინოს, მან მხოლოდ საყვედური შეჰბედა ქალს ასეთი სიმკაცრისათვის. მიუხედავად ამისა, მოირას გვერდით თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. დიახ, ბუხარს მიფიცებულ კატასავით ბედნიერი და კმაყოფილი გახლდათ. მანქანა, სახლი, მშვენიერი უცხოელი ქალი, დიდებული საჩუქრები! განა ბედნიერებისთვის ამაზე მეტი იყო საჭირო?!

ასე მშვიდად გადიოდა დღეები და კვირები. მოირა კმაყოფილი იქნებოდა ბედისა, მისი ცხოვრება მუდამ ასე მხიარულ, მორაკრაკე ანკარა ნაკადულივით თუ იდუნდა, ასე უშფოთველად და უდარდელად თუ გალევდა

სიცოცხლეს. მზად იყო, ამოსუნთქვის უკანასკნელ წუთამდე ასე სავსე ყოფილიყო სიცოცხლითა და სიყვარულით.

ერთ საღამოს მოირამ დეპეშა მიიღო: „ვესწრები ცოტოლოგიურ კონგრესს რომში გზად რამდენიმე დღით შენთან შემოვივლი ჩამოვდინვარ ზურგში შაბათს სიყვარულით ჯონი“. დეპეშა რომ წაიკითხა, საღამო ხანი იყო, მოირა უცებ მოდუნდა, შიშმა შეიპყრო. რატომ უნდა ჩამოვიდეს, რატომ? იმეორებდა გაოგნებული, — მორჩა ტონინოსა და მოირას მშვენიერი მეგობრობა. მისი ჩამოსვლა ყველაფერს გააფუჭებს, ყველაფერს...“ ნათელი საღამო მოირას თვალში უცებ გაფერმკრთალდა. სულ ცოტა ხნის წინ აპენინის მთებიდან რომ დაბრუნდნენ, მოირაზე ბედნიერი ქვეყნად ალბათ არავინ იყო, ახლა კი, ახლა, ეს ბედნიერება სადღაც გაქრა, გულზე ნაღველი შემოაწვა, მზის სხივებით ოქროსფრად განათებულ ზურმუხტისფერ მთებსა და ირგვლივ ლამაზად მიმოზნეულ მშვენიერ ყვავილებს ბინდი გადაეფარა. სადღა იყო მისი მხიარული კისკისი და საუბარი. „არა, მაინც რატომ უნდა ჩამოვიდეს, რატომ?“ — სევდიანი და აღშფოთებული ეკითხებოდა თავის თავს. — ნეტავი რა მოხდება? — გაიფიქრა მოირამ და მთელ ტანში ცივმა ქრუანტელმა დაუარა. სუნთქვა შეეკრა, ისეთმა წინათგრძნობამ შეიპყრო, ლამის ავად ვახდა.

თითქოს ასმა მოციმციმე სანთელმა გაუცისკროვნა ჯონის მომხიბვლელი სახე, როგორც კი სადგურზე მოირას მოჰკრა თვალი.

— ჩემო ძვირფასო, — თქვა და მღელვარებისაგან ხმა ძველებურად აუთრთოლდა. მოირასაკენ საკოცნელად რომ გადმოიხარა, ქალს, რომელსაც მყისვე ჯონის ქუჩყიანი ფრჩხილები მოხვდა თვალში, ლამის გული აერია.

საუზმემ სულ შიშის კანკალში ჩაიარა. სადილად მოირამ ტონინო მოიპატიჟა — უნდოდა ჯონისათვის გაეცნო: ქმრისათვის ტონინოსთან მეგობრობის დამალვა მათ ურთიერთობაში ეჭვის შეტანას ნიშნავდა, მაშინ როცა ცუდი არაფერი იყო მათ შორის. მოირას უნდოდა, ჯონის უსათუოდ ენახა ტონინო, მოეწონებოდა თუ არა, ეს უკვე სხვა საქმე იყო. სინდისი საშინლად ჰქენჯნიდა, თუმცა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ტონინოც და ისიც მართლები იყვნენ. და რომ ის, რაც მათ შორის მოხდა, მხოლოდ შემთხვევის ამბავი იყო. ჯონის კი, რასაკვირველია, ამ პირველსავე დღეს სტუმარი სულაც არ ეხალისებოდა. ცოლს სიბრაზისაგან ხმააკანკალებული საყვედურობდა, მაგრამ სადილზე იგი ისევ ის მკვლევარი მეცნიერი, ისევ ის გონიერი მაძიებელი, ის დიდი ინტელიგენტი იყო. იჭდა და სტუმარს წყნარად ესაუბრებოდა იტალიასა და ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც კი ამ ქვეყანაში ხდებოდა, ეს იქნებოდა პოლიტიკური სიტუაცია, განათლების ახალი სისტემა, სისტემის სამართლის ახალი კოდექსი და სხვა. ტონინოს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ საკითხებზე. ჯონიმ გაცილებით უკეთესად იცოდა ყოველივე, ვიდრე იტალიის მკვიდრმა, რომელმაც სხვა არა იცოდა რა, თუ არა ის, რომ იტალია არის იტალია. მისი და მისი მეგობრების სამშობლო, სავსე ნაირ-ნაირი მაღაზიებით, კაფეებით და მშვენიერი გოგონებით. იტალიაში ყოველდღიური ბრძოლაა გაჩაღებული ფულის საშოვნელად. ხოლო რაც შეეხებოდა ისტორიულსა და ობიექტურ იტალიას, რომლის შესახებაც უამრავი სტატია იბეჭდებოდა და რომელსაც მუდმივად კითხულობდა ჯონი, ეს იტალია სრულიად უცნობი იყო ტონინოსათვის. მისი პასუხები სტუმრის კითხვებზე ბავშვურად

სულელური იყო. კუთხეში მიმჯდარი მოირა თითქოს მწუხარებას დაუმუნჯებიაო, ჩუმად ისმენდა მათ საუბარს.

— რა საერთო გაქვს ამ ახალგაზრდასთან? — ჰკითხა ქმარმა მოირას ტონინოს წასვლის შემდეგ, — ეჭვი არ მეპარება, ძალზე უინტერესო პიროვნებაა.

მოირას არაფერი უბასუხია. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ჯონიმ უცებ ალერსიანად გაიღიმა, ცოლის მიმართ გულში საოცარი ლტოლვა იგრძნო — დავწვეთ, ძვირფასო, — უთხრა მოირას. ქალმა ჯონის თვალელებში კარგად ნაცნობი გამომეტყველება შენიშნა. — ძვირფასო, — გაიმეორა ჯონიმ. „ლენდსერის ძაღლი“ კვლავ გამიჯნურებულყო. მან ქალს მკლავები მაგრად შემოაქდო და სახეზე აკოცა, თუმცა მოირას უსიამოვნად გააფრეოლა, წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ჯონიმ იგი საწოლ ოთახში წაიყვანა.

მარტოდ დარჩენილი დიდხანს იწვა თვალგახელილი და ძრწოლვით იხსენებდა ქმრის გზნებას, რომელიც ამ ბოლო დროს ასე მოსძაღებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა.

— რახან არქეოლოგია მოხუცი სინიორ ბარგიონი, ესე იგი, საინტერესო პიროვნებაა, — დაასკვნა ჯონიმ. — მაგრამ მე იგი სიკვდილივით მძულს, — უთხრა მოირამ, როცა მეორე დღეს ქმარმა მოხუცის მონახულება შესთავაზა. — ყველაფერი მეჯავრება, მისი ხმაც, მისი დაუსრულებელი ლაპარაკიც, მისი ვაბანჯგვლული წვერიც და მისი აუტანელი ცოლიც!..

ჯონიმ თავი ველარ შეიკავა და იფეთქა: — რას ბავშვობ! — დაავიწყდა, როგორ სიამოვნებდა მისი ბავშვური ტიტინი და ჭირვეულობა, ცხადია, თუ ჯონის საქმიანობას არ ეწინააღმდეგებოდა. შენ ალბათ არც კი იცი, რომ ადვილი შესაძლებელია ამ მოხუცის გარდა ცოცხალიც კი არავინ არის, ვისაც ტუსკანის ბნელი წლების ამბავი ეცოდინება.

ჯონი მარტო წავიდა მოხუცთან და იქ საათზე მეტხანს დაჰყო. ლაპარაკობდნენ რომის არქიტექტურასა და ლომბარდის მეფეებზე. მაგრამ, სანამ მასპინძელს დატოვებდა, საუბარმა სულ სხვა ხასიათი მიიღო. თითქოსდა სრულიად შემთხვევით მოხუცმა ტონინოს სახელი ახსენა. ახსენა რამდენჯერმე და დაჟინებითაც. მართალია, ქმარმა განაცხადა, არცოდნა ნეტარებააო, მაგრამ სინიორ ბარგიონის უყვარდა შფოთი და დავიდარაბა. შუახანს მიტანებული მახინჯი, შურიანი და ღვარძლიანი სინიორ ბარგიონი თითქოსდა სამართლიანად იყო აღშფოთებული მოირას საქციელით. მოხუცმა ვითომ მოკეთის ფარისევლური თვალთმაქცობით დაუკოდა გული ქმარს. საწყალი ტარვინი! ტყუილად კი არ ფიქრობდა მოირა წინასწარ გაეფრთხილებინა მოხუცი... სინიორ ბარგიონის, თითქოს ისეთი არც არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთი ისეთი სიტყვა გადაუკრა, ყველაფერი გასაგები იყო.

ბელოსგუარდოსაკენ მიმავალი ჯონი ფიქრებში ღრმად ჩაფლულიყო. მოირაზე ხომ ასეთ რამეს ვერასოდეს წარმოიდგენდა. ალბათ აზრადაც არასოდეს მოუვიდოდა ცოლის ერთგულება შეემოწმებინა, არადა, ჯონი გრძნობდა, რომ მოირას აშკარად მოსწონდა ეს ყოვლად „უინტერესო“ ახალგაზრდა. ვთქვათ, კიდევ მოსწონდა, მიუხედავად ბავშვური ხასიათისა, მას ხომ საკმაო აღზრდა-განათლება ჰქონდა, რათა რაიმე სულელური ნაბიჯი არ გადაედგა. ჯონი იხსენებდა წინა საღამოს, იხსენებდა მთელი ერთად ცხოვრების წლებს და საკუთარ თავს უმტკიცებდა, მოირა სულაც არ არის ვნებიანი ქალი, პი-

რიქით, შეიძლება ითქვას, უგრძობი და ცივიც კიან. მისი ბუნებრივი სიბავშვეც ამ პრინციპს ამაგრებდა. ჯონი დარწმუნებული იყო, მოირა თვითონვე არ მისცემდა თავს უფლებას ვინმეს გამიჯნურობდა, თუმცა შეიძლება ადვილად მოტყუებულიყო. არადა, ეს მოხუციც ძალზე თავდაპერილი და უბოროტო ჩანდა, თუმცა ისიც აშკარა იყო, რომ დიდი სურვილი ჰქონდა ტონინო ავანტიურისტად გამოეცხადებინა. ჯონი სიმწრისაგან სულ ტუჩებს იკვნეტდა.

შინ დაბრუნებულ ჯონის მოირა და ტონინო სასტუმრო ოთახში დაუხვდნენ. ისინი სკამებისთვის ახალ გადასაფარებლებს ათვალეურებდნენ.

— ფრთხილად, ფრთხილად, — ეუბნებოდა მოირა ჩარსავების გადამკვრელს, როცა ჯონი ოთახში შევიდა. ფეხის ხმაზე მოირა შემოტრიალდა და ჯონი რომ დაინახა, ბედნიერსა და ნათელ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ შეეცადა ქმრისათვის არაფერი შეემჩნევიინებინა. — ჯონ, მოდი ერთი ამ სკამს შეხედე, ხომ ვაგონებს მსუქან ხანშიშესულ ქალს, ტანზე კაბა მჭიდროდ რომ შემოტმასნია, რა სასაცილოა, არა?

ჯონის ხმა არ ამოუღია, იგი ქვასავით გაყინული იდგა. ოთახში მყოფთ ცივად მიესალმა და მათ საქმიანობას უცხოსავეით დაუწყო ყურება. ამჯერად იგი სამტროდ მოსულ გადამთიელს მოგავგონებდათ. მოირას და ტონინოს ერთად ყოფნამ, მათმა მხიარულმა განწყობილებამ ეჭვი გაუძლიერა. „საზიზღარი პატარა ავანტიურისტი“, — ფიქრობდა ბრაზმორეული, როცა მოირას უყურებდა.

— ხომ სასიამოვნო ნაქერია? — ჰკითხა მოირამ, ჯონიმ პასუხად რაღაც წაიბუზღუნა.

— ძალზე მოდურიცაა. — დაამატა ტონინომ, — იტალიაში ბევრი მოდური მაღაზიაა. იგი იტალიელებისათვის დამახასიათებელი გრძობითა და დაყენებით განაგრძობდა ლაპარაკს მაღაზიების მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვნებაზე.

— მართლა? — ჰკითხა ჯონიმ ირონიულად.

მოირამ შუბლი შეიკრა. — შენ წარმოდგენა არა გაქვს, რა საჭირო კაცია ტონინო. — თქვა ჩვეული სიტბოთი.

ქებით გაზვიადებულმა ტონინომ კი თითქოს დაიმორცხვა, სულაც არ ვიძსახურებ ამდენსო. ჯონ ტარვინმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. — ოპ, არა, არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ ტონინო ძალზე სასარგებლო კაცია, — თქვა და ხიზლით გაიღიმა.

ერთბაშად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ტონინო წავიდა. სახეგაფითრებული, სიბრაზისაგან ათრთოლებული მოირა ქმარს ეცა: — ჩემს მეგობარს ასე რატომ ელაპარაკები?!

— რატომ და იმიტომ, რომ მისი თავიდან მოცილება მინდოდა, — უპასუხა მღელვარებისაგან ფერწასულმა ჯონიმ. — აუტანელია ამ კაცის ყურება, ასე უსაქმოდ რომ დაეხეტება ამ სახლში. ისარგებლა შენი სისულელით და პარაზიტით ცხოვრობს შენს ხარჯზე.

— ჩემს ხარჯზე? საიდან მოიტანე?

ჯონიმ მხრები შეათამშა. — მადლობა ღმერთს, გაუგებარი არაფერი რჩება.

— ჰოო, ეტყობა ეს იმ მოხუცების ბრალია... — მოირას ახლა გაცილებით მეტად სძულდა მოხუცი ბარჯიონები. — მადლობის მაგიერია იმ დახმა-

რებისათვის, ტონინომ რომ გამიწია, არა? სიმართლე თუ გინდა, მან გაცილებით მეტი გააკეთა ჩემთვის, ვიდრე შენ მთელ სიცოცხლეში შენ მტკიცნიერული შრომებით და შენი გათახსირებული ფაუსტით! შენ უნუგეშოდ დამაგდე, ჩემი ნუგეშისმცემელი კი შეურაცხყავ, ეჭვიანობამ გაგაცოფა, რაკე მკაყოფილი მნახე.

ამასობაში ჯონიმ გონება მოიკრიბა. — სულაც არ ვეჭვიანობ, — თქვა და მშვიდად განაგრძო, — მაგრამ არ მინდა ნეაპოლის ჯურღმულების შავ-გვრემანი ჭაბუკის მსხვერპლი გახდე.

— ჯონ!

— თუნდაც პლატონური სიყვარულის მსხვერპლი. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც არის, მაგრამ... — ლაპარაკობდა ცივად, ნელა. ცდილობდა რაც შეიძლება მეტად ეტკინა გული მოირასათვის. — არა, როგორ მოახერხე, ასე უცებ როგორ დაუახლოვდი?

მოირამ პასუხი არ გასცა. შეტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

ტონინო უკვე მთის ძირას იყო მისული, მანქანის დაყინებულმა საყვირმა რომ მოახედა — დიდი ყვითელი მანქანა შეუძჩნევლად წამოსდგომოდა.

— მოირა! — წამოიძახა განცვიფრებულმა. მანქანა ლამის ზედ ცხვირთან გაუჩერა მოირამ.

— დაჯექი! — ისე უბრძანა თითქოს მასზეა გაბრაზებულიო. ტონინო უთქმელად დაემორჩილა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ტონინომ.

— მეც არ ვიცი. მოდი, ბოლოგნის გზით მთებში ავიდეთ.

— აბა როგორ, არც ქუდი გახურავს და არც პალტო წამოგიღია.

პასუხად მოირამ გაიცინა და მანქანა მთელი სიჩქარით მოწყვიტა ადგილიდან.

ჯონიმ ის საღამო მარტოობაში გაატარა. ცოტა არ იყოს თავს უსაყვედურა „მოირას ასე სასტიკად არ უნდა მოვქცეოდიო, მაგრამ მაშინვე თავი დაიმშვიდა — რომ დაბრუნდება, მოვეფერები და ჩემს დანაშაულს ალერსით გამოვისყიდო, ისე, ალბათ, არც მოირა დამაკლებს, ალბათ საყვედურებით ამავსებს, მაგრამ წყნარად უნდა ავუხსნა და როგორმე გავაგებინო, რა საფრთხე ემუქრება ცუდ ადამიანებთან მეგობრობით. მართალია, არასასიამოვნო თემაზე კი მექნება საუბარი, მაგრამ ვეცდები, მშვიდი და აუღელვებელი ვიყო. მაგრამ სადილობიდან თხუთმეტი წუთი რომ გავიდა და მოირა კი არა და არ გამოჩნდა, განწყობილება შეეცვალა: — მებუტება... კი ბატონო, რაც უნდა ის ქნასო, — გაიფიქრა, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად მღელვარება ემატებოდა, გული მძლავრად უცემდა. შუალამემ რომ მოატანა, სიბრაზემ გაუარა და ახლა რაღაც ცუდის მოლოდინი დაეუფლა. — ნუთუ რამე შეემთხვა? — ადგილზე ვერ ისვენებდა, ძალზე ღელავდა, ბოლოს ადგა და დასაძინებლად გავიდა. ოცი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ კიბეზე მოირას ნაბიჯის ხმა გაისმა, რასაც კარის ჯახუნიც მოჰყვა. ჰო, მოირა უვნებელი დაბრუნდა და ჯონის გული კიდევ უფრო მტკივნეულად შეეკუმშა. იწვა და მოირას შემოსვლას უცდიდა, ღამე მშვიდობისას მისურვებს თუ არაო.

ამასობაში მოირამ ტანსაცმელი გაიხადა. ისევ თვალწინ ედგა ყოველივე, რაც კი სახლიდან წასულს გადახდა. დიდებული სანახავე იყო მთაში მზის

ჩასვლა. დასავლეთის ფერდობები ვარდისფრად ელავდა. ქვევით შავად პირდაღებული უფსკრული გაწოლილიყო. ამ მომნიბვლელ სანახაობას სულგანბული მიჩერებოდნენ მოირა და ტონინო. — მაკოცე, ტონინო, — წაიჩურჩულა უცებ მოირამ. კაცის მხურვალე ტუჩებმა მოირა უფრო აღაგზნებდა მაგრად მიეხუტა ტონინოს ძლიერ მკერდზე. ქალი განაბული უსძინდა მაკოცე კაცის გულის ძგერას. ჩანდა, არც ტონინო იყო მშვიდად, მის გულს ბავიბუგი გაუდიოდა და ლამის საგულედან ამოვარდნას ლამობდა. ასეთი აღელვება ტონინოსათვის უჩვეულო იყო, ჰო, უჩვეულო იყო ყოველივე ეს იმ ტონინოსათვის, მზიარულადაც რომ იცინოდა, არც ლამაზ ქათინაურებს იშურებდა, არც ყვავილების მოტანა ავიწყდებოდა მოირასთვის. მასთან ურთიერთობა ქალს რაღაც იდუმალი. და საოცარი სინაზით ავსებდა. უცბად ჯონი ვაახსენდა და შეაქრქოლა, მისი ჩამოსვლით თითქოს უზარმაზარი შავი ღრუბელი ჩამოწვა მათ თავზე. ჯონიზე ფიქრი რომ მოეცილებინა, თავი გააქნია და — მაკოცე, ტონინო, მაკოცე. — ისევ გაუმეორა კაცს. ამასობაში ბინდი ჩამოწვა. მთები თითქოს ჰორიზონტის ბუნდოვან ჩრდილებში ჩაიკარგნენ. — მცოცვა, — თქვა აკანკალებულმა მოირამ. — მოდი წავიდეთ. უღელტეხილზე ერთ პატარა სასტუმროში ისადილეს. კარგა ხნის შეღამებული იყო, გზა რომ გააგრძელეს. ტონინომ მკლავი მოხვია და ყურის ძირში მაგრად აკოცა. ქალის თმა უსიამოდ მოხვდა პირში.

— პირდაპირ არხისაკენ მიბიძგებ, — მზიარულად გაიციინა მოირამ, მაგრამ ტონინოს არ ეცინებოდა, — მანქანა მართლაც ზედ არხის პირას მიქროდა. — მოირა, მოირა, — მუდარით იმეორებდა შეშინებული. — მოირა! მოირამ ტონინოს ვედრება ისმინა და მანქანა გააჩერა. მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, წაბლის ხეივანში უკვე კუნაპეტი ღამე ჩამოწოლილიყო...

მოირა ტანსაცმლის გახდას მორჩა და სარკის წინ თავი შეათვალიერა. მის ფერმკრთალ სხეულს ახლა ვარდისფერი დაჰკრავდა. იგრძნო მოირამ, რაღაც ახალი სასიცოცხლო ძალა რომ შემატებოდა.

ჯონიმ კარგა ხანს იცადა, — კარგი, რაკი ასეა, — გაიფიქრა ცოტა არ იყოს ღვარძლიანად, — ვნახოთ, ვინ ინანებს. ბოლოს სინათლე ჩააქრო და მშვიდად ჩაიძინა. მეორე დღეს კი არც რომში წავიდა არც ციტოლოგიურ კონგრესს დაესწრო და არც ცოლს გამოემშვიდობა, ისე დაბრუნდა ინგლისში. მოირა ქკუას ისწავლისო, იფიქრა, მაგრამ „მადლობა ღმერთსო“, შვეტით ამოისუნთქა მოირამ, როცა ჯონის გამგზავრება შეიტყო. მერე კი უცებ ძალზე შეეცოდა ქმარი. იმ წუთში თავს ბედნიერად გრძნობდა, რაკი ერთხელ მაინც მიეცა საშუალება ჯონი შეეცოდებოდა. ამავე დროს მისი დიდი მადლობელიც იყო, რომ არ ჩამოსულიყო, ასე მკაცრად რომ არ მოჰქცეოდა, ტონინოსა და მოირას შორის არაფერი მოხდებოდა. საბრალო ჯონი!

ნათელი, წყნარი დღეები ერთმანეთს მისდევდნენ. თუ ჯონის ჩამოსვლამდე მოირას ცხოვრება მოჩუბჩუხე ნაკადულივით აუმღვრევლად მიედინებოდა, ახლა მშფოთვარე და ამობოქრებულ მდინარეს დაემსგავსა. მაგრამ მისი და ტონინოს სიყვარული დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ეს სიყვარული ჯოჯობეთად ექცა. ტონინო მას ნამდვილ მაცდუნებელ სატანად მოევლინა. ლამის ქკუიდან შლიდა მისი თეთრი კბილები, შავი თმა, გრძელი, ჯიშინი კიდურები. ერთავად ტონინოსთან ყოფნა ენატრებოდა. როცა ერთად იყვნენ, მთელ დროს მის ალერსში ატარებდა. მახინჯი თოჯინასავით თმას ხან შუბლ-

ზე ჩამოუჩეჩავდა, ხან რქებივით აუგრებდა. ბოლოს, როცა მისი ფანტაზია განსაკუთრებულ სასაცილო ეფექტს მიაღწევდა, ალტაცებულ ბავშვივით ტაშს შემოჰკრავდა და იქამდე იცინოდა, სანამ თვალებიდან ცრემლები არ წამოუვიდოდა. — რომ დაგანახა, რას ჰგაეხარ! — წამოიძახებდა ალტაცებული მოირა. — თოჯინასავით ერთობი ჩემზე, — პასუხობდა მისთვის ცხოვრილი ტონინო, მოირა წუთით დადინჯდებოდა, მერე კისერზე შეკრწევს შეხობდობდა და სულმოუთქმელად კოცნიდა.

მარტოდ დარჩენილი სულ ტონინოზე ფიქრობდა, სულ მასთან ყოფნა ენატრებოდა, თუმცა ეს სიახლოვე ხშირად შეურაცხყოფის ფასადაც კი უჯდებოდა. ტონინო ახლა თითქოს თავსაც კი არიდებდა, მოვალე, ხშირად ტყუილად ჰპირდებოდა, მოირა კი ხან ტელეფონით ურეკავდა და ეძებდა, ხან მანქანით. ერთხელ, შუალაშე უკვე გადასული იქნებოდა, ტონინო რომ გააღვიძეს — ვიღაც ქალი გთხოვსო, ძირს რომ ჩამოვიდა, მოირა მანქანაში იჯდა და ჭკითინებდა: — არ შემეძლო, გესმის, არ შემეძლო. მაგრამ ქალის ცრემლმა ტონინოს გული ვერ მოუღბო, ის კი არა, დაუდევრადაც მიახალა, პირდაპირ მაგიუებს შენი საქციელიო. ფერდაკარგული, ტუჩებჩატეტილი, თვალცრემლიანი მოირა კი იჯდა და ჩუმად უსმენდა მის საყვედურებს. ბოლოს ტონინო გაჩუმდა. — შენ რომ იცოდე, ტონინო, რომ იცოდე... ქალმა მისი ხელი აიღო და მორჩილად აკოცა.

მერე კი... მერე ტონინო დიდი სიამაყით უყვებოდა ბერტოს თავის სასიყვარულო თავგადასავლებს. ბერტო ინტერესით კითხულობდა, უცხოელი სინიორა ისეთივე ცივი იყო, როგორც ყველა ჩრდილოელი ქალი, თუ არაო.

— პირიქითო, — არწმუნებდა ტონინო მოსაუბრეს.

ტონინოც ისე როდი იყო შეყვარებული, როგორც მოირა. მისთვის არც ეს ქალი იყო პირველი და არც ეს გატაცება, მოირა კი მთელი სულითა და გულით მიეცა ამ სიყვარულს. არადა, სწორედ მისი ეს თავშეუქავებელი გატაცება იყო, ტონინოს რომ გულს უცხებდა. ახლა მან მოირასაგან ყველაფერი მიიღო, ეს ქალი ახლა უკვე მისთვის საინტერესო აღარ იყო. აშკარაა, მოირა იოლად დანებდა ტონინოს და სწორედ ამ დანებებით დაკარგა მის თვალში თავისი ღირსება იმ ქალებთან შედარებით, ვინც კი ოდესმე ტონინოს ჰყვარებია.

და აი, უცებ ტონინოს დამოკიდებულება მოირას მიმართ კვლავ შეიცვალა: ახლო ურთიერთობა პატივისცემაში გადაიზარდა. დიდი ხნის უნახავ მოირას — როგორა ხარ ძვირფასო, — ჰკითხავდა, კეთილი მეგობარვით მოეფერებოდა, ყოველგვარი გრძნობის გარეშე. ზურგსა და მხრებზე ხელს ცხენივით მოუთათუნებდა, არხეინად შეჰყურებდა, მოირა როგორ დარბოდა და მის საქმეებს როგორ აგვარებდა. ქალი ბედნიერი იყო ამით და სულაც ვერ ხვდებოდა, ეს ყველაფერი როგორ ამცირებდა. ტონინომ იცოდა, იგი ძალღივით ერთგული რომ იყო, ისე აღმერთებდა, სულს არ დაიშურებდა. ქალის ხელში მისთვის გამზადებულ რაიმე ძვირფას საჩუქარს რომ დაინახავდა, ჯერ თავს მოიკატუნებდა, მერე კი სიამოვნებით იღებდა. რა საჩუქარი არ მიუღია მოირასაგან — მარგალიტის ქინძისთავი, ალმასის თვლები, ოქროსა და პლატინის ძეწკვები, მაგრამ არც მოირას ერთგულება იყო მთლად უანგარო — სიყვარულის წილ ისიც სიყვარულს თხოულობდა, ალერსი და სითბო ეწადა, უფრო მეტიც, ერთთავად იმას ესწრაფოდა, სულ გვერდით ჰყოლოდა ტონინო. თა-



ვის კუთვნილებად ექცია. დიდმა სიყვარულმა ლამის მტარვალად აქცია. საბრალო მოირა! სულაც ვერ ხვდებოდა, თავი სწორედ ამ უსაზღვრო ერთგულებითა და გადაჭარბებული სიყვარულით რომ მოაბეზრა. ტონინო მესაღდუმლემ, ყოვლისმცოდნე ბერტომ ურჩია, თავი მკაცრად დაექირა, — თავისი ადგილი უნდა მიუჩინო, არ უნდა გაანებივროო.

ბერტოს რჩევით, ტონინო ახლა იშვიათად დადიოდა მოირასთან. სულ უდროობას უჩიოდა, სამუშაოზე ძალზე დაკავებული ვარო, — წუწუნებდა. მარტოდ დარჩენილი, მოირასაგან თავგაბეზრებული ტონინო თავს შესანიშნავად გრძნობდა. შეშფოთებული მოირა კი გამოსავალს იმაშილა ხედავდა, ყოველდღე ახალ-ახალი საჩუქრები დაემზადებინა. აი, ახლაც ქარვის მუნდ-შტუკიც აჩუქა. ტონინო ჩვეულებრივ ჯერ ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ საჩუქარი რასაკვირველია, მაინც აიღო და პასუხად მოირა მხოლოდ გააცვილა. უკეთესი შედეგი არც აღმასის ქინძისთავს მოჰყოლია. ტონინო მოირასთან საუბარში გადაკრულად ხშირად ახსენებდა თავის მომავალ კარიერას, თან სულ უდროობას უჩიოდა. აქაოდა, ისეთი დაკავებული ვარ, შენთან მოსასვლელადაც ველარ ვიცლიო. ერთ დღესაც მოირას კინაღამ წამოსცდა, ჩემზე უკეთეს კარიერას ვინ შეგიქმნის, რასაც კი მოისურვებ, ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ... მაგრამ ჯონის ზიზლით სავსე სიტყვები გაახსენდა და თავი შეიკავა. — დარჩი ამალამ, — შეევედრა იგი და მკლავები ყელზე რომ შემოაქდო, ტონინო იძულებული გახდა ქალისათვის ეკოცნა. — სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ ამ საღამოს გადაუდებელი საქმე მაქვსო, — ეს გადაუდებელი საქმე კი ბერტოსთან ბილიარდის თამაში გახლდათ.

მოირამ მდუმარედ შეავლო თვალი, შემდეგ მკლავები მოწყვეტით მოაშორა და უხმოდ გატრიალდა, ტონინო ისე გულგრილად, თითქმის სიძულვილითაც კი შეჰყურებდა.

ზაფხულის მცხუნვარე მზის სხივებმა მოირას სულში ვერ შეაღწია, ვერ გაუნათა სევდისაგან ჩაბნელებული სული. მოუსვენრობა და უხალისობა ერთმანეთს ენაცვლებოდა. მთელ დღეებს მწუხარებაში ატარებდა. ნერვებმა ერთხელ კიდევ უღალატეს და თითქოს მისგან დამოუკიდებლად იწყეს ცხოვრება. მოირა ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია თავისი დასუსტებული ნერვებისათვის, მაგრამ ძალა არ შესწევდა. სულაც არ უნდოდა ასეთ ყოფაში ენახა ტონინოს, არადა, როცა კი მოდიოდა, მოირა თითქმის ყოველთვის გაბრაზებული ან ისტერიულად ატირებული ხვდებოდა. — რა მემართება? — სასოწარკვეთილი ეკითხებოდა თავს, — ასე რატომ ვიქცევი? ამით ხომ თავს ვაძულებო, — ფიქრობდა, მიუხედავად ამისა, თითქოს სატანა დაჰპატრონებოდა მის სულს, თავს ვერ ერეოდა. მოირას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ავად იყო. კიბეზე ასვლისას, წუთით თითქმის გულისცემაც კი უჩერდებოდა, თვალებზე ბინდი ეფარებოდა, ყოველდღე საშინელი თავის ტკივილი აწუხებდა, პირში, საჭმლის ჩადებაც არ უნდოდა, მაგრამ რასაც ჭამდა, ვერც იმას ირგებდა. ისედაც თხელი, გამხდარი სახე ჩამოუდნა, თვალებადლა იქცა. სარკეში რომ ჩაიხედავდა, თავზარი ეცემოდა — თითქოს ერთბაშად მობერდა, არასასიამოვნო სანახავი გახდა. ამ ამბის გამო ძალიან იტანჯებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, ტონინომ ამიტომ აიყარა ჩემზე გულიო. — დამალა ამ ქალმა, — იტყოდა მოირასაგან დაბრუნებული ტონინო და ამოიხრებდა. — თუ ასეა, რას უყურებ, ადექი და დაანებე თავიო. — არხეინად ურჩევდა

ბერტო. იგი ხომ ძალზე მკაცრი მსაჯული გახლდათ! ტონინო ეწინააღმდეგე-  
ბოდა — საწყალი ქალი ისედაც უბედურია, რაღა ჩემი მიტოვება უნდაო. სი-  
ნამდვილეში კი კარგ სადილებსა და მდიდრულ მანქანას ვერ ელევოდა, ვერ  
ელევოდა იმ ძვირფას ტანსამოსს, რომელსაც უხვად ჩუქნიდა მორია, ისე კი  
ჯაუთავებლად წუწუნებდა. ერთ საღამოს მისმა ძველმა მეგობარმა კარლო მე-  
ნარდიმ თავის დასთან მიიპატიჟა. ამის შემდეგ ტონინომ ბუზლუნს უკლო.  
ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდას, ჯანმრთელსა და სიცოცხლით  
სავსე ლუიზა მენარდის ძალზე გამომწვევი გარეგნობა ჰქონდა. შავი, დიდი  
თვალები ვნებიანად უელავდა, ყველაფერში უტეხი და თამამი, მოურიდებელი  
უნის პატრონიც იყო. ლუიზას გაცნობის მერე ტონინო მოირასთან უფრო ხში-  
რად უჩიოდა მოუცლევლობას. მარტოდ დარჩენილი მორია ერთთავად მხო-  
ლოდ ტონინოზე ფიქრობდა — ახლა მისთვის უკვე სრულიად აშკარა იყო,  
რომ ვაჟი უტიფრად ტყუოდა.

შემდეგ სრულიად მოულოდნელად ტონინომ ისევ შეცვალა მოირასთან  
დამოკიდებულება. იგი ერთხელ კიდევ გახდა თვინიერი და ნაზი, მზრუნვე-  
ლი და მოსიყვარულე. თუ წინათ მის ცრემლებსა და ისტერიულ კივილზე  
მხრებს გულმოსული აიჩეჩავდა, ახლა მის ამ საქციელს ალერსით პასუხობდა,  
მალე მოირასაც გადაედო მისი ეს განწყობა, თანდათან ისიც დამშვიდდა და  
ისევ ძველ მორიად იქცა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, გულიდან თითქოს მისი  
სიცოცხლისა და ბედნიერების მტერი — სატანა განდევნა და თვითონ კვლავ  
სიცოცხლეს დაუბრუნდა.

„ჩემო ძვირფასო ბიჭო, — სწერდა სინიორ ვაზარი ტონინოს თავის მკვე-  
რმეტყველურსა და მწუხარებით სავსე წერილში, — მე არ ვეკუთვნი იმათ  
რიცხვს, ვინც მთელი სიცოცხლე უბედობას უჩივის. მაგრამ არის რაღაც  
ისეთიც, რომელსაც ყველაზე უძლიერესი ადამიანიც ვერ გაუძლებს, რაღაც  
დარტყმა, რომელიც...“ მთელი წერილი მხოლოდ სიტყვების ეს რახარუხი  
იყო. ასე თუ ისე, ამ ენამზიანი წერილით მამა ტონინოს ატყობინებდა, მომა-  
ვალი თვის პირველი რიცხვებისათვის ორმოცდაათი ათასი ფრანკი მჭირდება,  
ალბათ დიდი ოტელისა და რესტორნის გაყიდვაც მომიწევსო, და წერილის  
ბოლოს თითქოს მორიდებით სთხოვდა, ხომ არ შეგიძლია რაიმეთი დამეხ-  
მაროო.

— ნუთუ მართლა ასე გწერს? ძალიანაც კარგი, — თქვა მორიამ ბედ-  
ნიერი ღიმილით და ტონინოსაკენ გადაიხარა. ვაჟმა თვალები დაუკოცნა. უმ-  
თვარო ღამე იყო, ლეგა ღრუბელი სქლად გადაჰფარვოდა ვარსკვლავებს. ზე-  
თისხილის ხეებს გადაღმა ელვამ გააპო ზეცა. ელვას ქუხილი მოჰყვა. — ძვირ-  
ფასო, — დაიწყო ტონინომ, არ იცოდა, ეთქვა თუ არა, ღირდა თუ არა ახლა  
ამაზე საუბარი. ბოლოს გადაწყვიტა ორიოდე დღე კიდევ დაეცადა. დარწმუ-  
ნებული იყო, ამ დროს მათი ურთიერთობა არ გაუარესდებოდა.

ტონინოს ანგარიში გაუმართლდა. მორიამ ფული ყოველგვარი ფიქრის  
გარეშე, სიხარულით მისცა. ტონინო ჩვეულებისამებრ ჯერ ცოტა შეყოყ-  
მანდა, თუმცა ჩეკი რომ გამოართვა, ისეთი სახე ჰქონდა, სწარულით ღამის  
ტიროდა. — შენ კეთილ ანგელოზად მომევილინე, მთელი ჩვენი ოჯახი გაჭირ-  
ვებიდან იხსენი. — ამბობდა ათრთოლებული ხმით და თან ჰკოცნიდა. მოი-  
რას ბედნიერებისაგან ცრემლი დაჰალუპით სცვიოდა. ჯონი ხომ ასეთ რამეს

არასოდეს ეტყოდა. ფულის ჩექთან ერთად მოირამ ვერცხლის სავარცხელიც აჩუქა აქაოდა, არ გეგონოს, ამ ფულმა რაიმე ხინჯი და ცვლილება შეიტანოს ჩვენს ურთიერთობაშიო. ტონინო თითქოს მიხვდა მოირას სიკეთესა და დიდ-სულოვნებას და გული მოუღება. რა კეთილი ხარ, — აიჩემა. ამჯერად მას მარ-  
თლაც შერცხვა თავისი თავისა.

— მოდი, ხვალ მანქანით სადმე შორს წავიდეთ, — შესთავაზობდა ტონინო მეორე დღეს ლუიზასთან და მის ძმასთან ერთად აპირებდა წასვლას. მიუხედავად ამისა, ახლა ისე იყო მოხიბლული, ერჩია ისევ ლუიზა გაეწირა და მისთვის კი უარი არ ეთქვა.

— კი ბატონო, წავიდეთ. — დაიწყო ტონინომ, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, — მოირა სად წაუვა, ლუიზას კი შედარებით იშვიათად ხვდება. — უპ, სულ არ დამავიწყდა! — უცბად შებღბუე ხელი შემოირტყა, — ხვალ მილანიდან სასტუმროს კომპანიის მმართველს ველოდებით.

— შენი იქ ყოფნა აუცილებელია?

— სამწუხაროდ აუცილებელია.

ენით უთქმელი სევდა მოერია მოირას. მეორე დღეს ლამის ჰკუიდან გადავიდა. ასე ეუღლად თავი არასოდეს უგრძვნია, ასე მგზნებარედ არც ტონინო ჰყვარებია, არც მასთან ყოფნა სდომებია ასე ძალიან როდისმე. თავი რომ დაეღწია ამ საშინელი მარტოობისა და მოწყენილობისათვის, რომლითც ასე სავსე იყო სახლიც, ბაღიცა და, როგორც მოირას ეჩვენებოდა, მთელი სამყაროც კი, მანქანა გამოიყვანა და ალაღბედზე დაადგა გზას. ერთი საათის შემდეგ იგი უკვე პისტორიაში იყო. ეს ადგილიც ისევე სძულდა, როგორც ყველა დანარჩენი. იგი მალევე გამობრუნდა უკან. პრაქტოში ბაზრობა გაეშარათ. იმდენი ხალხი ირეოდა, ფეხს ვერ აუქცევდი კაცი. ჰაერში მტვრის კორიანტელი იდგა. ხმაურისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ქალაქის შესასვლელთან, მზით გაბრწყინებულ მინდორში, კარუსელი ტრიალებდა. გასაყიდი საქონელიც ბლომად გამოეფინათ. მოირამ მანქანა გააჩერა და ბრბოს დაუწყო თვალიერება, მერე კარუსელს შეხედა ზიზლით. ღმერთო, როგორ სძულდა ახლა ყოველივე! და აი, უცებ კარუსელის ერთ-ერთ გედზე აბრეშუმის ვარდისფერკაბიან ქალიშვილთან ერთად ტონინოს მოჰკრა თვალი. ამ დროს კარუსელმა ზევით აიწია და გედი მზის ჩახჩახა სხივებში გაუჩინარდა. მუსიკა განუწყვეტლივ უკრავდა და ვილაც მღეროდა: „საწყალი მამა, რომელმაც ვერაფერი იშოვა...“ აი, გედი ისევ გამოჩნდა. ვარდისფერკაბიანი ქალიშვილი იჭდა და ტონინოს ბედნიერი უღიმოდა. ეტყობოდა, ძალზე ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, არაჩვეულებრივად ლამაზი და ვულგარული იყო. ტონინო რალაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა, მაგრამ საშინელი ხმაური იყო და არაფერი ისმოდა. ქალიშვილი ტონინოს თვალებში შეჰყურებდა და იცინოდა. სიცილიც კი გრძნობამოჭარბებული ჰქონდა. ტონინომ ხელი შიშველ, მზით გარუჯულ ხელზე მოუჭირა. ამასობაში გედი ერთხელ კიდევ გაუჩინარდა მზის სხივებში. თავჩაქინდრული მთვლემარე ცხენები მორჩილად იდგნენ, ეტყობა, გამალეებული ვაჭრობა იყო. მოირას ზურგიდან გაბმულად და დაჟინებით აძლევდნენ საყვირს. ის კი იდგა და ადგილიდან არ იძროდა, არადა, ვილაცა დაჟინებით თხოულობდა გზას, მაგრამ მოირა ყურადღებას არ აქცევდა. ისევ გამოჩნდა გედი და... ამჯერად ტონინომაც მოჰკრა თვალი მოირას. აი, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ტონინოს სახიდან სიცილი მყის-

ვე გაუქრა. „რას გაშეშებულხართ!“ გააფთრებით იყვირა ვილაცამ ზურგს-  
უკან. მოირამ ძრავა ჩართო და ამტკვრებულ გზაზე მანქანა ანგბრიშმიუცემ-  
ლად გასრიალდა.

ქვითარი ჯერ ისევ ფოსტაში იყო. ფულის გამოტანა ჯერ კიდევ შეიძლე-  
ბოდა, მაგრამ რალაცამ შეაჩერა, შეყოყმანდა.

— რა მოხდა, რატომ მოიწყინე? — ჩააცივდა ლუიზა ფლორენციაში  
დაბრუნებისას. მაგრამ ტონინო მანეკენივით გაშეშებული იჭდა ქალიშვილის  
გვერდით. — რა მოხდა, რატომ გაჩუმდი? — ჰკითხა ერთხელ კიდევ ლუი-  
ზამ, ტონინოს სახე საფლავის ქვასავით გაჰყინოდა. ლუიზას კითხვაზე ერთი  
ამოიოხრა და როგორღაც უგულოდ გაიღიმა. ლუიზას ხელი მუხლზე ედო და  
ფაფუკი ხელისგული სასიამოვნოდ უჩანდა. ეტყობოდა, დიდი საქმიანი არ  
უნდა ყოფილიყო. ქალიშვილის ხელები მორჩილად ელოდნენ მამაკაცს. ტო-  
ნინომ ძლივს აიძულა თავი ქალიშვილს მოფერებოდა.

მერე კი... ტონინომ ვილაცისაგან მოტოციკლი ითხოვა და სულ მალე  
იგი უკვე მოირას ვილასთან გაჩნდა. კარგა ხანს იდგა კარებწინ, ბოლოს  
როგორც იქნა, ზარის დილაკს ხელი დააჭირა.

მოირა საწოლზე ასევე მტვრიანი პალტოთი და ფეხსაცმელით იყო გა-  
დაწოლილი. ვითომ არაფერიო, ტონინომ კარი მოჩვენებითი მხიარულებით  
შეაღო და ოთახში უდარდელად შევიდა.

— წევხარ? — ისე იკითხა, თითქოს გაუკვირდა და თან შეწუხდა კიდე-  
ვაც. — თავი გტკივა? — მისი ეს შეკითხვები ნაძალადევი და, ასე ეთქვათ,  
სასაცილოც კი იყო ამ მრავლისმეტყველ სიჩუმეში. იგი გულისფანცქალით  
ჩამოჯდა საწოლის კიდეზე და ხელი მუხლზე დაადო. მოირას ხმა არ ამოუ-  
ღია, მაგრამ ტონინოს თავიდან მოცილება კი ნამდვილად უნდოდა. ახლა  
იგი შორეული და მიუწვდომელი გამხდარიყო ტონინოსათვის. — რას ნიშ-  
ნავს ყოველივე ეს, ჩემო ძვირფასო? — და დასამშვიდებლად ხელი მოუთა-  
თუნა, — ნუთუ იმის გამო მიბრაზდები, პრატოში რომ ვიყავი? — ისეთ კილო-  
ზე იკითხა, როცა კაცი აუცილებლად საწინააღმდეგო პასუხს ელის. მოირას  
არც ახლა ამოუღია ხმა. ეს სიჩუმე გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ის ყვი-  
რილ-წივილი, ტონინო რომ ვარაუდობდა. მიხვდა, შავ დღეში იყო, თუმცა  
უკან არ დაიხია. — ჩემმა ძველმა მეგობარმა კარლო მენარდიმ დამპატიჟა,  
რა უნდა მექნა... სასტუმროს კომპანიის დირექტორიც, ვისაუბრეთ თუ არა,  
მაშინვე წავიდა და, რაც მთავარია არც შენ მეგულებოდი სახლში, რომ  
მცოდნოდა, შინ იქნებოდი უსათუოდ გამოგივლიდი და წავიყვანდი. თუმცა  
ისეთ ხალხში კი მოხვდებოდი, რომელიც შენს სულსა და გულს არ გაეკა-  
რებოდა.

ტკბილად, სულ ბოდიშ-ბოდიშით ელაპარაკებოდა ტონინო. „ნეაპოლელი  
ჯურღმულების შავთმიანი თაღლითი“, გაუელვა მოირას ჯონის სიტყვებმა.  
როგორც ჩანს, ტონინოს არც არასდროს ენაღვლებოდა იგი. მას მხოლოდ  
მოირას ფული აინტერესებდა, ეს სხვა ქალი... თითქოს ახლაც ყურებში ჩა-  
ესმა მისი უდარდელი სიცილი, ცხადად დაინახა მისი ვარდისფერი კაბა, მზე-  
მოკიდებული კანი, ტონინოს ხელი მის შიშველ მკლავზე, თვლების ციმ-  
ციმი და სიცილის დროს მარგალიტის მძივებით ჩაწიკწიკებული თეთრი კბი-  
ლები. ამასობაში ტონინო შეუსვენებლივ ლაპარაკობდა, ცდილობდა როგორ-  
მე გამოესყიდა დანაშაული, თუმცა ხმაზე ეტყობოდა, რომ ტყუოდა.

— მომწყდი თავიდან! — უთხრა ბოლოს მოირამ ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს.

— კი, მაგრამ, ძვირფასო... — ტონინო მოირასაკენ დაიხარა, უნდოდა/ლოყაზე ეკოცნა, მაგრამ მოირა შემოტრიალდა და მთელი ძალით დაეხრებოდა სახეში.

— პატარა სატანა! — წამოიძახა ტკივილსაგან გამწარებულმა ტონინომ. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სისხლიან ტუჩებზე აიფარა. — ძალიან კარგი, — სიბრაზისაგან ხელები უკანკალებდა. — ძალიან კარგი, რადგან გინდა, სიამოვნებით წავალ, — იგი მძიმე ნაბიჯებით გაემართა და კარი ხმაურით გაიჭახუნა. შეწყდა თუ არა ნაბიჯების ხმა, მოირა სინანულმა შეიპყრო: იქნებ სულაც არ იყო ისე ცუდად საქმე, როგორც ეგონა, იქნებ სულაც არ მოქცეულა ტონინო ისე ცუდად? მოირა წამოდგა—ლოგინის ყვითელ გადასაფარებელს პატარა წითელი ლაქები, მისი სისხლის წვეთები აჩნდა — მოირას შეაყრეოლა.

— ტონინო, ტონინო! — იძახდა და თან კიბეზე ჩარბოდა, მაგრამ ტონინო უკვე ჭიშკრიდან გადიოდა, ერთი ხელით მოტოციკლს მართავდა, მეორეთი კი, ჯერ კიდევ ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული.

— ტონინო, ტონინო! — მაგრამ, ჩანს, არ ესმოდა ან არ უნდოდა გავგო მოირას ძახილი. ტონინო მალე მიეფარა თვალს. გაბრაზდა და წავიდაო,— გაიფიქრა მოირამ. ახლა უკვე ეძვიც აღარ ეპარებოდა, რომ სწორედ ვერ შეაფასა ტონინოს საქციელი. აღელვებულმა გარაჟში შეირბინა — რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ტონინოს უნდა დასწეოდა და ბოდიში მოეხადა, შევედრებოდა დაბრუნებულიყო. მოირამ მანქანა სასწრაფოდ აამუშავა და გარაჟიდან გამოვიდა.

— ფრთხილად თუ არ იარე, ერთ მშვენიერ დღესაც ხევში გადაიჩენები, — გააფრთხილა ერთხელ ჯონიმ, — იცოდე, ეს ძალიან საშიში მოსახვევია.

გარაჟიდან გამოვიდა თუ არა, ისეთი სიჩქარით დაძრა მანქანა, რომ უკანა საბურავები ხრამში გადაეკიდა, მაგრამ ისე იყო თავისი საწადელით შეპყრობილი, ისე უნდოდა ტონინოს დასწეოდა, რომ ახლა იგი არაფერს დაგიდევდათ, მაგრამ... ჯონის წინასწარმეტყველება გამართლდა. ზედ უფსკრულის პირას მიმდგარი მანქანის შეკავება თითქმის შეუძლებელი იყო. მართლაც მანქანა ერთი მძლავრად შექანდა და ხევისაკენ დაეშვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ხეს დაეჯახა, მთვრალი კაცივით გვერდზე გადაიწია და გაჩერდა. სრულიად უვნებელი, მაგრამ შიშისაგან დაზაფრული მოირა მანქანიდან ძლივს გადმოვიდა და იქვე მიწაზე ჩაიკეცა.

— ასუნტა! ჯიოვანი! — მოირას ძახილზე მოსამსახურემ და მებაღემ მაშინვე მოირბინეს:

— რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, მანქანა აუცილებლად უნდა ამოვიყვანოთ, — დაუყინა მოირამ მებაღეს. ახლა მას უსათუოდ უნდა ენახა ტონინო.

ჯიოვანიმ თავი გადააქნია — მანქანის ამოყვანას, სულ ცოტა, ოთხი კაცი თუ შეძლებს, ისიც ბერკეტისა და ორი ცხენის დახმარებით.

— ტაქსს გამოვიძახებ! — უთხრა ასუნტას და სახლისაკენ გავარდა. ამ მოყაყანე ხალხის ატანა აღარ შეეძლო, ცოტაც და ალბათ კივილს მორთავდა — ნერვებმა ისევ უღალატეს მოირას.

ოთახში შევიდა, სარკის წინ ჩამოჯდა და თავი შეათვალიერა. ლოყებზე წითელი ტონი წაისვა, ტუჩები შეიღება, ბოლოს პუდრიც გადაისვა. რაც შეიძლება მიმზიდველი უნდა ვიყო, — გაიფიქრა მან და ყველაზე საუკეთესო ქუდი დაიხურა. — გამოჩნდება ბოლოს და ბოლოს ტაქსი თუ არა? — წუთით იფეთქა, მაგრამ შეეცადა როგორმე ნერვები დაეოკებინა. — ნეტავი საფულე სად დავდე? ტაქსის მძღოლისათვის ხომ ფულია საჭირო, მანქანაში რა მოიხრამ და თან თვითონვე გაუხარდა, ასეთ ნერვებმოშლილსა და აფორიაქებულს ეს პრაქტიკული ამბავიც რომ ახსოვდა, მაგრამ რამდენი არ ეძება, საფულე ვერა და ვერ იპოვა. არადა, მშვენივრად ახსოვდა, რომ საფულე საწოლზე მოისროლა, როცა იმ დაწყევლილი მოგზაურობიდან დაბრუნდა. ნერვებაშლილმა მთელი ლოგინი გადააქოთა, ბოლოს საწოლის ქვეშაც შეიხედა და საფულე რომ ვერსად აღმოაჩინა, უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა. ტონინო... ნუთუ... ნუთუ... დრო გადიოდა. საფულე არ ჩანდა და მისი ვარაუდი თითქოს მართლდებოდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ჯონის სიტყვები გახმაირანდა მის გონებაში: „ნებაოლელი ჯურღმულების თაღლითი... როგორც წესი, ქურდია“. საფულეს ოქროს ჯაჭვის სახელური ჰქონდა და შიგ ოთხი ათას ლირაზე მეტი იყო. ქურდი, ქურდი... მოირა გაოგნებული, გახევებული იდგა, თვალები ერთი ადგილისათვის მიეშტერებინა, მერე თითქოს რაღაც ჩაწყდაო, თითქოს გულ-მუცელში ხანჯალი დაუტარეს, მთელ სხეულში აუტანელმა ტკივილმა დაუარა და მისმა შემზარავმა კივილმა მთელი სახლი შესძრა.

ყვირილზე მოსამსახურეები შემოცვივდნენ. მოირა საწოლზე პირქვე ჩამოხობილიყო, ძლივსლა სუნთქავდა, ექიმის მოსვლამდე უკვე გარდაიცვალა. ნიშიდან, სადაც საწოლი იდგა, გაუჭირდათ ცხედრის გადმოსვენება. გადმოსვენებისას ძირს რაღაც დაეცა, ასუნტა დაიხარა, რა არისო.

— მისი საფულეა — თქვა ასუნტამ, — ალბათ, კედელსა და საწოლს შორის იყო ჩავარდნილი.

მოთხრობა

თარგმნა მარინა ქაციაია



ბ.

ბ.

სერგეი სურინი მოსკოველია. დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჭიმის ფაკულტეტი. „მხატვარი ქალიშვილი“ მისი პირველი გამოქვეყნებული მოთხრობაა (ჟურნ. „იუნოსტ“-ი, № 7, 1981 წ.)

1

**ნ**ოვოცილოვი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად და უდროოდ გამოგვეცხადა. მე და ჩემი ცოლი მას სამწვადესთან შევხვდით, სადაც ბოლო კინოსეანსის წინ სავახშმოდ ვაპირებდით შესვლას და ჩვენთვის ესოდენ მტკივნეულ ოჯახურ საკითხზე მოლაპარაკებას. ფიქრებში ჩაფლული, მოლუშული ნოვოცილოვი ქუჩაში მოდიოდა და ვერც კი გვაამჩნევდა. მაგრამ როგორც კი დავუძახეთ, შედგა, წამით შეყოვნდა და ბოლოს შემოგვეიერთდა კიდეც.

კაცმა რომ თქვას, ვისზე უნდა მოგვესვლოდა გული: მე დავუძახე, ცოლმა კი ვახშამზე დაპატიჟა.

ისე, ნინა არც არის ჩემი ცოლი. ჭერჯერობით ხელმოწერილები არ ვართ. მართალია, ჩვენი ნაცნობები როცა გარიუნოვებზე საუბრობენ, მხედველობაში მე და ნინა ვყავართ, მაგრამ იგი ჭერ გარიუნოვა კი არა, კოლჩინაა. თუ სტუმრად გარიუნოვებთან იკრიბებიან, ესე იგი, იკრიბებიან ჩემთან, ჩემს ერთოთახიან ბინაში. სადაც მე და ნინა ვცხოვრობთ, თუმცა იგი მოსკოვის ცენტრში, დიდ, ნათელ კომუნალურ ბინაშია ჩაწერილი. ბოლოს და ბოლოს ხელს რომ მოვაწერთ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება: სწორედ ეს საკითხი უნდა გადაგვეწყვიტა ვახშამზე. ჩვენნაირი მტკიცე ოჯახი ალბათ არც არავის ექნება, რამეთუ დროით და სიყვარულით გამოცდილი ჩვენი ურთიერთობა გონების თვალითაც იყო აწონ-დაწონილი.

ჩვენ უკვე ცხრა წელია ვიცნობთ ერთმანეთს — სტუდენტური მერხიდან. მშვიდობიანად გადავიტანეთ ის პერიოდი, როცა სიყვარულისგან თავგზააბნეულებს ბობოქარი ვნებები თავის მღელვარე ტალღებზე გვათამაშებდა. გადაიარა სიყვარულის ქარიშხალმა და, საბედნიეროდ, ჩვენი გრძნობები არ წარუტაცნია. ხელიხელჩაკიდებულნი მყუდრო ყურეში მოვედით გონს. ქარიშხლის შემდეგ გამოფხიზლებულებმა გარშემო მიმოვიხედეთ. განვსაჯეთ ჩვენი მდგომარეობა და გადავწყვიტეთ სისულელეები არ ჩაგვედინა. ქორწინება გადავდეთ. ჭერ ფეხი უნდა მოგვეკიდებინა, ცხოვრება აგვეწყო. პირველად ქორწინება გადავდეთ იმის გამო, რომ უნდა დაგვემთავრებინა ინსტიტუტი, დაგვეწყო სამსახური, შემდეგ დისერტაციამ მომისწრო, შემდეგ ნინა

წერდა დისერტაციას, დრო კი გადიოდა, როცა საჭირო იყო, მუდამ ერთმანეთის გვერდით გაეჩნდებოდით ხოლმე, მაგრამ უოჯახოდ უფრო თავისუფლად ვგარძნობდით თავს. შეგვეძლო მთლიანად მივცემოდით სამუშაოს ასეთი გონივრული განსჯის წყალობით ოცდაცხრა წელს მიღწეულებზე ვუფიქრებდით, რომ ბოლოს და ბოლოს მყარად მოვიკიდეთ ფეხი და სხვა-დასხვა სახეობის შეგვეძლო საკუთარი ოჯახური კერა შეგვექმნა, თანაც შეგვექმნა ისე, რომ ოჯახურ უღელში შესაბამელად გვეკმარა ის ცოტაოდენი კომფორტი და ხალისი, ურომლისოდაც, ჩვენი აზრით, ოჯახის შექმნა არც ღირდა: იგი გადაიქცეოდა წამებად, ჯოჯოხეთად, შეურაცხყოფისა და გათიშვის სათავედ.

დღეს ქორწინების შემდგომი გეგმის განხილვას ვაპირებდით, ეს გეგმა კი ასეთი გახლდათ: ქორწინების შემდეგ ჩემი წარმოების ხელმძღვანელობას წავუყენებ ულტიმატუმს: ან სამოთახიან ბინას მისცემენ ჩვენს ოჯახს, ან იქიდან მივდივარ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დირექცია დაეთანხმება ჩემს მოთხოვნას, რადგანაც ჩემი წასვლა ჩაშლის მნიშვნელოვან აქტუალურ გამოკვლევებს, დიდი ხნით დაარღვევს ქარხნის იმ ლაბორატორიულ სამუშაოებს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. დღესდღეობით, შეუცვლელი ვარ. ცხოვრება კი გვასწავლის, ხელსაყრელი შემთხვევა დროულად გამოვიყენოთ. თუ დირექცია უარს მეტყვის — უსათუოდ დავეთხოვები. საკუთარ თავს და აბრალონ! ყოველი შემთხვევისათვის, შემონახული მაქვს სხვა საწარმოსა და ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული წინადადებები სამუშაოს თაობაზე. ჩემნაირი სპეციალისტი არსად დაიკარგება, თუმცა იქ სამუშაო ნაკლებად საინტერესოა — საკანცელარიო, სამაგიეროდ, ხელფასია მეტი. ასე რომ, არაფერს ვკარგავ.

2.

ნოვოჟილოვმა ჩვენი დანახვისთანავე შესძახა: — რა სულზე მომისწარით, მეგობრებო, სწორედ თქვენ მჭირდებათ!

ამ ფრაზიდან მხოლოდ ერთი რამ გავიგეთ — ნოვოჟილოვისათვის აუცილებელი იყო პირადი სატკივარისაგან განთავისუფლება და ჩვენს ცხვირსა-ნოცში ცრემლთა ფრქვევა.

ამ სამწვადეში მწვადის ქამას არავის ვურჩევთ. სამაგიეროდ აქ კარგად წვავენ ხორცს. ერთი ბოთლი ღვინო და თითო ულუფა სუკი შევუკვეთეთ, პირველი ჭიქის შემდეგ ნოვოჟილოვმა ამოიოხრა და სევდიანად თქვა:

— არამზადა ვარ, მეგობრებო!

„დაიწყო“, — გავხედეთ ერთმანეთს მე და ნინამ და ერთხმად შევაგებეთ:

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!

დასაწყისი კარგს არაფერს მოასწავებდა. ვიცოდი, ნოვოჟილოვს სასმელი სწრაფად ეკიდებოდა, მაგრამ ამ ზომამდე თუ მიიყვანდა, არ მეგონა.

— მართლა არამზადა ვარ, ნამდვილი სალახანა — არავისა და არაფრის გულისათვის გავანაწყენე ადამიანი! ქალი! თანაც შემთხვევით, არ მინდოდა. მაგრამ ასე გამოვიდა: მრცხვენია პირდაპირ! — და გაქონილი ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა.

— გასაგებად ილაპარაკე, — აფეთქდა ნინა, — გეყოფა სლუკუნნი!



— სალახანა ვარ და რალა ვთქვა, ვზივარ აქ, ვთქვლევ ამ ხორცს, ტუჩებზე ქონი ჩამომდის, ის კი მშიერი დღე-ღამეში თექვსმეტ საათს მუშაობს, მოციებულ ქონში, თანაც ავადმყოფი! ფანჯრის მიღმა კი დეკემბერია, ღამეა, ცივი ქარი და თოვლია, გვერდითაც არავინა ჰყავს და არც კაპიტანი ზინაა.

ზინა

მისი სახე რომ არა, მე და ნინა ნამდვილად გადავიხარხარებდით: ნოვო-ჟილოვი ნამდვილად იტანჯებოდა.

— ისეთი რამ შემემთხვა, უარესი არ იქნება.

— თქვი, თქვი, — მივაშველე. ვგრძნობდი, მთავარ სათქმელს უახლოვდებოდა. მან ხელები გაშალა.

— საიდან დავიწყო, არ ვიცი.

— სულ თავიდან, — მივაძახეთ მე და ნინამ ერთხმად. ჩვენი აზრების ასეთი ხშირი დამთხვევა ცხრა წლის ურთიერთგავლენის შედეგი იყო.

ნოვოჟილოვმა გადაწყვიტა, ეამბნა ყოველივე.

— სექტემბერში დაიწყო. ერთხელაც, ღამით, სამსახურიდან ვბრუნდებოდი. უკვე პირველი საათი იქნებოდა. საძაგელი ამინდი იყო. ქარიანი, წვიმიანი. მესმის ეზოში, საბავშვო მოედანზე, ფანჯატურში ვილაც სლუკუნებს. შევხედე, ზის მობუზული გოგონა და კი არ სლუკუნებს, ცხვირში ქსიტინებს. მომაპყრო დიდი, შავი თვალები და უხმოდ მიცქერის დაკარგული ფინიასავით. ვხედავ, მთლად გათოშილა. ცახცახებს, კბილს კბილზე აცემინებს. „აქ რას აკეთებ, რატომ სახლში არ მიდიხარ?“ „ვერ მივდივარ. საფულე დავკარგე, ფულიცა და მასთან ბილეთიც“. „სად ცხოვრობ?“ „რატომ მელაპარაკებით შენობით, მე უკვე დიდი ვარ“, — გამოსცრა კბილებში. დავაკვირდი: მგონი, მართლაც არ უნდა იყოს გოგონა, უბრალოდ, რალაცნაირი პატარა და სუსტი ქალიშვილია. „მაპატიეთ, — ვეუბნები, — იქნებ დაგხმარებოდით, მგონი, კარგად ვერა გრძნობთ თავს“ „კარგადა ვარ, — მეუბნება, — აქ ფანჯატურში კარგია, წვიმა და ქარი არ აღწევს!“, მე კი ვხედავ, ქალიშვილი ცუდადაა, ღამისაა გონი დავარგოს, შუბლი გავუსინჯე ცხელი აქვს. „წამოდით ჩემთან, — ვეუბნები. უარის ნიშნად თავს აქნევს. ხელზე მოვეჭიდე, წინააღმდეგობის გაწევის ძალაც არ გააჩნდა, მხოლოდ წრიპინებდა: „გამიშვით, რას შერებით?“ „არ შეგჭამთ! — ვეუბნები, — აქ გაცივდებით, დაილუპებით“. ავიღე მისი საეტიუდო ყუთი, ქოლგა და ჩანთა. იგი ლასლასით ამედევნა, დარწმუნდა, არ შეგჭამდი. შევედით ბინაში, სითბოსაგან მოეშვა, ფეხები მოეკეცა. ძლივს მოვასწარი ხელის შეშველება. თავით ფეხამდე გალუმპულიყო. დაგლეჯილი ჩექმები ეცვა, ლაბადაც ძველი ჰქონდა. ისიც დასველებოდა და კაბაც. გავხადე, შევფუთნე ჩემს სუფთა სათხილამურო კოსტუმში, დავაწვინე ტახტზე, ზედ დავაყარე თბილი საბნები, რაც მქონდა. საცოდავს მორიდების უნარიც აღარ შერჩენოდა. გავაღვიძე მეზობლის ქალი, ექიმი. გასინჯა ქალიშვილი, სიცხეც გაუზომა, ორმოცამდე ჰქონდა. მისცა წამლები, გამოწერა უამრავი რეცეპტი. როცა ქალიშვილი გათბა, ცოტა გონს მოვიდა, ვაჭამე, ჩაი დავალევინე. რალაც-რალაცებიც გამოვკითხე, შორს ცხოვრობს თურმე, ქალაქგარეთ. ეტიუდების სახატავად ყოფილა კოლომენსკში. მთელი დღე წვიმაში ეკლესიებს ხატავდა, დასველდა, ბოლოს კი ყველაფერ სიკეთესთან ერთად, საფულე და სეზონური ბილეთიც დაკარგა, დარჩა უკაპი-

კოდ უცხოეთის ფულის თხოვნა მოერიდა და გადაწყვიტა ხვალამდე ფანჯატურში მოეცადა, შემდეგ ესესხა ფული ეტიუდებზე მოჭრავდა რომელიმე მხატვრისაგან კოლომენსკში. აი, ასეთი არანორმალური ჯიჯი, ჩუბჩუტი, მთელი ღამე ბოდავდა, დილით კი ადრე გაიღვიძა და მუშაობა დაიწყო. „საით?“ — ვეკითხები: „ჩემთან, სოფელში“ — „მარტო, ოთახი მაქვს დაჭირავებული და ფარდულიც — სახელოსნოსთვის“. ვხედავ, სიცხე აქვს. სოფლამდე ვერ ჩააღწევს. „არ გაგიშვებთ, რად უნდა წახვიდეთ, იყავით რამდენიმე დღე აქ. ცოტა მომაგრდით. თქვენს წყენინებას არ ვაპირებ. მიმხედავი კი ასე თუ ისე გეყოლებით, ექიმიც გვერდითაა“. „გმადლობთ, — მეუბნება, — მაგრამ ჩემთვის აუცილებელია, დღე-ღამეში თექვსმეტი საათი ვიმუშაო. საღებავები და ტილოები კი სახლში მაქვს“. „რატომ მაინცდამაინც თექვსმეტი საათი?“ — გამიკვირდა მე. „ყველა ნამდვილი მხატვარი მუშაობს დღეში არანაკლებ თექვსმეტ საათს“. გავბრაზდი: ახლა მუშაობა კი არა, დღე-ღამეში ოცდაათს საათს ლოგინში წოლა და წამლების ყლაპვა გჭირდებათ-მეთქი. „არა, არ შეიძლება ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნა, მერე დაკარგულ დროს ვერ ავინაზღაურებ“, — გაჭირვეულდა იგი. თვითონ კი, ვატყობ, წასვლას სიკვდილი ურჩევნია, მოკლედ, ჩაკვეტე, რომ არ გაქცეულიყო, სამსახურში წავედი. საღამოთი გავივე, რომ იგი სამხატვრო სასწავლებლის შესამე კურსის სტუდენტია. მაგრამ გაზაფხულზე ავადმყოფობის გამო იძულებული ვაზდა ერთი წლით აკადემიური შევებულე აედო, თუმცა მეცადინეობა მთლიანად არ მიუტოვებია, ზოგჯერ სასწავლებელში დადიოდა; ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. ამიტომაც არ წასულა გამოსაჯანმრთელებლად მშობლებთან, კოლოგდის რაიონში. ცხოვრობს მოსკოვთან ახლოს ძმისა და მშობლების გამოგზავნილ კაპიკებზე ცოტასაც სოფლის ფოსტალიონობით შოულობს. ამის გარდა, კოლმეურნეებს ესმარება კარტოფილის ამოღებაში, რისთვისაც ნატურით უზდიან. ასე გააქვს თავი, დასვენების დღეს მასთან გავემგზავრე რაღაც ხელსაწყოების, ნივთებისა და საღებავებისათვის. მისი ფარდულის ნახვისთანავე დავრწმუნდი, რომ გამოჯანმრთელებამდე ქალიშვილის გამშვები არ ვიყავი. წარმოიდგინეთ ფარდული, რომლის ბოლოში ერთი საცოდავი ღუმლიანი ოთახია. ყინავს როგორც გარეთ. სახლის პატრონები ისეთი ავეები არიან, ნამდვილი კულაკები! ამ სოროში ხომ თვეში სამ თუმანს ართმევენ, ელექტრონისა და მეშისას ცალკე ახდევინებენ! ქუჩის გადაღმა მცხოვრები ქალისაგან შევატყვე, რომ სოფელში იგი ებრალებოდათ და რითაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ. სწორედ მან მიამბო, ქალიშვილი მართლაც დილიდან საღამომდე მუშაობს. ხან ხატავს, ხან საღებავებით წერს, ხან თიხით რაღაცას ძერწავს და მერე ღუმელში გამოწვავს ხოლმეო. ზოგჯერ საქმელიც არა აქვს, რადგანაც მთელი ფული ბინის ქირაში, სახატავ ტილოებში, საღებავებსა და სამხატვრო ხელობის სხვა წერილმანებში მისდის, მარტო შავი პურითა და კარტოფილით უღვას სულიო. ამ ქალმა ერთი-ორჯერ მიიწვია ქალიშვილი სადილად, ერთი-ორჯერ თან გაატანა ბურღული, მაკარონი, რძეც.

მხატვარმა ქალიშვილმა ნოვოცილოვთან კვირაზე მეტხანს დაჰყო. ვაყვი დარწმუნდა, რომ ქალიშვილი მართლაც ბევრს მუშაობდა. ხატავდა იმას, რასაც ფანჯრიდან ხედავდა. მარტოხელა კაცის ბინაშიც იპოვა რაღაც-რაღაცები, რის მიხედვითაც დახატა რამდენიმე ნატურმორტი. გააკეთა რამდენიმე გრა-

ფოკა იგი სულ დუმდა. საკუთარ თავზე თითქმის არაფერს ამბობდა. როცა გამოკეთდა, ნოვოცილოვმა ტაქსით ჩაიყვანა სოფელში. მცირეოდენი სწრაფ-გეც უყიდა, პირველ ხანებში რომ არაფერზე ეზრუნა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

— კი მაგრამ, რატომღა ხარ არამზადა, ნოვოცილოვ? — განვკვირვებულნი პირიქით, უკეთილშობილესი ადამიანი ყოფილხარ.

— არამზადა ვარ! — თავისას არ იშლიდა ნოვოცილოვი, — რომ იცოდეთ, რა მოხდა შემდეგ. იგი სულ გადამავიწყდა. მოცალების უამს ვაპირებდი მასთან შევლას, მაგრამ ვერ მოვახერხე. თრიოდე კვირის შემდეგ, სამსახურიდან დაბრუნებული ავდივარ სახლში, ვხედავ, მხატვარი ქალიშვილი დგას კიბის ბაქანზე და თავისი დიდი შავი თვალებით მდუმარედ შემომცქერის. გავოცდით, მაგრამ შინ მაინც შევიწვიე. ვივარსმეთ, ჩაი დავლიეთ. მე, ბუნებრივია, არავითარი ტკბილეულობა არ აღმომაჩნდა. გავიქეცი მაღაზიაში კამფეტებისა და ხილფაფისათვის. მორიდებით ჭამდა კამფეტს, — ღიძილით იგონებდა ნოვოცილოვი. თითქმის არ ვლაპარაკობდით, ანდა რაზე უნდა გველაპარაკა, ამინდზე? მაგრამ მაინც კარგი იყო. მაინც რაღაც სიტბოს ვგრძნობდით. ასე დადიოდა ხანდახან ჩემთან.

— მეტე რა, ყველაფერი კარგად ყოფილა! — კვლავ განვკვირვრდით ჩვენ.

— საქმე ის არის, მეგობარო, რომ ჩვენ ერთად ვიწექით, — ამოიბრა ნოვოცილოვმა. — ერთხელაც, როგორღაც მომეკრა. მივეფერე. ისეთი მიმნდობია. უსუსური, სუსტი... როგორც ქალი არ მომწონდა, სრულებითაც არა. არც მომიტყუებია. არც ერთი სიტყვა არ მითქვამს სიყვარულზე, არავითარი დაპირებები არა ყოფილა ყოველივე როგორღაც რთულად მოხდა. გესმით. მეგობრებო. მიწევს გვერდით, მეკვრის, თბება, ქსუტუნებს პატარა მხეცუნასავით და გრძნობ, შენი ალერსის წყალობით სხეულში რაღაც უღღვება. სულიერად მშვიდდება. გრძნობა კი სრულიად არ არის ისეთი, როგორც საერთოდ ქალის მიმართ შეიძლება გქონდეს, პირიქით, ისე ეპყრობი, როგორც პატარა დაჩაგრულ ბავშვს — სიბრალულით. დილით უხმოდ მიდიხის და მეუბნება: „წავალ მოსკოვის სახატავად“. — და მიდის სადღაც თავის ყუთიანად, პატარა, უღაზათი. ვხვდებოდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოგვიანებით გავიკე, რა იზიდავდა მაინცდამაინც ჩემთან. იყინებოდა საწყალი თავის გამოცილებულ ფარდულში. მუშაობით დაქანცულს, მარტოდმარტოს ხმის გამოც არავინა ჰეავს. ფანჯრის მიღმა კი წვიმს, ჭყაპია. შემოდგომაა, პოდა, მასაც უნდა სადამო მაინც გაატაროს სიმყუდროვეში. სიტბოში, სვას ცხელი ჩაი, გათბეს, უყუროს ტელევიზორს. დაბოლოს, ოდნავ მაინც იგრძნოს სათუთი თანაგრძნობა. მამაკაცის ალერსი. ახლომახლო კი მისიანი არავინაა. და ისევ ჩემკენ მოუწევს გული.

— კეთილი. მაგრამ მაინც გაუგებარია, რატომ ხარ არამზადა? ხომ შეიფარე და გაათბე მარტოხელა ქალიშვილი.

— ცუდი საქმე გამოვიდა, ძმებო! ერთხელაც რატომღაც შემთხვევით ჩავიხედე მის საფულეში. სამგზავრო ტალონების გარდა ხურდა ეყარა შიგ. მანეთამდე ქლივს შეგროვდა. „ესაა სულ შენი ფული?“ — ვკითხე. თავი ველურბრყვილოდ დამიქნია. „კი მაგრამ, რითი აპირებ ცხოვრებას?“ „რა ვიცი. ცოტა კარტოფილი და ხახვი კიდევ მაქვს“. მე მეგობრებო, შეუმჩნეველად.

ალაღად ჩავუდე საფულეში ათმანეთიანი. დილით ნახა ის დაწყვეტილი თუმ-  
ნიანი. რაღაც უსიამოვნოდ შემომხედა. დადო ფული მაგიდაზე და გაიქცა.

— დათვი! — აღშფოთდა ნინა. — ნამდვილი დათვი!

— გამიგეთ, არ მინდოდა მისი წყენინება, — შესაბრუნებლად უმჯობესად  
ქერდა ნოვოცილოვი, — დახმარება მინდოდა, ხელის გამართვა და მსხვერპლად  
იმ საღამოსვე გავემგზავრე მასთან. შევეცადე ამეხსნა ყველაფერი. მან გა-  
მიგო, გაიღიმა, მითხრა, რომ ყველაფერს მაპატიებს, შუბლზეც კი მაყოცა.  
მაგრამ მთხოვა, მეტჯერ აღარ ჩავსულიყავი. აღარ მენახა იგი. რადგანაც ხელს  
კუშლიდი მუშაობაში. თვითონ მას შემდეგ აღარ ჩამოდის, ვიცი, ჯიუტია,  
იტყვის და მორჩა, საქმე გათავებულა.

— ჰო-ო! — გავაგრძელეთ მე და ნინამ. — რთული მდგომარეობაა. მეო-  
რე მხრივ, იქნებ უკეთესიცაა, ასე რომ მოხდა. თუკი არ გიყვარდა, ვინ  
იცის, რით დამთავრდებოდა ყოველივე.

— არ მყვარებია, — თავი გააქნია ნოვოცილოვმა, — და არც მიყვარს.  
მაგრამ მას სუფთა გული აქვს. მისი წყენინება არ იქნება. დახმარების ხელი  
სჭირდება, თორემ შეიძლება დაიღუპოს. თანაც მხოლოდ ფულით კი არ  
სჭირდება ხელის გამართვა, არამედ მორალურად. დამეხმარეთ, მეგობრებო,  
ჰა?

— კი მაგრამ, როგორ, ნოვოცილოვ?! — განვცვიფრდით ჩვენ.

— აი, რა აზრი მომივიდა: მისგან არასდროს არავის უყილია ნახატი.  
თქვენ თუ იყიდით, მატერიალურ დახმარებასაც აღმოუჩენთ და ასიამოვნ-  
ებთ კიდევაც. მიყიდეთ რომელიმე სურათი, ჰა? თანა მაქვს ორმოცდაექვსი  
მანეთი...

— არასოდეს მიყილია სურათები, — ავიჩიჩე მხრები, — ჰოდა, ახლა  
რანაირად ვიყიდო? მაგ საქმეში არაფერი გამეგება.

— იყიდე, რაც მოგეწონება. მე არ მომყიდის...

— კეთილი, — მოულოდნელად დასთანხმდა ნინა. — ხვალ, შაბათს, მა-  
ინც მივდივართ თხილამურებით სასრიალოდ. შენს მხატვართანაც შევირბენთ.  
დავეხმარებით, საინტერესოა მისი ნახვა.

გამოვართვი ფული ნოვოცილოვს, მას მადლიერებით გაუბრწყინდა სახე  
და მხატვრის სამყოფელიც მიგვასწავლა.

— ძმებო, იქნებ გეყიდათ რამე თქვენთვისაც. მართალია, მაინცდამაინც  
ვერ ვერკვევი, მაგრამ არ უნდა იყოს ცუდი მხატვარი. — იმედიანი მზერა  
შეგვაპლო: — არ გაგადარიბებთ, თვეში სამას-სამას მანეთს იღებთ, იყიდეთ  
რამე პატარა სურათი თქვენც რაღაც მორთულობას შეიძენთ და ქალიშვილიც  
ფულს იშოვის.

პირადად მე ნოვოცილოვის დაყინება არ მომეწონა. თითს უწვდი, იმას  
კი უნდა ხელი მოგაკვნიტოს. ნინას შევხედე, ჩვეულებრივ ის განაგებს ხოლ-  
მე ჩვენს შემოსავალს. და ნინაც შეპირდა:

— კეთილი, იქნებ ვიყიდოთ კიდევ, ვნახოთ.

კინოსეანსის შემდეგ მე და ნინა მეორე დილამდე დავემშვიდობეთ ერთ-  
მანეთს, რადგანაც მისი სათხილამურო კუთვნილებანი მისსავე სახლში ინა-  
ხებოდა.

დილით საველოვსკის სადგურში შევხვდით ერთმანეთს. ამ სუბონში პირველად ვდგებოდით თხილამურებზე. ნინა ახალ სათხილამურო კოსტუმში გამოწყობილიყო. ლურჯი ფერის შარვალში და წითელ დაფარულ ქურთუკში ლამაზად და ხალისიანად გამოიყურებოდა. თავისუფლად შეეძლო თავისი ტანსაცმლის ჩვენება მოდების გამოფენაზე, თითქოს ჩემი ფიქრები გამოიცნო, კეკლუცად შეტრიალ-შემოტრიალდა ჩემ წინ:

— ოპო! — მოწონების ნიშნად ავწიე ცერი, მერე წითელ ქურთუკზე ვანიშნე: — რუხი მგელი ჩვენ არაფერს დაგვაკლებს?

ნინა ნაზად მომეკრა.

იკვამდე ჩავედით. იქიდან კი ავტობუსით მივედით ერთ პატარა ადგილამდე, რომელსაც მშვენიერი რუსული სახელი ერქვა: „ბელი რასტი“. „ბელი რასტიდან“ თხილამურებით გადავჭერით მინდორი და მივადექით პატარა სოფელს, რომლის მოპირდაპირე მხარეს, ბოსტანში, თითქმის ზედ ტყისპირას დავინახეთ განმარტოებით მდგარი სახურავზე მილამოჩრილი ფარდული. ფარდული საცხოვრებელს რომ წარმოადგენდა, იმით მივხვდით, რომ მილის გარდა ორი ფართო ფანჯარა ჰქონდა, ზუსტად ისეთი, ქოხებს რომ უკეთებენ. მარჯვნივ კართან ეწყო ცოტაოდენი შეშა, მარცხნივ კი დაპრესილი ტორფის ნაჭრები ეყარა. ფარდულის კარზე შავი, შორიდან კარგად შესამჩნევი ბოქლომი ეკიდა. ქუჩაში გამვლელმა ვილაც ქალმა დაგვიძახა:

— წავიდა, დილიდანვე წავიდა მხატვარი ტყეში! იქ ხატავს, მთაზე, ზედ ხრამთან, აი იმ ფიქვებს ხედავთ? ჰოდა, თქვენც იქით წადით.

მართლაც ძალიან მალე გავედით ქვიშიან ფლატესთან. მალე კბოდეს პირას ჩარჩოზე გადაჭიმული ტილოიანი სამფეხა იდგა. იქვე საოცრად გაწრიპული ქალიშვილი დამდგარიყო, ძველ გადაღებულ პალტოსა და ყვითელ უცნაურ ბერეტში გამოწყობილი. იგი მოფარიკავის დაშნასავით იშვერდა ფუნჯიან ხელს და რაღაცას ხატავდა, შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან იხევდა, აკვირდებოდა და კვლავ ხატავდა, კვლავ უტევდა ტილოს. რამდენიმე ასეთი შეტევის შემდეგ დებდა ფუნჯს და ხელებს ჯიბეში იყოფდა გასათბობად. ჩვენ ცოტა იოლი ასასვლელი ფერდობი ვიპოვეთ და წავედით მისკენ, მაგრამ ვილაც ჭაბუკმა გაგვისწრო და მხატვრის ზურგს უკან ჩახვდა ტილოს. ქალიშვილი შემობრუნდა, და ძალზე გულმოსულმა შეხვდა, აქაოდა, ყურადღება რად გამაფანტვინეო, ყმაწვილი მაშინვე გაცილდა იქაურობას. ჩვენც გადავწყვიტეთ მხატვრისათვის ხელი არ შეგვეშალა და მოგვიანებით, თხილამურებით სრილის შემდეგ მოგვენახულებინა.

მაგრამ ტყეში გზა აკვებნა, დაბინდებამდე ვიხეტიალეთ. დავიქანცეთ და სტუმრობა ერთი დღით გადავდეთ.

მეორე დღეს, კვირას, როგორც გადაწყვეტილი იყო, გავეშურეთ მხატვარ ქალიშვილთან, მაგრამ უკვე უთხილამუროდ. ნათელი, სუსხიანი დღე იდგა. გუშინდელი გასეირნების შემდეგ ფეხის კუნთები გვტკიოდა, მაგრამ თავს მხნედ ვგრძნობდით. ნინაჩკა და მეც, თავით ფეხამდე კოხტად გამოწყებილნი, მხიარულნი და ლაზათიანნი, შესანიშნავად გამოვიყურებოდით. ჩვენ მუ-

დამ გვაყოლებდნენ თვალს. მსიამოვნებს, როცა ასე გვიცქერენ. ისიც მსიამოვნებს, მამაკაცები რომ უყურებდნენ ჩემს წინას. მაღალი, მოხდუნელო ნინკა კობტად გამოკვართულიყო გრძელკალთიან „დუბლიონკაში“, რომელიც კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანდა მისი ლამაზი ტანი. ერთი ჩვენი ნაცნობის თქმისა არ იყო, ორივენი იდეალურ წყვილს წარმოვადგენდით. მისი მხლებელი, სოფლის გზაზე თვალს გვაყოლებენ კლუბის წინ შეჭვრული გოგო-ბიჭები, მაღალიდან გამოსული ქალები და ჭიშკართან მდგარი ვიღაც გლეხიც.

ჩვენდა საბედნიეროდ, მხატვარი ქალიშვილი შინ დაგვხვდა. ფარდულის კარი ოდნავ გამოღებულ იყო. დავაკაკუნე. კარი ყურთამდე გაიღო. სიბნელეში გამოჩნდა პატარა, ძალიან გამხდარი, არაჩვეულებრივად ფერმკრთალი ულამაზო ქალიშვილი, რომელმაც კითხვით მოგვაპრო დიდი, ცოცხალი შავი თვალები, მუქი თმა უწესრიგოდ აეკრიბა კვდაზე. მხრებზე მოესხა ალაგ-ალაგ, სარჩულამდე გაცრეცილი ციგეიკის საყელოიანი პალტო. პალტოს ქვეშ სხვადასხვა ზომის დილებით ყელამდე შეკრული ძველი ყავისფერი კოფთა გადასჭიმვოდა პატარა, ბავშვურ მკერდზე. მოკლე, გაცვეთილი ქვედატანი ტომარასავით ეკიდა ვიწრო თეძოებზე. ქვედატანიდან კი ხელოვნური ტყავის დამსკდარ ჩექმებში კანჭა, ასანთივით წვრილი ფეხები მოუჩანდა. იგი მართლაც ბავშვს ჰგავდა. ქალიშვილი ისე კაფანდარა იყო, ისე ჰაეროვანი და მსუბუქი, რომ გეგონებოდათ, ფარდულიდან გამოჭრილმა თბილმა ნიავმა გამოიტაცაო ყინვაში. მივესალმეთ.

— თქვენთან მოსვლა გვირჩიეს... გვინდოდა რაიმე ნივთი გვეყიდა. აი, ვთქვათ, სურათი... — აბნეულად დავიწყე ჩვენი მოსვლის მიზეზის ახსნა.

— გეყიდათ?! კი მაგრამ, მე არაფერს ვყიდი! — ნაჩქარევად წამოიძახა გაოცებულმა ქალიშვილმა. — გასაყიდად არაფერს ვაკეთებ. ჯერ ვსწავლობ და რაც მომწონს, მხოლოდ ჩემთვის ვაკეთებ. — ქალიშვილი უცებ გაწითლდა, თვალები ძირს დახარა.

— კი მაგრამ, ჩვენ საგანგებოდ ჩამოვედით მოსკოვიდან... გვირჩიეს, თქვენთან მოვსულიყავით... — არ მოეშვა ნინა.

— ვინ გირჩიათ?

ცოლი შეიშმუშნა, საჭირო იყო შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, რათა ნოვოცილოვი უნებლიეთ არ გაგვეცა.

— ერთმა მხატვარმა, გრაჩოვმა! — ენაზე რაც მომადგა, ის გვარი ვთქვი და მაშინვე მივხვდი, რად ამოვირჩიე მაინცდამაინც ეს ფრინველის გვარი: დიდთვალება, შავი, ოდნავ ცხვირა ქალიშვილი თავისი ჩქარი, მკვეთრი მოძრაობებით რაღაცით მართლაც წააგავდა ფრინველს, სწორედ ბუდიდან ჩამოვარდნილ ყორნისა თუ ჭილყავის ბაჭალას.

— გრაჩოვი? — ჩაფიქრდა მხატვარი ქალიშვილი.

— დიახ, თქვენი და თქვენი ნამუშევრების ქება თქვენივე თანაკურსელებისაგან სმენია მას, — მეტი და მეტი თავგამოდებით ვცრუობდი.

მოულოდნელმა სიტყვებმა მთლად გააოგნა მხატვარი ქალიშვილი: იგი თმის ძირებამდე გაწითლდა.

— კი მაგრამ, მე არასოდეს არაფერი გამიყიდა, არც კი ვიცი, რა... მე მგონი, ნამუშევრები არასრულყოფილი და დაუხვეწავია. ჩვენებაც კი მრცხვენია.

უნდა გვემოქმედა, სანამ გადაჭრით უარს მივიღებდით.

— ჰოდა, ჩვენც ვნახავთ — მტკიცედ გავემართე ქალიშვილისაკენ და დაბალ წირთხლს რომ არ შევჯახებოდი, ფარდულში თავდახრილმა შევებოვ. გარანდული, ფიცრული მაგიდის თავზე მკრთალი ნათურა ბეუტავდა. მაგიდაზე გროვად ეყარა თიხის ნატეხები. ეწყო ქოთნები, ქილები, წყლიანი ჯამები. კუთხეში, პატარა ტაშტში თეთრეული ჩაეღბოთ. ციოფი პირიდან ერთქლი ამოგვდიოდა. იქიდან შევედით ფარდულის მეორე ნახევარში, ორფანჯრიან პატარა ნათელ ოთახში, სადაც ერთმანეთზე მიჯრით დაედგათ მაგიდა, ლუმელი და საწოლი, რომელზეც ნაცრისფერი მაუდის გადასაფარებელი ეფარა. ფანჯრის ქვეშ პირით კედლისაკენ ლამაზად მიეწყობოთ ტილოგადაჭიმული ჩარჩოები. საწოლის ქვეშიდან მოჩანდა ემალის ლამის ქოთანი. კედლის თაროზე ჭურჭელთან ერთად ელაგა შეღებილი ან უბრალოდ გამოუწვავი ნედლი თიხისაგან ნაძერწი ცხოველები, ფრინველები, თოჯინები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბუნებრივი ზომის თეთრწინწკლება შავი შოშია. იგი ძალზე მოგვაგონებდა ცხვირა მხატვარ ქალიშვილს. ამას ნოვოეილოვს მივუტანთ — უსიტყვოდ გავუგეთ მე და ნინამ ერთმანეთს. ქალიშვილმა დრო იხელთა და შეუმჩნევლად შესწია ლამის ქოთანი საწოლქვეშ, ძლივძლივობით გავძვერი მაგიდის იქით და შინაურულად დაუპატიყებლად ჩამოვჯექი ერთადერთ ვენურ სკამზე. სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცოდი, რით დამეწყობ — არასოდეს ვყოფილვარ მეცენატის როლში. მხატვარი ქალიშვილი უცებ აფუსფუსდა:

— იქნებ ჩაი მოგართვათ? ამ წუთას... — ჩაიდანს მივარდა, მაგრამ უცებ შეცბა. — აი, მხოლოდ შაქარი... — თვალით მიგვანიშნა მაგიდაზე, სადაც ლანგარზე ოთხი პატარა ნატეხი შაქარი და მოკვნეტილი ბლითურა ეწყო.

— არა, არა, გმადლობთ, ნუ შეწუხდებით, — გავასავსავეთ ხელები მე და ნინამ.

მხატვარმა ქალიშვილმა მთლად დაიმორცხვა, ხელები უღონოდ ჩამოკყარა და მაგიდასთან გაქვაგდა, დიდ გაუხეშებულ ხელებზე ბრჭყალებივით ჯრჩხილები ჰქონდა და ეს ხელები სრულიად არ შეეფერებოდა მის სხეულს.

ნინამ თაროდან შოშია ჩამოიღო.

— ეს თქვენი ნამუშევარია? — მხატვარმა ქალიშვილმა თავი დაუქნია. — ამას ავიღებთ. რამდენი მოგართვათ?

ქალიშვილი გაწითლდა, მხრები აიჩეჩა, როგორც ჩანდა, ენანებოდა შოშია.

— მისმინეთ, — ჩავერიე. — ადამიანები იმიტომ მუშაობენ, რომ თავიანთი შრომის ნაყოფი გაყიდონ. ყოველი მათგანი, პირველყოვლისა, ლუკმა პურისათვის, ფულისათვის შრომობს, რა მაღალფარდოვანი სიტყვებითაც არ უნდა შეალამაზოს მან თავისი მოღვაწეობა. ეს არის, ასე ვთქვათ, ცხოვრების პროზა, მისი აზრი, მისი მარტილი. ჰოდა, რატომღა გერიდებათ ფასი გვითხრათ?

— მესმის, — წაილულულა ქალიშვილმა, — მაგრამ მე მიყვარს შოშია.

ნინას ის იყო შოშია თავის ადგილზე უნდა დაედო, მაგრამ მხატვარ ქალიშვილს მოუღონებლად თვალეებში შემპარავად შეხედა და წყნარად შესთხოვა:

— იცით, შოშია ძალიან მომეწონა. თუ შეიძლება წავიღებ, თქვენ კი სხვას გაიკეთებთ.

ქალიშვილმა ძალზე ყურადღებით შეხედა ნინას.

— კეთილი, აიღეთ.

მალალი, ლამაზი, კარგად ჩაცმული ნინას გვერდით მხატვარი ქალიშვილი პატარა გოგონასავით გამოიყურებოდა. იგი ძლივს წვდებოდა ნინას მხრებამდე. ისევ გამეფდა დუმილი. ფანჯრის ქვეშ ლამაზად ჩაწყობულ ჩარჩოებზე გადაჭიმულ ტილოებიდან ერთი ავიღე და მუხლებზე დავიდე.

— შეიძლება?

მხატვარმა ქალიშვილმა თავი დამიქნია და ისევ ყურებამდე გაწითლდა. ეშმაკმა დალახვროს მისი მორცხვობა, გეგონებოდათ, გააშიშვლეს და სინჯავენო. ეს უკვე მალიზიანებდა. ყურადღებით ვათვალიერებდი სურათებს და შემდეგ ცოლს ვაწონებდი ისე, რომ ვცდილობდი მხატვარი ქალიშვილისათვის არ შემეხედა. სურათებზე უმთავრესად უბრალო საგნები და ნატურმორტები იყო დახატული — სოკოები, შემოდგომის ფოთლების თაიგული, ტყის კენკრიანი კალათი, ჭურჭელი და პეიზაჟები — ტყე, სოფელი, მოსკოვის ხედები, ეკლესიები და ახალმშენებლობანი, მომაგონდა, რომ საჭირო იყო ქათინაური მეთქვა:

— აი, ამ პეიზაჟს თითქოს არა უშავს, კარგია. შეხედე, ნინოჩკა, აქ როგორი ისაა... პერსპექტივა... აქ კი, პირდაპირ იშვიათი კოლორიტია, — ნინა ფარული ღიმილით მართმევდა სურათებს. — ნახე, ნინა, ამ პეიზაჟში არის რაღაც ისეთი, იმპრესიონისტული, გრძნობ? — მონდომებისაგან გაოფლიანებულმა ძალით ამოვქაჩე სიტყვები, რათა რაიმე ჭკვიანური მეთქვა, — რა ექსპრესიაა!

ნინა ზიზღით უცქერდა, როგორ ვწითლდებოდი, ვიბნეოდი, თავგზა მერეოდა, როგორ ამოვწურე სახვით ხელოვნებაში ჩემი ლექსიკონი. გულახდილად რომ ვთქვა, ძალზე კარგად ვიცი, რა არის ტრანსმისია, მაგრამ „ექსპრესიის“ მნიშვნელობა ბუნდოვნად წარმომიდგენია.

კვლავინდებურად ხელებჩამოშვებული და განზე გამდგარი მხატვარი ქალიშვილი თავისი ფართო თვალებით ჩემს მიღმა, ფანჯარაში გულგრილად იყურებოდა, ქათინაურებს თავი ვანებე და გავჩუმდი, მაგრამ უცებ ჩემდა უნებურად წამოვიძახე...

— ეს მომწონს! შეხედე, ნინა, რა ნაზი ტონებია!

არც თუ ისე დიდ ტილოზე გამოსახული იყო ზამთრის ტყე და განმარტობით მდგარი, თითქმის სახურავამდე თოვლში ჩაფლული პატარა სახლი.

დაჭერილი იყო მზის ჩასვლის თუ ამოსვლის ის იშვიათი წამი, როცა ყველაფერი უჩვეულო ნაზ იასამნისფრად იფერება და შუქჩრდილი იისფერში გადადის, ეს სურათი ავირჩიეთ.

— გავიგეთ, გრაფიკაშიც მუშაობთ, მართალია? — შეეკითხა ნინა.

— ვმუშაობ ყველაფერში ცოტ-ცოტას, ეს კი ცუდია, ვერ მიპოვია საკუთარი თავი, ყველაფერს ვედები... რატომღაც ყველაფერი ძალზე მაინტერესებს, მიტაცებს, მთავარი კი მავიწყდება, ეს ცუდია! — ქალიშვილი ნინას მიაჩერდა.

ფანჯრიდან დავინახე, რომ ქოხიდან ფარდულისაკენ ვილაც გამხდარი, ბამბის ჯუბიანი მოხუცი ქალი წამოხანხალდა, იმავე წუთში კარის ჭრიალი შემოგვესმა. ქალიშვილი ოთახიდან გავიდა.

— რა საძაგელი ხარ, ნასტკა, — მოგვესმა მოხუცის ბუზღუნი, — სი-



ნათლეს წვავ და წვავ. ნეტა რისთვის? დღისით მაინც აქრობდე! საღამოთი ანთია, ღამით ანთია, დღისითაც ანთია და ანთია. შენ რა, დღის სინათლეს გყოფნის, ელექტრონს რომ წვავ?

— ბებილო, ბნელა აქ. მე ხომ ვიხდი სინათლის ფულს, — ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

— ვიხდი, ვიხდი! განა ეგ არის მთავარი? რატომ აიღე ღამით ისევ შეშა? ტორფი? შენი სამყოფი შეშის ჩეხვას ვინ აუვა! შენი შემყურე ზამთარში უშეშოდ დავრჩებით. მომიტანენ და ვინ დახერხავს, ვინ დაჩეხავს? ჩემი მიშკა ხომ ჩერჩეტი, სულ მთვრალია, ხელს ვერ გაანძრევინებ!

— წუხელ თიხას ვწვავდი. შეშა და ფიხი გამომელია და მეც ავიღე, მაგრამ შეშასა და ტორფში სამ მანეთს გადაგიხდით. კარგით?

— კარგი კია, მაგრამ როდის გადამიხდი, გაიღვიძებს მიშკა და ქოხში არ გამაჩერებს, ნამთვრალეებზე ფული რომ არ მივცე, მე კი არა მაქვს.

— ახლავე, ახლავე, — მხატვარი ქალიშვილი ოთახში შემოიჭრა. მოხუციც შემოპყვა სტუმრების შესათვალეებლად. ჩვენ დანახვაზე ბოროტი სახე ტკბილად გაებადრა. მხატვარმა ქალიშვილმა ჩანთიდან საფულე ამოიღო, იქიდან მწვანე ქალაღდი ამოაძვრინა და აფორიაქებულმა და გაწითლებულმა მოხუცს მიაჩეჩა.

— აი, გმადლობთ, საყვარელო, — ფარისეველურად აჩიფჩიფდა მოხუცი, — ნამდვილად მიხსენი! ნახვამდის! — თავი დაგვიკრა და უკან-უკან გახანხალდა ოთახიდან.

მხატვარი ქალიშვილი უხერხულად იდგა.

— გვაჩვენეთ, გეთაყვა, კიდევ რას აკეთებთ თიხისაგან? — სთხოვა ნინამ.

— კედელზე დასაკიდ ფილებს ვაკეთებ, რაც წუხელ გამოვწვი, იმის ღუმელიდან გამოღება ჯერ ადრეა, მაგრამ სხვებიც მაქვს, — გაეხარდა ქალიშვილს. — ძალიან მომწონს თიხაზე მუშაობა, განსაკუთრებით წითელი თიხა მიყვარს.

ოთახიდან გამოვედით. მხატვარი ქალიშვილი მაგიდის ქვემოდან ერთი მეორის მიყოლებით იღებდა სხვადასხვა ფორმის ოთკუთხა და სამკუთხა ბარელიეფიან ფილებს, რომლებზეც ეკლესიები, ძველი ქალაქები, ბაირალშემართული აბჯრებში ჩამჯდარი გოლიათები და ცხენებზე ამხედრებული მეომრები იყვნენ გამოსახული. ნინას თვალებში ვატყობდი, ეს ფილები ძალიან მოეწონა.

— მაგრამ ეს ფილები ჯერ არ არის ბოლომდე დასრულებული. ესენი უნდა დამაგრდეს ცეცხლზე გარუჯულ ფიცრებზე, აი, ასეთებზე. — მხატვარმა ქალიშვილმა ბნელი კუთხიდან რამდენიმე ხის დაფა ამოათრია.

თიხის ფილები სპილენძის ლურსმნებით იყო მიმაგრებული ცეცხლზე გარუჯულ და მერე გალაქულ ფიცრებზე. ეს ფილები მართლაც დაამშვენებდა ნებისმიერ თანამედროვე ინტერიერს.

ჩვენ ის ბარელიეფი შევარჩიეთ, რაზეც ძველი რუსული ქალაქი იყო გამოსახული. ფილა დიდი იყო, თითქმის ნახევარი კვადრატული მეტრისა, მძიმე. მხატვარ ქალიშვილს ძალზე ესიამოვნა ჩვენი შექება. მზერა გაუთბა, ალაპარაკდა:

— მე მოვწნახე ხერხი ასეთი ფილების დაყალიბებისა. თხელი რომ გა-

მოვიდეს და გამოწვისას არ დაიმტვრეს, ხევში ვწვავ ხოლმე, სადაც მიწის ღუმელი ამოვთხარე.

— რამდენი მოგართვათ? — ანიშნა ნინამ ჩვენს მიერ შერჩეულ სურათებზე.

მხატვარმა ქალიშვილმა შემცბარმა გაიქნია ხელეჭმის ნიშნები

— მე ხომ მათ ისე, უბრალოდ ვაკეთებდი, სიამოვნებისათვის, სწავლისთვის და არა გასაყიდად. მიიღეთ საჩუქრად, თუ მოგწონთ.

— არა, არა ვართ თანახმა! — ერთხმად წამოვიძახეთ მე და ნინამ.

ნინამ ხელი გამომიწოდა, მეც გულის ჯიბიდან წინასწარ დალაგებული ფული ამოვიღე და გადავეცი.

დაბნეულ ქალიშვილს ნინამ ფული ძალით ჩაუკუჭა ხელში.

— აქ ასი მანეთია. ჩვენი აზრით, თქვენი ნამუშევრები მეტიც ღირს.

— კი მაგრამ ეს ძალზე ბევრია! — წინააღმდეგობის გაწევა სცადა დაბნეულმა ქალიშვილმა. — არ შემიძლია..

— არა, არა, არა! — ცხარედ იუარა ნინამ.

მხატვარი ქალიშვილი აწითლებული იდგა, ფულს მუშტში კმუჭნიდა. რატომღაც შემებრალა.

თიხის ფილა წაღებისას რომ არ გაგვტეხოდა, ძველი ფანერის ნაჭერზე თოკით მივაკარით, შოშია ფეხსაცმლის ყუთში ჩავდეთ, სურათი კი სახლიდან წინასწარ წამოღებულ ქალაქში შევფუთეთ. შეფუთვამდე მხატვარ ქალიშვილს ვთხოვეთ ხელი მოეწერა სურათზე. მან უხერხულად მოაწერა ხელი მარჯვენა ქვედა კუთხეში.

— თქვენ რომ სახელს გაითქვამთ, ჩვენ უკვე გვექნება ცნობილი მხატვრის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი, — ვიხუმრე მე.

ასე დავემშვიდობეთ მხატვარ ქალიშვილს, რომელიც მღელვარებისაგან გონს ვერ მოსულიყო. სოფლის გზაზე რომ გავდიოდით, თვალი სულ უკან, ქალიშვილის ფარდულისაკენ მრჩებოდა. რაღაც აფორიაქებულად და სევდიანად ვგრძნობდი თავს, ნინაც ღუმდა და გულმოსული ქსუტუნებდა. უსიამოვნო გრძნობებისაგან რომ გამოვთავისუფლებულიყავი სახეზე ღიმილი გადავიფინე და მოვეხვიე:

— ჩემო პატარა მეცენატო!

— მომეშვი! — მოიშორა ჩემი ხელი ნინამ, უკან დაიხია და თავიდან ფეხებამდე დაუფარავი ზიზლით შემათვალისწინა. — რა საძაგელი ხარ... ბედნიერი... გახეხილი შაურიანივით ბზინავ!

— შენ თვითონ... ბზინავ! — ვიფეთქე და უკანმოუხედავად წავედი.

ასე გაბუტულები ვისხედით „ელექტრიკაში“ მხოლოდ მაშინ, როცა მოსკოვს მივუახლოვდით, შერიგების საბაბით ვკითხე:

— როგორ გგონია, ვანა ულმობლობა არ იქნება, შოშია ნოვოცილოვს ვაჩუქოთ? ეს ჩიტი ხომ ძალიან ჰგავს მხატვარ ქალიშვილს.

— შენც ნახე რა ნოვოცილოვი შესაცოდებელი! არა უშავს, დაიტანჯოს, დათვი, — შურისგებით შეპყრობილ ნინას ტუჩები გაუფითრდა.

სახელოსნოში სურათი შავ, სადა ჩარჩოში ჩავასმევინეთ და ჩვენი საძინებელი ტახტის თავზე ნიშაში ჩამოვკიდეთ. ახლა, ვალვიძებისას, დიდხანს

ეუმზერ ტყეს, ქოხსა და იასამნისფერ ტონებში შეფერილ თოვლს. ასე მგონია, სოფლის ფანჯარაში ვიცქირები-მეთქი. პეიზაჟი ძალას მმატებს და მამა შეიღებს, როგორც სუნთქვა გრილი სუფთა ჰაერისა. თიხის მძიმე ფილისათვის ადგილი ვერ მოვნახეთ და კედლის კარადაში შევინახეთ, ახალ სამკოთახიან ბინაში ჩამოვკიდებთ, რომელსაც ალბათ ბოლოს და ბოლოს მივიღებთ. ჩემი ქილოვი შოშის წასაღებად მოვიდა. გულითადი მადლობა გადაგვიხადა და მგონი, დამშვიდდა.

6

ოთხი კვირის შემდეგ, შაბათს, ნინამ დილაუთენია გამაღვიძა.

— წავიდეთ ისევ „ბელი რასტში“, მხატვართან!

— ვინდა იყიდო რაიმე?

— არა, სტუმრად მოვიწვიოთ, მინდა მეგობრები ჰყავდეს, ვისთანაც შესძლებს უბრალოდ მივიდეს, დახმარება სთხოვოს, იმედად იგულოს.

ჩამელიმა, მშვენივრად მესმის ნინასი. მას უყვარდა, როცა ვინმეს მფარველობდა, როცა ვინმეს აღზრდაზე ზრუნავდა. ალბათ გამოუვლინებელი დედური ინსტიქტი კარნახობდა, ასე მოქცეულიყო.

გავემგზავრეთ, ჩვენდა გასაოცრად ფარდულში მხატვარი ქალიშვილის ნაცვლად ვილაც წვეროსანი ახალგაზრდები დაგვხვდნენ. ისინი თურმე ზამთრის ბოლომდე იჯარით იღებდნენ სოფლებში ფარდულეს, სათხილამურო ბაზის მოსაწყობად. ახალგაზრდებს გაგონილი ჰქონდათ, რომ მათ მოსვლამდე აქ მხატვარი ქალიშვილი ცხოვრობდა, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, სად წავიდა.

შეწუხებულნი გავეშურეთ სახლის პატრონთან. სისხამ დილის მიუხედავად, კარი ნახევრად მთვრალმა კაცმა გაგვიღო.

— მხატვარი? — გაიცინა. — ჯანდაბამ იცის მაგის თავი და ტანი, სად წავიდა! გადავიდა! რაზე მოვებლაუჭებოდით? სადაცაა, სახლს მთლად გადაბუგავდა. შეშა ისე გაანიავა — უანგარიშოდ, საერთოდ კი, აფრენს. ღმერთმანი ამ ქვეყნის არ არის. სრულებით არ ეძინა. ეზოში როცა არ უნდა გასულიყავი, მუდამ შუქი ენთო. ხან ძერწავდა, ხან რალაცას თხიპნიდა. სული ძლივს უდგას. ის კი არ ეპუებოდა. აგერ აი, სტუდენტები მყავს მის მაგივრად, მათთან უფრო მხიარულადა ვარ, გუშინ ზეიმი ჰქონდათ, მეც გამიმასპინძლდნენ! — კაცმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვიკრა თვალი.

ჩვენ ქუჩის გაღალმა მცხოვრები ქალი გაგვახსენდა. იგი მგონი, კარგად იყო განწყობილი ქალიშვილისადმი, ახალგაზრდა ქალი მართლაც ხალისიანი და ენაწყლიანი გამოდგა. აი, რა გვითხრა:

— გაემგზავრა, უკვე კვირაზე მეტი იქნება სადღაც, ზაგორსკის იქით იქირავა ბინა, ლამანი ადგილიაო, თქვა. მას ხომ სილამაზე სჭირდება. ზუსტად სად, არ უთქვამს, მაგრამ წერილის გამოგზავნას შემპირდა. კარგი გოგოა, მშრომელი, დღე და ღამე მუშაობდა. სურათები ყველა თან წაიღო, თიხისგან ნაძერწი კი სოფელში ჩამოარიგა, მეც მაჩუქა როგორც მეგობარს — აგერ კიდია! — ქალმა ფილებზე მიგვანიშნა, კედლებს რომ ამშვენებდნენ. — ლამაზია! გოლიათები ხელდახელ ებრძვიან ერთმანეთს. ამას ბარელიეფი ჰქვია. ჩემს ბიჭუნებს ძალიან მოსწონთ. ვოკამ, შუათანამ, მოკვდებით სიცილით, ასეთების ძერწვა დაიწყო. თოვლის ქვეშ ამოჩიჩქნა თიხა, დაასველა და გუ-

შინ შუალამედე ზელდა და აბრტყელებდა. ტელევიზორისათვის არ უყუ-  
რებია. დასაძინებლადაც ძალით გავაგდე, მე და ჩემს ქმარს არ ვვაძინებს.  
ქშინავს, ხვნეშის ონავარი. მთელი ქოხი ტალახით მოსვარა, ტერასაზე გა-  
ვავდე რაც უნდა, ის უქნია, რალაც საქმე მაინცაა ბიჭისათვის, ვნახოთ  
და რალაც გონივრული გამოვიდეს მისგან, ჰა? გინგლიფისეჟა

ქალიშვილს სასწავლებელში მივაკითხეთ, მაგრამ მის შესახებ არაფერი  
იცოდნენ. ვეცადეთ, სურათზე ხელმოწერის მიხედვით გვარი დაგვედგინა,  
მაგრამ ამოკითხვა ვერ შევძელით.

ასე დავკარგეთ მხატვარი ქალიშვილი.

## 7

შემდეგ კი მისთვის საერთოდ აღარ გვეცალა, მე და ნინამ ბოლოს და ბო-  
ლოს ხელი მოვაწერეთ.

ჩემი მოთხოვნა ხელმძღვანელობას წარვუდგინე. როგორც ვვარაუდობდი,  
არც თუ ძალიან გაჭიუტებულან. ყურად იღეს ჩემი მოთხოვნები. თუმცა წარ-  
მოიშვა გაუთვალისწინებელი სიძნელეებიც: რაიკომმა ორი სულის სამოთახიან  
ბინაში ჩაწერის ნება არ დაგვართო კანდიდატებისაც კი. მოგვიხდა დამატები-  
თი, სასწრაფო ზომების მიღება. სამი თვის შემდეგ წარვადგინეთ ცნობა ოჯა-  
ხის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ.

შემოდგომაზე ორდერი მივიღეთ. სულმოუთქმელად შევუდექი ბინის  
გარემონტებას. გავაახლე პარკეტი, ვიყიდე ავეჯი. ფებშიმე ნინა დიდი ვერა-  
ფერი დამხმარე იყო, მხოლოდ მხელმძღვანელობდა. ქანცი გამიწყდა, მაგრამ  
ნოემბრის ბოლოსათვის ახალსახლობა მაინც ვიზეიმეთ.

ახალ წელს მარტოები შევხვდით, უსტუმრებოდ, ნინა მერვე თვეში  
იყო და დავიდარაბის თავი არ ჰქონდა. სტუმრად სადმე წასვლაც არ გვსურ-  
და. გვქონდა ბატი — კარგი, შინაურული საშობაო ბატი და ერთი ბოთლი  
შამპანური.

რამდენიმე თვის ზრუნვისა და ფუსფუსის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს  
მომეცა ამოსუნთქვის საშუალება. დალახვროს ეშმაკმა, რა მშვიდად და უშ-  
ფოთველად ვიგრძენი თავი. ნინკა ტელევიზორში საახალწლო ცისფერ ეკ-  
რანს უყურებდა, მე კი შამპანურს ვსვამდი და საქმელს ვატანდი. თანდათა-  
ნობით ვთვრებოდი. ჭიქა ხელში ავიღე და ჩემი ახალი, ვრცელი აპარტამენტის  
შემოვლას შევუდექი, თან სიმშვიდით და სიმყუდროვით ვტკბებოდი. დავაბი-  
კებდი ხალიჩებზე და ვიმეორებდი სტუდენტური წლებიდან მეხსიერებაში  
შემიარჩენილ ინგლისურ ფრაზას:

— „მოეწყვეთ რაც შეიძლება მოხერხებულად“. ეშმაკმა დალახვროს,  
მგონი უკვე მოვეწყვე.

დავიარებოდი ბინაში სასმისით ხელში და გულში სადღეგრძელოებს წარ-  
მოვთქვამდი, ვსვამდი მყუდრო სამზარეულოს, უშველებელი ლოჯიას სად-  
ღეგრძელოს, ვადღეგრძელებდი პრიალა ავეჯს, რომელიც ნაცნობობით ვიშოვე.  
მერე მაცივარი „მინსკი“ და ფერადი ტელევიზორიც ვადღეგრძელე.

სასტუმრო ოთახში გაპრიალებული „კედლის კარადის“ მოპირდაპირე  
მზარეს ეკიდა თიხის ფირფიტა, რომელზეც გამოსახული იყო ეკლესიები.  
ფირფიტამ, ბოლოს და ბოლოს, მონახა თავისი ადგილი. უხეში მოწითალო  
თიხა ორიგინალურ კონტრასტს ჰქმნიდა გაპრიალებულ ავეჯთან და მასში

ირეკლებოდა. ეს ფირფიტა ძალიან მოეწონათ ახალ სახლობაზე მოსულ სტუმრებს. დაწვრილებით გამოგვეკითხეს მხატვარი ქალიშვილის ამბავი. შემცბარი ნოვოქილოვი იძულებული გახდა მოეთხრო თავისი სენტიმენტალური ამბავი, რომელსაც ჩვენ პიკანტური წვრილმანებით ვავსებდით.

საწოლ ოთახში იასამნისფერ ტონებში დახატულ სურათზე შევაჩერე მზერა. რაც მართალი მართალია, გოგონას გააჩნდა ღვთიური ნაპერწკლები. მაგონდებოდა მის ულამაზო, ფერმკრთალ სახეზე დასკუპებული მუჭი, ცოცხალი თვალები და ფარდული, სადაც იგი მუშაობდა. იქნებ მართლაც გახდეს ცნობილი მხატვარი? ისეთი შეუპოვარია, ნამდვილად გახდება, თუ, რასაკვირველია, არ გატყდება, არ ჩაიწვება შრომაში.

— შენ გადღეგრძელებ, მხატვარო ქალიშვილო, შენი გამარჯვებისა იყოს! ახლა ხომ შენი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა. საინტერესოა, რა ეღირება ასეთ შემთხვევაში მისი სურათები? ალბათ ძვირი. აი, ოინი თუ გინდათ! — და ჭიქა გამოვცალე.



## ფელიქს კრივინი

### მოგზაურობა საბანთა ქვეყანაში

თარგმნა ვაჟა ყუბუსიძემ

#### ბედნიერი ქვა

შინ ბრუნდებოდა ხოჭო ჯარისკაცი.

სამხედრო სამსახურს მორჩა თუ არა, მეუღლისაკენ გამოეშურა. ყველას ახარებს შინ დაბრუნება და ხოჭოც კარგ ხასიათზე იყო.

— ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი! მარცხენა წინა, მარჯვენა წინა! მარცხენა უკანა, მარჯვენა უკანა! მარცხენა შუანა, მარჯვენა შუანა!... — არც ერთ ფეხს არ ივიწყებდა და ასე ბრძანება-ბრძანებით მოაბიჯებდა.

შავი ლაქებით დაწინწკლული წითელი ზურგი ხან გამოჩნდებოდა, ხანაც მიიმალეობოდა მაღალ ბალახში. არც თავარა მზეს ერიდებოდა და არც ცივ ღვართქაფს მრავალნაცადი და ჭირგამოვლილი ჯარისკაცის ეს ნაჯაფი ზურგი.

— ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი!..

საღამომდე, ბრძანებასაყოლილი, მზიარული ნაბიჯით მთელი სამოცდა-

ათი მეტრი განვლო და ღამის გასათევად მოემზადა. თავქვეშ ქვა ამოიღო. მიწაზე მიწვა და, ჯარში ყველანაირ ძილს შეჩვეულმა, მალე ჩათვლია.

სიზმარში სახლი და მეუღლე ნახა. აი, დირეზე სხედან, ვარსკვლავებს შესცქერიან და მშვიდად საუბრობენ. ყველა ჯარისკაცი სამხედროში გატარებული დღეების შესახებ და სიამაყით ივსება მეუღლე. ყველაფერი უჩვეულო და საინტერესოა მისთვის.

შემდეგ მინდვრებში ეხეტებიან, პურის თავთავის ქვეშ, ღეროზე ისვენებენ და იგონებენ, როგორ ნატრობდნენ და ელოდნენ ერთმანეთს.

უფრო აჩქარდა გამოდვიძებული ჯარისკაცი. მაგრამ ათიოდე ნაბიჯის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და თან წაიყოლა ქვა, ღამით რომ თავქვეშ ედო. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, უსახო ქვა გახლდათ, მაგრამ მთლად ჩვეულებრივი რომ არ იყო — უმაღლე მიხვდა ჯარისკაცი: ასეთ სიზმარს ყველა ქვაზე ვერ ნახავ. ბედნიერია უთუოდ! წავიღებ და მეუღლეს მივართმევო, — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

დიდხანს იარა, ვიდრე სახლს მიაღწევდა.

გახარებული დირეზე შემოდგა და შესძახა: სტუმარს მიეგებეო, დიასახლისო.

ხმა არავინ გასცა.

— გძინავთ თუ?! — შეჰყვირა უფრო ხმამაღლა.

პასუხი არც ახლა მიუღია.

მალე მეზობლები მოგროვდნენ. ულოცავდნენ მშვიდობით დაბრუნებას და რატომღაც თვალს არიდებდნენ.

სად არის, ხომ არაფერი შეემთხვაო, — შეწუხდა ჯარისკაცი.

ყველამ იყუჩა. მხოლოდ ძველმა მეგობარმა — ხეჭამია ხოჭომ უთხრა: დარდად არა ღირს, ნუ მოიწყენო, ჯარისკაცო.

— რას ამბობ, რამ გადაგრიია?!

— არაფერმა, მაგრამ ის (ასეთი და ისეთიო, — თქვა ხეჭამიამ) პურის ბელელში გადაბარგდა.

— რომელ ბელელში?

— პურისაში-თქო, გითხარი. იქაური სამნეო ნაწილის გამგემ — ცხვირგრძელამ გადაიყვანა თავის კმაყოფაზე.

ფიქრმა წაიღო ჯარისკაცი.

— ცხვირგრძელამაო, მეუბნები? კეთილი და პატიოსანი! არც იმ ვაჟბატონს შევუშინდები. მიმიფურთხებია მაგის სამნეო ნაწილისათვის.

წავიდა და შეაღო ბელლის კარი.

— სალამი, დედაკაცო, დაებრუნდი და ესაა! წამო, სახლში წავიდეთ!

— არსადაც არ წამოვალ, — პასუხობს დედაკაცი. — მეყო, რაც ვითმინე.

ევედრა, ემუდარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— კი ბატონო, მობრუნდი, გამაბედნიერე, როგორც იქნა... მაგრამ გაგახსენდა და მომიტანე რაიმე?

— როგორ არა! — გაიხარა ჯარისკაცმა. — ქვა მოგიტანე.

ქვას რომ შეხედა, ხა-ხა-ხაო, გადაიხარხარა ცხვირგრძელამ. — ყოჩაღ, მამო, საჩუქარიც ამასა ჰქვია!

— რას იღობები? — გაწყრა ჯარისკაცი. — გაჩუმდი მაინც, როცა არ გესმის.

— რა უნდა მესმოდეს?! ეგეთი ქვეებით სავსეა ეზო.

ხედავს, რომ მართლა არ ესმის, და ეუბნება:

— შე ბრიყვო, შენა, ისინი ასეთი კი არა, ამის მსგავსნი არიან... ნაწილიო... რისი გამგე ხარ, ავი რომ კარგისგან ვერ გაგირჩევია?

ხოჭოს სიტყვები შიგ გულში მოხვდა ცხვირგრძელას.

— შენ ჩემს თანამდებობას შეეშვი, — თქვა სახეშეშლილმა. — უმადურია ეს საქმე, უმადური და ძნელი. დილიდან საღამომდე შრომობ, წელს ითრევ და მადლობასაც არავინ გეტყვის.

ეუბნებოდა ჯარისკაცს, ცხვირგრძელაზე რომ ცუდი იფიქრა, და უთხრა:

— მომიტევე, თუ შეგიძლია. რას გერჩი, ვხედავ — სამართლიანი ცხვირგრძელა ხარ და საქმეც სამართლიანი გაქვს. ესაა, დედაკაცზე მწყდება გული, ცოლი ჰქვია მაინც, მენატრებოდა, ვენდობოდი და მოვიჩქაროდი...

— ცოლი არა, სიკვდილი, — წიწმატობს დედაკაცი. — წადი, წადი, ტოლი ნახე და. თუ გსურს, მთელი პლანეტის ქვა მიუზიდე.

მიხვდა — უაზრო იყო მუდარა.

კარგი, კალთებს არ დაგახევო, — თქვა, მოიგდო ქვა ზურგზე და გასწია.

ტყესთან მისულმა, უკანასკნელად გადმოხედა სახლ-კარს და პირველსავე ბილიკს დაადგა: აღარც „მარცხენა წინა, მარჯვენა უკანა“ წამოცდენია და აღარც ბედნიერ ქვაზე უფიქრია, ახლა საგრძნობლად რომ დამძიმებულიყო. საღამოს ნაკადულს მიადგა. ერწყულა, დაისვენა და დილით კარგა ხანს იფიქრა გაღმა გადასვლაზე. უცბად წყალზე მოქანავე ფოთოლი შენიშნა. ფოთოლზე კოლო იჯდა — მებორნე ალბათ.

— ჰეი, — შეეხმინა ჯარისკაცი. — თუ ძმა ხარ, იქით გადამიყვანე!

— მოდი, დაჯექი!

ის იყო ფეხი უნდა შეედგა, რომ...

— მოიცა, მოიცა! — აყვირდა კოლო. — მაგ ქვას რომ მოათრევ, ბორანი გინდა ჩამიძირო?!

— ეს ჩვეულებრივი კი არა, განსაკუთრებული ქვაა, — უხსნის ჯარისკაცი.

— ვხედავ, რა განსაკუთრებულიცაა, — ბრაზობს კოლო. — ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია.

— იქნებ ჯერ ქვა გადაიტანო და მერე ჩემთვის მობრუნდე? — კვლავ სთხოვს ჯარისკაცი.

— შენ რა, სულელად მთვლი? მასეთი ქვეებით სავსეა გაღმა ნაპირი.

— იქ სულ სხვა ქვებია, ასეთს ვერ მოიძიებ.

— გეყო, ჯარისკაცო! — აბზუვლდა კოლო. — გინდა — დაჯექი, არადა — მომწყდი, საქმეს ისედაც ვერ ავუდივარ.

— რა გაეწყობა, — თქვა ჯარისკაცმა. — წაბრძანდი. მივდგებ-მოვდგები, იქნება რამე მოვახერხო.

იარა, იარა და ყველაზე ვიწრო ადგილი მონახა. მოსინჯა... ღრმა გამოდგა. რაღა ელონა?

უცბად, ამ ფიქრსა და ჩახირონი რომ იყო, ქვა გაუვარდა და ნაკადულის  
შუაგულზე დაეცა.

სცადა ამოეღო. ზედ შედგა და ხედავს — მეორე ნაპირამდე ნაბიჯიღაა.

ქვაც ეს ყოფილა! რა გადამიყვანდაო უმისოდ, — გაიფიქრა, გავიდა გაღ-  
მა, ამოიღო ქვა, მოიგდო ზურგზე და გზა განაგრძო.

გუნებაც გამოუკეთდა თითქოს: მიდის, მილიღინებს <sup>ერძინულად</sup> <sup>გრადსი</sup> <sup>ჩრდსკულს</sup>  
და ესმის:

— გამარჯობათ! მაპატიეთ, გეთაყვა, რომ თქვენი ფიქრების დინებას ვარ-  
ღვევ...

მიმოიხედა, ვერავინ შენიშნა.

ხმა კი განაგრძობს:

— თუ შეიძლება მითხარით, საით მიდიხართ ასეთი მძიმე ტვირთით?

ერთხელაც მიმოიხედა ჩარისკაცმა და ახლალა შეამჩნია პატარა, თეთრი  
მატლი, ბუჩქის ქვეშ, ქალაღლის ნაგლეჯში რომ იქექებოდა.

— ვინა ბრძანდებით? — იკითხა ჩარისკაცმა.

— ო, მაპატიეთ, რომ არ გაგაცანით თავი! — მოიბოდინა უცნობმა. —  
მე წიგნის მატლი ვარ. ქალაქში, საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. აქ კი ნათე-  
სავენს ვესტუმრე.

— გასაგებია, — თქვა ჩარისკაცმა და წასვლა დააპირა, მაგრამ წიგნის  
მატლმა კვლავ შეაჩერა:

— ბოდიში, ძვირფასო, დაბნეულობის ბრალია ალბათ, რომ კითხვაზე  
არ მიპასუხებთ. თავს ნება მივეცი — შემეტყო, საით მიბრძანდებით ასეთი  
ტვირთით.

— როგორ გითხრათ... — დაიბნა ჩარისკაცი. — თავადაც არ ვიცი.

— ესე იგი, მოგზაურობთ! — აპყვა წიგნის მატლი. — კარგია! კარგი  
და საინტერესო. მოგზაურობა სულისა და სხეულის დასვენებაა, ცხოვრების  
შეცნობაა მის ყველა გამოვლენაში... თუ შეიძლება ისიც მითხარით, ეგ რაღაა,  
თან რომ მიგაქვთ?

— ქვა გახლავთ.

— ძვირფასი ქვა? — გამოცოცხლდა მატლი. — ნეტავ რომელი? ზურ-  
მუხტი, ოპალი, საფირონი, ამეთვისტო. თუ?..

— არა, არა, — შეაჩერა ჩარისკაცმა. — ეს ძვირფასი ქვა სულაც არ  
არის, ჩემთვის კი ყველა ძვირფასზე ძვირფასია. აი... როგორ გითხრა. ბედნიერი  
ქვაა.

— მაპატიეთ, გეთაყვა, მაპატიეთ, — თქვა წიგნის მატლმა. — წუთით  
მადროვეთ — გულისყური მოვიკრიბო.

მატლი ჩაფიქრდა და დიდხანს იჯდა გაუნძრევლად. ჩარისკაცი მოთმი-  
ნებით ელოდა. ის იყო წასვლა დააპირა, რომ მატლი გამოერკვა.

— მაპატიეთ, — ისევ მოიბოდინა, — გამოდის, რომ თქვენს ქვას რაღაც  
კავშირი აქვს ბედნიერებასთან.

— რა თქმა უნდა, ავი გითხარით, ბედნიერი ქვა არის-მეთქი.

— ნება მომეცით, კვლავ მოვიკრიბო გულისყური, — შეევედრა მატლი.

ჩარისკაცს ეუბნებოდა უარი ეთქვა.

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ თუ შეიძლება დააჩქარეთ.



მატლი ისევ თავის თავში ჩაღრმავდა. რაღაცას იგონებდა და ფიქრში იმეორებდა: „ბედნიერება... ბედნიერება... ბედნიერება...“

— იცით, — თქვა ნახევარი საათის შემდეგ, — სადღაც ამოვიკითხავს, ბედნიერება უმაღლესი და სრული კმაყოფილებააო.

— იტყვი, რა! — აღშფოთდა ჯარისკაცი. — სრული კმაყოფილება უარეს ვინ მოიფიქრებდა?!

— კი მაგრამ, ასე ეწერა და რა ვქნა?! — გაცხარდა მატლი, თუმცა ქვევის დადგენილი საზღვრებიდან არ გადასულა. — იცოდეთ, ძვირფასო, გამოგონებით არასდროს არაფერს ვიგონებ. ეს განსაზღვრება დიდად სოლიდურსა და ავტორიტეტულ ლექსიკონში ამოვიკითხე. საინტერესოა, თავად როგორ გესმით ბედნიერება?

— ბედნიერებაა, — თქვა ჯარისკაცმა, — როცა გჯერა მისი, რაც ძალიან გინდა, მაგრამ არა გაქვს. გჯერა და ცდილობ მოიპოვო.

— ვერ შეგედავებით, — მოწყალედ ბრძანა წიგნის მატლმა. — ჩანს, ამ საკითხში მომზადება გაკლიათ. თხოვნით კი გთხოვთ ამიხსნათ, რატომ უწოდებთ თქვენს ქვას ბედნიერს?

— იგი ჩემი ერთადერთი მეგობარია, — მიუგო ჯარისკაცმა. — მრავალგზის უსაშველია და დავუხსნივარ: როცა ძალიან მიჭირს, მომავლის რწმენას ნმატებს... თავქვეშ რომ ვიდებ, ისეთ სიზმრებს ვნახულობ, ისეთს, რომ...

— არც ძილისა და სიზმრის წარმოშობის თეორია გცოდნიათ. გისურვებთ მალე ამოგვესოთ ეს ხარვეზი. თუ ჩემს ბიბლიოთეკაში შემოივლით...

მაგრამ ჯარისკაცი აღარ უსმენდა. ნათელი იყო, რომ წიგნის მატლს წარმოდგენაც არ ჰქონდა ოცნებაზე, რომელიც ქვებსაც კი ჯადოსნურ ძალას აძლევს და ბედნიერების არსებობასაც განსაზღვრავს.

ჯარისკაცი გზას გაუყვა. წიგნის მატლი კი გულისყურის მოსაკრებად, ნათესავებთან დატოვა.

ბევრი იმოგზაურა ჯარისკაცმა. ყველგან დასცინოდნენ. არავინ იკედლებდა მასა და მის ქვას. ღამით ღია ცის ქვეშ ეძინა. გატანჯა ქარმა და წვიმამ. გრიპიც შეეყარა, მაგრამ...

მაგრამ ისეთ სიზმრებს ნახულობდა, ისეთ სიზმრებს, რომ ვერანაირ ქვაზე მსგავსს ვერაფერს ნახავ!

ერთხელ, მთლად მისავათებული, ქრიჭინობელას სახლს მიადგა. არც ახლა უთხოვია, ღამე გამათევინეთო. რაკი შინ არავინ უშვებდა, სახლთან მოიკალათებდა ხოლმე.

დადო ქვა და ვახშმის საძიებლად წავიდა.

როცა დაბრუნდა, ქვასთან ქრიჭინობელა დახვდა. იდგა და ათვალთვლებდა.

— თქვენი ქვაა? — ჰკითხა ქრიჭინობელამ მისალმებისთანავე.

ისევ გამაგდებენო, — გაიფიქრა ჯარისკაცმა და უთხრა:

— ნუ შეწუხდებით, სულს მოვითქვამ და ჩემი გზით წავალ. გარწმუნებთ, ხელს არ შეგიშლით.

— რა მშვენიერი ქვაა! — განაგრძო ქრიჭინობელამ ისე, რომ ყურიც არ უთხოვებია მისთვის. — ალბათ ბედნიერიცაა და, თავქვეშ თუ დაიდებ, უჩვეულო სიზმრებს გიჩვენებს...

— გეყოთ დაცინვა, — გააწყვეტინა ჯარისკაცმა. — შემოიძლია ახლავე წავიდდე... ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ.

— შოთმინეთ, ნუ წახვალთ, — ხმა მოუღება კრიჭინობელს. — დაცინვა არც მიფიქრია, მართლა არ შემხვედრია ასეთი ქვა.

— მართლა? — ისე გაიხარა ჯარისკაცმა, რომ სიხარულით წაუწყდა.

— ნეტა აქ რაღას ვუდგევართ? — გონს მოეგო კრიჭინობელს. — წამობრძანდით, სახლში შევიდეთ. ქვასაც ნუ დატოვებთ, ათასი ოხერია და არავინ წაიღოს.

შუალამამდე ისხდნენ და საუბრობდნენ. ბევრი სათქმელი აღმოაჩნდათ. დაწოლისას კი, დაე, მანაც იხილოს მშვენიერი სიზმარიო, — ჯარისკაცმა კრიჭინობელს დაუთმო თავისი ქვა.

რამდენიმე დღე დაჰყო მშვენიერ მასპინძელთან. ბოლოს, გამოჯანმრთელებული და დასვენებული, წასასვლელად მოემზადა.

დარჩი, ნუ წახვალთ, — ევედრება კრიჭინობელს. — საჭმელიც გვეყოფა და ორისთვის ადგილიც საკმარისიაო ჩემს ბინაში.

არ ეთანხმება ჯარისკაცი. სიკეთისათვის დიდი მადლობაო, — ეუბნება. — ქვას კი სახსოვრად გიტოვებთ, უცბად რომ არ დამივიწყოთო.

უი, როგორ გეკადრებათ, ასეთ საჩუქარს ვერ მივიღებო.

— დაიტოვეთ, დაიტოვეთ, — ამბობს ჯარისკაცი. — მე სხვას მოვიძიებ. ძებნაა საჭირო, თორემ ქვეყნად ბედნიერი ქვის მეტი რა არის.

ჰოდა, მიდის ჯარისკაცი:

— ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი! მარცხენა წინა, მარჯვენა წინა! მარცხენა უკანა, მარჯვენა უკანა! მარცხენა შუანა, მარჯვენა შუანა! — ბრძანება-ბრძანებით მიაბიჯებს.

ახლაც მიდის და ბედნიერ ქვას დაეძებს. არა, კარგი სიზმრების ნახვა კი არა, მათი დასაჩუქრება სურს, რომლებმაც ბედნიერების ნამდვილი ფასი იციან...

მაგრამ არ შეცდეთ და არ დაელოდოთ. თქვენვე მოიძიეთ ბედნიერების თქვენი ქვა.

### წვეთის ისტორია

ვწერდი და ქაღალდზე მელანი დამელვარა.

— როგორც იქნა, მეც გაგახსენდი, — თქვა ნალვენთმა. — ისეთი მადლიერი ვარ, ისეთი, ვერ აგიწერ.

— კი მაგრამ, მე წვეთზე მინდა დავწერო, — ავუხსენი.

— ჰოდა, დაწერე! მელნის წვეთი რა, წვეთი არ არის! — გაიოცა ნალვენთმა.

წვეთიცაა და წვეთიც, — ვუთხარი მე. — თვით მელნის წვეთიც ათასგვარია: ზოგი წერილებს წერს, ზოგი — სავარჯიშოებს რუსულ ენასა და არითმეტიკაში, ზოგიც — აი, ამდაგვარ ისტორიებს... არიან შენნაირებიც, უქმად რომ სხედან და მხოლოდ ადგილს იკავებენ ფურცელზე. მითხარი ერთი, კარგი რა უნდა დავწერო შენზე?

ნალვენთი ჩაფიქრდა.

უცბად მზის პატარა სხივი მიუახლოვდა. მართალია, ფანჯარასთან მდგა-

რი ხეების ფოთლებს არ სურდათ იგი ოთახში შემოეშვათ: მიეკარები და დაგ-  
სვრისო ეგ თხუპნია, — მაგრამ სხივი არ შეშინდა, რადგან გულით უნდა  
დახმარებოდა ქალაქზე უხეიროდ დასკუბებული მელნის ამ ციქნა ნა-  
ვენოს.

ერქვენი  
ნიგლიქთქა

— ძალიან გინდა შენზე დავწერო? — ვეკითხები მე.

— ძალიან, — გულახდილად მპასუხობს.

— თუ ასეა, სცადე და დაიმსახურო. მოდი, მიენდე სხივს. იგი შორს წა-  
გიყვანს, მელნისგან გაგანთავისუფლებს და წმინდა, გამჭვირვალე წვეთად  
გაქცევს. მალე საქმესაც გამონახავ, მხოლოდ, იცოდე, რჩევა არ დაუწყო.

— კარგი, — დამეთანხმა წვეთი. აწი შეიძლება მას ასე ვუწოდოთ.

ფანჯარასთან ვდგავარ და შორით მცურავ ღრუბლებს მივჩერებივარ. მათ  
შორის ჩემი წვეთიცაა. ვდგავარ და ხელს ვუქნევ:

— მშვიდობით, წვეთო, კეთილი გზა გქონოდეს!

სადღაც შორს კი, მზით გახურებულ ველზე, ქარი აქანავებს თავთავს.  
იცის თავთავმა — ტენია საჭირო, დიდი რომ გაიზარდოს, იცის, წვიმა თუ  
არ მოვიდა, მზით გადახმება და ვერაფრით წაადგება ხალხს, ამდენი რომ იშ-  
რომეს მისთვის. ბევრი რამ იცის, მაგრამ წვეთთან ჩვენი მოლაპარაკებისა  
არა იცის რა.

წვეთი კი საშველად მიიჩქარის:

— ჩქარა, ჩქარა, არ დავიგვიანოთ! — შესძახის ქარს.

ო, რა ბედნიერება იყო მისი გამოჩენა!

და წვეთი ისე დაეშვა თავთავისაკენ, სიფრთხილზე არც უფიქრია.

— როგორაა საქმე? უძლებ? — ეკითხება სუნთქვაშეკრული.

— ვუძლებ, როგორც ხედავ, — პასუხობს მამაცი თავთავი, — ყველა-  
ფერი რიგზეა.

წვეთი გრძნობს, რომ ყველაფერი რიგზე არ არის: წვალეებით ხვრეტს გა-  
მომხმარ მიწას, თავთავის ფესვამდე აღწევს და არწყულებს.

ცოცხლდება თავთავი, წელში იმართება და ძველებურად მხნედა გრძნობს  
თავს.

— გმადლობ, წვეთო, ძალიან მისაშველე.

— ეგ არაფერი. მიხარია, რომ გამოგადექი. ახლა კი მშვიდობით, სხვა-  
განაც მელიან.

სად ელიან — არ ამბობს და, თუ ბიჭი ხარ, მიაგენი, როცა ამდენი მდი-  
ნარე, ტბა, ზღვა და ოკეანეა ქვეყნად და ამდენი წვეთია მათში!

მაგრამ ჩემი წვეთი მაინც უნდა მოვიძიო! აკი მე თვითონ გავამგზავრე  
ასე შორს და თან დავპირდი — შენზე უთუოდ დავწერ-მეთქი.

საკვანძო სადგურზე ორთქლმავალი ქშენა-ქშენით ჩერდება. აქ უნდა და-  
ისვენოს, თან წყალი და საწვავი მოიმარაგოს, რომ ახალი ძალით დაუყვეს შო-  
რეულ გზას.

ჩუხჩუხებს წყალი, ქვაბებს უვსებს. და ნახეთ: ნაკადში რალაც ნაცნობი  
გამოჩნდა. რალა რალაც, ჩვენი წვეთია ნამდვილად!

უჭირს წვეთს ორთქლმავლის ქვაბში! დულს აქ სამუშაო! დაიორთქლა კი  
არა, აორთქლდა წვეთი, მაგრამ საქმეს მაინც არ დალატობს. ისე მუშაობს —  
ჭკუას ეკითხებიან.

— აბა, ბიჭებო, მიდი! აბა ერთად! აბა ღონივრად! — ბრძანებს და

წვეთებიც ძალას არ იშურებენ. მიჭრის მატარებელი, მიჭრის და უკან იტოვებს სადგურებს.

— ნუ დაგვივიწყებ, წვეთო, იმედია ისევ შევხვდებით! — მისძინარს ამხანაგები, თავისი ცვლის შემდეგ ორთქლთან ერთად ქვაბიდან რომ ამოხტება და გზას გაუყვება.

მკაცრი ზამთარია. ვერ გამთბარა და იყინება მიწა. მას კი გაყინვის უფლება არა აქვს: უნდა შეინარჩუნოს სითბო და გაზაფხულზე ხეებს, ბალახებს, ყვავილებს დაურიგოს. ვინ დაიცავს და დაიფარავს? ვინ არ შეუშინდება სუსხს?

წვეთი! რალა თქმა უნდა, წვეთი!

იგი ძნელად საცნობია ახლა: სიცივისაგან ფიფქად ქცეულა. ფარფატი მოდის. პატარაა, მაგრამ ბევრი მეგობარი. ჰყავს და ყველა ერთად ახლაც ახერხებს მიწა ყინვისაგან დაიფაროს.

თეთრთხალათიანი მებრძოლებივით გაჰკვრიან და ტეხური სუსხისაგან იცავენ მთასა და ბარს.

— ასე, ხომ?! — იმუქრება ყინვა. — თუ ბიჭი ვარ, აგაცეკვებთ!

გაავეებული ქარს ამოაგდებს, ზეაიტაცებს მსუბუქ ფიფქებს და შეციებულებს ჰაერში აცეკვებს.

მაგრამ გამარჯვებით აღტაცებული, როგორც კი ქარს დაითხოვს, ფიფქები მიწას უბრუნდებიან და კვლავ მკერდით იფარავენ მას თოშისაგან.

მალე გაზაფხულიც მიეშველებათ, გაათბობს შეციებულებს და ალერსით ეტყვის:

— გმადლობთ, ძვირფასებო, მთა-ბარი ზამთარს რომ გადამირჩინეთ. სუსხი აწი საშიში აღარაა. წადით და მშვიდად მოისვენეთ.

ვის არ სიამოვნებს ქება?! ფიფქებიც დნებიან სიამოვნებისაგან, კვლავ წვეთებად იქცევიან და თან მიჰყვებიან გაზაფხულის ხმაურიან ნაკადებს.

ღმერთო ჩემო! კვლავ დამელვენთა მელანი.

— რას მიღიმი, ღვენთო?

— რას და... პირობა პირობაა, ახლა ხომ დაწერ ჩემზე?

— ოოო, ისევ შენა ხარ?! აკი გითხარი, სასარგებლო რამ აკეთე-მეთქი. შენ კი, ისეთივე დარჩენილხარ, როგორც იყავი.

— ნურას უკაცრავად! ახლა მე ნამდვილი წვეთი ვარ და სასარგებლოსაც ბევრს ვაკეთებ.

— თუ ასეა, ღვენთად რალად იქეცი?

ღვენთი ეშმაკურად მიკრავს თვალს:

— იმად, რომ გეცან და რამე დაგეწერა.

ახლა მე ვუპაჭუნებ:

— ტყუილად წუხდი, აკი დავწერე კიდეც... — და ამ ისტორიას ვუკითხავ.

— რას იტყვი, ხომ არაფერი გამომრჩენია?

— არა, არაფერი! — გახარებული მპასუხობს, მაგრამ სხვას ველარაფერს ამბობს: ჩვენი ძველი ნაცნობი — სხივი ექაჩება:

— წამო, წამო, სადა გეცალია უქმად ჯდომისათვის?! და მიფრინავენ.

მე კი კვლავ ვდგავარ სარკმელთან და შორით მცურავ ღრუბლებს მივჩვენებ.

მათ შორის ჩემი წვეთიცაა.

ვდგავარ და ხელს ვუქნევ:

მშვიდობით, წვეთო! კეთილი გზა გქონოდეს!



### ჩვენი თანამგზავრი

— პი... პი... პი...

ქვეყნად უჩვეულო რამ მოხდა: მრავალი მილიონი წლის უშვილო დედამიწას ვაჟი შეეძინა. სულ ციციქნა იყო, მაგრამ უფროსებივით საკუთარი სახელი ჰქონდა: „დედამიწის თანამგზავრი“.

ხარობდნენ და ამაყობდნენ ადამიანები, მიწას რომ თანამგზავრი აჩუქეს. უამათოდ, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა დედამიწის მარტოსული და მოსაწყენი ცხოვრება.

ახლა კი:

— პი... პი... პი...

უცბად გამხიარულდა დედამიწა.

...ფრენდა თანამგზავრი და სხვადასხვა კონტინენტის ადამიანები პირველად გრძნობდნენ თავს თანამემამულეებად. მათ თვალწინ ახალი პორიზონტები გადაიშალა და უკვე სამყაროს მასშტაბიდან საოცრად მშობლიურად და ვანსაკუთრებული ბედნიერების ღირსად წარმოსდგა დედამიწა.

მხოლოდ მიტოვებულ საკუქნაოში, სადაც სულს ლაფავდნენ ძველი და უსარგებლო საგნები, არ აღფრთოვანებულან პატარა თანამგზავრის ამბით.

პატეფონის ნემსიც კი, ვინაც პირველმა შეიტყო ეს ამბავი, თავისი სიჩლუნგის გამო ბოლომდე ვერ გაერკვა მოვლენებში.

— წარმოგიდგენიათ, — ჩიოდა იგი. — მთლად შეიშალნენ ადამიანები! მე მათთვის მშვენიერ ტანგოს ვუკრავდი, უცბად... ვილაცამ შემოირბინა და შესძახა: „ჩუმად! გამორთეთ რადიოლა!! ისმინეთ!!!“ მე, რაღა თქმა უნდა, ფირფიტას მომამშორეს და მეზობელი ოთახიდან გაისმა: „პი... პი... პი...“ მხოლოდ „პი... პი... პი...“, და სხვა არაფერი ჰოდა, რა გგონიათ? იდგნენ ადამიანები, უსმენდნენ — როგორც საუკეთესო მუსიკას, და შემდეგ რაღაც თანამგზავრზე ლაპარაკობდნენ.

და პატეფონის ნემსმა წვლილად უამბო ახალ მეგობრებს ყველაფერი, რაც დედამიწის პატარა თანამგზავრის შესახებ შეიტყო.

— არც მე მესმის ადამიანების აღფრთოვანება, — თქვა კედლის საათის დიდმა ისარმა. — ამბობთ, თანამგზავრი სრულ შემოვლას საათსა და ოცდათხუთმეტ წუთში ახერხებსო. მე, თავის დროზე, ერთ საათში, ზოგჯერ უფრო მცირე დროშიაც შემოვირბენდი წრეს, მაგრამ ამის გამო ვინმე ცას წეოდეს — არ შემომჩნევია.

ისარი არა ტყუოდა: წრეს ორმოცდახუთ წუთში შემოვივლიდა და — საქებარი არაფერი სმენია.

— სიდიდეს აღარ იკითხავთ?! — გაიჭრიალა ხის ძველმა ტახტმა. — დიამეტრი მხოლოდ ნახევარი მეტრი ჰქონია! ჩემი ზომის პატრონს კი... არა, ძმაო, ნამდვილად ვილაც მფარველობს!

— თქვენ რა, — ჩაერია საუბარში ფეხბურთის დაგლეჯილი ბურთი. — თქვენცა გსურთ ფრენა? მერწმუნეთ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ჩემდენი ცოტას უფრენია და უნდა მენდოთ.

— მართლა გიფრენიათ? — აღფრთოვანდა ვარცლერი და თქვენი რა, ეს ხომ ძალიან საინტერესოა!  
და ბურთმაც დაიწყო:

— დიახ, ახალგაზრდობისას დავფრინავდი. იმდენი მიფრენია, თქვენს თანამგზავრს არც დაესიზმრება...

ვიდრე ბურთი ახალგაზრდობას იგონებდა, პატარა თანამგზავრი სივრცეებს სერავდა და მხიარულად, ყმაწვილკაცურად გაიძახოდა:

— პი... პი... პი...

და ქალაქებსა და სოფლებს, ოკეანებსა და ზღვებს რომ გადაიქროლებდა, გრძნობდა შორეული, მშობლიური დედამიწიდან მისკენ მიმართულ კეთილ მხერას, იცოდა — მეგობრების ხმა ჩაახშობდა ძველი, მიტოვებული საკუჭნაოებიდან დაძრულ ჩურჩულს.

უფრთოა ღვარძლი, შურიც უფრთოა და ჩვენს თანამგზავრებამდე ვერასდროს ამაღლდებიან.

კიდევ კარგი, რომ ასეა და ვერავინ შეცვლის ნორჩების განწყობას!

თ ა ვ ი

### წინათქმა

ჩემოდნისა დივანს შეშურებოდა: ქვეყანა აქვს შემოვლილი ჩემოდანს. საწყენია, რომ განძრევის უფლებას არ მაძლევსო ჩემი ზნე და ბუნება.

სძინავს დივანს თბილ და მორთულ ბინაში, გადაცურა ოკეანე სიზმარში, თოვლიანი მთების წვერზე ავიდა, ცად ამაღლდა, მთებს დახედა მალლიდან.

— ძილში სჩადის ათას საქმეს საგმიროს; ჩვეულებრივს, რა თქმა უნდა, თაკილობს; იღვიძებს და ისევ კედელს ეკვრება, წუხს: „რას იზამ, თუ ბედი არ გექნება“.

### სამელნე სწავლობს ცხოვრებას

სამელნე შემთხვევით სამზარეულოში მოხვდა. ცნობილია, რომ ტვინის ნაცვლად თავში მას მელანი აქვს და ალბათ ამიტომ ტრაბახს მოჰყვა.

— მე მწერალი ვარ, — განუცხადა დამხვდურებს. — მოვედი, რომ თქვენი ცხოვრება შევისწავლო.

ჩაიდანმა მოკრძალებულად ჩაახველა, პრიმუსი კი წამოენთო:

— შესასწავლი არაფერი გვაქვს! აჯობებდა, ჩვენი პირობების გაუმჯობესებაზე გეზრუნათ. აგერ მთელი თვეა არ გავუწმენდივართ!

— ნუ გაცეცხლდები, — დაამშვიდა მაცივარმა. — გაცეცხლება საქმეს არ შეეღობება. უმჯობესია, ქალბატონმა სამელნემ გასაგებად აგვიხსნას, რა სურს და რას ელის ჩვენგან.

ჭკვიანი მაცივრის ნათქვამი ერთხმად მოიწონეს და სამზარეულოში სი-  
ჩუმე ჩამოვარდა.

— მინდა ყველამ მიაგებოთ თქვენი ან თქვენი ნაცნობების ამბავი. მოვს-  
მენ, გავიაზრებ და წიგნს დავწერ.

ჩვენ უტყუვრად ვიცით, რომ სამელნეს, ტვინის ნაცვლად, თავში მუდმივად  
აქვს, სამზარეულოში კი ეს არავინ იცოდა და ყველამ დაიჯერა, რომ გაიაზ-  
რებდა.

წყალსადენის ონკანი წინასწარ იგუდებოდა სიცილით, თავის მოსაყოლს  
რომ იხსენებდა, პრიმუსი კი „იქნებ ამ წიგნის შემდეგ მაინც გამწმინდონო“, —  
ფიქრობდა და აღარ ცხარობდა.

ასე და ამრიგად გადაწყდა, სამელნისათვის რამდენიმე საინტერესო ამ-  
ბავი მოეთხროთ.

### ნამწვი

— იყო ერთი ნამწვი, — დაიწყო სახეხელამ. — თვალისმომჭრელად კაშ-  
კაშებდა და, რადგან წყვდიადს ნათელი ერჩიათ, ყველა მისკენ მიილტ-  
ვოდა.

ჩემკენ მოისწრაფიანო, — უხაროდა ნამწვს და აღთან ერთად სიხარუ-  
ლითაც იწვოდა.

მაგრამ ერთხელ ხოჭო მოფრინდა. ნამწვის აღს მეტისმეტად მიუახლოვ-  
და და, ცხადია, ფრთები შეიტრუსა.

— ღმერთსაც ჩაუწვიხარ და ჩაუნაცრიხარ, — მოჰყვა წყველას გაცეცხლე-  
ბული. — თუმცა რაღა წყველა გინდა, მაგ მონდომებით მალე ისედაც ჩაი-  
ფერფლები.

ხოჭო გაფრინდა: ნამწვი კი დიდხანს ფიქრობდა მის ნათქვამზე. „თუ  
ასე განვაგრძე, — მსჯელობდა იგი, — ვერც კი შევამჩნევ, ისე დავიწვები.  
ჰოდა, რატომ? რისი გულისთვის? არა, ბატონო, კმარა! მეყო წვა! ახლა  
სხვა სულელი მოიძიონ“.

იფიქრა, იფიქრა და ჩაქრა.

ჩაქრა, მაგრამ ნანატრი ბედნიერება ვერ მოიპოვა. მის ადგილზე დიდი,  
კაშკაშა სანთელი განამწესეს, ნამწვი კი სადღაც, კარადის უკან მიაგდეს. წვა-  
ლობს და იტანჯება ქება-დიდებას შეჩვეული ნამწვი. ვინლა შეაქებს კარადის  
უკან მივდებულს?!

ყველას მოეწონა სახეხელას ნაამბობი. სამელნემ კიდევ რამდენიმე შეკით-  
ხვა მისცა, დაადგინა ზოგი რამ და ახალი ამბის მოსასმენად მოემზადა.

სიტყვა წყალსადენის ონკანს მისცეს.

### როგორ ასწავლეს ზაზა სანარეცხე ვედროს

— იმ კუთხეში, ახლა რომ ნარეცხის საგანგებო საქცევია, — დაიწყო  
ონკანმა, — სულ ცოტა ხნის წინ სანარეცხე ვედრო იდგა. ყოველგვარ სიბინძუ-  
რეს შიგ ასხამდნენ და შემდეგ სადღაც გაჰქონდათ.

გასაგებია, რომ ყველა ჩვენთაგანზე მეტი ნახა, რაკილა დღემუდამ გადი-  
ოდა სამზარეულოდან. ალბათ ამიტომაც გადიდგულდა. წარმოიდგინა, რომ  
ჭვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანისა და ძვირფასის სათავეს იყო.

ტყუილად როდი დამატარებენ და მელოლიავეებიანო, — აცხადებდა და დიდგულობდა.

ერთხელ, მორიგი გასეირნების შემდეგ, გვითხრა:

— ო, რომ იცოდეთ, რა ვნახე! ჩვენთან, ეზოში ქოთნები მოსტანეს. ზუსტად ჩემნაირები არიან, ოდნავ პატარებიც კი. ესაა მხოლოდ, რომ ძირი აქვთ გახვრეტილი. ამბობენ, ყვავილებს ჩაალაგებენ და ოთახებში ჩამოარიგებენო.

სამზარეულოში ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული და არავინ დაინტერესებულა მისი ნაამბობით. სანარეცხე ვედრო კი განაგრძობდა:

— ავდგები და მეც ოთახში გადავალ. მომბეზრდა თქვენი სამზარეულო. და სთხოვა ნარეცხთან ერთად ვედროში მოხვედრილ ლურსმანს, ძირი გაეხვრიტა მისთვის. ლურსმანმაც სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა.

— აი, ახლა კი ნამდვილი ქოთანი ვარ! მშვიდობით, სამზარეულო! — განაცხადა თავმომწონედ.

ჰოდა, გაიტანეს კიდევ!

დიასახლისი რომ მოვიდა, მთელი შენობა წყლით იყო სავსე.

— ვედროს გასდის და უნდა გადავაგდოთ, — თქვა დიასახლისმა. — სხვაში აღარაფერში გამოდგება.

როცა შეიტყო, რაც მოელოდა, დარდით ასლუკუნდა. კვლავ სამზარეულოში დარჩენა და ნარეცხის შეგროვება ინატრა, მაგრამ ვაი რომ აღარც ეს შეეძლო.

აიღეს და გადააგდეს.

— თქვენ, მგონი, კაბინეტიდან ბრძანდებით? — ჰკითხა სამელნეს ცოცხმა.

— დიახ, იქ ვცხოვრობ და ვმუშაობ, — დაეთანხმა სამელნე.

— მაშინ გემახსოვრებათ, როგორ, ჩამოჰკიდეს ფარდა.

— არა, როგორღაც არ მახსოვს.

— მართლა არ გახსოვთ? თუ ასეა მისმინეთ!

### როგორ ჩამოჰკიდეს ფარდა

ყველა შეშფოთდა და აწრიალდა: ფარდა უნდა ჩამოჰკიდონო.

ძველი, მიხრწნილი ჩემოდანი და დაგლეჯილი ფლოსტი დიდხანს და ყოველმხრივ განიხილავდნენ ამ ცნობას.

— პირადად არ ვიცნობ, — ამბობდა ფლოსტი, — მაგრამ გამიგონია, რომ პატიოსანი და წესიერია და არც არავისთვის უბოროტია.

— ასეთების ჩამოკიდებაც თუ დაიწყეს, სიკეთეს ნულარ ველით, — თქვა ჩემოდანმა.

ჩემოდნის ნათქვამმა გული გადაუტრიალა დაგლეჯილ ფლოსტს. ხომ შეიძლება ისიც ჩამოჰკიდონ? ფლოსტი არასდროს ჩამოუკიდიათ, მაგრამ სხვებისაგან სმენია — საშინელებააო.

ცრემლებით გალუმბულ იატაკის ტილოსთან ერთად ძველი კალოშებიც შემოჩლაჩუნდნენ.

ნათელ-პირონი იყო და ძალიან მიყვარდა საბრალო. ვინ იცის, იქნებ ხვალე მეც ჩამოჰკიდონო, — წუხდა იატაკის ტილო. კალოშები კი მაინცდამაინც ახლა აწუწუნდნენ: გვპირდებიან, მაგრამ შეკეთებას არავინ ფიქრობსო.



ღმერთმა უწყის, რამდენს იქოთქოთებდნენ, საუბარში კედლის კალენდარი რომ არ ჩარეულიყო. იგი კედელზე ეკიდა და ყველაფერი ესმოდა.

— ეპ, თქვე მიხრწნილო ენატანიებო, — თქვა მან. — გსმენიათ და ვერა/გავიგიათ რა. ფარდისათვის ჩამოკიდება წამება კი არა, ჭეშმარიტად რესო და სავსებით დამსახურებული ცხოვრების დასაწყისია. თქვენს ცხოვრებაში რაღაა, შეიძლება გადაგყარონ, მაგრამ ჩამოკიდებით არასდროს ჩამოგკიდებენ...

კალენდრის ნათქვამმა სხვებზე მეტად ტილო გაანაწყენა: იგი თავს ფარდის ნათესავად თვლიდა და ვერ გაეგო — რად უნდა გადაეგდოთ. ძველ ჩემოდანს სმენა ღალატობდა და არაფერი გაუგონია, ფლოსტმა კი გაიგონა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

მხოლოდ ძველი კალოშები გაეპასუხნენ კალენდარს:

— თუ რაცა თქვით — მართალია, რატომ არ შეგვაკეთებენ?

ჰოდა, ჩამოჰკიდეს ფარდა: ჩამოჰკიდეს და ისე დაამშვენა ყველაფერი, რომ ფანჯრებზე მდგარი ქოთნები ულოცავდნენ და ყვავილებით ამკობდნენ ოთახის ახალ ბინადარს.

### საათი

— ცხადია, იცით, რომ მსუბუქ მანქანაში ყოველთვისაა საათი, — თქვა კანისტერმა. — მიდის მანქანა — ისიც მიდის, დგას მანქანა და ის მაინც მიდის. აი, ასეთი საათი იყო ერთ „პობედაში“.

მშვენიერი მანქანა გახლდათ „პობედა“, ქარივით დაქროდა და ყველა აქებდა სიჩქარის გამო. საათი კი ღინჯად დააბიჯებდა და მაქებარიც არავინ ჰყავდა.

გასაგებია, რომ შურდა მანქანისა და, თავისი შესაძლებლობების საჩვენებლად, აჩქარდა. იმდენი იჩქარა, ვიდრე მთელი საათით წინ არ წავიდა.

რა ჯანდაბა დაემართათ, — შექების ნაცვლად შემოწყრნენ და შესაკეთებლად წაიღეს.

ვერაფერს მიხვდა საათი: რას ემართლებიან, ისიც ხომ მანქანასავით ეთილსინდისიერად ჩქარობს?!

მაგრამ სახელოსნოში ყველაფერი აუხსნეს, ისე, რომ უკან დაბრუნებულმა უკვე კარგად იცოდა, რომ სიჩქარე ყოველ საქმეში არ გამოდგება, მით უფრო — მის საქმეში.

— ცუდი რამ შეემთხვა საათს, — შენიშნა კარდალამ. — მაგრამ არც ამომრთველს დასდგომია კარგად დღე. აბა მისმინეთ!

### ამომრთველი

ძალიან მაღლა აფრინდაო. — ვერავინ იტყოდა ამომრთველზე. კედელზე მას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი ეჭირა, მაგრამ რატომღაც თავი განსაკუთრებულად წარმოიდგინა.

— მე დამოუკიდებელი ხელმძღვანელი ერთეული ვარ და არავისა აქვს უფლება თავის ნებაზე მატრიალოს! — განაცხადა ერთხელ.

ანთებენ და არ ინთება, აქრობენ და ინთება!

რისი ბრალიაო ნეტავ?

გამოიძახეს ხელოსანი, მან ყველაფერი გასინჯა, მიმოათვალიერა და თქვა: აღარაფერი ეშველებაო, უნდა გამაიცვალოსო.

რაღა ექნათ? მოხსნეს გაფუჭებული და ახალი ამომრთველი დააყენეს.

— რას შვრებით? ვინ მოგცათ უფლება? იცოდეთ, გიჩივლებთ, ყვირობთ!

იყვირა, იყვირა და დაწყნარდა.

— არაფერია, არ დავიკარგები! ხელმძღვანელი ყველგან აკლიათ. მზესაც კი არა ჰყავს იგი. თუ ვეწვიე — აღარც შემელევა.

მაგრამ არც მზე საჭიროებდა ხელმძღვანელობას და არც სხვაგან სჭირდებოდათ მოშლილი ამომრთველი.

დარჩა ხელმოცარული. ველარც საქმეებს ჩარხავდა და ველარც სინათლის შესახებ იძლეოდა სახელმძღვანელო მითითებებს.

ჰოდა, რა გგონიათ? ნათელმა კი არ იკლო, ამბობენ — იმატაო კიდევ.

— ცხიკ! ცხიკ! ცხიკ! — ცემინება აუტყდა პრიმუსს.

— იცოცხლე! — უთხრა თავაზიანმა კარდალამ. — თუ გსურთ გვიამბოთ, დაიწყეთ, მე უკვე დავასრულე.

— გმადლობთ, — მიუგო პრიმუსმა. — მომეჩვენა, რომ ბენზინის სუნი დადგა, სულ თანა მდევს და მოსვენებას არ მაძლევს ეგ წყეული!

— მგონი, რაღაც უნდა გეამბნათ, — შეახსენა სამელნემ.

მაგრამ პრიმუსს ისევ ცემინება აუტყდა და ყველა მიხვდა, მისგან არაფერი გამოდნებოდა.

— რაკი ასეა, მე მომისმინეთ, — თქვა ჯამმა. — თუ ნებას მომცემთ, ასანთის თავგადასავალს გვიამბობთ.

ასანთის წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა და ჯამმაც დაიწყო:

### მშობლიური კოლოფი

სამზარეულოში ასანთის პატარა ღერი ცხოვრობდა. კოლოფში იდო და თავის ღროზე მასაც რაღაც უნდა აენთო, მაგრამ ცხოვრება სხვებისაგან განსხვავებულად ესმოდა და ფიქრობდა:

„ნუთუ მე, ქვეყნად ცეცხლის მოსატანად რომ გავჩნდი, ამ ვიწრო კოლოფში უნდა ვეგდო? აქ იმდენი ღერია — დავიკარგები და ვერავინ მიპოვის. არა, გავეცლები აჭაურობას და უკეთეს ადგილს მოვიძიებ!“

ასეც მოიქცა.

კოლოფი რომ გახსნეს — შეუმჩნევლად გამოძვრა და შებინდებისთანავე გზას დაადგა.

დიდხანს იარა. თავისი სიმცირის გამო სამზარეულო უზარმაზარ სამყაროდ მოეჩვენა და, ვიდრე კარადამდე მიაღწევდა, ძალა სულ გამოეღია.

— გამარჯობათ, ასე გვიან საით გაგიწევიათ? — შემოესმა უცნობი ხმა.

ეს ჩაის კოვზი იყო, რომელსაც სიმეფავე სტანჯავდა და ვვ' დაეძინა.

— რა ჰქვია თქვენს მხარეს? — კითხვა შეუბრუნა ღერმა.

— სამზარეულოს კარადის ქვეყანა გახლავთ, მეორე თაროს რაიონი, — აუხსნა ჩაის კოვზმა და, საუბარი რომ გაეგრძელებინა, დასძინა: — გეტყობათ, ახალი ჩამოსული ბრძანდებით.

— დიახ, ახალი, — დაეთანხმა ასანთის ღერი. — ადრე არც მინახიხართ და არცა მსმენია თქვენ შესახებ. იქნებ ამიხსნათ, ვინ სახლობს აქ?

— ეჰ, ვინ არა სახლობს! ჭიქა, ფინჯანი, მათლაფა, დანა, ჩანგალი, კოვზი და სხვაც მრავალი.

— კარგია, კარგი! მგონი, მაწყობს და დავრჩე კიდეც, — თქვა ფიქრის შემდეგ და წარუდგა: — მე ასანთი ვარ! ვიმედოვნებ — ჩემზეც გასწავლეთ!

— როგორღაც... არა... — ალაღად მიუგო კოვზმა.

— რა უმეცრებაა და გაუნათლებლობა! — აღელდა ღერი. — როგორ, უცეცხლოდ ცხოვრობთ?!

— დიახ, უცეცხლოდ. ცეცხლი ღუმლისა და ელნათურის რაიონის საქმეა: ჩვენთან კი ხანძრის ნიშანია და ერიდებიან.

— ცრურწმენაა, ცრურწმენა და სხვა არაფერი! აი, დავრჩები და ნახავთ — რაც არის ცეცხლი.

და ასანთის ღერი მეორე თაროს რაიონში დასახლდა.

თავიდან რაიონის ყველა ბინადარმა გაიკვირვა მისი გამოჩენა, შემდეგ შეეჩვივნენ და ბევრი პატივისცემითაც განიმსჭვალა.

— ჩვენი ტოლი არ გეგონოთ! — წკრიალებდნენ თასები. — მისი შესაძლებლობის ცოტა მოიძიება! ცეცხლსაც მოგვცემს და...

გადიოდა დრო, ღერი კი ვერავის უმართლებდა მოლოდინს.

ცეცხლს მოგვცემთ, — ირწმუნებოდა, მაგრამ ვერაფერს იძლეოდა.

ან რა უნდა მოეცა თავისი კოლოფიდან ასე შორის წასულს?! უკოლოფოდ ხომ იგი არასდროს ანთებულა.

ჯამმა რომ დაასრულა და თხრობის მსურველი აღარავინ აღმოჩნდა, საშელნეს სთხოვეს თვით ეამბნა რაიმე. მაგრამ რაკი არც ჩანაწერები წამოეღო და არც დამხმარე სახელმძღვანელოები, ვერაფერი მოიგონა; თქვა, აქ მოსმენილის შესახებ უთუოდ დაეწერო, და წავიდა.

წავიდა და... დაწერა კიდეც. მაგრამ რაკილა თავში მხოლოდ მელანი ჰქონდა, ყველაფერი არივ-დარია. მისი წიგნის მთავარ გმირად მოშლილი ამონრთველი იქცა, ფარდასა და კალენდარს კი შავი დღე დაადგათ.

ასე კი მოხდა, მაგრამ ბევრი არაფერი გაფუჭებულა: ღვთის შეწევნით, ის წიგნი არავის წაუკითხავს.

თ ა ვ ი V I

### წინათქმა

ვინ მოთვლის, ქარებს რამდენი გრძელი კილომეტრი აქვთ აკეცილი?! ვინ გვეტყვის, რომელს შეუღლეწენ ჩაკეტილ ქარებს, ვინ გვაუწყებს, საით გასწევენ მშიერნი.

ეხეტებიან აქეთ-იქით ბრმა გრიგალები, სადარბაზოებს აწყდებიან ხელის ცეცებით და ხეტიალით უსაშველოდ განაწვალეზნი, მათი სადგომის აშენების მსურველს ეძებენ.

მოქანცულები ბარბაცებენ, როგორც მთვრალეები, ლამის აღმოხდეთ გათიშული სული სიცივიტო, მოხეტიალე მსახიობებს ჰგვანან ქარები, გზებს მიჰყვებიან, მაგრამ საით — თვით არ იციან.

მხოლოდ ზოგიერთს გაუმართლა მათგან ბუნებამ, ზოგიერთს მართლა

შესაშური ბედი რგებია: ქარის წისქვილის უზარმაზარ ფრთებს აბრუნებენ და აღმა-დაღმა უმიზნოდ არ ეხეტებიან.

**ბედნიერება**



ქართული  
ბიზნეს-ცენტრი

ცხოვრობდა კაცი და ქვეყნად ყველაზე უბედურად თვლიდა თავს. ყველაფერი მისი სურვილის საპირისპიროდ ხდებოდა. უზომო მცირე სატკივარი კი, როგორც ცნობილია, დიდ დარდსაც აღემატება.

ცხოვრობდა ის კაცი ბედნიერების მოლოდინში, რომელიც არასდროს ენახა და წუხდა: ვაითუ მეწვიოს და ვერ შევიცნო, ვერ შევიშნო.

თოვლიანი და მზიანი ზამთარი იდგა, კაშკაშა გაზაფხულსაც რომ გაახუნებს, სწორედ ისეთი. მაგრამ კაცს არ უყვარდა ზამთარი. ადვილად ცივდებოდა და, ქრონიკული სურდოთი განაწვალეები, თბილ ლუმელთან ყოფნას არჩევდა.

და აი, ტახტზე მიწოლილსა და საკუთარ ბედუჯულმართობაზე ჩაფიქრებულს სიმღერა შემოესმა:

„დგას ეზოში სილურჯე, ცახცახი და კანკალი, დაე, ლუმელს მიუკდეს — ვისაც აკრთობს ზამთარი.“

შრომის ცეცხლში ვიწვით და დასვენება არა გვსურს, ოთახიდან კინწისკვრით ვერეკებით თავგასულ ყინვასა და სიცივეს... და ზაფხულის მოსვლამდე მზად ვართ ცეცხლში ჩავეცვივდეთ მოხუციც და მოზარდიც.

სითბოსათვის ხალისით გაგვიწირავს წიწვებიც, თუ დავიწვით — დავიწვით, ფუჭად არ დავიწვეებით“.

— ვინ უნდა იყოს? — გაიოცა კაცმა. — ოთახში ჩემ გარდა არავინ ჭაჭანებს.

უცბად გუზგუზა ლუმლიდან ტაკანი შემოესმა. ტაკანი წელანდელი მომღერლის ხმას იმეორებდა.

მიაყურადა და თანდათან ცალკეული ფრაზებიც გაარჩია. ნაკოდალები ლაპარაკობდნენ თურმე. არ გასჭირვებია ნათქვამის გაგება, რადგან ისინიც ბედნიერებაზე მსჯელობდნენ.

უსმინა, უსმინა და აი, რა მოისმინა:

**ორი ქვა**

ნაპირზე ორი ქვა იდო — ორი განუყრელი და ძველისძველი ძმაკაცი. დღემუდამ სამხრეთის მზის მხურვალე სხივებით თბებოდნენ და ბედნიერები იყვნენ, რომ ზღვა იქვე ხმაურობდა და მათ სიმშვიდეს არ არღვევდა.

მაგრამ ერთხელ ზღვა აღელდა და დასრულდა ძმაკაცთა მეგობრობაც: ნაპირზე ამოვარდნილმა ტალღამ გაიტაცა ერთ-ერთი მათგანი და შორს, სიღრმისაკენ წაიყოლია.

მეორე კი, დაკორძილ და სანახევროდ დამპალ ხეს ჩაჭიდებული, ნაპირზე დარჩა და კარგა ხანს ვერ მოეგო გონს. ბოლოს დაწყნარდა და ახალი მეგობრები აღმოაჩინა — თიხის ძველი, ხმელი და დამსკდარი გუნდები. ისინი დილიდან საღამომდე ისმენდნენ ტალღასთან ქვის ჭიდილისა და მეგობრისათვის მისი თავგანწირვის ამბავს. ქვაც უამბობდათ, უამბობდათ და იმდენჯერ უამბო, რომ ბოლოს თავი ნამდვილ გმირად წარმოიდგინა.

გამოხდა ქამი... მზის ცხელი სხივებით ქვაც დაიბზარა და გამოჩნდა უკვე ახალი საძმოსაგან მისი გამოჩნება.

ერთხელ კვლავ მოვარდა ტალღა და ნაპირზე აქაურების ყოველნივენი კრიალა კაჟი გამოიტანა.

— სალამი, ძმობილო! — შესძახა მან დაბზარულ ქვას.

გაოცდა მოხუცი ქვა:

— მაპატიეთ, მე თქვენ პირველად გხედავთ.

— ისევე რა გითხარ! აღარ გახსოვს, რამდენი წელი გავატარეთ გვერდი-გვერდ, ვიდრე ზღვა გამოიტაცებდა?!

და მან წვრილად უამბო ძველისძველ მეგობარს ათასი საინტერესო, რაც ზღვის მორევში გადახდა.

— წამომყევი! — შესთავაზა ბოლოს. — ქეშმარიტ ცხოვრებას, ნამდვილ ქარიშხლებს გაიცნობ.

დაბზარულმა ქვამ თიხას გუნდებს გადახედა, ქარიშხლის ხსენებაზე კინალამ შიშით რომ დაიშალნენ, და ჩურჩულით თქვა:

— არა, გეთაყვა, საზღვაოდ აღარ გამოვდგები. ისე კი ბედს არც აქ ვუჩივი.

— რა გაეწყობა! — კაჟი ნაპირზე ამოვარდნილ ტალღას მოახტა და კვლავ ზღვისაკენ გასწია.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— გაუმართლდა და გაყოყოჩდა, — თქვა ბოლოს დაბზარულმა ქვამ. — ღირდა კი მაგისტვის თავის განწირვა? სადაა სიმართლე? სადაა სამართალი?!

ღიანაც უსამართლოაო ცხოვრება, — კვერი დაუკრეს ახალმა მეგობრებმა.

### მხატვარი

ცხოვრობდა მხატვარი.

ერთხელ, ბავშვობისას, მოხუცის სურათი დახატა. გამოგონილი იყო მოხუცი, მაგრამ ტილოზე მთლად ცოცხალს ჰგავდა. ველარ მოწყდა თავის ნამუშევარს პატარა მხატვარი: სულ რაღაცას ამატებდა, აფერადებდა და ისეთი გატაცებით მუშაობდა, რომ ბოლოს მობეზრდა მოხუცს, ტილოდან ჩამოვიდა და ჩაიბუზღუნა:

— კმარა, გამტანჯე და ესაა!

დაიბნა პატარა მხატვარი: სურათიდან გადმოსული მოხუცები არასოდეს ენახა.

— ვინა ხართ? ჯადოქარი თუ ეშმაკი? — იკითხა გაოცებულმა.

— არც ფლაევი, არც ჩლაევი.

— ფლაევი რა შუაშია? მეფოკუსე იქნებით ალბათ.

— არც ფლაევი, არც ჩლაევი-მეთქი!

— როგორ, არც ფლაევი, არც ჩლაევი გქვიათ? საოცარია!.. კი მაგრამ, რად შეგარქვეს ასეთი უცნაური სახელი?

— იმად, რომ ვინც ჩემთან საქმიანობს, ყველას უკმარისობის გრძნობა ეუფლება.

— მაინც რას აკეთებთ?

— თითქმის ყველაფერს, — თავმოწონედ თქვა მოხუცმა. — არც საუკეთესოა — კაცობრიობამ ჩემით შექმნა. ოდესმე თავადაც მიხვდები ამას. და მოხუცი ისევ ტილოს დაუბრუნდა.

იმ დღიდან აღარ შეხებია მას პატარა მხატვარი. შიშით გულმოდგინედ მთლად დაივიწყა ნახატი.

გავიდა წლები. გაიზარდა პატარა და ნამდვილ მხატვრად იქცა. აღიარეს, შეიყვარეს და შეუქმეს ოსტატობა. სურათების საუკეთესო გალერეები დაამშვენა მისმა ნახატებმა. ბევრი მოწურნეც გამოუჩნდა. ბედნიერ ვარსკვლავზეაო გაჩენილი, ამბობდნენ.

სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო: არ აკმაყოფილებდა მხატვარს ნამუშევარი. მხოლოდ ხატვისას ხარობდა. დაასრულებდა თუ არა, ეჭვი შეუჩნდებოდა და ყოველი ახალი ნახატი ახალ მარცხად მიაჩნდა.

ერთხელ, თავისი სურათების მორიგი გამოფენიდან დაბრუნებულმა, დიდხანს ვერ ჩაიძინა. წარმოსახვით კვლავ გადაათვალიერა გამოფენა და ვერაფრით ახსნა ხალხის აღფრთოვანება.

— არც ფლავია, არც ჩლავი! — ის იყო შესძახა გაავებულმა, რომ წინ ბავშვობაში დახატული მოხუცი დაუდგა.

— გამარჯობა, — თქვა მან. — მგონი, მეძახდი?

— ვინ ბრძანდებით? — გაოცდა მხატვარი.

— ჩანს, ვერ მიცანი, — იწყინა მოხუცმა. — აბა ბავშვობაში დახატული მოხუცი გაიხსენე!

— თუ ღმერთი გწამთ, ნამუშევრები არ მიხსენოთ, — შეევედრა მხატვარი. — არაფერი გამომდის, მოწონებით კი ყველას მოსწონს.

— როგორ თუ ყველას? მე, მაგალითად, არც ისე მომწონს.

— მართლა არ მოგწონთ? — გაიოცა მხატვარმა.

— მართლა და... შეიძლება მეტადაც, ვიდრე თქვენ.

დიდად შეაწუხა მხატვარი ამ საუბარმა. თავის ნამუშევრებს აღრეც კრიტიკულად აფასებდა, მაგრამ იქნებ ვცდებიო — ფიქრობდა, რაკი თანამოაზრე არავინ ჰყავდა.

მთლად გადაჰყვა საქმეს. ახალმა სურათებმა ახალი დიდება მოუტანეს და უკმარობაც დაავიწყეს.

აი, ესენი რომ ენახა, ნაღდად მოიწონებდაო მოხუცი. — ფიქრობდა თავისთვის.

მაგრამ მოხუცი აღარ გამოჩენილა.

კიდევ მრავალმა წყალმა ჩაიარა და ერთხელ, უკვე მოხუცმა და სწევლმა მხატვარმა, არქივში მოხუცის სურათი აღმოაჩინა.

— რა სურათია? — გაიფიქრა მხატვარმა. — ვისია ანდა როდინდელი, რომ აღარც მახსოვს?

— აი, ისევ ვერ მიცანი, — თქვა ტილოდან ჩამომავალმა მოხუცმა. — სულ ველოდი, რომ მომიხმობდი, მაგრამ არც გავხსენებია. ჩანს, გაკმაყოფილებს ნახელავი და აღარ გაგონდება არც ფლავი, არც ჩლავი, ურომლისოდაც ღირებულნი არავის შეუქმნია. აბა, ერთხელაც სცადე და ჩემი თვალებით შეხედე შენს ნამუშევრებს.

და უცბად გარდაიქმნა და გარდაისახა ყველა სურათი, უცქერდა მხატვარი და არა სჯეროდა, რომ მათ შეაღია მთელი ცხოვრება.

— სად გაქრნენ ჩემი ნახატები?! ეს ზომ არც ფლავია, არც ჩლავი! არც ფლავი!!! არც ჩლავი!!! — ყვიროდა იგი.

— ისევ მე მიხმობ, — ნაღვლიანად თქვა მოხუცმა. — მიხმობ მაგრამ ნაგვიანევია უკვე, სამწუხაროდ, ძალიან ნაგვიანევი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ჩემოდნის ნაამბობი

ვაგონის თაროზე პირის ქარად სამყოფის შესახებ ჩხრიალებდნენ ცარიელი ვედროები, ახალი სამგზავრო ჩანთა რაღაცას ექოთქოთებოდა მეზობელ კალათას, გაგულისებული ქშენდა სქელი პორთფელი.

შემდეგ ყველა დაწყნარდა და ჩემოდნის ნაამბობს მიაყურადა.

— ეს მრავალი წლის წინ, ჩემი სიყმაწვილისას მოხდა. მგონი, მაშინაც უამრავი საინტერესო და ჭკვიანი წიგნით პირთამდე ავსილი, ამ ვაგონში და ამავე საზოგადოებაში ვიჯექი.

აქ, ამავე თაროზე შევხვდი ნორჩსა და მომხიბვლელ წიგნის ჩანთას. გზა ერთი გვექონდა და სულ ლიტერატურაზე, წიგნებზე, ამაღლებულსა და მშვენიერზე ვსაუბრობდით.

დიდხანს ვერ დავივიწყე წიგნის ის ჩანთა, და მოხდა ისე, რომ წლების შემდეგ კვლავ შევხვდით.

მე უკვე სოლიდური, მეოჯახე ჩემოდანი გახლდით და, ძვირფას ნაჭრებთან ერთად, მომავლის სხვა იმედებითაც ვიყავი აღსავსე. ჩანთა კი, როგორც იმ პირველი შეხვედრისას, წიგნებს დაატარებდა და იერიც ძველებური ჰქონდა. როგორ არ ვცადეთ, მაგრამ საერთო ენა ვერა და ვერ გამოვინახეთ. ასე დავცილდით, ერთმანეთით უკმაყოფილონი, და მეტად აღარც შევხვედრივართ.

— ახლა კი მოვხუცდი, — დაასრულა ჩემოდანმა, — და ქონის სათავსად ვიქეცი. ვფიქრობ — რაღაცაში შევცდი და ყველაზე მეტად მაშინ მოვიწყენ, ის პირველი შეხვედრა რომ გამახსენდება.

ჩემოდნის ნაამბობი საერთო განსჯის საგნად იქცა: თავისი თქვა ფუნთუშებით გატენილმა პორთფელმაც, მსახიობების ღია ბარათებით ავსილმა ახალმა სამგზავრო ჩანთამაც და ყველა ცარიელმა ვედრომაც.

მხოლოდ წიგნებით დაძებგილი, უფერული და ულაზათო ტომარა დუმდა და არც არავინ დაინტერესებულა მისი აზრით: სამგზავრო ჩანთას, ვედროებსა და პორთფელს ვერავინ დააჯერებდა, რომ უხეშ და უბრალო ტომარასაც შეეძლო რაიმე გონივრული ეთქვა.

### შეუმჩნეველი თანამდებობა

იგი პატარა, სულ პატარა ლურსმანი იყო და თუმცა მეწაღეთა სახელოვან და უძველეს ოჯახს ეკუთვნოდა, თავი სულ სხვა საქმეში — ხელოვნებაში სცადა. იცოდა, ნამდვილად იცოდა თავისი საქმე და დათუნიებით მოხატული ძველი ტილო ისე ოსტატურად ააკრა კედელს, რომ ნახელავს ვერავინ დაუწუნებდა.

იმასლა წუხდა, ნახატმა რომ მხოლოდ ერთხელ და ისიც ათიოდე წლის წინ მიიპყრო პატრონის ყურადღება და მას მოღმა, თითქოსდა გაუჩინარებულნი აღარც შინაურს შეუნიშნავს და აღარც გარეულს.

მიდიოდნენ და მოდიოდნენ, კისკისებდნენ და ხარობდნენ და, რაკი ნახა-  
ტის გარდა ყველაფერს ამჩნევდნენ, ლურსმანსაც გული გაუტყდა: ჩემს საქ-  
მეზე მნიშვნელოვანიც არსებულაო, — დაასკვნა, სასომიხდელს მტყუნდაესხა  
და სურათთან ერთად იატაკს დაენარცხა.

ესეც ბედია, უსაქმურობა სჯობიაო ფუჭ გარჯას, — ფიქრობდა, ვიდრე  
ბინის პატრონები შინ არ დაბრუნდნენ.

— რაღაც შეცვლილა ჩვენს ოთახში, — შემოსვლისთანავე თქვა დია-  
სახლისმა.

— შეიცვლებოდა მაშ რა?! — გაეპასუხა მეუღლე. — ხედავ, ჩვენი დათუ-  
ნიები ჩამოვარდნილან. ლურსმანმა უღალატათ ალბათ.

„ლურსმანმა უღალატათო“, — გარკვევით მოესმა, მაგრამ არ განაწყე-  
ნებულა. ახლა ისღა აწუხებდა, სამსახურიდან არ დაეთხოვათ და სხვა არ მო-  
ეძიათ.

ბედად სხვა ვერ მოიძიეს და ძველი ნახატი ისევ ძველ ლურსმანზე დაჰ-  
კიდეს.

ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ჰოდა, კვლავ მიივიწყეს დათუნიები.

— ითვალთმაქცეთ და იყავით! ვინ ვინა და მე ხომ ვიცი, რაღაც გილირ-  
ვართ. — თავისთვის ხითხითებს ლურსმანი და ისევ სჯერა, რომ მისი საქმე  
ყველაზე საჭიროა და მნიშვნელოვანი.

ბედნიერებისათვის კი ესეც საკმარისია.

### მოთხრობა ტყის მჩეხავზე, რომელსაც ყველაფერი ესაჩვენებოდა

ძველად, ერთ ქალაქში ადამიანებმა ღიმილი დაკარგეს...

გარწმუნებთ, საშინელებაა ღიმილის დაკარგვა, უფრო დიდი საშინელე-  
ბა, ვიდრე გვგონია.

არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ეს აუხსნელი ავადობა და მეცნიერების ად-  
გილობრივი ვარსკვლავები დღე-ღამ იძიებდნენ მისი წარმოშობის მიზეზებს.

— კუჭისეულია რაღაც. — ამბობდა ექიმი სასაქმებელი.

— არამც და არამც... გაციებისაა უფრო! — თავისაზე იდგა დოქტორი  
სტრუპტოციდი.

— თავს ქვას ნუ ახლით! — უტევდათ პროფესორი პენიცილინი (რო-  
მელმაც, მავანთა მტკიცებით, მხოლოდ თავისი მაგიური სახელით მოიპოვა ეს  
წოდება).

ავადმყოფობა კი დღითი დღე საბედისწერო ხდებოდა. ადამიანებს აღარც  
განაფხული ახსოვდათ, აღარც მზე, აღარც მეგობრები და ქუჩებში გულითადი  
სალმის ნაცვლად, რა შენი საქმეა, რას ეჩრები, ტოლი ნახეო, — ისმოდა.

ჰოდა, ამ ვაი უბედურებისას მთიდან ყმაწვილი ტყის მჩეხავი ჩამოვიდა.  
ქალაქს რომ მოუახლოვდა, მდინარეში ჩავარდნილი კაცი შენიშნა. საბრალო,  
უმწეოდ ფართხალებდა.

— იხრჩობი? — ჰკითხა ტყის მჩეხავმა და საშველად გაემზადა.

— რა შენი საქმეა, — სახე გაიმეხა მდინარეში ჩავარდნილმა და ჩა-  
ყურყუმალდა.

ტყის მჩეხავს აღარა უთქვამს რა, წყალში გადაეშვა და დამახრჩვეალი ნა-  
პირზე გამოიყვანა.



— რას იბრძვი, როცა გეხმარებიან?! ცოტაც და ველარაფერი გიხსნიდა.  
 — რა ვიცი, მართლა თუ მეხმარებოდი? ჩვენთან არავინ გისაშველეს.



ერეკლესული მუზეუმი

მხრები აიჩეჩა ტყის მჩეხავმა და ქალაქს მიაშურა.  
 ერთ-ერთ ქუჩაზე უზარმაზარმა ბრბომ გადაუღობა გზა. ბრბოში ში გაღეული მოხუცი ცოდვილობდა და ამობრუნებული ოთხთვალას ფეხზე დაყენებას ლამობდა.

— აბა, მოხუცო, ერთად ვცადოთ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, — უთხრა ტყის მჩეხავმა.

— ნეტა რა შენი საქმეა? — ჩაიბურღლუნა მოხუცმა ისე, რომ თავი არც აუღია.

— ოჰო, ცარიელი გული არ ყოფილა! — ჩაიციხა ტყის მჩეხავმა. — ვცადოთ, მოხუცო, ვცადოთ და, თუ ვერ შევიძლებთ, ხალხი გვისაშველებს: ზედგ, რამდენი მოგროვილა შენს დასახმარებლად!

ამის თქმა იყო და ბრბოც შეთხელდა. უკანები იოლად დაიშალნენ, წიხებს კი გასვლა გაუჭირდათ და ძალაუნებურად მოხუცს მიეშველნენ.

მალე ქალაქი მხოლოდ ტყის მჩეხავზე ალაპარაკდა. ამბობდნენ, ყველაფერში ერევა, ყველაზე-ზრუნავს, ყველაფერი ესაქმებაო. თავიდან ელიმებოდათ (და ეს პირველი ღიმილი იყო მას შემდეგ, რაც ქალაქს ეპიდემია მოედო), შემდეგ კი ბევრმა თანადგომაც ისურვა, რადგან მხიარული ყმაწვილი იყო ტყის მჩეხავი, მხიარულიცა და საინტერესო საქმეების მოთავეც.

ერთხელ, გამთეხიისას პროფესორმა პენიცილინმა ფანჯრიდან გამოიხედა და „თავს ქვას ნუ ახლითო“, — ყელში გაეჩხირა: ქუჩაში ასობით მომღიმარი სახე დაინახა. მაგრამ რაკი საავადმყოფოს ეპიდემიასთან ბრძოლა მთელი წლით ჰქონდა დაგეგმილი, პროფესორმა ფაქტს თვალი მოუხუჭა და ის იყო, „რა ჩემი საქმეაო“, უნდა წარმოეთქვა, რომ სხდომათა დარბაზში შემომავალმა ტყის მჩეხავმა გააწყვეტინა:

— უმორჩილესად გთხოვთ, პროფესორო, აღარ წარმოთქვათ ეგ ფრაზა. დანამდვილებით ვიცი, რომ მასშია მთელი ქალაქის ავადობის ნამდვილი მიზეზი.

ჰოდა, დამთავრდა ეპიდემია.  
 ხალხმა, დაივიწყა თუ არა „რა შენი საქმეა“, — ღიმილიც დაიბრუნა, მხიარულებაც და ბედნიერებაც.

ტყის მჩეხავმა კი მთას მიაშურა. საქმეს რა გამოუღევეს ტყის მჩეხავს.

ღუმელში შეშა მიჩუმდა და, თუმცა კაცი ყურად იყო ქცეული, მეტი ველარა გაიგონა რა. ადგა, ღუმელს მიუახლოვდა და ნახა, რომ ერთიანად ჩამწვარი ნაკოდლებისაგან მხოლოდ ნაცარილა დარჩენილიყო, ნაცარი და სიმღერა, რომელსაც უდარდელი და მხიარული ახლა თავად ღიღინებდა:

დგას ეზოში სილურჯე, ცახცახი და კანკალი, დაე, ღუმელს მიუჯდეს — ვისაც აკრთობს ზამთარი.

შრომის ცეცხლში ვიწვით და დასვენება არა გვსურს, ოთახიდან კინწისკერით ვერეკებით თავგასულ ყინვასა და სიცივეს... და ზაფხულის მოსვლამდე მზად ვართ ცეცხლში ჩავცვივდეთ მოხუციც და მოზარდიც.

სითბოსათვის ხალისით გაგვიწირავს წიწვებიც, თუ დავიწვით — დავიწვით, ფუქად არ დავიწვეებით.



ერთი ძველი წიგნი

(რ. მ. რილკეს რომანი)

„ოღმერთო, უველას საკუთარი მიეც სიკვდილი, სიკვდილი — ნაზარდ-ნაპურები ერთი ცხოვრების აზრით, ვაებო, საყვარულით და სიმძიმით“.

(„უამნი“)

რილკე

„დიდი ხიტყვები გარდახულ ფაშოა როს, რაც ბდებოდა, — საჩინო იყო, ჩვენთვის არ არის. გამარჯვებაზე ვინ ლაპარაკობს? დღეს გამარჯვებას გაძლება ბჭვია“.

(„რეკვიემი“)

რილკე

ერთადერთი რომანის შექმნით რილკესთვის იმდენად მნიშვნელოვანი ხულიერო აქტი განხორციელდა, რომ პოეტი წლები გაგრძელდა ამის შედეგად წარმოქმნილი დაღლილობა და ნერვიული უმოქმედობა და თორმეტი წელიწადი დასჭირდა დაგვირგვინებას იმ ახალი შემოქმედებითი ეტაპისა, რომელიც მხოლოდ „მალტეს“ შემდეგ შეიძლება დაწყებულიყო.

ავტორმა რომანს „მალტი წყალგამყოფი“ უწოდა: განახება რა მალტეს ტიპილადქცეულ, ავადმყოფურად განათრფებულ პიროვნებაში საკუთარი სულის ნაწილი, თავისი „ორეული“, ამით მან მწერლისა და პერსონაჟის ის ცნო-

ბილი ურთიერთმიმართება გალაიტანა, მალტეს დაძლევას რომ გულისხმობდა რილკეს პიროვნებაში, მალტესაგან განთავისუფლებას და იმ გზით წახვლას, რომელსაც პოეტი ცხოვრების წინაშე ხულ სხვარიგ დგომასა და გამძლეობასთან უნდა მიეყვანა, ვიდრე ეს ახალგაზრდა ბრიგეს ხვდა წილად.

„ჩანაწერები ზღვარს უღებენ მეტისმეტად გაზრდილ ტკივილებს“, — წერს რილკე. ამ „მეტისმეტად“ ანუ საბიჯათოდ გაზრდილ ტკივილთათვის მიჯნის დაღება რილკეს შინაგანი გადარჩენის გზა იყო: მალტეს ხახის შექმნა, რომელიც რილკეს სიტყვებით „საკუთარ ხაჯრთხეთაგან არის შექმნილი“, შინაგანი კრიზისის მხატვრულ ქმნილებად გარდასახვა — როგორც საკუთარი ავადმყოფობის გაცნობიერება, როგორც საკუთარ განცდათა ობიექტივაცია და გამანძილება უკვე წარმოადგენდა გარკვეულად მათ დაძლევას და „ბიფათის“ თავიდან არიდებას. მხოლოდ ამ შინაგანი მიჯნის გადალახვის შემდეგ შეიძლება მისი განვრძობა და ახლის დაწყება („მხოლოდ ახლა შეიძლება, ნამდვილად რაღაც დაიწყოს კაცმა“ — რილკე წერილებიდან).

ამასთან, პოეტის შემოქმედებით შუაგზაზე წარმოქმნილი ეს რომანი, ერთის მხრივ წყალგამყოფად რომ გვევლინება, მეორეს მხრივ მისი შემოქმედების ერთგვარ შინაგან ალფს წარმოადგენს, ხადაც თავს იყრის ამ უზარმაზარი პოეტური მდინარების უველა შენაკადი და გან-

1. 1930 წელს როდესაც დასრულდა რომანი „მალტე ლაურის ბრიგეს ჩანაწერები“, რილკეს შემოქმედების ერთგვარ შუა პერიოდად გვევლინება. ამ დროს მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსთა კრებულები („უამნი“, „სურათთა წიგნი“, „ახალი ლექსები“), რექვიემები, მიჯნი როდენზე და სხვ. რილკეს ვეება პოეტური სამყაროს კონტურები გამოკვეთილი იყო, მისი უღრმესი პრობლემატიკა — ძირითადად მონიშნული. რომანის დაწერიდან 1922 წლამდე, როცა გასრულდა „დუინთური ელეგები“ და „კონტები ორფეოსისადმი“, რილკემ მხოლოდ ერთი კოებული — „მარიამის ცხოვრება“ გამოქვეყნა და ამ კრებულშიც ძველი ლექსები იყო გადაშეყვებული.

შტოება: ის პრიზმასავით კრებს რილკეს პოეზიის უმნიშვნელოვანეს მსოფლმხედველობრივ პლასტებს, ძირეულ ცნებებს, მოტივებს; აქამებს წინა პერიოდს და წინასწარმეტყველებს გვიანდელს. ადრეული შემოქმედებიდან მომდინარე მაგისტრალური ხაზები აქ საბოლოოდ მუშავდება, სრულიქმდება ანდა უფრო ღრმავდება და რომანში ჩასახულ უდიდეს პრობლემებთან ერთად საბოლოო გადაჭრასა თუ სიმძაფრებს გვიანდელ პოეზიაში აღწევს. „ჩანაწერები“ რილკეს შემოქმედების ფარულ გეგმად შეიძლება მივიჩნიოთ.

საუკუნის დასაწყისს შექმნილი „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ კრონოლოგიურად წინ უსწრებს XX საუკუნის რომანს და ჩანახობრივად მოიცავს მისი განვითარების არსებით ნიშნებს. რომანში წამოჭრილი პრობლემები დახვედრის წამყვან ფილოსოფიურ მიმართულებათა (სიცოცხლის ფილოსოფიის, ფენომენოლოგიისა თუ ექსისტენციალიზმის) უმნიშვნელოვანეს საკითხებად გვევლინება.

მალტე ლაურიდს ბრიგე, ახალგაზრდა დაბალი არისტოკრატი, უძველესი გვარტომის უკანასკნელი მთამომავალია. მასი სწავრა „სისხლის ხეობებში“ დაღეპილია ბრიგეთა და ბრათა, ლევენტლოვთა თუ გულდენლოვთა ძველთაძველი სისხლი; გრძელი საგვარეულო გაღერების ბოლოში უამრავ გარდაცვლილ წინაპართა პორტრეტების შემდეგ მისი პორტრეტიც იგულისხმება: მალტეს სვალებში ამ თაობათა შიში, შეკითხვები და მწუხარება დაფრთხილახოლო იმ დაგმანულ, ბნელ კარადებში, სადაც წინაპართა სამოსია გადანახული, გარდასულ საუკუნეთა დიდებული მანტიების, სამხედრო მუნდირების, სამეჭლისო კაბებისა და ფრაკების შემდეგ ჩვენს წარმოსახვას შეუძლია მალტეს „გაწულებული კოსტიუმი“ ჩამოაქიდოს, კოსტიუმი ამ გრძელი სპექტაკლის უკანასკნელი მოთამაშისა „უსახლკაროდ და ნამეშვიდრე საგანთა გარეშე“ რომ დარჩენილა ტრადიციული აქსესუარისაგან განძარცვილ ცარიელ სცენაზე. სცენა ცარიელია: მალტესთვის ადარ არსებობს ოდესღაც დადგენილი და გადმოცემული დარებულგანის.

ისევე როგორც რამდენიმე საუკუნით ადრე მკმუნვარე დანიელმა პრინცმა, მამის სიკვდილის საიდუმლოს შეხლილმა, უოფნა-არუოფნის რანგში განიცადა ადამიანური შემეცნებისა და ცხოვრების პრობლემები, მალტეს — მიუხაფარო დანიელი დიდგვაროვანი, რომელსაც დედამ უანდერძა სიკვდილზე ფიქრი, — ასეთივე სიმ-

ძაფრით აუენებს ეპიკვეშ უკვლა ნამეშვიდრეე პახუბს და სიკვდილის ამოუხსნელიობის პირისპირ დარჩენილი უკვლა ექსისტენციალურ შეკითხვას თავიდან სვამს. უკვლა შეკითხვა თავიდან არის დასმული, რედაქციულად შექმნილია შემწარავი შესაძლებლობები ადმოჩენათა და წინსვლათა, კულტურის, რელიგიისა და ამქვენიური მთელი სიბრძნის მიუხედავად, მაინც ცხოვრების ზედაპირზე დარჩა ადამიანი... „რომ არაფერი ნამდვილი და მნიშვნელოვანი დღემდე არ არის დანახული“, „რომ მთელი მსოფლიოს ისტორია, მცდარად არის წარმოდგენილი“. და ეს შესაძლებლობა დაშვებულია მას შემდეგ, რაც სამშობლოდან გადახვეწილი მალტე სწორედ ცივილიზებულ პარიზში შეაწყდა უკვლაზე მძაფრად ცხოვრების საშინელ შეუცნობლობას, აქ დაინახა ადამიანის სრული უმწეობა და მოუშაადებლობა საერთოდ ცხოვრების და კერძოდ, ახალი სინამდვილის — ქალაქის წინაშე.

პარიზი რომანში „დადი ქალაქის“ ურბანისტული გარემოს კლასიკური ხაზა დიდი ქალაქი კი, როგორც საერთოდ, ასევე რილკესთვისაც ადამიანის უკიდურესი გაუცხოების ადგილს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება „შეუცხოებულს“ რომანის ნამდვილ თემად რომ გვივლინება, იგი რილკესთან „გაუცხოების“ ფაქტორთანაა დაკავშირებული, რადგანაც „შეუცხოებელი“ მის ერთ არსებით (სიკვდილის) ნაწილშია არის ადამიანისათვის აწ გაუცხოებული, აწ დაშორებული, — ოდესღაც მასი უახლოესი, „უსაკუთრესი“ არსი.

რამდენადაც ურბანისტულ სინამდვილეში ადამიანი უკვლაზე უფრო ახლოსაა სიკვდილთან (რომანის პირველივე ფრაზა), ხოლო შინაგანად უკვლაზე უფრო გაუცხოებულია მისგან (როგორც ბუნებას მარწვეტილი). ამდენად სწორედ ქალაქი იქცევა „საშინელების“ მაქსიმალური განცდას ადგილად. „საშინელება“ აქ წარმოგვიდგება როგორც მაქსიმალური ფიზიკური მიახლოება უკიდურესად უცხოთან.

ამ უკიდურეს, ზღვარსმიხულ შინაგან გამძაფრებაში ისახება მალტეს შემოქმედება: უოფიერების გამოუცნობი სახის წინაშე მარტოდმარტო მდგომი, ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილი მალტე აცნობიერებს აუცილებლობას, ჩასწვდეს ცხოვრების დაფარულ არსს, რათა ამოავსოს ის გაცდენილი და გამოტოვებული, კაცობრიობის შემეცნების ისტორიაში რომ აღმოუჩენია. მისი მიზანია ამ „ამოუხსნელის“ ჩაწერა, ხოლო იმაულისი ამ ჩანაწერებისა — უოფიერების შეუცნობლობით გამოწვეული შიში. მალტეს ჩანაწერები შიშის წინაშე და შიშის წინააღმდეგაა აღმოცენებული (ამ რადაც ვიღონე შიშის წინააღმდეგ: მთელი ღამე ვიჭკვი და ვწერდი“).

1 მალტეს გენეალოგია ისტორიულად ცნობილ დანიურ გვარებს მოიცავს.

წერის დაწყებას წინ უხსრებს ფუნდამენტური მნიშვნელობის სულიერი აქტი, რომლის გარეშე არავითარი შემოქმედება არ არსებობს: „მე ვიწყებ ხედვას, მე ვსწავლობ ხედვას“. ქეშმარიტი ხედვის სწავლა, ნამდვილი მწერის მოპოვება არის ნაწარმოების მაგისტრალური ხაზი, რომელზედაც ასხმულია რომანის ყველა, ერთი შეხედვით, დაუკავშირებელი და მოულოდნელი პასაჟი (და არა მარტო აქ: ხედვის, მწერის, ქვრეტის ცნება რილკეს მთელ შემოქმედებაში მუშავდება, გამაერთიანებელ ხაზად გასდევს მას და, როგორც შემეცნების არსებითი საშუალება, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამ პუნქტში რილკეს შემეცნების მოძღვრებას, რასაც წარმოადგენს მთელი მისი პოეტიკა, მუსერლის ფენომენოლოგიასთან ანათესავებენ).

მალტე იწყებს ხედვას, ხედვას, რომელიც გაახილვადებს საგანთა და მოვლენათა შინაგანობას, ხანგრძლივი „ჩამწერით“, სრული კონცენტრაციით ამოიკითხავს უოველი საგნის შინაგან მოძრაობას, პირველ რიგში კი საკუთარ წიაღში „ჩაბრუნებული“ აღმოაჩენს თავისი ხულის უღრმეს და ფარულ ადგილს („მე მაქვს რაღაც შინაგანი, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი წინათ“), სადაც თავს იურის უოველივე გარედან შემავალი, გარდაიქმნება, სახეს იცვლის და თამაშდება ნამდვილი მოქმედება. იბსენისადმი მიმართულ პასაჟში ეს ადგილი შედარებულია საიდუმლო ქიმიურ ლაბორატორიას: მიმდინარეობს შრთულესი და უფაქიზესი პროცესები. ცეცხლის შუქზე განათებულ ქურჭლებში მოცახცახე ნივთიერებათა მსგავსად აქ ხდება განცდათა, მოგონებათა და წინათგრძობათა აღრევა, აფეთქება და დაწმენდა: ამ განცდათა ფერისცვალებისა და მიმორხვევის საზომი იოტი და მისხალია. რომანში გადმოცემული მალტეს ავტობიოგრაფია ფაქტობრივ-გარეგანი თავგადასავალი კი არ არის, არამედ ამ შინაგან სივრცეში (რილკე მას უწოდებს „გულის შიდა სივრცეს“) გადახარშული და სახეცვლილი, აქ მიმდინარე სულიერი ცხოვრებაა, სადაც ემპირიულად მნიშვნელოვანი და სულიერად მნიშვნელოვანი ერთმანეთს არ თანხვდება.

მაშასადამე, მალტეს ეს შინაგანი გაზრდა — ნამდვილი ხედვის მოპოვება და შემოქმედების დაწყება პარიზში, ყველაზე ძნელ ადგილას ხორციელდება. პარიზს აქ მეორე ფუნქციური დატვირთვა აქვს: მის ფონზე განხორციელებულია უცხოეთში უოფნის, სამშობლოდან წასვლის იდეა, რაც მოგზაურობის მოტივს უკავშირდება. რომანის მნიშვნელოვანი შინაგანი პლასტი მოგზაურობაა: მალტე ლაურიდს ბრივე უსამშობლო მოხეტიალედ, ნიადაგ გზადმყოფი უარიბია და წარმოადგენს ცნობილი ლიტერა-

ტურული სახის — მოგზაურის სახის თავისებურ განვითარებას, რომელიც ისევე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა ერთის მხრივ, მალტეც, ისევე როგორც რომანტიკოსი გმირი, — უარიბი და მოგზაურად იმდენად, რამდენადაც დედამიწაზე, წარმავლობის ნაკადში მოხვედრილი ვერსად ვერ შეჩერდება („დასარჩენი არსად არ არის“), სახლს და სამკვიდროს ვერსადა პპოვებს, ნიადაგ მიდის და ემშვიდობება: მისი უსახლკარობა, მისი მიუსაფრობა მიწაზე მის შინაგან უადგილობას შეესაბამება („ქერი არა მაქვს თავზემთ და მაწვიმს თვალეში“). მაგრამ განხვავებით რომანტიზმის მოგზაურისაგან, მიწისგან გაუცხოებული იმ ქვეყანას რომ აღიქვამს სახლად, კერად და სათვისტომოდ, და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად განვლოს წარმავლობის გზა, მალტე იმ ქვეყნისაგან ისევე გაუცხოებული, როგორც მიწიერი ცხოვრებისაგან („მე ხომ ძლივს მოვიკიდე ამ ქვეყნად ფეხი... და რა უნდა ვქნა იმ ქვეყანაში?“).

მეორეს მხრივ, თუ რომანტიკოსი პოეტისათვის, ისევე როგორც უოველი შემეცნებელ-მადიებელი პიროვნებისათვის, აუცილებელია რეალურ თუ სულიერ საუფლოებში მოგზაურობა: სიბრძნისა და მშვენიერების შეგროვება, თანდათანობითი ამაღლება და რახლოება საკუთარ არსთან, ასევე მალტესიული ახალი პოეტიკაც აუცილებლად გულისხმობს სვლას, სიარულს, მოგზაურობას პირდაპირი აზრითაც. მაგრამ, თუ რომანტიკოსი გმირის (პოეტის) მოგზაურობა უპირატესად წმინდად სულიერ-მეტაფიზიკურ საუფლოებში გადაინაცვლებს (ნოვალისის ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი), მალტეს მიერ მოხაზული მოგზაურობის გეგმა პირველ რიგში აქ, ადამიანურ საუფლოში, მიწიერი საგნების წიაღში ხორციელდება და ამგვარად გააზრებული გზა ხელოვანისა უკვე გულისხმობს დედამიწაზე ფეხმოუკიდებლობის დაძლევას, დედამიწისა და მიწიერი ცხოვრების, საგანთა სამყაროს ათვისების აუცილებლობას („ერთი ლექსის დასაწერად კაცმა მრავალი ქალაქი უნდა ნახოს, უამრავი საგანი და ადამიანი“... ცხოველები უნდა იცოდეს, ფრინველები და უვავილები... შეხვედრები და განშორებები... საუმაწვილო სნეულებანი... ბავშვობის დღენი... ზღვის დიღები, მოგზაურობისა და სიუვარულის ლამეები... მშობიარენი და მომაკვდავნი).

მოგზაურობის იდეის შესაბამისად რომანი იწყება პარიზის ქუჩის სწრაფი კადრებით, გამვლელის მიერ ფიქსირებული ქუჩის ეპიზოდებით და მთავრდება ძე შეცთომილის ლეგენ-

1. ფიქსაციის ტემპი სულ უფრო ნელდება, მოკლე, წვეტილი ფრაზები თანდათან ივრცობა

დის რილკესეული (მალტესეული) ინტერპრეტაციით. ეს არის სახლისა და ქერის, საკუთარი თავისა და ადგილის, ღმერთის მადიებელი უარების გზა. ამავე დროს ძე შეცთომილის ლეგენდაში დანახულია ღრმა აზრი საკუთარი კერის, „შეჩვეულ მზამზარეულ ურთიერთობათა“ მიტოვების—უცხო სამყაროში დროებითი გადახვეწისა, რაც საკუთარ თავთან ნამდვილ დაბრუნებას ემსახურება. ძე შეცთომილი მალტეს მითური პროტოტიპია. მალტეს ხომ უცხოეთში (კონკრეტული აზრით — პარიზში, ზოგადი აზრით — ქალაქში, როგორც ბუნებიდან წასული) იწყებს საკუთარ თავთან მიახლოებას, საკუთარი ადგილის გარკვევას.

თავად მოგზაურობა რომანში უშუალოდ არ არის ნაჩვენები. ის წარმოდგენილია მოგონების ასპექტში და ძირითადად მინიშნებულია ზოგადად („ნიადაგ გზაში ვიყავი. ღმერთმა უწყის რამდენ ქალაქში ვარ ნამყოფი“). მაგრამ აქ მოგზაურობის შედეგია გაცხადებული: ნამდვილი ხედვის მოპოვება და შინაგანი მოგზაურობის — შემოქმედების დაწყება. მალტეს შემოქმედება უკუსვლით იწყება, სვლით სათავისაკენ: მისი პირველი სადგურია ბავშვობა. პარიზი რეალური მოგზაურობის უკანასკნელი ადგილია (პარიზში იწყება და წუდება მალტეს ჩანაწერები). რომანში იკვთება და ერთმანეთს ექსოვება სამი პლასტი: ბავშვობის მოგონებები, პარიზის უშუალო შთაბეჭდილებანი (ფაქტიური აწმყო) და მალტეს „ნაკითხობის რემინისცენციები“: მედიტაციები ისტორიულ პიროვნებათა (ბეთშოვენის, იბსენის, იაკობსენის, სეზანის, ხაფოს და სხვათა) ირგვლივ.

●  
რა არის ეს უმთავრესი ნაკლი ადამიანური ცნობიერებისა, რის გამოც კაცი ასეთი მოუმ-

იმისდა მიხედვით, რომ მალტეს მზერა სულ უფრო ღრმად ცდილობს საგანსა და მოვლენაში ჩაძირვას. ქალაქი ჯერ გაუცნობიერებელ შეგრძნებათა სახით იჭრება მალტეს ფსიქიკაში: ერთბაშად მიაწყდება მის თვალს, ყნოსვას, სმენას. შემდეგ თანდათან ხდება ამ შეგრძნებათა დაწმენდა, გაცნობიერება. გავიხსენოთ: რომანის დასაწყისში უბრალოდ ნათქვამია: „ვნახე, კაცი, რომელიც წაბარბაცდა და დაეცა“. მალტე გაუჩრბის მისი დასასრულის ნახვას. შემდეგ კი მთელი პასაჟი ეძღვნება ბნედიანი კაცის წაქცევას ქუჩაში. აქ უკვე უპიური დეტალიზაციით მალტე სრულად აგვიწერს, გვიხილვადებს მთელ მოვლენას, მის აზრს. ასევე მას სურს ბოლომდე შეაღწიოს კაფეში გარდაცვლილი კაცის უხილავ, სიკვდილისწინა სამყაროში, თუმცა ეს სამყარო შემზარავია.

ზადებელი და ახალბედა აღმოჩნდა ცხოვრების წინაშე? რის შედეგადაც სიცოცხლე ისეთსავე თავზარს სცემს როგორც სიკვდილი? დავიწყებული ცოდნა სიცოცხლისა და სიკვდილის არსებითი ერთიანობისა (რომანის პირველსავე ფრაზაში ეს ორი ცნება მარტინისპირემაშია მოცემული). მათი როგორც ურთიერთგამომრიცხავი ძალების შეურიგებელ წინააღმდეგობაში აღქმა მომაკვდინებელი სულიერი წყობაა, დამლუპველი ცნობიერება, ამოწრდილი სამყაროს მთლიანობის ვერშემცნობი ხედვიდან და თავის მხრივ გამაპირობებელი ადამიანის სულ უფრო მეტი შინაგანი დაღმასვლისა. „რაც „მალტეში“ ასეთი ტანჯვაგამოვლილი და უველა საშუალებითაა გამოთქმული, მხოლოდ ეს გახლავთ; როგორ არის შესაძლებელი ცხოვრება, თუკი ამ ცხოვრების ელემენტები ჩვენთვის ერთიანად შეუცნობელია?.. მე ვერც კი მოვახერხე ამ უღრმესი შინაგანი ვალდებულებით შექმნილ წიგნში მთელი ჩემი განცვიფრება გამომეხატა იმის თაობაზე, რომ ადამიანებს საუკუნეების მანძილზე ცხოვრებასთან აქვთ საქმე. ... და ამ უპირველესი, უშუალო, კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ამოცანის წინაშე (რადგან სხვა რა საქმე გვაქვს ან დღეს ან ხვალ ანდა ბოლომდე?) ასე ახალბედებით უმწეოდ, ასე შიშით... და საცოდავად ვდგავართ? არ არის განა ამოუხსნელი?... სიკვდილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის სიცოცხლის აზრს მკლავს და გვიხშობს... ჩვენ ის განვდევნეთ, რათა სიცოცხლის აზრის პოვნაში ხელი არ შეეშალა, ის, რაც სინამდვილეში ისეთი ახლობელია ჩვენთვის, რომ ჩვენს წიაღში მანძილს ვერც კი დავადგენდით მასხა და სიცოცხლის გულისგულს შორის. სიკვდილი დარჩა გარეთ... ის გავაძევეთ... ბუნებამ კი არაფერი იცის ამ ჩვენეული, რაღაცნაირად მოხერხებული განდევნისა: როცა ხე უვავის, მახში სიკვდილიც ისევე ხარობს როგორც სიცოცხლე და ყანაც ხომ სიკვდილით არის აღვსილი“ (რილკე, წერილებიდან).

სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთმიმართება, როგორც ცენტრალური მნიშვნელობის პრობლემა, რილკეს ადრეულ შემოქმედებაშივე ყალიბდება და მის მსოფლმხედველობის, მთელი მისი პოეზიის მამოძრავებელ ღერძად იქცევა. თავად რილკესთვის ამ დროს უკვე არსებობდა პახუნი, ცოდნა: სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთშია ჩაღვრილი, სიცოცხლე და სიკვდილის შემდგომი ცხოვრება ერთმანეთშია შეჭრილი და ერთმანეთს გამსჭვალავს („უამნი“, „თეთრი დედოფალი“, რექვიემები). მაგრამ დიდი ქალაქი უღმობელი შემმოწმებელი აღმოჩნდა ყოველი ცოდნისა და თავის პერსონაჟს რილკე ამ უმძაფრესი შეკითხვის გზაზე აუენებს, გზაზე,

რომელიც გარდაუვლად უნდა მივიდეს ერთადერთ პასუხთან. შეკითხვის სიმძაფრეს და პასუხის პოვნის აუცილებლობას ქალაქის რეალობა განსაზღვრავს: რადგანაც ქალაქში ადამიანის თვითგაუცხოება, საკუთარ არსს მოწყვეტა კულმინაციას აღწევს, სწორედ ეს უკიდურესი დაძაბვა კატეგორიულად მიანიშნებს ადამიანს, იპოვოს მიზეზი საკუთარი თავის კარგვისა.

სწორედ ქალაქის გნიახსა და ორომტრიალში დაინახა მალტემ სიკვდილის ახალი, ახალ დროში ჩამოყალიბებული სახეობა: უსახო სიკვდილი: უცხო სიკვდილი, არაორგანული, არაბუნებრივი, არავისი და არანამდვილი, რომელსაც მასიურ ქარხნულ პროდუქციასავით ამზადებს და უშვებს დიდი ქალაქი. ეს სიკვდილი სწორედ მასიურ, არაინდივიდუალურ, ერთნაირ ტანსაცმელს არის შედარებული, მაშინ როდესაც ნამდვილი სიკვდილის სიმბოლოს, უფრო სწორად სიგნატურას რილკესთვის ნაყოფი და მისი თესლი, გული წარმოადგენს. („ადრე სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში“). „ღმერთო, მიეცი ყველას საკუთარი სიკვდილი“ — ლოცულობს პოეტი ჰერ კიდევ თავის ადრეულ ლექსებში („უამნი“). ეს კი ნიშნავს: მიეცეს ყველას მისი საკუთარი, ბუნებრივი, ნამდვილი ცხოვრება. ადამიანი, რომელიც თავის ხულიერ შესაძლებლობებს, პიროვნების თვითდადგენას ახორციელებს, სახესა და აზრს აძლევს თავის ცხოვრებას, კვდება „საკუთარი“, ნამდვილი, „დიდი სიკვდილით“. რადგან ქმნიდა და ამწიფებდა რა თავის ცხოვრებას, ქმნიდა, ზრდიდა, ამუშავებდა თავის სიკვდილსაც: ეს სიკვდილი უკვე მისია, მისი შინაგანი არსიდან, მისი ცხოვრების ღრმა კანონებიდან და გულიდან არის აღმოცენებული. ამდენად მახლობელი და საკუთარი, საკუთარი და ნამდვილი ცხოვრება აცოცხლებს. ჰყვება „საკუთარ სიკვდილს“, თავისი თავით აპურებს, ბავშვივით ზრდის მას. ყოველი ადამიანი „საკუთარი სიკვდილის“ დამბადებლად უნდა იქცეს, რაც საკუთარი და ნამდვილი ცხოვრების განხორციელებას ნიშნავს („სიკვდილი — კარგი ნამუშევარი, წიაღში ჩაღრმავებით შექმნილი, საკუთარი სიკვდილი, რომელსაც ვკვირდებით რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მას“). მაგრამ თუ ადამიანი ჩაკარგულია მასიურ, უპიროვნო (man-ის) ამორფულ უოფიერებაში, უსახო არსებობაში, ვერშემცნობი თუ არ შემცნობი საკუთარი სულის უნართა, ადამიანური მისიისა, გათქვეფილი ყოველდღიურობის სიწვრილმანეში, ვერ ქმნის რა „საკუთარ, ნამდვილ ცხოვრებას“, ვერ ქმნის საკუთარ სიკვდილსაც. მისი სიკვდილი „პატარა, უცხო“ და გარეგანი რჩება. ნაჩქარე-

ვი, სახელდახელო, ზერელი ცხოვრება ბადებს უდღეურ, მოუშფიფებელ „ცუდად დამუშავებულ“ სიკვდილს, „სიკვდილის მკვდარ ჩანასახს“ („სიკვდილის მწვანე თესლს“).

ნამდვილი ცხოვრებას წინასწარუწყველი კი რილკესათვის ადამიანში ბიძგუნებს საკუთარ და სამყაროსთან, ბუნებასთან, ღრმა შინაგანი კომუნიკაციაა, შინაგანი კავშირი და საუბარი მთელ კოსმოსთან, ყოველ საგანთან: ხანგრძლივი საუბარი, რასაც ახორციელებს რილკეს მთელი შემოქმედება. ბუნების მოვლენები მას ადამიანის სულის წარუვალაობაზე მიანიშნებენ: თესლი კვდება მცენარეში, კვირტი კვდება ყვავილში, ყვავილი ნაყოფში, მაგრამ ამავე დროს კვირტი ყვავილში, ყვავილი ნაყოფში უხილავად აგრძელებს სიცოცხლეს და თესლიც ხომ ხელახლა აღორძინდება ნაყოფის გულში. ყოველივე სიკვდილით არის სავსე, რადგანაც ცოცხლობს. ადამიანიც ჩანასახიდან ვიდრე სიკვდილამდე მრავალ სიკვდილს გაივლის, ფერისცვალების, გარდაქმნისა და გრადაციის საფეხურებს და სიკვდილიც „უდიდესი მეტამორფოზაა“ მხოლოდ, რომელიც კი არ სწყვეტს სიცოცხლეს, არამედ „მძლავრი გარდაქმნის“ და გადაღვრის მას სამყაროს უხილავ „გულის გულში“ და არა სადღაც იმ ქვეყნად“. ადამიანი ნდობით უნდა იყოს ჩართული ფერისცვალების ამ უწყვეტ ჯაჭვში და სიცოცხლეშივე გაეხსნას „სამყაროს შიდა სივრცეს“, სადაც უხილავი ცხოვრება მარადმოყოფობს.

სწორედ ეს ქეშმარიტებები ახსენდება ქალაქის პირისპირ დარჩენილ მალტეს. „უცხო სიკვდილის“ ხილვა მასში „ნამდვილ სიკვდილზე“ ფიქრს აღძრავს და შიში ამ უსახო სიკვდილის წინაშე სიკვდილის საიდუმლოებასთან დაკავშირებულ ბავშვობის მოგონებებს გამოიწვევს. სწორედ ამ მოგონებებით, როგორც ცენტრალური მნიშვნელობის ეპიზოდებით, იწყება მალტეს შემოქმედება. მალტე იხსენებს თავის ორ წინაპარს: მანის მამას — კამერჰერ ბრიგეს და დედის მამას — გრაფ ბრაჰს.

კამერჰერი ბრიგე მისთვის საკუთარი სიკვდილის უკანასკნელი მფლობელია: პარიზის ქუჩის ნერვიულ დინამიკაში შემოდის ის ეპიური სიღინჯე და სივრცე, რომელსაც კამერჰერის ხანგრძლივად ნაცხოვრები, კარგად დაპურებული, ვეება, თითქმის სკულპტურული სიკვდილი იწვევს („პაპაჩემს, კამერჰერ ბრიგეს ჰერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში სიკვდილი დაჰქონდა და რა სიკვდილი“). ხოლო რაც შეეხება „მის უდიდებულესობა გრაფ ბრაეს“, ეს დრუიდივით მომწუსხველი პიროვნება მალტეს ახსენდება როგორც სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების უკანასკნელი მფლობელი. ურნეკლოსტერის სახახლეში გათამაშებული სცენა

რომანის ცენტრალურ პასაჟს წარმოადგენს. ეს არის მალტეს მთავარი მოგონება, მისი ბავშვობის უმთავრესი დანატოვარი, რომელიც ახლანდ ათვისოსს და გააცნობიეროს მან. ეს ეპიზოდი გვევლინება სიცოცხლისა და სიკვდილის შემდგომი ცხოვრების ურთიერთგამსჭვალულობის, ერთმანეთში არსებობის მაქსიმალურად გამძაფრებულ გამოვლინებად, უმკვეთრეს ილუსტრაციად.

ურნეკლოსტერის ძველთაძველი სასახლის სულიერ ატმოსფეროს ქმნის სასახლის პატრონის გრაფ ბრაეს მაგიური მზერა: ამ კაცს სიკვდილი არაფრისმთქმელ შემთხვევად მიაჩნდა და მთლიანად უგულვებელყოფდა. ვინც კი ერთხელ ხსოვნის წიაღში მიედო, ისინი (ხანდახან კი არ ახსენდებოდა) სულ არსებობდნენ და მათი სიკვდილი იოტისოდენა ცვლილებასაც კი ვერ იწვევდა. თავადი ბრაე ისეთი ტონით ლაპარაკობდა საუკუნის წინ გარდაცვლილ ადამიანებზე, თითქოს ისინი ეს-ეს არის გასულიყვენ ოთახიდან და უოველ წუთს შეიძლება შემოსულიყვენ (აკი შემოდინ კიდევ!) თავად ბრაეს უახლოესი მეგობარია მისი პატარა შვილიშვილი ერიკი. (უოველ დღე ერთად მიუყვებიან გარდაცვლილ წინაპართა პორტრეტების გაღერებას: უსიტყვოდ მათთან და ერთმანეთთან მოხაუბრენი). რომანში ლაპარაკია ამ ორი არსების ერთმანეთისაკენ მიმართულ მზერაზე. ბავშვისა და ბერიკაცის ეს შეთანხმებული, სრული მზერა ქმნის ურნეკლოსტერის სასახლეში იმ ზეგრძნობად ველს, სადაც საიმედოდ დაიარებიან გარდაცვლილები და არაფერია ბერიკაცისთვის აქ უჩვეულო: ის ხომ იმ სამყაროს ბინადარია, სადაც მკვდრები, ცოცხლები და დასაბადებელნი ერთად არსებობენ („სამყაროს შიდა სივრცე“). ის შინაგან „დაუთვლელ დროში“ მყოფობს არადრამგდები გარეგანი, „აწმყოდ, წარსულად და მომავლად დარბეული დროისა (მ. ჰაიდეგერი). სასახლის პატრონი, თავადი ბრაე ნამდვილი შემნახველია გარდაცვლილთა უოფიერებისა, არა მათი წამიერი, თუნდაც ხშირი გახსენების აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ის მათთან და ისინი მასთან ერთად ცხოვრობენ. (გრაფი ბრაე ამ სასახლის ღვთაების, ადგილის დედის აზრს იძენს. Urnekloster — მიუთითებს სასახლის ფარულ მნიშვნელობაზე; ურნეკლოსტერი — საყდარი-სამარხი, საყდარი, რომელიც ინახავს, ამ სიტყვას მივყავართ სახლისა და ადგილის ღვთაებათა — ლარების რილკესეულ გააზრებასთან, რაც მის ადრეულ კრებულში — „ლარების შესაწირი — ჩამოყალიბდა). მთელი მისი პიროვნებიდან ღიმილით, ხშირთა თუ მზერით სწორედ ეს საიდუმლო ცოდნა გამოაშუქებს; მის საქციელში მუღავნდება ფარული

მოთხოვნა — გარშემომყოფნიც ეზიარონ ამ საიდუმლოებას. მალტეს მამას იგი ნიღაგ მის გარდაცვლილ მეუღლეზე, ე. ი. თავის შვილზე ელაპარაკება: „და — მისი უოველი წინადადება ისე მთავრდებოდა, თითქოს მოხუცი კითხულობდა, სად არისო“. ეს შეკითხვა ბრბლიური სკოლის აზრს იძენს (რ. ენელსჰაიზერი), როდესაც კითხვა „სადა ხარ?“ „სად არის?“ ადამიანის ეთიკური ადგილის, სამყაროში მისი ადგილის გარკვევას გულისხმობს. ბერიკაცი ფაქტიურად ამას ეკითხება თავის სიძეს: რატომ ვერ ხედავ, რატომ არ იცი, სად არის შენი მეუღლე, ამდენად: სადა ხარ, სად დგახარ შენ? მალტეც ხომ მუღამ დედის გახსენებას ცდილობს დედის სასახლეში. თითქოსდა ბრაეს მიერ ინსპირირებული კიდევ აღიდგენს დედის ფერგამქრალ ხატებას, სახეს, შემდეგ რომ „ყველგან თან ახლავს“. მალტე უპირატესად დედის გენების მატარებელია. ამ გენების პოტენციათა ათვისება სურს მას წინააღმდეგ მამისაგან მიღებული შიშისა სიკვდილის წინაშე.

დედამ უანდერძა მალტეს სიკვდილზე ფიქრი, თავად ულსგორის სასახლეში მარტოდ დარჩენილი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს ამოუცნობლობამ დაავადა. დედამ ვერ გაიაზრა ინგებორგის სიკვდილის გამოცანა: როგორ და რომელი ცხოვრებიდან ამოიზარდა ეს საოცრად მშვიდი და უწყინარი სიკვდილი, როგორ შეესაბამებოდა სიკვდილზე დასტური ინგებორგის სიხარულით გაშუქებულ ცხოვრებას. მაგრამ მან იცოდა, რომ ამაზე ფიქრი იყო მთავარი და მალტეს დაუბარა საიდუმლოს ამოხსნა: „იფიქრე, მალტე, ამაზე, ეგების რაიმეს მიხვდე, როცა დიდი გახდები. ვილაც ხომ უნდა არსებობდეს, ვისაც ამგვარი ამბები ესმის. ასე მგონია, ყველანი ძალზედ მოუცლელნი არიან და ვერც კი ამჩნევენ ამ ქვეყნიდან როცა მივდივართ. თითქოს ვარსკვლავი ვარდებოდეს და არავინ ხედავდეს და არავინ ნატრობდეს რასმე“. მთელი რომანი არის ცდა დედის ანდერძის განხორციელებისა, მალტესეული memento mori.

გრაფ ბრაესა და ურნეკლოსტერის სასახლის გახსენება მალტეში ააღორძინებს სიკვდილისა და სიცოცხლის განუყოფლობის აზრს. მისთვის არსებითი ხდება მიწიერ და მარადიულ საუფლოთა წონასწორობაში განცდა და ამ წონასწორობის შენარჩუნება: დედამიწის, ადამიანთა ცხოვრებისადმი უურადლების შენელება, მისი დაკარგვა და გამოტოვება ანუ „დედამიწაზე ფეხმოუკიდებლად იმქვეყნიური რეალობისაკენ გაღიხარა ისეთივე მცდარი და ნაკლებოვანი გზა, როგორც მხოლოდ „აქ დარჩენა“, ცხოვრების მხოლოდ ფიზიკური, ხილული სა-

ღვრებით შემოწმდებოდა: „გზა ღმერთისაკენ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გზას ცხოვრებისაკენ. ღმერთის სიუვარული და სიცოცხლის სიუვარული ერთმანეთს უნდა დაემთხვეს და არა ის, რაც ახლა ხდება: რომ მათ სხვადასხვა ტაძრები აქვთ განსხვავებულ სიმაღლეებზე“ (რილკე, წერილები). შემეცნების გზა, შემეცნებელი მზერა, რომელსაც რომელიმე ეს საუფლო გამოჩენა, რომელიც ორივე ტაძარში ვერ გაინათლება, როგორც დარღვეული წონასწორობის მაუწყებელი, ნაკლოვანია და მასზე ადამიანური ცხოვრების წესი ვერ აიგება. რილკეს ეს მსოფლმხედველობრივი პოეზია გოეთესას თანხვდება: „გსურს შეაბიჯო მარადიულში? ჭერ მოიარე წარმავალი ქვეყნიერება“. რილკეს პოეტი ხომ ხანგრძლივად მოგზაურობს ადამიანურ სფეროში, მიწიერ საგანთა შორის, რათა შეაგროვოს „მთელი ცხოვრების აზრი და სიტკბო“, რათა ბოლოს ანგელოზთა წინაშე მდგარმა „განადიდოს“ მიწიერი უოფიერება. „დუინური ელეგიების“ ეს ადგილი მშვენივრად გადმოგვცემს რილკესეული სამყაროს წონასწორობის სურათს: ბოლოს პოეტი ანგელოზთა წინაშე წარსდგება. მაგრამ ანგელოზებს დედამიწის შესახებ ესაუბრება.

რილკე მუდამ თავის განსაკუთრებულ მისიად აცნობიერებდა დედამიწის ფარული აზრის, „ჩვეულებრივი ცხოვრების“ საიდუმლოს ამოკითხვას. სიცოცხლე ისეთივე დიდი საიდუმლოა როგორც სიკვდილი და მარადიულობა, ვინც ჩვეულებრივი, უბრალო საგნებისა და ცხოვრების სასწაულებრიობის, საიდუმლოების შეგრძნებას დაკარგავს, განწირულია ზედაპირული და ცალმხრივი არსებობისთვის. ეს ქეშმარიტებაც დედისაგან შეითვისა მალტემ: „ჩვენ სასწაულებრივი სულ სხვაგვარად გვესმოდა. მიგვაჩნდა, რომ უველაზე ჩვეულებრივი და უბრალო რამ უველაზე უფრო სასწაულებრივი იყო“. ჭერ კიდევ ადრეულ კრებულში („ეამნი“) ახალგაზრდა ბერს სურს უველა საგანში, სინამდვილის უველა გამოვლინებაში ჩამალული ღმერთი აღმოაჩინოს და გაახილვადოს, აი, რას წერს რილკე სწორედ მალტეზე მუშაობის წლებში კლარა ვესტჰოფ-რილკეს, თავის მეუღლეს, რომელიც იმ ხანად ბუდისტური მოძღვრებით იყო გატაცებული: „შენ ისე პირდაპირ მიემართები ახლა ღმერთისკენ, არა, მიფრინავ, თავს გადაეველე უველაფერს და პირდაპირი გზით მიჰქრი. მე კი უკვე ვიყავი იქ, ჩემს ბავშვობაში და ახლა იქიდან მოვდივარ, წარმომგზავნეს (ოღონდ არა იმისათვის, რომ იმ ქვეყანაზე გიამბოთ), რათა ადამიანურის ხილრმეში ჩავიდე. უველაფერი ვიხილო, არაფერი გამომჩინეს და უკუვაგდო ღმერთის იმ

უამრავ ფერისცვალებათაგან, სადაც ის თავს ჩქმალავს. ჩამუქებული და ვერშესაცნობად წარმოგვიდგება. მე ის კაცი ვარ, სოკოებსა და სამკურნალო ბალახებს რომ აგრძობს მცენარეთა შორის. ის დაკუზულა და პატარა, უმნიშვნელო საგნები უკუყვებულა. მაშინ როდესაც გარშემო უფრო უფრო ხმას ცახ უწევენ და შემოქმედს განადიდებენ. მაგრამ მოვა დრო, როცა ნაყენი მზად შექნება და უამი, როცა ამ სითხეს, სადაც უველაფერი — მხამიანი და მომაკვლინებელი — განზავებულია ძლიერმოქმედების გულისთვის, მას მივაახლებ, ავიტან ღმერთთან, რათა წყურვილი მოიკლას და ძალუმად იგრძნოს თავისი შუქის ჩქეფა ძარღვებში“. ამ ცხოვრების ესენციის ღმერთთან მიახლების მისტერიაა გვიანდელი სონეტები და ელეგიები.

ვინც ცხოვრების, ადამიანთა და საგანთა თვალეში „ჩამწერის“ ხანგრძლივი გზა არ გაიარა და ცხოვრების გამოტოვებით „პირდაპირ“ მიაბიჭებს მარადიულში: საგანგებო სენსეებით, ვარჯიშითა თუ მწიგნობრობით, ის ილუზიური ცოდნის მყიფე გზაზე დგას. ეს რილკესთვის ნაჩქარევი, სულსწრაფი და სიადვილის მადიბელი გზაა, ისეთივე მცდარი, როგორც მხოლოდ ემპირიულ-ლოგიკური კაუზალობის ფარგლებში დარჩენა. ამიტომ არის, რომ გარდაცვლილის გამოცხადებას მხოლოდ ის უძლებს, ვინც „ცხოვრება იცის“, ვინც უღრმესი უურადღებით უურადღებდა და კითხულობდა ცხოვრებას, ბუნებას და საკუთარ სისხლს („წიგნები ცარიელია... საკუთარი სისხლი უნდა იკითხოს კაცმა“), ვინც გარდაცვლილს სიცოცხლის უოვლისმომცველი ერთიანობის ჩვეულებრივ წევრად აღიქვამს და მას უველა დანარჩენთა გვერდით აუენებს: თავადი ბრავ და მისი გაზრდილი ბავშვი — ერთი. რაც შეეხება დანარჩენთ: აღქმისტ ბიძას, სპირიტუზმით გატაცებულ დეიდას და პედანტური, ცალმხრივი რაციონალიზმის კაცს — მალტეს მამას, — მათ უველას, როგორც მოუმზადებელთ, ანადგურებს გარდაცვლილის გამოცხადება. მალტეს მამა მუშტებშემართული უმხედრდება ქრისტიანე ბრავს გამოჩენას, როგორც სიკვდილისა და ცხოვრების ერთიანობის ფაქტს.

ურნექლოსტერის ეპიზოდში გარდაცვლილის გამოცხადება არ წარმოადგენს თვითმიზანს. გრაფ ბრავს შინაგან ცხოვრებას, რომელიც ისედაც სამყაროს გულის მარადიულ სიცოცხლესთან კავშირში მიედინება, არ სჭირდება სულთა ამგვარი გამოხმობანი. ეს თავად გარდაცვლილთა საქმეა. „მალტემდე“ ცოტა ხნით ადრე მეგობარი ქალის, უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვრის პაულა ბეკერისადმი მიძღვნილ რექვიემში გამოთქვამს აზრს: მკვდ-



რებს დიდი საქმე აქვთ. მათ არ სცალიათ. ისინი იქ უნდა იყვნენ „გარდაცვლილ უოფიერებაში“, შეითვისონ ეს მეტამორფოზა და უხილავად, შინაგანად დაეხმარონ მიწაზე დარჩენილთ. მაგრამ თუკი ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო (ეს შეიძლება იყოს მათი განსაკუთრებით მძიმე ბედისწერა, რაღაც უჩვეულო საწუხარი, როგორც ქრისტიანე ბრავს შემთხვევაში) მიზიდულობის ძალას დაჰყვებიან და „დათვლილ დროში“, საგანთა შორის დაბრუნდებიან, პოეტი მომზადებული უნდა შეხვდეს მათ და ისევე მიიღოს, როგორც ცხოვრების უველა დანარჩენი გამოვლინება: „არა მგვრის ძრწოლას გარდაცვლილთა შემოხედვა და თუკი მოდიან, კიდევაც აქვთ იმის უფლება, რომ ჩვენს მწერაში უველა საგანთა მსგავსად შეჩერდნენ“. აქ მნიშვნელოვანია სწორედ ეს — „უველა საგანთა მსგავსად“ და არა, გარდაცვლილთათვის უპირატესობის მინიჭებით, არა იმგვარად, რომ მათი მნახველი ამოვარდეს ამქვეყნიური ცხოვრების ხფეროდან, საგანთა სამყაროდან, გაედევნოს მათი „მკვდარყოფნის“ გზებზე და მათ „უოფიერებაში ჩაიკარგოს“: რაც წონახწორობის დარღვევა იქნებოდა. მაშასადამე: უფრო სწორია, რომ გარდაცვლილი იქვე დარჩეს თავის უხილავ არსებობაში და აღარ მოისურვოს საგანთა სამყაროში ხელახლა შემოქცევა, აღარ გაბილვადდეს. მაგრამ თუ ამას ხჩადის, აქვს კიდევ ამის უფლება. ანალოგიურ აზრს გამოხატავს შელაპარაკება გრაფ ბრავსა და მალტეს მამას შორის (როგორც ვიცით, მალტეს მამა მუშტებშემართული გაემართა ოთახში შემოსულ ქრისტიანე ბრავსაკენ, რადგან იგრძნო, რომ ის გარდაცვლილი იყო), ამ დროს გრაფი ბრავ გარდაცვლილთა ამ „უფლების“ მრისხანე მცველად წარმოგვიდგება: „ფიცხი ხარ, კამერჰერო, და უზრდელი. რად უშლი ხალხს თავის საქმე აქეთოს?“ „ვინ არის ის ქალი?“ „არავინ უცხო ქრისტიანე ბრავ. ის, ვისაც, დიახაც, უფლება აქვს, აქ, ჩვენთან იყოს“.

გარდაცვლილი ინგებორგის გამოცხადების ეპიზოდში იგივე აზრის სხვა ასპექტია გადმოცემული: ზოგჯერ ადამიანები გაუცნობიერებლად გადააბიჭებენ სიცოცხლისა და სიკვდილის, ხილული და უხილავი ცხოვრების მიჯნას, უნებლიეთ წაშლიან გონებაში ამ ზღვარს; მაშინ მათ წამიერად ფაქტის სახით წარმოუდგებათ ამ სამყაროთა ერთიანობა. როდესაც მოულოდნელად უველას ერთად დაავიწყდა, რომ ინგებორგი მოკვდა, და უველამ ერთად დაიწყო ლოდინი, სადაც არის მოვამ — ინგებორგი მოვიდა. აქაც ხაზგასმულია ამ მოლოდინის უბრალოება და ბუნებრიობა: რაღაც „თვალშისაცემად“ კი არ ელოდნენ (არა სპეციალურად, არა საგანგებო ღონისძიებებით), არა-

მედ „ჩვეულებრივად“, „უოველდღიური მოლოდინით“. მაგრამ ადამიანები ველარ ხტავენ უხილავ ინგებორგს, რისი უნარიც შენარჩუნებული აქვს ძალღს (რომელზედაც რილკე სხვაგან ასე იტყვის: „შენ ხედავს უხილავს ნებს ჯადო-სიტყვები“). მათ მხარდასწამებენ, რომ ძალღმა დაინახა ინგებორგი. ამ შემთხვევაში ცხოველი იქცა მედიუმად ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის.

მაშასადამე, სრული და ნამდვილი მწერა მოიცავს ხილულ და უხილავ სინამდვილეს. მაგრამ ჯერ ხილულისა და წარმავალის წილში, სიბნელეში უნდა შეაღწიოს მან. ამასობაში კი ცხოვრება თვალუწვდენელი საშინელებით გასენილა, რადგან ფიქრით, სიტყვით თუ საქმით ჩადენილი „საშინელება“ როდი ქრება: გროვდება, დიდდება, ქმნის საშინელებისა და შიშის ერთიან, წარუვალ ველს, რომელიც მაქსიმალურად სწორედ ქალაქის სინამდვილეში გამოკვირვდება და ჩამომძიმდება (გავიხსენოთ პასაუი: „ჭაერის უოველი ნაწილაკი საშინელებით გასენილა...“). ქალაქი რილკესთვის საშინელების კონცენტრირებული ველია და შიშის მეტაფორა, უცხო და წარდამცემია მისი ხმები, რიტმი, სიჩუმე, სურნელი... (რომანის დასაწყისი) და რაც მთავარია მისი მასიური უოფიერება, სადაც ადამიანისთვის უსაზღვროდ ძნელია პიროვნული საწყისის შენარჩუნება.

უძველესი გვარტომის შთამომავალი, თავადი მალტე ლაურიდს ბრივე ჰიპერტროფირებული, ნევრასტენიული შიშით აღიქვამს საკუთარი პიროვნების გათქვეფას „ცხოვრებიდან გაძევებულთა მასაში“, საკუთარი სულიერი სამყაროს, შინაგანი უპირატესობის აულიარებლობას, არადჩაგდებას. ჰალუცინაციებს ემსგავსება დაძაბული აღწერა იმ სცენებისა, სადაც მათხოვრები, მაწანწალები — „ცხოვრებიდან გაძევებულნი“ თითქოსდა მიანიშნებენ უსახლკარო თავადიშვილს; შენც ჩვენ გვეკუთვნი, ჩვენთან ხარო.

შიშისმომგვრელი დეტალურობითაა აღწერილი ნერვიულ ავადმყოფთა კლინიკა, სადაც ავტომატური, უოველგვარი თანაგრძნობისაგან დაცილილი წესრიგი მეფობს. სადაც არავინ მიიჩნევს საჭიროდ ინდივიდუალურ კავშირს სნეულთან, მისი სულიერი სირთულის, თავისებურების გათვალისწინებას. აქ პროფესიული, ერთნაირი გულგრილობით იღებენ და უშვებენ სნეულთა ურიცხვ რიგებს, როგორც ქალაქის ფაბრიკები და მაღაზიები მზა, ერთნაირ პროდუქციას. ადამიანის ტკივილი, ავადმყოფობა — რომელსაც აღარ ეგებება სიტბო და თანაგრძნობა მკურნალის მხრიდან. ნაჩქარეობა და სისწრაფე, რაც შექრილია ახალი ცხოვრების უველა სტრუქტურაში, მკურნალობას განსა-

კუთრებით შემწარავ დაღს ასვამს. მალტეს მიერ აღწერილი კლინიკა აუტანელი, კოშმარული სინამდვილეა, სადაც ნატიფი სულის ადამიანს ნაცვლად განკურნებისა, ემართება ნამდვილი, ფსიქიური სტრესი. და ეს ყოველივე არ გახლავთ მხოლოდ გვაროვნული არისტოკრატის წუხილი (რომელიც „საერთო მისაღებში, ყველასთან ერთად დაიბარეს“), ეს სულიერი არისტოკრატის, პიროვნების, ხელოვანის ტანჯვაა, რომელიც ხედავს ადამიანის პიროვნული საწყისის კარგვას, ჩახშობას ქალაქის მასიურ უსახობაში.

სწორედ ხელოვნების დევალვაცია, სულიერ ღირებულებათა საყოველთაო დაცემა, ხელოვანის სამყაროს გამაუფასურებელი, დემაგოგიური ხელყოფა — გახლავთ იმ უამრავ „საშინელებათაგან“ ერთ-ერთი, რომელიც ახალდროებას მოჰყოლია, ბეთშოვენისა და იბსენისადმი მიძღვნილ პასაჟებში მალტე უეცრად გამძაფრებული ტონით (ჩვეულებრივ მისი ინტონაცია დებარესიულ-ელეგიური ან ღირიულია, მშვიდად სერიოზული ან მტკივნეულად დაძაბული) უმხედრდება ხელოვანის სამყაროს ბიურგერულ „მოხმარებას“, გამოყენებას, მისი შინაგანი საიდუმლოს შერყვნას პრიმიტიული „გაგებითა“ და მიდგომით, რადგან მალტეს მიაჩნია, რომ ადრე ადამიანს მეტი ბუნებრივი სიბრძნე ჰქონდა, („ადრე იცოდნენ, ან შეიძლება გუმანით გრძნობდნენ, რომ სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში“), ცხადია, ხელოვნებასთანაც მეტი შინაგანი სიახლოვე ექნებოდა. ხოლო ახლა, როცა ადამიანთა ძირითადი მასა სულიერი გამოფიტვითა და სწრაფი და „არანამდვილი სიციცხლიდან“ „არანამდვილი სიკვდილისაკენ“ მიემართება, ბუნებრივია, ის ხელოვნების ნამდვილ არსს უსასრულოდ მოწყვეტილია. ახალი დროის ხელოვანი შინაგანად გაცილებით უფრო გამოიჭნულია საზოგადოებისაგან, თუნდაც სოციალურად სულაც არ იყოს გარიყული. როდესაც მალტე ძალზე ლაკონურად მიანიშნებს, თუ როგორ კითხულობენ იბსენს, ცხადი ხდება მისი თვალსაზრისი თანამედროვე მკითხველის შესახებ: დღევანდელი მკითხველი თავად კი არ მალდდება ნაწარმოების სიმალღემდე, არამედ ნაწარმოები დაჰყავს თავის ღონეზე. იგი არად აგდებს ხელოვანის სამყაროს დიდ შინაგან მთლიანობას და თავის შესაფერის პატარა ნაწილს (იმახ, რომელიც კმაყოფილებას ანიჭებს) იწოვს მისგან. მასასა და სულიერ პიროვნებას, ხელოვანს შორის ჩაბუდებული მტრობა ხელოვანისათვის განსაკუთრებით საშიში ხდება მისი შემოქმედების საყოველთაო აღიარების დროს. რადგან განდიდება ხელოვანისა მასთან ბრძოლის უსაშინლესი, შენიღ-

ბული ფორმაა, რაკი განდიდება უმეტესად ხელოვანის სამყაროს გაყალბებას ნიშნავს. რილკეს რომანში ნაწინასწარმეტყველებია ხელოვნების (პოეზიის, მუსიკის) ფალსიფიკაციის უზარმაზარი მასშტაბები — სახელმწიფოებრივი დემაგოგია ხელოვნების მიმართ, რაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ ასე განხორციელდა თუნდაც გერმანიაში.

განდიდებას გზით ათვინიერებენ პოეტის, მწერლის, მუსიკოსის ველურ ქვეყანას, ამწყვდევენ იდეოლოგიისა თუ ვიწრო პირადი ინტერესების გისოსებში, შათ, რომელთა სამყაროს ნამდვილობაც, უპირველეს ყოვლისა, უსაზღვრო შინაგანი თავისუფლების ნიშნით ვლინდება.

„დიდება — ეს საჯარო ჩამონგრევა შემოქმედი და ქმნადი სულისა, რომლის შენების ადგილზედაც ბრბო იჭრება და ქვებს განზე უყრის“.

„თუკი ასე გამხედრდებიან ისინი, ვინც შენ არად გაგდებენ... და თუ მათ ყველას სურს ამოგძირკვოს ძირფესვიანად შენი ძვირფასი აზრების გამო, რას შეეძრება ეს ცხადი საფრთხე, შენსავ თავში რომ განგამტკიცებს და გამოგაწრთობს, გვიან მოსული დიდების იმ ცბიერ მტრობას, რომელიც შენ უ ვ ე ბ ე ლ ს გაგზდის, რადგან როგორც ქარი მტვერს ისე გაგვანტავს!“

„შენ, უმატკოესო!... როგორ შეიძლეს და დაგწივნენ ამ განდიდებას გზით და წყალობით! განა რა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც თავად შენს არსს უმხედრდებოდნენ, ახლა კი შენთან გაუბიათ ურთიერთობა, როგორც ტოლ-სწორთან. შენს სიტყვებს ყველგან თან დაატრევენ თავიანთი სულის ბნელ გალიებში და აჩვენებენ მათ მოედნებზე და აღიზიანებენ კიდევ ჩუმ-ჩუმად გისოსების იმედით — შენს სიტყვებს — ამ საშინელ გარეულ მხეცებს!“

სიტყვის შებღალვის ტრაგედიაა აქ ასე მტკივნეულად გაცდილი, ნამდვილი სიტყვისა — რომელიც თავისი შემაშინებლად უძირო სიღრმის, შეუვალი, თავდაპირველი მნიშვნელობის, თავისი დამატყვევებელი ძალის გამო — თავისუფალ, ველურ, საშიში მხეცსაა შედარებული: და ეს დამატყვევებელი სიტყვა თავად არის დატყვევებული ადამიანთა სულის ბნელ გალიებში.

რაც შეეხება მუსიკას (ბეთშოვენის მუსიკაზეა კერძოდ, ლაპარაკი), რასაც სამყაროს სულიერ თაღს უწოდებს მალტე, თუკი იგი მსმე-

1. სიტყვის დაკავშირება საშინელებასთან, საშინელ საიდუმლოსთან გვახსენებს პოლდერლინს, რომელიც ამბობს, ენა ადამიანისთვის მინიჭებულ მადლთაგან ყველაზე საშიში, ყველაზე სახიფათო მადლიაო.

ნელში არ ჩახახავს მარადიულს, არ აცახცახებებს მის სულს მარადიულთან მიახლოების მომაკვდინებელი ნეტარებით, ასეთი „მოსმენა“ მუსიკისა მხოლოდ ვართობაა და იგი შედარებულია უსიყვარულო სექსუალურ ურთიერთობას, როცა მექანიკური ურთიერთშეერთებით გაბერწებულ სხეულებს დაუკარგავთ ჩახახვის, განაყოფიერების, მუცლადღების, ნეტარებისაგან გონდაკარგვის უნარი და ნაცვლად სიყვარულში ჩაკარგვისა ამაზრზენ, ფუჭ, ზორციელ თამაშში იფიტებიან.

„... აწ ვილამ გამოდენოს შენი მუსიკა ადამიანთა ბილწი უურიდან? და ვინ განდევნის მათ მუსიკის დარბაზებიდან — ბერწი, გამწრალი სმენის პატრონებს, სმენის, რომელიც მუდამ მრუშობს და არასოდეს არ იღებს მუცლად? აი, თესლი გადმობრწყინდება! ისინი კი კახპებივით ქვემოთ რჩებიან და თამაშობენ ამ წმინდა თესლით... ან ის ეცემა უხმოდ მათ შორის, ქვემოთ რომ წვანან გამოფიტულნი ფუჭი, უსაგნო სიამოვნებით, ვითარცა თესლი ონანისა...“

მაგრამ, დიდბატონო! — სადაც არ უნდა უოფილიყო შეუბღალავი სმენის პატრონი შენეული ხმოვანებისას, ის მოკვდებოდა ნეტარებისგან ან უსასრულოს ჩახახავდა და მიხი განაყოფიერებული ტვინი გახკდებოდა ხმამაღალი მშობიარობით“.

ასე თანმიმდევრულად აცნობიერებს მალტე ახალი დროის „საშინელებებს“; ცდილობს იპოვოს იმ გამოუცნობი სენის ძირები, რომელიც შებყრია ადამიანის სულს, მისი სიყვარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის ნიქს, რწმენას, ხელოვნებას. მაგრამ რა მძიმეც არ უნდა იყოს ცხოვრება, რილკეს მოთხოვნა პოეტისადმი უღმობელია: პოეტს, ხელოვანს არა აქვს უფლება არჩევანი მოახდინოს სინამდვილის წინაშე, სუბიექტური მოწონება-დაწუნების კრიტერიუმით მიუდგეს მას: მან უველაფერი უნდა მიიღოს, რათა გააცნობიეროს. პოეტის გული დაუცველი და კარგანხმული სივრცეა, სადაც ერთნაირად შეიქრება სიცოცხლეს და სიკვდილიც, მშვენიერებაც და სიმახინჯეც, სიყვარული, ზრწნა და ავადმყოფობა და იქ გაჭერდება. ეს გული მთელი სამყაროს ტანჯვათა და ბედისწერათა გზაჯვარედინია.

ბოდლერის ლექსის („ღეში“) და წმინდა ეულიენის ფლობერისეული ლეგენდის ანალიზი სწორედ ამ აზრის ჩამოყალიბების პროცესს წარმოადგენს: ღეში და უვავილი ერთნაირად ითხოვს პოეტის მშერახსა და უურადღებას, და სიცოცხლის მთელი ორგანიზმის შესამეცნებლად ორივეს ეძლევა პოეტის გული: რადგანაც „უოველ უოფიერში მყოფობს“ კვდობა, ზრწნა და აუვავება. სინამდვილის ბოდლობდე მიღება, ამაზრ-

ზენისა და საშინელის საკუთარ შინაგან ნათელში განბანა, სრული თავმიცემა, არის ფერხთა განბანის რილკესეული მიხტერია, პოეტს მოწამებრივი გზა: „მთავარი ეს უნდა იყოს ვღებს თუ არა ვინმე თავისთავზე, კეთროვანს მიუწვეს გვერდით და გაათბოს იგი სიყვარულს და მეთა გულმხურვალეებით“ მხოლოდ საკუთარი თავის ასეთი სრული დაძლევის შემდეგ, ხაგნის ასეთი გაშინაგნების წყალობით იწყება პოეტის წმინდანობა და ზეამაღლება, ისევე, როგორც შემაზრზენ კეთროვანს ჩახვეული წმინდა ეულიენი მაცხოვრის ხელებში აღმოჩნდება და მასთან ერთად ზეამაღლდება. ხელოვანი, ვინც ერთხელ მაინც უუუაგდებს სინამდვილის რაიმე სახეს, ერთხელ მაინც გააბრუნებს კარზე მომდგარ „კეთროვანს“, „სამარადუამოდ განიდევნება წყალობის შუქიდან, რადგან „ნამდვილი საქმე, საკუთრივი სამუშაო ხელოვანისა“ მხოლოდ ამ სიყვარულისა და საკუთარი თავის სრული გაღების შემდეგ იწყება:“ და ვინც აქამდე ვერ მიაღწია, ის ცაში იხილავს... ზოგ-ზოგ წმინდანს და პატარ-პატარა წინახწარმეტყველებს... მაგრამ ზო-კუ-საი, ლიტაი-პე და ვიოონი, ვერპარნი, როდენი და ხეზანი და უველაზე მეტად კი თავად მამაზეციერი, იქაც მხოლოდ მონათხრობით ეცოდინება“.

სილამაზის არა მხოლოდ როგორც დამთავრებული მოცემულობის მის საკუთარ იგივეობაში აღქმა, არამედ სილამაზის თვითგამანძილების პროცესს გაღევნება ვიდრე მის უკიდურეს გაუცხოებაამდე — სიმახინჯემდე ანუ სინამდვილის ყოველნაირი გამოვლინების ერთნაირად მიღება (გავიხსენოთ მალტეს კომენტარი ბოდლერის ლექსზე) — რილკეს პოეტიკის ეს ბირთვი გარკვეულად ექსპრესიონიზმის კრედოს უახლოვდება და ხაფუძველს აცლის მისი შემოქმედების როგორც ესთეტიზმისადმი წაუენებულ ბრალდებებს.

მაგრამ განსხვავებით ექსპრესიონისტი პოეტისაგან, ვინც „ფეთქდება და ლავასავით გადმოინთხევა“ (რილკე), ვისი ლექსიც „კივილად“ ამოსკდება, — რილკეს შემოქმედებითი გზა განცდიდან — ლექსამდე ძალზედ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და თავისი შეჩერებული, შეკავებული, „გარდაქმნილი“ ემოციებით, სუბიექტურობიდან მაქსიმალური ობიექტურობისაკენ სწრაფვით სწორედ იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული ლირიკის პრინციპებს უპირისპირდება: „ლექსები ეს განცდები კი არ არის, როგორც ჰგონიათ, ეს გამოცდილებანია“ (მალტე). „... ო, ძველი წყველა პოეტთა თავზე: მუდამ მოსთქვამენ იქ, სადაც მხოლოდ თქმა ევალებათ, როგორც სნეულნი

იყენებენ ჩივილის ენას, რათა აღწერონ, რა როგორ სტკივათ“ (რეკვიემი). მალტეს როგორც შემოქმედის გზა ამ ეგზალტირებულ-სპონტანური, ხუბიექტური ჩივილიდან „ობიექტური თქმისაკენ“ გადასვლის გზაა, რაც მისი პიროვნების შინაგანი გარდაქმნის საფუძველზე ხორციელდება და განსაზღვრავს რომანის სტილის განვითარებას.

რომანის თემად თანდათან ახლებურად თხრობის პრობლემა იქცევა: წამოიჭრება რა „ნამდვილი თხრობის“ აუცილებლობის საკითხი, ამ საკითხზე თხრობა ახალი სახის თხრობად გვევლინება.

მალტე იხსენებს: ბავშვობაში მის გარშემო მყოფ ადამიანთაგან არავის შეეძლო რაიმე ისეთი ეთქვა, ისეთნაირად მოეთხრო გარდაცვლილი ქალის — ინგებორგის შესახებ, რომ მალტეს ის და ენახა. „როგორი იყო?“ — გამუდმებით კითხულობდა ბავშვი. „ქერა, დაახლოებით შენნაირი“. პასუხობდნენ ახლობლები და დაწვრილებით აღწერდნენ, რაც კი ახსოვდათ ინგებორგის შესახებ: ჩაცმულობას, გარეგნობას, ათასგვარ წვრილმანს, მაგრამ ამით ინგებორგის ოდნავ გამომკრთალი კონტური მალტეს ისევ უჭრებოდა თვალთაგან. ეს არ იყო ნამდვილი თხრობა და მალტემ დაასკვნა „ქალის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ“.

მაშასადამე, ნამდვილი თხრობის დროს მსმენელი (მკითხველი) ხედავს იმ საგანს, ადამიანს, რომლის შესახებაც მოუთხრობენ: ხედავს ამ საგნის, არსების, ადამიანის ნამდვილ სახეს; როდის ახერხებდა მალტე ინგებორგის „დანახვას“ მხოლოდ მაშინ, როდესაც დედა მოუთხრობდა ადრე გარდაცვლილზე. დედა სხვებივით გარედან კი არ აღწერდა ინგებორგის სამყაროს, წვრილმანებში კი არ იფანტებოდა (კორექტივი ნატურალისტური სტილის მიმართ), არამედ ის ჰყვებოდა სრულიად უცნაურ ამბავს, რომელიც მოხდა ინგებორგის სიკვდილის შემდეგ: როგორ „მოვიდა“ გარდაცვლილი ინგებორგი თავისიანებთან. მაგრამ ამ ეპიზოდამდე დედა ორადორ თავისებურებას აღნიშნავდა ხოლმე ინგებორგისას: „ის უველას სიხარულს გვანიჭებდა, მალტე, მამაშენსაც კი, ხწორედ რომ სიხარულს ანიჭებდა“. და მეორე: როდესაც ინგებორგი კვდებოდა, უცბად საწოლში წამოქდა და... რაღაცნაირად, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნუ სწუხხართ. კარგია, რაც ხდება. მე მეტი მაინც აღარ მინდაო“. ამავ დროს პირველ ნათქვამზე დედას სიხარულისაგან უცისკროვნებოდა საბეთითქოს მის არხებაში ხამუდამოდ შენახულიყო ინგებორგის გამახარელი ენერგია, თითქოს ინგებორგის მიერ შინიჭებული სიხარული ახლაც იცავდა უკვე ფსიქიურად დაავადებულ, საოცრად

ფაქიზი, ბავშვური სულის (როცა ის ინგებორგის შესახებ ჰყვებოდა... მაშინ არაფრის არ ეშინოდა...) ხოლო ინგებორგის სიკვდილისწინა სიტყვების უმეტესობა დედის სახიდან მოედინებოდა უმეტეს შემთხვევაში განცვიფრება, შეკითხვა, რომლითაც დედა სიკვდილამდე არ დაღლილა: „გესმის, მალტე? მან სთქვა, მეტი აღარ მინდაო, მან, ვინც უველას სიხარულს გვანიჭებდა! ნეტავი როდესმე თუ ჩახწვდები ამას, მალტე? დედა გუმანით გრძნობდა ინგებორგის საიდუმლოს, რომ სიხარულის მომნიჭებელი ძალა ამ ადამიანის ბუნებრივი სიღრმეიდან მოედინებოდა: მშვიდი დასტურიდან სიკვდილზე, როგორც ასეთზე, სიკვდილთან შინაგანი, შინაურული, ძრწოლისაგან განთავისუფლებული სი-ახლოვიდან. ხოლო ამის შემდეგ, როცა დედა ჰყვებოდა იმ ამბავს, თუ როგორ მოვიდა გარდაცვლილი ინგებორგი მაშინ, როცა უველა ელოდა მას, როგორ დაინახა ძალღმა ინგებორგის სული, მალტე მართლა ხედავდა ინგებორგს: ინგებორგი იყო ის, ვინც უველას სიხარულს ანიჭებდა, ვინც დაამშვიდა ახლობლები და ისე წავიდა სიცოცხლიდან, ვინც უკველთვის მოდიოდა, როცა ელოდნენ, ვინც სიკვდილის შემდეგაც ვერ შესძლო თავისიანების გაწბილება და ისევ „მოვიდა“, რადგან თავიანთი მოლოდინით მათ დაუძახეს (რეგებ ჩვენი ბრალი იყო, ვინ იცის, ჩვენ დავუძახეთ“), ვინც ადვილად გადავიდ-გადმოვიდა სიცოცხლისა და სიკვდილის, ბილული და უბილავი ქვეყნების ზღურბლზე. ინგებორგის არსისეული თვისება გადმოსცა დედამ და ამიტომაც მალტემ ის „დაინახა“. ამრიგად, „ნამდვილი თხრობის“ ნიშანს წარმოადგენს საგნის, ადამიანის არსებითი შინაგანი თვისების აღმოჩენა და მისი გამომავლინებელი უმკვეთრესი გარეგანი დეტალის მიგნება. მხოლოდ ასე განხორციელდება „ნამდვილი თხრობის“ მიზანი: მსმენელმა (მკითხველმა) დაინახოს ის, რაზეც მოუთხრობენ.

რომანის მეორე ნაწილში მალტე უფრო პრინციპულად მსჯელობს „ნამდვილი თხრობის“ შესახებ: ახლა, ახალ დროში ადამიანებს აღარ შესწევთ ნამდვილი თხრობის, მოყვლის უნარი, ძველ დროში ნამდვილად უნდა სცოდნოდათ თხრობა. „მოხუც გრაფ ბრაეს ჭერ კიდევ უნდა შესძლებოდა თხრობა“ (გავიხსენოთ: „პაპარემს, კამერპერ ბრიგეს ჭერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში სიკვდილი დაჰქონდა“ — მალტეს წინაპრები უკანასკნელი მფლობელები არიან ბუნებრივი, ადამიანური სიბრძნისა, პირველადი ცოდნისა). ნამდვილი თხრობის უნარით უველაზე მეტად დაჭილდოებულია თავადი ბრაე. და განა შემთხვევითია, რომ მხოლოდ ეს ორი ადამიანი ახერხებს თხრობას

—და განსაკუთრებით კი თავადი ბრე—სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის უარყოფელი, მაშასადამე, ბილულ და უხილავ სამყაროთა ერთიანობის მხედველი? თავად ბრეც შინაგანი შურის სხეულის მიღმა სულს ჰვრეტს, სიკვდილის მიღმა უხილავ სიცოცხლეს, მაშ ხომ ცხადია, რომ უველაზე მეტად მას შეუძლია აღმოაჩინოს საგნის უხილავი, დაფარული სინამდვილე და მისი გამომავლინებელი მთავარი გარეგანი დეტალი. ამავე დროს, როგორც დედა, ასევე თავადი ბრეც თბრობისას მთლიანად გარდაისახებოდნენ ხოლმე იმ ადამიანად, რომლის შესახებაც ჰყვებოდნენ. მაშასადამე, მათ მქონდათ ბელოვანისათვის აუცილებელი „სულიერი მიმიკა“, უნარი სრული შინაგანი გარდასხეულებისა იმ საგნად, რის გამათქმასაც ცდილობდნენ. გრაფი ბრეც საგანს, ადამიანს, რომელზედაც ლაპარაკობდა, მართლაც რომ აჩენდა. გაჩენისა და ჩვენების აზრით: კმნიდა.

ასევე მალტეც თანდათანობით იძენს ნამდვილი თბრობის უნარს: იგი როდი კმაყოფილდება ბნედიანი კაცის კონფუსიური ნაზტომების გარეგანი აღწერით, არამედ ხედავს, ახილავს და ებს იმ მტრულ ძალას, იმ გამანადგურებელ მოძრაობას, ამ კაცის სხეულში რომ ჩაბუდებულა და ფეხების სპაზმებში ვლინდება: „მე მივხვდი, რომ ეს ხტუნვა მთელს მის სხეულში დაწრილდება და ცდილობდა ან აქ ან იქ გამოერღვია და გამომხტარიყო“. მალტეც გვიჩვენებს ამ ცხიერ „ხტუნვას“, რომელთანაც სასოწარკვეთილი ბრძოლა გაუმართავს კაცს: ხან ოდნავ ნებდება და ხტუნვას იწყებს, ხან გააფთრებული ბელებით უვარჯენს იქერს ზურგზე. მაგრამ მისი ნებისყოფა ამოწურულია: დანებდნენ ხელები, დანებდნენ ტერფები, ოდნავ შეღავათს რომ აძლევდნენ დაძაგრულ სხეულს და მცირე ხნით გარეთ უშვებდნენ იმ მტრულ, მოთოკილ ძალას: კაცმა თავი გადააგდო, ხელები ახწია, უვარჯენი დაუვარდა და... „მისგან ბუნების სტიქიონივით ამოსკდა რაღაც, რამაც უკან მიაწყვიტა, წელში მოხარა და... მისი სიღრმიდან ამოიფრქვა ძალა ცეკვისა“. ასე გახილვადდა (ავადმყოფობა საერთოდ, როგორც სულისა და სხეულის ერთიანი შენობის, მარმონის რღვევა — შექცევა ქაოსისაკენ, და მით უმეტეს) ბნედა: ადამიანის არსებას მთლიანი წესრიგის, ამ მიკროკოსმოსის ელვისებური მსხვრევა და ჩაქცევა ქაოსში: ქაოსის, ბუნების სტიქიონის ზეიმი. ასე მოახდინა მალტემ მეტაფორული და ზუსტი დეფინიცია ქურჩაში გამოვლელის სნეულებისა, აქ გარეგანი, ბილული დეტალები და უხილავი, შინაგანი სინამდვილე (სხეულში აწრიალებული ქაოსური ძალა) თანაზომიერებაშია წარმოდ-

გენილი და სწორედ ეს მომენტი იქცევა მალტეს თბრობის ერთ-ერთ არსებით ნიშნად: მთავარი შინაგანი მოძრაობის, შინაგანი უფსხების დადგენა და მისი გამოვლენა, საგნის აზრობრივ-ემოციურად შემაქამებელი წარმოხახვა. ბილული სინამდვილის ისეთივე მკვეთრი მიზნად არ ისახავს ბუნების სწრაფი საშუალებით უხილავი შინაგანი რეალობა, მეორეხარისხოვანი ნიშნების, ჩვევების, თვისებების ჰარბი, თუნდაც ვირტუოზული აღწერა (როგორც უვებოდნენ მალტეს მახლობლები ინგებორგის შესახებ) გარეგან-აღწერილობითი თბრობაა, რომელიც მთლიანად აბუნდოვანებს საგნის კონტურს და შეუძლებელს ხდის მისი ერთჯერადი არსის დანახვას.

ბილულ-უხილავი სინამდვილის ურთიერთკავშირის ჩვენება, იმისა, რომ მთელი ბილული რეალობა განმსჭვალულია უხილავით, განაპირობებს რომანის სტილის სპეციფიკას, რომლის ფარული ბუნება (აღარაფერს ვამბობთ მის აშკარა სპეციფიკაზე: რომ იგი წარმოადგენს ტრადიციული პროზის უველა ნიშნის ერთიან რღვევას) განსაზღვრულია ნათქვამისა და უთქმელის (მინიშნებულის) ფაქიზი დიალექტიკით.

ის საერთო შთაბეჭდილება, რასაც აბდენს რომანის თბრობის შანერა, მთბრობელის ინტონაცია, პახაუების თანამიმდევრობის ფარული ლოგიკა, შეიძლება შევადაროთ მალტეს განცდას ინგებორგის სერკეტერის მოხატული უჭრის თვალთვრებისას: „...იქმნებოდა ტონების უცნაურად რბილი და დაბურული ერთიანობა, იმის გამო, რომ ისინი რაღაც შინაგან ურთიერთკავშირში იყვნენ, მაგრამ ამაზე არას ამბობდნენ“.

●  
რილკემ თავისი ერთადერთი რომანი ნეგატის შეადარა, რომლის პოზიტივადაც გვიანდელი ელევგიები და სონეტები დაასახელა. ავტორმა თავადვე მიუთითა, რომ რომანში ცხოვრება მის ტრაგიკულ დისონანსებშია წარმოდგენილი, მისი დაპირისპირებული ძალები უმძაფრეს კონფლიქტში იმყოფებიან, ხოლო ელევგიებში მიღწეულია ის სულიერი მდგომარეობა, ის შურა, როცა დისონანსები შერიგებისაკენ მიემართებიან, როცა წინააღმდეგობათა ტანჯვით მოპოვებული დაზავება წონასწორობისა და სიმშვიდის, ზეიმის ნათელს გამოახსივებს. განსაკუთრებით ეხება ეს ნათქვამი სიცოცხლისა და სიკვდილის დაპირისპირებას. რილკე წერს: „დუინოური ელევგიები“ არის ტანჯვით მოპოვებული დასტური სიცოცხლეზე და სიკვდილზე, როგორც ერთსა და იმავეზე“. თვითდაწმუნების, შურის

გამომცემლობა რილკეს ამ სიტყვებს ეპიგრაფი-  
სმენის, მაქსიმალური შინაგანი კონცენტრაციის  
გრძელი და მტანჯველი გზის გავლა დასჭირ-  
და ცივილიზებული დასავლეთის, დიდი ქალა-  
ქის შვილს — რილკეს, რათა ეღიარებინა სი-  
კვდილ-სიცოცხლის არსებითი ერთიანობა და  
გამოეთქვა დასტური სიკვდილზე, როგორც  
სიცოცხლის მაკონსტრუირებელ ძალაზე, რო-  
გორც სიცოცხლის სახეცვლილ ფორმაზე.

ამ დასტურს შეიძლება არა აქვს ის ბუნებ-  
რივი სილადე, ბუნების წიაღში სისხლძარღვე-  
ბით ჩაზრდილი პოეტის ლექსს რომ ამოჰყვება  
ისევე უბრალოდ, როგორც ია ამოდის მის ხე-  
ხუვებში („...შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოც-  
ხლე მშვენობს შენითა...“, ვაჟა), მაგრამ ეს ქა-  
ლაქის პოეტის, ბუნების საშოს მოცილებული  
ადამიანის ძნელად და პათოსნად მოპოვებუ-  
ლი, ნამდვილად საკუთარი პასუხია, როგორც  
უნდა იყოს ყოველი პასუხი მარადიულ ცი-  
თხვაზე.

●  
რომანს რილკემ „მძიმე, მძიმე“ წიგნი უწო-  
და. არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს წიგნი  
მისი უღრმესი ტივილებიდან და ბედისწე-  
რიდან იყო ამოზრდილი, რომ მას დასჭირდა  
უკვე უახლოეს ადამიანად ქცეული, მისი ორე-  
ული და „მეგობარი მალტე“ სასიკვდილოდ გა-  
ეწირა, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ  
მან იმთავითვე დაინახა საშიშროება: ამ  
წიგნს შეეძლო ზოგ მოუმწიფებელ მკითხვე-  
ლზე ისეთი ურყოფითი გავლენა მოეხდინა,  
რასაც მწერალი არ გულისხმობდა. მართლაც,  
„მალტეს ჩანაწერები“ „ვერთერის“ სახი-  
ფათო წიგნი აღმოჩნდა და როგორც გოეთეს  
დასჭირდა შემდეგში გამაფრთხილებელი ეპი-  
გრაფი წაემძღვარებინა რომანისათვის, რათა  
რამენაირად დაეცბრო მის მიერ ახალგაზრდე-  
ბში აღძრული თვითმკვლელობის ვნება, ასევე  
ბევრჯერ მოუხდა რილკეს აეხსნა და განე-  
მარტა თავისი მკითხველისათვის, რომ შეცდო-  
მა იქნებოდა, როგორც პერსონაჟისა და ავ-  
ტორის გაიგივება, ასევე ამ წიგნის მიჩნევა გა-  
მოუვალი ხასოწარკვეთის კონსტატაციად; მალ-  
ტეს ფსიქიკისა და ბედისწერის საკუთარ თა-  
ვზე გავრცელება და ამ ბედისწერასთან შერეობა:  
„ერთი ხანობა ვხედავ, რომ მკაცრად უნდა გა-  
ვაფრთხილო ზოგი განსაკუთრებით სათუთი  
და მძიმეხელი სულის ადამიანი, არ დაინა-  
ხოს ამ ჩანაწერებში თავისი ცხოვრების ანა-  
ლოგია. ვისაც ძლევს ცთუნება და წიგნს  
გვერდ-გვერდ გაჰყვება, აუცილებლად თავქ-  
ვე მოუწევს დაშვება. მხოლოდ მათთვის შეიქმ-  
ნება გამახარელი, ვინც შეეცდება დინების  
საწინააღმდეგოდ იკითხოს იგი“. (ზოგიერთი

ვით უმძღვარებს რომანს).  
რომანის ნამდვილი გადამწყვეტი აზრი სწო-  
რედ ეს „აღმავალი აზრია“ რაც იმაში მდგო-  
მარეობს, რომ მკითხველმა აქ წარმოდგენილი,  
უკიდურესად გამაფრთხილებელი, ურბანისტულ-  
ტექნიკური სინამდვილის ტრაგიკული ახალი  
ეპოქის ახალ გამოცდად გააცნობიეროს. შე-  
იძლება ყველაზე მძიმეც კი იყოს ეს გამოც-  
და, რის წინაშეც კი ოდესმე მდგარა ადამი-  
ანი, მაგრამ რაც უფრო საბედისწეროა იგი,  
მით უფრო დაუყოვნებლივ და დაუნდობლად  
მოითხოვს ადამიანისაგან მაქსიმალური სიფ-  
ხიზლით გადასინჯოს თავისი შესაძლებლობე-  
ბი, თავისი ცხოვრებისა და აზროვნების წე-  
სი, რადგანაც, როგორც რილკე ამბობს: „ასე  
ცხოვრება შეუძლებელია“. რომანში ჩართული  
იობის პასუხი (თავის დროზე ტრაგედია „ფა-  
უსტს“ რომ დაუკავშირდა) სწორედ გამოც-  
დის, შემოწმების ამ აზრზე მიანიშნებს: თუკი  
მთელი სინამდვილე ბოლოს ადამიანის წინა-  
აღმდეგ ამხედრდება, თუკი მის მზერას ქალაქის  
დაბინდული ხილვადობის ველი აედობება, შე-  
სძლებს იგი კვლავ სამყაროს გულთან დაკავში-  
რებას, გაარღვევს ისევე მისი მზერა დღევან-  
დელი ყოფიერების შედეგებულ გნიასს უსა-  
სრულობის სიმშვიდისა და სინათლისაკენ?  
იობის ისტორიიდან რომანში სწორედ ის ფრა-  
ზებია შესული, ღმერთისაგან დროებით მი-  
ტოვებული და ეშმაკის ხელში ჩავარდნილი  
იობის მოთქმას რომ გადმოგვცემენ.

მალტეს გზა ღმერთის მძიმეხელი ადამიანის  
განსაცდელითა და ტანჯვით აღსავსე გზაა. შემ-  
თხვევით როდი მთავრდება რომანი ძე შეცდო-  
მილის ლეგენდით. ახალი დროის ადამიანმა  
ახალი გზა უნდა გაეფოს ღმერთისაკენ. „გზა  
ღმერთისაკენ დავიწროვდა. ამ გზაზე ოჯახები  
ველარ ეტევიან“. ცხადია, ველარ დაეტევა სა-  
ზოგადოება. კოლექტიური რწმენის, რელიგი-  
ური საკრებულოს დრო წავიდა. აქი ამბობს  
მალტე, „ღმერთი“ — საერთო ცნება არ არისო.  
გადმოცემული დოგმები, წარმოდგენები ღმე-  
რთხა და რწმენაზე, რილკეს აზრით, პიროვნე-  
ბის მზამზარულ ხულიერ ქვაკუთხედად ვერ  
იქცევა. იგი თავიდან იწყებს და მარტო თავის  
სამყაროში. მარტო მიდის ქრეშმარიტებისაკენ  
მიმავალ შემაშინებელ გზაზე საკუთარი შეცდ-  
ომების დაშვებით, საკუთარი განსაცდელის  
გავლით საკუთარი პასუხის საპოვნელად. „ასე  
ცხოვრება შეუძლებელია“ — ეს ფარული გა-  
ნგაში გაისმის რილკეს მთელს შემოქმედებაში  
და განსაკუთრებით ამ რომანში. რომ კაცობ-  
რიობის განვითარება სწორ გზას ასცდა და ად-  
ამიანი, „მიუხედავად ყველაფრისა“, ცხოვრე-  
ბის ზედაპირზე დარჩა, რომ ამ ცხოვრების თავი

და ბოლო ველარ გაუგია, რასაც წესით უნდა მოჰყვას კიდევ უფრო დიდ-დიდნი უკეთურობანი — ეს რილკეს უშინაგანესი განცდა და შიშია. მისთვის დღევანდელი ადამიანი არის ის, ვისაც უველაფერი თავიდან აქვს სახწაველი, რადგან უველაფერი არასწორად, მცდარად იცის: ხედვაც და თხრობაც, ფიქრიც და რწმენაც, სიცოცხლე, სიკვდილი და რაც მთავარია: სიუყვარული.

ფიქრები სიუყვარულზე მთელ მოძღვრებად უალიბდება და რილკეს მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად იქცევა. რადგან თავისუფლება უდიდესი ღირებულებაა რილკესათვის, პიროვნული თვითდადგენის პირობა და შედეგი, ამდენად სიუყვარული, როგორც უდიდესი ადამიანური განცდა ამ თავისუფლების მიმნიჭებელი და დამცველი უნდა იყოს. მაგრამ ხდება პირიქით: მეორე ადამიანის დამორჩილების, შევიწროებისა და დასაკუთრების ფარული, მიჩქმალული, ცნობიერი თუ არაცნობიერი იმპულსი საშინელ ფორმებს ხშირად უველაზე უფრო ახლობელთა ურთიერთობაში იძენს: იქნება ეს ცოლქმრის, შეუყვარებულთა თუ დედაშვილის ურთიერთობა. დაუჟმავოფილებელი პატივმოყვარეობის, საკუთარი არასრულფასოვნების განცდიდან ამოწრდილი ათასგვარი ამბიციია, გაუნატიფებელი სულის შესაკუთრული თუ სხვა ანგარებიანი ინსტინქტები ეფარება სიუყვარულის, ზრუნვის, მოვლისა და ერთგულების ნიღაბს — თავისუფლებას ართმევს მეორე ადამიანს და ახშობს მის პიროვნულ თვითდადგენას. წლების გამო ჩვეულებად ქცეული „სიუყვარული“ ხშირად საღიზმის უაღრესად შენიღბულ, გაუცნობიერებელ ფორმად იქცევა. თავისუფლების წართმევა უდიდესი დანაშაულია რილკესათვის და ამდენად „სიუყვარული“, როგორც ძალადობის შენიღბული ფორმა — უდიდესი მანკიერება. „ეს სატანჯველი გაგვიგრძელდა ჩვენ მეტისმეტად, და აღარ ძალგვიძს — შმაგი ტკივილი არასწორი სიუყვარულისა, რომელიც წლებმა ჩვეულებად გადააქცია და რომელსაც ვით ხარველას უსამართლობის წიადში აქვს ფეხვი გადგმული... რადგან ეს არის დანაშაული, თუკი რამეა — არ გავამრავლოთ სიუყვარულის თავისუფლება უველა იმ თავისუფლებათა გულისთვის, ჩვენში რომ ვფარავთ. ჩვენ ერთი გვმართებს მარტოოდენ, როდესაც გვიუვარს — დავთმობთ ერთურთი, რადგან როდესაც ერთმანეთს ვიქერთ, — გვეადვილება: არა სჭირდება ამას ხწავლა და ძალისხმევა“. (რექვიემი)

ხანგრძლივი ფიზიკური ერთადყოფნა უმეტესად შინაგანი ურთიერთდაკარგვის საწინდარია და შინაგან ურთიერთშენარჩუნებას ფიზიკური სიშორე ხელს უწყობს ხშირად: რომანის მეორე ნაწილში ჩართული სიმღერა განაოცარი სევდით გადმოგვცემს ამ ადამიანურ, უცნაურ სიმწელეს, ერთ-ერთს მრავალ სხვა წინააღმდე-

გობათა შორის „შენ მარტო მტოვებ. და ერთადერთი შემოდლია გაგცვალო ასე: შენ წახი იუ-ავ შეჩერებული, და ახლა ისევ მარტო მავ-სებს, უოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენი-თაა სამყარო სავსე. ქარიც შენა ქარ და უველა-ლო კეთილსურნელიც. ო, უველა — ძალი და მკარ-გვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავენი, მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები, რადგან არას-დროს მიგითვისე, ხარ განუყრელი.“ სწორი სიუყვარულის სწავლა, სიუყვარულისა მოყვასი-სადმი, სატრფოსა თუ ღმერთისადმი ახალი ად-ამიანის უპირველესი ამოცანაა.

საუკუნის არენაზე მოგუგუნე საბედისწერო ძალები, რომელთა დამღუპველი მოქმედება მა-ლტეს მაგალითზე იქნა ნაჩვენები, „თავისი ბუ-ნებით არ არიან დამანგრეველნი“ (რილკე), იგ-ულისხმება: არ არიან მხოლოდ დამანგრეველნი. მათი (როგორც უოველი განსაცდელის) ორმა-გი ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ადამიანს უბ-იძგებენ ატროფირებული უოფიერებიდან არსე-ბითი გამოფხიზლებისაკენ, ითხოვენ მისგან აზ-რისა და მზერის მაქსიმალურ კონცენტრაციას, იმ შესაძლებლობათა ათვისებას, რომელთა გა-მოაშკარავების უნარი მხოლოდ ამგვარი სიმ-ძაფრის გამოცდას შეუძლია (მოლდერლინის „მსოფლიო ღამის“ დიალექტიკა). რწმენა, რომელიც უკიდურეს ძნელბედობას გაუძლებს, ურყევად ნაწრთობი საფუძვლის სახით „ახალი წარმატებისაკენ“ წაიყვანს ადამიანთა მოდგმას. მალტემ ვერ გაუძლო ამ გამოცდას: ვერ მიაღ-წია საშინელების მეორე მხარეს, მეორე სახეს, სადაც მისი ტკივილები „უსაზმნო ნეტარებად გალიქცეოდა“. თუმცა გონებით გაცნობიერებუ-ლი ჰქონდა ამ განსაცდელის წესი და აზრი და ახალი გზების ბუნებაც („მე წავიქეცი და ვე-ღარ ვდგები, რადგანაც სულმთლად დამხხვრე-ული ვარ“).

რილკე სწუხდა, რომ ვერ ჩაღრმავდებოდნენ რომანის ამ არსებით გამიზნულებაში (საერთოდ, მას გერმანელი მკითხველი არ ესახებოდა სასურველ მკითხველად), მასში დეკადენტურ სიუჟეტს დაინახავდნენ მხოლოდ და „ბრიგეს, როგორც დამფრთხალი კაცის სასოწარკვეთილ წიგნს გვერდზე გადასდებდნენ“, რაც იმის ნი-შანი იქნებოდა, რომ „მას თავი და ბოლო ვერ გაუგეს“. მაგრამ განსაცდელზე მთელი სიშიშ-ველით უნდა თქმულიყო. საჭირო იყო ავადმ-ყოფობის ბოლომდე გაცნობიერება და სწორი დიაგნოზის დასმა. ეს გახლდათ რილკეს „გარ-დაუვალი, უღმობელი დავალება“, რომლის წინაშე მას არჩევანი არ ჰქონდა. მისი ერთი გამონათქვამით თავად რილკე, მალტე და ეს წიგნი ერთგვარი მსხვერპლის, ზვარაკის აზრსა და იმპულსს იძენენ „იმ კაცივით, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში უველა მანვილს თავი-სკენ მიმართავს და თან მეტად ღრმად, რათა ხიფათს აარიდოს დანარჩენები“.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ადამიანის იდეა და ხატი უ. ბლექის შემოქმედებაში

**ი**ნგლისელმა რომანტიკოსმა პოეტმა უ. ბლექმა მკითხველი საზოგადოებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დიდი ყურადღება მიიპყრო მე-19 ს-ის ბოლოსა და მე-20 ს-ის დასაწყისში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ ირლანდიელ პოეტს უ. ბ. იეიტსსა და უ. ბლექის მკვლევარს სერ ჯეფრი კეინსს. მათ შეეძრებეს მისი თხზულებანი, წერილები — დიდი მასალა, რომელიც პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას მოჰყენდა შუქს, — და გაშოსცეს იგი. აქედან მოყოლებული ინტერესი ბლექისადმი სულ უფრო ძლიერდებოდა. მის პოეზიასა და მხატვრობას შეისწავლიდა მრავალი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და ლიტერატურულ-კრიტიკულ კრედიტა მქონე მკვლევარი. მასზე დაიწერა უამრავი ნაშრომი, გამოკვლევა, მისი თხზულებები არაერთხელ გამოიცა და მაინც, გამოკვლევათა ასეთი სიმრავლის მიუხედავად, უ. ბლექი უწინდებურად საინტერესო და აქტუალურია თანამედროვე მკითხველისათვის. ცნობისმოყვარეობას, აზრთა დაპირისპირებას იწვევს თვით მისი პიროვნება, მსოფლმხედველობა, ესთეტიკა, მისი დამოკიდებულება თავის დროსთან თუ წარსულთან. აზრთა ამგვარი სხვადასხვაობა, უდაოდ, ამ ხელოვანის სირთულესა და მრავალმხრივობაზე მიგვითითებს, რა თქმა უნდა, წამოიჭრება კითხვა: რითია გამოჩენიულად საინტერესო უ. ბლექი ჩვენთვის — მე-20 ს-ის მკითხველთათვის? ამ კითხვაზე სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად პასუხობს. მასში პოულობენ დოსტოევსკის, უიტმენის, ნიცშესა და მომდევნო ეპოქების სხვა დიდ შემოქმედთა იდეებს ჩანასახობრივი სახით. ვფიქრობთ, ბლექისადმი ჩვენი ეპოქის დამოკიდებულება შესანიშნავად გამოხატა უ. ბ. იეიტსმა: „არსებულან ადამიანები, ვისაც მომავალი, მერმონის სატრფოსებრ ჰყვარებიათ და მასაც თავისი სუნთქვა მათი სუნთქვისათვის შეურევია, თავისი თმა მათთვის შემოუხვევია, რათა თავიანთი დროისათვის შეუცნობადი დარჩენილიყვნენ. სწორედ ერთი ასეთი ადამიანთაგანი იყო უილიამ ბლექი“. სხვა სიტყვებით, მაგრამ იგი-

ვეს ამბობს ბლექის ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი კ. რეინი. მისი აზრით, უ. ბლექის გენია იმგვარი ბუნებისა და ისე დიდი იყო, რომ შეეძლო მრავალი დამკვიდრებული, მიღებული ფასეულობა ეჭვის ქვეშ დაეყენებინა. გოლიათ სამსონივით მასაც ბედმა არგუნა დამხობა იმ ცივილიზაციისა, რომელიც დამკვიდრებულ იდეებსა და ჭეშმარიტებებს ეფუძნებოდა. ჭეშმარიტად ახალს უოველი საზოგადოება უწევს წინააღმდეგობას. ამიტომაც, „ბლექის... ერა ჯერ კიდევ შობის პროცესშია“.

ვიდრე წინამდებარე სტატიის მთავარ თემაზე — ადამიანის არხის ბლექისეულ გაგებაზე ვისაუბრებდეთ, ვავიხსენოთ ორიოდ სიტყვით პოეტის შემოქმედებითი ვზის ძირითადი ეტაპები.

1788 წ. უ. ბლექმა სტამბური წესით გამოსცა თავის პოეტურ თხზულებათა პირველი კრებული „პოეტური ჩანახატები“, რომლებიც, როგორც წინასიტყვეობიდან ჩანს, მას 12-დან 20 წლის ასაკამდე შეუქმნია. უკვე ამ ადრეულ ასაკში გამოვლინდა მომავალი გენიის ნიშნები, გამოკრთა როგორც თავისთავადი ნიჭის პირველი სხივები, ასევე ამ პოეტის მისი ასაკისათვის საკმაო განსწავლულობაც.

1789 წელს კი უ. ბლექი, ახლა უკვე მის მიერვე შემუშავებული მეთოდით გამოსცემს ლექსთა თავის პირველ მნიშვნელოვან და თვითმყოფად ციკლს „უმანკოების ჰანგები“, რომელსაც 1784 წ. მოჰყვება „გამოცდილების ჰანგები“. როგორც ამ პოეტის ერთ-ერთი მკვლევარი მ. ფლაუმენი შენიშნავს: „იმ ექვსი წლის განმავლობაში (1783-1789), რომელიც მის ადრეულ ციკლს, „პოეტურ ჩანახატებს“ აშორებს „უმანკოების ჰანგებისაგან“, ბლექმა უდიდესი ცვლილება განიცადა... შესანიშნავი, მაგრამ ტრადიციული პოეტოდან იგი ჭეშმარიტ შემოქმედად გადაიქცა“.

ხსენებული ციკლების შემდეგ კი ბლექი ძირითადად ქმნის თავის განთქმულ მითოლოგიურ სისტემას, რომელიც, მკვლევართა დაკვირვებით, ხალხური ტრადიციით, ბიბლიითა და სხვა წყაროებითაა ნაკვები.



რა უნდა ჩავთვალოთ უ. ბლექის მთელი შემოქმედების, როგორც მისი პოეტური ციკლების, ასევე მისი პოეტური მითოლოგიის ძირითად თემად? ასეთ თემას წარმოადგენს ადამიანი, მისი არსი, მისი კოსმიური დანიშნულება. ჩვენი აზრით, სწორედ ადამიანის თემის პირველ პლანზე წამოწევამ, მისმა უაღრესად თავისებურმა გააზრებამ განაპირობა ამ პოეტის აქტუალურობა და უჩვეულო პოპულარობა ჩვენს დროში.

ადამიანი ბლექისათვის ყოველივეს პირველსაწყისი, პირველმიზეზია. სხვა ყველაფერი მასში ჰპოვებს გამოხატულებას. თვით ბუნებაც კი მისთვის ადამიანის გარეშე წარმოუდგენელია. ამ პოეტის ცნობიერებაში ბუნება ადამიანისაგან განცალკევებით, თავისთავად არს მოკლებული, უნაყოფო არსია. ბლექის ეს რწმენა შესანიშნავად გამჟღავნდა მის პოეზიაშიც:

ქვიშის ყველა მარცვალი,  
ყოველი ქვა,  
ყოველი კლდე და ყოველი მთა,  
ყველა წყარო თუ ნაკადული,  
ყველა მცენარე თუ ხე,  
მთა, გორაკი, მიწა თუ ზღვა  
ღრუბელი, მეტეორი თუ ვარსკვლავი  
არის კაცი, დანახული შორით.

აი, სწორედ აქ ვლინდება მისი დიდი განსხვავება რომანტიკოსთა უმეტესობისაგან. თუ მაგალითად, უ. უორდსუორთი ბუნებას სრულიად თავისთავად, დამოუკიდებელი არსებობის მქონე იდუმალ არსად თვლის და, ამიტომაც, მას, გარკვეულწილად, ადამიანის თავსესაფარადაც მიიჩნევს, ბლექისათვის ბუნება ადამიანის გარეშე სრულიად უსიცოცხლოა.

„ბლექისათვის ყოველივე ადამიანურია“, — წერს ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ციტირებული კ. რეინი, — „რადგან სამყაროს ცენტრი ადამიანია, შექმნილი სახედ და ხატად ღმერთისა... როგორც მიკროკოსმოსი...“ „ადამიანი არ არის „ბუნების ნაწილი“, არამედ ყველა ბუნებრივი მოვლენა მის ცნობიერებაში ბუდობს. სამყარო „სადაც იგი ცხოვრობს, მისი ცნობიერების მიერ შექმნილი სამყაროა“.

ბლექზე როგორც ანთროპოცენტრისტზე მსჯელობს მისი მეორე მკვლევარიც — მ. შორერი, მაგრამ მისი თვალსაზრისი მკვეთრად განსხვავდება კ. რეინის თვალსაზრისისაგან. „ბლექი ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრად გამოხატული ანთროპოცენტრისტია. სამოთხე, ჯოჯობეთი და „ყველა ღვთაება“ (მისთვის) თვით ადამიანშია; სამოთხე ადამიანის განხორ-

ცილებული შესაძლებლობანია, ჯოჯობეთი — უგულბებელყოფილი შესაძლებლობანი. ღმერთი კი, შექმნილი მის სახედ და ხატად, ყველა მის შესაძლებლობათა ჯამია“.

დავაკვირდეთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი მკვლევარის შეხედულებათა შორის. მართალია, ორივე მის ანთროპოცენტრიზმს ამტკიცებს, მაგრამ პირველი (კ. რეინი) ამბობს, რომ ბლექი ადამიანს ღმერთის ანალოგიით შექმნილად მიიჩნევს, მეორე კი (მ. შორერი), პირიქით, ამბობს, რომ მის სისტემაში ღმერთია ადამიანის ანალოგიით შექმნილი. მოგვიანებით, ამ პოეტის დიალექტიკის განხილვისას, ჩვენ დავინახავთ, რომ კეშმარიტება ორივე მოსაზრებას მოიცავს.

აქ ჩვენ მივუახლოვდით თანამედროვე ბლექისტის ძალიან საინტერესო საკითხს — სამყაროს დაპირისპირებულ არსთა და ძალთა პრობლემას, რომელსაც მკვლევარნი ამ ხელოვანის მსოფლმხედველურ-ესთეტიკური სისტემის, მისი შემოქმედების ქვაკუთხედად მიიჩნევენ და რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის თემას. როგორ მჟღავნდება დაპირისპირებულობათა სისტემა ადამიანში?

ადამიანში დაპირისპირებულ ძალთა, თვისებათა არსებობის ბლექისეულ წარმოდგენას მკვლევარი ქ. ბიერი შემდეგნაირად ამახიანებს: „ბლექის ჰუმანიზმი განხაკუთრებულია. იგი ეფუძნება წინაპირობას, რომ ყველა ადამიანს გააჩნია მარადიული ფორმა, რომელიც ხილვასა და ნდობას ეურდნობა. მარადიული ადამიანი, ძირითადად, ამ ორი თვისების წყალობით არსებობს, რომლებიც კვებავენ მის კენიას და სათნოებას მატებენ მას. მაგრამ ადამიანები დაქვეითდნენ. დაქვეითების შედეგად ხილვასა და ნდობას შორის ადრე არსებული ცხოველმყოფელი დიალექტიკა შეცვალა განსჯა და ენერჯია შორის არსებულმა მტრულმა, უნაყოფო დიალექტიკამ“.

როგორც ვხედავთ, ურთიერთდაპირისპირებულია განსჯა და ენერჯია. განსჯისა და წარმოსახვის დაპირისპირებას, როგორც უ. ბლექის შემოქმედების ერთ-ერთ ნიშანსვეტს, გამოყოფს უ. სტივენსონიც: „ამრიგად, ცალკეული ადამიანის გონება წარმოსახვისა (ნდობის) და განსჯის ნერთია. თავდაპირველად ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ, მაგრამ ადამიანის არსებობის ახლანდელ მდგომარეობაში იურაიზენმა (ბლექის მითოლოგიურმა პერსონაჟმა, რომელიც დაახლოებით განსჯის ტოლფასია — მ. მ.) პირველობა იგდო ხელთ. ადამიანის მიზანია კვლავ აღადგინოს ამ ორი თვისების ერთიანობა“. ჩანს, რომ უილიამ ბლექისათვის მიუღებელია ადამიანის დანაწევ-

რებულობა, მის ცალკეულ თვისებათა ურთი-  
ერთშეუხამებელი ფუნქციონირება. სამარ-  
თლიანად შენიშნა მ. შორერმა, რომ „ბლეი-  
კი თვით განსჯას კი არ უარყოფს, არამედ მის  
დიქტატს“.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ბლეიკისეულ  
გაგებას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ანტრო-  
პოცენტრიზმი. სწორედ ადამიანი წარმოადგენს  
სამყაროს ცენტრსა და ბირთვის, მისი არსის  
უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას.

ბლეიკისეულ ანტროპოცენტრიზმს ავლენს,  
აგრეთვე, ამ პოეტის და ფილოსოფოსის მი-  
ერ ღმერთის გააზრება. უ. ბლეიკისათვის  
ღმერთი და ადამიანი განუყოფელი ცნებებია.  
ადამიანი თავისი განვითარების მწვერვალზე  
თვითაა ღმერთი. ამ მწვერვალს კი იგი მხოლოდ  
წარმოსახვის წყალობით თუ მიაღწევს. უნდა  
აღინიშნოს ისიც, რომ მისთვის მისაღები და  
ახლოებელი მხოლოდ ახალი აღთქმის ღმერთ-  
კაცი ქრისტეა და სრულიად მიუღებელი და  
უცხოა ღმერთი იეღოვა, რომელსაც იგი თავის  
დიდ მითოლოგიურ თხზულებებში, ე. წ. „წი-  
ნასწარმეტყველებებში“ „ნობოდედის“ უწო-  
დებს. უ. ბლეიკის თვალსაზრისს ღმერთზე კარ-  
გად ახასიათებს მისი ცნობილი კანადელი  
მკვლევარი ნ. ფრაი. „უველაზე დიდი შეცდო-  
მა, რაც კი, ბლეიკის აზრით, შეიძლება მოგ-  
ვივიდეს, არის ღმერთის მოქცევა დროის და-  
საწყისში როგორც პირველსაწყისისა. ერთად-  
ერთი თავყანისცემის ღირსი განხორციელებუ-  
ლი ღმერთია, ღმერთა, რომელიც იმავდროუ-  
ლად კაციცაა... ბლეიკისათვის არ არსებობს  
ღმერთი გარდა იესოსი, რომელიც არც წარ-  
სულშია როგორც ისტორიული იესო და არც  
მომავალში, როგორც ებრაელთა მესია, არა-  
მედ იგი არის ახლა რეალურ აწმყოში, ორ-  
მელიც რეალურ წარსულსა და რეალურ მომავ-  
ალს შეიცავს. სიტყვა „მარადისობა“ მისთვის  
აწმყო მომენტის რეალობას ნიშნავს და არა  
დროული თანმიმდევრობის განუსაზღვრელ გან-  
ფენას“.

როგორც ცნობილია, წარმოსახვის ცნება რო-  
მანტიკოსთა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკუ-  
რი სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. უფ-  
რო მეტიც, სწორედ რომანტიკოსთა დამსახუ-  
რებად უნდა ჩაითვალოს ამ ცნების ესთეტი-  
კურ კატეგორიად გადაქცევა. მათ მიერ სა-  
განთა და მოვლენათა მიღმა უურებაც, ბლეი-  
კის სიტყვებით, „ქვიშის მარცვალში სამყა-  
როს, ხოლო ველის უვავილში მარადისობის  
დანახვა“ — წარმოსახვაა. რომანტიკოსთა  
მიერ წარმოსახვის წინა პლანზე წამოწევა და-  
კავშირებულია იმ სრულიად გამორჩეულ აღ-  
ვილთან, რომელსაც ისინი ხელოვანს ანიჭებ-

დნენ და, საერთოდ, ხელოვანის მათეულ, აღ-  
რინდელისაგან სრულიად განსხვავებულ გაგე-  
ბასთან. აი, რას ამბობს ხელოვანის ადგილის,  
დანიშნულებისა და საერთოდ მხატვრული  
შემოქმედების რომანტიკულ გაგებაზე ამ მიმ-  
დინარეობის ერთ-ერთი მკვლევარი ლ. რ.  
ფერსტი: „რომანტიკოსთა უმოკლესი მხატვრულ  
შემოქმედებას, არც მეტი, არც ნაკლები,  
ღვთისმსახურებად, ღვთაებრივთან იდუმალ  
ზიარებად მიიჩნევდნენ. ღვთაებრივისაკენ გზა  
ხელოვანს ხსნილი ჰქონდა, რადგან იგი ზეარ-  
ნის შემოქმედებით ძალასთან წილნაყარად  
მიიჩნეოდა. ამგვარი ზიარების საშუალებად მი-  
აჩნდათ ხელოვანის წარმოსახვა, რომელიც მას  
ანიჭებდა წვდომის ისეთ უნარს, როგორც  
სხვებს, წარმოსახვას მოკლებულთ, არა ჰქონ-  
დათ“. ამიტომაც, ხელოვანის დანიშნულებად  
სხვებისათვის მათთვის მიუწვდომელი ცოდნის  
გადაცემა განიხილებოდა.

როგორც შემოთქმულიდან ჩანს, რომანტიკო-  
სები ხელოვანის წარმოსახვას სრულიად სპე-  
ციფიურ თვისებად მიიჩნევდნენ, რაც მას სხვა  
ადამიანებისაგან გამოარჩევდა, გამოიჯნავდა.  
ბლეიკის თვალსაზრისი აქაც მკვეთრად განსხ-  
ვავდება სხვა რომანტიკოსთა თვალსაზრისისა-  
გან იგი წარმოსახვას ზოგადადადამიანურ უნა-  
რად თვლის. წარმოსახვა არა მარტო ხელო-  
ვანს, არამედ განურჩევლად უველა ადამიანს  
აქვს. განსხვავება მხოლოდ მისი გამფლავების  
სიძლიერესა და მისთვის მინიჭებულ მნიშვნე-  
ლობაშია. ბლეიკის რწმენით, წარმოსახვა ის  
ერთადერთი ძალაა, რომელსაც ადამიანური  
არსებობისათვის შინაგანი კემშარიტების მინი-  
ჭება, მისი მარადიული მნიშვნელობით დაჯილ-  
დოვება შეუძლია. ამას უველაზე უკეთ თვით  
ბლეიკის პოეზია ადასტურებს:

სამყარო ქვიშის მარცვალში,  
ცა კი ველის უვავილში დავინახოთ,  
უსასრულობა ხელის გულზე მოვათავსოთ,  
მარადისობა კი ერთ საათში ჩავტოვოთ.

მხოლოდ წარმოსახვას ძალუძს გააერთიანოს  
სამყაროსა და ადამიანში არსებული ძალები,  
მათგან პარმონიული მთლიანობა შექმნას.  
„ბლეიკის ბუმანიზმი განსხვავდება წინამორბე-  
დი მისტიკური ფილოსოფიური სისტემებისაგან  
იზით, რომ მან წარმოსახვა ადამიანის შინაგან  
სამყაროსა და მის გარე ფორმას შორის შუა-  
მავლად წარმოადგინა. მისი აზრით, ადამიანი  
არაა შინაგანად დაყოფილი, სულისა და სხე-  
ულისაგან შემდგარი, არსება. ადამიანი დაპი-  
რისპირებულობათა შემცველი არსებაა. ამ და-  
პირისპირებულობათა გაერთიანება ძალუძს

წარმოსახვას, რომელიც კაცს მისი მარადიული ბუნების შეგრძნებას ანიჭებს და, ამასთანავე, ახწავლის მას როგორ იცხოვროს (ჭეშმარიტი) მთლიანი ცხოვრებით<sup>1</sup>.

უ. ბლეიკთან ხშირად ვხვდებით გამოთქმას: „ღვთაებრივი წარმოსახვა“, რომელიც კრისტეს უკავშირდება, მაგრამ „ბლეიკმა ცნება წარმოსახვა გამოიყენა არა თეოლოგიასთან, არამედ ადამიანის სულთან დაკავშირებით. სულთან, რომელიც სხეულს მოიცავს, და სწორედ აქ დაინახა ღმერთი“<sup>2</sup>. — წერს მ. ფლაუმენი.

როგორც ვხედავთ, ღმერთს, ადამიანსა და წარმოსახვას შორის ბლეიკთან ტოლობის ნიშანია დასმული. „ადამიანი წარმოსახვა“, ამბობს ბლეიკი... „ადამიანის მარადიული სხეული წარმოსახვა ანუ თვით ღმერთი... იგი (წარმოსახვა) ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებში შეღავნდება“<sup>3</sup>.

აი, ახე გამოიყურება უ. ბლეიკის მსოფლმხედველურ-ესთეტიკური სისტემის ღერძული ტრიადა — ადამიანი, ღმერთი, წარმოსახვა. იგივე ტრიადა უდევს საფუძვლად ამ პოეტის შემოქმედების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს — მის მითოლოგიურ კოსმოლოგიასაც.

ბლეიკმა შექმნა ძალიან მასშტაბური მითი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ პერიოდს, ან სამყაროს ერთ ასპექტს კი არ შეეხება, არამედ მთლიანური და ყოვლისმომცველია.

ადამიანის განვითარება მას ოთხი საფეხურის გავლად ესახებოდა. მის მითოლოგიაში განვითარების ეს საფეხურები ანუ ადამიანის ექტაფიზიკური მდგომარეობანი შემდეგი სახელებით მოიხსენიება: ედემი, ბეულა, ჭენერეიშენ და ალრო. თითოეულ ამათგანს შეესაბამება ადამიანის ოთხმაგი, სამმაგი, ორმაგი და ერთმაგი ხედვა. პირველიდან დაწყებული, ყოველ შემდგომ საფეხურზე, ხედვის შევიწროებასთან ერთად, სულ უფრო მეტად და ცხადად ვლინდება ადამიანური ბუნების დაქვეითება, სულ უფრო მკვეთრად იჩენს თავს დანაწევრებულობა მის ცნობიერებაში, სულ უფრო გაიმიჯნებიან შემოხსენებულ დაპირისპირებულობათაგან შემდგარ წყვილთა კომპონენტები. აი, ამ ოთხი მეტაფიზიკური მდგომარეობის ძალზე მოკლე და ზოგადი დახასიათება, მოწოდებული ჩ. ბიერის მიერ: „ეს მდგომარეობანი“<sup>4</sup>. — წერს მკვლევარი. „ბლეიკისათვის უტოლდებოდა „ხედვის ოთხ ხარისხს“ და ქმნიდა მისი (მითოლოგიური) სისტემის მყარ პარადიგმას, ეს მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ: 1) უკუნეთის მდგომარეობა (ალრო), რომელშიც მხოლოდ განსჯა მეფობს; 2) ცეცხლის მდგომარეობა, სადაც ენერჯიას დიდი ასპარეზი ეთმობა. ხელოვანი

ან მიჯნური შემოქმედებით ძალთა გამოყენებით მკვიდრდება ამ მდგომარეობაში, რომელსაც ბლეიკი ჭენერეიშენს უწოდებს. ამ მდგომარეობის სიმბოლოა მცხუნვარე მზე, 3) სინათლის მდგომარეობა, რომელსაც ბლეიკი ხშირად ბეულას უწოდებს. მისი სწორედ აქ ხდება პირველი ორი მდგომარეობის (ალროსა და ჭენერეიშენის — მ. მ.) უკავშირება-შეუღლება. ბეულა მიგვანიშნებს იმაზეც, რომ სქესთა ურთიერთობას ძალუძს წარმოგვიდგინოს ის მარადიული შუქი, რაც სრულ ხედვას (ანუ ედემისათვის დამახასიათებელ ხედვას) გააჩნია; 4) სრული ხედვის მდგომარეობა, რომელიც უველა დანარჩენს შეახებებს. ამგვარ ხედვას ადამიანი მხოლოდ იშვიათად თუ მიაღწევს. მაგალითად, გენიოსი შემოქმედებითი აღმაფრენის მომენტში“<sup>5</sup>.

ამრიგად, ბლეიკისეული ოთხი მეტაფიზიკური მდგომარეობა, ოთხი სამყარო ერთმანეთთან მკიდრო კავშირში იმყოფება, ერთი მთლიანის ნაწილებს შეადგენს, თითქოს კიბის საფეხურია და ერთმანეთს საკიროებს.

სამყაროს დიალექტიკური ხედვა ამ პოეტთან ადამიანის შეცოდებისა და შეცოდებისაგან მისი დაცემის გაგებაშიც გამჟღავნდა. იგი ასევე ნათლად ჩანს უმანკობისა და გამოცდილების მისეულ ურთიერთმიმართებაშიც. შეცოდებისაგან დაცემის ეს ბლეიკისეული შეხედულება, ისევე როგორც მისი სისტემის ხვა მრავალი ასპექტიც, დიდი ხნის ტრადიციას ეყრდნობა. აქ შეიძლება დავასახელოთ სვედენბორგი, ბიომე, ნეოპლატონიკოსები. როგორც ცნობილია რენესანსის ეპოქაში მოხდა პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმის შესისხლბორცება ევროპული აზროვნების მიერ, რამაც დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ განვითარებაზე<sup>6</sup>. უ. ბლეიკის მოსაზრებათაგან მრავალი სწორედ ამ შესისხლბორცების ნაყოფია. „მისთვის (ბლეიკისთვის — მ. მ.) არანაირი განვითარება საბოლოო არ იყო. უმანკობა გულისხმობს გამოცდილებას, ხოლო ლტოლვა სიკეთისაკენ კი შეცდომის ახალ შესაძლებლობას“<sup>7</sup>.

„მისთვის (ბლეიკისათვის — მ. მ.) გამოცდილება ხულის პათიოსნების გამოცდაა. მას შემდეგ, რაც სული გამოცდილებას მიაღწევს, იგი მიდის ან წინ—წარმოსახვისაკენ, ან უკან—მეხსიერებისაკენ“<sup>8</sup>.

<sup>1</sup> Beer, I, 83, 33.

<sup>2</sup> Stevenson, W. 83, 198.

<sup>3</sup> Schorer, M. 83, 146.

<sup>4</sup> Plauman, M., 83, 74.

დიალექტიკურობა უ. ბლექის არა მარტო ესთეტიკის, არამედ მისი კოსმოლოგიის გამკოლი ნიშანიცაა. ეს კოსმოლოგია თანამედროვე ბლექისტიკაში შემდეგნაირად განიშარტება: „ცენტრში დგას წარმოსახვა, „თვით ადამიანური არსებობა“, ერთადერთი რეალობა... ის, რასაცვირველია, მარადიულია. იგი, აგრეთვე, შეიძლება მივიჩნიოთ შინაგანად, აქტიურად, მამრად, მეობისა და მოვლენათა სამყაროში გამჟღავნებისას, იგი წარმოგვიდგება როგორც დროებითი, პასიური, რაციონალური და მდებარი. მაგრამ, რადგანაც გარეგანი შინაგანის გამოხატულებაა, ეს დაპირისპირება არაა ორმაგობა — ორი ერთია... მაგრამ ორმაგობის პრინციპი ჭერ კიდევ არაა უველაფერი. იგი დაკავშირებულია სხვა ასეთსავე ძირეულ პრინციპთან — ოთხმაგობასთან. ოთხმაგობა შეესაბამება ოთხ მარადიულ ძალას: ინტელექტუალურს, ემოციურს, შემოქმედებითსა და გრძნობითს... ფსიქოლოგიურად ეს ძალები, (ბლექის კოსმოლოგიაში — მ. მ.) განხორციელებულია — თავში, გულში, წელსა და სხეულში... მაგრამ ოთხმაგი მხოლოდ ადამიანი როდია, ოთხმაგია თვით სამყაროც, რომელიც ადამიანისაგან არასოდეს არ უნდა გამოვაცალკევოთ... ოთხმაგობის პრინციპი ექვემდებარება ორმაგობის პრინციპს. თავი, გული, წელი და სხეული მაკროკოსმოსსა (სამყაროს — მ. მ.) და მიკროკოსმოსში (ადამიანში — მ. მ.) წარმოადგენს შინაგანსა და გარეგანს, აქტიურსა და პასიურს, მდებარსა და მამრს“.

აქ აღნიშნულს უშუალოდ ალბიონთან — ბლექისეული მითოლოგიის ცენტრალურ პერსონაჟთან — მივყავართ. ბლექისეული მითის ეს ფიგურაც დიდი ხნის ტრადიციის გაგრძელებაა. ანალოგიურ ფიგურებს ვხვდებით ებრაელთა წმინდა წიგნში „კაბალა“, სვედენბორგის ფილოსოფიურ სისტემაში (ე. წ. „დიდი ადამიანი“), წმინდა პავლე მას „ციურ ადამიანად“ მოიხსენიებს და სხვ. „ამ იდეალურ პერსონაჟებში გამჟღავნდა ადამიანის ოცნება პირველად სრულყოფილებაზე, რომელიც, საუბედუროდ, ამჟამინდელმა დაკნინებამ შეცვალა“<sup>6</sup>. უველა წინამორბედ ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ სისტემაში ბლექმა მიაგნო პოეტურ ქეშმარიტებას, დაეურღნო მას და შექმნა თავისი კოსმიური ადამიანი, ალბიონი. ამრიგად, „ალბიონი არის არა მარტო კაცობრიობის, არამედ მთელი მრავალფეროვანი სამყაროს სიმბოლო, რომელიც დაჯილდოებულია ადამიანისებრი ორგანული მთლიანობით“<sup>6</sup>.

უ. ბლექის მითოლოგიურ სისტემაში თითოეულ მამრ პერსონაჟს შეესაბამება მდებარი პერსონაჟი, ბლექის თქმით, მამრის „ემანაცია“. გარდა ამისა, უველი პერსონაჟი და მისი მდებარი „ემანაცია“ პირველყოფილ, შეუბღალავ მდგომარეობაში მოხსენიებული სხვა სახელით, ვიდრე დაცემულ ცოდვილ მდგომარეობაში. ალბიონსაც აქვს ასეთი მდებარეული ემანაცია — იერუსალიმი. „იერუსალიმი ალბიონის მსგავსად, მრავლისმომცველი პერსონაჟია. იგი გამოხატავს მის სულიერ კეთილღღობას და უველა მისი ძალის მარმონიული ფუნქციონირების შედეგია; იგი ურთიერთმიტევის განსახიერებაა“<sup>7</sup>.

მაგრამ იწყება ალბიონის სულიერი დაცემა. მისი ცალკეული ნაწილები: თავი, გული, წელი და სხეული (ანუ განცდა, ემოცია, შემოქმედება და გრძნობა) სხვადასხვა მიმართულებით მიმოიფანტება და ერთმანეთისაგან განცალკევებით ამოქმედდება. ამგვარი დაცემა პირველყოფლისა იერუსალიმზე იქონიებს გავლენას ისიც კნინდება.

ზემოხსენებული ოთხი მარადიული ძალა: ინტელექტუალური, ემოციური, შემოქმედებითი და გრძნობითი, რომლებსაც ბლექისეული „მარადიული ადამიანის“ — ალბიონის თავი, გული, წელი და სხეული შეესაბამება, ამ პოეტის მითში გამოყვანილნი არიან ცალკეულ პერსონაჟებად და „ოთხი ზოას“ სახელით მოიხსენიებიან. (იმავე სახელწოდებისაა მისი ერთ-ერთი ეპიკური თხზულება, ე. წ. „წინასწარმეტყველება“). აღრე ეს ოთხი ზოა ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდა, შემდგომ კი მათში „შეობამ“, სიამაყემ იმძლავრა. ეს განსაკუთრებით იურაიზენზე, განსჯაზე ითქმის. ამან გამოიწვია არა მარტო ცალკეულად თითოეული მათგანის დაკნინება, „ხუთ გრძნობად გადაქცევა“, არამედ თვით ალბიონის დაქვეითებაც. ამრიგად, ზოების დაქვეითება, დაცემა გამოიწვია მათში განდიდების გრძნობის ჩასახვამ.

უ. ბლექისათვის დამახასიათებელი შეპირისპირებულობათა სისტემა ოთხ ზოას შორისაც იჩენს თავს. აქ, დაკნინებულ ზოათაგან ერთმანეთს უპირისპირდებიან განსჯა — იურაიზენი და შემოქმედება — ლოსი. ლოსი, ბლექთან ხშირად მოხსენიებული „საუველთაო პოეტური გენიის“ დაკნინებული, მიწიერი ფორმაა. ესაა სიმბოლო შემოქმედებითი მოღვაწეობისა, სულერთია, რომელ სფეროშიც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი. ლოსს ბლექი „წინასწარმეტყველს“, (პოეტს) უწოდებს. მას უჭირავს

<sup>6</sup> Perceival, M. O. გვ. 13-14.  
<sup>7</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 17.

შუალედური პოზიცია ცანა და დედამიწას შორის ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანს პირველადი სიმწუობრის, შეუბღალაობის იმედს ჩაუსაბავს.

უ. ბლექის შემდეგი ზოა, „ღვთაებრივი ადამიანის“, — ალბიონის გული არის ლუვა-ეშოცია. მ. ო. პერსივალის თქმით, იგი „ანათებს ინტელექტის ღამეს. ის რომ არა, ედემი, რომლისკენაც იგი ღამდამობით მიემართება... ვერ იარსებებდა, ლუვა მხოლოდ ცოდვათა მიტევების სიმბოლო არაა. იგი წარმოადგენს მრავალგვარი ეშოციის, განსაკუთრებით აქტიური ეშოციების ნაერთს, რითაც უპირისპირდება თავის ემანაციას — ვალას. ლუვა არის „მარადიული ღმერთი“ — ნიშნულად ბლექისეული ცნება, რაც წარმოსდგება მრწმენი გონების, მოუვარული გულისა და შემოქმედებითი წარმოსახვებისაგან“.

დანარჩენი ორი ზოას „ურთონასა და თარმასის დაბასიათებასაც მ. ო. პერსივალი გვაწვდის: „ურთონა საკმაოდ რთული, ძნელად ასახნელი ფიგურაა. მისი დროებითი ფორმა — ღოსი დაკავშირებულია ალბიონის წელთან, რადგან იგი მითში წარმოადგენს მძლავრ შემოქმედებით ძალას. ურთონა რომ არა, არ მოხდებოდა არავითარი სულიერი აღორძინება. იგი თავისი დროული ფორმით გვევლინება პოეტური და ნათელმზიღველის სულის სახით, მარადიულ ფორმაში კი — საყოველთაო პოეტური გენიაა... ცოდვის შედეგად დაცემულად მოხსენიებულია ღოსი და არა თვით ალბიონი“... „ურთონა — „ქეშმარიტი“ ადამიანი, — შეიძლება დაცეცხ, მაგრამ იგი არასოდეს მოკვდება“... „ურთონა და იურაიზენი“, განაგრძობს პერსივალი, „წარმოგვიდგებიან სინათლედ და წყვდიადად... ერთიანი ძალის ურთიერთსაპირისპირო პოლუსებად. ურთონაში გენიოსის ცეცხლია დავანებული, ...რომლის გარეშეც, ბლექის თქმით, რაციონალური გონება მალე ამოიწურება“.

და ბოლოს, მეოთხე ზოა — თარმასი... „კოსმოსისა და ადამიანის სხეული, უფრო სწორად, სხეულის ენერჯია, რადგან თვით სხეულს „წარმოადგენს თარმასის მდებარეული ემანაცია ენიონი... სხეულის ენერჯიის სახით იგი სქესობრივ ურთიერთობას განაგებს, მაგრამ, ვინაიდან უსქესოა, (შეუბღალავმა ალბიონმა არ იცის სქესი), იგი არის ერთიანი სამყაროს სიმბოლო...“ დაცემის შემდეგ „თარმასი გადაიქცევა მრავალფეროვან სამყაროდ, რომელიც ორმაგობაა განხორციელებული. უსქესო, რგი სქესობრივი არსი გახდება. მას გამოეყოფა ენიონი — მდებარეული საწყისი. მისი ემანაცია... დედამიწა, რომელიც ქმნის ილუზიას, —

ბუნებას“. შეცოდებისა და დაცემის შემდეგ წარმოიქმნება თარმასის სპექტრი, რომელსაც შეერწყმება ენიონი. ამის შედეგად „თარმასი დრო და სივრცე — ღოსი და ენიონი“.

რა ურთიერთობა არსებობს „ურთონასა და ადამიანს“ — ალბიონსა და მსკრებიანებს ბებს, ზოებს შორის? ეს ურთიერთობა ეფუძნება ფორმისა და შინაარსის, მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის სპეციფიურად ბლექისეულ გაგებას.

მკვლევარი ჰ. ადამსი მიგვანიშნებს ბლექთან „მაკრო და მიკროკოსმოსთა ურთიერთშენაცვლების პრინციპზე. „ბლექის ფანტასტიკურ ხილვათა სამყაროში საგანთა არსება შეიძლება გაქრეს, მაგრამ ფორმა კი მარადიულია. ყველა მოსაუბრე (პერსონაჟი — მ. მ.) ალბიონის — მაკროკოსმოსის გარკვეული ფორმაა. აქ საქმე პერსპექტივასაც ებება. მოსაუბრე შეიძლება ალბიონი იყოს, მაგრამ თითოეული ლექსი მას განსხვავებული კუთხიდან, განსხვავებული განწყობილების მქონედ დაგვანახებს, რადგან დაცემულ სამყაროში ფორმა დაშლისაკენ ისწრაფვის, არსება კი უცვლელია...“ ამიტომაც, „სრულებით არაა გასაკვირი, რომ ალბიონი ხან ერთი ფორმით გვევლინება და ხან მეორეთი“. ჩვენ ვიცით, რომ ბლექთან დაპირისპირებულობანი მთლიანად არასოდეს შორდებიან ერთმანეთს. მიწიერისა და ღვთიურის დამაკავშირებელი შემოქმედებითი ძალის მეშვეობით უნდა მოხდეს დაკარგული მთლიანობის აღდგენა, მაკრო და მიკროკოსმოსის, ფორმისა და შინაარსის გაერთიანება.

ამგვარად, უ. ბლექის ანთროპოცენტრიზმი მკვეთრად მუდავნდება მის მითოლოგიაშიც. ყველა მისი მითოლოგიური პერსონაჟი ადამიანის გარკვეული თვისებაა, ძალაა, რომელიც სხვა დანარჩენ ძალებთან გაერთიანებისაკენ ისწრაფვის, დაკარგული მთლიანობის აღდგენა სურს.

უ. ბლექის შეხედულება ადამიანზე მკვეთრად დაუპირისპირდა რაციონალიზმის შესაბამის წარმოდგენას და ზოგჯერ თვით რომანტიკოსთა წარმოდგენისაგანაც შესამჩნევად განსხვავდება.

მისთვის მიუღებელი იყო დეკარტისა და ლოკის ფილოსოფიური სისტემები და მათთან სიღრმისიულად დაკავშირებული სამყაროს ნიუტონისეული გაგება. ბლექი სამყაროს ნიუტონისეულ-ლოკისეულ ხედვას „ცალმზრივ ხედვას“ უწოდებს და ერთ-ერთ თავის ლექსში ამბობს: ღმერთმა დაგვიფაროს ცალმზრივი ხედვისა და ნიუტონისეული ძილისაგანო. მისი რწმენით, სრულიად უმართებულო იყო

ჩ. ლოკის „ხუფთა დაფის“ თეორიაც, რადგან სწამდა, რომ ადამიანის ყველა თვისება თანდაყოლილია, თავიდანვე დანერგილია მასში. ბლეიკისათვის არანაკლებ მიუღებელი იყო ჟან-ჟაკ რუსოს მატერიალიზმიც. ბუნებასთან მისი დამოკიდებულება, როგორც ითქვა, სრულიად ეწინააღმდეგება რომანტიკოსთა დიდი ნაწილის დამოკიდებულებას.

ამ პოეტისა და მოაზროვნისათვის საძულველი იყო ყოველგვარი უსამართლობა: პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური, მაგრამ იგი არ მიიჩნევდა, რომ ადამიანი მიაღწევდა კეთილშობილ ბედნიერებას, თუკი მხოლოდ ამ უსამართლობათაგან გათავისუფლებას შეძლებდა... მისი აზრით, ერთადერთი, რასაც ადამიანისათვის ბედნიერების მოტანა შეუძლია —



წარმოსახვია. მხოლოდ წარმოსახვითს ძალთა შეუზღუდავი განვითარებით მიაღწევს იგი ნამდვილ თვითგამოვლენას და, ამდენად, ბედნიერებასაც.

ეროვნული

იმედია, შემოთქმულმა „ქვეყნისა“ მაინც დაგვანახვია უ. ბლეიკის ჰუმანიზმის სიღრმე და მასშტაბურობა. მართებულია მ. შორერის სიტყვები, რომ „კრიტიკოსებს გამორჩათ ერთი უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გამოიწნავს მას მიხტიკოსებისაგან. სახელდობრ ის, რომ მისი მსოფლშეგრძნება თავისი არსით არა რელიგიური, არამედ ეთიკური ბუნებისაა. მას აინტერესებს არა ადამიანის მიმართება ღმერთთან, არამედ მისი მიმართება თავისივე ერთიან, მთლიან არსებასთან და სხვა ადამიანებთან“.

### ზიგმუნდ ფროიდი

გერმანულიდან

თარგმნა მაია შანგიჩიძე

### სიზმრის ახსნა

(ნაწილები ოიდიპოსისა და ჰამლეტის შესახებ)

**რ**ემი მრავალგზის ნაცადი, მდიდარი გამოცდილება მარწმუნებს, რომ მშობლები მთავარ როლს თამაშობენ ყველა იმ ბავშვის სულიერ ცხოვრებაში, რომლებიც შემდგომ ფსიქონევრას-თენიკებად უალიბდებიან. ერთი მშობლის გადამეტებული სიყვარული და სიძულვილი მეორის მიმართ ფსიქიკური გაუწონასწორებლობის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანია და ადრე ჩამოყალიბებული და შემდგომ გამომჟღავნებული ნევროზის სიმპტომების დასახასიათებლად გამოგვადგება, ოღონდ ამით იმის თქმა როდი მინდა, ფსიქონევროპათები სხვა, ნორმალურად განვითარებულ ადამიანებისგან მკვეთრად განსხვავდებიან და აბსოლუტურად ახალსა და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს ამჟღავნებენ-მეტქი.

უფრო სარწმუნოა, და ეს ნორმალურ ბავშვებზე შემთხვევითი დაკვირვებითაც დახტურდება, რომ მშობლების მიმართ თავიანთი გადამეტებული სიყვარულით თუ მტრული დამოკიდებულებით ნევრასთენიკები უფრო აშკარად გვიჩვენებენ იმას, რაც ბავშვების უმრავლესობის სულში ნაკლებ მკაფიოდ და ნაკლებ ინტენსიურად ხდება. ძველმა სამყარომ დაგვიტოვა ამ მოსაზრების დამადასტურებელი ერთი მითი, რომლის ამაღლვებელი ძალა და საყოველთაო შემოქმედება მხოლოდ ბავშვების ფსიქოლოგიის აღნიშნული წანამძღვრების საყოველთაო გავრცელებით თუ აიხსნება. მხედველობაში მაქვს მითი ოიდიპოს მეფეზე და სოფოკლეს ამავე სახელწოდების დრამა. ოიდიპოსი, თებეს მეფის ლაიოსისა და დედოფალ იოკასტეს ძე, დაბადებიდანვე სასიყ-

ვდილოდა განწირული, რადგან ორაკულმა მამამისს ამცნო, შენი ჭერ კიდევ არშობილი ძე შენივე მკვლელი გახდებაო. მიუხედავად ამისა, ოიდიპოსი სიკვდილს გადაურჩება და სხვა მეფის კარზე უფლისწულივით იზრდება, სანამ თავისი წარმომავლობა არ დააეჭვებს და თავად არ მიმართავს ორაკულს; მისგანვე დებულობს რჩევას, სამშობლოდან უნდა გადაიხვეწო, თორემ მამის მკვლელი და საკუთარი დედის ქმარი შეიქნებიო. თავისი ცრუ სამშობლოდან წამოსული ოიდიპოსი გზად გადაეურება მეფე ლაიოსს და მოულოდნელად ატეხილ ჩხუბში ჰკლავს მას. შემდეგ მოადგება თებეს, აქ გზა ჩაუხერგავს სფინქსს, ოიდიპოსი გამოიცნობს სფინქსის შემოთავაზებულ გამოცანებს, თებელები მადლობის ნიშნად მეფედ ირჩევენ და იოკასტეს ხელსაც უბოძებენ. საკმაოდ დიდხანს გასტანს მისი მშვიდობიანი და ღირსეული მეფობა, თავის უცნობ დედასთან ორი ძე და ორი ასულიც შეეძინება, ასე გრძელდება მშვიდობიანობის ხანა, სანამ ქვეყანაში შავი ჭირი არ იფეთქებს და, თებელები იძულებულნი არ შეიქნებიან ორაკულს დაეკითხონ. აი, ამ მომენტიდან იწყება სოფოკლეს ტრაგედია. მაცნეებს მოაქვთ ამბავი, ჭირი მხოლოდ მაშინ ჩაცხრება, როცა ქვეყნიდან ლაიოსის მკვლელს გააძევენო. მაგრამ სადაა ლაიოსის მკვლელი?

„სად უნდა ეძიოთ იგი, ძველი დანაშაულის ძნელსაცნობი, შავბნელი კვალი“

(სტრ. 108...)

აქედან მოყოლებული, პიესაში მხოლოდ ის ხდება, რომ ფსიქანალიზის მსგავსად ნაბიჯ-ნაბიჯ იძაბება და დიდი ოსტატობით ჭიანურდება მხილების პროცესი. ნელ-ნელა ირკვევა, რომ თვით ოიდიპოსი უოფილა ლაიოსის მკვლელი და ისიც, რომ იგი მოკლულისა და იოკასტეს ძეა. უნებურად ჩადენილი საზარელი დანაშაულისაგან შეძრწუნებული ოიდიპოსი თვალებს დაითხრის და სამშობლოდან გადაიხვეწება. ორაკულის წინასწარმეტყველება ახდა.

„ოიდიპოს მეფე“ ეგრეთ წოდებული ბედისწერის ტრაგედიაა. მისი ტრაგიკული შემოქმედება ემუარება წინააღმდეგობას ღმერთების ძლევამოსილ ნებასა და უბედურებადანათლული ადამიანის ამაო გაძალიანებას შორის. ამ ტრაგედიიდან ღმერთების ნებისადმი შორჩილება უნდა ისწავლოს და საკუთარი უძლურება შეიგნოს შეძრწუნებულმა მაყურებელმა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პოეტი-

ბმაც სცადეს გამოეწვიათ მსგავსი ტრაგიკული შემოქმედება და თავიანთ გამოწვინა სიუჟეტში ჩააწნეს იგივე წინააღმდეგობა, მაგრამ მაყურებელი აუღელვებლად შესცქეროდა, როგორ ამაოდ უძალიანდებოდნენ უდანაშაულო ადამიანები ბედისწერას, წუევლან სიუჟეტის წინასწარმეტყველება მაინც სრულდებოდა. ერთი სიტყვით, გვიანდელი ეპოქის ბედისწერის ტრაგედიები შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენდნენ მაყურებელზე.

რაკი „ოიდიპოს მეფე“ არანაკლებ აძრწუნებს თანამედროვე მაყურებელს, ვიდრე მის თანამედროვე ბერძნებს აძრწუნებდა, ეტყობა, ბერძნული ტრაგედიის შემოქმედების ძალა იმალება არა ბედისწერასა და ადამიანის ნებას შორის გაჩენილ წინააღმდეგობაში, არამედ იმ მასალის უჩვეულობაში, რის საფუძველზეც ეს წინააღმდეგობა ხორციელდება. ალბათ ჩვენში არსებობს რაღაც შინაგანი ხმა, რომელიც მზადაა „ოიდიპოსში“ აღიაროს ბედისწერის წარმმართველი ძალა, მაშინ როცა ფრანც გრილპარცერის „შკითხავსა“ და ბედისწერის სხვა ტრაგედიებში ასახულ ძალადობას შემთხვევითობად მივიჩნევთ. დიახ, ასეთ მომენტს მართლაც შეიცავს ოიდიპოს მეფის ისტორია. მისი ბედი მხოლოდ იმიტომ გვაღელვებს, რომ იგი ჩვენც შეიძლებოდა გვრგებოდა წილად, რადგან ორაკულს ჩვენც მასავით დაწუველილი ვყავართ ჭერ კიდევ დაბადებამდე. როგორც ჩანს, უოველ ჩვენგანს უწერია, პირველი სექსუალური ლტოლვა დედის მიმართ იგრძნოს, ხოლო პირველი სიძულვილი და ძალმომრეობის სურვილი მამის მიმართ გაუჩნდეს.

ამაში ჩვენივე სიწმირები გვარწმუნებენ. ისტორია ოიდიპოს მეფისა, რომელმაც თავისი მამა ლაიოსი მოკლა და დედა იოკასტე ცოლად შეირთო, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბავშვობის ნატვრის აღსრულებაა. ოღონდ ჩვენ მასთან შედარებით ბედმა გავვილიმა, რაკი ფსიქონევრასთენიკები არ გავმნდარვართ, ჩვენი სექსუალური გრძნობები ისე ავარიდეთ ჩვენსავე დედებს და მამების მიმართაც დავივიწყეთ ეჭვიანობა. და აი, იმ პიროვნების შემხედვარეთ, რომლის მაგალითზეც ძველთაძველი ბავშვობის ნატვრა შეგვისრულდა, ძრწოლა გვიპყრობს და ისეთივე ძალით ვაწუდებით უკან, რა ძალითაც ეწამებოდა იმ ძველთაძველი ბავშვობის დროიდან ჩვენს სულში აღმოცენებული სურვილები. პოეტი ამ ნაწარმოებში ამხელს ოიდიპოსის დანაშაულს და ამით ჩვენც გვაიძულებს ჩავხედოთ საკუთარ სულში, სადაც ის იმპულსები, მართალია დათრგუნულია, მაგრამ ჭერ კიდევ ბოგინობენ. აი, რა წინააღმდეგობრივი სიტყვებით გვშორდება ქორო:

შეხვედრის არსის თვლილობის  
ვისცქეროდა გამოცდების კადრებს  
შესწლო,  
ვისაც ხელს ეტყობა ძალადღობა,  
ვის ბედსაც ხოტბას ასხამდნენ და  
შურიან შესწავროდნენ თანამოქალაქების  
შეხვედრებდერების ოსა საზარელ  
ზღვირთებში  
შთაბნელება ავი... (პტრ. 1524)

ეს გაფრთხილება ჩვენს გვეგნულად და ჩვენს თავმოყვარეობასაც, ვისაც ბავშვობის შემდეგ ასე დაბრძენებული და ძლიერი გვეგონია თავი ჩვენც, ოიდიპოსისა არ იყოს, ისე ვცხოვრობთ, რომ წარმოდგენა არა გვაქვს, ბუნებას თავს რომ მოგვაბნია ჩვენივე ზნეობის შეურაცხმყოფელი სურვილები და მათი გამოაშკარავების შემდეგ ვცდილობთ თვალი ავარიდოთ ბავშვობაში წარმოდგენილ სურათებს.

ოიდიპოსის მითი რომ იმ უძველესი სიზმრის საფუძველზეა აღმოცენებული, რომელსაც საფუძვლად უდევს პირველი სექსუალური გრძნობების გაჩენის გამო მშობლებთან დამოკიდებულების შეცვლა, ამის დასტურად სოფოკლეს ტრაგედიის ტექსტში მოცემული არცთუ ორაზროვანი მინიშნება გამოგვადგება ოიდიპოსი ჭერ კიდევ ვერ გარკვეულა, რა ამბავია მის თავს, მაგრამ უკვე შეწუხებული კი არის ორკუთხის წინასწარმეტყველების გახსენებით. იოკასტე ცდილობს დაამშვიდოს იგი და სიზმარზე ჩამოუგდებს სიტყვას, ბევრს ესიზმრება საკუთარი თავი დედასთან მწოლიარე, ოლონდ, ვინც ამას არავითარ მნიშვნელობას არ მიანიჭებს, იმას ცხოვრების ტვირთი არ ემძიმებაო.

განა ჩვენს დროშიც არ ესიზმრება ბევრს, თითქოს დედასთან დაეჭიროს სექსუალური ქავშირი და აღშფოთებითა და გაოცებით ჰყვებიან ხოლმე ასეთ სიზმრებს. ადვილი მოსაბვედრია, რომ ეს სიზმარი ხსენებული ტრაგედიის გასაღებიც და იმ სიზმრის გაგრძელებაც, მამის სიკვდილს რომ ხედავს ძილში ადამიანი „ოიდიპოსის“ სიუჟეტი ადამიანის ფანტაზიის რეაქციაა ამ ორ ტიპურ სიზმარზე, პოდა, რაკი მოზრდილ ადამიანებს დასაგმობად მიაჩნიათ ასეთი სიზმრები, ამ მითმაც თავისი შინაარსით გახვიადებულად უნდა აღძრას შიში და საკუთარი თავის დასჯის სურვილი. მითის გვიანდელი ბორცვსებშიც ცდები ისევ და ისევ მასხლის მეორად, მცდარ დამუშავებას ემყარება, ავტორები ცდილობენ იგი თეოლოგიური მისწინების სამსახურში ჩააქონონ. (...) ღმერთის უოველის შემძლეობის ადამიანურ პასუხისმ-

გებლობასთან შერწყმის უოველი ცდა, ამ მასალაზე იქნება იგი თუ სხვა მასალაზე აგებული, ბუნებრივია, დასაშარცხებლად განწირული.

ამავე ნიადაგზეა აღმოცენებული მეორე დიდი ტრაგიკული პოეტური მნიშვნელობის „მამლეტი“, მაგრამ ერთი და იმავე მასალისადმი განსხვავებულ მიდგომაში თვალსაჩინო ხდება ორი ერთმანეთს დიდად დაშორებული კულტურული ეპოქის სულიერ ცხოვრებაში არსებული განსხვავებანი, კერძოდ, აქ იგრძნობა ადამიანის სულიერ სამყაროში გრძნობების შეზღუდვისაკენ სწრაფვა. „ოიდიპოსში“ ბავშვის ნატვრა, როგორც სიზმარში ხდება, ზუსტად ისეა დღის სინათლეზე გამოტანილი და ხორცშესხმული, „მამლეტში“ კი იგი დათრგუნულია, და ნევროზისა არ იყოს, მის არსებობას მხოლოდ მისი დათრგუნვით გამოწვეული შედეგებით ვგებულობთ. „ოიდიპოსთან“ შედარებით უფრო თანამედროვე დრამა ასეთ უზარმაზარ შთაბეჭდილებას რომ ახდენს, ამან ჩვენდა გასაოცრად გვიჩვენა, რომ თურმე შეიძლება ცმირის ხასიათი არ გაიხსნას და სავსებით ბუნდოვანი დარჩეს. პიესა აგებულია მამლეტის ორკოფობაზე — აღასრულოს თუ არა მასზე დაკისრებული შურისძიება, ხოლო ამ ორკოფობას რა მიზეზები ან რა მოტივები ასაზრდოვებს, ამას ტექსტი არ გვიმხელს. მრავალფეროვანი აზსნა-განმარტებანიც ვერაფერს გვეუბნება ამის თაობაზე. დღეს ჭერ კიდევ ბატონობს მამლეტის გოეთესეული გაგება, თითქოს მამლეტი იყოს ადამიანის ტიპი, რომელსაც აზროვნების გადამეტებული განვითარების გამო დადამბლაგებული აქვს სამოქმედო ენერჯია, სხვათა შეხედულებისამებრ კი პოეტმა სცადა დაეხატა ავადმყოფური, მერყევი, ღამის ნევრასთენიის სფეროში გადავარდნილი ხასიათი, თუმცა პიესის სიუჟეტიც კმარა იმის დასტურად, რომ მამლეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ მოქმედების უნარს მოკლებულ პიროვნებად. ჩვენ მას ორჯერ ვხედავთ მოქმედებაში, ერთხელ, გაფიცებული როგორ განგმირავს ფარდის უკან მოუურადებულ კაცს, ხოლო მეორეჯერ წინასწარგამიზნულად, ვერაგულადაც კი იქცევა, როცა აღორძინების ეპოქის პრინციპისათვის ჩვეული უდარდელობით ორ კარისკაცს მისთვის გამზადებული სიკვდილის შესახვედრად ისტუმრებს. მაშ რაღა უშლის ხელს იმ დავალების აღსრულებაში, მამის აჩრდილი რომ უყენებს? აქ კვლავ თავს შეგვახსენებს ის აზრი, რომ მიზეზი ამ დავალების უჩვეულო ბუნებაში იმალება.

მამლეტი ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ იმ



კაცზე ვერ იძიებს შურს, ვინც მისი მამა გზიდან ჩამოიცილა და დედამისის სარეცელი გაიწიარა. იგი შურს ვერ იძიებს კაცზე, ვინც მის ბავშვობისდროინდელ, გულშიჩაკლულ ნატვრას შეახხა ხორცი. ზიზღის მაგიერ, რომელსაც შურისძიებისაკენ უნდა ებიძგებინა, ჰამლეტს სულ სხვა გრძნობები უჩნდება და ხელ-ფეხს უბორკავს, იგი საკუთარ თავს კიცხავს და სინდისის ქენჭნას განიცდის, გრძნობს, რომ თვითონ იმ დასასჯელ ცოდვილზე უკეთესი პრაფრით არაა. ერთი სიტყვით, მე ცნობიერების სფეროში გადმომაქვს ის, რაც გამირის სულში შეუცნობლად ტრიალებს; თუკი ვინმე ჰამლეტს ისტერიით შეპყრობილს უწოდებს, ეს მხოლოდ ჩემი შეხედულებიდან გამომდინარე შეფასებად შემიძლია მივიჩნიო. ამ აზრს მშვენივრად მიდასტურებს ის სექსუალური გულგრილობა, რამაც მომდევნო წლებში სულ უფრო და უფრო ღრმად მოიკიდა ფეხი მწერლის სულში, ხანამ კულმინაციურ წერტილს არ მიაღწია მის „ტიმონ ათენელში“. ცხადია, „ჰამლეტში“ მხოლოდ მწერლის საკუთარი სულიერი ცხოვრება შეიძლება ახახულიყო, დავიმოწმებ შენიშვნას გეორგ ბრანდესის წიგნიდან „შექსპირი“ (1886), სადაც ნათქვამია, რომ ეს დრამა შექს-

პირმა მამის სიკვდილის შემდეგ შექმნა (მამამისი გარდაიცვალა 1601 წელს). მასასადამე, მამის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება ჯერ კიდევ ახალია, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამან გამოუცოცხლა მწერალს მამის მიმართ ბავშვობისდროინდელი გრძნობები და უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზე შექმნა ეს ნაწარმოები. ისიც ცნობილია, რომ შექსპირის უდროოდ გარდაცვლილ ვაჟს ჰამლეტი (ანუ ჰამლეტი) ერქვა. თუკი „ჰამლეტი“ მშობლებთან ვაჟიშვილის დამოკიდებულებას ემყარება, ქრონოლოგიურად მასთან ახლოს მდგომი „მაკბეტი“ უშვილობის თემაზეა აგებული. სხვათა შორის, ისევე როგორც მოეძებნება ახსნა ყოველ ნევრასთენიულ სიმპტომსა და თვით სიწმირსაც და ამან შეიძლება მის ღრმად გაგებას შეუწყოს ხელი, ასევე შესაძლებელია ქეშმარიტი მხატვრული ქმნილება მწერლის სულში არსებული არა-ერთი და ორი მოტივიდან და განცდიდან მომდინარეობდეს და ამიტომ ერთზე მეტი ახსნაც მოეძებნებოდეს. მე აქ მხოლოდ იმ გრძნობების ახსნას შევეცადე, შემოქმედის სულის ყველაზე ღრმა ფენებში რომ ბუდობს.



### როდამ ფალავა

### 3. კოეპენის რომანი „სიკვდილი რომში“ ქართულად

**ა**ქორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა გერმანელ მწერლებზე ასეთი შედარება გამოითქვა: წარმოიდგინეთ დამწყები მხატვარი, რომელიც პირველად შევიდა ლუვრში... რაოდენ ძნელი უნდა იყოს მისთვის თავი დააღწიოს უცხო გავლენას და გამოძებნოს საკუთარი ხელწერა, რომ გაუტოლდეს საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებს. ლუვრის ნაცვლად წარმოვიდგინოთ ევროპული ლიტერატურის უსასრულოდ ქრელი ნაკადი, რომელიც გერმანიაში შემოიჭრა ფაშიზმის თორმეტწლიანი ბატონობის შემდეგ. გაჩნდა მიმზადველობა, მოდები, ექსპერიმენტები. ტრადიციებთან და ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან კავშირი გაწყვეტილი იყო. რადგან მა-

ნამდე ორ თაობას შორის არ ყოფილა ისეთი უკიდურესი უფსკრული, როგორც გერმანიაში 1945 წლის შემდეგ. ცნობილი მწერალი გიუნტერ გრასი წერს: „ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიამ დაამახინჯა გერმანული ენა, წაბილწა და გააღარიბა იგი ლექსიკურად. აი, ამ დასაბიჩრებულ ენაზე დაიწყეს ლიტერატორებმა წერა, ან უფრო სწორად — ბუტბუტი. მათი უმწეობა ემიგრაციის ლიტერატურის გიგანტების თომას მანისა და ბრეტის ფონზე უნდა წარმოვიდგინოთ. ამ კლასიკოსების წინაშე ყველაფერი მხოლოდ ენაჩლუნგობა იყო“. თეოდორ ადორნო ირონიულად იტყვის, რომ ოსვენციმის შემდეგ გერმანიაში შეუძლებელია ლიტერატურული მოღვაწეობა. მეტად მძიმე იყო ომის შემდგომ

პირველ წლებში თუნდაც ოდნავ შესამჩნევი და ორიგინალური გზის პოვნა გერმანულ მწერლობაში. ვოლფგანგ კოეპენი ერთ-ერთი პირველი პროზაიკოსია, რომელმაც სახელი გაუთქვა და საუფროსო აღიარება მოუტანა გფრ-ს ლიტერატურას. როგორც თავად მწერალი ამბობს, ომის შემდეგ დაწერილი მისი პირველი რომანი იყო დასაწყისი, რომელსაც არაფერი უძლოდა წინ (Ein Beginn aus dem Nichts). გფრ-ში გამოსულ ლიტერატურაში ვ. კოეპენი მოიხსენიება როგორც პირველი მწერალი, რომელმაც ვირტუოზულად შეხდლო ადებექდა ეპიკურ თანრში გერმანული რეალობა 1945 წლის შემდეგ ნაწყვეტები ვ. კოეპენის ნაწარმოებებიდან შეტანილია დასავლეთ გერმანიის უველა სასკოლო ქრესტომათიაში, როგორც თანამედროვე გერმანული ენის თვალსაჩინო ნიმუში.

გფრ-ს ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი დაიშვიდრა ვ. კოეპენის საუკეთესო რომანმა „სიკვდილი რომში“, რომელიც ახლახან თარგმნა ქართულად ოთარ ხუციშვილმა. ეს პირველი ნაწარმოებია ამ შესანიშნავი მწერლისა ჩვენს მშობლიურ ენაზე. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ვ. კოეპენის რომანები რუსულად თარგმნეს და შრომები მიუძღვნეს ცნობილმა მთარგმნელებმა და მკვლევარებმა რ. სამარინმა, ვ. სტეფენსკიმ, თ. მოტილიოვამ, კ. აზადოვსკიმ, ვ. დევკინმა, ვ. სტანევიჩმა და სხვ. უდავოდ მართებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ უოველი თარგმანი წარმოადგენს ორიგინალური ნაწარმოების გარკვეულ ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით ესადაგება ჩვენი საუკუნის მხატვრულ ნაწარმოებებს და ამას თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს, მაგალითად, უადრესად გართულებული კომპოზიცია. სწორედ ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება ვ. კოეპენის რომანი „სიკვდილი რომში“. თარგმანის ავ-კარგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთარგმნელის მიერ ორიგინალური ნაწარმოების სწორედ წაკითხვაზე, რომელიც მან საკუთარი აღქმის მიხედვით მშობლიურ ენაზე უნდა გადმოსცეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოთარ ხუციშვილს არაერთი სიძნელე შეხვდა თარგმნის პროცესში, რომელსაც მან კარგად გაართვა თავი.

„სიკვდილი რომში“ პოლიტიკური რომანია. ის ნათლად გვიხატავს ეპოქის დრამატიზმს; გამსჭვალულია მომავლის მზრუნველობის და პასუხისმგებლობის გრძნობით, რათა აღარასოდეს განმეორდეს ფაშიზმის საშინელებები. რომანის მოქმედება ერთი დღის განმავლობაში ხდება. ესეის უოფილი გენერალი იუდეიანი ომის დამთავრების შემდეგ რომში ჩამოდის, რომ ერთ-ერთი აღმოსავლური ქვეყნისათვის იარაღი შეისუდოს. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და ადამი-

ნთა მოკვდინება მისთვის იდენტური ცნებებია. რომში ის იღუპება, რაც სწავლებით კანონზომიერია და სიმბოლური, რომანის მთავარი გმირია ახალგაზრდა კომპოზიტორი ზიგფრიდი, რომელსაც ძალი არ შესწევს დაუპირისპირდეს გფრ-ს საზოგადოების ექსპანსიონისტურ ელემენტებს. ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება ხშირად სინქრონულადაა გადმოცემული. ერთმანეთში გადახლართულია ავტორის თბრობა და გმირის შინაგანი მონოლოგები. სინამდვილე სხვადასხვა პერსონაჟების საშუალებით გადმოიცემა. საბოლოოდ იქმნება ქრელი ფერწერული ტილო, ზოგი ასეთ თბრობას მოზაიკასაც ადარებს.

ვ. კოეპენი თანამედროვე გერმანული ენის დიდოსტატია. ის ფართოდ იყენებს ნაირგვარ სტილისტურ საშუალებებს. მისი ენა მეტად ექსპრესიულია. მკითხველი მაშინვე ცნობს ვ. კოეპენის პროზას, რომელიც რიტმული და მრავალმნიშვნელოვანია, ახასიათებს სასტიკი ირონია და სარკაზმი. სატქმელის გადმოსაცემად ვ. კოეპენი იყენებს სხვადასხვა სტილისტურ ხერხებს — ირონიას, ალეგორიას, სიმბოლიკას, დამახასიათებელია ორაზროვნება. აი, ერთი ეპიზოდი: „...კატებს სატქმელი მოუტანა. სატქმელი სველ გაზეთშია შეხვეული. ეს თევზის თავებია. თევზის სისხლით მოთბუპნულ სურათზე ამერიკის სახელმწიფო მდივანი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხელს ართმევენ ერთმანეთს. ეტუობა ორივე ბეცია. სათვალეების შუშები უბრწყინავთ. მოკუშული ბაგეები ვითომ ღიმილს გამოხატავენ. კატები ჩხავიან და ერთმანეთზე იწვევენ. მოხუცი ქალი ქალაღდს თბრილში აგდებს. ...თევზის ნარჩენების გამო კატები ბეწვს აგლეჯენ ერთმანეთს. ...ერთი გოგირდისფერი კატა... გაავებული უფროსობს სხვა სუსტ კატებზე, თათებს სცემს, მბრძანებლობს. სხვისას ითვისებს... ბეწვს ქეცი მოსდებია. ბავშვები ამ კატას ალერსით „ბენიტოს“ ეძახიან“. ამ ნაწყვეტში ძნელი არ არის დავინახოთ ადამიანთა ცხოვრების პესი-მისტური მოდელი. თუ ჩავუკვირდებით, შეიძლება ამოვიკითხოთ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაც. სახელმწიფო მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი თევზის სისხლით მოთბუპნულ ფოტოზე ვითომ უღიმიან ერთმანეთს. ცნობილია, რომ თევზი ცივისსხლიანი არსებაა და ამ კონტექსტში მისი ხაზგასმით მოხსენება „ცივ ომთან“ ასოცირდება თათქოს. რომანიც ხომ იმ წლებშია დაწერილი. მთარგმნელი მართებულად მოიქცა, როდესაც ადამიანებთან დაკავშირებით ამ აბზაცში გამოიყენა სიტყვა „ბეცი“. მის ადგილზე ორიგინალში გვაქვს „Kurzichtig“, რაც სიტყვასიტყვით ახლომხედველს ნიშნავს. მაგრამ აღწერილ ვითარებაში ეს კოლორიტული ქართული სიტყვა („ბეცი“) უფ-

რო ზუსტად გადმოსცემს მონაკვეთის აზრს, შესაბამისად გვაახლოებს ორიგინალთან ვ. კოეპენი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, ყველა ფორმით და საშუალებით გაილაშქროს ძალადობის წინააღმდეგ.

ქართული და გერმანული გამოთქმები ენათა სპეციფიკის გამო ზოგჯერ ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მთარგმნელი ალღოიანად ახერხებს აზრის უტყუარად გადმოტანას. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარი არარაობა საშინლად მზარავს“, ორიგინალში კი გვაქვს: „...mich graust vor dem Nichtsein des Todes“ ფორმალურად ეს წინადადებები თითქოს არაადექვატურია.

«Nichtsein des Todes» თავისთავად ნიშნავს სიკვდილის არარსებობას, მაგრამ მონაკვეთში გამოთქმული მსჯელობის გაცნობის შემდეგ მკითხველი ლოგიკურად და შესაფერისად მიიჩნევს ამ გამოთქმის შესატყვის ქართულ ვარიანტს.

ლიტერატურის არაერთი კრიტიკოსი თვლის, რომ ომის შემდგომი გერმანიის პირველი წლების ამბები შეიძლება ყველაზე კარგად ვ. კოეპენის რომანებიდან გაიგო. ამის ერთ-ერთ საიდუმლოს ნაწარმოების ლექსიკური სიზუსტე წარმოადგენს. ყოველი სიტუაცია თუ სოციალური მომენტი მოთხრობილია იმ ფრაზეოლოგიით და სიტყვათა მარაგით, რაც ტიპურია მოცემული ვითარებისათვის და დამახასიათებელია კონკრეტული პერსონაჟებისთვის. მაგალითად, როდესაც იუდეიანი გაცილებით დაბალი რანგის ასევე უოფილ ესესელებს ზედება, ვ. კოეპენი მთელ ამბავს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას მათივე ენით მოგვითხრობს. ესაა ნაციისტური გამოთქმები, ეარგონი და ა. შ. ხოლო ავტორის პოზიცია მაშინვე ირონიული და შეურიგებელი ხდება. კარგად მოხერხდა ხსენებული მონაკვეთის საერთო იერის შენარჩუნება ქართულად: „...მისი მიზანი გერმანია იყო, მისი ფატა მორგანა დიდი გერმანია იყო, არაფერს შეეძლო მისი ამ გზიდან აცდენა იუდეიანმა მათ დაუღრიალა. ავტომანქანა მაშინვე გაჩერდა. ჩაუანგებული თუნუქი ისევ თრთოდა. იუდეიანმა ჭეღვლები გვარიანად გამოთათბა და ამით ნაამები დარჩა. ესენი ში - ხალხი იყო, მის ჭაქვზე გამოზმული ნაგაზები, მისი ბიჭები. ბიჭები რიგიანად გამოლანძლა. მათ იცნეს საკუთარი ბატონის ხმა. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მზად იყვნენ მისთვის ჩექმები გაელოკათ. იუდეიანი მანქანიდან გადმოვიდა და ბრძანება გასცა: „უკანვე წადით!“ მათ მანქანა შემოაბრუნეს და კისრის ტიხვით მოუსხვეს“.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. კოეპენი თანამედროვე გერმანული ენის ერთ-ერთი უპირველესი ოსტატია. როგორც უკვე ვთქვით,

მისი პროზა ექსპრესიულობით და რიტმით გამოირჩევა. ავტორი ამას ნაირგვარი მერხებით აღწევს. განსაკუთრებით გვინდა შევნიშნოთ ლაიტმოტივზე. ერთი და იგივე სიტყვების და გამოთქმების პერიოდულად გამეორებულ ტექსტს, რასაკვირველია, ემოციურ შეფერვლებას და რიტმს მატებს, მაგრამ ლაიტმოტივს კიდევ სხვა სტილისტური ფუნქციები გააჩნია. ვ. კოეპენი შესანიშნავად იყენებს ლაიტმოტივის შესაძლებლობებს. მისი მეოხებით მწერალი ამძაფრებს მთელ რიგ პასაჟებს და სასურველ შეგავლენას ახდენს მკითხველზე. მთარგმნელმა კარგად გაართვა თავი ლაიტმოტივების გამოყენებას და შეინარჩუნა ისინი ქართულ ტექსტში. მაგალითად, „იუდეიანი სიმღერის ხმას გამოჰყვა, გერმანული სიმღერის ხმას. ერთ დროს ეს ძლიერი მამაკაცი მოწინებით უხმენდა გერმანელი ქალების სიმღერას, მათი სიმღერა — ეს იყო გერმანია, მათი სიმღერა — ეს იყო საშობლო, ეს იყო გერმანიის „კარიბჭე“, გერმანული ჭა, ეს იყო გერმანული ცაცხვი, ყველაფერი, რისთვისაც ღირდა სიცოცხლეც, ბრძოლაც და სიკვდილიც და აღარ დაუმატებია: ხოცვა-ჟლეტაცო. ამ ორ წინადადებაში რამდენიმე ლაიტმოტივი გვაქვს: გერმანია, სიმღერა, კარიბჭე, გერმანული ჭა, გერმანული ცაცხვი. ეს სიტყვები ნაწარმოებში გამუდმებით გვხვდება და გამოხატავენ პერსონაჟების ნოსტალგიას, მათ ლტოლვას საშობლოსაკენ. ასეთ შემთხვევაში ლაიტმოტივს სიმბოლოს ფუნქცია აკისრია. ზემოთ მოტანილი პატარა მონაკვეთიდან მკითხველს შეიძლება უცბად ეგონოს, რომ მწერალი თითქოს თანაუგრძნობს იუდეიანს, მაგრამ სიტყვებით „და აღარ დაუმატებია: ხოცვა-ჟლეტაცო“ ვ. კოეპენი, რა თქმა უნდა, ისევ ზურგს აქცევს თავის გმირს, თან კიდევ ერთხელ ახასიათებს და ავსებს მის სოციალურ პორტრეტს. აი, კიდევ ლაიტმოტივებით გამძაფრებული ერთი სიტუაცია, რომელსაც მთარგმნელის შემწეობით ქართულადაც არ დაუკარგავს თავისი გამომსახველობა და ორიგინალის ძირითადი ნიშნები: „საცხედრეში პირს მიწით არ უტენიან, ფემებს მსხვერპლს უტენიანენ პირში მიწას. მისი მსხვერპლი ერთი ახალგაზრდა კაცი იყო. მაშინ იუდეიანიც ახალგაზრდა იყო. მსხვერპლი მისი ამხანაგი აღმოჩნდა. საველე ნიჩბები სწრაფად ფლავდა მსხვერპლს მიწაში. სხვებმაც ულაპეს მიწა. პოლონეთსა, რუსეთსა და უკრაინაში მიწა ბლომად აულაპეს ხალხს. მათ ჭერ სამარეს გაათხრევიანებდნენ, მერე სამოსს გაახდევინებდნენ. საკუთარი სამარის წინ ტიტვლები იდგნენ“. ეს პატარა მონაკვეთი იუდეიანის მოგონებებიდან არის ამოღებული. მწერალი არაპირდაპირი გზით კვლავ ამხელს თავის პერსონაჟს, როგორც პირწავარდნილ ფაშისტს.

თავის ფუნქციას თარგმანშიც კარგად ასრულებს სიკვდილის სემანტიკასთან დაკავშირებული სიტყვები — მიწა, ხამარე, მსხვერპლი და მრავალი სხვა. სიკვდილის ლაიტმოტივი, რომელიც წიგნის სათაურიდანვე იწყება, მთელ ნაწარმოებებს გასდევს სიტყვასიტყვით თუ აზრობრივად და კულმინაციას რომანის ფინალში აღწევს. ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს, რომ მისი მთავარი გმირი იუდეიანი უნდა დაიდუმოს, შემდეგ გვიხატავს მის გარდუვალობას და ბოლოს აღასრულებს კიდევ, რაც ისტორიულად სავსებით კანონზომიერია. კარგად არის მორგებული ქართულად „ნატარა გოტლიბის“ ლაიტმოტივი. იგი ეხმარება ავტორს გვიჩვენოს იუდეიანის ფსიქოლოგიური სახე, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსის ფონზეა დახატული. ამომწურავად უღერს ფანატიკოსი ქალის ევას დახასიათება ლაიტმოტივებით: „ჩრდილოელი ქალი“ (nordische Frau), რომელიც „ვალჰალაზე“ ოცნებობს (ძვ. გერმანული მითის მიხედვით ომში დაცემულ შერმართა ხულების / სამყოფელი). თავად ევა შავებში მოსილი დაიარება და რაინის დამსხვრევას გლოვობს.

თარგმანში მეტნაწილად შენარჩუნებულია ვ. კოეპენის პროზისათვის დამახასიათებელი ნიშნები — ორაზროვნება, სარკაზმი, სიმბოლურობა და ა. შ. პერსონაჟების საკუთარი სახელებიც კი არ არის შემთხვევითი და კონკრეტული მიზნით არის შერჩეული, რაოდენ ირონიულია თუნდაც ზოგიერთის და ადოლფის სახელები. ზოგიერთს კი თავისი სემანტიკური მნიშვნელობა ახლავს გერმანულ ენაში, რაც საერთოდ თარგმანისათვის, კერძოდ კი, ქართულისათვის, მიუწვდომელი რჩება. ასე მაგალითად, იუდეიანს, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი მოაქვს ადამიანებისათვის და თავად ფაშიზმს განასახიერებს, გოტლიბი ჰქვია, რაც გერმანულად ღვთის მოყვარულს ნიშნავს. ასეთი სახელების რიგშია გენერალი ტოიფელსჰამერი, გერმანულად ეს გვარი იშიფრება როგორც ეშმაკის ურო, ე. ი. ეშმაკის იარაღი, ამავე გაგებით არის გამოყენებული ის ნაწარმოებში.

ვ. კოეპენი ხელიდან არ უშვებს რევანსისტთა გამათრახების შესაძლებლობას. მათი ერთ-ერთი თავშეუცროს და საუბრის დროს ვირის უროყინი გაისმის. ქართულ ტექსტში წერია ი-ა! ეს ორი ბგერა კი გერმანულად წარმოთქმული ნიშნავს დასტურს („დიახ“). თარგმანში, მსგავსი მომენტები, რასაკვირველია, ცნობილი მიზეზების გამო ვერ აღიქმება.

ვ. კოეპენის პროზის სერიოზული თავისებურებების გამო, ბუნებრივია, რომ მთარგმნელს მუშაობის პროცესში არაერთი სირთულის დაძლევა მოუხდა. რომანის „სიკვდილი რომში“ თარგმნის დროს არ უნდა დაკარგულიყო ნაწარ-

მოების იდეურ-აზრობრივი და სტილისტური მხარეები. ისინი მკიდროდა ერთმანეთში გადახლართული და მთლიანობაში განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას. ორიგინალის სხვა ენაზე გადატანის, ანუ თარგმანის შესახებ სხვადასხვა დროში უამრავი მსჯელობა გამოთქმული. დასკვნა კი სტატუს-კვო-ის, რომ პირველწეარო და მისი თარგმანი თითქმის არასოდეს ადექვატური არ არის, რაც შეეხება ჩვენი საუბრის საგანს, აღვნიშნავთ, რომ ვ. კოეპენის პროზამ არა ერთ ახალგაზრდა მწერალზე მოახდინა გავლენა. განსაკუთრებით კი მისმა სტილმა, იგულისხმება აღწერის დროს სურათების მოზღვავება, ზედსართავი სახელების დახვევა, რიტმული თხრობა, ენის მუსიკალურობა, დროის, მოქმედების ადგილის და პერსონაჟების სწრაფი ცვლა გადახველების ჯარეშე, მონტაჟი, ჩანართების სიუხვე და ა. შ. ვ. კოეპენის რომანებს ცნობილი მწერალი ალფრედ ანდერში კინოკამერით დანახულ სამყაროს ადარებს. მით უფრო, რომ მოქმედება „სიკვდილი რომში“ რედუცირებულია და ერთი დღის მანძილზეა დაყვანილი. ასეთი თავისებურებების დროს თარგმნის პროცესში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების სწორად წაკითხვას ანუ მის გააზრებას. თარგმანში ვკითხულობთ: „რაკი ტრაგედია აღსრულდა, მას ხომ ფასი უნდა მოჰყოლოდა“. ორიგინალში ეს წინადადება ასე იკითხება: „Da die Tragoedie war, mußte das Satyrspiel folgen“. ამ წინადადების ქართულ თარგმანს არათუ საუკეთესოდ, დამაკმაყოფილებლადაც ვერ მივიჩნევთ.

რომანის „სიკვდილი რომში“ რუსულ თარგმანში კი (მთარგმნელები არიან ვ. დევეკინა და ვ. სტანევიჩი) იგივე წინადადებაში Satyrspiel-ის ადგილას არის ფარსი, რომელიც თავისთავად კომედიურ ჩანართს ნიშნავს და ფრიად მართებულია. გვინდა ერთი ვარაუდი გამოვთქვათ. იქნებ მთარგმნელს ქართულადაც გათვალისწინებული ჰქონდა ფარსი და კორექტურული შეცდომის გამო მის ადგილზე გაჩნდა ფასი.

კიდევ ერთ მაგალითზე გვინდა შევჩერდეთ. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „განა ჩემბერლენიც ქოლგით არ დადიოდა ეს მშვიდობის ქომაგი, სასაცილო ფიგურა, რომელსაც ფიურერისათვის ომის მოპარვა სურდა“. უკანასკნელი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს ორიგინალის სიტყვასიტყვით თარგმანს ((der dem Führer den Krieg stehlen wollte) ფიურერისათვის ომის მოპარვას“ იქნებ სჭობდა ქართულად „ფიურერისათვის ომზე ხელი აეღებინებინა“ ყოფილიყო, მაგრამ ამას სხვათაშორის ვამბობთ, რაც შეეხება ამავე ზემოთ მოტანილ

წინადადებაში „მშვიდობის ქომაგს“ იგი წარმოადგენს Friedensbringer-ის თარგმანს. თავისთავად „მშვიდობის ქომაგი“ მშვენიერი ქართული გამოთქმაა, მაგრამ წინადადებას თუ ჩვეუკვირდებით, განსაკუთრებით მთელ კონტექსტს, ადვილად დავინახავთ, რომ ის აშკარად დამცინავია. ამიტომ იქნებ უკეთესი ყოფილიყო Friedensbringer ქართულად გვეთარგმნა როგორც მშვიდობის მამიებელი, რადგან ეს გამოთქმა ქართულში არანეიტრალურია და თავისი იერით თითქმის უფრო ეხმინება ვ. კოეპენის ურაზას, ამასთან დაკავშირებით ისტორიული ფაქტიც გავიხსენოთ, როდესაც ჩემბერლენი მიუნხენის გარიგებაში მონაწილეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჯერ ისევ თვითმფრინავთან მდგარი კორესპონდენტების წინაშე ფარატინა ქალაღდს იქნევდა და აცხადებდა, მშვიდობა ჩამოვიტანეო. საგულისხმოა, რომ მწერალს სწორედ ეს ფაქტი აქვს მხედველობაში, მით უმეტეს, რომ ის თავის სხვა რომანში („სათბური“) გესლიანად ახსენებს ჩემბერლენს.

ვ. კოეპენის პროზა დატვირთულია ეპითეტებით და ზედსართავი სახელებით. ისინი კეთილსინდისიერად და მოთმინებით არის ქართულად

თარგმნილი. რიგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა მათი ზოგადად თარგმნა და წინადადებების გამარტივება.

რომანში „სიკვდილი რომში“ არაერთი ნატურალისტური აღწერილობაა, ისინი ელბაჟი სიტუაციების გამძაფრებისათვის არის ქართული და გამიზნულია პერსონაჟთა უკეთესად ჩვენებისათვის. ქართულ თარგმანში ეს პასაჟები გამოტოვებულია (ასევე რუსულ ტექსტშიც). ჩვენი აზრით, ო. ხუციშვილი სავსებით გონივრულად მოიქცა, რადგან ნატურალიზმები, საერთოდ, თარგმანს ვერ დაამშვენებს.

ქართველი მკითხველი ინტერესით და კმაყოფილებით წაიკითხავს ვოლფგანგ კოეპენის შესანიშნავ რომანს „სიკვდილი რომში“. მთარგმნელმა მოახერხა, რომ ნაწარმოებს შეენარჩუნებინა თავისი სახე, ნათელი ყოფილიყო ვ. კოეპენის რომანის აქტუალობა და მხატვრული ღირებულება. ო. ხუციშვილის მიერ შესრულებული რთული და უადრესად სასარგებლო სამუშაოს წყალობით ქართველ საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიტერატურის მეტად თვალსაჩინო ნაწარმოებს.



## ინგა პაპავა

### ქართული ონომასტიკის შესანარჩუნებლად

**ბ**ოლო ათწლეულში ქართული ხელოვნების ალბომებსა და ილუსტრირებულ ინფორმაციულ ლიტერატურას გამოსცემენ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. რამდენიმე შენიშვნა გვაქვს ამ გამოცემებში ქართული ონომასტიკის ინგლისური ვარიანტების შესახებ.

ზოგიერთი ქართული ონომასტიკის ინგლისური ვარიანტი ასახავს რუსულ ტრანსკრიფციას. ინგლისურად ჩაწერილ ქართულ ისტორიულ სახელებს თუ ქართულად გავიმეორებთ, ისინი ამგვარად ეღერს: იაკოვ, ირაკლი, ვლადიმირ, გეორგ, დმიტრი, ვისსარიონ, ივან, მიხაილ, პიოტრ, ფილიპ, ნინა, თამარა, ანდრეი, ზახარი, ელიზავეტა... არც „ერეკლეს“ ხსენებაა გამართლებული ვეროპიზებული სახელით „პერაკლიუს“.

საქართველოს მხარეთა სახელები ზოგჯერ ინგლისურად ჩაწერილია, როგორც სვანეთია, კახეთია, იმერეთია, კარტალინია, მინგრელია, ადუარია.

თბილისის ტოპონიმია ამგვარად ეღერს: გოლოვინსკი პროსპექტ, ბებუტოვსკაია, საცხენისკაია, ხრამსკი, მეტროს სადგურები — ავჩალსკაია, ოკტიაბრსკაია, ვოკზალნაია, კომსომოლსკაია, შნ ბაქინსკიბ კომისაროვ, შ(მ) არაგვინცევ, ელექტროდებოვსკაია.

ზოგჯერ ინგლისურად გადატანილია რუსული თარგმანი: ვინნი, ტევზ, კოლხოზნაია პლოშჩად, ბანნაია, პესკოვსკაია, სტარაია შუამთა, ნოვაია შუამთა, ჭორჯნ შაშლიკ, საგურამოვსკი რენიქ, გრუზია-ფილმ, სანატორია ზელიონი მის...

მდინარე მტკვარი ცნობილია, როგორც „კუ-

რა" — ასე აწერია მდინარეს საქართველოს ტერიტორიაზეც. სწორად მიგვაჩნია ტენდენცია, როდესაც ზოგიერთ გამოცემაში ინგლისურად წერენ „მტკვარი (კურა)“ პირველად ხსენებისას, შემდეგ კი მხოლოდ ქართულ სახელს მოიხსენიებენ.

რამდენიმე გამოცემაში ქართველ მეფეთა ტიტულები ასეა გადატანილი ინგლისურად: ცარ გეორგი, ცარენა თამარ, ცარიცა თამარ, ცარიცა ნინა, ცარიცა ნანა. სიტყვები „ცარ, ცარენა, ცარიცა“ ინგლისურ ენაში იხმარება რუსულ სინამდვილესთან დაკავშირებით, ისინი რუსულ ნაციონალურ სპეციფიკას ასახავენ. ამდენად ქართველ ისტორიულ პირებთან ამ სიტყვების ხმარება გაუმართლებელია.

ქართულ ონომასტიკაში ფრიად პროდუქტიულია „ჭ“ ბგერა. მას რუსულად წერენ დიგრაფით „დუ“. რუსული „უ“ ინგლისურად იწერება „უ“. ამგვარად ქართულ „ჭ“-ს ინგლისურად წერენ სამი ასოთი „დუბ“, ზოგჯერ კი „დჭ“ ასოებით. ინგლისურ-ქართულ ენებს აქვთ უშუალო შესატყვისი „ჭ-ქ“. იშვიათად, მაგრამ ასეთი სწორი ფორმაც გვხვდება ზოგიერთ გამოცემაში.

ქართული ბგერათკომპლექსი „ია, აია“ მონოფტონგებისგან შედგება. რუსული ენის ტრადიციით მათ წერენ დიფტონგით. ასევე რთული ბგერებით გადააქვთ ინგლისურად.

ზოგიერთ გამოცემაში ინგლისურად ჩაწერილ ქართულ სახელებს არ ახლავს სახელობითი ბრუნვის ნიშანი ბალავარ, გორგასალ, ალაზან ველი ან აკლია „ა“ ბგერა: ბექ ოპიზარ, კუკი, ბეთანი, ზემო ავქალ, მახათ რეინტ...

ამგვარ გადახრებს ობიექტური მიზეზი აქვს. შეცდომები ხშირად მეორდება, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე გამოცემულ შემდეგ აღბრუნებებსა და სარეკლამო ლიტერატურაში: ხ. ტოლსტოი, საბჭოთა კავშირი, ახალი ამბების სააგენტო, 1987; ვარძია, ავრორა, 1975; გ. ხუციშვილი, თბილისი, პროგრესი, 1979; ნიკო ფიროსმანი, ავრორა, 1988; ლადო გუდიაშვილი, ავრორა, 1984; სულ ახლახან გამოცემული წიგნი — თბილისი, არქიტექტურული ძეგლები და ხელოვნების მუზეუმები, ავრორა, 1985.

ამ გამოცემებში მითითებულია, რომ ინგლისური ტექსტი რუსულიდანაა თარგმნილი. წიგნის მომზადებაში არ მონაწილეობს არც ერთი ქართველი რედაქტორი, ამდენად, ინგლისური ტექსტი არაა ქართულთან შედარებული. მთარგმნელობითი საქმიანობა ჩვენში ამჟამად მაღალ დონეზეა: უშუალოდ ინგლისურიდან თარგმნიან ქართულად. ქართულიდან

ინგლისურად თარგმნისას ფაქტიურად სხვაგვარი მდგომარეობაა — ქართული ენის მცოდნე ინგლისელები ან ქართველი ანგლოლოგები ბევრი არ გვყავს. ამდენად ქართული ხელოვნების ტექსტებს ხშირად ქართველი რუსულიდან. დასახელებულ შემთხვევებში მითითებულია: „რუსულიდან ინგლისურად ტექსტი თარგმნეს... რუსული ტექსტის რედაქტორი... ინგლისური ტექსტის რედაქტორი“... ამ გამოცემებში ინგლისური ვარიანტი არავის შეუდარებია ქართულ ორიგინალთან.

ზემონათქვამი არაა აბსოლუტური მდგომარეობა. გვაქვს გამოცემები, რომელთა ინგლისური ტექსტის რედაქტორებს გულმოდგინედ შეუდარებიათ ინგლისური ტრანსკრიფცია ქართულ ორიგინალთან. თითქმის არაა შეუსაბამობა ქართულ-ინგლისურ პარალელებს შორის შემდეგ გამოცემებში: ნ. ჭამბენიძე, ზურაბ წერეთელი, თბილისი, ხელოვნება, 1975; დიმიტრი ერისთავი, თბილისი, ხელოვნება, 1979 (ინგლისური ტექსტის რედაქტორი რ. გუდევანიშვილი); ნ. ურუშაძე, დავით კაკაბაძე, თბილისი, თეატრალური საზოგადოება, 1982; თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1984; ლ. ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიბრული მინაქარი, თბილისი, ხელოვნება, 1984 (ინგლისური ტექსტის რედაქტორი მ. არჩვაძე) და ა. შ.

შეიძლება ზოგიერთი ასოს, მაგ., თ, ტ, უ და სხვ., ინგლისურად ჩაწერა საქამათო იუოს, მაგრამ საერთოდ გვაქვს საკმაო ტრადიცია, პრაქტიკა, როგორ ჩაიწეროს ქართულ-ინგლისური ბგერა-ასოთი შესატყვისები. საჭიროა დავიცვათ სწორი პოზიცია — ონომასტიკის გადატანისას ინგლისური ტრანსკრიფცია აბლოს უნდა იუოს ქართულ ორიგინალთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავიდან უნდა ავიცილოთ შუალედური ენის ვარიანტი, რომ ინგლისურ ტექსტში არ შეგვხვდეს დმიტრი, პიოტრ, კარტალინია, ში ბაქინსკიბ კომისაროვ, კურა, დუჰაში, ბექ ოპიზარ, ცარიცა ნინა ან ჯორჯნ შაშლიყ და ა. შ.

ძნელი არაა ქართულ-ინგლისური ფორმები შევაჭროთ, როდესაც წიგნს ჩვენს რესპუბლიკაში გამოსცემენ. როდესაც წიგნს ამზადებს სხვა გამომცემლობა, მაგ., ავრორა, ახალი ამბების სააგენტო და ა. შ., რომლებიც ინგლისურ ტექსტს ათარგმნიან რუსულიდან, სასურველია ქართული და უცხოური ონომასტიკა შეადაროს ქართული ენის მცოდნე რედაქტორმა.





ბლეიკი და რომანტიზმი

ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც უილიამ ბლეიკის შემოქმედებას ახასიათებს, არის სინთეზის სპეციფიური ბლეიკისებური გადაწყვეტა. პოეტის მთელ შემოქმედებაში სინთეზის „რეაქციაში“ ხვდება ყველა და ყველაფერი — სინათლე და სიბნელე, სიცოცხლე და სიკვდილი, კაცი და ქალი (აქ იგი ბიოლოგიურ სინთეზსაც გულისხმობს; ამ საკითხზე შემდგომ ცალკე იქნება საუბარი). მაგრამ არის კიდევ ერთი სახის სინთეზი, რომელსაც ბლეიკის ფილოსოფიის ბოლომდე სწორად გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ სინთეზის „რეაქციის“ მექანიზმი სრული სახით გამოვლინდა ბლეიკის ადრეულ ლირიულ კრებულში „უმანკოებისა და გამოცდილების სიმღერები“.

ამ კრებულში უკვე სათაურშივე წარმოჩნდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი ცნება: უმანკობა-გამოუცდებლობა და გამოცდილება. კრებულის კომპოზიციაც ამასვე ესადაგება: თითქმის ყველა ლექსს, რომელიც ციკლის პირველ ნაწილში „უმანკოების სიმღერებში“ შედის, აქვს თავისი კონტრა-წყვილი მეორე ნაწილში — „გამოცდილების სიმღერებში“.

პირველი ნაწილი „უმანკოების სიმღერები“, იმ მკვლევართა აზრით, რომლებიც ბლეიკს რომანტიკოსად თვლიან, არის ბუნებისადმი მიძღვნილი უღრუბლო მიმნი, სრული ჰარმონია, ხოლო მეორე ნაწილი კი სხვა არაფერია, თუ არა ამ იდილიის მსხვრევა. მაგალითად, კრიტიკოსი ა. ა. ელისტრატოვა წერს: «В песнях невинности» земля рисуется царством радости и мира... В них нет места зловещей, антигуманистической идее «первородного греха», как нет места и учению об умершвлении плоти и о бренности земной жизни». და ნიშუშად მოჰყავს ერთ-ერთი ლექსი კრებულის პირველი ნაწილიდან: „მხიარული ბავშვი“.

რასაკვირველია, საკუთრივ ამ ლექსის განწყობილება მთლიანად უღრუბლო და ხალისიანია, და ამის საჩვენებლად სხვა ანალოგიური მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა (გაზაფხული), („მოცინარი სიმღერა“) ა. შ. მაგრამ ბლეიკის ამ კრებულის ფილოსოფიური განხილვისას ცალკეულ ლექსებზე დაყრდნობით მთლიანად ციკლის თუნდაც ერთი ნაწილის განწყობილების

დადგენა, ალბათ, შეუძლებელია. კრებულის ამავე ნაწილში („უმანკოების სიმღერები“) ბევრია ისეთი ლექსი, სადაც ბავშვის სულიერი ჰარმონია დარღვეულია, დარღვეულია სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად ლექსში „დაკარგული ბიჭუნა“ ბავშვი სიბნელეში კარგავს გზას. აშკარაა მისი უმწეობით გამოწვეული სასოწარკვეთილება, და რომ არა გამწრდელი — მამა, რომელიც უდაოდ ასოცირდება ღმერთთან, ბავშვი, ალბათ, ვერასოდეს გაიკვლევდა გზას და დაიღუპებოდა. ღმერთი, იქნება ეს გამწრდელის თუ მამის სახით მოვლენილი, შემოდის მაშინ, როცა ადამიანის სულიერი ჰარმონია ირღვევა და წუთიერად აღადგენს ამ წონასწორობას, მაგრამ მხოლოდ წუთიერად. სხვა შემთხვევაში ღმერთი ადამიანის ცხოვრებაში არ ერევა, ასე ვთქვათ, აძლევს მას საშუალებას, თვითონ მიაღწიოს საბოლოო, უკვე შეურყეველ სულიერ ჰარმონიას — იმას, რასაც ეძიებს ბლეიკი.

ასევე დარღვეულია ბავშვის სულიერი ჰარმონია ლექსში „ბუხრის მწმენდავი“. ოღონდ აქ ამის მიზეზი და გამოხატვის ფორმა უკვე სხვაგვარია. ამ ლექსში პატარა ტომს მძიმე ფიზიკური შრომა უხდება, რაც უფრო მოზრდილის საქმეა და არა მისი ასაკის მოზარდისა, ე. ი. რეალური ყოფის სიმძიმე რაღაც ფორმით უშუალოდ მის ცხოვრებაშია უკვე შეჭრილი. სწორედ ამით აიხსნება ბავშვის სიზმარში წინა შემთხვევასთან შედარებით გაცილებით უფრო მკაფიო მინიშნება სინამდვილის საშინელებაზე (პატარა ტომი თავის თავს კუბოში ხედავს), მაგრამ ვინაიდან ყოველივე ამის ობიექტივაცია გამოუცდელ, მიამიტ ბავშვს არ შეუძლია, ეს მინიშნება მხოლოდ სიზმარშია მოცემული — ე. ი. ადამიანის არაცნობიერ სფეროში და ამდენად მისი სასოწარკვეთილი სიზმარიც ამ შეუცნობელი სიმძიმის არაცნობიერი ანარეკლია.

თუნდაც ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის დასანახად, რომ „უღრუბლო იდილიის“ რყევა უკვე კრებულის პირველივე ნაწილში იწყება. მართალია, ამ ნაწილის ყველა ლექსი ბავშვის პოზიციიდან არის დაწერილი და სამყაროს დისჰარმონიულობას ბავშვი მხოლოდ ინტუიტიურად გრძნობს, მაგრამ ყოველივე ამას მოაქვს უსასოობის შეგრძნება, რომელიც მძაფრად აღიქმება მკითხველის მიერ და საბოლოოდ იგი კარგავს ჰარმონიულობის განცდას.

მეორე ნაწილში — „გამოცდილების სიმღერები“, ადამიანი იძენს გამოცდილებას, იმას, რაც მას თავისი განვითარების პირველ სტადიაში აკლდა და რისი ნაკლებობაც მის არსებობას ხაფრთხეს უქადდა. ამ ეტაპზე მისთვის ავტორს არანაირი გონებრივი შესაძლებლობა არ „დაუკლია“. ადამიანი იძენს ობიექტივაციის, მოვლენების გაცნობიერების უნარს. მაგრამ ამ მხიანად მეორე უკიდურესობამდე მიჰყავს — იგი მთლიანად კარგავს განცდის უშუალოებას, სიმართლის მხოლოდ ერთ — ცუდ ნაწილს ხედავს, მაშინ როცა განვითარების პირველ სტადიაში იგი მხოლოდ კარგ ნაწილს აღიქვამდა. ახლა კი ადამიანი ვარდში მხოლოდ ეკლებს არჩევს, უბედურებაში — ცრემლებს და ა. შ. ბევრი კრიტიკოსის აზრით, მისი ამგვარი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან სამყაროს რეალური საშინელების ბრალია, საშინელებისა, რომელიც ციკლის მეორე ნაწილში აქვს ავტორს აღწერილი. ასეთი აზრის არიან ძირითადად ის მკვლევარები, რომლებიც კრებულის პირველ ნაწილს — „უმანკოების სიმღერებს“ სრულ, უშოთველ იდილიად აღიქვამენ. ასეთი შეხედულება, ჩვენი დაკვირვებით, არ უნდა იყოს გამართლებული. კრებულის მეორე ნაწილში ისევე არ არის სრული დისპარმონია, როგორც პირველ ნაწილში არ არის სრული პარმონია. მაგრამ ის პარმონია, რომელიც კრებულის მეორე ნაწილში არსებობს, დაფარულია ჩვეულებრივი ადამიანის თვალისათვის, ისევე როგორც იმ „გამოცდილი ადამიანისათვის“, რომლის პოზიციიდანაც იწერება ლექსი. ლექსში („ვეფხვი“) ევროპის თანამედროვე კრიტიკოსთა უმრავლესობა ვეფხვში ხედავს არა მარტო ნგრევისა და განადგურების სიმბოლოს, არამედ მას განწმენდის, ბორბებისა და სიბინძურისაგან სამყაროს გასუფთავების მისიასაც ანიჭებს. ა. კაზინი წერს — „ვეფხვი შენების, შექმნის ბრწყინვალე და ამბიციური სახეა. ის არ არის ბორბი“. მაგრამ ეს კრებულის თვითონ ამ ლექსში კი ნაკლებად ჩანს, რადგანაც აქ ავტორი არა თავისი, არამედ განვითარების მეორე სტადიაში მყოფი ადამიანის პოზიციიდან აღიქვამს სამყაროს, ადამიანისა, რომელიც ვარდის სილამაზესაც კი ველარ ამჩნევს მისი ეკლების გამო, და რაღა ვახაჯვირია, რომ ვეფხვში — ამ დამანგრეველ ძალაში, რაიმე სასიკეთო და სასარგებლო ვერ დაინახოს, ამიტომაც კაზინისეული დასკვნა უფრო ბლეიკის სხვა ნაწარმოებიდან არის გამოტანილი, სადაც ვეფხვის საზით ფიგურირებს ძალა, რომელმაც ურიზენის მიერ დამონებული და გზაბნეული სამყარო უნდა გაათავისუფლოს და დაუპყვას გადაარჩინოს, როგორც ვხედავთ, მეორე ნაწილის ლირიული გმირი უკვე „გამოცდილი ადამიანია“ (პირველ ნაწილში კი ასეთ ლირიულ გმირად ბავშვი გვევლინება). ამდენად

ბლეიკის მთელი ეს კრებული, შეიძლება ითქვას, „პოლიფონიური“ სტრუქტურისაა. ი. ბუაზს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული პოზიციების გამომხატველი, ლირიული გმირი, რომელთაგანაც ერთი უკვე ემთხვევა ავტორის ხმას (რომელიც ნაწარმოებში საერთოდ არ ჩანს). ამრიგად, ბლეიკის აზრით, ადამიანი ვერც განვითარების მეორე „გამოცდილების“ ეტაპზე აღწევს იმ დონეს, რომლის საშუალებითაც იგი სრულად და შეუცდომლად აღიქვამდა სამყაროს და სასურველ პარმონიას ეზიარებოდა. ავტორის ხმა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ კრებულში საერთოდ არ ჩანს, ერთადერთი და შეუცვლელია პოეტის უველა დანარჩენ ნაწარმოებში, სადაც მისი პოზიციის უკვე ნათელია და ექვს აღარ იწვევს, რომ, ბლეიკის აზრით, სწორედ მისი განვითარების დონისთვისაა ხელმისაწვდომი სრულყოფილი აღქმა რეალური სინამდვილისა (იხ. ზემოთვეფხვი „ურიზენში“). პოეტი ღრმად არის დარწმუნებული თავისი აღქმის სისწორესა და სისრულეში და ამდენად თავი იმ იდეალურ დონეზე განვითარებულ ადამიანად მიაჩნია, რომლისკენაც ასე ილტვის იგი და რომელიც მთელი მისი ფილოსოფიის საბოლოო წერტილს წარმოადგენს. ბლეიკი თავს „გონით უფლისწულს“ უწოდებს. ეს არის ბლეიკისეული იდეალური ადამიანის დონე. იგი წარმოსახვის ანუ ხილვის უდიდესი უნარით უნდა იყოს დაჯილდოებული, ასეთი ადამიანი კი უ. ბლეიკის ფილოსოფიის მიხედვით უკვე ღმერთის ტოლია (ამას ასაბუთებს ბიბლიური ალუზიები კრებულში, რაც ცალკე მსჯელობის საგანია), ადამიანი — წარმოსახვის უმაღლესი ქროლვებით. მაგრამ ასეთ დონემდე ადამიანი ვერც განვითარების მეორე სტადიაში — გამოცდილების შეძენამ მიიყვანა. მაშინ სად არის ან რა არის ის, რაც ადამიანს ღმერთის სიმალლემდე აიყვანს, ან, უფრო ზუსტი ვიქნებოდით, გვეთქვა, სად არის ის უნარი, რომელიც ადამიანს თავის თავში ღმერთს აპოვინებს, რადგან, პოეტის აზრით, უველა ჩვენგანში, უფრო მეტიც, უველა ბავშვში არის ღმერთი, რომელმაც ეს სულიერი მეტამორფოზები გაიარა, მაგრამ ისე, რომ განვითარების არც ერთი სტადია არ დაუკარგავს. აი, აქ კი უკვე მივდივართ საკუთრივ ბლეიკისეულ მსოფლალქმამდე: აუცილებელია სინთეზი, რომელიც ადამიანმა თავის თავში უნდა მოახდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „გამოცდილი ადამიანის“ რიგითი გონების დონეზე დარჩება. მაგრამ სინთეზი რასა და რას შორის? პირველი კომპონენტი ხავსებით ნათელია — ეს არის უმანკოება, გულუბრყვილობა (რაც უშუალობასაც გულისხმობს) — თვითონ ბუნება. მაგრამ რა არის სინთეზის მეორე კომ-



პონენტის — გამოცდილების არსი და მიზანი? სანამ წინააღმდეგობას წაგაწყდებოდით, ყველაფერი ნათელი იყო — ეს არის გამოცდილების შექენის საშუალებით გონების თანდათანობითი განვითარება, მაგრამ როგორი გონების? ეს თურმე მექანიკური გონების განვითარება ყოფილა, რომელიც გარდაუვალი პროცესია ადამიანის ცნობიერებაში. იგი მხოლოდ ნაწილია ინტელექტის უმაღლესი განვითარების მიღწევის გზისა, რომელზეც შეჩერება ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ადამიანს. ეს ის მექანიკური გონებაა, რომელსაც ბლექი პრინციპულად აკრიტიკებს ნიუტონის მოძღვრებაში, მაგრამ რომლის გარდუვალობაც, იძულებულია მიიღოს. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა — მექანიკური გონების უსასრულო, და, ბლექის აზრით, უსარგებლო განვითარების შედეგის გარდუვალობამ დაარწმუნა პოეტი მისი, ერთი შეხედვით, პარადოქსული სინთეზის აუცილებლობაში, სინთეზისა, რომლის ლოგიკურ შედეგსაც ადამიანის განვითარების ზენიტი — უდიდესი წარმოსახვის (ხილვის) უნარი წარმოადგენს.

როგორია სინთეზის „რეაქციის“ მექანიზმი?

ბლექისეული სინთეზი უმანკობასა და გამოცდილებას (მექანიკური გონება) შორის შესაქრებთა არითმეტიკულ ჯამს არ წარმოადგენს. იგი არც გარემო პირობების ცვლილებას გულისხმობს, ანუ იმას, რომ ადამიანის ცხოვრების ორივე ეტაპიდან ამოიკრიბოს ის მომენტები, რომლებიც ადამიანში დადებით ემოციებს იწვევს, ხოლო ყველაფერი „უარყოფითი“, უბრალოდ, გამოირიცხოს ამ „რეაქციის“ პროცესიდან. სინთეზის ამ უკანასკნელი გზით გაგება აბსოლუტურად არ შეესაბამება ბლექის მსოფლმხედველობას, თუმცა კი სწორედ ასეა იგი გაგებული საბჭოთა მკვლევართა უმეტესობის მიერ. ჩვენი აზრით, ბლექის ფილოსოფიის არსი ადამიანის ინტელექტის იდეალიზაციაა და არა მის გარშემო არსებული რეალური სინამდვილისა, რომელიც პოეტს ნაკლებად აინტერესებს. ე. ი. იდეალიზირებულია აღმქმელი სუბიექტის წარმოსახვის უნარი და არა აღსაქმელი ობიექტი. აქედან გამომდინარე, საექვო უნდა იყოს ა. ე. ნეკრასოვას აზრი, რომლის მიხედვითაც ბლექის ფილოსოფია კლასიკური უტოპიური სოციალიზმის იდეების ერთ-ერთი პირველი გამოვლინებაა. სოციალ-უტოპისტების თემა და მიზანი უთუოდ სოციალური ხასიათისაა — ეს არის საზოგადოებრივი წყობის, ცხოვრების იდეალიზაცია, სადაც ადამიანის ჰარმონიული არსებობა მისი ყოფის ჰარმონიას შეესაბამება და ამდენად ამ უკანასკნელის შეცვლით შესაბამის-

ად ადამიანის განწყობილებაც შეიცვლება. მაშინ, როცა ბლექის ფილოსოფიის მიხედვით სამყაროს ჰარმონიულობაში არავითარი ცვლილების შეტანის საჭიროება არ არის — სამყარო იდეალურად ჰარმონიულია, ოღონდ ამის აღქმა მხოლოდ იდეალურ დონეზე განვითარებული ინტელექტის ადამიანს შეუძლია და სწორედ ამისაკენ ისწრაფვის იგი ადამიანის სულიერი (და არა სოციალური) დონის იდეალიზაციისათვის მისეული სინთეზით.

დავიდ ჰიუმი, როცა რთული, ანუ კომპლექსური იდეების წარმოქმნის გზებსა და საშუალებებს განიხილავს, წერს, რომ ისინი შთაბეჭდილებებისა და მარტივი იდეების ასოციირების გზით მიიღება\*. თუ შთაბეჭდილებებად ბლექის ამ კრებულის პირველი ნაწილის გაუცნობიერებულ, უცაბედ შეგრძნებებს ვიგულისხმებთ, ხოლო მარტივ იდეებს მექანიკური გონების განვითარების ნაყოფად მივიჩნევთ, მაშინ ჰიუმის ეს დებულება შეიძლება, გარკვეული აზრით, შეეფარდოს ბლექის მსოფლმხედველობას, შეეფარდოს იმდენად, რამდენადაც ჰიუმს აქ გაერთიანების, შეკრების ან სხვა რაიმე მექანიკური პროცესის აღმნიშვნელი სიტყვების მაგივრად გამოყენებული აქვს სიტყვა — ასოციირება, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტად უახლოვდება ბლექისეული სინთეზის არსს. და თუ ჩავთვლით, რომ მიაშიტური, ინტუიტიური აღქმისა და მექანიკური გონების ნაყოფის სინთეზი უფრო ასოციირების გზით წარიმართება, ამას, საბოლოოდ, უთუოდ მივყავართ ე. წ. „მესამე ნაპირის“ ცნებამდე, მესამე ნაპირისა, რომელიც ორი რეალურად არსებული ნაპირის გაერთიანებაა, ე. ი. თავის თავში შეიცავს ორივე ნაპირს, მაგრამ ისე, რომ არცერთ მათგანს არ მგავს და არაფერს მათგან არ იმეორებს, თან არცერთ წერტილს არ გამოირიცხავს. მესამე ნაპირი — ესაა უაღრესად არამატერიალური, ხელშეუვლები რამ, რომელიც ადამიანმა თავის თავში სინთეზის ამ გზით მიღწევის შემდეგ თავისი სუბიექტური აღქმით უნდა შეიგრძნოს. იგი ყველა ჩვენგანში არსებობს, რადგან ყველა ადამიანში, ბლექის ფილოსოფიის მიხედვით, არსებობს ღმერთი, რომელიც სწორედ ადამიანის ცნობიერების მესამე ნაპირზე იმყოფება და რომელსაც ადამიანი მხოლოდ დამოუკიდებელი განვითარებით თუ მიაგნებს, რადგან ცნობიერების ეს სფერო წარმოადგენს ადამიანში მიმდინარე ყველა სულიერი პროცესის ურთულეს სინთეზს და ამდენად ეს სინთეზიც უაღრესად ინდივიდუალურია.



ხინთოტურია თავად ბლგიის მსოფლაქმა. რომანიულისა და გონებისმირი ბლგიისეუ ლი შერწყმა განაპრობებს კოეტის ადგლის სპეციფიკას დასავლეთ ევროპის კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ბლგიის მთელი შემოქმედება თავად არის ხინთეზი ორი უდიდესი ეპოქისა — განმანათლებლობისა და რომანტიზ-

მისა (აქ ისევ მისეულ ხინთეზს ვგულისხმობთ), და ამის შემდეგ, რაღა გასაკვირი, რომ ასეთ „მესამე ნაპირში“ ვერც განმანათლებლობა და ვერც რომანტიკოსებმა ვერაფერსაღიარებდნენ. ვერ დაინახეს, ვერ იცნეს ხინთეზის შემოქმედება კი ბევრად გასცდა თავისი ეპოქის საზღვრებს, გასცდა იმდენად, რომ მასთან, უფრო სწორად მის ფილოსოფიასთან, პრერაფაელიტების შემდეგ პირველები მოდერნიტები იპოვნინ სერტოს.



- ტუნი
- მოსტოვი
- აქც
- ერმოვი
- ლატა
- იხედო
- ფილანტი
- კარკა
- შეგო
- ბეგო
- მარტოვი



ინგლისურიდან თარგმნა მთარ ბალიაშვილმა

ტომას ჰარტ ბენტონი

**ტ**ომას ჰარტ ბენტონს მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი ეჭირა მს-იანი წლების ამერიკულ მხატვრობაში. იგი იყო უაღრესად სადავო, როგორც მხატვარი და სოციალური კომენტატორი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ ძალზე პოლემიკურ ათწლეულში მან ისეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა, რაც ადვილად აკავშირებდა პიკასოს, დალისა და რივერას სახელებთან. ზოგის აზრით, ბენტონი ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მხატვარი და ხელოვნებაში კემპარიტად ამერიკული ნაკადის წამომწვები იყო. ზოგის აზრით კი, „ჭირვეული“ და „მუვირალა“ შეხედულებების, გახედულ, შემოქმედებითად ნაყოფიერ და საკმაოდ იღბლიან, მაგრამ ესთეტიკურად შეზღუდულ შემოქმედს წარმოადგენდა. ამერიკელ ხელოვნებათმცოდნეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მის მიმართ ნეიტრალურად განწყობილი.

როგორც არ უნდა ეთქვათ, საბოლოოდ ბენტონი ცნობილ ფიგურად დარჩა. ჩვენს დროში მის სახელს ხშირად ახსენებენ ისინი, ვინც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდს „კლასიკურ ბანაკს“ უწოდებენ, უფრო სერიოზულ მხატვრად კი ისინი მიიჩნევენ, ვინც მას ამერიკელი მხატვრების მთლიანი სკოლის „განტევების ვაცს“, უწოდებენ, სკოლისა, რომელიც ინტერნაციონალური, სტილისტურა სიახლეების გამოკვლევებისა და პოლიტიკურად რადიკალური პოზიციების მიღების ნაცვლად თავის პროვინციალიზმს ეჭიდებოდა.

ბენტონი ეკუთვნოდა მხატვართა თაობას, რომელიც უურადღებით ეჭიდებოდა ქვეუნის ოცნებებსა და მითებს. მათ ხურდათ უზრუნველყოთ ამერიკელები ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ადვილად მისაწვდომი დემოკრატიული ხელოვნებით.

„მოდერნისტი“ ბენტონის საპირისპიროდ, „ამერიკანისტი“ ბენტონი ალბათ სხვაგვარად განვითარდებოდა, სხვა ოქახურ ტრადიციებზე რომ ყოფილიყო აღზრდილი. 1889 წელს ნეოშოში, მისურის შტატში დაბადებულ ტომას ჰარტ ბენტონს სახელი ბიძის, დიდი პოლიტიკური მოღვაწის, დასავლეთის ექსპანსიონიზმის წარმომადგენლის პატივსაცემად დაარქვეს. ბენტონის მამა 1869 წელს დასახლდა ნეოშოში და ისიც მალე გახდა ცნობილი აშშ-ს პოლიტიკურ სამყაროში. იყო დასავლეთ მისურის რწმუნებული და აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის წევრი 1897-1905 წლებში.

ბენტონი იგონებს, რომ ბავშვობაში მათი ოქახური ცხოვრების არსს პოლიტიკა წარმოადგენდა. ტომასის მამა ხშირად იწვევდა სახლში ცნობილ პიროვნებებს, მათ შორის უილიამ ჭენინგს ბრაიანს, და ხშირად მიძეავდა ბიჭუნა ქალაქგარეთ შეხვედრებზე, მასობრივ მიტინგებზე, პიკნიკებზე. ბენტონი აბლოს გაეცნო მამის საქმიანობას. მამის მეგობრებისგან მან ბევრი თქმულება მოისმინა ძველ სამოქალაქო ომსა და პირველ ახალშენებზე.

ტომასის გონებაში წარსული აწმყოს უკავშირდებოდა. მას მარტო ნაამბობი როდი ესმოდა წარსულზე, მისი ნაშთების ნახვაც ადვილად შეეძლო. ბენტონს ეწადა ეთქვა თავისი სათქმელი არა მარტო როგორც მხატვარს, არამედ, როგორც პიროვნებასაც, რომელზეც მისი ოქახი დიდ იმედებს ამყარებდა.

შესაძლოა ოქახური მემკვიდრეობა აძლევდა საბაბს, ეძებნა უფრო დიდი აუდიტორია, ვიდრე მას თავისმა მხატვრობამ შეუქმნა. ორი ავტობიოგრაფიის ავტორს (პირველი ძირითადად მისი ცხოვრების სტილს, ხოლო მეორე მისი, როგორც მხატვრის ჩამოყალიბებას ეძღვნება) დაწერილი აქვს ბევრი სტატია და

ესეიც და ხშირად გამოსულა ორატორის როლშიც.

ბენტონის მხატვრობა მარტო ქრონოლოგია, სტილისტური განვითარება და მხატვრული აღლო არ არის, ის აგრეთვე შეიცავს საგან ელემენტებს და ჩვენ შეგვიძლია თანმიმდევრულად გავადევნოთ თვალი, როგორ ჩამოყალიბდა იგი მის მახაზრდობებელ კულტურასთან კავშირში.



ბენტონმა მხატვრობის სწავლა ოფიციალურად ვაშინგტონში დაიწყო, სადაც მისი მამა მსახურობდა. ქორქორანის სამხატვრო გალერეაში ლექციებზე დასწრების დროს ტომასმა ხატვა კუბური ბლოკების სქემებით ისწავლა. ალბათ სწავლების ეს მექანიზმი გადაიზარდა მოგვიანებით ჩვევაში — ეტიუდის საბოლოო სახის მიღებამდე კუბური ფორმების საშუალებით შავად მოეხაზა როგორც ფიგურები, ასევე სივრცითი განაყოფები.

1907 წლის თებერვლიდან ბენტონმა დაიწყო სწავლა ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში, რათა საგაზეთო ილუსტრატორი გამხდარიყო. ჩიკაგოში დაახლოებით ორი წელი გაატარა და ეს წლები ნაყოფიერიც გამოდგა და იმედის გაცრუებისაც.

ტომასმა დაარწმუნა ოჯახის წევრები, რომ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩიკაგოს აღარ შეეძლო და 1908 წელს, მშობლების თანხმობით, გაემგზავრა ევროპაში, ზაფხულის ბოლოს იგი პარიზში ჩავიდა.

ბენტონი შედის „აკადემი ეულიანში“, სადაც სწავლას კვლავ თაბაშირის ტვიფრებით იწყებს. რვა თვის მანძილზე ეცნობა თანამედროვე სამხატვრო მოძრაობებს.

დაიწყო იმპრესიონიზმით, გამოიკვლია თანამედროვე ხელოვნების ისტორია, გზა გაიკაფა კუბიზმამდე და მაშინდელ მხატვრობამდე.

1909 წლის ზამთარში, ჭერ კიდევ „აკადემი ეულიანის“ სტუდენტმა პირველად მოსინჯა იმპრესიონისტული ტექნიკა, რაშიც ამერიკელი მხატვარი ჯონ ტომპსონი დაეხმარა.

ბენტონი მოიხიბლა პისაროს შემოქმედებით. მისგან აითვისა ტონთა პალიტრის ცვლა (რომელსაც ეულიანშიც იყენებდა) და სექტრზე დამუარებულ ფერთა ვარიაციების მონაცვლეობა შუქ-ჩრდილების გრადაციისთვის, ისწავლა ის, რასაც ითვალისწინებდა ტრადიციული აკადემიური მხატვრობა.

აქედან ბენტონმა გადაინაცვლა რენესანსისა და ბაროკოს მხატვრებთან და სეზანთან, რომელთა ნამუშევრების შესწავლაც ჭერ კიდევ ლუვრში დაიწყო. ძველ ხელოვანთაგან ბენ-

ტონმა კომპოზიციური სქემები და ფერთა ბარმონიის ტიპები შეისწავლა, მაგრამ სეზანისგან უმნიშვნელო ნაწილი შეითვისა.

ბენტონი იღრმავებდა მიღებულ იმპრესიონისტულ ცოდნას, ამასთან ერთად ფერის ტონების გრადაციის მატვლად დაიწყო აშკარად განსხვავებული ფერებით მოდელირება. თბილი ფერები (მაგ. ყვითელი) ნათელ ტონებად გამოუენებოდა, ცივ ფერებს კი (მაგ. ლურჯს) ბენტონი შუქ ტონებად იყენებდა. სიმრგვალებს და მოცულობას ავტორი ტონალური მოდელირების ნაცვლად გარკვეული ფერის ინტენსიურობის ვარირებით აღწევდა.



ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ბენტონს უარი არ უთქვამს მოდერნიზმზე, მაგრამ პირველ მსოფლიო ომამდე განაგრძობდა სხვადასხვა სტილზე ექსპერიმენტებს. ამ ექსპერიმენტებს, ალბათ, უფრო თარეში ეწოდებოდათ, რადგან ბენტონი იყენებდა ხან ერთ, ხან მეორე სტილს, თან ერთგულობდა რეალისტურ მხატვრობას.

სურათი — „გოგონა პარკში“, რომელიც ნეოშოს ხანძარს გადაურჩა, კარგად გვიჩვენებს ბენტონის შემოქმედების მოდერნისტულ ფაზას.

1913 წელს ბენტონი კიდევ ერთი სტილით, ე. წ. სინქრომისტული სტილით დაინტერესდა. ამ პერიოდის ნამუშევრებში სამი განსხვავებული მანერა გამოიკვეთა:

პირველში ფერთა მანიპულაცია დომინირებს ტონების გრადაციაზე. (სურათი „შემოდგომის ფოთლები“ 1920. ზეთის საღებავი პანელზე.)

მეორე მანერაში ბენტონი იკვლევდა იმას, რაც ზოგჯერ აბსტრაქტულ ქალაქსა და პეიზაჟს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ჯობებით დაკავშირებული ფერადი ქალაქის დეკორაციების ესკიზს წარმოადგენს. (სურათი „კონტრაქტივისტული ნატურმორტი“, 1918. კვერცხის ტემპერა პანელზე.)

მესამე მანერა, რაც ბენტონმა ამ წლებში განავითარა, გაცილებით რეალისტური იყო, ვიდრე პირველი ორი. მიქელანჯელოს ქანდაკების (განსაკუთრებით კი ლაპითებისა და კენტავრების ბრძოლის გამოსახულება) გავლენით შექმნილ ნამუშევრებში ბენტონმა სცადა აღიარებული საგნობრივი მოქმედების სინქრომისტულ ფერთა ტექნიკის საშუალებით ასახვა. (სურათი „ფიგურათა სტრუქტურა“ 1919).

ფერთა ზედაპირზე დადების პრობლემების

განსჯის თითქმის სავალდებულო მოთხოვნაზე ბენტონის შემოქმედებაში არ ეყრდნობოდა მხოლოდ ესთეტიკურ თვალსაზრისს. იგი ბევრს კითხულობდა, აქტიურად ეხმაურებოდა ყოველგვარ სიახლეს. მაგალითად, საფრანგეთში ბენტონმა ღრმად შეისწავლა XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურა, მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იპოლიტ ტენის ხელოვნების ფილოსოფიაში, ეს იყო პირველი თეორიული ტრაქტატი ხელოვნებაზე, რომელსაც ბენტონი გაეცნო. ტენმა წამოაყენა თეორია, რომ ხელოვნება განისაზღვრება რასით, დროითა და გარემო ვითარებით — იმ ხალხით, ვინც მას ქმნის, იმ პერიოდით, როცა ის იქმნება, და იმ ადგილით, სადაც ის იქმნება. ხელოვნება, — თვლიდა ტენი, — მოდის ხალხიდან და გამიზნულია სწორედ ამ ჯგუფისთვის. რომ ჩავწვდეთ „ხელოვნების ნიმუშს, მხატვარს ან მხატვართა ჯგუფს, ჩვენ ზუსტად უნდა შევისწავლოთ იმ დროთა ზოგადი სოციალური და ინტელექტუალური ვითარება, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან“ — ამბობდა ტენი.

დოქტორ ჯონ ვაიქსელთან, ნიუ-იორკის მხატვრული სამყაროს მნიშვნელოვან ფიგურასთან 1917 წლამდე, ბენტონს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ვაიქსელს იგი 1914-1915 წლების ზამთარში შეხვდა. ვაიქსელმა 1915 წელს დააარსა ხალხთა სამხატვრო გილდია. იგი აწუხობდა გამოფენებს, ლექციებსა და გაკვეთილებს დასახლებულ პუნქტებში, ოჯახებში და საზოგადოებრივ ცენტრებში. ქვემო ვესტ საიდში, გილდია დაუკავშირდა ჩესლი ნეიბორჰუდ ესოუსიეიშენს და 1917 წელს ბენტონი ესოუსიეიშენს ვალერის ხელმძღვანელი გახდა. გარდა ამისა ბენტონი იქვე ფაბლიკ სკულის<sup>1</sup> მაღალ კლასებშიც ასწავლიდა ხატვას. აქ მისი სტუდენტი იყო რიტა პიაჩენცა, რომელიც 1922 წელს ცოლად შეირთო.

1920-იანი წლების დასაწყისში ბენტონმა გამოანახა მხატვრობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და თავის ირგვლივ გაბატონებული იდეების თავმოყრის გზა. დაიწყო ამერიკულ თემებზე ფოკუსირება.

ბენტონმა გადაწყვიტა, რომ რამდენიმე ზაფ-

ხული მართაზ ვინიარდში<sup>2</sup>, ნიუ ინგლენდში<sup>3</sup> გაეტარებინა.

ბენტონს არ უნდოდა არც ქვეყნის დატოვება, არც მის ნაკლოვანებებზე ლაპარაკი. მაგრამ ამასთან იმედოვნებდა, რომ მშობლიური მიმართულების, მისწრაფებების და სინამდვილის იდეალებიდან წარმოშობილ სოციალისციას იპოვიდა. ბენტონმა ამ ცივილიზაციის თესლი დაინახა არაინტელექტუალურ, ბეჭითად მომუშავე, პრაგმატულ იომენებში, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ. ის განსაკუთრებული ამერიკა, რომელიც მენკენისთვის<sup>4</sup> მესამე ხარისხის სამოთხეს წარმოადგენდა, ბენტონისათვის ქვეყნის გადამრჩენი წყალობა იყო.

ამგვარად, მან მოგვცა ამერიკული ისტორიული ეპოსის, როგორც ხალხის ისტორიის ფორმულირება. „მე მინდოდა შერვენივინა, — თქვა მან მოგვიანებით, — რომ ხალხის მოქმედება ახლად აღმოჩენილ მიწაზე ამერიკული ცხოვრების პირველად რეალობას წარმოადგენდა“<sup>5</sup>.

1925 წელს ბენტონი მიხვდა, რომ მისი, როგორც მხატვრის გზა ჰემმარიტი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყოდა პატარა ზომის ნახატებში გამოყენებულ სქემებზე. გვიანი, ოციანი წლების დაზღვრ მხატვრობასა და ამერიკული ისტორიული ეპოსის პანელების მეორე ციკლში ბენტონმა შრომასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი გადაჭრა; საბოლოოდ შეიმუშავა სტილი და სიუჟეტისადმი დამოკიდებულება, — ამით ბენტონს შეეძლო დაკმაყოფილიყო.

მისმა ამერიკანისტულმა შეხედულებებმა სხვებზეც იქონია გავლენა, ე. ი. მან თავისი იდეა ბოლომდე, ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანა. იმისათვის, რომ იყო მხატვარი ამერიკაში, უნდა განავითარო საკმაოდ უბრალო, ამერიკულ გამოცდილებაზე დამყარებული ამე-

<sup>2</sup> მართაზ ვინიარდი (Marthas Vineyard) — კუნძული მასაჩუსეტსის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ელიზაბეთის კუნძულისა და ნან-თაქეთს შორის.

<sup>3</sup> ნიუ ინგლენდი (New England) — რაიონი აშშ-ში (შტატები: მენი, ნიუ ჰემპშირი, ვერმონტი, მასაჩუსეტსი, როდ-აილენდი, კონექტიკუტი.)

<sup>4</sup> მენკენი (Mencken Henry Louis) (1880-1956) — ჰენრი ლუი მენკენი. ამერიკელი ჟურნალისტი.

<sup>5</sup> ტომას ჰარტ ბენტონი: „ამერიკული რეჯინალიზმი: „მოდრობის პიროვნული ისტორია“ (ტ. 18. გვ. 41-75).

<sup>1</sup> ფაბლიკ სკულ (Public school) (ინგლ.) — კლასიკური გიმნაზია. (აშშ-ში) — კი უფასო სახელმწიფო სკოლა.

რიკული სტილი, რომელსაც მხატვრის თანამე-  
მამულებიც გაიზიარებენ.

შეიძლება ითქვას, ბენტონმა ამოიჩინა წარ-  
სულსა და აწმყოს, სოფლურსა და ქალაქურს  
შორის უწყვეტობის კვლევის გზა, რათა ამ  
ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და კულტურ-  
ული წყაროების ნაირხახეობიდან შექმნა  
შერწყმული სტილი და შინაარსი. მას მიაჩნდა,  
რომ ამერიკული კულტურის ისტორია საუკუ-  
ნის ბოლომდე მაინც ჩვეულებრივ ურბანულ  
ცენტრებზე სოფლური დაწოლით ვითარდებო-  
და. „ჩვენს ძირითად კულტურულ იდეებს,  
ჩვენს რწმენებს იმის შესახებ, თუ რა შეად-  
გენს ამერიკულ ხასიათს, ჩვენს მითებს ფეს-  
ვები ადრეულ პირობებში მქონდათ“. აი, უო-



1920-იანი და 1930-იანი წლების ნამუშევ-  
რებს, რომლებიც ამერიკულ ცხოვრებას სპე-  
ციფიკურად, რისი ტილოზე გადმოტანაც უნდოდა  
ბენტონს.

ციფიკური ამერიკული ელფერით გამოხატავ-  
დნენ, „ამერიკული ცხოვრების“ მხატვრობა  
დაერქვათ.

ეს ნამუშევრები შესრულების მანერით დო-  
მინირებულად რეალისტური იყო. ნებისმიერი  
აბსტრაქტული ელემენტები შთაბეჭდილებას  
მაინც ორიგინალური რეალისტური ჩანაფიქ-  
რით აბდენდნენ. ტიპური თანადროული ნა-  
წარმოებებისგან განსხვავებით, ხადაც ფერი  
ჩნდება იმისათვის, რომ სურათის სიბრტყის  
შიღმა ცოცხლობდეს, „ამერიკული ცხოვრების“  
მხატვრობაში ჩანს, რომ ფერები პირდაპირ  
სურათის ზედაპირზეა განლაგებული.

ბენტონი არ ხატავდა ცალკეულ ნაცნობ ად-  
გილებს მაშინაც, როცა საგანი აშკარად ამე-  
რიკული იყო. ეს შტრიხი განასხვავებს მის  
ნამუშევრებს დემუთის, მოპერის, ბერჩილიდის  
სურათებისაგან, რომელთა პეიზაჟები ხშირად  
კონკრეტულ მოდელებს ეყრდნობოდა. იგი  
ეძებდა უფრო ტიპურს, ვიდრე განსაკუთრე-  
ბულს, უფრო სხვადასხვა ადამიანთა ქცევის  
ნიშნებს, ვიდრე ინდივიდების საქმიანობას,  
და უფრო ამოცნობადი კუთხის ნიშან-თვისებას  
ხატავდა.

ბენტონმა იცოდა, რომ მას უამრავი საფრ-  
თზე, განსაცდელი შეხვდებოდა, რომელიც  
ამერიკის ერთიანი ხედვის ძებნას სდევს თან,  
მაგრამ იგი როგორც ჩანს, მზად იყო ამის-  
თვის. სურათი „ეული შარა“ მაშინდელი სამ-  
ბრეთის სოფლის ტიპური პეიზაჟი ხდება, ხო-  
ლო „ბუმთაუნი“ განამტკიცებს საუკველთაო  
აზრს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს  
თანამედროვე ქალაქი და მისი ბობოქარი,  
მშფოთვარე ცხოვრება.

უოველდღიურ მოვლენებს და ჩვეულებრივი  
ხალხის ცხოვრებას რომ ხატავდა, ბენტონი უბ-  
რალოში ეძებდა არქეტიპულს და ლამობდა  
საშუალო მითიური თვანებებით შემოსა. მოგ-  
ვიანებით მან ეს თვანახარები ასე გადმოგ-  
ვცა: „მე მინდოდა, შექმნო კულტურები, რომ-  
ლებიც ამერიკელებს უფრო აქტიურად ამერი-  
კულ მნიშვნელობას შეიძენდა...“

უფრო და უფრო თვალში საცემი ხდება  
ამერიკის წარსულის ფესვების ძიება. ამას გარ-  
და, ბევრი მხატვარი, თუ ადრე თანამედროვე  
ევროპული სტილით ხატავდა, ამ დროისთვის  
იწყებს ამერიკის შეცნობას და ადრეული მო-  
დელებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას  
ამუღვენებს. ამ ჯგუფში შედიოდნენ ისეთი  
მხატვრები, როგორც — ჯორჯ ბიდლი, ბენ  
შანი და გრანტ ვუდია.

მოახლოებული ჩანდა ამერიკული რენესან-  
სი, რომლის ზღვარზე ქვეყანა წლების მანძილ-  
ზე იდგა. სერიოზულად მოაზროვნეთ. მიაჩნ-  
დათ, რომ ქვეყანა, რომელმაც პოლიტიკურად,  
ადმინისტრაციულად და ისტორიულად თქვა  
სათქმელი, მზად იყო თავი მხატვრულადაც  
წარმოეჩინა. ვარაუდობდნენ, რომ იმის ნაცუ-  
ლად, თავისი ნიჭი მიქელანჯელოს მსგავსი  
ცალკეული ტიტანებით ეჩვენება. ამერიკული  
რენესანსი საერთო, ჯგუფური ძალისხმევით მი-  
აღწევდა წარმატებას და აამაღლებდა გემოვ-  
ნებას ზოგადად. დემოკრატიული და ეგალი-  
ტარული ამერიკული რენესანსი უველასათვის  
იქმნებოდა.

ამერიკული ფესვების პოვნის სურვილმა  
მწვერვალს 1931 წელს მიაღწია.

სოციალური საკითხების ბევრი მკვლევარი  
მხარს უჭერდა ქვეყნის გეოგრაფიულ, სოცია-  
ლურ და კულტურულ რესურსებში რეგიონა-  
ლიზაციას. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ერის  
დოვლათის ასეთი გადაჯგუფება ახალ გაზაფ-  
ხულს მოიტანდა კულტურაში.

თუმცა ბენტონი აშკარად თანაუგრძნობდა  
უველა ამ იდეასა და მეცადინეობას, რეგიონ-  
ნალურ ტრადიციებსა და სასოფლო ღირებუ-  
ლებებს, ის მაინც არ იყო ჭეშმარიტად „რეგი-  
ონალისტი“ მხატვარი.

ხელოვნებასთან დაკავშირებით ტერმინი „რე-  
გიონალიზმი“ ფაქტიურად კრიტიკოსებისა და  
მიმომხილველების მონაგონს უფრო წარმოად-  
გენდა, ვიდრე მხატვრების სექციურ ჯგუფებს  
შორის შეთანხმებულ მოძრაობას.



30-იანი წლების ადვილად გასაგები ამერი-  
კული ხელოვნების შესაქმნელად მთავარ ია-  
რალს ფრესკული მხატვრობა წარმოადგენდა.  
როგორც კრიტიკოსები, ასევე მხატვრები

ფრესკას უყურებდნენ, არა როგორც უბრალო არქიტექტურულ დეკორაციას, არამედ, როგორც ამერიკული მხატვრობის გამორჩეულ და, შესაძლოა, მხსნელ კატეგორიასაც კი. ამერიკული რენესანსის მიმდევრები ამერიკულ ფრესკულ მხატვრობას აჯიბრებდნენ იტალიურ რენესანსს. მხატვრულ სამყაროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გასაგები ხელოვნებისთვის ხელის შეწყობის მზარდი სურვილის გამომუდგენებას. ფრესკული მხატვრობა, როგორც საზოგადოებრივი ხელოვნების ფორმა, კარგად მოემსახურებოდა ასეთი სახის ხელოვნების დანერგვას.

რომ მოვიხილოთ გამოვყოთ ერთი ამერიკული მხატვარი, რომელმაც უველაზე შთაბეჭქდავად გააღვივა ინტერესი ფრესკული მხატვრობისადმი, არჩევანი უცილობლად ბენტონზე შეჩერდება. პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა ბენტონი 1930-1938 წწ. ფრესკების სამ ციკლს ქმნის.

პირველი ორი ფრესკა ბენტონმა სოციალური კვლევის ახალი სკოლისა და ვიტნის მუშეუმიწისთვის დახატა. ამ ფრესკებში მხატვარი ასახავდა თანამედროვე ამერიკული ცხოვრების წესს.

ის განსაკუთრებული თემა, რომელიც ბენტონმა ახალი სკოლის ფრესკებისთვის შეარჩია, იყო „ამერიკა დღეს“.

მესამე ციკლი ბენტონს შეუკვეთეს ინდიანას შტატის პავილიონისთვის.

ახალი სკოლის ციკლთა სცენებში ქარბობენ ადამიანები, რომელთა ფესტები მეტისმეტად თეატრალიზებულია, თითქოს ისინი რიტუალური საქმიანობით ან პანტომიმით არიან დაკავებულნი. დამარღვული კუნთები, დამუშტული ხელები, თხელი მხრები. მატარებელი მიშქრის ლანდშაფტზე. კვამლი უხვად ადის ზემოთ. ადამიანები წრიულად ბრუნავენ გარგანტუასებრი გოლიათების მსგავსად. ბენტონის აზრით, ისინი მართლა გოლიათები იყვნენ, ვინაიდან მშრომელ ხალხს წარმოადგენდნენ, რომელთა რამდენიმე თაობამ აქცია ამერიკა მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად. ფრესკები დიდებით მოსავენ იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთა ზრუნვამაც ქვეყანაზე შექმნა ერის ხასიათი.

შემდეგი ციკლი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაიხატა 1932 წელს ვიტნის მუშეუმიწის ბიბლიოთეკისთვის. ამ ახალ პანელებს მხატვარმა „ამერიკაში ცხოვრების ხელოვნება“ უწოდა.

რასაკვირველია, პანელები ბევრი ფიქრით და განსაზღვრული სოციალური რწმენით შეიქმნა. შინაარსისა და ფორმის მუდმივ ურთიერთ-

მოქმედებაში, ფიზიკური გამოცდილების ხაზგასასმელად, ამერიკული ენერჯის სამკოლორად გამოხატვისთვის, რეალური სივრცის ექვივალენტური მხატვრული ნახსენებების შექმნისთვის შესაქმნელად, შემტონმა შედგენილ დაკუნთული და დასახსრული სხეულები გამოიყენა. ფორმასა და შინაარსს შორის შეჭიბრში ძირითადად შინაარსმა გაიმარჯვა.

ბენტონს შეეძლო სოციალური, კულტურული, ინდუსტრიული საზღვრების წინსვლის იდეა შეემუშავებინა მხოლოდ ქრონოლოგიის საფუძველზე, ისევე, როგორც ეს მან ამერიკულ ისტორიულ ეპოსში გააკეთა. ინდიანას ფრესკების თემების და ხატების განვითარება ფრედერიკ ჯექსონ ტერნერის შრომების ზუსტ ცოდნაზე მიგვანიშნებს.

ბენტონის მიერ ფოსტის შენობისთვის გაკეთებული ესკიზები არ მოიწონეს და ბენტონმა გადაწყვიტა დაბრუნებოდა მისი, როგორც მხატვრის ფორმირებისდროინდელ გარემოს. ეს დაბრუნება, ბენტონსა და მხატვრების გარკვეულ ჯგუფს შორის მზარდმა შუღლმაც დააჩქარა, რომლებიც ხატავდნენ ან პარიზის სკოლის ხტილში, ან ბენტონის მსგავსად თავს სდებდნენ „ამერიკულ ცხოვრებაზე“.

ბენტონმა ქალაქი ნიუ-იორკი დატოვა იმ რწმენით, რომ იგი მიემართებოდა ცენტრალური ამერიკისკენ. მალე ბენტონმა დაინახა, რომ მისურიელნი ისევე იყვნენ ურბანული რევოლუციით შევიწროებული, როგორც ნიუ-იორკის მკვიდრნი. მიუხედავად ამისა, გარემოს შეცვლა ბენტონისთვის მეტად სასიამოვნო უნდა უოფილიყო, რამეთუ ჯეფერსონ სიტის ფრესკები, რომელიც მან მისურის შტატის სოციალური ისტორიით დაასათაურა, საუკეთესოა მის უკვე დასრულებულ ნამუშევრებს შორის.

ჯეფერსონ სიტის ფრესკები კომპოზიციურად განსხვავდება წინამორბედებისგან. ფრესკების იმ ნაწილში, რომელიც ოჯახს, ფერმას და სამართალს ეძღვნება, ინდიანას ფრესკების მსგავსად, ბენტონმა ვერტიკალური საურდენები გამოიყენა. მაგრამ მან უფრო ფართო ხედის გახსნით და უფრო ღრმა პერსპექტივის გამოყენებით ნაკლებად გადატვირთული სივრცეები მიიღო.

ბენტონის დაზგურ მხატვრობაში გამოვლინდა ის ცვლილებები, რომლებიც მისურში მისი დაბრუნების შემდეგ მოხდა. ამ ნახატებში ფიგურები ნაკლები ძალით მოძრაობდნენ და ნაკლებად მოუქნელნი იყვნენ. მათი პროპორციები თითქმის ნორმალურ ზომებს უახლოვდებოდა. ზოგ ნახატში ჩანს, რომ ბენტონის მიერ ფორმების აღწერაში კომპრომისი ხელუფილია: ასე რომ, კვამლის სილუეტები, მორიზონტალური ხაზი და დედამიწის კონტურები, თუმცა თითოეული მათგანი განსხვავებულია, მაინც ბენტონის ფუნჯის აშკარა რიტმული შეხების შედეგს წარმოადგენს.

ბენტონის სურათებში იმპულსი შენედა.

ბენტონის ახალი ნამუშევრები უფრო სრულად და ღრმად აღიქმება, ალბათ იმიტომ, რომ მათი ფოკუსი უფრო ვიწროა. ეს ნახატები აშშ-ს ერთ ნაწილს ამერიკის სოფლის ცხოვრებაზე უფრო ღრმა წარმოდგენას უქმნის, და ამიტომ სურათებში ასახული ცხოვრება მითითებულ მიხედვით პროპორციებამდეა აყვანილი. კერძოზე კონცენტრირებით ბენტონმა უფრო დიდი ზომით მიაღწია თავის ამერიკანისტულ მიზნებს. თუმცა აქ, ამ ნახატებში ბენტონი ერთ რეგიონს აღწერდა, ეს ტილოები, შესაძლოა, მის საუკეთესო და უფრო მეტად ამერიკულ ნამუშევრებს წარმოადგენდეს.

ჩანდა, რომ ბევრი სხვა მხატვრის მსგავსად, რომელთა შემოქმედებაც 30-იან წლებში მომწიფდა, ბენტონიც გრძნობდა იმ დიდ გათიშულობას, მოახლოებულ ომთან ერთად რომ ემუქრებოდა ამერიკულ მხატვრობას, და მაინც, რეალისტური მხატვრობისადმი ერთგულებით აღსავსე ბენტონი მკაცრად ზღუდავს ცვლილებებისა და განვითარების არჩევანს. მიუხედავად ამისა, ბენტონის შემოქმედებაში მაინც მქონდა ადგილი მოდიფიკაციასა და ძვრებს.

ბენტონმა უპირატესად ნატურმორტების, გაშიშვლებული ფიგურების ესკიზების და პეიზაჟების ხატვა დაიწყო. იგი უფრო დიდი ურადლებით ამუშავებს ზედაპირულ ეფექტებს და მისთვის ახალი კუთხით აწყობს ტექსტურასა და ფერს.

ბენტონი გახდა სტუდიის მხატვარი.

ბენტონმა დაინახა, რომ 1940-იანი წლების ამერიკულ რეალობაში ძნელი იყო საკუთარი

ადგილის პოვნა. მას არ შეეძლო არც ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც ტრადიციულად თანმიმდევრულად ასახავდა ამერიკულ ცხოვრებას. ამერიკა გამოცვლილიყო და ამდენად ამერიკის ბენტონის ხატვის შეცვალა. ომის ბოლოს შემდეგ ბენტონის ხატვის საშუაროს შესწავლაზე ბენტონს ადგილი ამერიკული ხელოვნების ისტორიაში მიაკუთვნეს. საზოგადოებისა და კრიტიკული გემოვნების ერთ-ერთ უფრო მეტად შემობრუნების დროს რეალისტური ხატებისადმი ინტერესი აბსტრაქტული ხელოვნებისადმი აღტაცებით შეიცვალა. ბენტონი „მაღლა კი არ ააგდეს“, რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამხდარიყო. მას იუენებდნენ პროვინციალიზმისა და ჭინგოიზმის სიმბოლოდ, რისთვისაც შედარებით გვიანი შთამომავლობა გამოხდა 1980-იანი წლების ხელოვნებას.

ჩექსონ პოლოკის ცნობილი განცხადებაც ნაწილობრივ შემოთქმულს აძლევდა ტონს. „ბენტონთან ჩემი მუშაობა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მის წინააღმდეგ ძლიერი რეაგირება უნდა მომეხდინა...“

ბენტონსა და პოლოკს შორის ურთიერთობა უოველთვის აშკარად გულთბილი იყო. შედარებით ახალგაზრდა ფერმწერი პოლოკი ბენტონთან ერთად სწავლობდა მხატვარ სტუდენტთა ლიგაში 1930-დან 1938 წლამდე; ახლო ოქახურ ურთიერთობას ინარჩუნებდა დაახლოებით ათი წლის მანძილზე, ხოლო პირადი კონტაქტი სიკვდილამდე, 1956 წლამდე, არ გაუწყვეტია.

ბენტონი გრძნობდა, რომ თანადროული ხელოვნების საშუაროს დაუდგრომლობა, (სადაც ხელოვნების განვითარების კანონები სწრაფად მონაცვლეობენ), მხატვრის უშუალო დაკვირვებებისა და შეხვედრებზე დაყრდნობის ნაცვლად, პიროვნულ იმპულსებსა და ადრეული სტილების გაკვეთილებიდან გამომდინარეობს. ერთი სიტყვით, ხელოვნების აღორძინებას განაპირობებს ცხოვრება და არა ხელოვნება.

გვიანდელ ფრესკებში ბენტონი აღარ ეძებდა სივრცის შედარებებს ამერიკულ რეალობასთან, არც აწმყო მოვლენების, როგორც წარსულის წარმომქმნელის ჩაწერას ლაშობდა. ბენტონი უფრო ისტორიკოსი გახდა.

მასენაში, ნიუ იორკის შტატის ელექტროენერგეტიკის სამმართველოსთვის ბენტონმა

1 „ჩექსონ პოლოკი“, მხატვრობა და არქიტექტურა, თებერვალი 1944, გვ. 14.



შექმნა მე-11 საუკუნის ფრანგი მკვლევარის უაკ კარტიეს მიერ ინდიელების აღმოჩენა (სურათი — „უაკ კარტიე აღმოაჩენს ინდიელებს“). მკვლევარის ალლომ უბიძგა ბენტონს გამგზავრებულიყო ფრანგულ კანადაში, რათა წაეკითხა კარტიეს „რელაცია“, მისი ანგარიში, იმდროინდელ კოსტუმებზე, გემებზე და არტიფაქტებზე.

ამის შემდეგ, ბენტონი ქმნის ფრესკას პარიტრუმენის ბიბლიოთეკისთვის, რომლის ძირითადი თემაა დამოუკიდებლობის როლი დასავლეთის აღმოჩენაში. ფრესკის მარჯვენა მხარეს მოჩანს თემი. გორაკზე, ძირიდან ცენტრისკენ ახალმოსახლესა და მის ოჯახთან არიან: ფრანგი მკვლევარი კარტიე, მთიელი კაცი და მონადირე. გორაკის წვერში მდგომი ახალმოსახლე ამერიკის დასრულებული კონტინენტური ბედის სიმბოლოა. ზელმარცხნივ ახალმოსახლე უყურებს ორ ინდიელს: ერთი ინდიელი მას მშვიდობის უალიონს სთავაზობს, მეორე ინდიელი მშვილდისრით აღჭურვილია. (სურათი: „დამოუკიდებლობა და დასავლეთის აღმოჩენა“). სურათის ხელმეწი მარცხნივ, მოსჩანს სამხრეთ კოლორადოს კლდოვანი მთები და სანტა ფეს გზა.

1920-30-იან წლებში სასიცოცხლო თემას წარმოადგენდა ამერიკის წარსული და მისი დამოუკიდებულება ამერიკის აწმყოსთან. აქებდა თუ ამხელდა ადრეულ ხანას, ხალხი იმ უწყვეტობის ელემენტებს ეძებდა, რომლებიც ამ ორ პერიოდს ერთმანეთს დააკავშირებდა. ამერიკის წარსულმა, როგორც შეგნებული ზემოქმედების, გავრცელებული აზრის და ქცევის განმსაზღვრელმა, მნიშვნელობა დაკარგა. ისინი, ვინც, ბენტონის მსგავსად, წარსულით ინტერესდებოდნენ, სინამდვილეში ანტიკვარებად და ისტორიკოსებად იქცნენ.

ეს ტენდენცია კარგად ჩანს ბენტონის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფრესკებში. თემის დამუშავებაში ცხადი ხდება წარსულსა და აწმყოს შორის აშკარა გათიშვა, უწყვეტობა უკვე აღარ არის და წარსული ახლა აღუდგენილია. ის, რაც შეიძლება ინდიანს ფრესკების შემოკლებული ვერსია უოფილიყო, დამოუკიდებლობის ფრესკებში ჩვენგან გამორჩეული წარსული ეპოქის მიმნად იქცა. ორმოცწლიან პერიოდში, 1921-1962 წლამდე, როცა ამერიკული ისტორიული ეპოსი იქმნებოდა და ტრუმენის ბიბლიოთეკის ფრესკებიც

დასრულდა. ბენტონმა ფრესკის ~~ფრესკებში~~ მიმ. ზიდველად ჩააქსოვა ცოცხალი ამერიკული წარსულისადმი ინტერესის აღმავლობა და დაცემა. ეს ინტერესი ~~ქვემოთ~~ ჩანს მის უველაზე თანამედროვე ფრესკულ მიღწევაში — „ქოპლინი — საუკუნის მიწნაზე“, რომელიც მისურის შტატის ქოპლინის მუნიციპალიტეტის შენობისთვის შეიქმნა.

ომის შემდეგ დასრულებულ დაზგურ მხატვრობაში ბენტონმა ძველი თემები და სტილები მოიძია, მაგრამ ცვლილებებს შემთხვევითი დამკვირვებელიც კი შეამჩნევს. ის ენერგია, რომელსაც ადრე ბენტონი ამერიკული სტილისა და სულისკვეთების წარმოსაჩენად იყენებდა, ამჟერად მიმართული იყო თემის, სიუჟეტის ღრმა გაგებისკენ. ბენტონის პორტრეტების საუკეთესო ნაწილი ამ გვიან წლებში შეიქმნა. ბენტონმა, ოჯახის წევრების სურათების თავგამოდებულმა მხატვარმა, შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტი — ჯესის, თავისი ქალიშვილის, ეტიუდის. (სურათი: „ჯესი გატარით“).

მიუხედავად ამისა, ბენტონის უფრო დიდ მიღწევად, ამ პერიოდში შექმნილი პეიზაჟები ითვლება. მათში ჩანს, რომ ამერიკისადმი ბენტონის უსაზღვრო სიუვარულმა გამოხატულება მკოვა მდინარეებში, გორაკებსა და მთებში. ქვეყანაში, რომელიც დასახლებულია ხალხით, რომელსაც უშიზნოდ გაშუავს ღრო, წუნარად ილბენს, უზრუნველად ცხოვრობს და თავისი არსებობის გარდა, არაფერს ზეიმობს. შესაძლოა, ეს ნამუშევრები ერთად განადიდებენ „ლამაზ ამერიკას“, საოცნებო ამერიკას, რომლის უოველი პანორამა თვალში გვხვდება. ბენტონის სურათები ძარღვიანად აღწერენ პეიპაჟის განსაკუთრებულ მონაკვეთს.

აშშ-ის დასავლეთში ბენტონმა პირველად 1950 წელს, ხოლო შემდეგ 1960 წელს იმოგზაურა. დიდი მთაგრეხილები მის თვალში გასაოცარი გარეგნობის როკოკოს დიად სანახაობებს წარმოადგენდა. ბენტონი თითქოს ეფერებოდა თითოეულ მწვერვალს და ქედს, თითქოს წუთით ხელშიც აიტაცებდა მათ. („მწვემსი“ 1955-60).

თუმცა ამ ნამუშევრებს ბენტონი სტუდიაში ქმნიდა, მან დიდი უნარი გამოიჩინა, ხელმეორედ დაეჭირა აშშ-ის დასავლური სინათლის განსაკუთრებული თვისება.

უფრო ინტიმურ ეფექტს ქმნის სურათები,

რომლებიც ბენტონის სახლის მახლობელი პე-  
იზაეებიდან დაიხატა. (სურათი „გამოქვაბულის  
წყარო“ 1968 წელი). მიდლ ვესტის მდინარე-  
ები, ხევ-ხუვები და გორაკები — მხატვრის მო-  
წიფულობის ასაკის დროინდელი დახასვენე-  
ბელი მიწები, — შაბათ-კვირას მეთევზეების  
და მენავეებისთვის იდილიურ ადგილებად იქ-  
ცევა. ადრეული ნახატების სულის შფოთვა გზას  
უთმობს წულის მრუდე ნაპირების, ხეთა ჭგუ-  
ფების და იმ მახლობელი მიდლ ვესტის ღრუბ-  
ლების უზრუნველ მაჯისცემას. ფერთა სიკაშ-  
კაზე ზოგჯერ წამლგავია მაშინ, როცა  
ვგრძნობთ, რომ ბენტონი ცდილობს გასწვდეს  
და მოიცვას უველაფერი, რასაც იგი ცხოვრე-

ბაში ხედავს. იგი თითქოს სიუვარულს უხსნის  
ხეებს, ბურქებს, ბალახებს, ქვიშის ნამცეცებს,  
კლდეებსა და ქვებს. სხვა ამერიკული მხატვ-  
რებიც ასხამდნენ ხოტბას ამერიკულ პეიზაჟს,  
მაგრამ მათ შორის ცოტავე მხატვრულად ამას  
ბენტონისებური სიხარულად დასწვდნენ.  
თუკი წარმოვიდგენთ, რომ ბენტონი ამ ნამუ-  
შევრებს ქმნიდა თავისი სიამოვნებისთვის, და  
თუ მათ სტილისტურად კავშირი მაინც აქვთ  
ადრეულ ნამუშევრებთან, მათი განწყობილება  
მთლიანად პიროვნულია. მიუხედავად ამისა,  
ისინი უველასთვის ადვილად მისაწვდომია, მა-  
თი მნიშვნელობა ჭეშმარიტად ამერიკულია,  
ბენტონი ჭეშმარიტად ამერიკული პეიზაჟის  
მხატვარია.

□

**«САУНДЖЕ»  
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**

На грузинском языке

1987 № 1


**СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ**

გად. წარმ. 3.11.86 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 13.01.87 წ., ქალაქის ზომა 70x108/16  
სააღრ. თ. 23,76, სისტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000, შვებ. № 2799  
ფასი 1 მან. 80 კპკ.  
საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ.



ტომას ჰარტ ბენტონი. საქრის ლერწამი.

6187/47



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

თომას ჰარტ ბენტონი. ჰოუნტი.